რევაზ გაჩეჩილაძე

ახლო აღმოსავლეთი:
სივრცე, ხალხი და პოლიტიკა

მესამე გადამუშავებული გამოცემა

გაიარ სალაყაიარის
გამომცემლობა

წიგნი ეძღვნება ჩემს მასწავლებლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტებზე სერგი ჯიქიას, ოთარ გიგინეიშვილს, ნოდარ ნაჭყებიას, ნოდარ ჯანაშიას, გიორგი ფუთურიძეს, ვიტალი ჩოჩიევს, ალექსანდრე ასლანიკაშვილს, ნოდარ ლომოურს, მიხეილ სვანიძეს, ირინე გოცირიძეს, ნანა ფურცელაძეს, მარიამ ნედოსპასოვას.

რევაზ გაჩეჩილაძე
ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა

მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2011
© რევაზ გაჩეჩილაძე, 2003, 2008, 2011

გამომცემლობის რედაქტორი: თეა ქიტოშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი კევლიშვილი
ყდის დიზაინი: მართა თაბუკაშვილი

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელ-ფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-403-12-5
www.sulakauri.ge

საძიებელი

ნახაზების სია 9
ცხრილების სია 10

წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის 11
შესავალი 13
ტერმინები „ახლო“ და „შუა“ აღმოსავლეთი 14
სად მდებარეობს საქართველო –
ახლო აღმოსავლეთსა თუ ევროპაში? 17
რეგიონის შედგენილობა 21
პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა 23
წიგნის მიზანი და სტრუქტურა 26

ნაწილი I – ბუნებრივი გარემო, რესურსები, მეურნეობა და პოლიტიკა

თავი 1 – მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და ტერიტორია

მდებარეობა 31
წყალსატევები და საზღვაო გზები 34
ზედაპირი 38
ჰავა, ნიადაგები, მცენარეული საფარი, ეკოლოგია 40
ქვეყნების ტერიტორია 45

თავი 2 – ბუნებრივი რესურსები და მეურნეობის გეოგრაფიის ზოგიერთი ასპექტი

სასარგებლო წიაღისეული 49
ნავთობი და გაზი: რესურსების გეოგრაფია და პოლიტიკა 51
მიწის რესურსები და სოფლის მეურნეობა 62
წყალი: რესურსების გეოგრაფია და პოლიტიკა 65

ნაწილი II – სოციალურ-კულტურული გარემო და პოლიტიკა

თავი 3 – რეგიონის ზოგადი დემოგრაფიული სურათი

მოსახლეობა, როგორც პოლიტიკის ფაქტორი 75
მოსახლეობის რაოდენობა, დინამიკა და სტრუქტურა 78
ურბანიზაცია და სოციალურ-კულტურული განვითარება 89

თავი 4 – რელიგიების გეოგრაფია

რელიგია და პოლიტიკა 94
იუდაიზმი 101
ქრისტიანობა 104
ისლამი 108

თავი 5 – ლინგვოგეოგრაფია

ენა და პოლიტიკა 117
სემიტური ენები 118
ალთაური ენები 120
ინდოევროპული ენები 122
სხვა ენობრივი ოჯახები 123

თავი 6 – ეთნოსი და პოლიტიკა

ერი ახლო აღმოსავლეთში 126
ეთნო-დემოგრაფიული პოლიტიკის მაგალითები 131

ნაწილი III – პოლიტიკური გეოგრაფიის ისტორიული წანამძღვრები

თავი 7 – რეგიონი კაცობრიობის ისტორიაში (წინაისლამური პერიოდი)

მითები და ჰიპოთეზები 139
შუამდინარეთის მემკვიდრეობა 141
სემიტების მემკვიდრეობა 143
ნილოსის ხეობის მემკვიდრეობა 145
მცირე აზიისა და ირანის მემკვიდრეობა 147
ევროპული მემკვიდრეობა 149
ქრისტიანობის წარმოშობა და გავრცელება 151

თავი 8 – კულტურული ჰომოგენიზაციის ხანა (ისლამური პერიოდი)

ისლამის წარმოშობა 156
ისლამის გავრცელება: არაბთა დაპყრობები 160
სახალიფოს აღმასვლა და დაცემა 164
სელჩუკიანი თიურქები 167
მუსლიმები და ქრისტიანები:
შეხლა და თანაცხოვრება 170
მონღოლები 172

თავი 9 – გეოპოლიტიკა რეგიონში XVI საუკუნიდან პირველ მსოფლიო ომამდე

ოსმალეთი: სახელმწიფო და გეოპოლიტიკა 174
სპარსეთი: სახელმწიფო და გეოპოლიტიკა 190

რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკა რეგიონში 198
დასავლეთ ევროპის ქვეყნების გეოპოლიტიკა რეგიონში 204

თავი 10 – მსოფლიო ომები და ახლო აღმოსავლეთი: თანამედროვე პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბება

პირველი მსოფლიო ომის მონაწილე
სახელმწიფოების ინტერესები რეგიონში 215
დიპლომატია და ტერიტორია:
მაკმაჰონ-ჰუსაინი, საიქს-პიკო, ბალფური 218
ცვლილებები რეგიონის პოლიტიკურ რუკაზე ომთაშორის პერიოდში .. 226
მეორე მსოფლიო ომის შედეგები რეგიონში 241

ნაწილი IV – ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფია

თავი 11 – სახელმწიფო და საზოგადოება ახლო აღმოსავლეთში

სახელმწიფო: იდეა და რეალობა 247
სახელმწიფო საზღვრები 252
სახელმწიფო: სახელი და სიმბოლიკა 256
სამხედრო ბალანსი 260
„მესამე სამყაროს“ საზოგადოება 270

თავი 12 – რეგიონის პოლიტიკურ-გეოგრაფიული პრობლემები

ზესახელმწიფოთა ცვალებადი გეოპოლიტიკა 274
ამერიკა ახლო აღმოსავლეთში: ნავთობი, ისრაელი და სხვა ქვეყნები 281
თურქეთი: გეოპოლიტიკური ძვრიდან
რეგიონული ლიდერის როლისაკენ 290
ირანი: რთული განვითარება და პრობლემები
მსოფლიოსთან ურთიერთობაში 300
კვიპროსი: გაყოფილი კუნძული 304
ქურთები რეგიონულ გეოპოლიტიკაში 307
ერაყი ომებში 314
ეგვიპტე და სირია: პოლიტიკურ-გეოგრაფიული
მსგავსება და განსხვავება 325
საუდის არაბეთი: განვითარების ახალი სტადიის მიჯნასთან? 332
სხვა არაბული ქვეყნები: მყიფე წონასწორობა 335

თავი 13 – რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და „არაბული გაზაფხული“

ეკონომიკური პრობლემების გეოგრაფიული სხვაობები 340
მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის პრობლემები 347
„არაბული გაზაფხული“: მიზეზები და პერსპექტივა 356

ნაწილი V – რეგიონის ცენტრალური პრობლემა:
„ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი“

თავი 14 – ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წანამძღვრები

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის არსისათვის 369
ებრაული სახელმწიფოს წინაისტორია 372
სიონიზმის წარმოშობა და პირველი წარმატებები 375

თავი 15 – პალესტინის გაყოფის გეგმები და შედეგები

პალესტინის გაყოფის მიზეზი 379
პალესტინის გაყოფის ბრიტანული გეგმები 380
პალესტინის გაყოფის გეგმა გაეროს მიხედვით 383
პალესტინის ტერიტორიის ფაქტობრივი გაყოფა 385
„ექვსდღიანი ომის“ პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები 387
„იომ-ქიფურის ომის“ გეოპოლიტიკური შედეგები 392

თავი 16 – კონფლიქტის მოუგვარებლობის ელემენტები:
ტერიტორია, საზღვრები და „დემოგრაფიული მეტოქეობა“

ტერიტორიული მოუგვარებლობა და საზღვრები 395
მოსახლეობის დინამიკა 401
პალესტინელი ლტოლვილები 407
ებრაული ახალშენები 410

თავი 17 – წმინდა ადგილის როლი პოლიტიკაში
(იერუსალიმის მაგალითზე)

წმინდა ადგილები ახლო აღმოსავლეთში 416
იერუსალიმი და იუდაიზმი 420
იერუსალიმი და ქრისტიანობა 422
იერუსალიმი და ისლამი 425
წმინდა ადგილი და პოლიტიკა 426
ბოლოსიტყვა 430

ტერმინების განმარტება
(ტექსტში *-ით აღნიშნული სიტყვებისათვის) 431
ლიტერატურის სიაში და ციტირებისას
გამოყენებული შემოკლებები 434
გამოყენებული ლიტერატურის სია 435
საძიებელი 443

ნახაზების სია

1.1 ძირითადი გეოგრაფიული ორიენტირები ახლო აღმოსავლეთში (გვ. 33)

1.2 ახლო აღმოსავლეთის ზოგადი პოლიტიკური რუკა (გვ. 47)

2.1 ნავთობის ბუდობები და ძირითადი ნავთობსადენები ახლო აღმოსავლეთში (გვ. 58)

8.1 არაბული სახალიფოს ექსპანსია VII-IX საუკუნეებში (გვ. 162)

9.1 ოსმალეთი ახლო აღმოსავლეთში (1570-იანი წლები) (გვ. 176)

9.2 ოსმალეთისა და სპარსეთის ბრძოლის ველი და სადავო ტერიტორიები XVI-XVIII საუკუნეებში (გვ. 178)

9.3 სპარსეთის დედაქალაქები XVI-XVIII საუკუნეებში (გვ. 192)

9.4 სპარსეთის გაყოფა გავლენის სფეროებად რუსეთის იმპერიისა და დიდი ბრიტანეთის 1907 წლის ხელშეკრულების თანახმად (გვ. 197)

10.1 ოსმალეთის მემკვიდრეობის დანაწილების გეგმა საიქს-პიკოს შეთანხმების (1916 წ.) თანახმად (გვ. 222)

10.2 ერაყის ეთნო-რელიგიური ჯგუფების ტრადიციული განსახლების არეალები (გვ. 233)

10.3 თურქეთის დანაწევრების გეგმა 1920 წლის სევრის ხელშეკრულების თანახმად (გვ. 237)

10.4. ცვლილებები ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკაზე XX საუკუნის განმავლობაში (გვ. 243)

12.1 1974 წლიდან გაყოფილი კვიპროსი (გვ. 305)

12.2 ქურთების გავრცელების ძირითადი არეალი (გვ. 308)

12.3 ერაყისა და ქუვეითის მოსაზღვრე რაიონები (გვ. 317)

15.1 ლორდ პილის კომისიისა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მომზადებული პალესტინის გაყოფის რეკომენდაციები (გვ. 381)

15.2 იერუსალიმის საქალაქო საზღვრების ცვლილებები 1917-1967 წლებში (გვ. 389)

15.3 ისრაელის ტერიტორიული გაფართოება 1948-49 და 1967 წლებში (გვ. 391)

16.1 ებრაული დასახლებები პალესტინაში 1917 და 1947 წლებში (გვ. 401)

16.2 ებრაული ახალშენები „დასავლეთ ნაპირზე“ და „უშიშროების ღობის“ პერიმეტრი (გვ. 414)

ცხრილების სია

1.1. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ფართობი (გვ. 46)

2.2. ნავთობის მარაგი, მისი წილი მსოფლიო მარაგში და მოპოვება (გვ. 53)

2.3. გაზის მარაგი, მისი წილი მსოფლიო მარაგში და მოპოვება (გვ. 61)

2.1. სახნავ-სათესი, მრავალწლიანი ნარგავები და სარწყავი მიწა (წილი ქვეყნის მთელ ფართობში) (გვ. 63)

2.4. განახლებადი წყლის რესურსები და მათი მოხმარება ახლო აღმოსავლეთის რიგ ქვეყანაში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე (გვ. 68)

3.1. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობა (გვ. 80)

4.1. ქრისტიანული მოსახლეობა რეგიონის ქვეყნებში (2011 წლის შეფასებით) (გვ. 106)

5.1. თურქეთის ქართველურენოვანი მოსახლეობა (მოსახლეობის აღწერების მიხედვით) (გვ. 124)

11.1. ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო ბალანსი (გვ. 263)

13.1 რეგიონის ქვეყნების რეალური მშპ-ის წლიური ზრდის დინამიკა 1993-2012 წლებში (გვ. 343)

13.2 ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნების რიგითი ადგილი მსოფლიოს ქვეყნებს შორის დემოკრატიის განვითარების, კორუფციის დონისა და მასმედიის თავისუფლების მიხედვით და მშპ/ერთ მცხოვრებზე (მსყიდველობითი უნარის პარიტეტით) (გვ. 352)

16.1. ისრაელის მოსახლეობა რელიგიების მიხედვით (გვ. 403)

16.2. პალესტინელი ლტოლვილები ახლო აღმოსავლეთში (გვ. 410)

წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის

წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ განვლილი რვა წლისა და მეორე გამოცემის შემდეგ – სულ სამი წლის – მანძილზე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ გეოგრაფიაში თითქოს დიდი ძვრები არ მომხდარა – საზღვრები არ შეცვლილა, პრობლემები და ტენდენციები, რომლებიც უკვე აისახა წიგნის წინა გამოცემებში, იგივეა. იქვე რჩება რეგიონის დღემდე გადაუწყვეტელი, უმნიშვნელოვანესი კონფლიქტი ისრაელსა და პალესტინას შორის.

მაგრამ რეგიონში განუწყვეტლივ ხდება პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც ბოლო ხანებში ტენდენციის სახეს ღებულობს. 2011 წელს დაწყებული „არაბული გაზაფხული" – სახალხო რევოლუციები რამდენიმე ქვეყანაში, თუნდაც ჯერ დაუმთავრებელი, განსაკუთრებულ ყურადღებასა და წიგნის ახალ გამოცემაში ასახვას იმსახურებს.

თუ წიგნის მეორე გამოცემა დიდად არ განსხვავდებოდა პირველისაგან (განახლდა მხოლოდ სტატისტიკა), მესამე გამოცემისათვის წიგნის ყველა თავში შეტანილია, ზოგიერთ შემთხვევაში – არსებითი, ცვლილებები. წიგნის სტრუქტურაც ერთგვარად განსხვავდება წინა გამოცემებისაგან: დაიწერა ახალი თავი და ქვეთავები, ზოგი ქვეთავი გადაადგილდა ან ნაწილობრივ შეეცვალა შინაარსი და სათაური, მთლიანად განახლდა სტატისტიკური ინფორმაცია, დაემატა კარტოსქემები და ცხრილები.

ავტორი
31 აგვისტო, 2011

შესავალი

კარგა ხნის წინათ ახლო აღმოსავლეთის შესახებ ერთი წიგნი გამოვაქვეყნე [გაჩეჩილაძე, 1977]. როდესაც იმ წიგნს ვწერდი, ვცდილობდი შედარებით შორს მიმავალ ტენდენციებზე გამემახვილებინა ყურადღება და არა მიმდინარე დეტალებზე, რათა გამეხანგრძლივებინა წიგნის სიცოცხლე. იმდროინდელი საბჭოთა საგამომცემლო პრაქტიკა თითქმის გამორიცხავდა ამ ტიპის ნაშრომის ხელახალ პუბლიკაციას. ამიტომაც ჩემი მომდევნო წიგნი ახლო აღმოსავლეთის შესახებ მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს გამოვიდა.

ახლო აღმოსავლეთში დიდი ცვლილებები ხდება (და კიდევ მეტს მოველით!). 1970-იანი წლების შუაგულში, როდესაც რეგიონის შესახებ პირველ წიგნს ვწერდი, ეგვიპტის პრეზიდენტი *ანვარ სადათი* ჯერ არ ჩასულიყო იერუსალიმში (ეს 1977 წელს მოხდა) და რომელიმე არაბულ ქვეყანასთან ისრაელის ურთიერთობათა ნორმალიზაციას ვერავინ ივარაუდებდა. მაშინ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა ვერც ისლამურ რევოლუციას ირანში 1979 წელს, ვერც სახალხო რევოლუციას – ეგვიპტეში – 2011 წელს; ამერიკისა და „ანტიტერორისტული კოალიციის" ჯარების შეჭრას ერაყში და სამხედრო ოპერაციებში საქართველოს არმიის მონაწილეობას იმხანად ვერავინ წარმოიდგენდა. საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტრებიც კი იმ დროს ვერც იოცნებებდნენ მის გაქრობაზე მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან. ამ უკანასკნელმა მოვლენამ კი შეუქცევადი გავლენა იქონია მთელი მსოფლიოს, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის, პოლიტიკურ გეოგრაფიაზე.

1991 წლის ბოლოს მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფოს საბოლოო დაშლამ შეცვალა რეგიონის გეოპოლიტიკა. პირველად შუა საუკუნეების შემდეგ აღდგენა დაიწყო თურქეთისა და ირანის, როგორც *რეგიონული ზესახელმწიფოების*, ფაქტობრივმა სტატუსმა: ისინი ხელახლა გამოჩნდნენ იმ სივრცეში, მათ შორის სამხრეთ კავკასიაშიც, სადაც მათ ორი საუკუნე არავინ აჭაჭანებდა. 1990-იანი წლების მიჯნიდან ისრაელმა შეიძინა ერთი მილიონი ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, რომელთაც მკვეთრად გაზარდეს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი.

XXI საუკუნის დამდეგმა სერიოზული ცვლილებები მოუტანა რეგიონს. ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ, რომლის შთამაგონებლები და შემსრულებლები წარმოშობით ახლო აღმოსავლეთიდან იყვნენ, ამერიკამ თავის მოკავშირეებთან ერთად ანტიტერორისტული ოპერაცია წამოიწყო ავღანეთში. 2003 წელს ამერიკის ხელმძღვანელობით შექმნილი კოალიციის მიერ ერაყში დაწყებულმა ომმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო გეოპოლიტიკასა და რეგიონის პოლიტიკურ გეოგრაფიაზე.

2010 წლის ბოლოს თუნისში დაწყებული „არაბული რევოლუცია" უკვე

2011 წლის დამდეგს *ეგვიპტეს, იემენს, ლიბიას, სირიას* „გადაედო". დიდი პოლიტიკური რყევები განიცადეს *იორდანიამ, ბაჰრეინმა*. სერიოზული ცვლილებებია *პალესტინის* პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველო ხელახლა იქცა მსოფლიო პოლიტიკის დამოუკიდებელ სუბიექტად, საკუთარი ინტერესებით ახლო აღმოსავლეთში.

ცვლილებათა ეს სპექტრი მოითხოვს რეგიონის ახლებურ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ გააზრებას, რისი ცდაც მოცემულია ამ წიგნში.

საქართველოსათვის ახლო აღმოსავლეთი ძველი მეზობელია, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად საქართველოც ამ რეგიონს განეკუთვნებოდა (იხ. ქვემოთ), აქედან გამომდინარე ყველანაირი – დადებითი თუ უარყოფითი – შედეგით.

ჩვენი სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოები მუსლიმურ ქვეყნებთან დაკავშირებით მოსწავლეების (მომავალში ისინი შექმნიან საზოგადოებრივ აზრს!) ყურადღებას ამახვილებენ შემოსევებსა და ომებზე. ასეთი რამ მართლაც ხშირად ყოფილა. მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ყოველთვის არ იყო კონფლიქტური ხასიათისა. არსებობდა თანამშრომლობის მრავალი მაგალითიც. ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან *თითქმის* ყოველთვის უფრო მჭიდროა, ვიდრე შორს მდებარესთან.

ისტორიულად სწორედ ამ რეგიონიდან შემოდიოდა ჩვენში პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული გავლენები, რომელთა მხოლოდ უარყოფითად შეფასება ძალიან ცალმხრივი მიდგომა იქნებოდა.

ცალმხრივობა მხოლოდ ჩვენი სენი არაა. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი *ედვარდ საიდი* თავის წიგნში „*ორიენტალიზმი*" [Said, 1978] ხაზს უსვამდა, რომ დასავლეთში არსებობს ყალბი წარმოდგენა ახლო აღმოსავლეთის შესახებ, დამყარებული ცრურწმენებზე და წინასწარაღებულ აზრზე, რომ აღმოსავლეთი არ იცვლება და ის „უმდაბლესია". სხვაგან ის წერდა, „*რამდენადაც ეს შეერთებულ შტატებს ეხება, ოდნავი გადაჭარბება იქნება თუ ვიტყვი, რომ მუსლიმები და არაბები იქ არსებითად აღიქმებიან ან როგორც ნავთობის მომწოდებლები ან როგორც პოტენციური ტერორისტები*" [Said, 1980].

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია მცდელობა დავძლიოთ ცალმხრივობა და მეზობლების შესახებ შეძლებისდაგვარად ობიექტური ინფორმაცია ვიქონიოთ.

ტერმინები „ახლო" და „შუა" აღმოსავლეთი

ის, რომ ტერმინი „აღმოსავლეთი" უცხო არ იყო შუა საუკუნეების ქართველობისთვის, დასტურდება მრავალი ისტორიული ცნობით. ივანე ჯავახიშვილს ციტირებული აქვს კაცხის მონასტრის წარწერა, სადაც ბაგრატ IV მოხსენიებულია „*მეფედ აფხაზთა, ქართველთა და რანთა და კახთა და აღმოსავლეთისა დიდ კურაპალატად*" [ჯავახიშვილი, 1983, 164]. მსგავსი

ისტორიული დოკუმენტი მრავლადაა. *აღმოსავლეთის* (სადაც ბიზანტიის პოზიციიდან *ივერებიც*, ანუ ჩვენც, ვიყავით) საპირისპიროდ, *დასავლეთად* კონსტანტინოპოლი აღიქმებოდა.

„ახლო აღმოსავლეთი" დამკვიდრებულია ჩვენს ენციკლოპედიაში [ქსე, 2, 1977]. პარალელურად ქართველი ისტორიკოსები ხშირად მოიხსენიებენ რეგიონს **„მახლობელ აღმოსავლეთად"**.

საქართველოს მხრიდან თუ შევხედავთ ახლო აღმოსავლეთს, ერთგვარ გეოგრაფიულ ალოგიკურობას შევნიშნავთ: ჩვენთვის ეს რეგიონი „ახლო სამხრეთია", ხოლო თურქეთი – სულაც „ახლო სამხრეთ-დასავლეთი".

აშკარაა, რომ ტერმინი „ახლო აღმოსავლეთი" ევროპოცენტრული პოზიციიდანაა შექმნილი. XIX საუკუნის ლონდონისა და პარიზის კაბინეტებიდან „აღმოსავლეთად", უპირველეს ყოვლისა, მოჩანდა ოსმალეთის იმპერია (რომელიც იმ დროს ბალკანეთის საგრძნობ ნაწილსაც ფლობდა) და აზიის დანარჩენი ტერიტორია. „აღმოსავლეთმა" აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე რამდენიმე კულტურული რეგიონის გამაერთიანებელი ტერმინის ფუნქცია შეიძინა.

ჩინეთისა და იაპონიის ბაზრების ევროპელებისათვის გახსნის შემდეგ, „შორეული აღმოსავლეთის" ქვეყნებისაგან განსასხვავებლად, გაჩნდა ტერმინი „ახლო აღმოსავლეთი", ის რუსეთშიც დამკვიდრდა, მას ოსმალები და სპარსელებიც იყენებდნენ. ეს რეგიონი დაახლოებით ემთხვეოდა ისლამური სამყაროს ბირთვს.

ევროპულ უნივერსიტეტებში *აღმოსავლეთმცოდნეობა*, ანუ *ორიენტალისტიკა*, რესპექტაბელურ სამეცნიერო დისციპლინად იქცა, მაგრამ იგი იმდენად მრავალწახნაგოვანი გახდა (ის მოიცავდა ლინგვისტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ეკონომიკას და ა.შ.), რომ ერთიანობას მხოლოდ საერთო საკვლევი სივრცე – „აღმოსავლეთი" – უნარჩუნებდა.

„აღმოსავლეთის საკითხი" თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გულისხმობდა ბალკანური ნაციონალიზმისა (ბალკანეთის დიდი ნაწილი იმ დროს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო) და ევროპის ზესახელმწიფოების ტერიტორიული ამბიციების დაკმაყოფილებას *„ოსმალეთის იმპერიის სრული დანგრევის გარეშე, ანდა, თუ ეს დანგრევა გარდაუვალი გახდებოდა, ოსმალეთის ისე დანაწილებას, რომ მას არ მოჰყოლოდა საყოველთაო ომი"* [Zürcher, 1993, 40]. იმავე პერიოდში „აღმოსავლეთის საკითხი", დიპლომატიურ ჟარგონზე, გადაიქცა „შავი ზღვის სრუტეებისათვის მეტოქეობის" ევფემიზმად: სრუტეებს ოსმალეთის იმპერია ფლობდა, მაგრამ მათ ედავებოდა „თბილი ზღვებისაკენ" აგრესიულად მისწრაფებული რუსეთის იმპერია. ამის გამო ევროპის სხვა ზესახელმწიფოებს, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთს, სერიოზული საბაბი უჩნდებოდათ დაეცვათ ოსმალეთის ტერიტორიული მთლიანობა, ბუნებრივია, თავისთვის სარგებლის მიღებასთან ერთად: ამის მაგალითია კვიპროსის ფაქტობრივი ანექსია დიდი ბრიტანეთის მიერ 1878 წელს.

რაც შეეხება ევროპულ და ამერიკულ ინგლისურენოვან ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტერმინ **„შუა აღმოსავლეთს"** (The Middle East), ის პირველად გაჩნდა XIX საუკუნის მიწურულს და მას უკავშირებენ ამერიკელი ადმირა-

ლისა და სამხედრო ისტორიკოსის *ალფრედ მეჰანის* (Alfred Thayer Mahan) სახელს, რომელმაც ის გამოიყენა სპარსეთის ყურის მიმდებარე რეგიონის აღსანიშნავად, მაგრამ ზუსტი საზღვრების მოხაზვის გარეშე [Anderson, 2001, 12]. ცნობილი ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნე *ბერნარდ ლიუისი* მიიჩნევს, რომ *მეჰანი* ამ ტერმინით აღნიშნავდა სივრცეს არაბეთიდან ინდოეთამდე [Lewis, 1989].

1939 წლამდე გეოგრაფები ვერ შეთანხმდნენ, თუ რა მიეჩნიათ „ახლო" და რა – „შუა აღმოსავლეთად": ამ უკანასკნელში ხშირად განიხილავდნენ ირანსა და ავღანეთს. გეოგრაფები კამათობდნენ იმაზე, შეეტანათ თუ არა *შუა აღმოსავლეთში* ერაყი და არაბეთის ნახევარკუნძული. მაგრამ ის, რომ თურქეთი, სირია, ლიბანი, პალესტინა, ტრანსიორდანია, ეგვიპტე *ახლო აღმოსავლეთია* – მათ ეჭვს არ იწვევდა.

მეორე მსოფლიო ომმა ამ თეორიულ, მაგრამ პრაქტიკულად ფუჭ, კამათს ბოლო მოუღო: გენერალურ შტაბებში საჭირო იყო საომარი თეატრის მკაფიო განსაზღვრა. ბრიტანულმა სარდლობამ დიდი მსჯელობის გარეშე სასწრაფოდ დაამტკიცა ტრიპოლიტანიიდან (თანამედროვე ლიბია) ირანამდე გადაჭიმული საომარი თეატრის სახელად „შუა აღმოსავლეთი" (The Middle East) [Fisher, 1966, 1-2]. ომის პირობებში პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნას და ამ რეგიონში დიდი სამხედრო ბაზების შექმნას მოჰყვა ბრიტანული (შემდგომში ბრიტანულ-ამერიკული) *„შუა აღმოსავლეთის მომარაგების ცენტრის"* (The Middle East Supply Centre) ჩამოყალიბება. ომის ექვსივე წლის განმავლობაში ამ სახელს იმდენად ინტენსიურად იყენებდნენ, რომ „შუა აღმოსავლეთი" დამკვიდრდა, როგორც რეგიონის ერთადერთი აღნიშვნა.

ლონდონში მდებარე ერთ-ერთი უძველესი და პატივცემული სამეცნიერო ცენტრი – *სამეფო გეოგრაფიული საზოგადოება* – ომის შემდეგ სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამდა რეგიონის ასეთი დასახელების გამო და კარგად ასაბუთებდა მის ალოგიკურობას. მართლაც, თუკი დავუშვებთ, რომ თურქეთი დასავლეთ ევროპიდან „შუა აღმოსავლეთად" მოჩანს, მაშინ ამ ლოგიკით „ახლო აღმოსავლეთი" ბალკანეთი უნდა იყოს.

ტერმინ „შუა აღმოსავლეთს", შესაძლოა, ბუნებრივი სიკვდილით დაესრულებინა არსებობა ევროპული გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ ის, მცირე ყოყმანის შემდეგ, საყოველთაოდ დაამკვიდრეს ამერიკულმა პრესამ და პოლიტოლოგებმა, რომლებისთვისაც მის ულოგიკობას, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა: ვაშინგტონიდან დასავლეთ ევროპაც კი აღმოსავლეთია, თანაც მისთვის ყველაზე ახლო!

ამასთან, ამერიკაში ხანდახან მაინც იყენებენ ტერმინ „ახლო აღმოსავლეთსაც", როგორც „შუა აღმოსავლეთის" სინონიმს.

ტერმინ „შუა აღმოსავლეთს" თანდათან შეეგუვნენ თვით რეგიონის ქვეყნებშიც. ზოგიერთი არაბი მეცნიერი მთელ რეგიონს (ირანისა და თურქეთის გარეშე) *არაბული სახელმწიფოების ეროვნულ სისტემად* მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ ტერმინი „შუა აღმოსავლეთი" თვითნებურად შემოიტანეს *„დასავლეთის იმპერიალისტებმა, რათა დაეკანონებინათ ისრაელის არსებობა არაბული სამშობლოს შუაგულში"* [Sela, 1999, 1].

საერთოდ, გეოგრაფიული ტერმინები საკმაოდ „გადამდებია“ და ინერციული. მაგალითად, რუსული „Закавказье“-დანაა (იმიერკავკასია) მიღებული ევროპული ენების *„Transcaucasus“* ვარიაციებითურთ. სპარსულადაც ამ რეგიონს *maveran-e kafkas* („კავკასიონის გაღმა“) ჰქვია, თუმცა თეირანისათვის, მოსკოვიდან ხედის საპირისპიროდ, ამიერკავკასია კავკასიონის გამოღმა მხარეა. ბოლო ხანებში ევროპულ და ქართულ მეცნიერებაში ჩვენს რეგიონს დაუმკვიდრდა უფრო ზუსტი სახელწოდება – „სამხრეთ კავკასია“, რომელიც პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით უფრო ზუსტია და მოიცავს დამოუკიდებელ სახელმწიფოებს – აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს. მაგრამ რუსეთში ისევ ტერმინ „Закавказье“-ს იყენებენ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი „ახლო/მახლობელი აღმოსავლეთი“, შესაძლოა, მთლად ზუსტი არაა, მაგრამ მისი შეცვლა კიდევ უფრო არაზუსტი ტერმინით – „შუა აღმოსავლეთით“ – გამართლებული არ იქნებოდა. ასე რომ, ისევ ტრადიციული ტერმინის – „ახლო აღმოსავლეთის“ – შენარჩუნება გვიხდება!

სად მდებარეობს საქართველო – ახლო აღმოსავლეთსა თუ ევროპაში?

აქ ჩვენ დამოუკიდებლობის ეპოქის ერთ საინტერესო კითხვასთან მივედით (ადრე, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, ის ნაკლებად გვღრღნიდა) – **სად მდებარეობს საქართველო: არის ის აღმოსავლეთ ევროპის ნაწილი თუ დასავლეთ აზიის, ანუ ახლო აღმოსავლეთის, ნაწილია?** „კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასის“ შემდგენლები განიხილავენ ხუთ სხვადასხვა ვერსიას – ჰეროდოტედან ჩვენს ეპოქამდე [რადვანი, ბერუჩაშვილი, 2011].

საქართველოს მდებარეობის შესახებ წინა საუკუნის დასასრულს ერთი მოხსენება გავაკეთე, მაგრამ არა მგონია ის ჩემი თანამემამულეებისათვის იყოს ცნობილი (წავიკითხე ერთ კონფერენციაზე პოლონეთში [Gachechiladze, 1998]). ამიტომაც გავიმეორებ ადრე გამოთქმულ აზრს, მომდევნო წლების მოვლენების გათვალისწინებით გაკეთებული მოდიფიკაციით.

ფიზიკური გეოგრაფიის პოზიციიდან, რამდენადაც პატარა ევროპა შეზრდილია გიგანტურ აზიასთან, მათ შორის საზღვრის დადგენა მხოლოდ მეცნიერთა ურთიერთშეთანხმებით თუა შესაძლებელი. მაგალითად, ევროპის აღმოსავლეთი ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვარი – ურალის ქედი და მდინარე ურალი – პირობითაა დადგენილი. მაგრამ ის ახლა საყოველთაოდაა მიღებული. უფრო ძნელი აღმოჩნდა ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის დადგენა. ყველაზე გავრცელებული ვერსიით საზღვარი აზიასა და ევროპას შორის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე გაჰყავთ. ამ ვერსიით სამხრეთ კავკასია აზიას მიეკუთვნება, ხოლო ჩრდილო კავკასია – ევროპას.

მაგრამ კულტურული ან პოლიტიკური გეოგრაფიისათვის ფიზიკურ-

გეოგრაფიული საზღვრის გამოყენება სულაც არ არის აუცილებელი. თუკი ასეთ საზღვარს უნივერსალურად მივიჩნევთ და მას, მაგალითად, კულტურულ გეოგრაფიაზეც განვავრცობთ, მისი ლოგიკით უნდა დავუშვათ, რომ ჩეჩნები, ყალმუხები, ნოღაელები, დაღესტნელები, აგრეთვე მოხევეები, პირიქითელი ხევსურები და წოვა-თუშები თბილისელებზე უფრო მეტად არიან ევროპელები, რადგან ყველა ისინი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით ცხოვრობენ. რასაკვირველია, ასეთი რამ, სულ ცოტა, გაკვირვებას გამოიწვევს!

ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, საქართველო დასავლეთ აზიას უფრო განეკუთვნებოდა, ვიდრე ევროპას. გვინდა თუ არ გვინდა, წარსული მთელ სამხრეთ კავკასიას ახლო აღმოსავლეთისაკენ ეწევა. იქ იყო ჩვენი კავშირები ათასწლეულების განმავლობაში. სხვათა შორის, ბიზანტიაც არანაკლებ განეკუთვნებოდა [დასავლეთ] აზიას, ვიდრე ევროპას.

სულ ორი საუკუნის წინ სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოეთიდან შემოაბიჯა „ერზაც-ევროპამ" – რუსეთმა: ახლა ის ამჯობინებს, რომ *ევრაზიად* მიიჩნიონ, XIX საუკუნეში კი მხოლოდ ევროპულ კულტურტრეგერობას იჩემებდა. მაგრამ რუსეთის იმპერიაშიც მთელ ამიერკავკასიას „აღმოსავლეთად", ანუ „აზიად" აღიქვამდნენ. ის კი არა, ბოლშევიკებიც ასე მიიჩნევდნენ: თბილისში გამომავალ რუსულენოვან კომუნისტურ გაზეთს „აღმოსავლეთის ცისკარი" (*Заря Востока*) დაარქვეს.

მაგრამ არც ისტორიულ-გეოგრაფიული მიდგომაა საბოლოო განმსაზღვრელი დღევანდელობისათვის.

კულტურული გეოგრაფიის კუთხიდან *ევროპას* უფრო ხშირად განიხილავენ, როგორც მსგავსი კულტურული ფასეულობების შემაკავშირებელ იდეას [Heffernan, 1998]. მაგალითად, ევროპა ძალიან ყოყმანობს თავის რიგებში თურქეთის მიღებაზე, რადგან იქ (განსაკუთრებით, სტამბოლიდან აღმოსავლეთით) ევროპისაგან განსხვავებული კულტურული ფასეულობები დომინირებს (თუმცა, ევროპის ლიდერთა თავშეკავებას სხვა მიზეზებიც აქვს, რაზეც მე-12 თავში მიწერია). ამ ფასეულობების თვალსაზრისით, საქართველო უფროა ევროპასთან ახლოს, ვიდრე თურქეთი. დაკვირვებული უცხოელი, რომელიც საქართველოში პირველად ჩამოდის, თვალნათლივ ამჩნევს ჩვენი ქვეყნის კულტურულ განსხვავებულობას ირანის ან თურქეთისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვაობაზე, მაგალითად, საუდის არაბეთსა და საქართველოს შორის. ქართველების უმრავლესობას მტკიცედ გვჯერა ჩვენი ევროპელობისა სწორედ კულტურულ-გეოგრაფიული პოზიციიდან გამომდინარე: ჩვენ ხომ ქრისტიანული სამყაროს ორგანული ნაწილი ვართ აგერ თითქმის 17 საუკუნეა, სამხრეთ კავკასიელებში გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს განლაგებული ევროპასთან და ღია მისი კულტურული გავლენისათვის.

ჩვენ შეგვიძლია ისეთი ავტორიტეტიც დავიმოწმოთ, როგორიც იყო *ვოლტერი.* ამერიკელი მეცნიერის, *ლერი უოლფის* სიტყვებით, „*როდესაც 1770 წელს* [ვოლტერი] *რუსეთის თვითმპყრობელ ეკატერინე II-ს სწერდა: 'თქვენი უდიდებულესობა არმიებს უნდა წარმართავდეს ვალახეთში, პოლონეთში, ბესარაბიაში, საქართველოში; და ამ დროს კი თქვენ პოულობთ დროს*

მომწეროთ!'... [ვოლტერი] აღმოსავლეთ ევროპის გეოგრაფიის სამშენებლო ბლოკებს ანყობდა განათლებული ხალხის გონებრივ რუკაზე" [Wolff, 1994, 195].

გამოდის, რომ უკვე XVIII საუკუნეში საქართველო, ყოველ შემთხვევაში, ვოლტერის მიერ, აღიქმებოდა, ევროპის ბლოკას თუ არა, ერთ აგურად მაინც.

ამასთან, გვერდს ვერ ავუვლით ფაქტს, რომ საქართველოს კულტურულ გეოგრაფიაში ახლო აღმოსავლეთის გავლენა მძლავრად იჩენს თავს.

ეს ყველაზე ნათლად ვლინდება ლექსიკაში (ნასესხობათა ჩამოთვლა გვერდებს წაიღებდა!), მათ შორის იმაშიც, რომელიც ისმის ქართული კულტურისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფენომენის – დროსტარების – დროს (*სუფრა, ქეიფი, ჭაშნიკი, აზარფეშა, ალავერდი, იახშიოლი, არაყი, ულუფა, ლუკმა, მერიქიფე, დუქანი* და *მიკიტანი, ფანდური* და *საზანდარი, ბაღი* და *ბაღჩა, ვარდი* და *ბულბული, დოლი* და *დუდუკი, ტახტი, ხალიჩა, მუთაქა*, და ა.შ.), სამზარეულოშიც (*ბოზბაში, ჩიხირთმა, ხაშლამა, ბუღლამა, ბასტურმა, ტოლმა, ქაბაბი, ჩანახი, აჩმა, ხაში, თათარიახნი, გოზინაყი, ფელამუში* და ა. შ.), დროსტარების ანგარიშსწორებისას (*ფული*, დიალექტში – *ფარა, თუმანი, მანეთი, აბაზი, შაური, ხურდა* და *ა. შ.*). ყველა ეს სიტყვა სპარსულ-არაბულ-თიურქული[1] წარმომავლობისაა.

ახლო აღმოსავლეთის ენებიდანაა ნასესხებია ქართულში დამკვიდრებული ისეთი სიტყვები, როგორიცაა *ხალხი, ოჯახი, ქალაქი, ქუჩა, შუკა, ჯანი, საღი, საბუთი, ოქმი, გემი, ტალღა, თოფი, უთო, ელჩი, ბარაქა, ბარაქალა, ვაშა, დროშა, ალამი, ბაირაღი* და მრავალი სხვა. ჩვენი „სალამი" არაბულიდან მოდის, სადაც ის „მშვიდობას"აღნიშნავს. ჟარგონში მტკიცედ დამკვიდრებული „საღოლ!" აზერბაიჯანულიდან შემოვიდა და პირდაპირი მნიშვნელობით არის „კარგად იყავი!" თიურქულ-სპარსულია მეცხოველეობის ჩვენი ტერმინოლოგიის ნაწილი – დოლი, თოხლი, იალაღი, ჩობანი, სარქალი: ძველქართულ სიტყვებს ზოგჯერ ჩაენაცვლა აღმოსავლური, მაგალითად, *ყოჩი* (როდესაც გვაქვს ვერძი), *ბატკანი* (კრავი), *ბუღა* (კურო) და *ა.შ*

ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლისას ჩვენ, ბუნებრივია, უკუვაგდებთ ისეთ აშკარა ბარბარიზმებს (ბევრს ჯერ კიდევ გვახსოვს რუსული!), როგორიცაა *ბალკონი, ფანტანი, ბასეინი, ჩაინიკი, პლაშჩი, ზონტიკი, სუმკა, პოლი, აკოშკა, რამკა, ჩაშკა, ვილკა* და მათ ნაცვლად ვამჯობინებთ ქართულ სიტყვებს *აივანი, შადრევანი, აუზი, ჩაიდანი, ლაბადა, ქოლგა, ჩანთა, იატაკი, ფანჯარა, ჩარჩო, ფინჯანი, ჩანგალი*. სინამდვილეში ყველა ეს სიტყვა ქართულში ასევე სპარსულ-არაბულ-თიურქულიდან შემოვიდა[2].

---

1. „თიურქულ"-ში ვგულისხმობ როგორც საკუთრივ [ანატოლიურ] თურქულ, ისე აზერბაიჯანულ ენებს, რომლებიც ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. ტერმინების „თიურქის" და „თიურქული ენების" შესახებ იხ. მე-5 თავში.

2. ამ, აღმოსავლეთმცოდნისათვის სრულებით უნყინარი, ინფორმაციის პირველად მოსმენა რიგით ქართველში რაღაც შოკისმაგვარს ინვევს ხოლმე. მინდა დავამშვიდო ჩემი თანამემამულეები ანალოგიების მოშველიებით: *რუსულში* ნასესხობანი არანაკლებია და მრავალი სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას ისინი მონღოლურიდან, თათრულიდან, გერმანულიდან და სხვა ენებიდან შესული აღმოჩნდება; *ინგლისური* ენის ლექსიკის ლამის ნახევარი ფრანგული ან ლათინური წარმოშობისაა; *ძველთურქულის* (ოსმალურის) ლექსიკის ოთხ მეხუთედამდე სპარსული ან არაბული წარმოშობისა იყო და თურქული ენის განწმენდის

„აღმოსავლეთი" ვლინდება ხალხურ, განსაკუთრებით ე.წ. ქალაქურ, მუსიკაში და მუსიკალურ ინსტრუმენტებში: დოლისა და ზურნის მეტ-ნაკლებად მსგავსმა მელოდიებმა, რომლებიც მაშჰადიდან კაირომდე ყველგან თან გდევთ, კარგა ხანია შემოაღწია თბილისსა და თელავშიც. აღმოსავლური გავლენა ჩანს ზოგიერთ, თითქოსდა ქართულ ხალხურ, სინამდვილეში კი XX საუკუნეში დადგმულ, ცეკვაშიც კი, მაგალითად, „*ჯეირანსა*" და „*სამაიაში*". „აღმოსავლეთი" იგრძნობა ადამიანთა ქცევის მრავალ დაუწერელ წესსა და ჩვენს სოციალურ მენტალიტეტში. არანაკლები აქვთ ასეთი აღმოსავლური ელემენტი ჩვენს სამხრეთელ მეზობელ სომხებს და კიდევ უფრო მეტი – ჩვენს სამხრეთ-აღმოსავლეთელ მეზობლებს, აზერბაიჯანელებს.

ჩამოყალიბებული *პოლიტიკური კულტურის* თვალსაზრისით (რომლის სივრცობრივ სხვაობებსაც სწავლობს კულტურული გეოგრაფია), ქართველები (და, როგორც ჩანს, სხვა სამხრეთ კავკასიელებიც) ჯერჯერობით ვერ ვაკმაყოფილებთ „ევროპელობის" მკაცრ მოთხოვნებს. ევროპისათვის ლოზუნგი „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ევროპელი" მხოლოდ სურვილია და არა –დასაბუთება! კანონის უზენაესობა, რასაც დასავლური ტიპის სახელმწიფო ეყრდნობა, ყველა ჩვენგანისათვის (მათ შორის უმაღლესი დონის ბევრი პოლიტიკოსისთვისაც) ჯერ არ გამხდარა იმპერატივი. ამის გამოა, რომ ჩვენი ევროპელობისა ზოგიერთ მეგობარსაც ეეჭვება. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგი, საქართველოს საპატიო მოქალაქე *რიჩარდ პაიპსი* საუკუნეთა მიჯნაზე მიიჩნევდა, რომ საქართველოს კი უნდა ევროპის ნაწილი გახდეს, მაგრამ ის მაინც ახლო აღმოსავლეთს განეკუთვნებაო. მისი აზრით, „*ევროპისა და დასავლეთის ცნობიერების ნაწილად საქართველოს გახდომა არარეალურია*" [Пайпс, 2001].

ვფიქრობ, ახალი საუკუნის დამდეგს ბ-ნი *პაიპსი* ზედმეტად კატეგორიული ბრძანდებოდა! მისი კერძო აზრი სულაც არ ნიშნავს, რომ „საქართველოს მარადიული ადგილი ახლო აღმოსავლეთშია". პოლიტიკური კულტურა, რომელიც მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედებს, შეუცვლელი რამ არაა: ის შეიძლება განვითარდეს, განსაკუთრებით, თუკი ერისა და ბერის საერთო მონდომება იქნება.

გადამწყვეტ პასუხს ქვესათაურში დასმულ კითხვაზე პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომა იძლევა.

ამ მიდგომას კი განაპირობებს საერთაშორისო ორგანიზაციების პრაგმატული პოზიცია, რომელთაც პოლიტიკური მიზნები უფრო ამოძრავებთ, ვიდრე მეცნიერული. ამ თვალსაზრისით *ნაკლებ მნიშვნელოვანია* ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის სტატისტიკურ გამოცემებში სამხრეთ კავკასიას, თურქეთთან და კვიპროსთან ერთად, დასავლეთ აზიის რეგიონის, ანუ, ფაქტობრივად, ახლო აღმოსავლეთის შემადგენლობაში განიხილავს.

უფრო მნიშვნელოვანია, რომ თავად ევროპამ ოფიციალურად გვცნო თავის ნაწილად, როდესაც 1999 წელს ევროპის საბჭოს წევრად მიგვიღო.

პროცესმა ეს ნილი, უკეთეს შემთხვევაში, გაამესამედა. მაგრამ არც რუს, არც ინგლისელ და არც თურქ ერს ამის გამო არ განუვითარდა არასრულფასოვნების კომპლექსი. მსოფლიოს თითქმის ყველა ენაში სიტყვათა სესხება და გათავისება ნესია და არა გამონაკლისი. ამით ნებისმიერი ენა მხოლოდ მდიდრდება!

უფრო ადრე ასე მოიქცნენ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები, მაგალითად სოკ-ი, უეფა. 2001 წელს ევროპამ ასევე შეიკედლა კიდევ უფრო სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე სომხეთიცა და აზერბაიჯანიც. ყველა სამხრეთკავკასიელი ევროპელი გახდა! შესაბამისად, ევროპა უნდა მიეჩვიოს აზრს, რომ მდინარე არეზზე (არაქსზე) მას საერთო საზღვარი აქვს ირანთან.

ამრიგად, დღევანდელი პოლიტიკური რეალობებიდან გამომდინარე, საქართველო ევროპის ნაწილია.

თუკი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებს ესაჭიროებათ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მყარი სისტემის არსებობა, ამის ერთერთი გარანტი შეიძლება გახდეს საქართველო. ამისათვის კი აუცილებელია, რომ ისიც ჩაერთოს ევროატლანტიკურ პოლიტიკურ სივრცეში. ევროპამ უნდა აღიქვას საქართველო, როგორც მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომის პრიმატი[1] მაძლევს უფლებას, არ განვიხილო ამ წიგნში საქართველო (და მთელი სამხრეთ კავკასია) თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის შემადგენელ ნაწილად.

მაგრამ, რამდენადაც ისტორიულად ჩვენი რეგიონი ახლო აღმოსავლეთთან უმჭიდროეს კონტაქტში იყო, ტექსტში სამხრეთ კავკასიასთან მრავალგზის შეხება მაინც გარდაუვალი იქნება.

რეგიონის შედგენილობა

ახლო აღმოსავლეთი ძირითადად დასავლეთ აზიაა. მასში შედის *თურქეთი, კვიპროსი, ირანი, სირია, ლიბანი, ერაყი, ქუვეითი, იორდანია, ისრაელი, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, კატარი, გაერთიანებული არაბული საამიროები (გას-ი), ომანი, იემენი, ეგვიპტე.* როგორც ჩანს, არც თუ ძალიან შორეულ მომავალში ამ რიცხვს შეემატება *პალესტინა*: მისი არსებობის უფლება აღიარა საერთაშორისო საზოგადოებამ და, არაპირდაპირ – ისრაელის მთავრობამაც. უპირატესად აფრიკაში მდებარე *ეგვიპტე*, თავისი სინას ნახევარკუნძულის წყალობით, ნაწილობრივ მაინც აზიის სახელმწიფოა. ეგვიპტე ისტორიულადაც უფრო მჭიდრო კავშირში იყო დასავლეთ აზიასთან, ვიდრე დანარჩენ აფრიკასთან. ნაწილობრივ (ფართობის სამი პროცენტით) ევროპაში მდებარე *თურქეთი* უპირატესად დასავლეთ აზიის სახელმწიფოა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მოიცავს იმ ტერიტორიას, რომლის უდიდესი ნაწილიც *პირველი მსოფლიო ომის წინ* შედიოდა მხოლოდ ორი სახელმწიფოს, ოსმალეთისა და სპარსეთის, შემადგენლობაში. XIX საუკუნიდან რეგიონის სამხრეთ სანაპიროებზე ჰქონდა დადებული ხელი ბრიტანეთის იმპერიას: მისი კოლონია იყო *ადენი*, პროტექტორატები – სპარსეთის ყურის დასავლეთ ნაპირზე ან ნაპირთან ახლოს მდებარე – *ქუვეითი, კატარი,*

1. თავის ერთ-ერთ სტატიაში აკად. თამაზ გამყრელიძეც არსებითად პოლიტიკური გეოგრაფიის პოზიციიდან ასაბუთებს, რომ საქართველო და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნები ევროპის უკიდურესად სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილია [გამყრელიძე, 1999].

ბაჰრეინი, შეთანხმებითი ომანი (მომავალი –გაერთიანებული არაბული საამიროები); *ომანი* (*მასკატთან* ერთად) ფორმალურად დამოუკიდებლად ითვლებოდა, მაგრამ ბრიტანეთი იქაც დომინირებდა. დიდი ბრიტანეთი 1882 წლიდან ფაქტობრივად განაგებდა *ეგვიპტეს*, რომელიც ოფიციალურად გამოეყო ოსმალეთის იმპერიას მხოლოდ 1914 წელს, პირველ მსოფლიო ომში ამ უკანასკნელის ჩაბმის შემდეგ. 1878 წლიდან დიდი ბრიტანეთი აკონტროლებდა ნომინალურად ოსმალეთის კუთვნილ *კვიპროსსაც*.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან ვერ გამოვრიცხავთ *თურქეთსა* და *კვიპროსს*. მართალია, ევროპის საბჭო, ეუთო, ფიფა, უეფა ფორმალურად ორივე ქვეყანას ევროპის ნაწილად განიხილავს; კვიპროსის სამხრეთი (ბერძნული) ნაწილი 2004 წელს *ევროპული კავშირის* წევრიც კი გახდა, ხოლო თურქეთს დიდი იმედი აქვს იმავე ორგანიზაციაში შევიდეს. მაგრამ ოსმალეთის იმპერია, თურქეთის რესპუბლიკის უშუალო წინამორბედი, ტერმინ „ახლო აღმოსავლეთის“ წარმოშობის მთავარი მიზეზი გახდა. **ოსმალეთის /თურქეთის გარეშე ახლო აღმოსავლეთის განხილვა შეუძლებელია.** რაც შეეხება კვიპროსს, წიგნში შევეხები მის რთულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ პრობლემას, რომელიც ჯერაც მჭიდროდ აკავშირებს ამ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს თურქეთთან და, ამდენად, ახლო აღმოსავლეთთანაც. პოლიტიკურად გაყოფილი კუნძული *ჯერჯერობით* მაინც ამ რეგიონის ნაწილად მივიჩნიე.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსულ ლიტერატურაში რეგიონის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ *სუდანსაც*[1], რაც ხარკის გადახდაა იმ, უკვე შორეული, ეპოქის ტრადიციისათვის, როდესაც სუდანი ანგლო-ეგვიპტური პროტექტორატი იყო. აქ უფრო ისტორიულ ტრადიციაზე შეიძლება დაყრდნობა: არც ოსმალეთისა და არც სპარსეთის ძალაუფლებას [ჩრდილო] სუდანამდე არ მიუღწევია (XIX საუკუნის ბოლოს ნომინალურად ოსმალეთის ვასალის – ეგვიპტის მმართველის ძალაუფლების გავრცელება სუდანზე ბრიტანეთის ხელდასხმით მოხდა და არ ნიშნავდა იქ სტამბოლის იურისდიქციის დამყარებას). ყველაზე ავტორიტეტული რეგიონული ცნობარების გამომცემელი Europa Publications თავის ყოველწლიურ ცნობარში „შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა“ [MEaNA] სუდანს გვერდს უვლის და განიხილავს მას სხვა რეგიონულ ცნობარში – *„აფრიკა საჰარის სამხრეთით“*.

დასავლეთის ზოგი მეცნიერი „დიდ შუა აღმოსავლეთში“ (The Greater Middle East) სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიასაც კი ათავსებს [Kemp & Harkavy, 1997]. ასეთ მიდგომას მეტი თეორიული დასაბუთება ესაჭიროება, თუკი ის არ არის ნაკარნახევი კონკრეტული სამეცნიერო შრომის მიზნებით.

ალბათ უფრო სწორი იქნებოდა *ყოფილი საბჭოთა შუა აზიის, ყაზახეთის, ავღანეთისა და პაკისტანის* ცალკე რეგიონად განხილვა. ასეც მოიქცა ცნობილი ამერიკული ჟურნალი „National Geographic“-ი [Edwards, 2002, 108-125], როდესაც *„ცენტრალური აზია“* უწოდა შვიდიე *„სტან“*-ს (*ავღანისტანი,*

1. 2011 წლის ივლისიდან იგულისხმება არაბულენოვანი და მუსლიმური [ჩრდილო] სუდანი, რომელიც ცალკე სახელმწიფოდ იქცა მას შემდეგ, რაც მას კანონის დაცვით ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ გამოეყო რასობრივად [შავკანიანები] და რელიგიურად [ქრისტიანები და ანიმისტები] განსხვავებული სამხრეთ სუდანი.

პაკისტანი, ყაზახსტანი, ყირგიზსტანი, ტაჯიკისტანი, თურქმენისტანი, უზბეკისტანი: ქართულად ყველა მათგანს, პაკისტანის გარდა, „ეთი" დაბოლოებით ვიცნობთ). იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მოსაზრებას გეოგრაფები და პოლიტიკოსები გაიზიარებენ, ხოლო სამხრეთ კავკასიას ევროპას მიათვლიან, სადაც ის პოლიტიკურ-გეოგრაფიულად ამჟამად არის კიდეც.

პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა

პოლიტიკური გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, წარმოშობა უკავშირდება გერმანელი გეოგრაფის *ფრიდრიხ რატცელის* სახელს. 1897 წელს მან გამოსცა თავისი ფუძემდებლური ნაშრომი *„პოლიტიკური გეოგრაფია"* [Ratzel, 1897]. ასი წლის შემდეგ რატცელის წიგნის გამოსვლის იუბილე ტრიესტეს (იტალია) უნივერსიტეტში ჩატარებული დიდი საერთაშორისო კონფერენციით აღინიშნა. ამ სტრიქონების ავტორს, რომელსაც წილად ხვდა მოხსენებით გამოსვლა ტრიესტეს კონფერენციაზე, კარგად ახსოვს საყოველთაო აზრი, რომ რატცელის შრომას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამასთან ერთად, პოლიტიკური გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ამოცანები გაფართოვდა და საერთაშორისო პოლიტიკური კულტურაც რატცელის შემდეგ საკმაოდ შეიცვალა.

რატცელმა თავის შრომაში განავითარა სახელმწიფოსა და მისი ქცევის გეოგრაფიული განზომილების იდეა. ძალიან მოკლედ რომ ითქვას, რატცელის ძირითადი დებულების თანახმად, სახელმწიფო ერთიან ორგანიზმს წარმოადგენს და მისი ქცევის სწორი გაგება მხოლოდ ამ ორგანული მთლიანობის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. ეს ორგანიზმი (სახელმწიფო) არამარტო არსებობს გეოგრაფიულ სივრცეში, არამედ თვითონაც ქმნის ამ სივრცეს. სახელმწიფოს სივრცობრივი თვისების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია **ტერიტორია** (Raum) და **მდებარეობა** (Lage) სახელმწიფოს წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ ორი მახასიათებლის ურთიერთქმედებაზე. სახელმწიფოს ძირითად მიზნად, რატცელის მიხედვით, მიჩნეულია **ძლიერების** (Macht) მიღწევა. დინამიკური სახელმწიფოსათვის აუცილებელია ტერიტორიული ექსპანსია, ხოლო მიღწევები ამ მიმართულებით განასხვავებს ერთმანეთისაგან წარმატებულ და წარუმატებელ ქვეყნებს [Parker, 1998].

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რატცელი წერდა იმ ეპოქაში, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობებში იმპერიალიზმი უფრო ნორმა იყო, ვიდრე გამონაკლისი. ბევრი იმდროინდელი კრიტიკოსი რატცელს საყვედურობდა, რომ მან შეადგინა „კატეხიზმო იმპერიალისტებისათვის" [Тихонравов, 2000, 58].

მართლაც, რატცელის იდეები, შესაძლოა, პროტესტს იწვევდეს თანამედროვე, ლიბერალურად მოაზროვნე და საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთგულ საზოგადოებაში. მაგრამ სამწუხარო რეალობაა, რომ დღესაც, საერთაშორისო მასშტაბით, სიმართლე იმის მხარესაა, ვისაც მეტი ძალა

აქვს[1]. ეს განსაკუთრებით კარგად მტკიცდება ახლო აღმოსავლეთში. Realpolitik-ის* თვალსაზრისით, რატცელის მოსაზრებებს სულაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

რატცელის პოლიტიკურ-გეოგრაფიული იდეები მალევე აიტაცა და განავითარა შვედმა პოლიტოლოგმა *რუდოლფ ჩიოლენმა* (Rudolf Kjellen), რომელმაც 1899 წელს პირველმა გამოჭედა ტერმინი *„გეოპოლიტიკა“* [Parker, 1998; გეგეშიძე, 1997].

პოლიტიკური გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის წარმოშობა XIX საუკუნის მიწურულში ძირითადად აიხსნება იმ დროს მიმდინარე ისტორიული პროცესებით. იქამდე მეტ-ნაკლებად სტაბილურ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უკვე ისახებოდა ცვლილებები. ბევრი მეცნიერი გრძნობდა, რომ ევროპასა და მსოფლიოში ინგრევა ის „გეოპოლიტიკური წესრიგი“, რომელიც ნაპოლეონის ომების შემდეგ ჩამოყალიბდა და მოდიფიკაციებითურთ (გერმანიისა და იტალიის გაერთიანება, ბალკანეთში ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა, კოლონიური დაპყრობები აფრიკასა და აზიაში) თითქმის საუკუნე იარსება.

მაგრამ სწორედ ამ მოდიფიკაციებმა, ბოლოს და ბოლოს, დაარღვია მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა ბალანსი. ის, უპირველეს ყოვლისა, შეცვალა გერმანიის იმპერიის სწრაფვამ, შეჭრილიყო მსოფლიო ჰეგემონთა რიგში საკუთარი წონით დამძიმებული ბრიტანეთის უზარმაზარი იმპერიის ხარჯზე. ამის შედეგი იყო პირველი მსოფლიო ომი, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა მკვეთრი გეოპოლიტიკური ძვრა.

პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა დიდი დაღი დააჩნია არა მარტო ევროპას, არამედ ახლო აღმოსავლეთსაც, სადაც ამ ომის დროს და უშუალოდ მის შემდეგ ჩამოყალიბდა სრულიად ახალი პოლიტიკური გეომეტრია, რომელიც მეორე მსოფლიო ომისშემდგომი მოდიფიკაციითურთ (ასეთად იგულისხმება ისრაელის სახელმწიფოს შექმნა 1948 წელს) დღემდე არსებობს. ამჟამად სწორედ ეს უკანასკნელი „პოლიტიკურ-გეოგრაფიული მოდიფიკაცია“ განსაზღვრავს ამ რეგიონისა და, გარკვეული თვალსაზრისით, მსოფლიო გეოპოლიტიკასაც.

ტერმინებს – „პოლიტიკური გეოგრაფია“ და „გეოპოლიტიკა“ – ხშირად იყენებენ როგორც სინონიმებს, თუმცა თითოეულ მათგანს სხვადასხვა დატვირთვა აქვს.

პოლიტიკური გეოგრაფია ჩამოყალიბდა ერთ-ერთ გეოგრაფიულ დისციპლინად, რომელიც ნებისმიერი სახის ძალაუფლების სივრცეში განაწილებას სწავლობს. პოლიტიკურ გეოგრაფიას აინტერესებს პოლიტიკური ძალაუფლების ტერიტორიული შედგენილობა – ძალაუფლების წყაროები, სივრცობრივი ცვლილებები ძალაუფლებაში (მაგალითად, არჩევნების შედეგად) და პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენება ტერიტორიულ ჭრილში.

გეოპოლიტიკა სწავლობს გეოგრაფიულ ფაქტორთა კომპლექსის ზემოქ-

1. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის პრიმატის შესახებ კარგად წერს ალექსანდრე რონდელი [1996, 27-32; 49-53].

მედებას ქვეყნების საგარეო პოლიტიკასა და მსოფლიო პოლიტიკაზე. გეოპოლიტიკა, რომლისთვისაც ჭეშმარიტი საფუძველი გეოგრაფიაა, სახელმწიფოების პოლიტიკას გეოგრაფიულ ფაქტორებს (მდებარეობას, ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს, მოსახლეობის რაოდენობას და დინამიკას, ეკონომიკური განვითარების დონეს და ა.შ.) უკავშირებს. იგი აგრეთვე ითვალისწინებს ქვეყნის მოსახლეობის კულტურულ-ფსიქოლოგიურ („სულის") მდგომარეობასაც:

„გეოპოლიტიკური სივრცის ფორმირება განპირობებულია არა მარტო მკაცრი ობიექტური პირობებითა და ფაქტორებით (ქვეყნების ფართობი, მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-რესურსული, დემოგრაფიული, ეკონომიკური, სამხედრო პოტენციალი და სხვ.), არამედ კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებისა და ერების სულის მდგომარეობითაც" [Колосов и Мироненко, 2001, 11].

იმისათვის, რომ ნათელვყო სხვაობა პოლიტიკურ გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას შორის, შევეცდები მოკლედ ავხსნა ტექსტში ხშირად გამოყენებული, ერთი შეხედვით, ერთისა და იმავეს აღმნიშვნელი ტერმინები **„პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება"** და **„გეოპოლიტიკური ძვრა"**.

პირველი მათგანი აღნიშნავს პოლიტიკურ სივრცეში გამოხატულ ისეთ ცვლილებას, რომელიც ადვილად შეიძლება აისახოს რუკაზე. საკვლევი რეგიონის შემთხვევაში **პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილების** მაგალითებია ოსმალეთის იმპერიის გაფართოება და მისი დაშლა, ორი იემენის გაერთიანება, საზღვრების ცვალებადობა „სამანდატო პალესტინის" ტერიტორიაზე, ცვლილებები ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების განლაგებაში და ა.შ.

ტერმინი გეოპოლიტიკური ძვრა კი აღნიშნავს მკვეთრ ცვლილებას სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, ცვალებადობას პოლიტიკური სივრცის მიმართ დაინტერესებაში. რეგიონის შემთხვევაში *გეოპოლიტიკური ძვრის* მაგალითებია თურქეთის გეოპოლიტიკური ბრუნი ნეიტრალიტეტიდან დასავლეთისაკენ, ეგვიპტის პროსაბჭოთა ვექტორის პროამერიკული ვექტორით შეცვლა და ა.შ.

რასაკვირველია, გეოპოლიტიკური ვითარება შეიძლება საკმაოდ დიდხანს უცვლელი იყოს, მაგრამ ადრე თუ გვიან, **გეოპოლიტიკური ძვრა ყველგან ხდება**. რუკაზე ასეთი ძვრის აღნიშვნაც შეიძლება, თუმცა თავიდან ის ნაკლებ თვალნათელია. ადამიანების ინერციულ აზროვნებას უჭირს იმის აღქმა, რომ გეოპოლიტიკური ძვრა უკვე მოხდა!

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა ძალიან მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან [Taylor, 1993; Painter, 1995; Agnew, 1997]. *ჯო პეინტერი*, მაგალითად, იმასაც კი ამბობს, რომ *„საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას პოლიტიკური გეოგრაფიის ფარგლებში, ჩვეულებრივ, აკერებენ ხოლმე 'გეოპოლიტიკის' იარლიყს"* [Painter, 1995, 139]. ამ თვალსაზრისით, „პოლიტიკური გეოგრაფია" მოიცავს „გეოპოლიტიკასაც". ამდენად, წინამდებარე წიგნში, პოლიტიკურ-გეოგრაფიულთან ერთად, გეოპოლიტიკური საკითხებიცაა განხილული.

პოლიტიკური გეოგრაფიის შესწავლის მნიშვნელოვან ობიექტს წარ-

მოადგენს ტერიტორიული ურთიერთობების ჩამოყალიბება პოლიტიკური ძალაუფლების გზით [O'Loughlin, 1994].

პოლიტიკური ძალაუფლება ეყრდნობა იმ კონკრეტულ, თითქმის ყოველთვის სივრცეში გამოხატულ, ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოს, ერის, ჯგუფის პოლიტიკურ ქცევას. პოლიტიკური გეოგრაფია სათანადო ყურადღებას უთმობს ამ ფაქტორებსაც, რომელთა ერთობლიობასაც, ერთგვარი პირობითობით, **პოლიტიკის გეოგრაფიული ფონი** შეიძლება ეუწოდოთ. სივრცით ასპექტში განხილული ისტორიული, დემოგრაფიული, სოციო-კულტურული, ეკონომიკური ფონის გაუთვალისწინებლად ბევრი პოლიტიკური პრობლემის არსი გაუგებარი შეიძლება დარჩეს.

კვლევის მეთოდების სრული მონოპოლიზაცია მეცნიერების ცალკეული დარგების მიერ შეუძლებელია. პოლიტიკური გეოგრაფია კვლევის გეოგრაფიული მეთოდებით სარგებლობს, მაგრამ მას არ შეუძლია გვერდი აუაროს არაგეოგრაფიულ მეთოდებსაც: სივრცითი მიდგომა არ გულისხმობს მოვლენათა დროში განხილვის უგულებელყოფას. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ წიგნში ხშირად ნახსენები „სივრცე" აქ გაგებულია როგორც გეოგრაფიული სივრცე და არა როგორც კოსმოსი.

წიგნის მიზანი და სტრუქტურა

წიგნი მიზნად ისახავს წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს (რომელიც შეიძლება იყოს ახლო აღმოსავლეთის ისტორიის, დემოგრაფიის, გეოგრაფიის შემსწავლელი სტუდენტი, რეგიონში მომუშავე ახალგაზრდა დიპლომატი, ან ზოგადად საქართველოს მეზობელი რეგიონით დაინტერესებული ადამიანი) ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გეოგრაფიულ თავისებურებებზე.

ეს საჭიროა იმიტომაც, რომ **იმ პრობლემების გაგება, რომლებიც არსებობს რეგიონში და რომლებსაც რეგიონი უქმნის მთელ მსოფლიოს, გეოგრაფიული მიდგომის გარეშე საკმაოდ ძნელია.**

პოლიტიკურ-გეოგრაფიული ახსნა მოითხოვს რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, სოციალურ-კულტურული გარემოს მიმოხილვას, თანამედროვე პოლიტიკური სივრცის შექმნის ისტორიული წანამძღვრების გაშუქებას.

ზემოაღნიშნული მიზნის გათვალისწინებით არის აგებული წინამდებარე წიგნის **ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა** .

წიგნის პირველ ნაწილში განხილულია ის ბუნებრივი გარემო, რომელშიც მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესი. ბუნებრივი რესურსები გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს რეგიონში: ჰიდროკარბონული (ნავთობი და გაზი) და წყლის რესურსების განაწილება წიგნის ამ ნაწილშია მიმოხილული. ბუნებრივი რესურსები, უპირველესად ნავთობი და წყალი, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს

რეგიონში. წიგნის მესამე გამოცემას, წინა გამოცემებისაგან განსხვავებით, ამ ნაწილში დაემატა ქვეთავი ეკონომიკური გეოგრაფიის ზოგიერთ საკითხის შესახებ.

პოლიტიკური გეოგრაფიის გაგება შეუძლებელია მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მახასიათებლების ახსნის გარეშე. ამიტომაც წიგნის მეორე ნაწილში განხილულია სოციალური და კულტურული გეოგრაფიის რამდენიმე ასპექტი. კერძოდ, მიმოხილულია ზოგადი დემოგრაფიული სიტუაცია, მოსახლეობის რელიგიური, ლინგვისტური, ეთნიკური სტრუქტურა და მისი გაელენა პოლიტიკაზე.

მესამე ნაწილს, რომელიც პოლიტიკური გეოგრაფიის ისტორიულ წანამძღვრებს ეხება, არა აქვს ისტორიის გაბმული თხრობის პრეტენზია. ყურადღება გამახვილებულია ისეთ მოვლენებზე, რომლებიც პოლიტიკურ სივრცეში აისახა და სერიოზული გავლენა მოახდინა რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფიის ჩამოყალიბებაზე. მეტი ტექსტი ეთმობა ზოგიერთ კულტურულ-ისტორიულ მოვლენას, მაგალითად, სხვადასხვა ენისა და დამწერლობის გამოყენებას სახელმწიფო დონეზე; რელიგიების, განსაკუთრებით ისლამის, წარმოშობასა და გავრცელებას; მომთაბარე ელემენტის შემოსვლას და დამკვიდრებას რეგიონში; რეგიონული და მსოფლიო ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკას; XX საუკუნის რამდენიმე ომს. ზემოაღნიშნული და კიდევ ზოგიერთი მოვლენა წიგნის მიზნისათვის უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიე, ვიდრე ბევრი სხვა, შეიძლება თავისთავად არანაკლებ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, რომლებიც სიღრმისეულად განხილულია სპეციალურ ისტორიულ ლიტერატურაში.

წიგნის მეოთხე ნაწილში განხილულია რეგიონის თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის ზოგი პრობლემა, კერძოდ: სახელმწიფოს იდეა, სახელმწიფო სიმბოლიკა და საზღვრები, სამხედრო ბალანსი, სხვაობები ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში, დემოკრატიზაციის პრობლემები, რეგიონის ქვეყნების ცვალებადი გეოპოლიტიკა ბოლო 50-60 წლის განმავლობაში, რაც უკვე წარსულია, მაგრამ მეტ-ნაკლებად „თანამედროვეობად" წარმოგვიდგენია.

მეხუთე ნაწილი მთლიანად ეძღვნება რეგიონის ურთულესი პრობლემის – ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის – პოლიტიკურ-გეოგრაფიული პოზიციიდან განხილვას. აქვეა წარმოდგენილი ერთი კერძო შემთხვევა, რომელსაც რეგიონულზე მეტი მნიშვნელობა აქვს: ესაა წმინდა ადგილის როლი პოლიტიკაში (იერუსალიმის მაგალითზე).

დაბოლოს, სამი შენიშვნა:

პირველი შენიშვნა ეხება უცხოური სახელების მართლწერას. ვცდილობდი დამეცვა ქართული ტრადიცია. ამიტომაც წიგნში გვხვდება *სტამბოლი, თეირანი, მექა, კაირო, ალექსანდრია, დამასკო, ალეპო, იერუსალიმი, სუეცი, ქუვეითი* და ა.შ. (და არა *ისტანბული, თეჰრანი, მაქა, ალ-კაჰირა, ალ-ისკანდარია, დიმაშკი, ჰალაბი, იერუშალაიმი, ას-სუვაიში, ალ-ქუვაითი* და ა.შ., რაც უფრო სწორი კი იქნებოდა, მაგრამ მკითხველს თავგზას აუბნევდა). ქართულში შედარებით იშვიათად გამოყენებული სახელების გადმოცემისას

კი ადგილობრივი გამოთქმის ტრანსკრიფციაა გამოყენებული (წიგნშია *თაბრიზი, არ-რიადი, ჯიდა, ბაბ ალ-მანდაბი, შატ ალ-არაბი* და სხვ.). წიგნში შეხვედებით ისლამის ფუძემდებლის – *მუჰამმადის* – სახელს, გადმოცემულს ისე, როგორც ის არაბულად ისმის, უფრო იმიტომ, რომ არ აგვერიოს სხვა მრავალიცხოვან *მუჰამედ/მოჰამად/მეჰმედებთან.*

მეორე შენიშვნა: ტექსტში გამოყენებული ზოგი ტერმინი, რომლებიც ქართულში ფართოდ არ იხმარება, აღნიშნულია *-ით და მათი განმარტება წიგნს ბოლოში აქვს დართული.

მესამე შენიშვნა უფრო არსებითი ხასიათისაა. პოლიტიკურ-გეოგრაფიული ანალიზი გულისხმობს სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ხალხების არც თუ იშვიათად ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ინტერესების, მათ შორის ტერიტორიული პრეტენზიების, მოხსენიებას. ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ „მისი ერის" (რელიგიის, სახელმწიფოს) ინტერესები „სათანადოდ არაა წარმოდგენილი", მაშინ, როდესაც „სხვა ერის" (რელიგიის, სახელმწიფოს) მიმართ ავტორის „სიმპათია დაინახა".

მინდა განვაცხადო, რომ ჩემი, როგორც ავტორის, მეცნიერული პოზიცია ნეიტრალურია. ვცდილობდი, არც ერთი ერის, რელიგიის, სახელმწიფოს მიმართ არ გამომეხატა რაიმე განსაკუთრებული სიმპათია და, მით უმეტეს, ანტიპათია. თუკი რომელიმე მკითხველი წინამდებარე ნაშრომში მიკერძოებული განწყობის აღმოჩენას მოისურვებს, ეს მისი პირადი საქმეა.

ნაწილი I

ბუნებრივი გარემო, რესურსები, მეურნეობა და პოლიტიკა

თავი 1

მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და ტერიტორია

მდებარეობა

ნებისმიერი ისტორიული პროცესი კონკრეტულ ბუნებრივ გარემოში მიმდინარეობს, რომელიც ამ პროცესზე გარკვეულად ზემოქმედებს. ხანდახან ისეც ხდება, რომ სულ სხვა რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულმა ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ისტორიის მსვლელობაზე შორს მდებარე სივრცეში. ამის მაგალითები ახლო აღმოსავლეთშიც მრავლადაა:

- თუკი არ გავითვალისწინებთ ცენტრალურ აზიასა და მონღოლეთში გაუდაბნოების პროცესს, აუხსნელი დარჩება, რატომ იყო ეს რეგიონები მომთაბარეთა შემოსევების საწყისი ადგილი;
- *თურანის* (ეს არის შუა აზიის საგრძნობი ნაწილის ისტორიული სახელი) და *ირანის* მეზობლობამ შეიძლება განმარტოს მათი საუკუნოვანი მეტოქეობა და ისიც, თუ რატომ იღებდა მომთაბარეთა პირველ დარტყმას სწორედ ირანი;
- მდინარე ნილოსის წყლის რეჟიმის (რომელიც, ძირითადად, ეთიოპიის მთიანეთში მოსულ წვიმებზეა დამოკიდებული) ახსნის გარეშე გაუგებარი იქნება თუ როგორ წარმოიშვა ეგვიპტური ცივილიზაცია.
- ის, რომ რეგიონის ამა თუ იმ მთიან მხარეში ზოგი მცირე ენა/ეთნოსი/კულტურა შენარჩუნდა, მაშინ როცა ვაკეზე ან ხეობებში მდებარე ბევრად უფრო დიდი და განვითარებული ცივილიზაციები განადგურდა, გეოგრაფიული ფაქტორებით (მაგალითად, მთიანეთის მიუდგომლობით) შეიძლება აიხსნას.

მომდევნო თავებში გარკვეულწილად შევეხებით მსგავს საკითხებს. ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიე ზოგადად მიმომეხილა პოლიტიკურ-გეოგრაფიული კუთხიდან დანახული რეგიონის ფიზიკური გეოგრაფია, რათა ნათელი ყოფილიყო, თუ *სად* მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ისტორიული და პოლიტიკური პროცესი.

ახლო აღმოსავლეთი მდებარეობს „ძველი სამყაროს“ შუაგულში.

პირდაპირი მანძილი, მაგალითად, ირანიდან ჩინეთამდე, დასავლეთ ევროპამდე და სამხრეთ აფრიკამდე თითქმის თანაბარია.

მაგრამ რუკის მასშტაბის გამოყენებით გაზომილმა მანძილმა შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს, რადგან, *გეომეტრიისაგან განსხვავებით, ორი პუნქტის დამაკავშირებელი უმოკლესი მანძილი ამ რეგიონში ყოველთვის არ არის სწორი ხაზი.* ამის მიზეზია არა იმდენად ფიზიკური გარემო, რამდენადაც საერთაშორისო ურთიერთობები.

საჰაერო ტრანსპორტი ხშირად იძულებულია ისარგებლოს შემოვლითი დერეფნებით და ბევრად გაიგრძელოს გზა. მაგალითად, ისრაელიდან ინდოეთისაკენ მიმავალმა თვითმფრინავმა ჯერ წითელ ზღვას უნდა გადაუაროს და მხოლოდ ბაბ-ალ-მანდაბის სრუტეზე გადაფრენის შემდეგ შეუხვიოს აღმოსავლეთისაკენ. საქმე ისაა, რომ არაბული ქვეყნების უმეტესობის საჰაერო სივრცე ისრაელის (ან მისი აეროპორტებიდან წამოსული) თვითმფრინავებისათვის დახურულია. ტრანსპორტირების მანძილის შესამცირებლად ადრე გაყვანილი ზოგი მილსადენი გაუქმებულია, ხოლო რკინიგზა – აყრილი, არა იმიტომ, რომ ნავთობი ან მგზავრები აღარაა, არამედ საზღვრებზე შექმნილი პოლიტიკური სირთულეების გამო. ამრიგად, გადაადგილების რეალური მანძილის დასადგენადაც კი პოლიტიკას ვერ გავექცევით.

ახლო აღმოსავლეთი ემეზობლება მსოფლიოს რამდენიმე დიდ რეგიონს – *სამხრეთ აზიას* (კერძოდ, ავღანეთსა და პაკისტანს), *ცენტრალურ აზიას* (თურქმენეთს), *სამხრეთ კავკასიას* (აზერბაიჯანს, საქართველოს, სომხეთს), *ბალკანეთს* (კერძოდ, ბულგარეთსა და საბერძნეთს), *მაღრიბს* (კერძოდ, ლიბიას), *საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკას* (კერძოდ, სუდანს).

მდებარეობა სამი კონტინენტის – ევროპის, აზიისა და აფრიკის – შესაყარზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ გზებზე ძველთაგანვე ანიჭებდა განსაკუთრებულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მნიშვნელობას საკვლევ რეგიონს. მაგალითად, XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ დეკადებში რეგიონი წარმოადგენდა ბუფერს დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიის ინტერესებისათვის და მძაფრი მეტოქეობის ობიექტს იმდროინდელი ზესახელმწიფოებისათვის.

რეგიონის სატრანსპორტო მნიშვნელობა გაზარდა XX საუკუნეში შექმნილმა მილსადენების ქსელმა. რეგიონის ტერიტორიის, კერძოდ, თურქეთის, გავლით აშენდა ახალი დიდი ნავთობსადენი კასპიის ზღვის აუზიდან ხმელთაშუა ზღვამდე (*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი*). სერიოზული მსჯელობაა კასპიისპირეთიდან ახლო აღმოსავლეთის გავლით ევროპის მიმართულებით დიდი დიამეტრის მქონე გაზსადენის („*ნაბუკო*“) გაყვანის შესახებ. მსოფლიოს ორ ნაწილში – ევროპასა და აზიაში – მდებარე *სტამბოლი* რეგიონის უდიდეს და ევრაზიის ერთ-ერთ უდიდეს საჰაერო-სატრანსპორტო კვანძად იქცა.

ახლო აღმოსავლეთის *ძირითადი ფიზიკურ-გეოგრაფიული ორიენტირები* სქემატურადაა ნაჩვენები ნახ. 1.1-ზე.

გეოგრაფიული ნომენკლატურის რამდენიმე ერთეული აქვე უნდა განიმარტოს, რადგან მათ ქვევით ხშირად შევხვდებით.

ნახ. 1.1. ძირითადი გეოგრაფიული ორიენტირები ახლო აღმოსავლეთში



ანატოლია (ბერძნულად – „აღმოსავლეთი“; თურქულად გამოითქმის როგორც „*ანადოლუ*“) მცირე აზიის ნახევარკუნძულის სხვა სახელია, რომელსაც ამჟამად მთელ აზიურ თურქეთს უწოდებენ; გეოგრაფები ანატოლიას ყოფენ შუა, აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ, დასავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებად.

ლევანტს (შესაძლოა ეს მოდიოდეს ფრანგულიდან – „აღმომავალი/აღმოსავლეთი“) უწოდებენ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის სანაპირო რაიონებს. ის მოიცავს ამჟამინდელი ლიბანის, სირიისა და, ნაწილობრივ, თურქეთისა და ისრაელის ზღვისპირა რაიონებს;

მესოპოტამია (ბერძნულად – „შუამდინარეთი“), არის მდინარეებს, ევფრატსა და ტიგროსს, შორის განლაგებული ტერიტორია სირიასა და ერაყში;

ალ-ჯაზირა (*ჯეზირა;* არაბულად – „კუნძული") არის ზემო მესოპოტამია, რომელიც მოიცავს ტერიტორიას ბაღდადის ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილოეთით, ერაყის, სირიისა და, ნაწილობრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის ფარგლებში;

კილიკია ამჟამინდელი თურქეთის *ადანისა* და *იჩელის ილების** ფარგლებში მდებარე ტერიტორიის ისტორიული სახელია. აქ მდებარეობს *ჩუკუროვას* ნაყოფიერი დაბლობი, რომელსაც რწყავს მდინარეების – სეიჰანისა და ჯეიჰანის – წყალი. სწორედ ჯეიჰანის შესართავთან მდებარეობს ის ტერმინალი, რომელსაც მიეწოდება ნავთობი კასპიის ზღვის აუზიდან.

ჰიჯაზი (არაბულად – „ბარიერი") მთიანი მხარე დასავლეთ არაბეთში, სადაც განლაგებულია ისლამის წმინდა ქალაქები – მექა და მედინა.

„ნაყოფიერ ნახევარმთვარეს"[1] უწოდებენ დღევანდელი ერაყის, თურქეთის, სირიის, ლიბანის, პალესტინის, ისრაელის (ნაწილობრივ – იორდანიისა და ირანის) ფარგლებში სირიის უდაბნოს გარშემო ნახევარწრიულად მდებარე, შედარებით მეტი დატენიანების მქონე მიწებს. *„ნაყოფიერი ნახევარმთვარის"* ტერიტორიას მიიჩნევენ ერთ-ერთ ძირითად „ცივილიზაციის აკვნად": აქ და მის მეზობლად მდებარე მთიან რაიონებში დაიწყო „ნეოლითური რევოლუცია", გამოიგონეს ბორბალი, შეიქმნა დამწერლობა.

წყალსატევები და საზღვაო გზები

სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტით – არაბეთისა და წითელი ზღვების, სპარსეთისა[2] და ომანის ყურეების მეშვეობით – რეგიონი გადის ინდოეთის ოკეანეში, ხოლო დასავლეთით მას გასასვლელი აქვს ატლანტის ოკეანისაკენ – ხმელთაშუა ზღვისა და მისი სისტემის (ეგეოსის, მარმარილოს, შავი) ზღვების მეშვეობით. ირანი ჩრდილოეთით გადის კასპიის ზღვაზე. ყველა ზემოხსენებული წყალსატევი მნიშვნელოვანი სანაოსნო არტერიაა. ორ მათგანზე ცოტა მეტი უნდა ითქვას.

სპარსეთის ყურემ, რომელიც ღრმად იჭრება კონტინენტში, XIX საუკუნის ბოლოდან მსოფლიო სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა და დღემდე ინარჩუნებს მას. XX საუკუნეში კი აღმოჩნდა, რომ ეს წყალმარჩხი ყურე (სიღრმე იშვიათად აჭარბებს 90 მეტრს) და მისი მიმდე-

1. ტერმინი პირველად 1906 წელს გამოიყენა ამერიკელმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა *ჯეიმზ ჰენრი ბრესტედმა* [James Henry Breasted].

2. არაბულ ქვეყნებში არ იყენებენ ტერმინს *„სპარსეთის ყურე"*: მათთვის ეს *„არაბული ყურეა"*. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამ პოლიტიზებული გეოგრაფიული პრობლემის თავიდან ასაცილებლად უბრალოდ *„ყურეს"* ახსენებენ, რომელსაც მთავრულით ინყებენ (The Gulf). ამ ნიგნში გამოყენებულია ტრადიციული ტერმინი *„სპარსეთის ყურე"*.

ბარე ხმელეთი მსოფლიოში უმდიდრეს ნავთობისა და გაზის საბადოებს შეიცავს. 1990-1991 და 2003 წლებში სპარსეთის ყურის ქვერეგიონი მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური კრიზისების არენა გახდა, რაც მნიშვნელოვანწილად უკავშირდებოდა ბუნებრივ სიმდიდრეებზე კონტროლს.

კასპიის ზღვა, რომლის აუზსაც ეკუთვნის თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია (დასავლეთ საქართველოს გარდა), დახურული წყალსატევია, ფაქტობრივად, დიდი ტბაა. 1991 წლიდან მასზე გადის ხუთი სახელმწიფო, იქამდე კი მას თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში აკონტროლებდნენ მხოლოდ რუსეთი/საბჭოთა კავშირი და სპარსეთი/ირანი. ახლა ამ წყალსატევის გაყოფა უნდა მოხდეს ხუთ ქვეყანას შორის ჯერაც შეუთანხმებელი წესით, განსხვავებით ღია ზღვებისაგან, სადაც უნივერსალური საერთაშორისო ნორმები მოქმედებს. რადგან კასპიის ზღვის ფსკერქვეშ ნავთობის დიდი მარაგია, მთავარ პრობლემად მისი ფსკერის გაყოფა იქცა. ირანი, რომლის სანაპიროს მიმდებარე ზონაში ნავთობი არ არის, თავიდან ამჯობინებდა კასპიის დაყოფას არა სექტორების, არამედ კონდომინიუმის პრინციპით (ანუ ზღვისა და მისი ფსკერის კოლექტიურ ფლობასა და ექსპლუატაციას). რადგან ეს მიუღებელი აღმოჩნდა დანარჩენი ქვეყნებისათვის, ირანმა მოითხოვა „თავისი წილი" – კასპიის ზღვის აკვატორიისა და, შესაბამისად, ფსკერის 20 პროცენტი, რაც კასპიისპირა სხვა ქვეყნებმა ასევე არ მოიწონეს.

2003 წლის მაისში რუსეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ კასპიის ზღვის საკუთარი სექტორების გამიჯვნაზე სანაპიროებიდან თანაბრად დაშორებული ხაზების მეშვეობით. თურქმენეთი და ირანი კი, რომლებსაც გაყოფის ეს პრინციპი ხელს არ აძლევს, ამ შეთანხმებას არ შეერთებიან. დავა ჯერაც გადაუწყვეტელია და ნაკლებ სავარაუდოა ახლო დროში მოგვარდეს.

აღსანიშნავია, რომ კასპიის ზღვის ირანული სანაპირო ეკოლოგიურად ყველაზე სუფთაა, მაშინ, როცა სხვა ქვეყნების სანაპიროები დაბინძურებულია ნავთობით. კლიმატური თვალსაზრისითაც ირანის კასპიისპირა რაიონები უკეთეს პირობებშია, ვიდრე დანარჩენი ქვეყნებისა: აქ მეტია ნალექი, მაშინ, როცა მაგალითად, თურქმენეთისა და ყაზახეთის სანაპიროს დიდი ნაწილი უდაბნოა.

საერთაშორისო თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთში მდებარე სრუტეებს. ზოგ მათგანზე კონტროლის დასაწესებლად საუკუნეების განმავლობაში დიდი სისხლია დაღვრილი.

შავსა და მარმარილოს ზღვებს ერთმანეთთან აკავშირებს ბოსფორის სრუტე, ხოლო მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს – დარდანელის სრუტე. იგივე სრუტეები ერთმანეთს აშორებს ევროპასა და აზიას. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეგვიძლია დავინახოთ მკაფიო მიჯნა

დედამიწის ხმელეთის ორ სხვადასხვა ნაწილს შორის: სხვაგან გამიჯვნა აზიასა და ევროპას შორის პირობითია. „ევროპად" და „აზიად" დაყოფა სწორედ ამ სრუტეების ნაპირებზე გაჩნდა.

კარგა ხანს ბოსფორისა და დარდანელის საერთო ტრადიციული სახელი იყო *შავი ზღვის სრუტეები*. ბოლო პერიოდში თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად მოითხოვა მათ უწოდონ **თურქეთის სრუტეები** (მათ შორის მდებარე მარმარილოს ზღვასთან ერთად), რაც საერთაშორისო დონეზე თანდათან მკვიდრდება კიდეც: ინგლისურად მათ Turkish Straights-ად მოიხსენიებენ.

ამ სრუტეებზე ბატონობას ეკონომიკურთან ერთად ყოველთვის ახლდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. მხოლოდ შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ქვეყნებს (ამჟამად ესაა ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, საქართველო და, გარკვეული პირობითობით, ზღვას ოდნავ დაცილებული მოლდოვა) მსოფლიო ოკეანეში გასვლა ამ სრუტეების მეშვეობით უწევთ. რუსეთსა და თურქეთს შავი ზღვის გარდა სხვა ზღვებზეც აქვთ გასასვლელი.

ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში *თურქეთის სრუტეებს* ფლობდა მხოლოდ ორი სახელმწიფო (თავის სამართალმემკვიდრეებთან ერთად) – რომი/ბიზანტია და ოსმალეთი/თურქეთი (XIII საუკუნის პირველ ნახევარში ბოსფორის სრუტეს ევროპელი ჯვაროსნები აკონტროლებდნენ). სრუტეებზე საკუთარი კონტროლის დასაწესებლად რუსეთის იმპერიამ ოსმალეთთან მრავალი ომი გადაიხადა, მაგრამ არც ერთი მათგანი უშუალოდ სრუტეებში ან სრუტეებთან არ მომხდარა. პირველი მსოფლიო ომის ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა (*„გალიპოლის ოპერაცია"*) ანტანტისა და ოსმალეთის ძალებს შორის კი დარდანელის სრუტეში და მის მიდამოებში მოხდა, როდესაც 1915-1916 წლებში დიდი ბრიტანეთისა და მისი დომინიონების არმიამ და ანგლო-ფრანგულმა ფლოტმა წარუმატებლად სცადა აქედან სტამბოლისაკენ გაჭრა.

1936 წელს მიღებული *მონტრიოს კონვენცია* დღემდე არეგულირებს ამ სრუტეების სტატუსს (იხ. თავი 10).

27-კილომეტრიანი ბოსფორის სრუტე საკმაოდ ვიწროა (მინიმალური სიგანეა 640 მეტრი), მაქსიმალური სიღრმე 70 მეტრია. მასზე ამჟამად ორი ხიდია გადებული, სრუტის ქვეშ კი გაჰყავთ სარკინიგზო გვირაბი, რომელიც 2013 წელს უნდა გაიხსნას მოძრაობისათვის (გვირაბის მშენებლობა გაჭიანურდა, რადგან მშენებლობისას სრუტის ევროპულ მხარეს წყალქვეშ მოულოდნელად აღმოაჩინეს ძალიან მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები). სრუტის ორივე მხარეს მდებარეობს ქალაქი სტამბოლი და მისი აგლომერაცია (14-15 მილიონი მცხოვრებით), რომლის ისტორიული ცენტრი ევროპულ ნაწილშია, ოქროს რქის (თურქულად *ჰალიჩ*-ი) ყურის სამხრეთ ნაპირზე. ნავიგაციისათვის გარკვეულ პრობლემას ქმნის სრუტეში წყლის სწრაფი დინება (ზედაპირული ფენა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიედინება, ღრმა წყალი კი – პირიქით). ბოს-

ფორის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: პოტენციურად სახიფათო ტვირთების (ნავთობი, გაზი, ზოგი ტიპის ქიმიკატი) გატანა დიდი სიფრთხილით ხდება, რაც აბრკოლებს ისედაც ინტენსიურ ნავიგაციას სრუტეში. თანაც სრუტე მდებარეობს უზარმაზარი მეგაპოლისის შიგნით.

58-კილომეტრიანი **დარდანელის სრუტე**, ბოსფორზე უფრო განიერია (მინიმალური სიგანე 868 მ); სიღრმე 50-90 მეტრს შორის მერყეობს.

ომანისა და სპარსეთის ყურეების დამაკავშირებელი 185 კილომეტრის სიგრძის **ჰორმუზის სრუტე** (მინიმალური სიგანე 39 კმ) ამჟამად ატარებს სუპერტანკერებს, რომლების მეშვეობითაც ახლო აღმოსავლეთიდან გადის მსოფლიოს ნავთობმომარაგების თითქმის ნახევარი. სრუტის კონტროლისათვის სხვადასხვა პერიოდში ერთმანეთს ეჯახებოდა პორტუგალიის, ინგლისის, ირანის, არაბული ქვეყნების ინტერესები. სრუტის აღმოსავლეთ ნაწილში მომცრო, მაგრამ სტრატეგიულად განლაგებული სამი კუნძულის – *აბუ მუსას* და *ტუნბის ორი კუნძულის* – იურიდიული კუთვნილების საკითხი ჯერაც არის გადაუწყვეტელი დავის საგანი გაერთიანებულ არაბულ საამიროებსა (გას) და ირანს შორის, თუმცა მათ *de facto* ირანი განაგებს. უშუალოდ სრუტის წყლები ირანისა და ომანის მიერაა გაყოფილი, მაგრამ სანაოსნოდ გამოიყენება უფრო დასავლეთით მდებარე ომანის ტერიტორიული წყლები. საზღვაო გზით ნავთობის ექსპორტირებისას ბაჰრეინს, გას-ს, ერაყსა და კატარს მხოლოდ ამ სრუტით სარგებლობა უხდებათ; ირანი, მართალია, ომანის ყურეშიც გადის, მაგრამ სანავთობო ტერმინალები ძირითადად სპარსეთის ყურეში აქვს. მხოლოდ საუდის არაბეთი არაა ექსკლუზიურად დამოკიდებული ჰორმუზის სრუტეზე: მას წითელ ზღვაზეც აქვს სანავთობო ტერმინალი (*იანბუ*).

წითელი ზღვისა და ინდოეთის ოკეანის დამაკავშირებელი **ბაბ ალ-მანდაბის სრუტისათვის** (მინიმალური სიგანე 20 კმ, სიგრძე – 65 კმ) თვალყურის სადევნებლად დიდი ბრიტანეთი თითქმის საუკუნე-ნახევარი ვერ ელეოდა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარე *ადენის კოლონიას* თავისი საუკეთესო ნავსაყუდელით, მით უმეტეს, რომ XIX საუკუნეში მისმა მეტოქე საფრანგეთმა სრუტის აფრიკულ მხარეს თავისი ფლოტის საყრდენი კოლონია შექმნა, რომელიც სულ მესამედი საუკუნის წინ იქცა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სახელად *ჯიბუტი:* იქ დღემდე დგას ფრანგული არმიის ნაწილი. *ადენიდან* დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ (1967 წ.), „ცივი ომის“ პერიოდში, ამ ნავსადგურში დადგა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი, თუმცა ის სრულფასოვანი საბჭოთა სამხედრო ბაზა არ გამხდარა.

წითელ ზღვაზე გამავალი სახელმწიფოებისათვის (ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, საუდის არაბეთი) *ბაბ ალ-მანდაბის* სრუტე უმნიშვნელოვანესი არტერიაა.

ნითელი ზღვის ჩრდილოეთ პერიფერიაზე მდებარე აკაბას ყურის შესასვლელს ტირანის სრუტე ეწოდება (სიგანე 5,6 კმ, სიგრძე 13 კმ). მას საკმაო მნიშვნელობა აქვს ისრაელისათვის (აქაა მისი ნავსადგური და კურორტი *ეილათი*) და, ძალიან დიდი – იორდანიისათვის, რომლის 27-კილომეტრიანი საზღვაო სანაპირო მხოლოდ აკაბას ყურესთანაა და იქვე მდებარეობს მისი ერთადერთი საზღვაო ნავსადგური *აკაბა*. ტირანის სრუტის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ეგვიპტის მიერ ისრაელის ნაოსნობისათვის 1967 წელს სრუტის ჩაკეტვა ისრაელის მიერ არაბულ ქვეყნებთან ომის (შემდგომში *„ექვსდღიან ომად"* წოდებულის) წამოწყების ერთ-ერთი ფორმალური საბაბი გახდა.

რეგიონის უმნიშვნელოვანესი საწყლოსნო არტერიაა ხელქმნილი **სუეცის არხი** (სიგრძე 193,5 კმ, სიგანე 205 მ, სიღრმე 24 მ), რომელიც 1869 წლიდან ერთმანეთთან აკავშირებს ხმელთაშუა და წითელ ზღვებს. არხის ნაწილი ადრევე არსებული მლაშე ტბის აკვატორიაზე გადის. ის ანახევრებს გრძელ საზღვაო გზას სამხრეთ ევროპიდან ინდოეთამდე. 1967 წელს ისრაელის მიერ *სინას ნახევარკუნძულის* დროებითი ოკუპაციის შედეგად სუეცის არხი ფაქტობრივ საზღვრად იქცა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის და არ მოქმედებდა 1975 წლამდე. ამ პერიოდში ნავთობის ტანკერები აფრიკის გარშემოვლით მოძრაობდნენ. ეგვიპტური „სუეცის არხის ადმინისტრაციის" მიერ არხის გაფართოებისა და გაღრმავების მიუხედავად, 240 ათას ტონაზე მეტი წყალწყვის მქონე სუპერტანკერებს არ შეუძლიათ არხით სარგებლობა და იძულებული არიან გამოიყენონ საოკეანო გზა. ამჟამად სუეცის არხით გადის მსოფლიოს საზღვაო გადაზიდვის 7,5 პროცენტი. არხის ქვეშ გაყვანილი გვირაბები და ზედ გადებული ხიდები ერთმანეთს აკავშირებს ეგვიპტის აფრიკულ და აზიურ ნაწილებს.

ზედაპირი

რელიეფის თვალსაზრისით, ახლო აღმოსავლეთი შედგება ორი განსხვავებული ზონისაგან – ჩრდილოეთის მთიანეთისა და სამხრეთის ვაკე ზეგნებისაგან.

ჩრდილოეთით, თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე, მდებარეობს ახალგაზრდა ნაოჭა მთები – *პონტოს მთები* (შავი ზღვის პარალელურად), *ტავროსის მთები* (ანატოლიის სამხრეთ ნაწილში), *ელბურსის მთები* – ჩრდილოეთ ირანში (კასპიის ზღვის პარალელურად) და *ზაგროსის მთები* – ირანის სამხრეთ-დასავლეთით. ყველა ეს ახალგაზრდა მთიანი სისტემა აქტიური სეისმური ზონაა. დამანგრეველი, ძლიერი მიწისძვრები აქ საკმაოდ ხშირი მოვლენაა.

ჩამქრალი ვულკანებია რეგიონის უმაღლესი მწვერვალები – *დემავენდი* (5604 მ) ელბურსის მთებში, ირანის ტერიტორიაზე და *არარატი* (თურქულად – *აირიდაღი*) (5165 მ) – აღმოსავლეთ ანატოლიაში, თურქეთის ტერიტორიაზე. არარატის მთა განცალკევებით დგას და დიდი შეფარდებითი სიმაღლის გამო (განსხვავება მიმდებარე ტერიტორიასთან შედარებით ოთხ კილომეტრს შეადგენს), განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ძველ დროში არარატი მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალად მიიჩნიეს და მას დაუკავშირეს მითი ნარლვნის შესახებ (იხ. თავი 7).

ცენტრალური ანატოლია და ცენტრალური ირანი წარმოადგენს ამაღლებულ ტალღოვან ზეგნებს, რომლებიც გარშემორტყმულია უფრო მაღალი ქედებით. ამიტომაც, ზღვის ერთგვარი სიახლოვის მიუხედავად, ორივე ამ ზეგნის ჰავა კონტინენტურია. *ირანის ზეგანზე* ორი უდაბნოც კი მდებარეობს – *დაშთ-ე ლუთი* და *დაშთ-ე ქავირი*.

გეოლოგიური თვალსაზრისით, ახლო აღმოსავლეთის სამხრეთი, ბაქნური მოვაკებული ნაწილი კონტრასტს ქმნის ჩრდილოეთის მთიან ნაწილთან.

არაბეთის ნახევარკუნძული ძალიან ძველი ქანებით აგებული ბაქანია, რომელმაც დაახლოებით 200 მილიონი წლის წინათ დაიწყო დაშორება აფრიკიდან და შემდგომ აზიას შეუერთდა. 9 მილიონი წლის წინ გაჩნდა განიერი რიფტული ხეობა (ნაპრალი), რომელშიც ახლა *ადენის ყურე* და *წითელი ზღვა* მდებარეობს. ეს ნაპრალი ჩრდილოეთისაკენ გრძელდება *აკაბას ყურეში* (რომელიც სინას ნახევარკუნძულს აშორებს არაბეთისაგან), შემდეგ – *არავას ხეობაში* (ისრაელ-იორდანიის საზღვრის გასწვრივ), *მკვდარი ზღვის ქვაბულში* და *მდინარე იორდანეს ხეობის, კინერეთის ტბის, ბექაასა და გაბის ხეობების* გაყოლებით სამხრეთ თურქეთს აღწევს. რიფტული ხეობის ზონა სეისმურად მეტად აქტიურია.

სეისმურად ნაკლებ აქტიური *არაბეთის ბაქანი დღემდე მოძრაობს ჩრდილოეთისაკენ* წელიწადში 2,5 სანტიმეტრის სიჩქარით. ადამიანისათვის ეს თვალით უხილავია. გეოლოგებმა კი გამოთვალეს, რომ ეს გადაადგილება ათას წელიწადში 25 მეტრს შეადგენს, მილიონ წელიწადში – 25 კილომეტრს. სწორედ სამხრეთიდან ეს მოწოლა იწვევს სეისმურ არამდგრადობას რეგიონის ჩრდილოეთში, მთების აზევებასა და დამანგრეველ მიწისძვრებს ირანის ზეგანზე და ზაგროსის მთებში, ანატოლიასა და კავკასიაში [Гамкрелидзе, 1976].

არაბეთის ნახევარკუნძულს – სამხრეთითა და დასავლეთით, და *ლევანტს* – აღმოსავლეთით გასდევს საშუალო სიმაღლის მთები, რომლებიც შიდა, მშრალ ნაწილებს გამოყოფს შედარებით მეტი დატენიანების მქონე სანაპიროსაგან.

მდინარე ნილოსის ხეობა და დელტა ეგვიპტის ტერიტორიაზე, მესოპოტამია, *ჩუკუროვას ხეობა* – სამხრეთ თურქეთში და უფრო მო-

მცრო სანაპირო დაბლობები, სადაც ხელოვნურ მორწყვას იყენებენ, ინტენსიური სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი ზონებია. შიდა ზეგნებიც, მათ შორის *ცენტრალური ანატოლია* და *ალ-ჯაზირა*, ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის.

ჰავა, ნიადაგები, მცენარეული საფარი, ეკოლოგია

ახლო აღმოსავლეთის ბუნებრივი გარემოს საერთო ნიშანი ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ჰავასთან, რომელიც ზოგადად ასეთია: ხანგრძლივი და ძალიან ცხელი ზაფხული, შედარებით გრილი, წვიმიანი ზამთარი, ხანმოკლე ცვალებადი გაზაფხული და ხანმოკლე თბილი შემოდგომა. მაგრამ ადგილობრივი ვარიაციები ძალიან მრავალფეროვანია. მკვეთრად ვლინდება ვერტიკალური ზონალობა.

რეგიონის შიდა რაიონები ყოველთვის უფრო მშრალია, ვიდრე სანაპირო. არაბეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი უჭირავს უზარმაზარ ქვიშიან უდაბნოებს – *ან-ნაფუდს* (ჩრდილოეთით) და *არ-რუბ ალ-ხალის* (სამხრეთით); ერაყის, იორდანიისა და სირიის ტერიტორიებზე მდებარეობს ძირითადად ქვიანი *სირიის უდაბნო*; ირანის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილი ქვიან და მლაშობიან უდაბნოებს, *დაშთ-ე ქავირსა და დაშთ-ე ლუთს*, უჭირავს; ეგვიპტის ტერიტორიაზე, მდინარე ნილოსის დასავლეთით, ქვიშიანი *ლიბიის უდაბნო*, საჰარის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაა განლაგებული, ხოლო ნილოსის აღმოსავლეთით ქვიანი *არაბეთის უდაბნო* მდებარეობს. ეგვიპტის აზიური ნაწილი, *სინას ნახევარკუნძული*, უპირატესად ქვიანი უდაბნოა (მისი ჩრდილოეთ ნაწილი ქვიშიანია) და ასეთივე ქვიანი უდაბნოა *ნეგევი*, ისრაელის სამხრეთში. უდაბნოში ყველგან ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 25 მმ-ზე ნაკლებია. ნალექების ეს რაოდენობაც შეიძლება მოვიდეს ერთ რაიონში ერთ საათში თავსხმის სახით და მომდევნო რამდენიმე წელიწადს საერთოდ არ იწვიმოს.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით უდაბნო ხშირად იყო დამცავი ზღუდე. მაგალითად, უდაბნო უნარჩუნებდა ძველ ეგვიპტეს იზოლაციას დანარჩენი სამყაროსაგან (თუმცა ყოველთვის ვერ იცავდა მას). როცა უდაბნო ძალიან დიდია, კონტაქტები იზღუდება და ადამიანთა მცირე ჯგუფების განცალკევებული ცხოვრება ნორმად იქცევა.

მართალია, უდაბნო – უდაბნოა, მაგრამ ის *მთლად მკვდარი არ არის*. აქლემი და, ზოგან, წვრილფეხა საქონელიც კი უდაბნოში საკვებს პოულობს. მიწისქვეშა წყლების გამოსავლებთან სხვადასხვა სიდიდის, ხანდახან საკმაოდ მოზრდილი, ოაზისებია, რომლებიც ტრადიციულად იყო ადამიანთა კონცენტრაციის, მომთაბარე და ბინადარი მოსახლეობის

კონტაქტისა და, შესაბამისად, კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ადგილი. თანამედროვე პირობებში, დიდი კაპიტალდაბანდების ფასად, ქვიშიან უდაბნოშიც კი, ნიადაგის ხელოვნური ფენის შექმნისა და ზღვის გამტკნარებული წყლით მორწყვის პირობებში, სითბოს დიდი რესურსი უხვი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა.

უდაბნო, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, თევზსაშენი მეურნეობის განვითარებისათვის მშვენიერ პირობებს ქმნის: სითბოსმოყვარული თევზი ხელოვნურ გუბურებში სწრაფად იზრდება, გრუნტის წყლის მიღება კი ჭაბურღილების საშუალებით შეიძლება.

უდაბნოს წიაღი ხშირად არის მინერალური რესურსების წყარო. ამიტომაცაა, რომ XX საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე უდაბნოში დასადგენი საზღვრებისათვის ბრძოლა (ბოლო ხანებში – უფრო დიპლომატიური მეთოდებით, ადრე – ომის გზით) უშეღავათო იყო: სრულებით უდაბური მიწაც კი შეიძლება სიმდიდრის მომტანი გახდეს!

ცენტრალური ანატოლია, „ნაყოფიერი ნახევარმთვარის" რაიონები და ირანის საგრძნობი ნაწილი (უდაბნოების გარშემო) *სემი-არიდული* (ნახევრად-მშრალი) *ჰავით* გამოირჩევა. ნალექების წლიური რაოდენობა აქ 250-400 მმ-ის ფარგლებშია.

ხმელთაშუა, ეგეოსის, მარმარილოს და შავი ზღვების სანაპირო რაიონებში უპირატესად *მშრალი სუბტროპიკული ჰავაა.* ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა იქ არც თუ მცირეა (1000 მმ-მდე – დასავლეთ და სამხრეთ ანატოლიასა და ლევანტში). მაგრამ მათი განაწილების არახელსაყრელი რეჟიმის გამო (მაისიდან ოქტომბრამდე საერთოდ არ წვიმს) სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნორმალური და მაღალი მოსავლის მისაღებად ყოველთვის საჭიროა ხელოვნური მორწყვა.

თურქეთის შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილი (ლაზეთი) და ირანის კასპიისზღვისპირეთი (გილანი) *ტენიან სუბტროპიკულ ზონას* წარმოადგენს: ისინი მთელი რეგიონის „კლიმატური კუნძულებია", სადაც წლიურად 2000 მმ-მდე ნალექი მოდის.

მთიან მხარეებში, ვერტიკალური ზონალობის გამო, ჰავა უფრო გრილია, ნალექები მთაში შედარებით მეტია. არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, იემენის მთებში, ბევრად მეტი ნალექი მოდის (700 მმ-მდე), ვიდრე ახლომდებარე წითელი ზღვის სანაპიროზე. შედარებით მეტი დატენიანების გამო *იემენს* ანტიკურ ხანაში Arabia Felix-ის („ბედნიერი არაბეთის") სახელით მოიხსენიებდნენ.

შიდა მხარეებში *მშრალი კონტინენტური ჰავა* მკვეთრ სადღეღამისო ამპლიტუდებს იძლევა: გაზაფხულზე უდაბნოში დღისით ტემპერატურამ შეიძლება ჩრდილში +40 გრადუსს მიაღწიოს, ღამით კი თითქმის ნულამდე დაეცეს.

უდაბნოს მშრალი სიცხე შედარებით უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე სანაპიროს ტენიანი ჰავა. რეგიონის სამხრეთ ნაწილში პრობლემას ქმნის

ქვიშიანი ქარი (ეგვიპტესა და პალესტინა-ისრაელში მას *ხამსინი* ჰქვია, სხვაგან – *სამუმი/სიმუმი*), რომელსაც უდაბნოდან მოაქვს წვრილი ქვიშისა და მტვრის კორიანტელი, რაც ხშირად სპობს მზარდ მცენარეებს, რომ არაფერი ვთქვათ იმ უსიამოვნებაზე, რასაც ადამიანს აყენებს ქვიშა ყველგან – საჭმელში, კბილებზე, ტანსაცმელში.

ეს გარემოება სამხედრო თვალსაზრისითაც არ არის უმნიშვნელო. მაგალითად, არაბეთის ნახევარკუნძულზე 1990 წლიდან განლაგებული ამერიკის არმიის მოსამსახურენი ჩიოდნენ, რომ მზეზე გავარვარებულ ჯავშანტექნიკას მხოლოდ სპეციალური ხელთათმანით თუ შეეხებოდნენ, ხოლო დროის მეტ ნაწილს ცეცხლსასროლი იარაღის ქვიშის ნაწილაკებისაგან გაწმენდას ანდომებდნენ: წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იარაღი უსარგებლო, ან საშიშიც კი ხდებოდა.

რეგიონში თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით ომის წარმოებას წლის გრილ პერიოდში გეგმავენ. სამწუხაროდ, მწარე რეალობა ომს სხვა სეზონებშიც ახანგრძლივებს ხოლმე! 1991 წლის ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი" იანვარ-თებერვალში დაიგეგმა და ჩატარდა; 2003 წლის ოპერაცია „თავისუფლება ერაყს" ამერიკულ-ბრიტანულმა კოალიციამ მარტ-აპრილში მოაწყო, მაგრამ სამხედრო მოქმედება რამდენიმე წელს გაგრძელდა.

ჰავა და რელიეფი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ახლო აღმოსავლეთის ნიადაგობრივი და მცენარეული საფარის განლაგებას.

რეგიონის ფართობის უდიდესი ნაწილი უჭირავს უდაბნოს ნიადაგებს, რომელიც ფარავს არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებისა და ეგვიპტის დიდ ნაწილს. დიდი სივრცე უჭირავს მოძრავ ქვიშებს, ხშირად უზარმაზარი დიუნების სახით დაგროვებულს (ერთი-ერთი უდიდესი უდაბნოს სახელი, *ან-ნაფუდი*, არაბულად „დიუნას" აღნიშნავს).

ანატოლიის, ირანისა და სირიისათვის დამახასიათებელია სტეპის ნაბლა, ეწერი და ალუვიური ნიადაგები.

ირიგაცია ახლო აღმოსავლეთის პირობებში არ არის მხოლოდ სარწყავი არხების მშენებლობის წმინდა ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემა. ის უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ნიადაგის ხარისხი და კლიმატური პირობები. საკმაოდ ნაყოფიერი ნახევარუდაბნოსა და ალუვიური ნიადაგები უსისტემო მორწყვის შედეგად რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება საერთოდ მწყობრიდან გამოვიდეს, რადგან სარწყავი წყალი ხშირად იწვევს არასასურველ ქიმიურ რეაქციას, რაც არ მოხდებოდა სიმშრალის პირობებში. მაგალითად, ერაყში სარწყავი მიწების 70-80 პროცენტი სხვადასხვა ხარისხით დამლაშებულია და დიდი ფართობი მესოპოტამიაში ამჟამად ვერ გამოიყენება მიწათმოქმედებისათვის და მელიორაციას საჭიროებს, მაშინ, როცა საუკუნეების წინ ის ნაყოფიერი იყო.

მცენარეული საფარი საკმაოდ მრავალფეროვანია უდაბნოშიც კი,

რომელიც იშვიათი წვიმების დროს მოულოდნელად იფარება ბალახითა და ფერადი ყვავილებით. მომთაბარეები ეძებენ ამ დროებით საძოვრებს და მუდმივად მოძრაობენ თავიანთ ჯოგებთან ერთად. ზაფხულობით ზეგნებზე სტეპის მცენარეული ხმება. მიწათმოქმედებაც ეგუება ჰავას: გავრცელებულია საშემოდგომო მარცვლეული კულტურები, რომლებიც ზამთრის ტენსა და გაზაფხულის სითბოს იყენებს.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ანატოლიის, ჩრდილოეთ ირანის მთიან რაიონებში და ლევანტის მთებში შემორჩენილია *ტყე*, რომელსაც ადრე უფრო დიდი ფართობი ეკავა. მესოპოტამიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ეგვიპტეში ტყე პრაქტიკულად არაა. ამიტომაც ძველად სახლებისა და სხვა კონსტრუქციების სამშენებლოდ ქვა ან ალიზი (გამოუწვავი აგური) გამოიყენებოდა. *გუმბათიანი სახურავი რეგიონში მშენებარე სახლებს იმიტომ უკეთდებოდა, რომ არ იშოვებოდა ხის მასალა.* ის, ვინც ძველ იერუსალიმს გადახედავს, უამრავ გუმბათიან სახურავს დაინახავს.

ათასწლეულების განმავლობაში რეგიონის *ფიზიკური გარემო* ნელნელა იცვლებოდა: ჰავა უფრო ტენიანი, ანდა უფრო მშრალი ხდებოდა. მაგრამ ბოლო ექვსი ათასი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ახლო აღმოსავლეთში ჩაისახა და განვითარდა ცივილიზაცია, ჰავა პრაქტიკულად უცვლელია. ამ პერიოდში გარემოს ცვლილებები უფრო მეტად ადამიანის საქმიანობას დაუკავშირდა.

ინგლისელმა გეოგრაფმა *უილიამ ბ. ფიშერიმა* ჯერ კიდევ 1950-იან წლებში გამოთქვა მოსაზრება, რომ ახლო აღმოსავლეთში ბუნებრივი გარემოს შეცვლის ძირითადი მიზეზებია:

„ა) წყლის ნაკადების კალაპოტების დაწევა ბუნებრივი ეროზიის გამო (ამან დაწია მიწისქვეშა წყლის დონე და ბევრი სარწყავი არხი წყლის ახალ დონე ზე მაღლა დატოვა); ბ) ნიადაგის ეროზია, გამოწვეული სოფლის მეურნეობის გაძღოლის არასწორი მეთოდებით, ანდა არსებული ბუნებრივი მცენარეულის განადგურებით; გ) ცუდი მმართველობა, ომები და შემოსევები... ყველაფერი ამის გამო ნიადაგის შედარებით სქელი ფენა და მცენარეულის ხშირი საფარი შეთხელდა. ეს ბუნებრივი მემკვიდრეობა შეიძლებოდა შეენარჩუნებინათ ფრთხილი გამოყენებით, მაგრამ როგორც კი ნიადაგი და მცენარეული საფარი მოისპო, ბუნებრივი პირობები მათ თვითაღდგენას ხელს აღარ უწყობდა.

პირობების გაუარესება ძირითადად გამოწვეულია ადამიანური და არა ბუნებრივი ფაქტორებით. გარემოს შეცვლის ძირითადი მიზეზი იყო ადამიანის საქმიანობა და არა კლიმატის ცვლილება. ეს იძლევა ერთგვარ იმედს მომავლისათვის, რადგან თუ ადამიანს შეუძლია ძალიან მცირე გავლენა მოახდინოს იმ ბუნებრივ ძალებზე, რომლებიც კლიმატურ ცვლილებებს იწვევს, მას მეტი შეუძლია გააკეთოს მის მიერვე მიყენებული ზარალის გამოსასწორებლად. თუ ნიადაგისა და მცენარეულის

აღდგენა მოხერხდება, ძველი დროის ნაყოფიერებაც დაბრუნდება. შესაბამისად ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს ნიადაგის შენარჩუნებაზე, გატყიანებასა და მიწის გონივრულ გამოყენებაზე, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური ცხოვრების მომავალი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია" [Fisher, 1966, 64-65].

თითქოსდა *ფიშერის* ზემოაღნიშნული რეკომენდაციის პრაქტიკაში განსახორციელებლად (სინამდვილეში, მისგან დამოუკიდებლად) ყველაზე დიდი შრომა გაწეულია ისრაელში. იქ მოხერხდა ხელოვნური ტყეების საკმაო მასივების გაშენება და მიწის ნაყოფიერების მკვეთრი გაზრდა. ერთ ასეთ ფაქტს მოვიტან, რომელიც გვიჩვენებს ორი მეზობელი ქვეყნის განსხვავებულ ეკოლოგიურ მიდგომას: *კოსმოსიდან გადაღებულ სურათებზე მკაფიოდ ჩანს სწორი, თავის დროზე სახაზავით გავლებული, სახელმწიფო* (sic!) *საზღვარი ეგვიპტესა და ისრაელს შორის*: ისრაელის მხარე უფრო მუქი ფერისაა, ხოლო ეგვიპტისა – ღია. საქმე ისაა, რომ ისრაელის მხარეს, ნეგევის უდაბნოში, მკაცრად შეიზღუდა აქლემების ძოვების უფლება და ამიტომაც უდაბნოს გაუჩნდა მიკროორგანიზმებით დასახლებული მუქი ფერის ქერქი, რომელიც აჩერებს ქვიშის მოძრაობას და მცენარეული საფარის აღდგენის სტიმულია. ეგვიპტის მხარეს კი მრავალი აქლემი უსისტემოდ ძოვს, ყველგან ტკეპნის უდაბნოს, სადაც რჩება შიშველი ქვიშა (კოსმოსიდან ეს ნაწილი ღია ფერისად გამოიყურება).

ნავთობისა და ბუნებრივი გაზის დიდი მარაგი საშუალებას აძლევს რეგიონს, როგორც მთელს, აღარ გამოიყენოს შეშა ან წივა საოჯახო საწვავად, მით უმეტეს ქალაქებში. ეს დადებითად განასხვავებს *ახლო აღმოსავლეთს* მჭიდროდ დასახლებული *სამხრეთ აზიისაგან*, სადაც არამარტო სოფლის მოსახლეობა, არამედ ქალაქის მოსახლეობის ნაწილიც კი საწვავად იყენებს შეშას, წივას ან უბრალოდ საოჯახო ნაგავს, რომელიც ატმოსფეროში დიდი მოცულობის ბოლსა და ჭვარტლს აგზავნის.

მაგრამ ზემომოყვანილი შედარება, რომელიც ახლო აღმოსავლეთისათვის უფრო ხელსაყრელ სურათს იძლევა, სულაც არ ნიშნავს, რომ ცა მთელს საკვლევ რეგიონში მოწმენდილია. ინდუსტრიული საქმიანობისა და საავტომობილო ტრანსპორტის პარკის სწრაფი ზრდა ქალაქების გაფართოებას უწყობს ხელს და ერთდროულად იწვევს ატმოსფეროს სერიოზულ დაბინძურებას, დიდ ქალაქებში ცხოვრების ხარისხის გაუარესებას. მაგალითად, ისეთ მეგაპოლისებში, როგორიცაა *კაირო, თეირანი, სტამბოლი, ანკარა, თელ-ავივი* და ა.შ. ატმოსფეროს დაბინძურება, უპირველესად, ტრანსპორტის გამონაბოლქვის გამო, კრიტიკულ ზღვარს კარგა ხანია გადასცდა.

ფიშერის მიერ მოხსენიებული „ცუდი მმართველობა, ომები და შემოსევები" ის პოლიტიკური ფაქტორებია, რომლებიც დიდ დაღს ასვამდა ტერიტორიის ათვისებასა და მიწის გამოყენების ფორმებს.

ამჟამად უკაცრიელ ადგილებში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები მიგვანიშნებს ბრწყინვალე ცივილიზაციებისა და საკმაოდ მჭიდრო მოსახლეობის არსებობაზე. დღეს უდაბნოდ ქცეულ მიწაზე უძველეს საირიგაციო ნაგებობათა ნანგრევებს ნახულობენ. ოაზისები ქვიშამ დაფარა. ადამიანის საქმიანობის წყალობით ბუნებრივი გარემო სულ უარესდება და საცხოვრებელი პირობები მძიმდება.

თუმცა საქმე მთლად ასე არაა.

უდაბნოშიც კი სავსებით შესაძლებელია არსებობა, რასაც მოწმობს მომთაბარეთა საკმაოდ დიდი მასა. ოაზისებს შეუძლიათ ბინადარი მოსახლეობის დიდი რაოდენობა დააკმაყოფილონ მოხმარების საშუალო დონით. უდაბნოს მიწა შეიძლება ათვისებულ იქნას. მდიდარ ნავთობმომპოვებელ ქვეყანას შეუძლია ოაზისად აქციოს უდაბნოს ნაწილი და მრავალრიცხოვან მოსახლეობას ცხოვრების უკეთესი პირობები შეუქმნას. ეს ხდება კიდეც კატარში, ქუვეითში, გას-ში, საუდის არაბეთში.

მონდომებისა და კაპიტალის არსებობის პირობებში ეკოლოგიური მდგომარეობა, ერთგვარად მაინც, შეიძლება გამოსწორდეს.

ქვეყნების ტერიტორია

რუკაზე (ნახ. 1.2) ნაჩვენებია თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების კონფიგურაცია, ხოლო ცხრილი 1.1 წარმოდგენას გვაძლევს მათ ფართობზე. ცხრილში ქვეყნები დალაგებულია ფართობის (გაეროს სტატისტიკის შესაბამისად) კლებადობის მიხედვით.

რეგიონის საერთო ფართობია 7292 ათასი კვადრატული კილომეტრი. ეს მეტია, ვიდრე ავსტრალიის მთელი კონტინენტის, ან სამხრეთ აზიის, ან დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ფართობი.

რეგიონის ცალკეული ქვეყნის ფართობის შესახებ სხვადასხვა გამოცემაში განსხვავებულ მონაცემებს შეიძლება წააწყდეთ.

მაგალითად, ისრაელის ფართობის შესახებ ერთი მონაცემი არ არსებობს. ამ ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვარი დაუდგენელია. 1967 წლის 5 ივნისის საზღვრებში ფაქტობრივად არსებულ ისრაელის ტერიტორიას *გაერო* არ მიათვლის 1981 წელს ანექსირებულ *გოლანის მაღლობს*, რომელიც 1967 წლამდე სირიის შემადგენლობაში იყო. ამასთან, გაერო ოფიციალურად არ ცნობს ისრაელის მიერ 1967 წლიდან *აღმოსავლეთ იერუსალიმის* ანექსირებას, მაგრამ ქალაქის ფართობს ისრაელს მიათვლის. საკუთარ სტატისტიკურ ცნობარებში ისრაელი გოლანის მაღლობსა და აღმოსავლეთ იერუსალიმს თავის ფართობად ანგარიშობს და ამიტომაც ის მითითებული აქვს, როგორც 22145 კმ² [DY, 2002].

ცხრილი 1.1. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ფართობი

	ქვეყანა [ოფიციალური სახელი; *ოფიციალური სახელის ტრანსკრიფცია*]	დედაქალაქი და ფართობი (კმ²)
1	საუდის არაბეთი [არაბეთის საუდიანთა სამეფო; *Al-Mamlaka al-'Arabiyya as-Su'udiyya*]	არ-რიადი, 2 149 690
2	ირანი [ისლამური რესპუბლიკა ირანი; *Jomhuri-ye Islami-ye Iran*]	თეირანი, 1 648 195
3	ეგვიპტე [არაბული რესპუბლიკა ეგვიპტე; *Jumhuriyyat Misr al-'Arabiyya*]	კაირო, 1 001 449
4	თურქეთი [თურქეთის რესპუბლიკა; *Türkiye Cumhüriyeti*]	ანკარა, 783 592
5	იემენი [იემენის რესპუბლიკა; *l-Jumhuriyya al-Yamaniyya*]	სანაა, 527 968
6	ერაყი [ერაყის რესპუბლიკა; *Jumhuriyyat Al-'Iraq*]	ბაღდადი, 438 317
7	ომანი [ომანი; *'Uman*]	მასკატი, 309 500
8	სირია [სირიის არაბული რესპუბლიკა; *Al-Jumhuriyya al-'Arabiyya as- Suriyya*]	დამასკო, 185 180
9	იორდანია [იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო; *Al-Mamlaka al-Urduniyya al-Hashimiyya*]	ამანი, 89 343
10	გას [გაერთიანებული არაბული საამიროები; *Al-Imarat al-'Arabiyya al-Muttahida*]	აბუდაბი, 83 600
11	ისრაელი* [ისრაელის სახელმწიფო; *Medinat Yisrael*]	[იერუსალიმი] 20 777
12	პალესტინის ადმინისტრაცია** [*As-Sulta al-Filastiniyya*]	[რამალა] 5 977
13	ქუვეითი [ქუვეითი; *Al-Kuwayt*]	ელ-ქუვაითი, 17 818
14	კატარი [კატარი; *Qatar*]	დოჰა, 11 586
15	ლიბანი [ლიბანის რესპუბლიკა; *Al-Jumhuriyya al-Lubnaniyya*]	ბეირუთი, 10 400
16	კვიპროსი*** [კვიპროსი; *Kipriaki dimokratia/Kibris Cumhüriyeti*]	ლეფკოსია, 9 251
17	ბაჰრეინი [ბაჰრეინი; *Al-Bahrayn*]	მანამა, 760

წყაროები: DY, 1999; MEaNA, 2002; The Europa World Yearbook, 2002. CIA, The World Factbook, 2011

* მოიცავს 1967 წელს ანექსირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმს, მაგრამ არ მოიცავს იმავე წელს ოკუპირებულ (და 1981 წელს ანექსირებულ) გოლანის მაღლობს (1176 კმ²), რომელიც სირიის ტერიტორიად იანგარიშება. დედაქალაქად 1967 წლიდან გამოცხადებულია ერთიანი იერუსალიმი (ანექსირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმთან ერთად), რასაც მსოფლიოს ქვეყნები არ ცნობენ

** ისტორიული „სამანდატო პალესტინის“ ნაწილი, ისრაელის ფაქტობრივ სამხედრო კონტროლქვეშ. ხშირად მოიხსენიებენ „პალესტინის ავტონომიად“. მოიცავს 1967 წლამდე იორდანიის შემადგენლობაში მყოფ 5612 კმ² ფართობის მქონე მდ. იორდანეს „დასავლეთ ნაპირს“ და 1967 წლამდე ეგვიპტის კონტროლქვეშ მყოფ ღაზის სექ-

ტორს (360 კმ²). მისი პოლიტიკური სტატუსის საკითხი 2011 წელსაც კი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იყო. დედაქალაქად აცხადებს აღმოსავლეთ იერუსალიმს, მაგრამ მთავრობა რამალაში ზის.

*** 1974 წლიდან ფაქტობრივად გაყოფილია კვიპროსის რესპუბლიკად (5136 კმ²) და მხოლოდ თურქეთის მიერ ცნობილ „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკად“ (3355 კმ²). დიდი ბრიტანეთის სუვერენულ ბაზებს (*დეკელია* და *აკროტირი*), რომლებიც არ ექვემდებარება კვიპროსის იურისდიქციას, უჭირავს 256 კმ². აქ მოცემულია ქვეყნის ბერძნული და თურქული ოფიციალური სახელების ტრანსკრიფცია, რომელთაც ცნობს გაერო.

ნახ. 1.2. ახლო აღმოსავლეთის ზოგადი პოლიტიკური რუკა



ცხრილ 1.1-ში „პალესტინის ადმინისტრაციის“ ფართობი მოცემულია ისრაელელი პოლიტოლოგის *რუთ ლაპიდოთის* მიხედვით [Lapidoth, 2001]. ევროპული კავშირის მიერ გამოცემულ ცნობარებში იმავე ერთეულის

ფართობად უთითებენ 6020 კმ². გაეროს „დემოგრაფიულ წელიწდეულში“ კი მითითებულია 6213 კმ² [DY, 2002]. უკანასკნელი მაჩვენებელი აშკარად უზუსტოა: ის აჭარბებს 1967 წლამდე იორდანიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი „დასავლეთ ნაპირისა“ და ღაზის სექტორის საერთო ფართობს (რომლებიც ერთად შეადგენს „პალესტინის ადმინისტრაციას“ ან, როგორც ხშირად უწოდებენ, „ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებს“).

თითო მილიონ კმ²-ზე მეტი ფართობის მქონე სახელმწიფოების – *საუდის არაბეთის, ეგვიპტისა და ირანის* – ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოებს უჭირავს და მათი მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი დაბალია. *რეგიონის დიდ ქვეყნებს* შეიძლება მივაკუთვნოთ *თურქეთიც* (800 ათასამდე კმ²), რომელიც ფართობით ევროპის ყველა სახელმწიფოს სჭარბობს, გიგანტური რუსეთის გარდა. თურქეთში უდაბნო პრაქტიკულად არაა, მაგრამ მისი მთიანი ნაწილი ძნელი ასათვისებელია.

სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი ფართობი ქვეყნის თავდაცვის სპეციფიკურ ვითარებას ქმნის: ერთი მხრივ, *გრძელი საზღვრის დაცვა ძნელია*; მეორე მხრივ, დიდი ქვეყნისათვის პოზიტიური მომენტია, რომ მას აქვს *თავდაცვის სტრატეგიული სიღრმე*. მაგრამ ეს პოზიტიური მხარე ომის წარმოების თანამედროვე მეთოდის გამოყენებისას თავის მნიშვნელობას კარგავს: 2003 წლის ერაყის ომმა კარგად აჩვენა ეს, როდესაც დიდი ტერიტორია ადვილად დასაძლევი აღმოჩნდა ე. წ. „ჭკვიანი“ რაკეტებისათვის.

თავდაცვის პოზიციიდან პატარა ქვეყნები ყოველთვის უფრო მოწყვლადია. ამიტომაცაა, რომ ისრაელი ყოველთვის მზადაა *წინმსწრები* (*პრევენციული*) სამხედრო დარტყმისათვის და 1967 წელს განახორციელა კიდეც ასეთი დარტყმა (იხ. თავი 14).

თავი 2

ბუნებრივი რესურსები და მეურნეობის გეოგრაფიის ზოგიერთი ასპექტი

ტერმინი „ახლო აღმოსავლეთი“, თუ მას ეკონომიკურ კონტექსტში ვახსენებთ, ყველაზე ხშირად იწვევს ასოციაციას სიტყვა „ნავთობთან“. მართლაც, მსოფლიო ეკონომიკისათვის რეგიონის მნიშვნელობას ამჟამად განაპირობებს *ჰიდროკარბონული რესურსებით* (ნავთობით, გაზით) სიმდიდრე.

მაგრამ ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში არაა აღმოჩენილი ასეთი საბადოები და რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი (სპარსეთის ყურის ქვეყნების გარეთ) ვერც გრძნობს დიდ სარგებელს ამ რესურსების არსებობისაგან. ნავთობმომპოვებელი ქვეყნებიც მოელიან ასეთი რესურსების ამოწურვას და ცდილობენ ახლავე მოახდინონ მეურნეობის *დივერსიფიკაცია*, ანუ გაამრავალფეროვნონ მრეწველობის დარგები, განავითარონ სოფლის მეურნეობა და ამისათვის გამოიყენონ სხვა მინერალური, ნიადაგობრივი, წყლის რესურსები.

ქვემოთ განხილულია *სასარგებლო წიაღისეულის* განლაგება რეგიონის ქვეყნებში, ყურადღების გამახვილებით *ნავთობისა* და *გაზის* განაწილებაზე და მათ როლზე რეგიონულ და მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში. *მიწის რესურსები* სოფლის მეურნეობის განვითარების საწინდარია: მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონის ჩრდილოეთსა და ეგვიპტეში, ჯერაც სოფლად ცხოვრობს. საჭიროდ მივიჩნიე ასევე განმეხილა *წყლის რესურსების* განაწილება და, ვინაიდან ბევრი მდინარე რეგიონში ტრანზიტულია, ანუ ორ ან სამ ქვეყანაში გადის, მათთან დაკავშირებული პოლიტიკური პრობლემები.

სასარგებლო წიაღისეული

რეგიონში მრავლადაა სასარგებლო წიაღისეულის გამოსავლები, მაგრამ უმეტესად ისინი წარმოდგენილია არცთუ დიდი საბადოების სახით (ენერგორესურსების გარდა, რომლებიც ქვემოთაა განხილული)

და თანამედროვე პირობებში მათი ექსპლუატაცია ყოველთვის ეკონომიკურად გამართლებული არაა.

რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ იქ სასარგებლო წიაღისეულიც აღმოჩნდეს.

თუ არ ჩავთვლით ნავთობსა და ბუნებრივ გაზს, *საექსპორტოდ გამოსადეგი მინერალური სიმდიდრე* ჯერჯერობით მხოლოდ თურქეთსა და ირანშია აღმოჩენილი. რეგიონი მსოფლიოში გამოირჩევა მხოლოდ *ქრომის* ექსპორტით.

ცალკეული ქვეყნების მინერალური სიმდიდრე ასე გამოიყურება:

თურქეთში არის ბოქსიტების (ალუმინის ნედლეულის), რკინის, სპილენძის, ტყვია-თუთიის, ვერცხლისწყლის, დარიშხანის, სტრონციუმის მადნის საგრძნობი მარაგი, ხოლო ქრომიტების მარაგით იგი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. მას აქვს ქვანახშირისა და მურანახშირის ბუდობები, ბარიტი და ბორატები. ნავთობის ბუდობები თურქეთში უმნიშვნელო მოცულობისაა; გაზი 2011 წელს ჯერ აღმოჩენილი არ იყო.

ირანს აქვს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის უდიდესი მარაგი, ქვანახშირი, მანგანუმის, ქრომიტების, ურანის, ბოქსიტების, სპილენძის, ოქროსა და ვერცხლის, თაბაშირის საკმაოდ მნიშვნელოვანი საბადოები.

საუდის არაბეთში არის ნავთობის მსოფლიოში უდიდესი მარაგი, ბევრია ბუნებრივი გაზი. მას აქვს ბოქსიტები, რკინის მადანი, ოქრო, ვერცხლი, თუთია, ფოსფატები. მისი დიდი ტერიტორიის წიაღი კიდევ ბევრ აღმოჩენას ჰპირდება გეოლოგებს.

ეგვიპტეში არის ნავთობი, ბუნებრივი გაზი, რკინის, ტყვია-თუთიის, სპილენძისა და მანგანუმის მადნები, ურანი, იშვიათმიწათა ელემენტები (ლანთანოიდები, იტრიუმი, სკანდიუმი), ასბესტი.

ერაყი მდიდარია ნავთობითა და ბუნებრივი გაზით; აღმოჩენილია ფოსფატები, გოგირდი.

ქუვეითის ერთადერთი სიმდიდრეა ნავთობი: ეს მას უხვად აქვს.

გაერთიანებულ არაბულ საამიროებში ნავთობის დიდი მარაგია; არის ბუნებრივი გაზიც.

კატარი მსოფლიოში მესამე ადგილზეა ბუნებრივი გაზის მარაგით. მას საკმაო მოცულობით ნავთობის მარაგიც აქვს.

სირიას აქვს ნავთობი, ფოსფატები, ქრომიტები, რკინის, მანგანუმის მადნები, ქვამარილი, ასფალტი.

ომანში არის რეგიონის კვალობაზე მცირეოდენი ნავთობი და გაზი, აგრეთვე სპილენძის მადანი, ასბესტი, ქრომიტები.

იემენში აღმოჩენილია შედარებით მცირე ზომის ნავთობისა და გაზის საბადოები, ქვამარილი.

კვიპროსში არის სპილენძის მადანი, პირიტები, ასბესტი, მარმარილო, თაბაშირი.

ღარიბია სასარგებლო წიაღისეულით *იორდანია*: აქ ჯერჯერობით

აღმოჩენილია მხოლოდ ფოსფატები, პოტაში და არაკონვენციური *შეილგაზი* (თიხა-ფიქლებში).

ისრაელშიც ცოტაა მინერალური რესურსები: მოიპოვება ფოსფატები, პოტაში, სპილენძის მადანი; ხმელთაშუა ზღვის შელფზე აღმოაჩინეს ბუნებრივი გაზი.

ლიბანს მხოლოდ ცოტაოდენი რკინის მადანი აქვს.

საერთო ჯამში ახლო აღმოსავლეთი ვერ ჩაითვლებოდა სასარგებლო წიაღისეულით მდიდარ რეგიონად, XX საუკუნეში იქ რომ არ აღმოეჩინათ ჰიდროკარბონული რესურსების უზარმაზარი მარაგი, რაც რეგიონს ანიჭებს განსაკუთრებულ ღირებულებას გლობალური მასშტაბით.

ნავთობი და გაზი: რესურსების გეოგრაფია და პოლიტიკა

მსოფლიო ეკონომიკისა და, ამდენად, პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობი.

ანგარიშობენ, რომ ახლო აღმოსავლეთშია ნავთობის დადგენილი მსოფლიო მარაგის 55 პროცენტი და ბუნებრივი გაზის (ანუ *კონვენციური* – დამოუკიდებელი ბუდობების სახით არსებული ან ნავთობის თანმხლები – აირის) დადგენილი მსოფლიო მარაგის 41 პროცენტი. ეს რესურსები აქ ათობით, ზოგან ასზე მეტი, წლის განმავლობაში არ ამოიწურება.

ნავთობისა და გაზის მარაგი ძირითადად თავმოყრილია მსოფლიოში უდიდესი – *სპარსეთის ყურის ნავთობმომცემ პროვინციაში* – ყურის ორივე ნაპირზე და მის კონტინენტურ შელფზე.

ნავთობის უდიდესი მარაგი აქვთ საუდის არაბეთს, ირანს, ერაყს, ქუვეითს, გას-ს (იხ. ცხრილი 2.1). მოცულობით ნაკლები, მაგრამ საექსპორტოდ მაინც საკმარისი ნავთობი აქვთ კატარს, ომანსა და იემენს. სირიისა და ეგვიპტის მარაგი რეგიონის ფონზე მცირეა, მაგრამ ჯერჯერობით საკმარისი, რომ ეს ქვეყნები იმპორტზე დამოკიდებული არ იყოს.

ნავთობის მარაგით ღარიბია თურქეთი. იორდანიაში, ისრაელში, ლიბანსა და კვიპროსში კომერციული მოპოვებისათვის საკმარისი ნავთობი ჯერ არცაა აღმოჩენილი. ბაჰრეინში ნავთობის მარაგი ამოიწურა და ის აღარ მოიპოვება.

ცხრილ 2.1-ში მოყვანილი მონაცემები ნავთობის დადგენილი მარაგის შესახებ საბოლოო არაა. თანამედროვე გეოფიზიკური მეთოდებით ძებნა-ძიების შედეგად რეგიონის ნავთობის მარაგი ზუსტდება, ძირითადად გაზრდის მიმართულებით. ნახშირწყალბადოვანი რესურსები, მართალია, ამოწურვადია, მაგრამ XXI საუკუნის განმავლობაში (საუკუნის

პირველ ნახევარში მაინც) მსოფლიოს მოთხოვნილება მათზე უნდა დაკმაყოფილდეს. ფასი, ბუნებრივია, მოიმატებს!

ბოლო ათწლეულებში კონვენციური გაზის მოპოვება ახლო აღმოსავლეთში და მისი მიწოდება მსოფლიო ბაზარზე იზრდება, მაგრამ რეგიონის მთავარი სიმდიდრე მაინც ნავთობია.

ახლო აღმოსავლეთის წილი ნავთობის მსოფლიოს მარაგში ბოლო წლებში ერთგვარად შემცირდა (64 პროცენტიდან 2001 წელს 55 პროცენტამდე – 2010 წელს), რადგან ბოლო ათწლეულში აღმოჩნდა ახალი რესურსები ვენესუელაში (იქ ახლა მსოფლიო მარაგის 15 პროცენტს ვარაუდობენ), ანგოლაში, ყაზახეთში, კანადაში და სხვ. მაგრამ ახლო აღმოსავლეთი დღემდე ფლობს ნავთობის მსოფლიო მარაგის ნახევარზე მეტს, თანაც მისი ნავთობი ხარისხით უკეთესია, ვიდრე, მაგალითად, ვენესუელის ან ყაზახეთისა. მოპოვებაც აქ უფრო იაფი ჯდება.

ახლო აღმოსავლეთს გააჩნია უპირატესობა მსოფლიოს სხვა ნავთობმომპოვებელ რეგიონებთან შედარებით. გარდა იმისა, რომ ის ისედაც უდიდეს მარაგს ფლობს, მისი მოპოვება და გატანა შედარებით იაფია: ის ახლოსაა მსხვილ მომხმარებლებთან – შორეულ აღმოსავლეთთან, სამხრეთ აზიასთან და დასავლეთ ევროპასთან. გეოლოგიური თავისებურებაა, რომ რეგიონის ძირითადი ნავთობმომცემი ფენები ძალიან დიდია და არც ისე ღრმად განლაგებული მიწის ზედაპირიდან; ნავთობი ბევრ საბადოში იმყოფება დიდი წნევის ქვეშ, ამოღებული ნავთობის ადგილს დაუყოვნებლივ იკავებს თანმხლები გაზი, რაც აადვილებს ნავთობის მოპოვებას; ჭაბურღილის გაყვანის შემდეგ თავიდან ხშირად საჭირო არაა სატუმბი მოწყობილობა – ნავთობი შადრევნად ამოდის და საკმარისია მილსადენების სისტემასთან მისი მიერთება; თუმცა, შემდგომში წნევა ეცემა და ტუმბო საჭირო ხდება. ზოგ მილსადენსაც ნაკლებად ესაჭიროება სატუმბავი სადგურები, განსაკუთრებით სამხრეთ ირანში, სადაც ნავთობსარეწები უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები და ნავთობჩამომსხმელი ნავსადგურები და ნედლი ნავთობი, ნაწილობრივ მაინც, თვითდინებით მიედინება.

რეგიონის ნავთობმომცემი რაიონები არაჩვეულებრივად დიდია და მოპოვების ზონაში ცოტაა ფუჭად გაყვანილი ჭაბურღილები. მაგალითად, საუდის არაბეთში 1948 წელს აღმოჩენილი *გაუარის* ნავთობის ბუდობი ადრე ხუთ დამოუკიდებელ ბუდობად ითვლებოდა, მოგვიანებით კი გამოირკვა, რომ ეს არის 200-კილომეტრიანი უწყვეტი ნავთობმომცემი ზოლი, სადაც 170 მილიარდი ბარელი[1] ნავთობის მარაგი დაადგინეს (65 მილიარდი უკვე ამოღებულია).

საუდის არაბეთში კიდევ ათი ბუდობია, სადაც თითოეულში 7-30

1. ბარელი (barrel – ინგლისურად „კასრი") მოიცავს დაახლოებით 159 ლიტრს და ტრადიციულად გამოიყენება ნავთობის საზომ ერთეულად. ერთი მეტრული ტონა (კილოლიტრი) ნავთობი საშუალოდ 6,29 ბარელს მოიცავს. ნავთობის ფასს ტრადიციულად ანგარიშობენ აშშ დოლარებში ერთი ბარელისათვის.

მილიარდი ბარელი ნავთობია. ქუვეითის *ბურგანის* ბუდობში 72 მილიარდი ბარელია. სამხრეთ ერაყის *რუმაილას* ბუდობში 20 მილიარდი, ხოლო ჩრდილოეთ ერაყის *ქირქუკის* ბუდობში 16 მილიარდი ბარელი ნავთობია. ირანში 10-18 მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგის მქონე ხუთი საბადოა. რეგიონში მდებარეობს 24 *სუპერგიგანტური საბადო* თითოეულში 5 და მეტი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგით.

ცხრილი 2.1. ნავთობის მარაგი, მისი წილი მსოფლიო მარაგში და მოპოვება

ქვეყნები	სამრეწვ. მოპოვებ. დაწყების წელი	დაზუსტებული მარაგი 2010 წ. ბოლოს		მოპოვება (წლები) მლნ. ტონა		
		მლრდ. ტონა	წილი %	1965	1995	2010
საუდის არაბეთი	1938	36,3	19,1	111,0	438,4	467,8
ირანი	1912	18,8	9,9	95,7	185,5	203,2
ერაყი	1934	15,5	8,3	64,7	26,0	120,4
ქუვეითი	1946	14,0	7,3	119,0	104,9	122,5
გას	1963	13,0	7,1	13,6	111,5	130,8
კატარი	1949	2,7	1,9	11,2	21,1	65,7
ომანი	1967	0,7	0,4	–	42,8	41,0
ეგვიპტე	1911	0,6	0,3	6,5	46,6	36,0
იემენი	1985	0,3	0,2	–	16,7	12,5
სირია	1968	0,3	0,2	–	29,6	19,1
რეგ. სხვა ქვეყნები		0,01	0,0	3,0	2,4	1,7
მთელი რეგიონი		102,4	54,7	424,7	1024,5	1220,7

წყარო: BP, Statistical Review of World Energy, 2011

რეგიონში ნავთობის სიიაფეს განაპირობებს ისიც, რომ მოპოვება ხშირად დაუსახლებელ ადგილას ხდება, უდაბნოში.

მილსადენის მშენებლობა არ მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ანდა განაშენიანებული ადგილების გადაკვეთას; მნიშვნელობა ენიჭება იაფ მუშახელსაც – აზიის ქვეყნებიდან მოსული მუშები აქ ნაკლებ ხელფასს ღებულობენ, ვიდრე მენავთობეები აშშ-სა ან დასავლეთ ევროპაში.

ყველა ამ ფაქტორმა ერთად განაპირობა სპარსეთის ყურის დასავლეთ ნაპირზე ნავთობის დაბალი თვითღირებულება. XX საუკუნის ბოლოს თითო ბარელის მოპოვება აქ საშუალოდ 1-3 დოლარი ჯდებოდა, მაშინ, როცა ნავთობის ყველაზე იაფად მოპოვება, მაგალითად, აზერბაიჯანში, 6-7 დოლარი, ხოლო ჩრდილოეთ ზღვაში – 15 დოლარზე მეტი. სულ რამდენიმე წლის შემდეგ ეს მაჩვენებლები მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ პროპორცია შენარჩუნდა.

ახლო აღმოსავლეთში ნავთობის მოპოვების მოკლე ისტორია, რომელიც მჭიდროდ გადაეჯაჭვა გეოპოლიტიკას, ასეთია:

1908 წელს სამხრეთ ირანში, *მასჯედ-ე-სოლეიმანის* მახლობლად, ჭაბურღილიდან პირველად ამოხეთქა ნავთობმა. მაშინვე შეიქმნა „ანგლო-სპარსული სანავთობო კომპანია" (1935 წელს მას „ანგლო-ირანული სანავთობო კომპანია" ეწოდა;1954 წლიდან ესაა *„ბრიტიშ პეტროლიუმი"*). ამ კომპანიის მთავარი აქციონერი 1914 წლიდან, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების იმდროინდელი მინისტრის *უინსტონ ჩერჩილის* დაჟინებული მოთხოვნით, გახდა დიდი ბრიტანეთის მთავრობა. 1910-13 წლებში კომპანიამ ააგო ნავთობსადენი სპარსეთის ტერმინალ *აბადანამდე*, სადაც 1913 წელს გაიხსნა ახლო აღმოსავლეთში პირველი და, დიდხანს, მსოფლიოში უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. 1934 წელს დაიწყო ნავთობის სამრეწველო მოპოვება და ექსპორტი *ერაყიდან*. 1932 წელს აღმოაჩინეს ნავთობი *საუდის არაბეთში*: 1938 წელს იქ მისი სამრეწველო მოპოვება დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომამდე ნავთობის ძირითადი მწარმოებლები მხოლოდ *ირანი* და *ერაყი* იყვნენ. 1940-იანი წლების დასაწყისში მთელი რეგიონი მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის სულ 5 პროცენტს აწარმოებდა. 1946 წლიდან დაიწყო ნავთობის მოპოვება *ქუვეითში*. მალე აღმოჩნდა, რომ ნავთობით ასევე მდიდარია უდაბური და ხალხმცირე საამიროები *აბუ-დაბი* და *დუბაი* (მომავალი *გაერთიანებული არაბული საამიროების* წევრები).

ამ პერიოდიდან მოყოლებული „ახლო აღმოსავლეთი" სულ უფრო მეტადაა გაიგივებული „ნავთობთან".

1920-1940-იან წლებში არაბულ ქვეყნებში გაიცა დიდი კონცესიები ნავთობის ძიებისა და მოპოვებისათვის. მთავარ კონცესიონერებად იქცა შვიდი უმსხვილესი სანავთობო კომპანია, რომელთაც ირონიულად „შვიდ დას" უწოდებდნენ. ეს კომპანიებია Standard Oil of New Jersey (1972 წლიდან – Exxon, ევროპაში მარკეტინგისას – Esso); Royal Dutch Shell Group; Texaco; Standard Oil of California (ასევე ცნობილი, როგორც Socal, ხოლო მარკეტინგისას – როგორც Chevron); Mobil; Gulf; British Petroleum. მეოცე საუკუნის ბოლოს ერთმანეთს შეერწყა *ექსონი* და *მობილი* (შექმნეს ExxonMobil) და *შევრონი* და *ტექსაკო* (Chevron Texaco).

გარდა ჰოლანდიურ-ბრიტანული *როიალ დაჩ შელისა* და ბრიტანული *ბრიტიშ პეტროლიუმისა*, სხვა ხუთი კომპანია ამერიკული იყო. ეს გარკვეულად განმარტავს გეოპოლიტიკურ ინტერესებს რეგიონში.

ამ კომპანიებმა 1930-იან წლებში შექმნეს *კარტელი*, პრაქტიკულად მოსპეს კონკურენცია და ადგილობრივ მთავრობებს თავს მოახვიეს თავიანთთვის ხელსაყრელი შემოსავლის განაწილებისა და დაბალი ფასების რეჟიმი. ასეთმა მდგომარეობამ 1970-იან წლებამდე გასტანა.

კონცესიებთან დაკავშირებული სიტუაცია ამჟამად შეცვლილია. ყოფილი „შვიდი დის“ გვერდით რეგიონში ნავთობის ძირითადი მომპოვებლები XXI საუკუნეში ხდებიან ადგილობრივი, აგრეთვე ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, იტალიის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების კომპანიები.

1950 წელს რეგიონი აწარმოებდა მსოფლიო ნავთობის 15 პროცენტს, 1960 წელს – 25 პროცენტს. წარმოების უმაღლესი წილი მიღწეულ იქნა 1979 წელს, როდესაც რეგიონში მსოფლიო ნავთობის 40 პროცენტი მოიპოვეს. მაგრამ შემდგომში მისმა წილმა დაიკლო და 2000-2011 წლებში ის დაახლოებით 32 პროცენტს შეადგენს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მეტი ნავთობი მოიპოვება, ვიდრე ცალკე საუდის არაბეთში ან ირანსა და ქუვეითში ერთად. ჩინეთის ნავთობის მარაგი მეტია, ვიდრე სირიის, ეგვიპტის, ომანისა და იემენის ერთად აღებული მარაგები. ჩინეთი წლიურად იმდენივე ნავთობს მოიპოვებს, რამდენსაც ირანი, მაგრამ ხალხმრავალ და სწრაფად განვითარებად ჩინეთს ეს არ ჰყოფნის!

ნავთობის მოპოვების მოცულობა და მსოფლიო ბაზარზე მისი მიწოდება მჭიდროდაა დაკავშირებული ფასების პოლიტიკასთან.

მთელი ასი წლის განმავლობაში, 1870-იანი წლებიდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე, ნავთობის საშუალო მსოფლიო ფასი არასოდეს გადასცილებია 2 აშშ დოლარს ბარელისათვის. მის ფასზე არ ზემოქმედებდნენ არც მსოფლიო, არც ლოკალური ომები და არც ეკონომიკური კრიზისები. ფაქტობრივად, ინფლაციის გათვალისწინებით, ნავთობი იაფდებოდა კიდეც, რადგან ბარელი ნავთობისათვის, მაგალითად, 1913 წელს გადახდილი ერთი დოლარი 2010 წლის მსყიდველობითი უნარის პარიტეტით 20 დოლარს უდრიდა, ხოლო 1970 წელს გადახდილი 1,8 დოლარი – 10 დოლარს (იმავე 2010 წლის პარიტეტით). მთელი 1950-60-იანი წლების განმავლობაში ბარელი ნავთობი სტაბილურად ღირდა 1,8 დოლარი, რასაც ზემოხსენებული კარტელი უდგა გარანტად.

ხელოვნურად შემცირებული ფასების პოლიტიკასთან საბრძოლველად 1960 წელს საუდის არაბეთმა, ქუვეითმა, ერაყმა, ირანმა და ვენესუელამ შექმნეს *ნავთობის ექსპორტერი ქვეყნების ორგანიზაცია* (Organization of Petrol Exporting Countries), შემოკლებით OPEC-ი. შემდგომში *ოპეკ*-ს შეუერთდნენ კატარი, გას-ი, ხოლო რეგიონს გარედან – ლიბია, ალჟირი, ნიგერია, ინდონეზია, ეკვადორი, ანგოლა, გაბონი (ეს უკანასკნელი 1995 წელს *ოპეკ*-იდან გავიდა).

1965 წლამდე რეგიონში მიღებული იყო მოგების გაყოფის პარიტეტული სისტემა: კომპანიები უხდიდნენ ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მთავრობებს ექსპორტიდან მიღებული მოგების ნახევარს. *ოპეკ*-ის წევრებმა თავისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები მოითხოვეს და მოიპოვეს კიდეც.

1970-იან წლებში დაიწყო ნავთობის საბადოების ნაციონალიზაციის

პროცესი და შემოსავლების განაწილების ახალი სისტემის დამკვიდრება. ამავდროულად, გაიზარდა ნედლი ნავთობის ფასი.

ნავთობის მსოფლიო „ფასების რევოლუცია“ პირველად 1973 წელს მოხდა. იმ წლის ოქტომბერში ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომმა („იომ-ქიფურის“ ომი) ბიძგი მისცა არაბული ქვეყნების ემბარგოს „პროისრაელურ“ აშშ-სა და ნიდერლანდებში ნედლი ნავთობის გატანაზე. ამას მოჰყვა პანიკა მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე და, შესაბამისად, ფასის უკონტროლო ზრდა. 1974 წლის ბოლოსათვის ერთი ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 1970 წლის დონესთან შედარებით თითქმის ექვსჯერ გაიზარდა და 11,58 აშშ დოლარს მიაღწია (2010 წლის ფასებით ეს 51 დოლარს უტოლდება). შემდეგ ნედლი ნავთობის ფასი მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა და ახალ პიკს მიაღწია მხოლოდ 1980 წელს, როდესაც ირანის ისლამური რევოლუციისა და მალევე დაწყებული ერაყ-ირანის ომით გამოწვეულმა პანიკამ ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 36,83 დოლარამდე აიყვანა (2010 წლის ფასებით ეს 96 დოლარს უტოლდება). ნედლი ნავთობის ფასი კარგა ხანს აღარ გაზრდილა, ხოლო 1980-იანი წლების მეორე ნახევარში 16-18 დოლარამდეც კი ჩამოვიდა, რამაც, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტზე ორიენტირებული საბჭოთა ეკონომიკის კრახს, გორბაჩოვისეული *„პერესტროიკის“* ჩავარდნას და, საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის დაშლას.

სტაბილური ფასი ნედლ ნავთობზე 1990-იან წლებშიც შენარჩუნდა, ხოლო 1998 წელს 12,72 დოლარამდე დაეცა (ამას რუსეთში მოჰყვა დეფოლტი და ეკონომიკური კრიზისი).

მაგრამ XX საუკუნის დასაწყისიდან ნავთობის ფასმა ისევ დაიწყო ზრდა და 2008 წლის ივლისში მოხსნა ყველა რეკორდი – ბარელის ფასი 147 დოლარი გახდა! თუმცა, მალევე დაწყებულმა მსოფლიო საბანკო-საფინანსო კრიზისმა, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკა მკვეთრად დაასუსტა, ნავთობის ფასიც დასცა. ორიოდე წლის შემდეგ ფასმა მაინც აიწია და 2011 წლის სექტემბრისათვის 115-120 აშშ დოლარს მიაღწია (ოღონდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს დასუსტებული დოლარია!)

საერთო ჯამში, ფასის მატებამ ნავთობზე (მოგვიანებით კი – გაზზეც) გამოიწვია მსოფლიო ისტორიაში სიმდიდრის ჯერ არნახული გეოგრაფიული გადანაწილება: სპარსეთის ყურის უდაბური, ხალხმცირე, ღარიბი საშეიხოები და საამიროები მოულოდნელად თავს დატეხილმა შემოსავალმა მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებად აქცია.

ნავთობის ექსპორტმა საუდის არაბეთს 1962 წელს მოუტანა 410 მილიონი აშშ დოლარი, 1972 წელს – 2,7 მილიარდი. უკვე 1974 წელს, ფასის ზრდის გამო, ამ სახელმწიფოს შემოსავალმა 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 1981 წელს 113 მილიარდი შეადგინა. ნავთობის მსოფლიო ფასის დაცემის გამო 1984 წელს საუდის არაბეთმა „მხოლოდ“ 43

მილიარდი დოლარი მიიღო, მაგრამ შემდგომში მდგომარეობა მისთვის გამოსწორდა: 2000 წელს *საუდის არაბეთის შემოსავალმა ნავთობის ექსპორტისაგან* 72 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო 2010 წელს – 210 მილიარდზე მეტი. 2011 წელს, შეფასებით, *ირანის სანავთობო შემოსავალს* 97 მილიარდი დოლარი უნდა შეედგინა [Tehran Times, July 11, 2011]. პატარა *კატარს* იმავე წელს 50 მილიარდზე მეტი დოლარი უნდა მიეღო გათხევადებული გაზისა და ნავთობის ექსპორტისაგან.

სიმდიდრესაც ახლავს პრობლემები. მას შემდეგ, რაც არაბული ქვეყნების მმართველები დაეჩვივნენ დიდ ხარჯებს, მრავალმილიარდიანი შემოსავლის ერთგვარი შემცირებაც კი კრიზისს აჩენს და სოციალურ უკმაყოფილებას იწვევს. გარდა ამისა, დოლარის კურსის დაცემა დიდ შემოსავალსაც საგრძნობლად აუფასურებს.

მიუხედავად ასეთი „პრობლემებისა", ფაქტია, რომ ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები არაჩვეულებრივად გამდიდრდნენ და თვითონ იქცნენ მსხვილ ინვესტორებად, მათ შორის იმავე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (ყოფილი „კოლონიური ბატონების"), შედარებით მდგრად ეკონომიკაში, რომლებიც არაბულ და ირანულ გაძვირებულ ნავთობს მოიხმარენ.

რეგიონის ნავთოგადამამუშავებელი სიმძლავრეები მსოფლიო ფონზე მცირეა (სულ 8,7 პროცენტი). ახლო აღმოსავლეთში მოპოვებული ნავთობის მხოლოდ მცირე ნაწილი მოიხმარება რეგიონშივე (მთავარი იმპორტიორი თურქეთია, რომელსაც საკუთარი ნავთობი უმნიშვნელო მოცულობით აქვს). აქ მოპოვებული ნედლი ნავთობის უდიდესი მომხმარებლები მსოფლიოს სხვა რეგიონები არიან: აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნები (იაპონია, ჩინეთი, სინგაპური, კორეა, ავსტრალია და სხვ.), სადაც მიემართება ნავთობის 56 პროცენტი, ინდოეთი – 14, დასავლეთ ევროპა –13, აშშ – 9 პროცენტი.

2010 წელს ახლო აღმოსავლეთიდან გაიტანეს სამ მილიარდ ტონაზე მეტი ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები.

მილსადენი ტრანსპორტი რეგიონში ფართოდაა გავრცელებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება *საერთაშორისო ნავთობსადენებს*, რომლებსაც რამდენიმე ქვეყნის საზღვრის გადაკვეთა უხდებათ (იხ. ნახ. 2.1). ეს ყოველთვის უკავშირდება განსხვავებულ პოლიტიკურ ინტერესებს. ამ მხრივ საინტერესოა სირიის, იორდანიის, ერაყის მაგალითები.

იორდანიისა და სირიის ტერიტორია გამოიყენებოდა ნავთობის ტრანზიტისათვის. მაგრამ, რამდენადაც 1950 წელს ექსპლუატაციაში შესული საუდის არაბეთის აღმოსავლეთ რაიონიდან წამოსული 1700-კილომეტრიანი „ტეპლაინი" (Trans-Arabian Pipeline) გადიოდა *სირიის გოლანის მაღლობზე*, რომელიც 1967 წლიდან ისრაელის მიერაა ოკუპირებული, მისი გამოყენება შეწყდა. ეს მილსადენი ახლა გაუქმებულია.

სირიაზე გადიოდა ნავთობსადენი ჩრდილოეთ ერაყის *ქირქუკიდან*

სირიის ტერმინალ *ბანიასამდე* და ლიბანის ტერმინალ *ტრიპოლიმდე*. მილსადენი ხშირად იკეტებოდა ან გამოდიოდა მწყობრიდან. 1956 წელს ის სირიამ დაკეტა (იმ დროს მილსადენი ერთ ტრანსნაციონალურ კომპანიას ეკუთვნოდა და ამ აქტით სირიას უნდოდა „დაესაჯა" დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ისრაელი ეგვიპტის წინააღმდეგ დაწყებული ომის გამო). როდესაც 1971 წელს ერაყმა მოახდინა „ერაყის ნავთობის კომპანიის" ნაციონალიზაცია, სირია თავის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენის მონაკვეთის მფლობელი გახდა. 1976-79 წლებში ეს მილსადენი არ მუშაობდა ტრანზიტის ფასის შეუთანხმებლობის გამო. 1980-1988 წლების ერაყ-ირანის ომის დროს, როდესაც სირია ირანს უჭერდა მხარს, ეს მილსადენი ისევ დაიხურა. 2000 წელს სირიამ აღადგინა იგივე მილსადენი და ფაქტობრივად ხელს უწყობდა სადამ ჰუსეინის მიერ გაეროს მიერ დაწესებული სანქციებისათვის თავის არიდებას.

ნახ. 2.1. ნავთობის ბუდობები და ძირითადი ნავთობსადენები ახლო აღმოსავლეთში



ერაყი, რომელსაც ვიწრო გასასვლელი აქვს ზღვაზე (ის სულ 58 კილომეტრის მანძილზე გადის სპარსეთის ყურეში) დიდადაა დამოკიდებული ნავთობის ტრანზიტზე სხვა ქვეყნების ტერიტორიის გავლით. 1934 წლიდან მცირე დიამეტრის მილსადენი მიდიოდა *ქირქუკიდან პალესტინასა (ხაიფა)* და *ლიბანში (ტრიპოლი)*. 1948 წელს ისრაელთან არაბული ქვეყნების ომის დაწყებისთანავე დაიხურა ამ მილსადენის ხაიფას განშტოება.

რადგანაც სირია პრობლემებს უქმნიდა ერაყის ნავთობის ექსპორტს საკუთარი ტერიტორიის გავლით, 1975-1977 წლებში ჩრდილოეთ ერაყის ნავთობის საექსპორტოდ გასატანად გაყვანილ იქნა 980 კმ სიგრძის მილსადენი თურქეთის ტერიტორიაზე, სირია-თურქეთის საზღვრის პარალელურად. ნავთობმა დინება აქ დაიწყო 1977 წელს. ეს მილსადენი რამდენჯერმე ააფეთქეს თურქეთში მოქმედმა ქურთმა სეპარატისტებმა, ხოლო 1991 წელს, გაეროს მიერ ერაყისათვის დაწესებული სანქციების გამო, ის საერთოდ დაიხურა. 2003 წელს ამერიკული დახმარებით მილსადენი აღადგინეს.

მეტოქეობა ნავთობის კონტროლისათვის რეგიონის თანამედროვე გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

სანავთობო ინტერესების გავლენა რეგიონისა და მსოფლიოს პოლიტიკურ გეოგრაფიაზე შეიძლება რამდენიმე მაგალითით ვაჩვენოთ:

- სამხრეთ სპარსეთში 1908 წელს აღმოჩენილმა ნავთობმა, რომელიც 1913 წლიდან მდ. შატ ალ-არაბზე მდებარე აბადანის ნავსადგურიდან გაჰქონდათ, განაპირობა დიდი ბრიტანეთის მიერ სამხრეთ ერაყის ოკუპაცია 1914 წლის ბოლოს (იხ. თავი 10);
- იმავე სამხრეთ სპარსეთის ნავთობის საბადოებზე სრული კონტროლის სანაცვლოდ 1915 წელს ბრიტანეთმა რუსეთის იმპერიას „დაუთმო უფლება" კონსტანტინოპოლსა და შავი ზღვის სრუტეებზე (იხ. თავი 9). სხვა საქმეა, რომ ეს უდიდესი გეოპოლიტიკური ძვრა ვერ განხორციელდა პეტროგრადში მომხდარი რევოლუციების გამო;
- სწრაფვა ბაქოს ნავთობსარეწების დაუფლებისაკენ პირველი მსოფლიო ომის ბოლო წელს ოსმალეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ინტერესების განსაკუთრებული შეხლის მიზეზი იყო. ბოლშევიკური რუსეთი 1920 წელს სამხრეთ კავკასიაში დაბრუნდა უპირველესად „ბაქოს ეშხით", რადგან ნავთობის სხვა წყარო რუსეთში მაშინ აღმოჩენილი არ იყო. მოსკოვს სჭირდებოდა ბათუმიც, როგორც ბაქოს ნავთობის მთავარი საექსპორტო ნავსადგური (იხ. თავი 10);
- მოსულის ვილაიეთში დაზვერილმა ნავთობის დიდმა მარაგმა განაპირობა დიდი ბრიტანეთის დაინტერესება, რათა ეს პროვინცია მის სამანდატო ერაყში დარჩენილიყო და არ გადასცემოდა თურქეთის რესპუბლიკას, რაც 1926 წელს იურიდიულადაც გაფორმდა (იხ. თავი 10);

- 1973 წელს არაბული ქვეყნების ემბარგო აშშ-სა და ნიდერლანდისათვის ნავთობის მიწოდებაზე იყო მათი რეაქცია „იომ-ქიფურის ომში" (იხ. თავი 15) ისრაელისათვის გაწეულ დახმარებაზე. ამას მოჰყვა ნავთობის ფასის უპრეცედენტო ზრდა (იხ. ზემოთ). იმ პერიოდში ნავთობის მსოფლიო ფასის მატებამ განაპირობა საბჭოთა კავშირის საექსპორტო შემოსავლის ზრდა და პოტენციური ეკონომიკური კრიზისისათვის თავის დაღწევა;
- 1990-1991 წლების „სპარსეთის ყურის კრიზისი" გამოწვეული იყო ერაყის მცდელობით დაუფლებოდა ქუვეითს მისი ნავთობის უდიდესი მარაგითურთ. ნავთობმიწოდების *status quo*-ს აღსადგენად ამერიკის ხელმძღვანელობით დარაზმულმა კოალიციამ სამხედრო ძალის გამოყენებით გაათავისუფლა ქუვეითი (იხ. თავი 12);
- 2003 წლის ერაყის ომის მიზეზებს შორის არცთუ უკანასკნელი იყო სანავთობო ინტერესები (იხ. თავი 12).
- ნავთობის ექსპორტის მიზნით ფართოდ გამოყენებული მილსადენი ტრანსპორტი ასევე არის ხოლმე პოლიტიკის იარაღი. მაგალითად, 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ ჩრდილოეთ ერაყიდან ისრაელის ნავსადგურ ხაიფაში მიმავალი მილსადენს ტერმინალი შეუცვალეს და ლიბანში გადაიტანეს.

მსოფლიო ეკონომიკა ჯერაც დიდადაა დამოკიდებული ახლო აღმოსავლურ ნავთობზე, ხოლო რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის raison d'etre* მხოლოდ ნავთობით მისი სიმდიდრეა.

რაც შეეხება გაზის *მარაგსა და მის მოპოვებას* რეგიონის ქვეყნებში, მონაცემები მოყვანილია ცხრილში 2.2.

კონვენციური *გაზის* (ბუნებრივისა და თანმხლების) ყველაზე *დიდ მარაგს* რეგიონში ფლობენ ირანი (მსოფლიო მარაგის 15,8 პროცენტი) და მცირე ნახევარკუნძულოვანი სახელმწიფო *კატარი* (13,5 პროცენტი): მათ საზიაროდ აქვთ *„სამხრეთ პარსის"* უდიდესი საბადო, რომლის საზღვაო სექტორის დიდი ნაწილი კატარის მხარეს მდებარეობს. გაზის მარაგის მოცულობით ეს ორი ქვეყანა მხოლოდ რუსეთის ფედერაციას (23,9 პროცენტი) ჩამორჩება.

გაზის მოპოვებით გამოირჩევიან ირანი, კატარი, საუდის არაბეთი, გას-ი და ეგვიპტე.

გაზის ექსპორტის მასშტაბით ახლო აღმოსავლეთი ვერ ახდენს ისეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას მსოფლიოზე, როგორც თავისი ნავთობით. მოპოვებულ გაზს ძირითადად ქვეყნების შიგნით მოიხმარენ, ან ის გათხევადებული სახით გააქვთ ინდოეთში, იაპონიაში, ჩინეთსა და ევროპულ კავშირში. ამერიკამ გაზის იმპორტი შეამცირა, რადგან იქ რენტაბელური გახდა საკუთარი *არაკონვენციური შეილგაზის* მოპოვება.

ცხრილი 2.2. გაზის მარაგი, მისი წილი მსოფლიო მარაგში და მოპოვება

ქვეყნები	დაზუსტებული მარაგი და მისი წილი მსოფლიოში 2010 წელს		მოპოვება (მლრდ კუბ. მ)		
	ტრლნ კუბ. მ	წილი %	1975	1995	2010
ირანი	29,6	15,8	20,3	35,3	138,5
კატარი	25,3	13.5	2,0	13,5	116,7
საუდის არაბეთი	8,0	4,3	2,7	42,9	83,9
გას-ი	6,0	3,2	1,7	31,3	51,0
ერაყი	3,2	1,7	–	–	1,3
ეგვიპტე	2,2	1,2	–	11,5	61,3
ქუვეითი	1,8	1,0	3,2	9,3	11,6
ომანი	0,7	0,4	–	4,1	27,1
იემენი	0,5	0,3	–	–	6,2
სირია	0,3	0,1	–	1,9	7,8
ბაჰრეინი	0,2	0,1	2,1	7,2	13,1
სხვა ქვეყნები	0,2	0,1	1,4	3,4	3,5
მთელი რეგიონი	75,8	41,7	33,3	160,4	522,0

წყარო: BP, Statistical Review of World Energy, 2011

ბოლო პერიოდში გაიზარდა გათხევადებული ბუნებრივი გაზით (Liquified Natural Gas – LNG) მსოფლიო ვაჭრობა: ის მთელი გაზით ვაჭრობის 30 პროცენტს შეადგენს. ამ მხრივ რეგიონში გამოირჩევა კატარი, რომელიც 2006 წლიდან LNG-ის მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელი და ექსპორტიორია.

მილსადენებით ბუნებრივი გაზის საზღვარგარეთ მიწოდება ძირითადად გეოპოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამას ადასტურებს XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის ფედერაციის „გაზის პოლიტიკა".

ახლო აღმოსავლეთში ასეთი „გეოპოლიტიკური მაგალითია" პოტენციურად დიდი მომხმარებელი ისრაელისა და გაზით მდიდარი მეზობელი ქვეყნების ურთიერთობა. ისრაელი ვერ ღებულობს გაზს იმ არაბული ქვეყნებიდან, რომლებთანაც დიპლომატიური ურთიერთობა ჯერაც არ დაუმყარებია; მით უმეტეს, ვერ მიიღებს ის საწვავს მტრულად განწყობილი ირანიდან. ბოლო პერიოდში ისრაელს ხმელთაშუა ზღვის სანაპირო შელფის თავის სექტორში აღმოაჩნდა გაზის გარკვეული რესურსები და იქ გაჩნდა იმედი, რომ შეიძლება აღარ იყოს დამოკიდებული *გაზის იმპორტ ზე ეგვიპტიდან*, მით უმეტეს, რომ იქაურ ექსტრემისტებს პერიოდულად გამოჰყავთ მწყობრიდან ისრაელში მიმავალი გაზსადენი.

გეოპოლიტიკის სხვა მაგალითია ირან-თურქეთის ურთიერთობა

გაზმომარაგების სფეროში. გაზის დიდი მომხმარებელი და პოტენციურად სატრანზიტო ქვეყანა – თურქეთი – ბოლო დრომდე შეზღუდული მოცულობის გაზს ღებულობდა ირანიდან, ვინაიდან გარკვეული რიდი ჰქონდა თავისი უმთავრესი მოკავშირის, შეერთებული შტატებისა. ამერიკას კი 1979 წლიდან არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან და დაჟინებით სთხოვს თავის მოკავშირეებს თავი შეიკავონ ეკონომიკური კავშირურთიერთობისაგან ანტიამერიკულად და ანტიისრაელურად განწყობილ სახელმწიფოსთან. მაგრამ ბოლო პერიოდში თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობა აღარ გამოირჩევა ძველი გულითადობით (ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი) და თურქეთი ეკონომიკურ კავშირებს დამოუკიდებლად ამყარებს. თურქეთი ირანიდან უკვე ღებულობს ქვეყნისათვის საჭირო გაზის 30 პროცენტს, რაც ხელს უწყობს თურქეთის თითქმის სრული დამოკიდებულების შესუსტებას რუსეთიდან შემოტანილ გაზზე. დამატებით მიმდინარეობს „*სამხრეთ პარსის*“ გაზის საბადოდან თურქეთისაკენ მილსადენის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც ირანული გაზი ევროპელ მომხმარებელსაც შეიძლება მიეწოდოს.

მიწის რესურსები და სოფლის მეურნეობა

მიწა სოფლის მეურნეობისათვის უმთავრესი რესურსია. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთი, მიუხედავად დიდი საერთო ფართობისა, თანამედროვე *ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის* საჭირო ნაყოფიერი მიწით მდიდარი არაა. ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს უჭირავთ: მათი გამოყენება მხოლოდ *ექსტენსიური მეცხოველეობისათვის* თუ შეიძლება. რეგიონის ჩრდილოეთი ნაწილი ძირითადად მთიანია, სადაც ნაკვეთები მცირეა ან ძალიან დახრილი.

ამავე დროს, მის ტერიტორიაზე უძველესი ცივილიზაციების გაჩენა მიწის რესურსებთან (და ჰავასთან) იყო დაკავშირებული. „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ განიერი ზოლი მსოფლიო ისტორიაში გარდატეხის ცენტრი გახდა: აქ მოხდა „*ნეოლითური რევოლუცია*“ – სოფლის მეურნეობის წარმოშობა. ნეოლითის ხანაში, მრავალი საუკუნის განმავლობაში სწორედ აქ და გარშემო – უფრო ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მდებარე მთიან რაიონებში, ხდებოდა შინაური ცხოველების – ცხვრის, თხის, ღორის, ძროხის – *დომესტიკაცია* (მოშინაურება), ხორბლის ორი სახეობის, ქერის, ოსპის, ფეტვის, მუხუდოს, ვაშლის, მსხლის, ატმის, ყურძნის „კულტურაში შეყვანა“. შუმერული და ძველეგვიპტური ცივილიზაციები ვერ წარმოიშობოდნენ, იქ რომ საკმაო ფარ-

თობის ნაყოფიერი მიწა არ ყოფილიყო, რომლის მორწყვის საშუალებას იქვე გამდინარე მდინარეები მისცემდნენ. აღმოსავლეთ ანატოლიისა და ზაგროსის მთების ხეობები და მთათაშორისი დადაბლებები ისტორიულ წარსულში საკმაოდ კარგი სამეურნეო ბაზა იყო იმ დროს შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობისათვის.

ცხრილი 2.3 წარმოდგენას გვიქმნის თუ ფართობის რა წილია გამოყენებული თითოეულ ქვეყანაში XXI საუკუნის დასაწყისში *სახნავ-სათესად*, ანუ ძირითადად ერთწლიანი კულტურების – მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების მოსაყვანად და *მრავალწლიანი მცენარეების გასაშენებლად*: ძირითადად ესენია ციტრუსები და ზეთისხილი – ხმელთაშუა ზღვის სანაპირო რაიონებში, ხეხილი და ვაზი – მაღლობ ადგილებში, ფინიკის პალმა – უდაბნოს ოაზისებში და სამხრეთ ნაწილში მდინარეების პირად, თხილი და ჩაი – შავი და კასპიის ზღვის სანაპიროებთან.

ვინაიდან რეგიონის ჰავა ძირითადად არიდული ან სემი-არიდულია, მცენარეებს ესაჭიროებათ მორწყვა. იმავე ცხრილში მითითებულია რა ფართობი უჭირავს თითოეულ ქვეყანაში სარწყავ მიწას.

ცხრილი 2.3. სახნავ-სათესი, მრავალწლიანი ნარგავები და სარწყავი მიწა (წილი ქვეყნის მთელ ფართობში)

ქვეყნები	სახნავ-სათესი %	მრავალწლიანი ნარგავები %	სარწყავი ფართობი % და (კვ.კმ)
ბაჰრეინი	2,82	5,63	5,26 (40)
გას-ი	0,77	2,27	2,75 (2300)
ეგვიპტე	2,92	0,5	3,53 (35300)
ერაყი	13,12	0,61	8,04 (35250)
თურქეთი	29,81	3,39	6,65 (52150)
იემენი	2,91	0,25	1,29 (6800)
იორდანია	3,32	1,18	0,92 (820)
ირანი	9,78	1,29	5,46 (89930)
ისრაელი	15,45	3,88	10,83 (2250)
კატარი	1,64	0,27	1,12 (130)
კვიპროსი	10,81	4,32	4,97 (60)
ლიბანი	16,35	13,75	8,60 (900)
ომანი	0,12	0,14	0,19 (590)
ს/არაბეთი	1,67	0,01	0,81 (17310)
სირია	24,8	4,47	7,32 (13560)
ქუვეითი	0,84	0,17	0,56 (40)

ზოგადად მთელ რეგიონში *მიწის გამოყენებას* დაბალი ინტენსიობა ახასიათებს, რისი ძირითადი მიზეზია ძალიან მშრალი კლიმატი. ამასთან, უდაბნოშიც არის ოაზისები, ხოლო ნავთობით მდიდარ ქვეყნებს შეუძლიათ ხელოვნური ოაზისები შექმნან გამტკნარებული წყლის გამოყენებით. ჰაერიდან (ან კოსმოსიდან) გადაღებულ ფოტოებზე *საუდის არაბეთში, გას*-ში, *ქუვეითში, კატარში* უდაბნოში მოჩანს მწვანე წრეები, რომლებსაც ქმნის წრიული მორწყვის სისტემა.

საუდის არაბეთში მთელი ტერიტორიის სულ 0,8 პროცენტი ირწყვება, მაგრამ აბსოლუტური მაჩვენებლებით ეს 17 ათას კვ. კილომეტრზე მეტია, ანუ მთელი ქუვეითის ფართობს სჭარბობს. ამ მიწაზე საუდის არაბეთში აწარმოებენ ქვეყნისათვის საჭირო ხორბლისა და ბოსტნეულის დიდ ნაწილს. მას შეუძლია ხორბალი საექსპორტოდაც კი გაიტანოს, ხოლო ადგილობრივი ტომატის წვენი სასმელ წყალზე იაფად გაყიდოს.

აბსოლუტური მაჩვენებლებით ყველაზე მეტი სარწყავი ფართობი აქვს *ირანს*, შემდეგ მოდიან *თურქეთი, ეგვიპტე* და *ერაყი*.

ირანის შუა ნაწილში დიდი ფართობი უჭირავთ უდაბნოებსა და ნახევარუბნოებს. მიწათმოქმედებისათვის ტერიტორიის სულ 11 პროცენტი გამოიყენება, აქედან ირწყვება ნახევარი, მაგრამ აბსოლუტური მაჩვენებლებით (90 ათასი კვ. კმ) ირანის სარწყავი მიწის ფართობი მთელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიდია! ირანი ძველი სამიწათმოქმედო კულტურის მხარეა. იქ დღემდე იყენებენ ათასწლეულების წინ გამოგონილ მიწისქვეშა არხების (*ქიარი ზების*) სისტემას. გავრცელებულია ხორბალი, ქერი, პარკოსნები, ბამბა, თამბაქო. მოჰყავთ სუფრის ყურძენი (ღვინის დაყენებას ისლამი კრძალავს). ირანის კასპიისპირეთში გაშენებულია ციტრუსები და ჩაის პლანტაციები.

თურქეთსა და *სირიაში*, სადაც სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა მეტ-ნაკლებად მსგავსია, სახნავ-სათესად და მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად გამოიყენება მიწის 29-33 პროცენტი. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ბამბა, თამბაქო, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი. მრავალწლიან ნარგავებში ჭარბობს ზეთისხილი, ციტრუსები, მრავალი ჯიშის კონტინენტური ხეხილი, ვაზი (მოჰყავთ ძირითადად სუფრის ყურძენი, თუმცა მცირე ნაწილისგან ღვინოსაც წურავენ). თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავრცელებულია თხილი (ის მსოფლიოს უდიდესი მწარმოებელია) და ჩაის კულტურა.

ერაყის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც მიედინება ევფრატი და ტიგროსი, ოდითგანვე იყო ათვისებული სარწყავი მიწათმოქმედებისათვის, მაგრამ უსისტემო მორწყვამ მიწის საგრძნობი ნაწილის დამლაშება გამოიწვია. იქ მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ბრინჯი, ბამბა. ერაყი ფინიკის მსოფლიოში უდიდესი მწარმოებელია. ქვეყნის დასავლეთი ნაწილი სირიის ქვიან უდაბნოს უჭირავს, რომელიც მომთაბარე მეცხოველეობისათვის თუ გამოდგება.

ეგვიპტეში ირწყვება მთელი ტერიტორიის სულ 3,5 პროცენტი – ნილოსის ხეობის გასწვრივ, მის დელტასა და ორიოდე დიდ ოაზისში. ამ ფართობზე – 35 ათას კვ. კილომეტრზე (ეს საქართველოს ტერიტორიის ნახევრის ტოლია) თავმოყრილია ქვეყნის მთელი მოსახლეობა (82 მილიონი) და სამეურნეო საქმიანობის უმეტესობა. ეგვიპტეში მოჰყავთ მაღალხარისხოვანი ბამბა, შაქრის ლერწამი, გაშენებულია ციტრუსები. მარცვლეულში ახლა ძირითადად სჭარბობს ამერიკიდან შემოტანილი სიმინდი, ისტორიულად კი ეგვიპტე ხორბლის დიდი მწარმოებელი იყო. მეცხოველეობის საკვები ბაზა ეგვიპტეში ძალიან შეზღუდულია.

ლიბანში სამიწათმოქმედოდ გამოიყენება მიწის 30 პროცენტი. წამყვანია ციტრუსები და ზეთისხილი – დაბლობ ადგილებში, ვაშლი, ვაზი – მაღლობზე.

ისრაელში მიწის 20 პროცენტამდე აითვისეს მიწათმოქმედებისათვის. ძირითადია ციტრუსები, ზეთისხილი, ბოსტნეული, პირუტყვის საკვები კულტურები. ამ ქვეყანაში ირწყვება მთელი ფართობის 11 პროცენტი: რეგიონში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. წყალი ისრაელში ძალიან ძვირია, მას ეკონომიურად ხარჯავენ, სწორედ ისრაელში მოიგონეს მცენარეების წვეთოვანი მორწყვა. სამაგიეროდ მოსავალია უხვი! ეს ქვეყანა სანახევროდ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მარაგდება, მაშინ როცა სოფლის მეურნეობაში მუშახელის სულ 2 პროცენტია დასაქმებული.

მეცხოველეობა რეგიონში უპირატესად ექსტენსიურ, მომთაბარე ან ნახევრად-მომთაბარე ხასიათს ატარებს. ყველგანაა გავრცელებული მეცხვარეობა, რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში – მსხვილფეხა რქოსანი მეცხოველეობა. თურქეთის ცენტრალური ანატოლია თავისი ბუნებრივი პირობებით ხელსაყრელია გრძელბეწვიანი *ანგორის თხის* მოსაშენებლად: მისი ბეწვი ცნობილია, როგორც *თივთიკი* ან *მოჰერი*. მელორეობა, რელიგიური შეზღუდვების გამო, პრაქტიკულად არ არსებობს (ამ დარგს მხოლოდ ქრისტიანულ უბნებში თუ შეხვდებით). მეაქლემეობამ მნიშვნელოვანწილად დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა, თუმცა არაბეთის ნახევარკუნძულზე მას მაინც ინარჩუნებენ. *გაერთიანებული არაბული საამიროები* არაბული ჯიშის ცხენების მოშენების ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრია. ბოლო პერიოდში თითქმის ყველა ქვეყანაში შეიქმნა ინდუსტრიული მეფრინველეობა.

წყალი: რესურსების გეოგრაფია და პოლიტიკა

გაბატონებული არიდული და სემი-არიდული კლიმატის გამო წყალი ახლო აღმოსავლეთში ცოტაა. მის სამხრეთ ნაწილში მეჩხერია სამდინა-

რო ქსელი. *ნილოსი* ეგვიპტის ერთადერთი მდინარეა და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მას შენაკადიც არა აქვს. არაბეთის ნახევარკუნძულზე არაა არც ერთი მუდმივი მდინარე, მხოლოდ სეზონური მდინარეების ღრმად ჩაჭრილი მშრალი კალაპოტებია (არაბულად *ვადი*), რომლებშიც ადრე მდინარეები მიედინებოდა, ახლა კი შეიძლება სულ რამდენიმე დღით (ან საათით!) აივსოს წყლით ზამთარში მოსული წვიმის წყალობით.

რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილიდან სპარსეთის ყურეში ჩამდინარე დიდი ირიგაციული და ენერგეტიკული პოტენციალის მქონე მდინარეებია *ევფრატი* (არაბულად *ფურათ-ი*, თურქულად – *ფირათ-ი*) და *ტიგროსი* (არაბულად *დიჯლა*, თურქულად – *დიჯლე*). ორივე მათგანი გაედინება თურქეთის, სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე და სპარსეთის ყურეში ჩადინებამდე ქმნის საერთო მდინარეს – *შატ ალ-არაბს*. მესოპოტამიის სამხრეთი ნაწილი ვაკეა, მდინარეები – მდორე, რეგიონი კი – დაჭაობებული.

ორი ათასი წლის წინ ევფრატი და ტიგროსი, ისევე, როგორც *შატ ალ-არაბის* მარცხენა შენაკადი ირანის მხრიდან, *კარუნი*, ცალ-ცალკე ჩაედინებოდა სპარსეთის ყურეში, რომელიც ბევრად უფრო ღრმად იყო შეჭრილი ხმელეთში. ხუთი-ექვსი ათასი წლის წინ უძველესი შუმერული ცივილიზაცია ზღვისგან შორს არ იყო. შუმერული ქალაქების არქეოლოგიური გათხრები სპარსეთის ყურის ნაპირიდან ასობით კილომეტრის დაშორებით ტარდება. მდინარეების მყარმა ჩამონატანმა ყურის წყალმარჩხი ნაწილი ამოავსო და სამხრეთ შუამდინარეთის ოდინდელი ნავსადგურები „მშრალზე დატოვა“. ამას *სპარსეთის ყურის* გეოლოგიურმა უკუსვლამაც შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ ასევე გაიწია სამხრეთისაკენ *წითელმა ზღვამ*, რომელიც ფარაონების დროს ბევრად უფრო ჩრდილოეთით იყო შეჭრილი.

მცირე აზიის მდინარეებიდან მნიშვნელოვანია *კიზილ-ირმაკი, საკარია, დიდი მენდერესი, გედიზი, სეიჰანი, ჯეიჰანი, ჭოროხი*. დასავლეთ ანატოლიაში, სამხრეთ შუამდინარეთის მსგავსად, ანტიკურობის დიდი საზღვაო ქალაქების, *მილეტისა* და *ეფესის*, ნავსადგურები დაისილა და ისინიც არქეოლოგიურ ძეგლებადღა შემორჩა.

ირანში მნიშვნელოვანი მდინარეებია *კარუნი, სეფიდრუდი, ზაიენდერუდი*. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ირანს სომხეთთან და, ნაწილობრივ, აზერბაიჯანთან სასაზღვრო მდინარედ აქვს *არეზი (არაქსი)*. ლიბანში უდიდესი მდინარეა *ნაჰრ ალ-ლიტანი*, სირიაში (ევფრატის შემდეგ) – *ნაჰრ ალ-ასი*. ისრაელსა და იორდანიას გამყოფად აქვს მდინარე *იორდანე*.

ყველა ზემოხსენებული მდინარე ფართოდ გამოიყენება საირიგაციო მიზნებისათვის. ამის გამოა, რომ, მაგალითად, მდინარე *იორდანე* ვეღარ აღწევს თავის შესართავს, *მკვდარ ზღვას*, რომელსაც ძირითადად მისი წყალი კვებავდა. 1965-1995 წლებში მკვდარ ზღვაში წყლის მოცულობა 25 პროცენტით შემცირდა; მისი სარკე, ისედაც ყველაზე დაბალი დედა-

მიწაზე (-415 მეტრი მსოფლიოს ოკეანის დონიდან), თანდათან კიდევ უფრო დაბლა ეშვება.

ბევრი მომცრო მდინარე, რომლებიც ხშირად რუკაზეც კი არ აღინიშნება, რომელიმე ოაზისის ერთადერთი მაცოცხლებელი წყაროა. ასეთია, მაგალითად, მდინარე *ბარადა*, რომელიც დამასკოს ოაზისს რწყავს. სოფლების დიდი ნაწილი მდებარეობს ოაზისებში ან მთისწინებში, სადაც არის სასმელი და სარწყავი წყალი ადგილობრივი წყაროების სახით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გრუნტის წყლებს, რომლებიც უდაბნოების ზონაში ხშირად სასმელი წყლის ერთადერთი რესურსია.

რეგიონის უდიდესი ტბები მლაშეა (*ვანი* და *თუზი* – თურქეთში, *ურმია* – ირანში, *მკვდარი ზღვა* – ისრაელსა და იორდანიაში). ზოგი მათგანის მარილები გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაში.

პატარა ტბებიდან აღნიშვნის ღირსია ამჟამად მთლიანად ისრაელის ტერიტორიაზე მდებარე *კინერეთის ტბა* (მისი ისტორიული სახელებია *ტიბერიადის ტბა, გენისერეთის ტბა, გალილეის ზღვა:* მის ნაპირზე ქადაგებდა იესო ქრისტე), რომელიც პოლიტიკური კონფლიქტის წყაროცაა: 1967 წლამდე მის ნაპირზე სირიაც გადიოდა (იხ. თავი 12). ეს ტბა მტკნარი წყლის მთავარი რეზერვუარია ისრაელისათვის.

გასული საუკუნის განმავლობაში დედამიწაზე წყლის მოხმარება გაშვიდმაგდა, ხოლო მრეწველობა 2000 წელს 30-ჯერ მეტ წყალს მოიხმარდა, ვიდრე 1900 წელს. მაგრამ მთავარი მომხმარებელი ისევ სოფლის მეურნეობაა: ბუნებრივი რეზერვუარებიდან (მდინარეები, ტბები, მიწისქვეშა წყალი) მომდინარე წყლის 2/3-ს ეს დარგი მოიხმარს. წყლის რესურსების სიმცირე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემაა რეგიონში. ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, აქაც მტკნარი წყლის რესურსები შეფარდებით მცირდება და მისი ხარისხი ეცემა [Soffer, 1999; Wihbey & Berman, 2000].

განახლებადი წყლის მარაგი ახლო აღმოსავლეთში 1960-იან წლებში ერთ სულზე/წლის განმავლობაში იყო 3300 კუბური მეტრი. 1996 წლისათვის იგივე მაჩვენებელი დაეცა 1250 კუბურ მეტრამდე [Sela, 1999, 891] (იხ. ცხრილი 2.4). *თუკი ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 2000 კუბურ მეტრზე ნაკლებია, ასეთ ქვეყანას წყალმცირედ მიიჩნევენ.* არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნები სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება. იქ ძირითადად გრუნტის წყლებს იყენებენ ან გამტკნარებულ ზღვის წყალს.

რეგიონში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო შეიძლება მივიჩნიოთ წყლით უზრუნველყოფილად. უმრავლესობას წყლის დეფიციტი აქვს.

წყლის უდიდესი რესურსები რეგიონში აქვს *თურქეთს*, მაგრამ ქვეყნის შიგნით ეს რესურსები გეოგრაფიულად ძალიან არათანაბრადაა განაწილებული. წყლის რესურსების უმეტესობა ნაკლებ დასახლებულ აღმოსავლეთ თურქეთშია თავმოყრილი, მაშინ როცა ცენტრალურ ანატოლიასა და სტამბოლის აგლომერაციაში, სადაც მოსახლეობისა და

მრეწველობის დიდი ნაწილია თავმოყრილი, წყლის ნაკლებობაა.

ასევე გეოგრაფიულად უაღრესად არათანაბარია წყლის რესურსების განაწილება *ირანში*, ერაყში, სირიაში, რომელთაც წყალი, ასე თუ ისე, ჰყოფნით. ლიბანსაც ჯერჯერობით საკმარისად აქვს განახლებადი წყლის რესურსები.

წყალმცირე ახლო აღმოსავლეთში წყალი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე რესურსია. იმის გამო, რომ რეგიონის უდიდესი ნაწილი არასაკმარისი დატენიანების ზონაშია განლაგებული, ხოლო არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში საერთოდ არაა მუდმივი მდინარე, ზოგან წყალს ნავთობზე მეტი ფასი აქვს.

წყლის სიმცირე საერთაშორისო კონფლიქტების ფაქტორი ხდება. მთელ მსოფლიოში 261 სამდინარო აუზი ორ ან მეტ ქვეყანას შორისაა გაყოფილი, რაც „წყლისათვის ომის" საფრთხეს ზრდის. სადაც გასაყოფი წყლის სიმცირე და პოლიტიკური უთანხმოება ერთმანეთს ემთხვევა, იქ ასეთი კონფლიქტის რისკი მატულობს.

ცხრილი 2.4. განახლებადი წყლის რესურსები და მათი მოხმარება ახლო აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე

	წყლის გამოყენება სექტორების მიხედვით						
ქვეყანა	წლიური განახლებადი წყლის რესურსები (კუბ/კმ)	მწკრივი წყლის მოხმარება (კუბ/კმ)	განახლებადი წყლის წლიურად ერთ სულზე (კუბ/მ)	მოხმარებული მწკრივი წყალი წლიურად ერთ სულზე (კუბ/მ)	სოფლის მეურნეობაში	მრეწველობაში	საყოფაცხოვრებოდ
თურქეთი	200,7	31,6	1818	317	72	11	16
ირანი	137,5	70,0	2000+	1362	92	2	6
ერაყი	96,4	42,8	5364	4575	92	3	5
ეგვიპტე	86,8	55,1	993	1013	86	8	6
სირია	46,1	14,4	1769	449	94	2	4
ლიბანი	4,8	1,3	1690	271	68	4	28
საუდის არაბეთი	2,4	17,0	170	255	45	8	47
ისრაელი	2,1	1,9	467	447	79	5	16
იორდანია	0,9	1,0	219	923	75	3	22

წყაროები: Sela, 2002; Whihbey and Berman, 2000

ეგვიპტეს, სადაც ერთადერთი მდინარეა ნილოსი, პრობლემები უფრო სამხრეთით განლაგებულ ჩრდილოეთ სუდანთან, სამხრეთ სუდანთან, ეთიოპიასთან ელის, საიდანაც მოდის ნილოსის მთელი ჩამონადენი: საკუთარი წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად ამ ქვეყნებმა უნდა მოიხმარონ ნილოსისა და მისი შენაკადების სულ უფრო მეტი წყალი.

წყლის გამო მეტოქეობამ გამოიწვია მკვეთრი დაპირისპირება *ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს* შორის 1960-იანი წლების შუაგულში. იმ დროისათვის ისრაელმა ააშენა *ეროვნული წყალგამტარი* ჩრდილოეთიდან, *კინერეთის ტბიდან* (რომელზეც მაშინ სირიაც გადიოდა) ქვეყნის სამხრეთის წყალმცირე რაიონებისაკენ. სამაგიეროდ, არაბულმა ქვეყნებმა 1964 წელს დაგეგმეს *კინერეთის* მთავარი წყაროს, მდ. *იორდანეს*, სათავის წყლის შებრუნება ლიბანისაკენ და იორდანეს შენაკადის, მდ. *იარმუკის* გამოყენება იორდანიაში დაპროექტებული *მუხეიბას* წყალსაცავის ასავსებად. ამ პროექტის ბოლომდე მიყვანა ისრაელის ეროვნულ წყალგამტარს თითქმის უწყლოდ დატოვებას უქადდა. ამას მოჰყვა ის, რასაც „წყლისათვის ომი" შეიძლება ეწოდოს. 1965 წელს ისრაელის სამხედრო ავიაციამ საჰაერო დარტყმა მიაყენა თავისი არაბი მეზობლების მშენებარე ობიექტებს და ხელი ააღებინა პროექტის განხორციელებაზე.

1967 წლის „ექვსდღიანი ომის" შემდეგ ისრაელი დაეუფლა კინერეთის ტბის ძირითად წყალშემკრებებს და წყლის პრობლემა თავისთვის გადაჭრა, დროებით მაინც (მოსახლეობის მატებამ მას ისევ გაუჩინა წყლის დეფიციტი).

შეიძლება ითქვას, რომ სირიასა და ისრაელს შორის კონფლიქტის მოუგვარებლობა იმდენად ტერიტორიას არ უკავშირდება, რამდენადაც წყალს. 2000 წელს ისრაელ-სირიის მოლაპარაკება ისევ მიებჯინა წყლის პრობლემას (იხ. თავი 12) და უშედეგოდ დამთავრდა.

თურქეთი და სირია, თურქეთი და ერაყი, სირია და ერაყი, ისრაელი და ლიბანი, ისრაელი და სირია ვერ მორიგებულან წყლის რესურსების გამოყენების საკითხზე.

ლიბანის უდიდესი მდინარე – *ნაჰრ ალ-ლიტანი* – წყლის ერთადერთი მნიშვნელოვანი ნაკადია, რომელიც საერთაშორისო საზღვარს არ კვეთს, მაგრამ სამხრეთ ლიბანის ოკუპაციის დროს (1982-2000წწ) ისრაელში გაისმოდა მოთხოვნა შეეცვალათ მისი დინება სამხრეთისაკენ. საბედნიეროდ, ასეთი ძალადობა ბუნებაზე არ განხორციელებულა.

პრობლემაა წყლის გაყოფა ისრაელსა და პალესტინის ადმინისტრაციას შორის. ისრაელის მიერ მოხმარებული წყლის მესამედზე მეტი მოდის იმ წყალშემკრებიდან, რომელიც „დასავლეთ ნაპირზეა" განლაგებული. პალესტინელები ამ წყალს ვერ იყენებენ: 1967 წლიდან დღემდე მიწისქვეშა წყლის ეს რესურსები მთლიანად ისრაელის კონტროლქვეშაა.

პალესტინელმა, რომელსაც ახალი ჭის გათხრა ანდა ძველის შეკეთება ესაჭიროება, ნებართვა უნდა აიღოს ისრაელის მრავალ დეპარტამენტში, და უფრო მოსალოდნელია, რომ ვერც მიიღებს მას. საშუალო პალესტინელი ხუთჯერ ნაკლებ წყალს მოიხმარს, ვიდრე საშუალო ისრაელელი [Cockburn, 2002].

წყალი არის მოუგვარებელი პრობლემა *სირიისა და თურქეთის ურთიერთობაში*. 1950-იან წლებში სირიაში გადაწყვიტეს კაშხლის აგება მდინარე *ნაჰრ ალ-ასი*-ზე (მისი ევროპული სახელია *ორონტი*), რომელიც ლიბანიდან მოედინება და ხმელთაშუა ზღვას ერთვის თურქეთის ტერიტორიაზე (*ჰათაის ილში*), თურქეთმა წამოაყენა წინადადება, მოლაპარაკება ეწარმოებინათ წყლის გაყოფის თაობაზე. თურქეთი ამას ასაბუთებდა იმით, რომ სირიული პროექტის სრულად განხორციელება ჰათაის ილის გლეხობას აზარალებდა. სირიის მთავრობამ უარყო ეს წინადადება, რადგან თურქეთთან შეთანხმება მდინარე ასის წყლის გაყოფის შესახებ ნიშნავდა, რომ სირიას უარი უნდა ეთქვა თავის პრეტენზიაზე ჰათაის ილის მიმართ (ეს ტერიტორია თურქეთმა 1939 წელს შეიერთა საფრანგეთის თანხმობით, რომელიც მაშინ სირიის მართვის მანდატს ფლობდა. იხ. თავი 10). დამასკოში მაშინ ვერ გათვალეს, რომ თურქეთთან *ნაჰრ ალ-ასის* წყალზე შეთანხმება მოაგვარებდა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, ტრანზიტული მდინარის, *ევფრატის*, წყლის გამოყენების საკითხსაც.

სირიამ ააშენა კაშხალი *ნაჰრ ალ-ასი*ზე თავისი *აბსოლუტური სუვერენული უფლების* („*ჰერმონის დოქტრინის*"[1]) *მოხმობით*. მაგრამ 1960-იანი წლებიდან უკვე მას გაუჩნდა წყლის გაყოფის პრობლემა, როდესაც თურქეთმა დაიწყო კაშხლების მშენებლობა მდინარე ევფრატზე და იმავე *ჰერმონის დოქტრინა*ზე დაყრდნობით არ დაეკითხა სირიას. 1970-იან წლებში სირიამ ამ მდინარეზე ააგო *ტაბკას* კაშხალი თავისი სასოფლო-სამეურნეო და წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად. მაგრამ ამ რეზერვუარის წყლით შევსება ძალიან არის დამოკიდებული იმაზე, თუ მდინარე ევფრატის ჩამონადენის რა ნაწილს გამოუშვებს თურქეთი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი (თურქულად Güneydoğu Anadolu Projesi, შემოკლებით GAP) ითვალისწინებს მდინარეებზე ევფრატსა და ტიგროსზე 22 კაშხლისა და 19 ჰესის მშენებლობას [Soffer, 1999]. როდესაც GAP-ი დასრულდება, ის წლიურად 26 მილიარდ კვტ/სთ ენერგიას გამოიმუშავებს და 1,6 მილიონ ჰექტარ მიწას მორწყავს. ანკარა ამ ამბიციურ პროექტს შიდაპოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებს, რადგან მიიჩნევს, რომ რეგიონში ცხოვრების დონის ამაღლებით

1. 1896 წელს აშშ გენერალური პროკურორის *ჯადსონ პერმონის* მიერ გამოცხადებული *დოქტრინა – „საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი არის ყველა სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე" – ამჟამად ძირითადად გადაფარულია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობისა და მსოფლიო მოქალაქეობის კონცეფციით.*

შეიძლება დაიძლიოს ამ რაიონში ქურთული სეპარატიზმის მკვებავი ეკონომიკური ჩამორჩენილობა [Jung with Piccoli, 2001, 144].

GAP-ის ძალიან ძვირადღირებული პროექტი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა უკვე დაიძაბა. თურქეთის ტერიტორიაზე აგებულმა და მშენებარე კაშხლებმა (მდინარე ევფრატზე – *ქებანი, ათათურქი, კარაკაია, ბირეჯიქი, კარკამიში* და სხვ.; მდინარე ტიგროსზე – *დიჯლე, კრალკიზი, ბათმანი* და სხვ.) მკვეთრად შეამცირა წყლის ხარჯი უფრო ქვემოთ მდებარე სირიასა და ერაყში, რომლებსაც წყალს მოწყურებული საკუთარი რაიონები აქვთ. მარტო ევფრატის შეტბორვით ამ მდინარის ხარჯი შემცირდა 6 მლრდ მ³-ით. *GAP*-ის დასრულების შემდეგ ეს დეფიციტი, ძირითადად, მორწყვისა და აორთქლების გაზრდის გამო, 16 მილიარდ მ³-ს მიაღწევს [Sela, 1999, 898]. დავა უფრო ძლიერი ქვეყნის, ამ შემთხვევაში თურქეთის, სასარგებლოდ წყდება.

ამრიგად, სასაზღვრო მდინარეების გამოყენება გაძნელებულია მეზობელ ქვეყნებს შორის შეუთანხმებლობით. პრობლემა, რომელიც სივრცობრივად იჩენს თავს და ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკურ ურთიერთობაზე ქვეყნებს შორის, თავისი არსით პოლიტიკურ-გეოგრაფიულია.

წყლის გამო დავის პოლიტიკურად მოგვარების, ალბათ, ერთადერთი მაგალითია ისრაელისა და იორდანიის 1994 წელს შეთანხმება, როდესაც მხარეები მორიგდნენ მდ. *იორდანეს* და მისი შენაკადების წყლის გაყოფაზე და დღემდე იცავენ მას.

ზღვის წყლის გამამტკნარებელი ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაცია ძვირია, მაგრამ ნავთობითა და გაზით მდიდარ ქვეყნებს შეუძლიათ ასეთი ფუფუნების უფლება მისცენ თავს. ასეთი ქარხნები უკვე არსებობს სპარსეთის ყურის ქვეყნებში: ქუვეითი და კატარი ამ მიმართულებით ყველაზე წინ არიან. წყლის გამამტკნარებელი ქარხნები აიშენა ისრაელმაც.

თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგალითად ელექტროდიალიზის გზით ზღვის წყლის გამტკნარება (პირველი ასეთი ქარხნის მშენებლობას კომპანია Siemens-ი სინგაპურში 2013 წელს დაამთავრებს [Desalination, 2011]), საგრძნობლად აიაფებს პროცესს და მომავალში შეიძლება საშუალება მისცეს შედარებით ღარიბ ქვეყნებსაც შეამსუბუქონ საკუთარი წყალმომარაგების პრობლემა.

ნაწილი II

სოციალურ-კულტურული გარემო და პოლიტიკა

თავი 3

რეგიონის ზოგადი დემოგრაფიული სურათი

მოსახლეობა, როგორც პოლიტიკის ფაქტორი

მოსახლეობის რაოდენობა, დინამიკა, მიგრაცია, ურბანიზაცია, ლინგვისტური, რელიგიური, ეთნიკური ჯგუფების განლაგება სოციალური და კულტურული გეოგრაფიის კვლევის უშუალო საგანია. ამავე დროს, ასეთმა გეოგრაფიულმა ინფორმაციამ შეიძლება კარგად ახსნას სივრცეში გამოხატული პოლიტიკური პრობლემების მიზეზებიც.

მოვიყვან ორიოდე მაგალითს. მოსახლეობის *სხვადასხვა ეთნო-რელიგიური ჯგუფის განსხვავებული მექანიკური* ან *ბუნებრივი მოძრაობა* (უფრო გასაგები სიტყვებით: გარკვეულ ტერიტორიაზე სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის ადამიანთა ჯგუფების განსხვავებული მატება/კლება მიგრაციისა ან შობადობა/სიკვდილიანობის გავლენით) სავსებით შეიძლება სერიოზულ პოლიტიკურ ფაქტორად იქცეს. ამის მომსწრე ვართ, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შემთხვევაში, როდესაც არაბების მაღალ შობადობას უპირისპირებენ ებრაელების გაძლიერებულ იმიგრაციას ისრაელში (ეს „დემოგრაფიული მეტოქეობა“ საგანგებოდაა განხილული მე-16 თავში). *ეთნო-რელიგიური სხვაობები* ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან და ომისშემდგომ მოწესრიგებაში გასათვალისწინებელ თავისებურებად *ერაყის კრიზისის* დროს (2003 წლიდან).

წინა საუკუნის ბოლოს ფართოდ გავრცელდა ტერმინი **„ცივილიზაციათა შეხლა“**. ამერიკელ პროფესორს, *სემუელ ჰანტინგტონს,* ამ ტერმინის უმთავრეს თეორეტიკოსს [Huntigton, 1996], იმდენად ხშირად აკრიტიკებდნენ თავისი თეორიის გამო, რომ ის ყველაზე პოპულარული მეცნიერი გახდა იმათ შორის, ვინც კულტუროლოგიური პოზიციიდან, ცივილიზაციათაშორისი დაპირისპირებით ცდილობს ახსნას *ცივი ომის* შემდგომი ლოკალური და გლობალური კონფლიქტები.

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ „ცივილიზაციათა შეხლის“ თეორიას შეუძლია ახსნას ყველა კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. ასე მაგალითად, ქურთების პრობლემა თურქეთში, ერაყსა და ირანში, ერაყ-ირანის ხანგრძლივი ომი არანაირად არ უკავშირდება ცივილიზა-

ციათაშორის კონფლიქტს. ისტორიული დაპირისპირება შიიტებსა და სუნიტებს შორის ასევე შიდაისლამური და არა ცივილიზაციათაშორისი კონფლიქტია.

ისრაელ-პალესტინელთა კონფლიქტიც კი, სადაც ერთ მხარეს დგას იუდაიზმის მიმდევარი და მეორე მხარეს – უპირატესად მუსლიმი მოსახლეობის ინტერესები, *უფრო ნაკლებადაა ცივილიზაციების შეხლა და უფრო მეტადაა ბანალური ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი* (ანუ ორი ეთნიკური ჯგუფის დავა ერთი და იმავე ტერიტორიის ფლობისათვის). მაგრამ ეს დაპირისპირება იმდენად უხვადაა შეზავებული მესიანური რიტორიკითა და ნაციონალისტური ლოზუნგებით, ისეთი დონის სისხლიანი ძალადობა ახლავს თან, რომ მთელ მსოფლიოს აშინებს: მას მართლაც შეუძლია მისცეს ბიძგი უფრო დიდ კონფლიქტს, ცივილიზაციათა დონეზეც კი.

ამასთან ერთად, თუნდაც ჰანტინგტონის თეორია ემპირიულ დონეზე ხშირად არ მტკიცდებოდეს, მის ავტორს ვერ დავუკარგავთ იმას, რომ წინ წამოსწია ისეთი ასპექტები, რომლებზეც სხვა მეცნიერები ნაკლებ ყურადღებას ამახვილებდნენ, ან ახალი ინტერპრეტაცია მისცა ბევრ ადრე ცნობილ ფაქტს.

XXI საუკუნის დამდეგს კი *ცივილიზაციათა შეხლის* თეორიას თითქოს ემპირიული დადასტურებაც გაუჩნდა, კერძოდ, *„9/11“*-ის (2001 წლის 11 სექტემბრის) შემდეგ, როდესაც რელიგიურ სხვაობას პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა. როგორც დადგინდა, *ამერიკის შეერთებული შტატების* წინააღმდეგ 2001 წლის 11 სექტემბერს საზარელი ტერორისტული აქტების ჩამდენ 19 თვითმკვლელს შორის 15 საუდის არაბეთიდან იყო, დანარჩენი – ეგვიპტიდან, ხოლო ამ აქტის მომწყობი ანტიდასავლური ტერორისტული ქსელის, *ალ-ქაიდას*, სათავეში მყოფი პირი – *უსამა ბინ-ლადენი*, საუდის არაბეთის ქვეშევრდომი (მართალია, მმართველი დინასტიის მიერ შერისხული: 2011 წელს ამერიკულმა სპეცდანიშნულების რაზმმა ის პაკისტანში მოკლა).

უპირატესად ქრისტიანული ამერიკის წინააღმდეგ უდიდესი ტერორისტული აქტების განმახორციელებელი ყველა პირი მუსლიმი აღმოჩნდა. ბუნებრივია, გაჩნდა იმ ტიპის პუბლიკაციები, სადაც ამტკიცებენ, რომ გამართლებას იწყებს სემუელ ჰანტინგტონის წინასწარმეტყველება *ცივილიზაციათა შეხლის* გარდაუვალობის შესახებ. მაგრამ ამის ოფიციალური აღიარება დადგენილი მსოფლიო წესრიგის საშიშ დარღვევას მოასწავებს.

იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ პოლიტიკური გართულება, ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში ოფიციალური რეაგირების დროს ცდილობენ გვერდი აუარონ ტერორისტული აქტების განმახორციელებლებისა და მსხვერპლის რელიგიურ სხვაობას. იმასაც კი აღნიშნავენ საგანგებოდ, რომ *„9/11“*-ის დროს დაღუპულ 60-ზე მეტი ქვეყნის მოქა-

ლაქე სამი ათასამდე ადამიანს შორის 300-მდე მუსლიმიც ერია.

მაგრამ მასმედიისა და ზოგიერთი მაღალი რანგის პოლიტიკოსის კომენტარები და, მით უმეტეს, ტერორისტების მოქმედებით თავზარდაცემული ბევრი რიგითი ამერიკელის რეაქცია ყოველთვის თავშეკავებულობით არ გამოირჩეოდა. მიუხედავად მცდელობისა, ხსენებული არ ყოფილიყო *ცივილიზაციური კონფლიქტი*, ის მაინც გაჩნდა პუბლიკაციებში. ზოგიერთი ამერიკელი პროტესტანტი პასტორის – ქრისტიანი ფუნდამენტალისტის – უპასუხისმგებლო ქადაგებას, როდესაც აუგად იყო მოხსენიებული მოციქული მუჰამმადი, მოჰყვა საპასუხო ფილიპიკები *მინბარიდან**. დასავლეთის ქვეყნების (განსაკუთრებით – სკანდინავიის) ზოგიერთი გაზეთი ხანდახან ბეჭდავს კარიკატურებს მუჰამმადის შესახებ, რაც მძაფრ პროტესტს იწვევს ისლამურ ქვეყნებში. ამას პოლიტიკური გართულებები ერთვის თან და, საკმაოდ ხშირად, საგრძნობი ეკონომიკური წაგებაც მოაქვს იმ ქვეყნების მწარმოებლებისათვის, სადაც უპასუხისმგებლო კარიკატურისტები და გაზეთის რედაქტორები სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობენ.

დასავლეთში მცხოვრებმა მუსლიმებმა ზოგიერთ შემთხვევაში იგრძნეს დისკრიმინაციის სუსხი. მაგალითად, ისლამურ ქვეყნებში აღშფოთებით აღიქვეს გამკაცრებული ამერიკული საიმიგრაციო და სავიზო რეჟიმი მათი ქვეყნების მოქალაქეთა მიმართ.

უცხოტომელად ყოფნის სიმძიმე იგრძნო როგორც დასავლეთში მცხოვრებმა ბევრმა მუსლიმმა, უპირატესად შემოსულმა ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან, ისე ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებმა ქრისტიანებმა, რომლებიც უპირატესად რეგიონის ავტოქტონები* არიან.

ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული უმცირესობები, რომლებიც ტრადიციულად პროამერიკულ პოზიციაზე დგანან ხოლმე, იძულებული გახდნენ ხმამაღლა განეცხადებინათ თავიანთი აღშფოთება დასავლეთის დისკრიმინაციული პოლიტიკური ნაბიჯების გამო. მაგრამ ეს საქმეს არ შველის. უკვე საკმაოდ დიდი ხანია მათი მუსლიმი თანამემამულეები ეჭვით უყურებენ ადგილობრივ ქრისტიანებს.

ყველა პრობლემის ერთნაირად ახსნის მცდელობა (მაგალითად, კლასთა ბრძოლის პოზიციიდან, რაც მარქსიზმის საყვარელი მიდგომა იყო) საბოლოოდ დოგმატიზმად იქცევა ხოლმე. რეალობა უფრო მრავალფეროვანია.

ახლო აღმოსავლეთის ყველა კონფლიქტის დაყვანა ცივილიზაციათა შეხლამდე არ იქნებოდა სწორი: რეგიონის კონფლიქტები არ ამტკიცებს ამ თეორიის უნივერსალურობას.

მაგრამ ზოგიერთი კულტურულ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებელი (რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ცივილიზაციის ერთგვარი მახასიათებლებიცაა), ისეთი, როგორიცაა რელიგია, ენა, ეთნი-

კურობა, აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობა და მისი დინამიკა, ახლო აღმოსავლეთში სერიოზულ პოლიტიკურ დატვირთვას იძენს.

ქვემოთ მოცემულია ის დემოგრაფიული და კულტურულ-გეოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც ქმნის ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარებისა და პრობლემების სოციალურ-კულტურულ ფონს.

მოსახლეობის რაოდენობა, დინამიკა და სტრუქტურა

დავიწყებ თვალსაჩინო შედარებით.

1950 წელს, გაეროს „დემოგრაფიული წელიწდეულის" მიხედვით, მსოფლიო ომის შედეგად საკმაოდ შეთხელებული მოსახლეობის მქონე დასავლეთ ევროპის რეგიონში[1] ცხოვრობდა 141 მილიონი ადამიანი, ანუ 1.6-ჯერ მეტი, ვიდრე ახლო აღმოსავლეთში. ნახევარი საუკუნის შემდეგ, 2000 წელს, უკვე ახლო აღმოსავლეთში იყო 1,6-ჯერ მეტი მცხოვრები, 300 მილიონი, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც სულ 183 მილიონი მცხოვრები აღირიცხა.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, სადაც საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა ნელა იზრდებოდა და ცალკეულ წლებში კვდებოდა იმდენივე, ან მეტიც კი, ვიდრე იბადებოდა, **ბოლო ნახევარი საუკუნეა „დემოგრაფიული აფეთქების" სტადიაშია**, და ამას ბოლო ჯერ არ უჩანს. 1950 წელს რეგიონში 86 მილიონ ადამიანს ითვლიდნენ, 1970 წელს – 139 მილიონს, 2000 წელს – 300 მილიონს, 2011 წელს კი უკვე 378 მილიონს. ეს მონაცემები აბსოლუტური სიზუსტით ვერ გამოირჩევა, თუმცა ბოლო ათწლეულებში თითქმის ყველა ქვეყანაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. ცხრილ 3.1-ში მოყვანილი მოსახლეობის რიცხოვნობა, სავარაუდოდ, მაინც ერთგვარად დამახინჯებულია (თუმცა ის დიდად არ უნდა იყოს დაშორებული რეალობას).

ამის მაგალითია ლიბანი, სადაც 1932 წლიდან მოსახლეობის აღწერა არ ტარდება წმინდა პოლიტიკური მიზეზით: ახალი აღწერის შედეგები უეჭველად შეარყევს იმ მყიფე კონსენსუსს, რომელსაც ეფუძნებოდა 1943 წლის „ეროვნული პაქტი" რელიგიური თემების სიდიდის პროპორციულად ხელისუფლების განაწილების შესახებ (1990 წელს ამ „პაქტის" საფუძვლები ნაწილობრივ გადაისინჯა). ლიბანელთა თავზე გადაიარა ხანგრძლივმა სამოქალაქო ომმა, ისრაელის მიერ სამხრეთ ნაწილის 18-წლიანმა ოკუპაციამ, აქ ჩასახლდნენ პალესტინელი ლტოლვილები (რომელთა რაოდენობას სტაბილურად აფასებენ, როგორც 380 ათასს, თითქოს ის არც იზრდება).

1. გაეროს სტატისტიკას ამ რეგიონში შეაქვს გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, შვეიცარია, ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი, მონაკო და ლიხტენშტაინი.

ლიბანის მოსახლეობის სტრუქტურა უეჭველად შეიცვლებოდა. აღწერა კი არ ტარდება. მოსახლეობის აღწერის ნაცვლად 1970 წელს ჩატარდა ე.წ. „შერჩევითი გამოკვლევა". ითვლება, რომ ასეთი „სირაქლემას პოზა" ქვეყანას უნარჩუნებს მეტ სტაბილურობას, ვიდრე ზუსტი დემოგრაფიული პორტრეტის დადგენა. ლიბანის დღევანდელი მოსახლეობის ზუსტი რიცხოვნობა უცნობია [Maktabi, 1999, 221].

მონაცემების უზუსტობის კიდევ ერთი მაგალითია გაყოფილი კვიპროსი, სადაც 1996 წელს კუნძულის ჩრდილოეთ (თურქულ) ნაწილში ჩატარებულმა აღწერამ დააფიქსირა თურქეთის რესპუბლიკიდან გადმოსახლებული 114 ათასი ადამიანი [MEaNA, 2001]. ეს მეტია, ვიდრე ადგილობრივი (87 ათასი) თურქი-კვიპროსელი. ამ თურქი იმიგრანტების რაოდენობას გაერო თავის მონაცემებში არ ითვალისწინებს.

მიუხედავად ამისა, XXI საუკუნის დამდეგისათვის გაკეთებული შეფასება, რომ ახლო აღმოსავლეთში ცხოვრობდა 300 მილიონი ადამიანი, ახლოს უნდა იყოს რეალობასთან. მომდევნო 11 წელიწადში ეს რაოდენობა კიდევ 78 მილიონით გაიზარდა, ანუ ის წლიურად 7 მილიონით მატულობდა, რაც დაახლოებით 2 პროცენტით ყოველწლიურ ზრდას გულისხმობს.

ოციოდე წელიწადში რეგიონის მოსახლეობა ნახევარ მილიარდს აუცილებლად გადააჭარბებს.

მოსახლეობის რიცხოვნობით ახლო აღმოსავლეთში გამოიყოფა ქვეყნების სამი ჯგუფი:

დიდი ქვეყნები – თურქეთი, ირანი და ეგვიპტე (2011 წელს 80-82 მილიონი მცხოვრებით თითოეულში);

საშუალო ქვეყნები – ერაყი, საუდის არაბეთი, იემენი და სირია (23-30 მილიონი მცხოვრებით თითოეულში);

მცირე ქვეყნები – ყველა დანარჩენი, თითოეულში 8 მილიონამდე მცხოვრებით. სამი უმცირესი ქვეყანაც კი, კვიპროსი, კატარი და ბაჰრეინი, რომლებშიც 800 ათასი – 1,5 მილიონი მცხოვრებია, მოსახლეობის თვალსაზრისით „ჯუჯა სახელმწიფოდ" ვერ ჩაითვლება.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე პირობითი მაჩვენებელია: ხალხი მთელ ტერიტორიაზე თანაბრად არ ცხოვრობს, ის მიისწრაფვის დასახლდეს შედარებით მცირე ზომის სამიწათმოქმედო და, XX საუკუნიდან მოყოლებული, ურბანიზებულ ტერიტორიებზე. ცხრილი 3.1 გვიჩვენებს უზარმაზარ სხვაობებს ქვეყნებს შორის: ერთი უკიდურესობაა 10-12 მცხოვრები ერთ კმ²-ზე *საუდის არაბეთსა და ომანში*, რომელთა ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უდაბნოს უჭირავს, და მეორე მხარესაა *ბაჰრეინი* – 1597 მცხოვრებით ერთ კმ²-ზე. *პალესტინის ავტონომიაში* მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მაჩვენებელია 625, ხოლო მის ნაწილში, *ღაზის*

სექტორში, სიმჭიდროვე მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესია – აქ თითო კმ²-ზე საშუალოდ 4600-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

რეალურად ათვისებულ ფართობზე (ოაზისებში, ქალაქებში) სიმჭიდროვე ყველა ქვეყანაში ძალიან მაღალია და კიდევ უფრო იზრდება. თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ლაპარაკი მოსახლეობის სიმჭიდროვის რაიმე ლიმიტზე, მაგრამ ძალიან მაღალი სიმჭიდროვე ცხოვრების ხარისხის ზრდას ხელს არ უწყობს.

ცხრილი 3.1. რეგიონის ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობა, საშუალო წლიური მატება, საშუალო სიმჭიდროვე, ურბანიზაციის დონე (ქალაქის მოსახლეობის წილი) 2011 წელს

ქვეყანა	რიცხოვნობა (მლნ),				მატება 2000-2007 წწ. (%)	სიმჭიდროვე (მცხ./კმ²)	ურბ. დონე
	1970	1995	2000	2011			
ეგვიპტე	33,329	63,321	66,000	82,080	1,7	82	43
თურქეთი	35,232	61,189	65,293	78,786	1,0	100	70
ირანი	29,256	60,781	63,646	77,891	0,7	47	71
ერაყი°	9,440	19,557	22,946	30,400	2,6	69	60
ს/არაბეთი	7,740	19,967	20,346	26,132	2,1	12	82
იემენი	7,169	14,868	18,295	24,133	3,5	46	32
სირია	6,247	14,301	16,320	22,518	2,2	122	56
ისრაელი	2,910	5,305	6,040	7,473*	1,2	360	92
იორდანია	2,309	4,202	4,913	6,508	2,4	73	79
ლიბანი*	2,787	3,337	3,496	4,143	1,2	398	87
პალესტინ. ტერიტორ.	...	2,502	3,191	3,736*	3,2	600	72
ომანი	0,657	2,131	2,402	3,028	3,2	10	73
ქუვეითი	0,757	1,621	2,190	2,596	3,6	146	98
გას	0,179	2,458	2,606	5,149	4,0	62	84
კვიპროსი	0,633	0,733	0,753	1,120*	0,5	121	70
ბაჰრეინი	0,215	0,573	0,691	1,215	1,4	1597	89
კატარი	0,079	0,613	0,665	0,848	2,4	73	96
ერთად	138,9	271,991	300,0	377,756	2,1	52	

წყაროები: Demographic Yearbook, UN, 2002; US Census Bureau, International Data Base, 2007; CIA, The World Factbook, 2011

◊ 1997 წელს ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგებს სადამ ჰუსეინის მთავრობა საიდუმლოდ ინახავდა. მხოლოდ 2003

წელს გაირკვა, რომ 1997 წ. აღირიცხა 22 მილიონი ადამიანი, მათგან ქალების რაოდენობა კაცებისას აღემატებოდა [*arringer*, 2003], რაც კონტრასტს ქმნიდა რეგიონის ფონზე და აიხსნება ომების შედეგად მამრობითი სქესის მოსახლეობის კლებით.

♦ „დასავლეთ ნაპირზე" არსებულ 210 ებრაულ ახალშენში 2011 წელს მცხოვრები 296,7 ათასი მოახალშენისა და აღმოსავლეთ იერუსალიმის 32 ახალ უბანში მცხოვრები 192,8 ათასი ებრაელის ჩათვლით.

♣ ლტოლვილთა ბანაკებში მცხოვრები პალესტინელების გარეშე.

♠ პალესტინის ტერიტორიის მოსახლეობიდან გამოკლებულია იქ მცხოვრები 489,5 ათასი ებრაელი მოახალშენე, რომლებიც ისრაელის მოსახლეობას დაემატა; ამდენად, მოსახლეობის რეალური სიმჭიდროვე ამ ტერიტორიაზე ცხრილში მითითებულზე მეტია.

♥ ჩრდილოეთ კვიპროსში ჩასახლებულ თურქ მოახალშენეთა ჩათვლით.

1950 წელს რეგიონის სამ „დემოგრაფიულ გიგანტში" ერთად ცხოვრობდა მთელი რეგიონის მოსახლეობის 70 პროცენტი, 2011 წელს კი – 63 პროცენტი. ამრიგად, დანარჩენ ქვეყნებში მოსახლეობის მატება უფრო სწრაფი იყო, თუმცა ერთი-ორი საუკუნის განმავლობაში ვერც ერთი სხვა ვერ დაეწევა რეგიონის სამ უდიდეს ქვეყანას – ეგვიპტეს, თურქეთსა და ირანს, რომელთაგან თითოეულში მოსახლეობის რიცხოვნობა 100 მილიონს 30-35 წლის შემდეგ გადააჭარბებს (ეგვიპტეში – უფრო ადრე).

XXI საუკუნის დამდეგს მოსახლეობის მატების ტემპი ახლო აღმოსავლეთში წლიურად 21 პრომილეს (მეათასედს) შეადგენდა: შობადობა 28 პრომილე იყო, ანუ ყოველ ათას მცხოვრებზე 28 ახალშობილი მოდიოდა; სიკვდილიანობა იყო 7 პრომილე, ანუ ყოველ ათას მცხოვრებზე საშუალოდ 7 ადამიანი კვდებოდა.

ახლო აღმოსავლეთს მოსახლეობის მატების ტემპით უსწრებს მხოლოდ აფრიკა საჰარის სამხრეთით („შავი აფრიკა"). ლათინური ამერიკისა და სამხრეთ აზიის რეგიონებშიც კი ბოლო პერიოდში მოსახლეობის ზრდის ტემპი ნაკლებია, რაც მოსახლეობის შეგნებულობის დონის ამაღლებას, ოჯახის დაგეგმვას უკავშირდება.

ახლო აღმოსავლეთში კი *დემოგრაფიული აფეთქება* კვლავაც გრძელდება, უპირატესად არაბული ქვეყნების ხარჯზე.

შედარებისათვის: 1970 წელს, რომელიც ძალიან შორეული წარსული არაა, საქართველოში მეტი იყო მოსახლეობა (4 მილიონი), ვიდრე ისრაელში, იორდანიაში, ლიბანში. სირია ცოტა გვისწრებდა: იქ 6 მილიონი ცხოვრობდა; საუდის არაბეთში 7 მილიონი იყო. 40 წლის შემდეგ ყველა ეს ქვეყანა მოსახლეობის რაოდენობით დიდად გვისწრებს: საუდის არაბეთში 27 მილიონი მცხოვრებია (ადგილობრივი – 21 მილიონია, დანარჩენი – შრომითი მიგრანტი), სირიაში – 22 მილიონია.

საშუალო და მცირე ქვეყნებში (ეს კი, კვიპროსისა და ისრაელის გამოკლებით, არაბული სახელმწიფოებია), მოსახლეობა უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე დიდ ქვეყნებში. გას-ში, საუდის არაბეთში, იემენში, სირიაში, ომანში, იორდანიაში, ქუვეითში, ერაყში, პალესტინურ ტერიტორიებზე ბოლო წლებში საშუალო წლიური მატების მაჩვენებელი 18-25 პრომილეს შეადგენდა. ეს ზრდის უზარმაზარი ტემპია: ის ფაქტობრივად მოასწავებს 18-25 წელიწადში მოსახლეობის გაორმაგებას.

რეგიონის კვალობაზე მოსახლეობის საშუალოზე დაბალი მატება აღინიშნებოდა თურქეთსა და ირანში, რაც იმას ნიშნავს, რომ ურბანიზაციისა და ოჯახის დაგეგმვის შედეგები ამ ქვეყნებში მეტად ვლინდება, ვიდრე არაბულ ქვეყნებში. მაგრამ თურქეთისა და ირანის მოსახლეობის დინამიკის მაჩვენებლები მაინც მკვეთრად განსხვავდება ევროპის ქვეყნებისაგან, სადაც დაბალი შობადობისა და მოსახლეობის საერთო დაბერების ფონზე მოსახლეობის აბსოლუტური კლების ტენდენცია დაისახა.

რეგიონში მოსახლეობის ზრდა უპირატესად ბუნებრივი მოძრაობითაა გამოწვეული: შობადობა მკვეთრად სჭარბობს სიკვდილიანობას. მაგალითად, 2010 წლისათვის შობადობამ ეგვიპტეში შეადგინა 24,6 პრომილე, სიკვდილიანობამ კი – 4,9; ირანში შესაბამისი მაჩვენებლები იყო 18,6 და 5,9, თურქეთში – 17,9 და 6,1 (შობადობა ათი წლის ნინანდელ მაჩვენებელთან შედარებით ირანსა და თურქეთში საგრძნობლად შემცირდა). რეგიონის საშუალო ზომის ქვეყნებში შობადობის მაჩვენებლები უფრო მაღალია: ერაყში შობადობა შეადგენდა 28,8 პრომილეს, ხოლო სიკვდილიანობა – 4,9-ს; იემენში შესაბამისი მაჩვენებლები იყო 33,5 და 7,0, ხოლო პალესტინის ღაზის სექტორში – 35,3 და 3,3. ეს გამოწვეულია არაბი ქალების არაჩვეულებრივი ფერტილურობით (ნაყოფიერებით): გათხოვილი არაბი ქალი აჩენს იმდენს, რამდენსაც ალაჰი მისცემს. ალაჰი კი ბევრ შვილს იძლევა! ფერტილურობის კოეფიციენტი 2011 წელს სირიაში იყო 2,9, იორდანიაში – 3,4, ერაყში – 3,7, ომანში – 2,9, ხოლო იემენში – 4,6. შედარებისათვის: თურქეთში ის იყო 2,1, ირანში – 1,9, ხოლო კვიპროსში – 1,5.

სპარსეთის ყურის ქვეყნების მონაცემები შეგნებულად არ მომაქვს: იქ სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ძალიან დარღვეულია დიდი შრომითი იმიგრაციის გამო (იხ. ქვემოთ).

მაღალი შობადობა რეგიონისათვის ახალი ამბავი არაა: ეს არაბული, და ზოგადად მუსლიმური, ოჯახებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. რეგიონში არც თუ ფართოდ, მაგრამ მაინც გავრცელებული *პოლიგინია*, ანუ მრავალცოლიანობა (*შარიათით** დაშვებული მაქსიმუმია ოთხი ცოლი), ქალთა ფერტილურობის კოეფიციენტზე არ მოქმედებს, თუმცა მოსახლეობის საერთო ზრდას ხელს უწყობს.

ათასწლეულების განმავლობაში, XX საუკუნის შუაწლებამდე, მაღა-

ლი შობადობა იყო ერთგვარი კომპენსაცია ახალშობილთა და ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობისათვის, სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობისათვის. მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მაღალმა შობადობამ ეს კომპენსაციური ფუნქცია დაკარგა. ახალშობილთა სიკვდილიანობა მკვეთრად შემცირდა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების კვალდაკვალ. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა XXI საუკუნის დამდეგს დაბადებულთათვის 70-75 წლის ირგვლივაა (ყველაზე მაღალია ის ისრაელში, ყველაზე დაბალი – იემენში).

მაღალი შობადობა რეგიონში გრძელდება ინერციით, ტრადიციისა და რელიგიური დოგმების ერთგულების წყალობით. ისლამი არ უჭერს მხარს ოჯახის დაგეგმვას. იმ ისლამურ ქვეყნებში კი, სადაც ქალების განათლების დონე მატულობს, სადაც ისინი მეტი თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ და შეუძლიათ საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმა კარიერის გაკეთების შანსით, შობადობაც მცირდება. ეს ხდება თურქეთში, ლიბანში, ირანში. მით უმეტეს მკაფიოა ეს ტენდენცია კვიპროსის სამხრეთ (ბერძნულ) ნაწილში, ისრაელის სეკულარულ ებრაულ მოსახლეობაში. მაგრამ არაბული ქვეყნების უმეტესობას ეს სოციალური ძვრა, ქალების თანასწორუფლებიანობა, ჯერ არ შეხებია.

აქვე უნდა აღინიშნოს რეგიონის სოციალურ-კულტურული თავისებურება: ესაა ქორწინება ახლო ნათესავებს შორის. ბიძაშვილ-მამიდაშვილები საუკეთესო დასაოჯახებელ წყვილად ითვლება ბევრ არაბულ ქვეყანაში, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში (სადაც ქურთული მოსახლეობა სჭარბობს). სხვათა შორის, ამის მაგალითს ადგილობრივი ისტორიული პრაქტიკა და რელიგიებიც იძლეოდა: ეგვიპტის ფარაონებს შორის და-ძმის ქორწინება თითქმის ნორმა იყო, პატრიარქ *აბრაჰამს* ცოლად საკუთარი ნახევარდა, *სარა*, ჰყავდა, მის ძეს *იცხაკს* – ბიძაშვილი *რებეკა*. ისლამიც პოზიტიურად უყურებს ახლონათესაურ ქორწინებას: მოციქულმა *მუჰამმადმა* თავისი ქალიშვილი *ფატიმა* საკუთარ ბიძაშვილ *ალის* მიათხოვა. დღემდე აქტუალურია თურქული ანდაზა *„კარგი გოგო ოჯახში რჩება, ცუდს უცხოს ატანენ*!"

მაგრამ ნაკლებ გათვითცნობიერებული ხალხი არ ითვალისწინებს ახლონათესაური ქორწინების სავალალო შედეგებს მომავალი თაობის ჯანმრთელობისათვის: ასეთ ოჯახებში უფრო ხშირია ახალშობილთა სიკვდილიანობა და თანდაყოლილი მანკები (მაგალითად, სიბრმავე, გონებასუსტობა)[1].

---

1. ჩვენს წინაპრებს, როგორც ჩანს, სისხლის აღრევის ნაკლოვანი მხარეები უკეთ ესმოდათ და დაამკვიდრეს ქართული ტრადიცია, რომელიც კრძალავს მეშვიდე თაობამდე ნათესავების შეუღლებას. ეს ნიშნავდა ცოლის სხვა სოფლიდან, ხშირად კი – სხვა კუთხიდან, მოყვანას. ქართულ ტრადიციას პოლიტიკური ეფექტიც ჰქონდა: საერთოქართული მენტალიტეტის ჩამოყალიბებისათვის ქორწინება ქართველთა სხვადასხვა სუბეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის მხოლოდ დადებითი შედეგის მომტანი იყო.

შობადობის მაჩვენებლები განსაზღვრავს ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებებსაც. მაღალი შობადობა იწვევს იმას, რომ რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფოში მამაკაცების რაოდენობა ქალებისას სჭარბობს: 2011 წელს რეგიონის მოსახლეობის 50,5 პროცენტი მამრობითი სქესისა იყო, ხოლო 49,5 პროცენტი – მდედრობითისა. ეს ხდება სტატისტიკურად დადასტურებული ბუნებრივი ტენდენციის გამო: იბადება მეტი ვაჟი, ვიდრე გოგონა. რეგიონში კი ახალგაზრდა თაობა, სადაც ბიჭები სჭარბობს, ძალიან მრავალრიცხოვანია.

XXI საუკუნის დამდეგს რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (პროცენტებში) ასეთი იყო: 35 – 60 – 5, ანუ მესამედზე მეტი 15 წელზე ახალგაზრდაა, სამი მეხუთედი – 15-64 წლისა (ე.წ. შრომისუნარიან ასაკში, თუმცა რეგიონში უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ შრომით საქმიანობას), ხოლო ერთი მეოცედი – 65 და მეტი წლისა (ესაა ე.წ. საპენსიო ასაკი). დასავლეთ ევროპაში კი ასაკობრივი სტრუქტურა იმავე პერიოდში ასეთი იყო: 20 – 67 – 16. ბავშვების ხვედრითი წონა ევროპაში ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთში, ხოლო ხნიერი ხალხისა – სამჯერ მეტი. თანაც ევროპაში მოსახლეობის დაბერების პროცესი უფრო ღრმავდება, ახლო აღმოსავლეთში კი გაახალგაზრდავების პროცესი არ დასრულებულა. ეს ნიშნავს, რომ ევროპას უხდება პენსიონერთა (რომლებიც სულ უფრო მეტხანს ცოცხლობენ) დიდი და სწრაფად მზარდი რაოდენობის სოციალური უზრუნველყოფა. სამაგიეროდ, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მთავრობებს თავსატეხს უჩენს შრომისუნარიან ასაკში შემავალი მზარდი რაოდენობის ადამიანთა დასაქმება.

საერთო ჯამში, რეგიონს *უარყოფითი* მიგრაციული ბალანსი აქვს. სხვანაირად, რეგიონიდან მეტი მოსახლეობა მიდის, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებიდან შემოდის. ზოგი ქვეყნიდან (თურქეთი, ლიბანი, ეგვიპტე) საგრძნობი ემიგრაცია მიემართება მსოფლიოს სხვა რეგიონებში (ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში).

ზოგ ქვეყანაში კი მოსახლეობის მატება უფრო იმიგრაციის ხარჯზე ხდება. ეს ეხება ნავთობით მდიდარ სპარსეთის ყურის ქვეყნებს, აგრეთვე ისრაელს. XX საუკუნის ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში *გას*-ის მოსახლეობის 13,4-ჯერ (!) გაზრდა, *კატარის* მოსახლეობის გაშვიდმაგება, *ქუვეითის* მოსახლეობის გასამმაგება ვერ აიხსნება სხვაგვარად, თუ არა იმიგრაციით. თანაც ქუვეითში მოსახლეობის გასამმაგება მოხდა უკვე 1970-1990 წლებში. 1990 წელს ქუვეითში მოსახლეობა მეტიც კი იყო, ვიდრე 2000 წელს. 1990-1991 წლების სპარსეთის ყურის კრიზისის შემდეგ იქიდან ბევრი უცხოელი მუშა წავიდა, მათ შორის 300 ათასამდე იორდა-

ნიელი (წარმოშობით – პალესტინელი). პალესტინელებმა თითქმის ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ერაყის აგრესიას იმ ქვეყანაში, რომელმაც ისინი შეიკედლა და სამუშაო მისცა. ამ ნაბიჯის შემდეგ პალესტინელებს ქუვეითში აღარ დაედგომებოდათ.

სპარსეთის ყურის ექვსივე არაბულ ქვეყანაში (*გას-ში, საუდის არაბეთში, კატარში, ქუვეითში, ბაჰრეინში, ომანში*) XX საუკუნის ბოლოს მუშახელის 70 პროცენტამდე რეგიონის გარედან შემოსული უცხოელები შეადგენდნენ. მათი შრომა გაცილებით უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე, მაგალითად, იემენელი ან ეგვიპტელი მუშისა, რომელიც, თავის მხრივ, ორ-სამჯერ ნაკლებს მიიღებდა იმავე სამუშაოსათვის, ვიდრე ადგილობრივი მუშა [Kemp & Harkavy, 1997, 333].

შემოსული იმიგრანტები ძირითადად ინდოეთიდან და პაკისტანიდანაა, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან (ფილიპინები, ტაილანდი). გარდა ამისა, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნებისკენაა მიმართული შიდარეგიონული მიგრაციაც – ეგვიპტიდან, სირიიდან, იორდანიიდან, იემენიდან, ირანიდან.

ეს არის **ეკონომიკური მოტივაციით განპირობებული შრომითი მიგრაციის** მაგალითი: მდიდარ ქვეყანაში იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელზეც ადგილობრივი მუშახელი უარს ამბობს, მიდიან შედარებით ღარიბი ქვეყნების წარმომადგენლები.

ასეთი იმიგრაციის გამო *ომანის* მოსახლეობის 19 პროცენტი არამოქალაქეა (non-national), *საუდის არაბეთში* – 21 პროცენტი (აბსოლუტურ რიცხვებში ეს 5,5 მილიონი ადამიანია!), *ბაჰრეინში* – 38 პროცენტი, *ქუვეითში* – 50 პროცენტი, ხოლო *გაერთიანებული არაბული საამიროების* 5,2 მილიონი მცხოვრებიდან მხოლოდ 19 პროცენტია „ემირატელი“, დანარჩენი არამოქალაქეა.

შრომითი მიგრანტები ჩვეულებრივ დროებითი კონტრაქტის საფუძველზე შემოდიან რეგიონში (თუმცა ეს „დროებითობა“ შეიძლება მთელი სიცოცხლე გაგრძელდეს). ამ მიგრანტებზე არ ვრცელდება სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, ისინი მოკლებული არიან პოლიტიკურ და ბევრ სამოქალაქო უფლებას.

იმიგრაციას პოლიტიკური განზომილებაც აქვს, ზემოაღნიშნული ვითარება გარკვეულად განმარტავს სპარსეთის ყურის მონარქიების „მდგრადობას“ 2011 წლის არაბული რევოლუციების დროს – ამ ქვეყნებში არამოქალაქეებს არა აქვთ იურიდიული უფლება პოლიტიკური ცვლილებები მოითხოვონ და ამისათვის დემონსტრაციები მოაწყონ.

რაც შეეხება *ბაჰრეინს*, იქ არეულობა გამოიწვია ადგილობრივი მოქალაქეების უმრავლესობის, *შიიტების* (და არა უცხოელი იმიგრანტების) მხრიდან, მეტი უფლებების მოთხოვნამ პოლიტიკური ელიტისაგან, რომელიც შედგება *სუნიტებისაგან*.

ისრაელში, გარდა იმ შრომითი მიგრანტებისა, რომელთა ნაწილს

მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, პირად მომსახურებაში არსებული შრომითი რესურსების დეფიციტის აღმოსაფხვრელად ნება დართეს ლეგალურად შემოსულიყვნენ, მიგრანტების ნაწილი იქ არალეგალურად იმყოფება: ეს არის ის არაებრაული მოსახლეობა, რომელიც ქვეყანაში დარჩა კანონიერი შრომითი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, ან არალეგალურად შემოვიდა, ძირითადად აღმოსავლეთ ევროპიდან, დასავლეთ აფრიკიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან. არალეგალური იმიგრაცია გამოწვეულია შრომის უფრო მაღალი ანაზღაურებით ისრაელში, ვიდრე მათ საკუთარ ქვეყნებში. თუმცა იქაც სრულებით უუფლებო არალეგალური მიგრანტი სამჯერ ნაკლებს მიიღებს იმავე შრომისათვის, რასაც ისრაელის მოქალაქე მიიღებდა.

ისრაელს აქვს **პოლიტიკური მოტივაციით განპირობებული იმიგრაციის** განუწყვეტელი ნაკადიც. ესაა სიონიზმის იდეით ფრთაშესხმული ებრაელების რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში: ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდან ებრაელების შემოსვლა ისრაელში ვერ აიხსნება იმით, რომ ისინი ღარიბი ქვეყნებიდან მოდიან და აქ დასაქმებას ეძებენ. ამ **იდეოლოგიური (ამდენად, პოლიტიკური) მოტივაციით გამოწვეულ იმიგრაციას ისრაელი ყველანაირად ახალისებს და ხელს უწყობს.**

XX საუკუნის ბოლო დეკადაში ისრაელში თითქმის ერთი მილიონი იმიგრანტი შევიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. საგრძნობი ნაწილისათვის ეს იყო სიონისტური იდეალის განხორციელება, მაგრამ არანაკლებ რაოდენობას ისრაელში წასასვლელად უბიძგა პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილმა ეკონომიკურმა ქაოსმა და სოციალურმა არასტაბილურობამ (ანუ **ეკონომიკურმა მოტივაციამ**).

შრომითი რესურსების განაწილება გარკვეულად მიგვანიშნებს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაზეც.

დასაქმების **„პირველად დარგებში"** (ესაა სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მეტყევეობა, მოპოვებითი მრეწველობა) დასაქმებულთა ხვედრითი წილი თანდათან მცირდება. არაბეთის ნახევარკუნძულის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში, სადაც გარემო არ უწყობს ხელს ინტენსიურ მიწათმოქმედებას, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა საერთოდ უმნიშვნელოა, ხოლო ნავთობმოპოვება ძირითადად ავტომატიზებულია და ცოტა მუშახელს მოითხოვს. მაგრამ იქ, სადაც სოფლის მეურნეობისათვის ხელსაყრელი პირობებია და გლეხური მეურნეობის ტრადიცია შემორჩენილია, „პირველად დარგებში" მუშახელის საკმაოდ დიდი წილია დასაქმებული, მაგალითად, 2011 წლის შეფასებით ერაყში – 22 პროცენტი, ირანში – 25, თურქეთში – 30, ეგვიპტეში – 32, იემენში – 60 პროცენტამდე. საპირისპირო მაგალითია ისრაელი, სადაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია თვითმოქმედი მოსახლეობის მხოლოდ 2

პროცენტი და უდაბნოში მდებარე ნავთობმომპოვებელი ქვეყნები – 7 პროცენტამდე.

დასაქმების „მეორეულ დარგებში" (ესაა დამუშავებითი მრეწველობა, მშენებლობა, საწარმოო ინფრასტრუქტურა) ჩაბმულთა რაოდენობა ერთგვარად მატულობს ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის კვალდაკვალ და რეგიონის ქვეყნებში 20-29 პროცენტს შორის მერყეობს.

მუშახელის ძირითადი ნაწილი დასაქმებულია „მესამეულ დარგებში" (ესაა ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საზოგადოებრივი კვება, სასტუმრო საქმე, ფინანსურ-საკრედიტო და სადაზღვევო სფერო, სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატი, განათლების, მეცნიერებისა და ჯანდაცვის სფერო). ამ დარგებში დასაქმებულია თვითმოქმედი მოსახლეობის ნახევრამდე, ან ზოგან მეტიც კი.

შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ რეგიონის ოთხი ქვეყნის მაგალითი (პროცენტები დამრგვალებულია). პირველად, მეორეულ და მესამეულ დარგებში დასაქმების პროპორცია ეგვიპტეში იყო 32-17-51, სირიაში – 18-27-55, თურქეთში – 30-25-45, ისრაელში – 2-16-82. ამ უკანასკნელში დასაქმების სტრუქტურა ყველაზე ახლოსაა განვითარებული ქვეყნის მოდელთან, დანარჩენ სამში კი – განვითარებადი ქვეყნის მოდელთან. ისრაელისას წააგავს სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების დასაქმების სტრუქტურა: იქ ის შექმნილია ნავთობის ექსპორტით მიღებული დიდი შემოსავლის წყალობით და, როგორც ზევით აღინიშნა, უცხოელი იმიგრანტების შრომას ეყრდნობა.

სოციალური პრესტიჟის ადგილობრივი კონცეფცია (თუ გნებავთ, *სნობიზმი*) მოასწავებს იმას, რომ ყველა ოჯახი, რომელსაც შეუძლია განათლება მისცეს შვილებს, ცდილობს გამოუნახოს მათ „თეთრი საყელოს" სამუშაო: უმჯობესია სახელმწიფო სამსახური, რათა „ხელი არ გაესვაროთ" მიწაზე ან ქარხანაში მუშაობით. *კუთხურობა, ნათლიმამობა, პროტექციონიზმი, მათთან პირდაპირ დაკავშირებული კორუფცია, რის შენარჩუნებას ხელს უწყობს არადემოკრატიული რეჟიმების არსებობა ქვეყნების მეტ ნაწილში, ამცირებს სოციალური მობილობის საშუალებას.* გლეხური ფსიქოლოგია, რაშიც იგულისხმება მომხვეჭელობა, ვიწრო-ეგოისტური ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დაყენება, დომინირებს ქალაქის მცხოვრებთა შორისაც.

უმუშევრობას რეგიონში ფართო მასშტაბი აქვს. სტატისტიკა ნაკლებ სანდოა. ხანდახან ის იჩქმალება იმით, რომ სამი-ოთხი ადამიანი ერთი კაცის გასაკეთებელ საქმეს აკეთებს. ჩაის დამტარებლების, ფეხსაცმლის მწმენდავების, ქუჩის წვრილი გამყიდველების, სასტუმროებში ხელზე მოსამსახურე ბიჭების სიმრავლე ფაქტობრივი უმუშევრობის მაჩვენებელია. სოფლად სეზონური უმუშევრობაა. ძალიან დიდ სირთულეს ქმნის ისიც, რომ უმუშევართა შორის მრავლადაა უმაღლესი განათლების მქონე ადამიანიც: ქვეყნების ეკონომიკას და სახელმწიფო-

ბიუროკრატიულ აპარატს, უბრალოდ, არ შეუძლია აითვისოს უნივერსიტეტების მიერ გამოშვებული დიპლომირებული სპეციალისტების მზარდი რაოდენობა. ზოგ ქვეყანაში არმია ასაქმებს უმუშევართა ნაწილს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

საერთო ჯამში, უმუშევრები ან ნახევრად უმუშევრები (ვინც ვერ უზრუნველყოფს თავისი ოჯახის მოთხოვნილებას მიზერული ხელფასით ან შემოსავლით) არის ფეთქებადსაშიში მასა, რომელიც მზადაა აჰყვეს პოპულისტების ან რელიგიური ექსტრემისტების მონოდებებს, თუკი ისინი მიუთითებენ „სოციალურ მტერზე" და ეტყვიან, რომ მათი დისკომფორტის მიზეზი სწორედ ისაა. სადაც პოლიტიკური პლურალიზმია, მაგალითად თურქეთში, ასეთი ელემენტი ქმნის რელიგიური პარტიების მთავარ ელექტორატს. იქ კი, სადაც ერთპარტიული სისტემებია (სხვანაირად – დიქტატორული რეჟიმებია), უკმაყოფილება შიგნით ბორგავს და გამოსავალს ეძებს, ისე როგორც მონახა 1979 წელს ირანში, ანტიმონარქისტული რევოლუციის დროს და 2011 წელს – არაბულ ქვეყნებში. ძალიან დიდია უმუშევრობის მაჩვენებელი პალესტინურ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით ღაზის სექტორში.

შრომითი რესურსების მომზადების ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის. რეგიონის დიდ ნაწილში კი ხალხის *რეალური* (არა მხოლოდ დიპლომის მიხედვით) განათლებისა და შეგნების დონე საკმაოდ დაბალია. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითია დასავლეთ ევროპის, ამერიკისა და იაპონიის მაღალი ტექნოლოგიების კორპორაციების მიერ ფილიალების გახსნა სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში. ამან შეუწყო ხელი სინგაპურის, მალაიზიის, ტაილანდის, ინდოეთის ეკონომიკურ წინსვლას. მაგრამ ახლო აღმოსავლეთში (ისრაელის, აგრეთვე, ნაწილობრივ, თურქეთისა და გას-ის გამოკლებით) ასეთი ფილიალები თითქმის არ იხსნება. ის პროდუქცია, რაც სპარსეთის ყურის სახელმწიფოების ტერიტორიაზე მდებარე თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში იქმნება, იმიგრანტი მუშახელის გამოყენებითაა შექმნილი.

ისრაელი, როგორც აღინიშნა, გამონაკლისია რეგიონის ფონზე, ვინაიდან მისი შრომითი რესურსების თავდაპირველი ცოდნა, შრომითი კულტურა და ჩვევები საზღვარგარეთ, უპირატესად, ევროპის ქვეყნებში, ჩამოყალიბდა. შემდეგ ისრაელში მოხდა ამ ცოდნისა და ჩვევების ადგილზე რეპროდუცირება დასავლურ ყაიდაზე. ამიტომაც ისრაელი ყველაზე მისაღები პარტნიორია დასავლური ფირმებისათვის. საწარმოების ფილიალების გახსნისათვის ერთგვარი დაბრკოლებაა შრომის მაღალი ანაზღაურება ამ სახელმწიფოში.

საინტერესოა *თურქეთის* მაგალითიც, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე (1963 წლიდან) მუშახელს აწვდიდა დასავლეთ ევროპას, უპირ-

ველესად – *დასავლეთ გერმანიას*. მართალია, თურქეთიდან სამუშაოდ წასულთა ნაწილი სამუდამოდ დარჩა ევროპაში, მაგრამ უმეტესობა დაბრუნდა, აღჭურვილი შესაბამისი ცოდნით და დაუფლებული შრომის დასავლურ კულტურას. შრომითი რესურსების ეს გამოცდილება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა თურქეთის ეკონომიკური აღმავლობისათვის 1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული დღემდე.

ურბანიზაცია და სოციალურ-კულტურული განვითარება

ახლო აღმოსავლეთი საუკუნეების განმავლობაში პრაქტიკულად სასოფლო მხარე იყო. 1920-იან წლებშიც კი მოსახლეობის მეათედზე ნაკლები ცხოვრობდა ქალაქად. ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში კი რეგიონის მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავს ქალაქელად მიიჩნევს. ურბანიზაციის პროცესი დიდი სისწრაფით მიმდინარეობს.

ქუვეითში, გას-ში, კატარში, ბაჰრეინში, საუდის არაბეთში, ისრაელში, ლიბანში მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. სოფლები (ლიბანის გარდა) იქ, უბრალოდ, არ არსებობს: მხოლოდ უდაბნოს განაპირას შეიძლება შეხვდეთ მცირერიცხოვანი ბედუინების კარვებს. ყველაზე დაბალია ურბანიზაციის დონე *სირიაში* (56 პროცენტი), *ეგვიპტესა* (44 პროცენტი) და *იემენში* (32 პროცენტი). დანარჩენ ქვეყნებში ის 60-79 პროცენტის ფარგლებშია.

მაგრამ **რა არის ქალაქი ახლო აღმოსავლეთში?** XIX საუკუნის ბოლომდე, გარდა ოციოდე დიდი ქალაქისა (სტამბოლი, იზმირი, ალექსანდრია, კაირო, ალეპო, დამასკო, ბეირუთი, ბაღდადი, ისფაჰანი, თეირანი და რამდენიმე სხვა), ეს იყო გალავანშემოვლებული ძალიან მჭიდრო დასახლება, რომელსაც ფლობდა/მართავდა ფეოდალი/ხელმწიფის რწმუნებული. ქალაქის მმართველი საშუალებას აძლევდა ვაჭრებს ესარგებლათ გალავანს შიგნით არსებული შედარებითი უსაფრთხოებით, ჩვეულებრივ, არც თუ უანგაროდ. ქალაქში იქნებოდა მოზრდილი მიზგითი, შეიძლება რამდენიმეც. ზოგ ქალაქში ქრისტიანული და ებრაული უბანიც იქნებოდა გამოყოფილი. ქალაქში იჯდა *ყადი* (მოსამართლე, რომელიც განაჩენის გამოტანისას *შარიათით** ხელმძღვანელობდა). ასეთ დასახლებას ჰქონდა ადმინისტრაციული და სავაჭრო-მომსახურებითი ფუნქციები.

ამჟამად **ქალაქის კრიტერიუმად** სხვა რამ უნდა იყოს გამოყენებული – მარტო გალავნის არსებობა არ კმარა! ისრაელში, მაგალითად, რაოდენობრივ კრიტერიუმს იყენებენ: ქალაქი არის დასახლებული პუნ-

ქტი, სადაც 2 ათასზე მეტი მცხოვრებია, ხოლო სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულია დასაქმებული მოსახლეობის მესამედზე ნაკლები; სირიაში კი თუ დასახლებულ პუნქტს ადმინისტრაციული ფუნქცია არ აკისრია, ქალაქად მისაჩნევად იქ 20 ათასზე ნაკლები ადამიანი არ უნდა ცხოვრობდეს. ზოგიერთ ქვეყანაში (თურქეთი, ირანი, სირია, ეგვიპტე) ქალაქად ითვლება ადმინისტრაციული ერთეულის (გუბერნიის – *ილი, მუჰაფაზა, შაჰრესთანი*, ან მაზრის – *ილჩე, მანტიკა, მარკაზი*) ცენტრი. რეგიონის უმეტეს ქვეყნებში ქალაქის ოფიციალური კრიტერიუმი საერთოდ არაა დადგენილი.

თუ დასახლებულ პუნქტში 100 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ეჭვგარეშეა, რომ ეს ქალაქია, თანაც დიდი.

დიდი ქალაქებიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან *მილიონიანი* ქალაქები, რომლებშიც კონცენტრირებულია შესაბამისი ქვეყნის ადმინისტრაციული, სავაჭრო-მომსახურებითი, სამრეწველო, საგანმანათლებლო-კულტურული ფუნქციები. სხვა დიდ ქალაქებთან ერთად ისინი ქმნიან ქვეყნის *განსახლების სისტემის საყრდენ კარკასს.*

XXI საუკუნის დასაწყისში (კერძოდ, 2011 წელს) ახლო აღმოსავლეთის 31 ქალაქის ოფიციალურ ადმინისტრაციულ საზღვრებში ცხოვრობდა მილიონზე მეტი ადამიანი (40 წლით ადრე სულ 5-ში), ხოლო რამდენიმე ქალაქი „რიგში იდგა", რათა დაეძლია მილიონიანი ზღვარი.

თურქეთში ქალაქი-მილიონერებია *სტამბოლი* (ადგილობრივი გამოთქმით *ისტანბულ*, 10,4 მილიონი მცხოვრები), დედაქალაქი *ანკარა* (3,9), *იზმირი* (2,7), *ბურსა* (1,6), *ადანა* (1,3) *გაზიანთეფი* (1,3) და *კონია* (1,0);

ირანში – დედაქალაქი *თეირანი* (*თეჰრან*, 7,2), *მაშჰადი* (2,6), *ისფაჰანი* (*ესფაჰან*; 1,7), *თაბრიზი* (1,5), *ქარაჯი* (1,5) და *შირაზი* (1,3); უახლოვდება მილიონიან ზღვარს *აჰვაზი* (970 ათასი) და *ყომი* (950 ათასი);

ეგვიპტეში – დედაქალაქი *კაირო* (*ალ-კაჰირა*, მასთან შეზრდილ *გიზასთან* ერთად, 10,9) და *ალექსანდრია* (*ალ-ისქანდარია*, 4,4); უახლოვდება ზღვარს *სუბრა-ალ-ჰაიმა* (950 ათასი);

საუდის არაბეთში – დედაქალაქი *არ-რიადი* (4,7), *ჯიდა* (3,2), *მექა* (1,5), *მედინა* (1,1); უახლოვდება ზღვარს *ად-დამამი* (902 ათასი);

სირიაში – *ალეპო* (*ჰალაბ*, 3,0), დედაქალაქი *დამასკო* (*დიმაშკ*, 2,5) და *ჰომსი* (1,2);

ერაყში – დედაქალაქი *ბაღდადი* (5,8), *მოსული* (1,5), *ერბილი* (გამოითქმის აგრეთვე, როგორც *არბილი/ირბილი*, 1,0); ზღვარს უახლოვდებიან *ბასრა* (0,9) და *სულაიმანია* (0,85); *ერბილი* და *სულაიმანია* ერაყის ქურთისტანში მდებარეობენ.

იორდანიაში – დედაქალაქი *ამანი* (1,8);

ლიბანში – დედაქალაქი *ბეირუთი* (1,9);

ქუვეითში – დედაქალაქი *ალ-ქუვაითი* (2,2);

იემენში – დედაქალაქი *სანაა* (2,2);

ისრაელში – *თელავივ-იაფოს* აგლომერაცია (3,2), *ხაიფა* (1,1); *იერუსალიმში* 768 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

აღმოსავლურ ქალაქს, რომელიც ტრადიციულად უპირისპირდება სასოფლო (ბინადარ და მომთაბარე) ცხოვრებას, ჩვეულებრივ ახასიათებს ძველი ცენტრის ზოგიერთი გარეგნული ნიშანი – ციხესიმაგრე (*ყალა/კალე, რაბათ-ი*), ძველი ქალაქი მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩებით, ბაზარი (*სუკ-ი*), სადაც ყველაფერი იყიდება და რომელიც ამავე დროს ხელოსნობის ცენტრიცაა. ახლო აღმოსავლეთის ქალაქს ყოველთვის განასხვავებთ ევროპული ქალაქისაგან მინარეთების აწვდილი სვეტებით, საიდანაც მუეძინი* (ახლა, უფრო ხშირად, აუდიოჩანაწერის მეშვეობით) დღე-ღამეში ხუთჯერ მოუხმობს მორწმუნეებს ლოცვისაკენ. თუმცა მიზგითსა და მინარეთს ახლა ბევრ ევროპულ ქალაქშიც ნახავთ: მაგალითად, კიოლნსა და ბერლინში 30-ზე მეტი მიზგითია, ლონდონში – 330-ზე მეტი.

ნათლად ჩანს თანამედროვე დასავლური ქალაქგეგმარების ელემენტებიც: ძველი ქალაქი შეფარდებით სულ უფრო მცირე ხდება, ახალი კი ფართოვდება და სიმაღლეში იზრდება.

უკვე შეიმჩნევა დასავლეთის გავლენით შემოსული **სუბურბანიზაცია:** მდიდარი მოსახლეობა კარგად მოვლილი გარეუბნების ვილებში გადადის საცხოვრებლად.

ქალაქები გადაჭედილია ავტოტრანსპორტით, რომელიც არ აკმაყოფილებს ეკოლოგიურ ნორმებს, რასაც თან სდევს ატმოსფეროს დაბინძურება, ხმაური.

ქალაქს, განსაკუთრებით უდიდესს, სტიქიურად აწყდება სოფლიდან სიღარიბით გამოდევნილი გლეხობა (მათი დათვლა მართლაც ძნელია), უმეტესად – ახალგაზრდობა, რომელიც ეძებს სამუშაოს და უკეთეს ცხოვრებას, მაგრამ ხშირად ვერაფერს პოულობს. მას უჭირს საცხოვრებლის მონახვაც კი. ახლო აღმოსავლეთში ვერ ნახავთ ისეთ არაფრისმქონე მაწანწალებს, როგორიც ინდოეთშია, რომელთაც ტროტუარზე სძინავთ ერთი ჭუჭყიანი ზეწრის ამარა. მაგრამ აქაც სიღატაკე აშკარაა: ქალაქის უშენ ადგილებზე, ხანდახან ცენტრშიც კი, სახელდახელოდ აგებული ხუხულებია (თურქეთში მათ *გეჯეკონდუ*-ს უწოდებენ). იქ სუფევს ანტისანიტარია, არაა კომუნალური მომსახურება. ქალაქებში რთული კრიმინოგენული ვითარებაა.

ახლო აღმოსავლური სოფელი რჩება ტრადიციონალიზმის ბუდედ, რომელიც ძალიან ნელა ეგუება სიახლეს. სოფლის ურბანიზაცია – ქალაქის გავლენის გავრცელება სოფელ ადგილზე, საკმაოდ ნელი პროცესია, თუმცა ის მაინც იგრძნობა.

ახლო აღმოსავლეთში, სოფლის ბინადარი მოსახლეობის გარდა, არსებობს მომთაბარე (ნომადი) მოსახლეობაც (ბედუინები). საუკუ-

ნეების განმავლობაში მეცხოველე *ბედუინი* ზევიდან დასცქეროდა მიწათმოქმედ გლეხს (არაბულად – *ფელაჰს*). მაგრამ დღეისათვის ნომადიზმის ეკონომიკური საფუძველი მორყეულია: მისი საქონელი (მეცხოველეობის პროდუქტები) ფარდობითად გაიაფდა, ხოლო სამრეწველო საქონელი გაძვირდა. შეირყა ბედუინთა ტომის ბელადის, *შეიხის*, პოლიტიკური ავტორიტეტი, რომელიც ადრე ეყრდნობოდა ცხენზე ან აქლემზე ამხედრებულ კავალერიას. *ავიაციისა და ტანკების ეპოქაში შეიხის სამხედრო ძალას ფასი აღარა აქვს.*

ნომადიზმი შემორჩენილია იემენში, ირანში, ერაყში, საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებში. არსებითად არაბი მმართველების საგრძნობი ნაწილი ბედუინური არისტოკრატიაა და ისინი არ დაუშვებენ საკუთარი ტომების სრულ ამოძირკვას. ამიტომაც ნომადიზმს პოლიტიკური „სახურავი" აქვს. მაგრამ ბევრი ახალგაზრდა ბედუინი ამჯობინებს გადასახლდეს ქალაქში, მით უმეტეს, თუ მდიდარი და გავლენიანი თანატომელების მფარველობის იმედი აქვს (ეს განსაკუთრებით ეხება ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს).

მოსახლეობის განათლების დონე ყველა ქვეყანაში მატულობს. გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წონა და ყველა ქვეყანაში 80 პროცენტს გადააჭარბა: კაცებს შორის ეს მაჩვენებელი ჭარბობს ქალებისას. ყველაზე კარგი სიტუაციაა ისრაელში, კვიპროსზე და ლიბანში: აქ წერა-კითხვის ცოდნის დონე 95 პროცენტს აჭარბებს.

განათლებაზე დახარჯული თანხები ერთიან ეროვნულ პროდუქტთან შეფარდებით საკმაოდ დიდია და ქვეყნების მიხედვით მერყეობს 2-7 პროცენტს შორის. ყველა ქვეყანაში დაწყებით და საშუალო განათლებას გოგონებიც იღებენ, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შორის ქალები ნახევარზე ნაკლებს არ შეადგენენ.

40 წლის წინ *თურქეთში* 4-5 უნივერსიტეტი იყო, ახლა იქ 167 უნივერსიტეტია, მათგან 123 – სახელმწიფო. სტამბოლში XIX საუკუნიდან არსებული ამერიკული *რობერტ კოლეჯი* პრესტიჟულ *ბოღაზიჩის* (ბოსფორის) უნივერსიტეტად იქცა; სტამბოლსა და ანკარაში არის მაღალი კლასის უნივერსიტეტები. სტამბოლის უნივერსიტეტი XVI საუკუნეში დაარსებული მედრესედან ითვლის თავის ისტორიას. თანამედროვე უნივერსიტეტად ის რეალურად აქცია *მუსტაფა ქემალის* რეფორმამ 1924 წელს.

ირანში სამასამდე უნივერსიტეტია. თუმცა, მათ შორის უმეტესობა „ისლამური თავისუფალი უნივერსიტეტია" სწავლების გაურკვეველი ხარისხით.

ერაყის განათლების სისტემა, რომელიც ადრე რეგიონში ერთ-ერთი მოწინავე იყო, დააკნინა გამუდმებულმა ომებმა. იქ 40-მდე უნივერსიტეტია, მათ შორის 13 – ქურთისტანში.

ისრაელის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მსოფლიო დონის სტანდარტებს აკმაყოფილებს, ზოგიერთ სამეცნიერო და ტექნიკურ დარგში კი ისინი მსოფლიოში საუკეთესოა.

ალ-აზჰარის უნივერსიტეტი *ეგვიპტეში* 975 წელს დაარსებულად ითვლება. ბუნებრივია, შუა საუკუნეებში ის მხოლოდ სასულიერო მიზნებს ემსახურებოდა. კაიროში 1919 წლიდან არის ამერიკული უნივერსიტეტი. ეგვიპტეში ოცზე მეტი სახელმწიფო უნივერსიტეტია.

ბეირუთში (ლიბანი) 1866 წლიდან არსებობს ამერიკელი მისიონერების მიერ დაარსებული „სირიის პროტესტანტული კოლეჯი", რომელიც *ლიბანის ამერიკულ უნივერსიტეტად* იქცა; იმავე ქალაქში 1875 წლიდან მოქმედებს ფრანგულენოვანი უნივერსიტეტი (*Université Saint-Joseph de Beyrouth*). ფრანგული მანდატის პერიოდში (მსოფლიო ომებს შორის) ბეირუთი მეზობელი ქვეყნებისათვის, მათ შორის პალესტინაში მცხოვრები ებრაელებისათვისაც, მთავარი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო. ტრადიციები კი ნელა ქრება.

საუდის არაბეთში პირველი უნივერსიტეტი 1957 წელს გაიხსნა. ახლა იქ 20-მდე უნივერსიტეტი და ასამდე კოლეჯია. სპარსეთის ყურის სხვა მდიდარ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებსაც შეუძლიათ საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანონ მაღალი კლასის პროფესორები და მკვეთრად აამაღლონ სწავლების ხარისხი. პრობლემად ყველა მათგანისათვის ახლა გადაიქცა მრავალრიცხოვანი განათლებული ხალხის ღირსეული დასაქმება.

განათლების დონის მატების მიუხედავად, რეგიონის ბევრ ქვეყანას სრულფასოვანი პროგრესის საშუალებას არ აძლევს იქ არსებული ზოგადი სოციალურ-კულტურული ვითარება.

თავი 4

რელიგიების გეოგრაფია

რელიგია და პოლიტიკა

რელიგია ახლო აღმოსავლეთში ძალიან დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში. პოლიტიკა საკუთარ იარაღად იყენებს რელიგიას და ორივე მათგანი თავისებურ ზემოქმედებას ახდენს გეოგრაფიულ სივრცეზე. რასაკვირველია, სივრცეც ახდენს უკუქმედებას რელიგიის თავისებურებებზე, მაგრამ მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტორები ვერ განგვიმარტავს რელიგიების გავრცელებასა და მათ სივრცობრივად განსხვავებულ როლს.

ახლო აღმოსავლეთი ცნობილია, როგორც მონოთეისტური რელიგიების სამშობლო, რომელთაც ამჟამად კაცობრიობის თითქმის ორი მესამედი მისდევს.

აქვე, ქალაქ ხაიფაში, არის ყველაზე ახალგაზრდა მონოთეისტური რელიგიის – ბაჰაიზმის – ცენტრი. ბაჰაიზმი, მართალია, ირანში იღებს სათავეს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ცოტა მიმდევარი ჰყავს: მისი მიმდევრები გაფანტულები არიან ამერიკიდან პაპუა-ახალ გვინეამდე. მას საქართველოშიც კი ჰყავს 2500-მდე მიმდევარი.

ბაჰაიზმს შეცდომით მიიჩნევენ ისლამის განშტოებად. მართალია, ის ისლამის წიაღში ჩაისახა, მაგრამ ამჟამად სავსებით დამოუკიდებელი რელიგიაა. შედარებისათვის: ქრისტიანობაც თავდაპირველად იუდაიზმის განშტოებად აღიქმებოდა (განსაკუთრებით, რომაელთა მიერ), მაგრამ, საბოლოოდ, ცალკე რელიგიად ჩამოყალიბდა.

რეგიონში მდებარეობს იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის[1] წმინდა ადგილების უმრავლესობა.

სახელმწიფოში მონოთეისტური რელიგიის შემოღების ერთ-ერთ პირველ ცდად ითვლება *ეხნათონის* რეფორმები ძველ ეგვიპტეში (ძვ.წ. XIV ს.), როდესაც მრავალი ღმერთის ნაცვლად ფარაონმა ბრძანა ერთი ღმერთის – ათონის თაყვანისცემა. მაგრამ ეხნათონის სიკვდილისთანავე ეგვიპტე მიუბრუნდა თავის მრავალ ღმერთს. ამის მთავარი მიზეზი იყო

1. ამ სამ რელიგიასა და ინდუიზმს ემანუელ სივანი უწოდებს „ძლიერ რელიგიებს" [Sivan, 2002]. მათ აგრეთვე უწოდებენ „დამკვიდრებულ, ტრადიციულ, მსოფლიო" რელიგიებს.

ქურუმთა ჩამოყალიბებული კასტის ძლიერი წინააღმდეგობა: ღმერთების რაოდენობის შემცირებით მისი ეკონომიკური ინტერესები ილახებოდა!

ზოგი ფიქრობს, რომ ეგვიპტის მონოთეისტურ ექსპერიმენტს შეეძლო გავლენა მოეხდინა იმავე პერიოდში (ან მომდევნო ხანაში) ეგვიპტეში მყოფ *მოსე ზე*[1]. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ *მოსეს* არც დასჭირვებოდა ეგვიპტური გავლენა. საკუთარი და ერთადერთი ღმერთის თაყვანისცემა სავსებით ლოგიკურია ერთი წარმოშობის ტომისათვის: ის შეკრული უნდა იყოს, რათა ყველა მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს საერთო ძალით გაუმკლავდეს. ერთი, მფარველი და მხოლოდ *თავის რჩეულ ხალხ ზე* მზრუნველი ღმერთის იდეა კი პოლიტიკური მონოლითის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.

ბევრ სხვა ტომსაც ჰყავდა საკუთარი (და ერთი) ღმერთი, მაგრამ ვის ახსოვს ისინი? მოსეს მიმდევრების გენიალურობა გამოიხატა მონოთეიზმის იდეის წერილობით ჩამოყალიბებაში. წიგნს (ებრაელთა შემთხვევაში – თორას*) განსაკუთრებული სიწმინდე ენიჭება. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ებრაელთა წმინდა წიგნების კრებულს – *თანახს** (რომლის ძირითადი ნაწილი თორაა) წერდნენ ნიჭიერი და კარგი ლიტერატურული გემოვნების მქონე ადამიანები, რომლებზეც გარეშე გავლენა (მაგალითად, შუამდინარეთის მითოლოგია) კეთილისმყოფლად ზემოქმედებდა[2]. როდესაც *თანახი* იხვეწებოდა, ბაბილონში ებრაელთა დეპორტაციის პერიოდში (ძვ.წ. VI ს.), სალაპარაკო ენად მათთვის უკვე *არამეული* ქცეულიყო. *თანახი* კი იმ დროს ნაწილობრივ დავიწყებულ *ებრაულ* ენაზეა დაწერილი, რომელიც სრულყოფილად მხოლოდ რაბებმა იცოდნენ. მათ უნდა აეხსნათ წიგნის არსი დანარჩენი ებრაელებისათვის. წიგნის წაკითხვისა და კომენტირების უნარი ისეთი ძალაა, რომელიც მცოდნეების მიმართ უცოდინარების, მათ შორის უცხოტომელების, პატივისცემას იწვევს (შესაძლოა, საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსსაც კი აღვივებს).

მონოთეისტური რელიგიების, განსაკუთრებით ქრისტიანობის, ფართო გავრცელებამდე რეგიონში პოლითეიზმის ნაირსახეობანიც იყო. პოლითეისტური რწმენის მქონე დამპყრობელი, ჩვეულებრივ, უფრო ადვილად ეგუება ადრე დამკვიდრებულ კულტებს, შეიძლება გაითავისოს კიდეც ზოგიერთი ადგილობრივი ღვთაება და „ჩააჩოჩოს“ საკუთარი ღმერთები ძველ პანთეონში.

---

1. ასეთი ვარაუდების მიმოხილვისას იაკოე შავიტს მოჰყავს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, თითქოს ეხნათონს მონოთეიზმი მოსემ შთააგონა [Shavit, 2002], რაც, ჩემი აზრით, სნორი არ უნდა იყოს.

2. ამ გავლენების გამო *თანახში* საკმაოდაა ურთიერთსაწინააღმდეგო ამბები და შეფასებები, თუმცა ეს უფრო საინტერესოს და, ასე ეთქვათ, უფრო მიწიერს, ადამიანურს, ხდის მას. როგორც ებრაული *თორას* ქართულ ენაზე ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელი, შალომ დაიდი წერს, *„ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა თანახისეულ წიგნთა კრებული, რომელიც შეიცავს არა მარტო ნაირგვაროვან ენობრივ და სტილისტიკურ ფენებს, არამედ განსხვავებულ, ხოლო ხანდახან ურთიერთსაწინააღმდეგო საზოგადოებრივ და სასულიერო ტენდენციებსაც“* [თორის ხუთწიგნეული, 1996, VII].

რომაული პოლითეიზმი არ ებრძოდა ადგილობრივ კულტებს. რომი ძირითადად ტოლერანტული იყო ყველა რწმენის მიმართ, თუკი იგი მისი ბატონობის წინააღმდეგ არ რაზმავდა ხალხს. იესო შედიოდა რომის მმართველობის ქვეშ მყოფ იერუსალიმში თავისუფლად მოქმედ იუდეველთა ტაძარში, ხოლო იუდეის რომაელი მმართველი (პროკურატორი) ებრაელ მღდელმთავარს, უხუცესებსა და ხალხს ეთათბირებოდა, თუ რომელი პატიმარი შეევრდომებინა იუდეველთა დღესასწაულთან – *ფესახთან* – დაკავშირებით[1].

როდესაც *რომის იმპერია* ებრძოდა ულტრაორთოდოქს იუდეველებს – *ზელოტებს*, მოგვიანებით კი – *ქრისტიანებს*, იგი უფრო პოლიტიკური, ვიდრე იდეოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე მოქმედებდა. რომი მიიჩნევდა, რომ ეს ადამიანები საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო წესრიგს – Pax Romana-ს. მათი რელიგიური რწმენის საკუთარით შეცვლა რომს არ აინტერესებდა.

მონოთეიზმი კი არ უტოვებს ადგილს სხვა ღმერთებს და აგრესიულად იცავს თავის ექსკლუზიურ ადგილს ადამიანის სულში. თავისთავად, მონოთეიზმი არ ნიშნავს, რომ ის უფრო აახლოებს ჭეშმარიტებასთან ადამიანს, ვიდრე პოლითეიზმი, რომლის შემთხვევაშიც რელიგიური სისტემის შემქმნელი ადამიანები ღმერთის ფუნქციებს ანაწილებენ რამდენიმე ღვთაებაზე და მათ იერარქიას ქმნიან. ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტება მხოლოდ ღმერთმა იცის და არა იმ ადამიანებმა, რომლებიც მისი სახელით საკუთარი წინაპრების მიერ შემუშავებულ რწმენებს ქადაგებენ.

მოსეს სჯულის შემთხვევაში მთავარი ის იყო, რომ რელიგიის საფუძვლები დამწერლობის მეშვეობით გრაგნილზე აისახა და ურყევი ჭეშმარიტების მნიშვნელობა შეიძინა არა მარტო ებრაელთათვის, არამედ სხვა მონოთეისტური რელიგიების მიმდევართათვისაც, უპირველესად ქრისტიანებისათვის, რომლებიც, არსებითად, ებრაელთა ღმერთს სცემენ თაყვანს.

მიუხედავად თვალსაჩინო განსხვავებებისა და კონფრონტაციისაც კი, ახლოაღმოსავლური მონოთეისტური რელიგიები საკუთარი ფესვებით საკმაოდ მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. აშკარაა, რომ ისლამი თაყვანისცემისას იმავე ღმერთს გულისხმობს, რომელსაც იუდაიზმი და ქრისტიანობა: „ალლაჰ“-ი – არაბულად და „ელ“-ი – ებრაულად „ღმერთს“ ნიშნავს. საერთოსემიტური (მათ შორის *ქანაანელთა*) მთავარი ღმერთი ასევე „ელ“-ი იყო.

ისლამი ცნობს წინასწარმეტყველებად იმავე პირებს, რომლებსაც იუდაიზმი და ქრისტიანობა. არაბულად *ნუხი* იგივეა, რაც ებრაულად

1. *„როდესაც იხილა პილატემ, რომ ვერაფერს შველის, არამედ უფრო იზრდება შფოთი, მოითხოვა წყალი, ხალხის წინაშე დაიბანა ხელები და თქვა: მე უბრალო ვარ ამ მართლის სისხლში. თქვენ იკითხეთ“* [მათე 27:24].

ნოახი (ქართულად – ნოე); ასევეა *იბრაჰიმი* (აბრაჰამი, აბრამი), *ისხაკი* (იცხაკი, ისაკი), *იაკუბი* (იაკოვი, იაკობი), *იუსუფი* (იოსეფი, იოსები), *ისმაილი* (იშმაელი), *მუსა* (მოშე, მოსე), *ჰარუნი* (აჰარონი, არონი), *აიუბი* (იობი), *დაუდი* (დავიდი, დავითი), *სულეიმანი* (შლომო, სოლომონი), *ილიასი* (ელიაჰუ, ილია), *იუნუსი* (იონა). ქრისტიანებისათვის მაცხოვარი იესო (ებრაულად – იეშუა) მუსლიმებისათვის არის წინასწარმეტყველი *ისა ბინ-მარიამ* (იესო მარიამის ძე). ისლამი პატივს მიაგებს *მარიამს*, როგორც წინასწარმეტყველ *ისას* დედას: იგი იშვიათი ქალია, რომელსაც *ყურანი* მოწიწებით ახსენებს. გარდა ამისა, *ყურანი* წინასწარმეტყველებს (ასეთად იქ 28 პირია მოხსენიებული) მიათვლის *ადამსა* და *ისქანდარს* (ალექსანდრე მაკედონელს). მაგრამ ყველაზე მაღლა *ყურანი* აყენებს ისლამისათვის უდიდეს წინასწარმეტყველს – *მუჰამმადს*.

ქრისტიანებმა იუდაიზმისაგან თავიანთი გამოყოფა წიგნის (ახალი აღთქმის) სახით დააკანონეს; მათთვის ებრაელთა წმინდა წიგნი – თანახი – ძველ აღთქმად იქცა. მუჰამმადი, როდესაც ისლამის დროშის ქვეშ არაბებს აერთიანებდა, ბიბლიას (ძველ და ახალ აღთქმას) განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა და „წიგნის ხალხის" მიმართ შემწყნარებლობას მოითხოვდა. მუჰამმადის მედიტაციები ჯერ ზეპირად გადაეცემოდა, მისი სიკვდილის შემდეგ წიგნის (ყურანის) სახით ჩამოყალიბდა და დაკანონდა.

ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა და კარგა ხანს გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკის იარაღი, ამჟამად პრაქტიკულად გამქრალი ზოროასტრიზმი. ის უკვე ძვ. წ. VI საუკუნეში იქცა იმპერიის (აქამანიანთა ირანის) ფაქტობრივ სახელმწიფო რელიგიად, ჰქონდა თავისი წმინდა წიგნი (ავესტა). მიიჩნევენ, რომ მისმა ადრეულმა ფორმებმა გავლენა მოახდინა იუდაიზმის ფორმირებაზე და, მისი მეშვეობით – ქრისტიანობაზე [Enc. Brit, 21, 1997, 945]. ტექნიკურად ზოროასტრიზმი მონოთეისტური რელიგია იყო, ან „*ახლოს იდგა მონოთეიზმის იდეასთან*" [Васильев, 1983, 102], თუმცა სამყაროს დუალისტური პოზიციიდან განიხილავდა, სადაც ღმერთი *აჰურა მაზდა* ადამიანის სულებისათვის ებრძოდა ბოროტებას (სიცრუეს), რომელსაც *არიმანი* განასახიერებდა. *ზოროასტრიზმი უარყოფდა ცხოველთა მსხვერპლშეწირვის ველურ პრაქტიკას*. თავიდან ის საკმაოდ ტოლერანტული რელიგია იყო: აქამანიანთა ირანში ყველა ღმერთის ტაძარი თავისუფლად მოქმედებდა.

ზოროასტრიზმმა ვერ გაუწია სათანადო მეტოქეობა ახალ, აქტიურ მონოთეისტურ რელიგიებს. მას შეუბრალებლად ებრძოდა ჯერ ქრისტიანობა, ხოლო ისლამმა საერთოდ ბოლო მოუღო. ირანში ზოროასტრიზმის მხოლოდ მცირერიცხოვანი მიმდევრები დარჩნენ; „პარსეების" სახელით ცნობილი ზოროასტრელების უმეტესობა ახლა ინდოეთში ცხოვრობს, სადაც მათი ცენტრია ქალაქი *მუმბაი* (ადრე ცნობილი, როგორც ბომბეი).

არცთუ იშვიათად რელიგია ეთნიკურობას ენაცვლება და სათანადო პოლიტიკურ როლს ასრულებს. ყველაზე ცნობილი მაგალითია ებრაელობა, რომლის, როგორც ერის, გამაერთიანებელი რელიგიაა. ასევე ძნელია განიხილო *დრუზები* (იხ. ქვემოთ), როგორც მხოლოდ რელიგიური და არა ეთნიკური ჯგუფი.

ლიბანში, სადაც თითქმის ყველა მოქალაქისათვის მშობლიური ენა არაბულია, საკმაოდ მკვეთრი თემობრივი გამიჯვნა რელიგიის საფუძველზე ხდება: XX საუკუნის ლიბანის ხანგრძლივ სამოქალაქო ომში მოწინააღმდეგე ძალები უპირატესად რელიგიურ საფუძველზე ჯგუფდებოდნენ. სამხრეთ ლიბანის 18-წლიანი ოკუპაციის დროს (1982-2000 წწ.) ისრაელი იყენებდა ძირითადად არაბულენოვანი დრუზებითა და ქრისტიანებით დაკომპლექტებულ მარიონეტულ „სამხრეთ ლიბანის არმიას“.

თუმცა პალესტინელები, ფაქტობრივად, ერად ჩამოყალიბდნენ, შიდა რელიგიური სხვაობა თვალსაჩინოა და ეს პოლიტიკაზეც ახდენს გავლენას. ისრაელთან კონფლიქტში ქრისტიანი პალესტინელი არაბები შედარებით უფრო ნეიტრალური პოზიციის დაცვას ამჯობინებენ, კონფრონტაციაში მუსლიმი პალესტინელები არიან ჩართული. სხვათა შორის, ეს გარემოება ქრისტიან არაბებს გარკვეულ ორაზროვნებას უქმნის: მუსლიმი თანამოძმეები მათ ნაკლებად ენდობიან და არც ისრაელი იჩენს მათ მიმართ რაიმე თანაგრძნობას. ამიტომაც ქრისტიანი პალესტინელების ემიგრაციას მასობრივი ხასიათი მიეცა.

შიდარელიგიური სხვაობები საკმაო როლს თამაშობდა და თამაშობს საერთაშორისო და შიდაპოლიტიკურ საკითხებში. მაგალითად, სირიის მმართველი რეჟიმი უპირატესად ეყრდნობა ისლამის შიგნით არსებულ განსხვავებულ სექტას – *ალავიტებს*. სადამ ჰუსეინის დროის ერაყის მმართველი ელიტა თითქმის უკლებლივ *სუნიტი მუსლიმი* იყო, როცა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა – *შიიტი მუსლიმი*.

ერაყ-ირანის ომის დროს (1980-1988 წწ.) ირანის მმართველ შიიტურ წრეებში იმედი ჰქონდათ, რომ ერაყის შიიტი არაბები ირანის მხარეს გამოვიდოდნენ. თუმცა ეს იმედი არ გამართლდა, აქაც ჩანს რელიგიური ფაქტორის პოლიტიკაში ჩართვის მცდელობა.

ამაში არაფერია ახალი. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთი რელიგიური დაპირისპირების ასპარეზი იყო: ბრძოლა მიმდინარეობდა როგორც ქრისტიანობასა და ისლამს შორის, ისე ქრისტიანობისა (კათოლიკე დასავლეთევროპელი ჯვაროსნები მართლმადიდებელი ბიზანტიელების წინააღმდეგ) და ისლამის შიგნითაც (სუნიტები შიიტების წინააღმდეგ).

ცალკეული წრეები დღემდე ცდილობენ და ახერხებენ რელიგიური საბურველით დაფარონ წმინდა პოლიტიკური მიზნები.

ქრისტიანობაში გამიჯვნა საერო და სასულიერო სფეროებს შორის

საკმაოდ მკაფიოა – *„მიეცით კეისარსა კეისრისა და ღმერთსა ღვთისა“*. ეს ბუნებრივია, რადგან ახალი სარწმუნოება უკვე არსებული ძლიერი საერო ხელისუფლების მქონე სახელმწიფოში ისახებოდა. თანამედროვე საერო (სეკულარული) სახელმწიფოები პრაქტიკულად ქრისტიანული სამყაროს წიაღში ჩამოყალიბდნენ.

მართალია, ზოგიერთ ქრისტიანულ მიმართულებას აქვს პოლიტიკაში ჩარევის გარკვეული ტენდენცია, მაგრამ დღევანდელ ახლო აღმოსავლეთში ასეთ ტენდენციას ნაკლები გასაქანი აქვს (გამონაკლისია კვიპროსი, სადაც პრეზიდენტად დიდხანს იყო არქიეპისკოპოსი, და ლიბანი).

ქრისტიანობისაგან განსხვავებით, იუდაიზმი და ისლამი საერთოდ არ მიჯნავს საერო და სასულიერო სფეროს. *იუდაიზმი* გაჩნდა მომთაბარე ტომში, როგორც მისი შინაგანი სიმტკიცის საფუძველი. *ისლამი* ჩაისახა სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე საზოგადოებაში და თავიდანვე შეუწყო ხელი თეოკრატიის ჩამოყალიბებას.

იუდაიზმის ნორმები პრაქტიკულად ბატონობს ისრაელში, სადაც არა აქვთ წერილობით ჩამოყალიბებული კონსტიტუცია და ფორმალურად რელიგია არაა გამოყოფილი სახელმწიფოსაგან. რელიგიურ პარტიებს აქ დიდი გავლენა აქვთ. განათლების სერიოზული სეგმენტი რელიგიურ სკოლებს უჭირავს. სიონიზმი, მართალია, ძირითადად *სეკულარული* [საერო, არარელიგიური] მოძრაობაა, მაგრამ მისი საფუძველი იუდაიზმშია, რადგან ის ებრაელებს მოუწოდებს დაბრუნებისაკენ *ისტორიულ სამშობლოში*, რომელიც განისაზღვრა რელიგიური წიგნის, *თორას*, მეშვეობით.

რაც შეეხება პოლიტიკურ ისლამს, ან ისლამიზმს, შეიძლება განისაზღვროს, როგორც რწმენა, რომ *ყურანსა* და *ჰადისებში** მოცემულია ყველაფერი მნიშვნელოვანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს საზოგადოება და მმართველობა [Fuller, 2002, 49]. ისლამიზმი თანდათანობით ახლო აღმოსავლეთში ყველაზე მძლავრ იდეოლოგიურ ძალად ყალიბდება.

უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით, 1970-იანი წლების ბოლოდან, ახლო აღმოსავლეთში სულ უფრო მეტ ძალას იძენენ ისლამზე ორიენტირებული მოძრაობები, რომლებიც ადგილობრივ სეკულარულ ხელისუფალთ უკიჟინებენ მორალის დეგრადაციას, ისლამისათვის მიუღებელ დასავლურ ფასეულობათა დანერგვას. მაგალითად, საუდიანთა მმართველი დინასტიის მიმართ ისლამიზმის მთავარი პრეტენზიაა რეჟიმის კორუმპირებულობა, ხალხის ინტერესების უგულებელყოფა, ამერიკის არმიის შემოშვება „ისლამის წმინდა მიწაზე“. ისლამის როლის გააქტიურებაზე მეტყველებს ის, რომ მაგალითად პალესტინელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში სეკულარულ „*ფათჰ*“-ზე უფრო მეტ გავლენას უკვე ფლობს ისლამური პარტია *ჰამას*-ი.

1920-იანი წლებიდან რეგიონში სეკულარიზმის ძლიერი ზრდა აღინიშ-

ნებოდა, მაგრამ მის პარალელურად არსებობდა ანტისეკულარული განწყობაც. სეკულარული ძალები და ლიდერები, მაგალითად, *ათათურქი* და მისი მიმდევარი *ქემალისტები* – რესპუბლიკურ თურქეთში, *მოჰამად რეზა შაჰი* – ირანში, *გამალ აბდელ ნასერი* – ეგვიპტეში, *ჰაფიზ ასადი* – სირიაში, *სადამ ჰუსეინი* – ერაყში იმდენად მტკიცე ძალაუფლებას ფლობდნენ, რომ კლერიკალური ოპოზიციის დათრგუნვა შეეძლოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ლიდერი (მაგალითად, სადამ ჰუსეინი) საჭიროების შემთხვევაში რელიგიას თავის სასარგებლოდ იყენებდა.

1979 წელს ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ და შაჰის დამხობამ რელიგიურ პარტიებს ფრთა შეასხა სხვა ქვეყნებშიც.

ისლამიზმის გააქტიურების ახსნა მხოლოდ ერთი ფაქტორით – როგორც რეაქცია *ისლამური სამყაროს შუაგულში ებრაული სახელმწიფოს შექმნაზე და ამ უკანასკნელის პოლიტიკაზე პალესტინელთა მიმართ* – საკითხის ძალიან გამარტივებული ახსნა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებულ ფაქტორს საერთაშორისო ტერორიზმი ხანდახან თავის გასამართლებლად იყენებს. მაგალითად, ტერორისტული ქსელის „ალ-*კაიდას*" ვებ-საიტზე 2002 წლის ნოემბერში გაჩნდა მტკიცება, რომ მისი ანტიამერიკული მოქმედება ძირითადად *„განპირობებულია ამერიკელების მხრიდან ისრაელის მხარდაჭერით, რომელიც ჩაგრავს პალესტინელებს*" [Schiff, 2002]. სხვათა შორის, ყველაზე უარყოფითი დამოკიდებულება ასეთი არგუმენტაციის მიმართ თვით პალესტინელთა ხელმძღვანელობამ დაიჭირა, რომელსაც სულაც არ აძლევს ხელს, რომ ანტიამერიკული ტერორიზმის მიზეზად წარმოჩნდეს.

სინამდვილეში, ისლამიზმის აღზევება მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორისაა ძველი კოლონიური ჩაგვრა, დასავლური ფასეულობების აგრესიული შეჭრა უცხო კულტურულ გარემოში და არანაკლებ აგრესიული უკურეაქცია ამაზე.

სამწუხაროდ, XXI საუკუნის დამდეგიდან დასავლეთის ქვეყნების თეორიულად გამართლებულმა პოლიტიკამ ისლამურ აღმოსავლეთში დემოკრატიის ხელშესაწყობად და ტირანული რეჟიმების დასამხობად (ავღანეთი, ერაყი) პრაქტიკაში უკუშედეგი მოიტანა და გააძლიერა ისლამური ოპოზიცია. ეს ტენდენცია სულ უფრო გამოკვეთილი ხდება.

სხვადასხვა რელიგიის პოლიტიკური როლი და გავლენა ახლო აღმოსავლეთში მკვეთრადაა შეცვლილი შუა საუკუნეებთან შედარებით, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა ქრისტიანული ბიზანტია.

პოლიტიკაზე გავლენით რეგიონში ამჟამად პირველ ადგილზეა ისლამი; XX საუკუნის მეორე ნახევარში გავლენით *მეორე ადგილზე გადავიდა იუდაიზმი*, რომელიც იქამდე პოლიტიკური თვალსაზრისით სულ უმნიშვნელო როლს თამაშობდა: ამჟამად ის რეგიონის ერთ-ერთი, სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი, სახელმწიფოს, გაბატონებული რელიგიაა. *ქრისტიანობის პოლიტიკური გავლენა რეგიონში მკვეთრად შემცირდა.*

ქვემოთ მოტანილი რელიგიების გეოგრაფიის მიმოხილვისას შევეცადე გადმომეცა თითოეული მათგანის ის თავისებურებანი, რომლებიც ზემოქმედებს თანამედროვე მოსახლეობის პოლიტიკურ კულტურაზე, ცხოვრების წესზე და, შესაბამისად, ასრულებს პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის როლს.

რელიგიების განხილვის თანამიმდევრობა ქრონოლოგიურია: უძველესიდან უახლესისაკენ.

იუდაიზმი

იუდაიზმის, რეგიონში დღეისათვის შემორჩენილი უძველესი მონოთეისტური რელიგიის, გავრცელების გეოგრაფიული არეალის შემოხაზვა ყველაზე მარტივი საქმეა. **იუდაიზმი** ისრაელის სახელმწიფოს დომინანტი მოსახლეობის რელიგიაა; მისი ანკლავებია* „დასავლეთ ნაპირის" ებრაული ახალშენები.

მეზობელ არაბულ ქვეყნებში ებრაული დიასპორა თითქმის აღარ დარჩა, მაგრამ ირანსა და თურქეთში ადგილობრივი ებრაული დიასპორები არსებობს და სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებს. რამდენადაც ცნობილია, ირანის ებრაული თემი ლოიალურია ამ სახელმწიფოს მიმართ, მას არ სდევნიან და პატივითაც კი ეპყრობიან, თორემ ის აქამდე მოახდენდა *ალიას** ისრაელში.

იუდაიზმი პრაქტიკულად ეროვნული რელიგიაა. ებრაელი ადამიანი საკუთარ ენაზე თავისი ეთნიკურობისა („ებრაელი") და რელიგიის („იუდაისტი") აღსანიშნავად ერთ სიტყვას იყენებს – „*იუდი*" [Yiehudi][1]. სეკულარული ებრაელიც კი იუდაისტურ რელიგიასთან უხილავი, მაგრამ მტკიცე ძაფებითაა მიბმული. უფრო მეტიც, *ქრისტიანად მონათლული ებრაელი სხვა ებრაელების თვალში დაგმობას იმსახურებს, თუმცა მაინც თავისიანად რჩება.* ისეც ხდება, რომ ასეთ ადამიანს ქრისტიანებიც დიდხანს ვერ ითავისებენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია დედოფალ ვიქტორიას ეპოქის ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი პრემიერ-მინისტრი, ლორდი *ბენჯამინ ბიკონსფილდი*, რომელიც 13 წლის ასაკში მოანათვლინა მამამ – *აიზეკ დ'იზრაელიმ*, მაგრამ ის არც თვითონ გაემიჯნა ებრაელობას და არც გარშემომყოფებმა დაუვიწყეს წარმოშობა [Endelman & Kushner, 2002].

---

1. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში გვაქვს უნიკალური მაგალითი, როცა ერის, ენისა და სახელმწიფოს სახელი სულ სხვადასხვაა. ებრაელთა ეთნო-რელიგიური თვითსახელია *იუდი* (აქედან მომდინარეობს, მაგალითად, თურქული *იეჰუდი*, გერმანული *იუდე*, პოლონური *ჟიდ*); ებრაელები თავიანთ ენას უწოდებენ *ივრით*-ს (აქედან მომდინარეობს რუსული *ევრეისკი*, ქართული *ებრაული*, იტალიური *ებრაი*; აქედანვეა *ჰიბრიუ*, საიდანაც სხვადასხვა მოდიფიკაციით გამოვიდა ფრანგული *ჰებიფ* და ინგლისური *ჰებუ*); თავიანთ სახელმწიფოს ებრაელები უწოდებენ *ისრაელს*, რაც თორას თანახმად თავიდან იყო პატრიარქ იაკობის მეტსახელი, შემდეგ ეწოდა მის შთამომავლობას და გადატანილ იქნა იმ *მიწაზე* (ებრაულად *ერეც*, რაც ისრაელის სინონიმად ითვლება), სადაც XX საუკუნეში აღდგა ებრაული სახელმწიფოებრიობა.

არსებობს იუდაიზმში მოქცევის პრაქტიკა, რაც *გიურის** საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცედურის შემდეგ ხდება. მაგრამ მასობრივ პროზელიტიზმს*, განსხვავებით ქრისტიანობისა და ისლამისაგან, იუდაიზმი არ ეწევა.

ძალიან არსებითია, რომ შვილის რელიგიისა და/ან ეროვნების მამით განსაზღვრის წესისაგან განსხვავებით, რაც ყველა ძირითადი სარწმუნოებისა და ცივილიზაციის მიერ აღიარებული ტრადიციაა, ებრაელის რელიგია/ეროვნება დედის მიხედვით დგინდება.

*ჰალახას** თანახმად, *ებრაელად ითვლება ებრაელი დედის შვილი, მამის სარწმუნოების/ეროვნების მიუხედავად* (იხ. ჩანართი 4.1).

ჩანართი 4.1

ეთნიკურობის დადგენის ებრაული წესის შესახებ

ებრაული სამართლის – ჰალახას – ნორმების კოდიფიკაცია დასრულდა ახ. წ. მე-II-III საუკუნეებში, რომის იმპერიის ბატონობის ხანაში. სწორედ ამ პერიოდისათვის დადგინდა *ებრაელობის დედით განსაზღვრის წესი* (ბევრად ადრე შექმნილ *თორაში* ეს წესი არ იხსენიება). ებრაელებს რომაელთა უღლის ქვეშ და დიასპორაში ცხოვრება მოუხდათ, სადაც მათი ქალები უცხოტომელი მოძალადის მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყვნენ. ამიტომაც ებრაელობის დედით განსაზღვრის წესი სავსებით პრაგმატული აღმოჩნდა (*დნმ*-ის ანალიზის გზით მამობის დადგენა მხოლოდ XX საუკუნის ბოლოსათვის გახდა შესაძლებელი). შერეული ქორწინებებისა და ეროვნება/რელიგიის დედით განსაზღვრის წყალობით სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელების ანთროპოლოგიური ტიპაჟი ძალიან მრავალფეროვანი გახდა: სფარადი* ებრაელი შავგვრემანია, აშკენაზი* შეიძლება მაღალი და ქერათმიანი იყოს, ეთიოპიელი ებრაელი მუქკანიანი იქნება, შორეული აღმოსავლეთიდან ამოსული კი – ვიწროთვალება.

ბოლო პერიოდში ისრაელელმა ექსპერტებმა თითქოს შეძლეს დაემტკიცებინათ ებრაელების გენეტიკური ერთიანობა, და კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს ჟურნალ Nature-ში, http://www.bbc.co.uk/russian/life/2010/06/100609-genetic-study-jewish-diaspora.shtml (10.07.2010).

ამ მეცნიერების მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, თავს ნებას ვაძლევ ერთგვარი ეჭვი შევიტანო გამოკვლევის სიზუსტეში: ის არ დასტურდება (ყოველ შემთხვევაში, მთლიანად: ავტორებიც აღნიშნავენ ამას) უბრალოდ ვიზუალურად.

ამიტომაც შეიძლება ისრაელში შეხვდეთ რეპატრიანტს (*ოლე*-ს) ისეთი მოულოდნელი გვარით, როგორიცაა *აბესაძე* ან *ივანოვი*: პირველის დედა რაბინოვიჩია (ისრაელის ქნესეთის წევრია *ნინო აბესაძე*!), ხოლო მეორის ბებია (დედის მხრიდან), ალბათ, *შაპირო* იქნებოდა. ქრისტიანი კაცი, ვინც ებრაელ ქალს ირთავს, დიდი ალბათობით უნდა ელოდეს, რომ მისი მოზრდილი შვილები თავს ებრაელებად ჩათვლიან. ისლამი თითქოს უფრო მტკიცედ გამოიყურება „პატრიარქალურობის“ თვალსაზრი-

სით: თეორიულად მუსლიმი მამის შვილი მუსლიმია, მიუხედავად დედის რელიგიისა. მაგრამ მაინც უცნობია, რა ეთნიკური პრეფერენცია ექნება მუსლიმი მამისა და ებრაელი დედის შვილს, როდესაც ის წამოიზრდება[1].

1950 წელს ისრაელში მიღებული „დაბრუნების კანონი“ 1970 წლის მეორე შესწორების მიღებამდე გარკვეულად არ ეთანხმებოდა *ჰალახას*. კანონის პირველ პუნქტში ეწერა: „*ყველა ებრაელს აქვს უფლება შემოვიდეს ამ ქვეყანაში, როგორც ოლე* (რეპატრიანტი)“. მაგრამ დაზუსტებული არ იყო, თუ ვინაა ებრაელი. სხვა რელიგიის ადამიანებს კი კანონი საერთოდ არ ეხება. სეკულარული კანონის ეს თავისებურება იმით იყო გამოწვეული, რომ ნაცისტები ებრაელად (რომელსაც საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრა ელოდა) მიიჩნევდნენ მამით ებრაელსაც, თუნდაც დედა მას გერმანელი ჰყოლოდა. „დაბრუნების კანონმა“ შეღავათი მისცა ყველას, ვისაც ნაციზმი ჩაგრავდა.

1970 წელს იმავე კანონში რელიგიური პარტიების დაჟინებით ასეთი შესწორება იქნა შეტანილი: „*ამ კანონის მიზნებისათვის 'ებრაელი' ნიშნავს პირს, რომელიც შობილი იქნა ებრაელი დედის მიერ, ანდა მოქცეული იქნა იუდაიზმში და რომელიც არაა სხვა რელიგიის* [რელიგიური ჯგუფის: რ.გ.] *წევრი*“. ამრიგად, სეკულარული კანონი რელიგიურ წესთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი.

არსებობს იუდაისტური რელიგიური წესის აღსრულების ორნაირი ტრადიცია – *აშკენაზური* და *სფარადული*, რომლებიც ერთმანეთს *არ უპირისპირებს* თავის მიმდევრებს – *აშკენაზიმს**, ევროპელ ებრაელებს (მხოლობითში – *აშკენაზი*) და *სფარადიმს**, უპირატესად ჩრდილოეთ აფრიკის ებრაელებს (მხოლობითში – *სფარად/სეფარდ*, რაც სიტყვა-სიტყვით *ესპანელს* ნიშნავს). *მიზრახიმი** (აღმოსავლეთის ებრაელები, მათ ეკუთვნიან ქართველი ებრაელებიც) ასევე სფარადულ წესებს იცავენ.

1810 წელს გერმანიაში დაიწყო იუდაიზმის რეფორმა – ორთოდოქსული ტრადიციის თანამედროვეობასთან მისადაგების ცდა. ამჟამად იუდაიზმის შიგნით არსებობს *ორთოდოქსული, რეფორმისტული, კონსერვატიული* და *რეკონსტრუქტივისტული მიმდინარეობები*. მათ შორის დაპირისპირებას არასოდეს მიუღია ისეთი სისხლიანი მტრობის სახე, როგორიც შიდაქრისტიანულ ან შიდაისლამურ კონფლიქტებს ახასიათებდა: ისინი ერთიმეორესთან, ასე ვთქვათ, მწყრალად არიან. ისრაელში ორთოდოქსული იუდაიზმი დომინირებს (ქართველი ებრაელებიც მას მისდევენ). ძირითადად ამერიკის ებრაულ თემებშია გავრცელებული იუდაიზმის სხვა მიმდინარეობები, რომლებიც უფრო ღიაა გარეშე გავლენებისათვის: მაგალითად, *რეკონსტრუქტივიზმი* ეჭვქვეშ

1. როგორც ღია წყაროებში ნერენ, *მოსადი* (ისრაელის საგარეო დაზვერვა) თავის პოტენციურ აგენტურას არაბულ და სხვა ქვეყნებში ეძებს სწორედ დედით ებრაელებს შორის, რომლების ჩანერგვაც ამ ქვეყნების მმართველ ორგანოებში, არმიაში, მეცნიერებაში, რელიგიურ სფეროშიც კი შედარებით ადვილად შეუძლია.

აყენებს მოსეს მიერ თორას მიღებას სინას მთაზე და ებრაელი ხალხის ღვთივრჩეულობას [Евреи.., 2001]).

ორთოდოქს ებრაელებს შორის არიან ე.წ. „ულტრაორთოდოქსული" მიმართულების მიმდევრებიც – ებრაულად *ჰარედი* (მრ.*ჰარედიმ*) ჰქვიათ. ისინი გამოირჩევიან შავი ფერის ტანსაცმლით, ზოგჯერ (ძირითადად, აშკენაზი ჰარედიმი) – *პეისებით* („კულულებით" საფეთქლების გაყოლებაზე). *ჰარედიმის* ოჯახები მრავალშვილიანია, ვინაიდან შობადობის რეგულირება მათ წრეში აკრძალულია, მაშინ როცა სეკულარულ ებრაელებს, ისრაელის მოსახლეობის უმრავლესობას, მცირერიცხოვანი ოჯახები აქვთ. *ჰარედიმს* უფლება ეძლევათ არ იმსახურონ ისრაელის არმიაში. მათი უმრავლესობა არ მუშაობს და სახელმწიფოს კმაყოფაზეა, ვინაიდან მათი ძირითადი საქმეა რელიგიის შენახვა – *თორის* შესწავლა და ქადაგება დანარჩენი ებრაელებისათვის. ამასთან, ბევრი მათგანი არ ცნობს ისრაელის ჰიმნს, დროშას, საერო დღესასწაულებს და არც ადამიანთა მიერ შექმნილ სახელმწიფოს, ისრაელს, რომელიც, მათი რწმენით, თურმე „მაშიახმა (მესიამ) უნდა აღადგინოს" და არა ადამიანებმა.

ქრისტიანობა

ახლო აღმოსავლეთში წარმოშობილი ქრისტიანობა, რომელიც წინაისლამურ ხანაში რეგიონში ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული, ახლა მხოლოდ ანკლავების სახითაა შემორჩენილი და მის მიმდევართა რაოდენობა მცირდება.

საკმაოდ დიდხანს XX საუკუნეში, როდესაც ახლო აღმოსავლეთის ზოგი ისლამური ქვეყნის პოლიტიკაში სეკულარული იდეოლოგიები დომინირებდა, ნიჭიერი კაცის ქრისტიანობა არ იყო ხელშემშლელი პირობა მისი პოლიტიკური წინსვლისათვის.

ქრისტიანი იყო ანტიკოლონიალისტური ბრძოლის მრავალი ლიდერი, მათ შორის, *„არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის"* (*ბაას*) ერთ-ერთი დამაარსებელი (ამ პარტიის მეტოქე ფრაქციები კარგა ხანი მართავდნენ ერაყსა და სირიას), *პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის* შემქმნელები.

ქრისტიანები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხელისუფლებაშიც იყვნენ წარმოდგენილი. მაგალითად, გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი, მანამდე ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი, *ბუტროს ბუტროს ღალი* ქრისტიანი კოპტია; *ტარიკ აზიზი*, ერაყის ვიცე-პრემიერი სადამ ჰუსეინის ერაყში, ასევე ქრისტიანია. ირანის ისლამური რესპუბლიკის მეჯლისში ქრისტიანებისათვის (აგრეთვე იუდეველებისთვის) დაჯავშნილია დეპუტატის ადგილები; ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი მუბარაქი

იყენებდა თავის კონსტიტუციურ უფლებას დაენიშნა პარლამენტის წევრებად კოპტები, რათა ფორმალურად გაეზარდა იქ ქრისტიანთა წარმომადგენლობა; დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ლიბანში პრეზიდენტი აუცილებლად ქრისტიანი-მარონიტი უნდა იყოს. კულტურის სფეროში, ხელოვნებაში, ბიზნესში ადგილობრივ ქრისტიანთა როლი მათ რაოდენობრივ წილთან შედარებით ბევრად უფრო მაღალია.

მაგრამ ეს ტენდენცია იცვლება ისლამიზმის გააქტიურების კვალდაკვალ. ეს არ ნიშნავს, რომ ქრისტიანების პირდაპირი დევნა დაიწყო. უბრალოდ, მუსლიმურ ქვეყნებში ისლამის (ისრაელში კი – იუდაიზმის) პოლიტიკური უპირატესობის განმტკიცებას თან სდევს დემოგრაფიული შედეგი: ქრისტიანები გრძნობენ თავიანთ „უადგილობას" ისლამურ და ებრაულ სახელმწიფოებში და ამას მიგრაციული ქცევით პასუხობენ. ისინი მიდიან ძირითადად ამერიკის ქვეყნებში, ავსტრალიაში, ევროპაში.

ემიგრაციის გამო აღმოსავლურ-ორთოდოქსული კოპტური ეკლესია, რომელიც მხოლოდ ეგვიპტეში დაახლოებით 5-6 მილიონ ადამიანს მოიცავს, სისტემატურად კარგავს მრევლს. მაგალითად, იერუსალიმში 1948 წლამდე 20 ათასამდე კოპტი სახლობდა, XXI საუკუნის დასაწყისში კი მათი რაოდენობა 2 ათასამდე შემცირდა. მათი დიდი ნაწილი ოკეანის გადაღმა გადასახლდა. თუ 1975 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში კოპტურ საარქიეპისკოპოსოს სულ 14 მღვდელი ჰყავდა, 2000 წელს – 145. პალესტინელ არაბთა შორის ყველა მიმართულების ქრისტიანთა ხვედრითი წილი ბოლო ნახევარ საუკუნეში 15 პროცენტიდან 2-ზე ნაკლებ პროცენტამდე დაეცა: ქალაქები *ბეთლემი* და *ნაზარეთი*, რომლებიც 1948 წლამდე ძირითადად ქრისტიანული იყო, ახლა უპირატესად მუსლიმებითაა დასახლებული.

ერთი მაგალითი გარკვეულ მოდელად შეიძლება გამოდგეს: XXI საუკუნის დასაწყისში, „ალ-აკსას ინთიფადას" დროს, ქ. იერუსალიმის სამხრეთში მდებარე ებრაული ახალშენის, *გილოს* მისამართით მეზობელი ქრისტიანული (უპირატესად, მართლმადიდებელი) დასახლება *ბეით-ჯალა*-დან დაუდგენელი რელიგიის ტერორისტების მიერ ავტომატიდან პერიოდული სროლის საპასუხოდ ისრაელის რეგულარული არმიის ტანკებმა, მძიმე არტილერიამ და შვეულმფრენებმა თავიანთი ზუსტად მართული რაკეტებით დაანგრიეს და საცხოვრებლად უვარგისი გახადეს მრავალი სახლი და სარისკოდ აქციეს ცხოვრება ბეით-ჯალაში. ამიტომაც ამ დასახლების ქრისტიანული არაბი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამჯობინა საერთოდ გასცლოდა პალესტინასა და ისრაელს.

ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ქრისტიანული მოსახლეობის დაახლოებითი ხვედრითი წონა ასეთია (იხ. ცხრილი 4.1: მონაცემები შეფასებითია და სხვადასხვა წყაროებს ეყრდნობა.)

ცხრილი 4.1. ქრისტიანული მოსახლეობა რეგიონის ქვეყნებში
(2011 წლის შეფასებით)

ქვეყანა ან მოსახლეობის ჯგუფი	ქრისტიანი (მლნ)	% მთელ მოსახლეობაში
ეგვიპტე	5,7	7,0
სირია	3,0	15,0
ლიბანი	1,3	35,0
კვიპროსი	0,8	78,0
ერაყი	0,7	3,0
იორდანია	0,3	4,0
ირანი	0,1	0,1
ისრაელი	0,15	2,0
პალესტინის ტერიტორიები	0,05	1,5

რეგიონში არის ერთადერთი მთლიანად ქრისტიანული ქვეყანა – კვიპროსის რესპუბლიკა (კუნძულ კვიპროსის სამხრეთ ნაწილი).

ფორმალურად ჯერაც ითვლება, რომ ლიბანში მოსახლეობის უმეტესობა (60 პროცენტამდე) 14 სხვადასხვა მიმდინარეობის (ეკლესიის) მიმდევარი ქრისტიანია. მაგრამ ეს მონაცემი 1932 წლის აღწერის შედეგებს ეყრდნობა, რომლის საფუძველზეც დადგინდა კონფესიათა წარმომადგენლობის პროპორცია ქვეყნის ხელისუფლებაში. 1943 წლის დაუწერელი „ეროვნული პაქტის" თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს ქრისტიანი-მარონიტი, პრემიერ-მინისტრი – მუსლიმი-სუნიტი, პარლამენტის თავმჯდომარე – მუსლიმი-შიიტი, თავდაცვის მინისტრი – დრუზი და ა.შ.

თანამედროვე შეფასება კი გვიჩვენებს, რომ ლიბანში მცხოვრებ ქრისტიანთა ჯამური მაჩვენებელი დღეისათვის მუსლიმებზე გაცილებით ნაკლებია და მთელი მოსახლეობის 35 პროცენტსაც არ აღწევს. ამის ძირითადი მიზეზია ემიგრაცია. ლიბანელ ქრისტიანებში, ევროპასთან ტრადიციული კონტაქტების გამო, მუსლიმებზე უკეთესი განათლების მიღების ტენდენცია შეინიშნება. იგივე ითქმის სირიის ქრისტიან მოსახლეობაზე. მაგრამ საკუთარი თავის რეალიზაციას უცხო რელიგიურ გარემოში ან შედარებით მცირე ქვეყნებში ისინი სრულად ვერ ახერხებენ. ეს უბიძგებს ახლო აღმოსავლეთის მრავალ ქრისტიანს ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში ემიგრაციისაკენ, რადგან იქ მათ საკმაო შანსი უჩნდებათ ბიზნესში წარმატების მისაღწევად ან პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად. ასე მაგალითად, არგენტინის რესპუბლიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის – *კარლოს მენემის* – წინაპრები იყვნენ ქრისტიანები სირიიდან.

რეგიონიდან ემიგრაციის გარდა, ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანთა

რაოდენობის შემცირების მიზეზია მუსლიმებთან შედარებით დაბალი შობადობა.

ქრისტიანობა რეგიონში წარმოდგენილია მრავალი მიმდინარეობით. ეგვიპტეში არსებობს მონოფიზიტური **კოპტური** ეკლესია. ***რეგიონის ქრისტიანების უმრავლესობას სწორედ კოპტები შეადგენენ.***

საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავს რეგიონში ქრისტიანობის ძირითად შტოს – **მართლმადიდებლობას.** [სამხრეთ] კვიპროსი თითქმის მთლიანად ბერძენი მართლმადიდებლებით არის დასახლებული. მართლმადიდებლები ცხოვრობენ აგრეთვე ლიბანში, ისრაელსა და პალესტინის „დასავლეთ ნაპირზე", ეგვიპტეში, სირიაში. ძალიან ცოტა დარჩა მართლმადიდებელი სტამბოლში (თურქეთში), სადაც ზის *კონსტანტინოპოლის პატრიარქი*, რომელიც მართლმადიდებელ იერარქებს შორის უპირველესად ითვლება.

კათოლიციზმი ლიბანის, ისრაელისა და პალესტინის არაბულ, აგრეთვე სომხურ მოსახლეობაში აქა-იქ არის წარმოდგენილი. ლიბანში გავლენიანი **მარონიტული** ეკლესია *უნიატურია*, ანუ თავის უზენაეს მეთაურად ცნობს რომის პაპს. ამიტომაც იყო, რომ მეორე იმპერიის (1850-1870 წწ) დროინდელი საფრანგეთი, რომელიც იმ დროს ახლო აღმოსავლეთში „კათოლიციზმის მფარველად" აცხადებდა თავს, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მარონიტობის მიმართ და იქიდან მოყოლებული ის ყველაზე გავლენიანი ქრისტიანული თემია ლიბანში.

სომხურ სამოციქულო (ე.წ. გრიგორიანულ, მონოფიზიტურ) ეკლესიას თავისი მიმდევრები (შეფასებით – 60 ათასზე მეტი) ჰყავს ლიბანში (ბეირუთში), აგრეთვე თურქეთში (სტამბოლში – 100 ათასამდე), ისრაელში (იერუსალიმში). ირანის ქრისტიანების უმეტესობა ასევე სომეხი გრიგორიანია.

გარდა ამისა, რეგიონში არსებობს სხვა მონოფიზიტური ეკლესიებიც: **სირიული** (ანუ იაკობიტური) **ორთოდოქსული, ეთიოპური ორთოდოქსული. ასირიული** (ანუ ნესტორიანული) ეკლესიები და სხვები, რომელთაც მცირე რაოდენობის მრევლი ჰყავთ.

რეგიონში ცოტა მიმდევარი ჰყავს ევროპელი მისიონერების მიერ შემოტანილ **ანგლიკანურ, ლუთერანულ** და სხვა პროტესტანტულ ეკლესიებს.

არც თუ იშვიათად ქრისტიანობის მიმართულებანი ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად, შეიძლება ითქვას, მტრულად არიან განწყობილი. დაპირისპირების ძირითადი მიზეზია ქონებრივი დავა. ეს განსაკუთრებით ეხება იერუსალიმსა და წმინდა მიწის სხვა წმინდა ადგილებს (იხ. თავი 17).

ისტორიული ქიშპობა აღმოსავლურ (მართლმადიდებელ) და დასავლურ (კათოლიკურ) ქრისტიანობას შორის, რომლის კვინტესენცია იყო შუა საუკუნეების ჯვაროსნული ლაშქრობების დროს კონსტანტინოპოლის აღება, ჯერაც არ განელებულა.

თეორიულად ყველა მუსლიმი ერთ თემს (არაბულად – *უმმა*) *ეკუთვნის*, მიუხედავად მისი ეთნიკური, რასობრივი წარმოშობისა ან მოქალაქეობრივი კუთვნილებისა.

ასევე *თეორიულად*, მუსლიმებს მეტი პოლიტიკური ერთიანობაც ახასიათებთ, ვიდრე ქრისტიანებს. არსებობს, მაგალითად, 1971 წელს შექმნილი ორგანიზაცია „ისლამური კონფერენცია", რომელშიც ისეთი სეკულარული ისლამური ქვეყნებიც კი შევიდნენ, როგორიცაა ალბანეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი. მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკაში ამ ორგანიზაციის რეალური წონა მცირეა. *პრაქტიკულად, ისლამში არსებობს ბევრი ურთიერთდაპირისპირებული მიმართულება.*

მუსლიმები არასოდეს უწოდებდნენ თავს მაჰმადიანებს. ეს ქრისტიანების მიერ გამოგონილი ტერმინია. ამ *მცდარი ტერმინის, „მაჰმადიანის"*, გამოყენებით ჩვენ ფაქტობრივად ვახდენთ ქრისტესა და მუჰამმადის გათანაბრებას – თითქოს მუჰამმადი (მაჰმადი) იგივე იყოს მუსლიმებისათვის, რაც იესო ქრისტე – ქრისტიანებისათვის. სინამდვილეში ქრისტიანებისათვის *იესო* არის ძე ღვთისა და მაცხოვარი, მაშინ როცა მუსლიმებისათვის *მუჰამმადი* მხოლოდ ღვთის (ალაჰის) მოციქული და წინასწარმეტყველია.

ისლამი ამჟამად თითქმის მთლიანად დომინირებს ახლო აღმოსავლეთში. ისლამი ოფიციალურად ან ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიაა ახლო აღმოსავლეთის 12 ქვეყანაში, გარდა კვიპროსის, ისრაელის, ლიბანისა და თურქეთისა (ეს უკანასკნელიც, პრინციპში, ისლამური ქვეყანაა, თუმცა სეკულარული).

საუდის არაბეთსა და *ომანს* არა აქვთ დაწერილი კონსტიტუცია; *ქუვეითის, ბაჰრეინის, კატარისა* და *გას*-ის კონსტიტუციებში არაფერია ნათქვამი რელიგიაზე, მაგრამ ამ ექვსივე სახელწიფოს ისლამური ხასიათი აშკარაა. *სირიის* 1973 წლის კონსტიტუცია არ ახსენებს ისლამს, როგორც სახელმწიფო რელიგიას, მაგრამ კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი მუსლიმი უნდა იყოს, ხოლო კანონმდებლობის წყაროდ მიჩნეულია ისლამური კანონი – *შარიათი. ეგვიპტეში, ერაყში, იემენში, იორდანიაში* სუნიტური მიმართულების ისლამი ოფიციალურადაა გამოცხადებული სახელმწიფო რელიგიად. *ირანში* სახელმწიფო რელიგია შიიტური მიმართულების ისლამია.

შარიათს – ისლამურ რელიგიურ კანონსა და ქცევის წესებს – ეყრდნობა სასამართლო პრაქტიკა საუდის არაბეთში, ბაჰრეინში, კატარში, გას-ში, ქუვეითში, ომანში, იემენში, ირანში. ეს ნიშნავს, რომ შუა საუკუნეებში შექმნილი *შარიათის* მიხედვით ქვებით უნდა ჩაიქოლოს მრუშობაში ბრალდებული ქალი, უნდა მოხდეს ხელის მოკვეთა – ქურდობისათვის, თავის მოკვეთა – უფრო სერიოზული დანაშაულისათვის,

რომელთა შორისაა მკვლელობა, გაუპატიურება, ჰომოსექსუალიზმი, ნარკოტიკების გავრცელება, ალაჰის გმობა, ჯადოქრობა და სხვ.

ყურანში (5:45) დადგენილია: *„სული სულის წილ, და თვალი თვალის წილ, და ცხვირი ცხვირის წილ, და ყური ყურის წილ, და კბილი კბილის წილ, და ჭრილობები – შურისგებაა“*. ასეთი რამ ისლამის „გამოგონება“ რომ არ გვეგონოს, დავძენ, *ყურანში* გამეორებულია ის, რაც ბევრად ადრე ჩაიწერა *თორაში „თუ უბედურება მოხდა, სული სულის წილ უნდა ზღო, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, ფეხი ფეხის წილ, დამწვრობა დამწვრობის წილ, ნატკენი ნატკენის წინ“* (გამოსვლა, 21:23-25). შეგვიძლია კიდევ უფრო ღრმად შევიდეთ ისტორიაში და ძვ.წ. XVIII საუკუნის ჰამურაბის კანონები გავიხსენოთ, სადაც დაახლოებით იგივე წესებია. უბრალოდ, თორასა და ჰამურაბის კანონების პრაქტიკაში გამოყენება შეწყდა, შარიათისა – არა.

საუდის არაბეთში, სადაც შარიათს მკაცრად იცავენ, 1985-2008 წლებში დაახლოებით 1750 ადამიანს საჯაროდ მოჰკვეთეს თავი. სხვა ქვეყნებში, იქაც კი, სადაც თეოკრატიაა, შარიათის ყველა წესს ძალიან მკაცრად აღარ იცავენ: მაგალითად ირანში საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით 2003 წლის დასაწყისიდან შეაჩერეს ქმრის ღალატისათვის ბრალდებული ქალის ჩაქოლვის წესის გამოყენება.

შარიათი ებრძვის ლოთობასა და ნარკომანიასაც (იხ. ჩანართი 4.2), თუმცა ყოველთვის შედეგიანად არა.

აღსანიშნავია, რომ ისლამში (ისევე, როგორც იუდაიზმში) არაა სასულიერო პირების ერთიანი სტრუქტურა. ისლამს (კერძოდ, მის სუნიტურ მიმართულებას: იხ. ქვემოთ) არა აქვს ისეთივე იერარქია, როგორიც ახასიათებს, მაგალითად, კათოლიციზმს ან მართლმადიდებლობას: *მუსლიმებს პაპის, კათოლიკოსის ან პატრიარქის ეკვივალენტი არა ჰყავთ.*

ისლამი, ისევე როგორც ქრისტიანობა, დაშლილია მრავალ მიმართულებად, მათ შორის ძირითადია ორი – **სუნიტობა** და **შიიტობა** (რომლებიც, თავის მხრივ, მრავალ მიმდინარეობას აერთიანებს).

სუნიტები, რომლებიც მსოფლიოს ყველა მუსლიმის თითქმის 90 პროცენტს შეადგენენ, მუსლიმი მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, გარდა ირანისა, ერაყისა და ბაჰრეინისა, სადაც ხალხის უმრავლესობა შიიტია. იემენში მოსახლეობის ნახევრამდე შიიტია.

სუნიტური ისლამი დომინირებს ეგვიპტეში, თურქეთში, სირიაში, საუდის არაბეთში, იორდანიაში, გას-ში (დუბაის გარდა), კატარში, ქუვეითში, პალესტინელთა შორის.

ომანში მოსახლეობის უმეტესობა *იბადიიას* სექტას ეკუთვნის, რომელიც თავს სუნიტურად მიიჩნევს, თუმცა სხვა მუსლიმებს ამაში ეჭვი ეპარებათ: სუნიტები *იბადიიას* მიმდევრებს შიიტებს მიაკუთვნებენ.

ერაყის სამეფოს შექმნის დროიდან (1920 წ.), რესპუბლიკურ პერიოდშიც

(1958 წლიდან), მათ შორის *სადამ ჰუსეინის* ხანაშიც, ამ ქვეყანას მართავდა სუნიტი არაბების უმცირესობა (მთელი მოსახლეობის 20-25 პროცენტი). ასევე ძირითადად სუნიტია ერაყის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრები ქურთი მოსახლეობა. ჯამში კი ერაყის ყველა სუნიტს რაოდენობრივად სჭარბობენ ქვეყნის სამხრეთსა და ცენტრში მცხოვრები შიიტები.

ჩანართი 4.2

ისლამი თრობის წინააღმდეგ

ყურანი (5:90) უკრძალავს მორწმუნეს *ღვინოსა და აზარტულ თამაშს*, როგორც *„შაიტანის ბნელ საქმეებს"* და ისლამურ ქვეყნებში ყურძნის მოყვანა ღვინის დაყენების მიზნით დაუშვებელია. ამ თვალსაზრისით *ომარ ხაიამის „რუბაიათი"*, სადაც ლამის ღვინის კულტი ბატონობს და რომლის თარგმანებიც ესოდენ პოპულარულია ევროპაში, რუსეთსა და საქართველოში, ორთოდოქსული ისლამისათვის სრულებით მიუღებელია და წარმოადგენს, ასე ვთქვათ, „დისიდენტურ ლიტერატურას".

ის, რომ ზოგიერთ, უპირატესად მუსლიმურ ქვეყანაში არის ღვინის წარმოება, კოლონიური წარსულის „გადმონაშთია" (მაღრიბის ქვეყნებში საღვინე ყურძნის წარმოება ფრანგებმა შეიტანეს). ისეთ სეკულარულ ქვეყანაშიც კი, როგორც თურქეთია, წარმოებული ყურძნის სულ 10 პროცენტამდე მიდის ღვინის დასამზადებლად.

ისლამის სამყაროში ალკოჰოლს არ სვამენ (ყოველ შემთხვევაში – საჯაროდ!), მაგრამ „მაგარი მსმელი" შვედეთი ან ფინეთი სოციალურ-კულტურულად ბევრად უფრო წინ წავიდნენ, ვიდრე „ფხიზელი" საუდის არაბეთი ან იემენი. საერთოდაც, როგორც *ანდრე ბონარი* წერდა ბერძნული ცივილიზაციის შესახებ, *„ღვინო მაღალი ცივილიზაციის მაჩვენებელია"*.

ისლამი კრძალავს ნარკოტიკების მოხმარებასაც. ზოგი ისლამური სახელმწიფო უმკაცრესად იცავს ამ აკრძალვას და იქ, სადაც *შარიათი** მოქმედებს, სიკვდილით სჯის დამნაშავეს. თუმცა, ამ აკრძალვის მიუხედავად, ზოგ ისლამურ ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის ნარკოტიკს მაინც მოიხმარენ (მაგალითად, იემენში – *კატ*-ს).

ნაკლებად არის ცნობილი, თუ როგორ იდევნებოდა XVI საუკუნის ოსმალეთში ამერიკიდან, ევროპის გავლით, შემოტანილი *თამბაქოს წევის* მოდა. ოსმალო *ულამამ**, როგორც ახლა ირკვევა, სავსებით სწორად გაუთანაბრა თამბაქოს წევა ნარკოტიკულ თრობას და სულტანთან დაასმინა მწეველები. სასჯელი მკაცრი იყო – თავის მოკვეთა. უნდა ვაღიარო, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, როგორც არამწეველი, ვერაფრით ვერ განვეწყვე ძალიან ნეგატიურად სულტნის ამ კანონის მიმართ!

სასჯელი თამბაქოს მოწევაზე სულტანმა საკმაოდ მალე გააუქმა. ოსმალეთი თვითონ იქცა მაღალხარისხოვანი თამბაქოს მწარმოებლად.

სუნიტურ ისლამში VIII-IX საუკუნეებიდან ჩამოყალიბდა ოთხი *მაზჰაბი* (საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა), რომელთა შორის განსხვავებაა *შარიათის* ინტერპრეტაციასა და გამოყენებაში. ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია მხოლოდ *ულამასათვის** და ოთხივე მაზჰაბი თანაბრად ორთოდოქსულად ითვლება.

საჭიროდ მივიჩნიე *მაზჰაბების გეოგრაფია*ზე ორიოდე სიტყვის თქმა: ამის მეშვეობით შეგვეძლება განვმარტოთ ისლამური საზოგადოების/სახელმწიფოების განსხვავებული მიდგომა ინოვაციის (სიახლის დანერგვის) მიმართ.

ოთხი სუნიტური მაზჰაბი ასეა გავრცელებული: *ჰანაფიტური* წარმოდგენილია თურქეთში, სირიაში, ერაყში, პალესტინის ქალაქებში; *შაფიიტური* მაზჰაბი – ქვემო ეგვიპტეში, პალესტინის სოფლებში, ქურთებს შორის, იემენში, საუდის არაბეთის დასავლეთ პროვინციებში – ჰიჯაზსა და ასირში; *მალიქიტური* – ზემო ეგვიპტეში, სპარსეთის ყურის დასავლეთ ნაპირზე; *ჰანბალიტური* – საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში.

ყველაზე მოქნილი სიახლეების (მათ შორის დასავლეთიდან შემოსულის) დანერგვის მიმართ არის ჰანაფიტური მაზჰაბი. შესაძლოა, ამიტომაც არის, რომ თურქეთი, სირია და ერაყი კულტურულად ყველაზე წინწასული მუსლიმური ქვეყნებია.

ყველაზე კონსერვატიულია ჰანბალიტური მაზჰაბი. ჰანბალიტურმა სკოლამ მისცა დასაბამი ფუნდამენტალისტურ-პურიტანულ მოძრაობას, რომელიც *უაჰაბიიას* (ვაჰაბიზმის) სახელითაა ცნობილი.

ჩეჩნეთის პირველი ომის დროიდან (1994-1996) და ისლამური ტერორიზმის გავრცელების კვალდაკვალ, ვაჰაბიზმი გადაიქცა რუსეთისა და დასავლეთის პრესის მთავარ საფრთხობელად. ზოგი დასავლეთელი და რუსი პოლიტიკოსი იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს „მთავარი საფრთხე ქრისტიანული ცივილიზაციისათვის ვაჰაბიტური მოძრაობიდან მოდის". ეს აშკარა გადაჭარბებაა. მაგრამ ვაჰაბიზმი სავსებით რეალური ძალაა, რომელზეც რამდენიმე სიტყვა დამატებით უნდა ითქვას.

1740-იან წლებში არაბეთის ნახევარკუნძულზე, ნაჯდის მხარეში *მუჰამად იბნ-აბდალ-უაჰაბმა* შექმნა ულტრაკონსერვატიული ისლამური მოძღვრება, რომელიც უარყოფდა ყველანაირ სიახლეს და მოუწოდებდა ცხოვრების ისეთი ნორმების აღდგენისაკენ, რომლებიც *ყურანსა* და ადრეული *სუნას* პრაქტიკას დაეყრდნობოდა. უაჰაბის მოძღვრება განსაკუთრებით ეწინააღმდეგება მისტიციზმს, წმინდანების, „წმინდა შენობებისა" და საფლავების თაყვანისცემის ხალხურ ტრადიციას, მიზგითების დეკორირებას, ყველანაირ ფუფუნებას, მათ შორის თამბაქოსა და ყავის მოხმარებასაც კი. ყველა მუსლიმს, ვინც მათ მოძღვრებას არ მისდევს, ვაჰაბიტები მწვალებლად მიიჩნევენ.

პოლიტიკური ძალა ამ მოძღვრებას შესძინა 1745 წელს დამყარებულმა კავშირმა *ანაიზას* ტომის ბელადთან – *მუჰამად იბნ-საუდთან*, რომლის შორეულმა შთამომავალმა, *აბდალაზიზ ას-საუდმა*, თანდათან დაიპყრო ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი და 1932 წელს შექმნა *საუდის არაბეთი*, სადაც ვაჰაბიზმი ფაქტობრივ სახელმწიფო რელიგიად იქცა.

უაჰაბის მოძღვრება დღეისათვის რამდენადმე ერუდირებულია

მოდერნიზაციითა და ტექნოლოგიური განვითარებით. საუდის არაბეთში, მაგალითად, არსებობს ტელევიზია, მოქმედებს ინტერნეტი, თუნდაც *ულამა** ამის წინააღმდეგი იყოს; ზოგი საუდიანი უფლისწულის სასახლეში ზღაპრული სიმდიდრეა თავმოყრილი. ბევრი მათგანი საზღვარგარეთ „ნავარდისას" არ იკლებს ფუფუნების საგნებსა და მომსახურებას.

ამასთან, *უაჰაბის მოძღვრების ერთგულება ხანდახან აბსურდული ვანდალიზმის ფორმას იღებს.* ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვაჰაბიტებმა პირველად დალაშქრეს *ჰიჯაზი* და, განმეორებით, 1925 წლიდან, როდესაც *აბდალაზიზ ას-საუდმა* საბოლოოდ დაიპყრო ის, ვაჰაბიტები ანგრევდნენ ისლამის ისტორიულ ნაგებობებს და საფლავებს იმ საბაბით, რომ *„მართლმორწმუნე მუსლიმებს მათთვის თაყვანისცემა არ მოსვლოდათ აზრად"*.

საუდიანთა მეფე *ფაჰდის* (1982-2005) ბრძანებით აღგავეს დედამიწის პირიდან სახლი მექაში, სადაც *მუჰამმადი* დაიბადა და სახლი მედინაში, სადაც ის მუშაჯირობისას ცხოვრობდა, აგრეთვე მისი პირველი ცოლის, *ხადიჯას*, სახლი; გაანადგურეს მექასა და მედინას ძველი სასაფლაოები, მუჰამმადის დედის, *ამინა ბინთ უაჰბის*, და მამის საფლავები და ა.შ. დაანგრიეს სულ ცოტა თერთმეტი ძველი მიზგითი მექასა და მედინაში. ყველაფერ ამას ვაჰაბიტი კლერიკები იმით ასაბუთებენ, რომ *„სუნა-ში მათი მოლოცვა ნახსენები არაა და არცაა საჭიროო"*. მექაში ისტორიული სახლების ნგრევას ქალაქის კეთილმოწყობის საჭიროებითაც ამართლებენ!

მუჰამმადის დროინდელ მცირეოდენ ნაგებობებში, რომლებიც *არ დაუნგრევიათ*, მექაში დარჩა *ალ-მასჯიდ-ალ-ქააბა*, მუსლიმთა მთავარი სალოცავი, ხოლო მედინაში – *ალ-მასჯიდ-ალ-ნაბაუი* (წინასწარმეტყველის მიზგითი).

საუდის არაბეთის გარეთ ვაჰაბიტები მრავლად არიან სპარსეთის ყურის სახელმწიფოებში. კატარის ადგილობრივ სუნიტურ მოსახლეობაში ისინი უმრავლესობას შეადგენენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვაჰაბიზმის მიმდევრები არ იყენებენ თვითსახელად „ვაჰაბიტს" (ეს ევროპელების მიერ შექმნილი სიტყვაა): ისინი თავს *მუვაჰიდუნ*-ს უწოდებენ, რაც *ერთიანობის მომხრეს* (*უნიტარისტს*) ნიშნავს.

ვაჰაბიტური მოძღვრების მკაცრი მოთხოვნები მუსლიმებისადმია მიმართული. სხვა სარწმუნოებათა მიმდევრებს ეს მოთხოვნები უშუალოდ არ ეხება, თუმცა საუდის არაბეთში ქცევის გარკვეული წესების დაცვა არამუსლიმებსაც მოეთხოვებათ: მაგალითად, ქუჩაში ყოფნისას უცხოელ ქალს სხეულის ყველა ნაწილი და სახე შებურული უნდა ჰქონდეს.

სხვა საქმეა, რომ ასეთი პურიტანი, ფუნდამენტალისტი მუსლიმების

წრეში შეიძლება მოინახოს ხალხი, ვინც მზად იქნება აწარმოოს *ჯიჰადი*, საღვთო ომი, „ურწმუნოების“ წინააღმდეგ. მაგრამ ეს არ მოხდება, თუ *ჯიჰადის* საბაბს თვითონ „ურწმუნოები“ არ მისცემენ.

სუნიტურ ისლამში ვაჰაბიზმი არაა ერთადერთი ფუნდამენტალისტური მიმდინარეობა (ანუ ისეთი, რომელიც ადრეული ისლამის საფუძვლებს, „ფუნდამენტს“, ეყრდნობა). მაგალითად, ავღანეთის *თალიბები*, რომლებიც ასევე ამკვიდრებენ ყურანისა და სუნას ძირეულ მცნებებს, ეკუთვნიან ე.წ. *დეობანდის* მიმართულებას, რომელიც ჰანაფიტურ მაზჰაბზეა დაფუძნებული.

ისლამში არსებობს ფუნდამენტალისტური, პურიტანული მიმდინარეობა *სალაფიზმი* (არაბულად *სალაფიია*, რაც მომდინარეობს „წინაპრების“ აღმნიშვნელი არაბული სიტყვიდან: იგულისხმებიან *მუჰამმადის* თაობა და მისი მომდევნო ორი თაობა, რომლებიც „ჭეშმარიტ ისლამს“ მისდევდნენ). სალაფისტების კრედოა წინაპართა ამ თაობების ლოცვის მეთოდის, მანერების, ზნეობის, ღვთისმოსავობის, ქცევის გამეორება. სალაფისტები საკმაოდ გავრცელდნენ იმ ქვეყნებში, სადაც ისლამის სუნიტური მიმართულებაა წარმოდგენილი. მაგალითად, ეგვიპტის „მუსლიმური ძმობა“ ძირითადად სალაფისტურ იდეებს ეყრდნობა. მუსლიმი თეოლოგებისა და პოლიტოლოგების რიგი ამტკიცებს, რომ დასავლეთში გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, სალაფისტები არ არიან ტერორიზმის მომხრენი და მზად არიან მოარიგონ ისლამი თანამედროვეობასთან, რაც ცოტა საეჭვოდ მეჩვენება.

ტერმინები *ვაჰაბიზმი* (*უაჰაბიია*) და *სალაფიზმი* (*სალაფიია*) 1970-იანი წლებიდან პრაქტიკულ სინონიმებად გამოიყენება. მაგრამ სალაფისტები, რომლებიც პატივისცემით ეპყრობიან *აბდალ-უაჰაბის* მოძღვრებას, უარყოფენ სრულ მსგავსებას და ამტკიცებენ, რომ *ვაჰაბიზმი* არის ცალკე, ულტრა-კონსერვატიული მიმართულება *სალაფიზმის* წიაღში.

შიიტურ ფუნდამენტალიზმს, რომელიც ბატონობს ირანში, არაფერი აქვს საერთო ვაჰაბიზმთან ან დეობანდიზმთან, რომელთაც ის გმობს. სხვათა შორის, შიიტები არ მიმართავენ ისეთ ვანდალიზმს, როგორსაც სუნიტი ვაჰაბიტები.

ისლამის მეორე მთავარი მიმართულებაა შიიტობა. მსოფლიოს ყველა მუსლიმის 10 პროცენტამდე შიიტია (შიიტობის წარმოშობაზე ლაპარაკია მე-8 თავში). მათი უმრავლესობა ირანში ცხოვრობს. შიიტები უმრავლესობას შეადგენენ ერაყსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (ორივეგან – მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს). ბოლო ათწლეულების განმავლობაში ლიბანში შიიტები მუსლიმთა შორის უდიდეს თემად იქცნენ. ისინი საკმაო რაოდენობითაა საუდის არაბეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ბაჰრეინსა და იემენში. თურქეთის მოსახლეობის თითქმის მეხუთედს შიიტად (*ალევი*) მიიჩნევენ, თუმცა თურქეთის სეკულარუ-

ლი რესპუბლიკის ოფიციალური სტატისტიკა არ აღრიცხავს ისლამის სხვადასხვა მიმართულების მიმდევრების რაოდენობას და ეს შეფასება მხოლოდ ვარაუდია.

შიიტები თემის ლიდერს უწოდებენ იმამს, რომელიც მათთვის არის ერთდროულად სასულიერო და საერო ძალაუფლების განმახორციელებელი. სუნიტებისათვის კი იგივე ტერმინი (*იმამი*) აღნიშნავს რიგით სასულიერო პირს (მიზგითის მოძღვარს), რომელიც ხშირად საერო ხელისუფლებას ექვემდებარება. **შიიტური სამღვდელოება უფრო გავლენიანია თავის თემში, ვიდრე სუნიტური – საკუთარში.** ეს გარკვეულად განგვიმარტავს XX საუკუნის ირანში ისლამური რევოლუციის წარმატების საიდუმლოს და იქ არსებული თეოკრატიის მდგრადობას.

შიიტებისათვის წმინდანის ტოლია **პირველი 12 იმამი – ხალიფა ალი,** მისი ვაჟები*ჰასანი* და *ჰუსაინი* და ამ უკანასკნელის პირდაპირი შთამომავლობა.

შიიტობა თავიდანვე გამოირჩეოდა მისტიციზმით (მაგალითად, მას სჯერა *მე-12, გაუჩინარებული იმამის,* ხელახალი მოვლინებისა *მაჰდის,* ანუ მესიის როლში) და ყურანისადმი მტკიცე ერთგულებით. ყურანის გარდა ისლამის სხვა წმინდა წიგნებს, მაგალითად *სუნას,* შიიტები არ ცნობენ.

არსებობს შიიტობის რამდენიმე განშტოება (ზაიდიზმი, ისმაილიტობა და სხვ.). თურქეთის შიიტებს ალევიებს უწოდებენ (**ბევრი მათგანი ენობრივად ქურთია**), რომლებიც არ უნდა ავურიოთ **ალავიტებში**[1] (თუმცა ორივე ტერმინის ძირი არის „*ალი*“, მეოთხე ხალიფას სახელი).

ალავიტობას საკმაოდ მრავალი მიმდევარი (1,5 მილიონამდე) ჰყავს სირიის ჩრდილო-დასავლეთ მთიან რაიონებში, ნაწილობრივ – თურქეთსა (ჰათაის ილში) და ჩრდილოეთ ლიბანში. ალავიტები ავითარებენ აზრს, რომ ხალიფა ალი, მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე, მოციქულის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო. სხვა შიიტებისაგან ალავიტებს განასხვავებს მათი რიტუალები, რომლებიც ზოროასტრულ და ქრისტიანულ ელემენტებს შეიცავს. მათი დოგმატებისა და რიტუალების ნაწილი სხვებისგან საიდუმლოდაა დაცული, რის გამოც ზოგიერთი სუნიტი *ულამა* * ალავიტებს საერთოდ ისლამის გარეთ ხედავს, თუმცა სირიაში ისინი ოფიციალურად ცნეს მუსლიმებად.

მართალია, *ალავიტობა* შიიტობის ფორმაა, მაგრამ წმინდა პოლიტიკური მიზეზის გამო სირიელი ალავიტები ცდილობენ არ გაუსვან ამას ხაზი. საქმე ისაა, რომ ალავიტებს განეკუთვნება სირიის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის საგრძნობი ნაწილი. ადრე დისკრიმინირებული რელიგიური უმცირესობის, ალავიტების, ჩართვა სამხედრო სამსახურში

1. სახელი *ალავიტი* საყოველთაოდ დამკვიდრდა სირიაზე ფრანგული მანდატის დროიდან: იქამდე სხვა მუსლიმები მათ *ნუსეირის, ნამირის* ან *ანსარის* უწოდებდნენ.

დაიწყო ფრანგების ბატონობის დროს, 1920-იანი წლებიდან. 1940-იან წლებში, სირიაზე ფრანგული მანდატის დამთავრებისას, ბევრი ალავიტი აღმოჩნდა მაღალ თანამდებობაზე, განსაკუთრებით არმიაში. ალავიტები აქტიურად ჩაერთვნენ პარტია „*ბაას*"-ის[1] საქმიანობაში, რომელმაც 1963 წელს ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და ნახევარი საუკუნე ერთპარტიული სისტემით მართავდა სირიას. სირიის პრეზიდენტები 1971 წლიდან – მამა-შვილი *ჰაფიზ* და *ბაშარ ალ-ასადები* – ალავიტები არიან. მათ ნათესავებსა და კლანის წევრებს უჭირავს მმართველი პოზიციები პარტიაში, არმიასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში.

დრუზების რელიგიას ისლამის ნაირსახეობად მიიჩნევენ, რაც აღარ არის სწორი. თვით არაბულენოვანი დრუზები თავს მუსლიმებისაგან განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფად მიიჩნევენ: მათი რელიგია საკმაოდ დაშორდა ისლამის ძირითად დოგმებს და მისგან ცალკე უნდა განიხილებოდეს. XI საუკუნეში *დრუზობა*, თავიდან როგორც მუსლიმური სექტა, გამოეყო *ისმაილიტობას* (შიიტობის ნაირსახეობას) და ჩამოყალიბდა ფატიმიანი ხალიფა *ალ-ჰაქიმ ბი ამრ-ილაჰის* გარშემო: დრუზები მას დღემდე მიიჩნევენ ღვთიური სულის განსახიერებად. თანამედროვე დრუზები არ ასრულებენ ჰაჯს მექაში, არ ასრულებენ ნამაზს, არ იცავენ სხვა ისლამურ წესებსაც. სუნიტი მუსლიმები დრუზებს მწვალებლებად მიიჩნევდნენ და მკაცრად სდევნიდნენ მათ.

ამ დევნის გამო დრუზები იძულებული იყვნენ თავი შეეფარებინათ ჯერ *ხერმონის მთის* ხეობებში (ამჟამად ამ მთის ახლოს მდებარე ტერიტორია – *გოლანის მაღლობი* – ისრაელის ხელშია) და შემდეგ – *ლიბანის მთების* სამხრეთ ნაწილში. მთიან მხარეში, მრავალ მტერთან ბრძოლის პროცესში, დრუზებმა გამოიმუშავეს მკაცრი თემობრივი სოლიდარობა (ქორწინება უცხოტომელთან აკრძალულია) და კარგ მეომრებად ჩამოყალიბდნენ.

ჯამში ერთ მილიონზე მეტი დრუზი ცხოვრობს ლიბანში, სირიაში, ისრაელსა და იორდანიაში. ლიბანში ისინი გარკვეული პოლიტიკური გავლენით სარგებლობენ მთიან რაიონებში, მაგრამ მთლიანად ქვეყანაში მათი როლი დიდი არაა. სირიაში ისინი მოსახლეობის 3-4 პროცენტს შეადგენენ, ხოლო *ჯაბალ ალ-დურუზის* (დრუზების მთის) რაიონში – 80 პროცენტს, სადაც ფაქტობრივი კულტურული ავტონომია აქვთ. სირიის მმართველ *ბაას*-ის პარტიასთან დრუზებს არა აქვთ კარგი ურთიერთობა.

მაგრამ ისრაელის მიერ ანექსირებული გოლანის მაღლობის დრუზთა ოთხი სოფლის 15 ათასამდე მცხოვრები 1981 წლიდან უარს აცხადებს

1. აბრევიატურა „ბაას" ქართულად ნიშნავს „არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიას". ეს არის სეკულარული, არარელიგიური პოლიტიკური ორგანიზაცია.

ისრაელის მოქალაქეობის მიღებაზე და სირიისადმი ერთგულებას იჩენს, იმ იმედით, რომ ეს მიწა სირიას დაუბრუნდება.

ამის საპირისპიროდ, საკუთრივ ისრაელის 17 სოფელში მცხოვრები დრუზები (ჯამში 125 ათასამდე) ლოიალური არიან ხელისუფლებისადმი. ისინი იბრძოდნენ ებრაელების მხარეს 1948-1949 წლების ომში, დღემდე მსახურობენ ისრაელის არმიაში და მაღალ თანამდებობებსაც აღწევენ.

თავი 5

ლინგვოგეოგრაფია

ენა და პოლიტიკა

ენობრივი ნათესაობა არც თუ იშვიათად დიდ პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. საკმარისია გავიხსენოთ XX საუკუნის პირველი ათწლეულების *პანთურქიზმი* [იხ. თავი 9], რომელიც მკაფიო ენობრივი (და ნაკლებ მკაფიო – სისხლით) ნათესაობის იდეაზე იყო დაფუძნებული. მისი უკიდურესი გამოვლინება, *თურანიზმი*, ყველა *თიურქულენოვანი*[1] ხალხის ერთ სახელმწიფოში (თურანში) გაერთიანებას ისახავდა მიზნად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, თურქეთის რესპუბლიკამ ყველაზე მეტი ყურადღების გამოჩენა დაიწყო სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის დამოუკიდებელი, ენობრივად მონათესავე *თიურქულენოვანი* ქვეყნების (აზერბაიჯანი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) მიმართ. მაგრამ თიურქული სახელმწიფოების სამიტებზე *ligua franca* ყველაზე ხშირად რუსული ენაა!

რეგიონში არსებობს *პანარაბიზმის* იდეაც, რომელიც არაბულენოვან ქვეყნებს ერთიანობისაკენ მოუწოდებს. რეალობაში ეს მოწოდება „*არაბული ქვეყნების ლიგის*“ შექმნას ვერ გასცდა, სადაც არაბულად კი საუბრობენ, მაგრამ პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა დიდი პრობლემაა ხოლმე.

პანთურქიზმისა და *პანარაბიზმის* აპოლოგეტების მიერ დასახული საბოლოო მიზნების მიღწევა თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებაში არარეალურია. *თიურქულენოვანი* და *არაბულენოვანი* ქვეყნების მმართველ ელიტებს იმდენად ფესვგადგმული ადგილობრივი ინტერესები აქვთ, რომ ისინი არავითარი „ეროვნული იდეისათვის“ ნებით არ დაუთმობენ ძალაუფლებას თავიანთ თანამოძმეებს რომელიმე ლინგვისტურად მონათესავე ქვეყნიდან. 1990-იან წლებში აზერბაიჯანის

---

1. რამდენადაც „*თიურქულენოვნების*“ მოხსენიება ნიგნში არაერთხელ მომინევს და ამ მიზნით ვერ გამოვიყენებ ქართული ანბანიდან (ვფიქრობ, უსამართლოდ!) ამოგდებულ „იოტას“, ამ საშუალებით მინდა განვასხვავო [ანატოლიური] „*თურქული*“ და სხვა „*თიურქულენოვანი*“ ხალხების ენები. ინგლისურად ასეთი განსხვავება კეთდება „Turkic“-სა და „Turkish“-ს, რუსულად – „тюркский“-სა და „турецкий“-ს შორის. „*თიურქები*“ ამ წიგნში გამოყენებულია „*თიურქულენოვანი*“ ხალხების (თურქები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, ყაზახები, უზბეკები, თათრები, ჩუვაშები, გაგაუზები, ბალყარელები, ყარაჩაელები, იაკუტები და მრავალი სხვა) კრებით სახელად.

რესპუბლიკის პრეზიდენტ *ჰეიდარ ალიევის* მიერ წამოყენებული, ჯერაც პოპულარული, ლოზუნგი – *„ერთი ერი, ორი სახელმწიფო“* – თითქოს უნდა მიანიშნებდეს აზერბაიჯანელებისა და *თურქების* ეთნიკურ ერთგვაროვნებაზე, მაგრამ, ერთდროულად, სხვადასხვა სახელმწიფოში მათ ცხოვრებასაც ნიშნავს. სინამდვილეში ეს ორი სხვადასხვა ერია, რომლებიც მონათესავე ენებზე ლაპარაკობენ. მსოფლიოში ასეთი მაგალითები მრავლადაა: მაგალითად, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და დიდ ბრიტანეთში ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სხვადასხვა ერები ცხოვრობენ.

გარდა ამისა, ასეთი „ლინგვისტური ზესახელმწიფოების“ შექმნა ეწინააღმდეგება მსოფლიოს ამჟამინდელი გეოპოლიტიკური წესრიგის შენარჩუნების მომხრეთა ინტერესებს. ერაყის მიერ ქუვეითის ანექსირების წარუმატებელი მცდელობა ამტკიცებს იმას, რომ მსოფლიო არ დაუშვებს რომელიმე „პანმოძრაობის“ აღზევებას.

უნდა აქვე აღინიშნოს, რომ *პანსემიტიზმის* იდეა არასოდეს წარმოშობილა! უფრო პირიქით, რეგიონის უმძაფრესი პოლიტიკური კონფლიქტი „ენობრივ ძმებს“ – სემიტურენოვან არაბებსა და სემიტურენოვან ებრაელებს – შორის განვითარდა[1].

ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული ენები ძირითადად სამ ენობრივ ოჯახს, სემიტურს, ალთაურს და ინდო-ევროპულს, განეკუთვნება. გარდა ამისა, წარმოდგენილია სხვა ენობრივი ოჯახების მცირე ანკლავებიც*.

სემიტური ენები

რეგიონში ყველაზე ფართო გავრცელება აქვს სემიტურ ენობრივ ოჯახს, განსაკუთრებით არაბულ ენას. ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოში, კვიპროსის გარდა, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი მაინც სახლში არაბულად მეტყველებს. არაბული ენა მშობლიურია რეგიონის 12 ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის, რომელთაც *არაბულ ქვეყნებად* ვიცნობთ. გარდა ამისა, არაბულენოვანი უმცირესობებია ისრაელში, ირანსა და თურქეთში.

არაბული სახალიფოს პერიოდში (და საკმაოდ დიდხანს, მომდევნო ხანაშიც) არაბული იყო რეგიონის *lingua franca**. ამ ენის დიდი გავლენა

1. არაბებსა და ებრაელებს თავი მიაჩნიათ ერთი წინაპრის შთამომავლებად: ებრაულად ამ წინაპრის სახელი ჟღერს როგორც *აბრაამი*, ხოლო არაბულად – *იბრაჰიმი*. ებრაელები აბრაამის მეორე ვაჟის (ებრაელი ცოლის, *სარას*, შობილი), *იცხაკის* შთამომავლობად მიიჩნევენ თავს, არაბები კი – იბრაჰიმის პირველი ვაჟის (თორას თანახმად, დიდხანს უშვილო *სარას* თანხმობით მისივე ეგვიპტელ მხევალ *ჰაგარის* მიერ შობილი) – *ისმაილის* (ებრაულად – *იშმაელის*) შთამომავლობად. ამის გამოა, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში არაბებს აგარიანებად მოიხსენიებენ.

შემორჩა სპარსულსა და თურქულს[1].

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა არაბულ ქვეყანაში საკუთარი არაბული დიალექტი ან დიალექტები (ზოგან – თითქმის გამოკვეთილი ენები) ჩამოყალიბდა, რომლებიც სხვა არაბული ქვეყნის ნაკლებ განათლებული მოქალაქისათვის შეიძლება გაუგებარიც კი იყოს. *არაბული ქვეყნების* ნამდვილი გამაერთიანებელი არის ლიტერატურული არაბული, „*ლულათუ-ლ-ფუსხა*“ – სუფთა, სწორი ენა, რომელიც ყურანის წმინდა ტექსტს ემყარება. ლიტერატურულ არაბულს ფლობს კულტურული და პოლიტიკური ელიტა და მას იყენებს რადიო და ტელევიზია.

არაბულის შემდეგ ყველაზე ფართოდ გავრცელებული სემიტური ენა ამჟამად არის ებრაული. მას მშობლიურად მიიჩნევს ისრაელის მოსახლეობის უმრავლესობა, ხუთ მილიონ ადამიანზე მეტი. მსოფლიოში გაბნეულ ებრაულ თემებში ამ ენას სწავლობენ და მასზე ოჯახებშიც კი მეტყველებენ.

XX საუკუნემდე ებრაული (რომელსაც „ძველ ებრაულადაც“ იცნობდნენ) მკვდარ ენად იყო მიჩნეული. როგორც *„თორას ენას,“* მას იყენებდნენ იუდაისტური რიტუალების აღსრულებისას და ასწავლიდნენ ებრაულ სკოლებში (*ხედერებსა* და *იეშივებში*). როგორც *„ძველი აღთქმის ენას“*, ძველ ებრაულს ასწავლიდნენ ევროპის კლასიკურ გიმნაზიებში. მაგრამ ის არ იყო სალაპარაკო ენა, ვინაიდან ებრაული დიასპორა ამჯობინებდა თავის უფრო მრავალრიცხოვან მეზობლებთან კონტაქტის დამყარებას მათივე [მეზობლების] ენაზე.

სალაპარაკოდ, არსებითად – დედაენად, დიასპორის ებრაელობისათვის ყველგან იქცა მისი ახალი სამშობლოს ენა. მაგალითად, ესპანეთში ეს იყო კასტილიური, რომელიც ესპანეთიდან განდევნის (1492 წ.) შემდეგ ებრაელებმა ოსმალეთშიც შეინარჩუნეს „ლადინოს“ სახელწოდებით (ოფიციალურად ამ XV-XVI საუკუნეების ენას „იუდეო-ესპანიოლი“ ჰქვია და მას ისრაელში 100 ათასამდე ადამიანი ასე თუ ისე ფლობს, მაგრამ ის სწრაფად იკარგება). არაბულ სამყაროში (მაროკოში, იემენში, ერაყში და სხვა) – ებრაელების სალაპარაკო ენა იყო არაბული დიალექტები, ცენტრალურ ევროპასა და გერმანიაში – ძირითადად იდიში[2], აღმოსავლეთ ევროპაში – რუსული, ირანში – სპარსული, დაღესტანში (დერბენტის მთიელ ებრაელებში) – თათური (სპარსულის მონათესავე ენა), შუა

---

1. ოსმალეთის იმპერიის ოფიციალურ ენაში, რომელსაც ამჟამად „ძველ“, ან „ოსმალურ თურქულად“ ვიცნობთ, ლექსიკის 4/5-მდე არაბული ან სპარსული ნარმოშობისა იყო, მაგრამ ზმნები და მორფოლოგია ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს თიურქულ ენათაგანია. თურქული ენის რეფორმამ 1930-იანი წლებიდან მკვეთრად შეამცირა არაბული ლექსიკის ხვედრითი წონა, მაგრამ თანამედროვე თურქულშიც არაბიზმები საკმაოდაა შემორჩენილი.

2. *იდიში* არის ებრაული და სლავური სიტყვებით ერთგვარად შეზავებული გერმანული ენის დიალექტი, რომელიც დამწერლობად ებრაულ ანბანს იყენებს. გერმანულად *იდიში* [Yiddisch] „ებრაულს“ ნიშნავს. ამის გამო რუსულად Еврейский язык აღნიშნავს „იდიშს“, ხოლო ნამდვილ ებრაულს რუსულად Иврит-ს უწოდებენ. აქედან მომდინარეობს ქართულში შემოსული და არასწორად დამკვიდრებული „იერითული“.

აზიაში – „ბუხარული" (რეალურად სპარსულის დიალექტი – ტაჯიკური), საქართველოში – ქართული და ა.შ.

როდესაც სიონისტურმა იდეამ ფართო გაქანება პოვა, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, პალესტინაში გაჩნდა ებრაულის ცოცხალ ენად აღორძინების ტენდენცია. ამ მოძრაობამ პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა, ვინაიდან ებრაული ენის აღორძინება ხდებოდა ოსმალეთის პალესტინის ტერიტორიაზე, სადაც აღორძინებადი ენის მატარებლები უნდა გამხდარიყვნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ამოსული* რეპატრიანტები, რომლებისთვისაც მშობლიური ენა უპირატესად იყო იდიში, ზოგისათვის კი – რუსული.

პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს – ისრაელის – წარმოშობისთანავე, პირველ სახელმწიფო ენად ებრაული გამოცხადდა (ხოლო მეორე სახელმწიფო ენა არაბულია). ყველაზე აქტიური ბრძოლა პალესტინის ებრაულ საზოგადოებაში *იდიშს* გამოეცხადა, რადგან იდიშზე შექმნილი დიდი ლიტერატურა, მრავალრიცხოვან იდიშურენოვანთა (ცენტრალური ევროპის ებრაელთა) მაღალი კულტურა ებრაული ენის გავრცელებას კონკურენციას უქმნიდა. ამ კამპანიის შედეგად იდიში ისრაელში თითქმის მკვდარ ენად იქცა.

დღეისათვის სხვადასხვა ქვეყნიდან მოსულ ებრაელთა დედაენა (რუსულიც კი, რომელსაც მილიონამდე ადამიანი ფლობს) ვეღარ უქმნის რეალურ საფრთხეს ამ სახელმწიფოში სრულად გაბატონებულ ებრაულ ენას, რომელზეც ბოლო საუკუნის განმავლობაში შეიქმნა მდიდარი საერო ლიტერატურა და ყველა დარგის ტერმინოლოგია. ახლა ხელისუფლება სხვა ენების, მათ შორის იდიშის, გამოყენებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ კრძალავს, მაგრამ განათლების მიღება ამ სახელმწიფოში შეიძლება მხოლოდ ებრაულ (ან არაბებისათვის – არაბულ) ენაზე.

სხვა სემიტური ენებიდან რეგიონში წარმოდგენილია **არამეული** (იგივე *ასირიული*, ან *აისორული*) ენა. არამეულს ფართო გავრცელება ჰქონდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულში (იხ. თავი 7). *თანახის** რამდენიმე პასაჟი არამეულადაა დაწერილი. ამჟამად ამ ენის გავრცელების არეალი მკვეთრად შემცირებულია და ის უპირატესად ჩრდილოეთ ერაყშია შემორჩენილი.

ალთაური ენები

ალთაური ენობრივი ოჯახის **თიურქულ ენათა ჯგუფი** ახლო აღმოსავლეთში წარმოდგენილია თურქულით [ანატოლიური თურქულით], რომელიც თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა, და

მეზობელ ქვეყნებში (ირანი, ერაყი, სირია) გავრცელებული თიურქული *ენებით*. გარდა [ანატოლიური] თურქულისა, მონათესავე თიურქულ ენებზე ლაპარაკობენ ყარაფაფახები – თურქეთში, აზერბაიჯანელები, ყაშყაელები, ავშარები, ყაჯარები – ირანში, თურქმენები – ჩრდილოეთ ერაყში და სხვ. ახლო აღმოსავლეთში წარმოდგენილი თიურქული ენები ოღუზურ ენობრივ ქვეჯგუფს განეკუთვნება და ისინი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან.

თიურქული ენების შემთხვევაში გარკვეულ პოლიტიკურ საკითხად *ენისა და ენათა ჯგუფის სახელი* გვევლინება. საქმე ისაა, რომ თუ რუსულად თურქეთის რესპუბლიკის [ანატოლიელ/ოსმალო] თურქებს (турки) განასხვავებენ დანარჩენი თიურქებისაგან (тюрки), ნორმატიული ქართული ფონეტიკის გამო ამის გაკეთება შეუძლებელია (სწორედ *ამ შეზღუდვის დასაძლევად წიგნის მეორე გამოცემიდან მოყოლებული ვიყენებ დამატებით ნიშნად „ი"-ს).* ბევრ სხვა ენაშიც ასეთი განსხვავების გაკეთება ჭირს. თურქეთში კი ამ ტერმინების განსხვავებას არც ცდილობენ

ზემოაღნიშნული „ლინგვისტური თავისებურება" ერთგვარ უხერხულობას თითქოს მხოლოდ მეცნიერებს უნდა უქმნიდეს. მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა („უხერხულობა") ენიჭება იმას, რომ თურქეთის რესპუბლიკის დომინანტი ერის თვითსახელი – Türk, თურქულად ზუსტად ისევე იწერება და გამოითქმის, როგორც დანარჩენი „თიურქულენოვანი ხალხებისა". სხვანაირად რომ ვთქვათ, ანკარელისა ან სტამბოლელისათვის Türk (მრ. Türkler) აღნიშნავს როგორც მისივე სახელმწიფოს მოქალაქეს, ისე, გეოგრაფიული დაზუსტებით, აზერბაიჯანელებსაც (Azeri Türkler), თურქმენეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა ან უზბეკეთის მოქალაქეებსაც, თათრეთის, ბაშქორთოსტანის, იაკუტიის, სინძიანისა და სხვა ეთნო-ადმინისტრაციული ერთეულების მკვიდრ მოსახლეობასაც. შესაბამისად, თურქეთის საზოგადოებრივი ცნობიერება ყველა „Türk"-ს ერთი ერის ნაწილებად შეიძლება აღიქვამდეს[1].

ეს „ლინგვისტური თავისებურება" პოლიტიკურ პრობლემად შეიძლება გადაიქცეს, თუკი ფართო მასშტაბს შეიძენს თურქეთის რესპუბლიკის ცალკეული წრეების გადაჭარბებით პატერნალისტური დამოკიდებულება თიურქულენოვანი სახელმწიფოებისა და თიურქულენოვანი ხალხების მიმართ, რაც მეზობელმა სახელმწიფოებმა და ხალხებმა შეიძლება საკუთარი თავისათვის საზიანოდ აღიქვან. მაგრამ *პანთურქიზმის პოლიტიკური საფრთხე გა ზვიადებულია*: თიურქულენოვანი ხალხების ერთ სახელმწიფოში გაერთიანება, როგორც ამ თავის შესავალში ითქვა, პრაქტიკულად შეუძლებელია.

1. ასე მაგალითად, როდესაც ერთ-ერთი წიგნის [Erol, 1999] დასახელებაში ჩნდება „Türk Birleşik Devletler" (რაც ითარგმნება, როგორც „თიურქთა შეერთებული სახელმწიფოები"), მაშინვე იბადება ასოციაცია „Amerika Birleşik Devletler"-თან (რაც თურქულად „ამერიკის შეერთებულ შტატებს" ნიშნავს). აშშ კი ერთიანი სახელმწიფოა.

ამასთან ერთად, ცალკეულ შემთხვევებში ენობრივი ნათესაობა პოლიტიკურ პრობლემებს შეიძლება დაუკავშირდეს. პოლიტიკურ-გეოგრაფიულად საინტერესო მაგალითია ჩრდილოეთ ერაყში ქურთებს შორის შერეულად მცხოვრები ლინგვისტური უმცირესობა – თიურქულენოვანი *თურქმენები*. სარწმუნო მონაცემებით, ისინი აქ ნახევარ მილიონამდეა ან ცოტა მეტი. მაგრამ ანკარაში მათ რაოდენობას ოთხჯერ მეტად, 2 მილიონად, აფასებენ, ისე რომ თურქმენები ადგილობრივ, სულ ცოტა, 4 მილიონ ქურთთან შედარებისას რაოდენობრივად თითქმის თანატოლად შეიძლება გამოჩნდნენ. XXI საუკუნის დამდეგს, როგორც კი ხელახლა წამოტივტივდა „ქურთების პრობლემის გადაჭრის" ვარიანტები, რომელთა შორის არის ერაყის ქურთისტანის ავტონომიის შექმნა (იხ. თავი 12), თურქმენების მფარველობა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა [Bacık, Karakaş-Keleş, 2001, 79-81; Oğuzlu, 2002]. ერაყის ქურთი ლიდერები კი თვლიან, რომ თავისი პოლიტიკური გავლენის გასაზრდელად ანკარა ხელოვნურად მანიპულირებს „თურქმენული პრობლემით" .

ენობრივი ფაქტორის პოლიტიკაში გადაზრდის მიზეზი ხდება ის, რომ ჩრდილოეთ ირანში მცხოვრები მრავალრიცხოვანი თიურქულენოვანი აზერბაიჯანელების ენა და მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ერთი და იგივეა. ეს არც თუ უმნიშვნელო გეოპოლიტიკურ პრობლემას უქმნის ირანს.

ინდოევროპული ენები

ინდოევროპულ ენობრივ ოჯახს რეგიონში წარმოადგენს **ირანული ჯგუფის ენები – ირანში გავრცელებული სპარსული, რომელსაც მოსახლეობის 51 პროცენტი მშობლიურად მიიჩნევს, *გილანურსა და მაზანდარანულს*** (ჯამში 8 პროცენტი) ცალკე ენებად განიხილავენ, თუმცა თანამედროვე ირანში მას სპარსული ენის დიალექტებად მიიჩნევენ, რაც ასევე მიუთითებს ლინგვისტიკის კავშირზე პოლიტიკასთან. **სპარსულის მონათესავე ენებია ირანში წარმოდგენილი *თალიშური, ბელუჯური, ავღანური (ფუშთუ), თათური.***

ირანულ ენათა ჯგუფში შედის **ქურთულ-ლურული ქვეჯგუფი.** ყველაზე გავრცელებული მათგან არის ქურთული ენა, რომელიც წარმოდგენილია თურქეთში, ერაყში, ირანსა და სირიაში (ამ ენის ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული დიალექტებიდან ბოლო პერიოდში ლიტერატურულად ყალიბდება *ქურმანჯი*). ირანში გვხვდება ამავე ქვეჯგუფის ენები – ლურული და ბახთიარული. ლურული ენა ქურთულის მონათესავეა, ოღონდ მისი მატარებლები, სეფიანთა ეპოქიდან მოყოლე-

ბული, შიიტები არიან, განსხვავებით სუნიტი ქურთებისაგან. მათ ცალკე ეთნო-ლინგვისტური იდენტობა გამოიმუშავეს.

სხვა ირანული ენების უმრავლესობისაგან განსხვავებით, *ქურთული ენა* სერიოზული პოლიტიკური პრობლემების ეპიცენტრშია მოქცეული რეგიონის ოთხ ქვეყანაში – ერაყში, თურქეთში, სირიასა და ირანში. ქურთების საკითხი პოლიტიკურ-გეოგრაფიული კუთხით განხილულია მე-12 თავში.

რეგიონში გაფანტულადაა წარმოდგენილი ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში შემავალი სომხური ენა. ამ შემთხვევაში ენა, ეროვნება და, მნიშვნელოვანწილად, რელიგია ერთმანეთს ემთხვევა: სომხურ ენაზე (*ჰაიკაკან*) ლაპარაკობს ეთნიკური *სომეხი* (*ჰაი*), რომელიც რელიგიურადაც *სომეხი ქრისტიანია* (*ჰაი*). მოზრდილი სომხური თემებია ლიბანში, სირიასა და ირანში. ოსმალეთის იმპერიის დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობიდან შემორჩენილია მხოლოდ სტამბოლის თემი.

სხვა ენობრივი ოჯახები

სხვა ენობრივი ოჯახებიდან ახლო აღმოსავლეთში წარმოდგენილია **ჩრდილოკავკასიური და ქართველური ენები.**

ჩრდილოკავკასიური ენების მატარებლები არიან ადიღეელები (ჩერქეზები) თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელში.

პირველ სამ ქვეყანაში არის ჩეჩენთა სოფლებიც. თურქეთში არის აფხაზურენოვანი მოსახლეობაც.

ამ ენების მატარებელი მოსახლეობა რეგიონში გაჩნდა 1860-იანი წლებიდან, როდესაც კავკასიურ ომში გამარჯვების შემდეგ, რუსეთის იმპერიამ ამ მუსლიმ ხალხებს ერთმორწმუნე ოსმალეთში გადასახლებისაკენ უბიძგა.

ამ ენათა გავრცელების არეალი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მცირდება ბუნებრივი ასიმილაციის შედეგად. არც ერთ მათგანზე სწავლება არ მიმდინარეობს და ისინი ოჯახში სალაპარაკო ენის დონეზე რჩება, განვითარების შანსის გარეშე. ერთგვარი გამონაკლისია ისრაელი, სადაც რამდენიმე ჩერქეზულ სოფელში ბოლო ათწლეულებში მშობლიური ენის სასწავლებლად მაიკოპიდან (რუსეთის ფედერაციის *ადიღეს* რესპუბლიკის დედაქალაქი) მასწავლებლები ჩამოჰყავთ. მცირერიცხოვანი ჩერქეზულენოვნები ისრაელის სახელმწიფოს საფრთხეს არ უქმნიან.

ქართველური ენების მატარებელია ქართულ და ლაზურენოვანი მოსახლეობა. მათი განსახლების უპირატესი არეალია თურქეთის შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთი ნაწილი (ლაზურენოვანი ელემენტი – რიზესა და ართვინის ილებში; ქართულენოვანი – ართვინისა და არტაა-

ნის ილებში). ეს ენები ავტოქტონურ მოსახლეობაშია გავრცელებული. შავიზღვისპირეთის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, მარმარილოს-ზღვისპირეთში (კოჯაელის, ადაფაზარის, იზმითის, სამსუნის, ბურსის, ბალიქესირის, სტამბოლისა და სხვა ილები) ქართულ და ლაზურ ენებზე ლაპარაკობენ XIX და XX საუკუნეებში თურქეთის აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გადასახლებული ქართველებისა და ლაზების შთამომავლები. 1935-1965 წწ. პერიოდის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი 5.1 [გაჩეჩილაძე, 1972].

ცხრილი 5.1. თურქეთის ქართველურენოვანი მოსახლეობა (აღწერების მონაცემთა მიხედვით)

აღნერის წლები		1935	1945	1950[1]	1955	1960	1965
ქართული	დედაენა	57325	40076	72604	53623	32944	34380
ქართული	მეორე ენა	16255	9337	...	17038	54917	48976
ლაზური	დედაენა	63253	46987	70423	27016	21703	26007
ლაზური	მეორე ენა	5061	4956	...	22667	38267	59101
ერთად		141894	101356	143027	120544	147841	168414

1965 წლის შემდეგ თურქეთში *აღარ ქვეყნდება* ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ (1990 წლიდან – 10 წელიწადში ერთხელ) ჩატარებული მოსახლეობის აღწერის *მონაცემები დედაენისა და მეორე ენის შესახებ*, რაც თურქეთის სტატისტიკის ორგანოების ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო 1930-იანი წლებიდან.

თურქეთში ქართველურ ენებზე ამჟამად მოლაპარაკეთა რაოდენობა ძნელი დასადგენია. თუ ავიღებთ ქართველურენოვანი მოსახლეობის 1965 წლის მაქსიმალურ რაოდენობას (168,4 ათასი; სხვა სარწმუნო მონაცემი არ არსებობს) და მოვახდენთ მის ექსტრაპოლაციას თურქეთის მოსახლეობის მატების საშუალო კოეფიციენტის გამოყენებით, 35 წლის შემდეგ ასეთ პირთა რაოდენობა ნახევარ მილიონს თუ გადააჭარბებს.

ამ *დაშვებაში არაა გათვალისწინებული* ისეთი რეალური ფაქტორები, რომლებიც ამ ჰიპოთეტურ მონაცემსაც შეამცირებდა. ეს ფაქტორებია:

- თურქეთის რესპუბლიკაში საშუალო განათლების მხოლოდ თურქულ ენაზე მიღების შესაძლებლობა (სტამბოლში არის სომხური და ბერძნული სკოლები, მაგრამ ქართული სკოლა არსად არაა), რაც ქართულსა და ლაზურ ენებს უპირატესად სოფლის მოსახლეობის ოჯახურ ენად აქცევს;
- სწრაფი ურბანიზაცია, რაც მოასწავებს ქალაქში გაფანტულად მცხოვრები მცირე ეთნიკური ჯგუფის მიერ მშობლიური ენის გამოუყენებლობას და თანდათან დავიწყებას;
- ბუნებრივი ასიმილაცია თურქებთან („მეორე ენად" ქართულის ან

ლაზურის მოხსენიება ნიშნავს, რომ ეს პირი დედაენად მიიჩნევს სხვა ენას, ჩვეულებრივ – თურქულს).

ზემოთმოტანილი არგუმენტაცია ანალოგიით აბათილებს აფხაზი ნაციონალისტების მიერ მუსირებულ მტკიცებას „თურქეთში ასობით ათასი აფხაზის არსებობის შესახებ". თურქეთში აფხაზურენოვანი მოქალაქე ერთიათად ნაკლებია, ვიდრე ქართველურენოვანი.

თურქეთის ქართველურენოვანი მოსახლეობა პრაქტიკულად უკლებლივ სუნიტი მუსლიმია, თანაც დიდი ნაწილი რელიგიას სერიოზულად ეკიდება. ეს ქმნის მკვეთრ სხვაობას საქართველოში მცხოვრები ან ახლად ემიგრირებული ქართველების კულტურულ ფასეულობათა და თურქეთის ლოიალური მოქალაქეების, „ჩვენებურებისა" (ასე უწოდებს თავს თურქეთის ქართულენოვანი მოსახლეობა) და ლაზების, კულტურულ ფასეულობათა შორის.

ამასთან ერთად, ბოლო ორ ათწლეულში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესების ფონზე და, აგრეთვე, თურქეთში მიმდინარე გარკვეული ლიბერალიზაციის გამო, ქართული ენის გაქრობის პროცესი იქ თითქოს შენელდა. ქართული თვითშეგნების აღდგენა „ჩვენებურების" ნაწილისათვის ერთგვარ ტენდენციად შეიძლება იქცეს.

მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს, რომ ზემოთმოტანილი მსჯელობა ეხება თურქეთში ქართველური ენების გავრცელებას და არა ქართველების რაოდენობის განსაზღვრას. ენობრივი ნიშანი ეროვნულობის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი მახასიათებელია: ერი სოციალურ-პოლიტიკური კატეგორიაა და არა მხოლოდ ლინგვისტური.

ირანში *ქართული ენა* წარმოდგენილია *ისფაჰანის ოსთანის* (პროვინციის) *ფერეიდანის რაიონის* 14 სოფელში, აგრეთვე იმ დიდ ქალაქებში, სადაც ხდება *ფერეიდნელი ქართველების* მიგრაცია. ქართული სოფლები სხვა რაიონებშიც არის. ეს ენობრივი ელემენტი ირანში მოხვდა XVII საუკუნეში, როცა შაჰ-აბას I-მა აღმოსავლეთ საქართველოდან წაიყვანა ქართველები და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში კომპაქტურად ჩაასახლა.

კავკასიური და ქართველური ენების მატარებლები არ ქმნიან განსახლების უწყვეტ არეალებს და ამიტომაც არ უქმნიან პოლიტიკურ პრობლემებს თავიანთი განსახლების ქვეყნების მთავრობებს, მაგალითად, ქურთებისაგან განსხვავებით სეპარატიზმის საფრთხე მათგან არ მომდინარეობს. ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ასპექტია.

ძველი ეგვიპტური ენის მემკვიდრეა კოპტური ენა, რომელსაც ღვთისმსახურებაში იყენებს ეგვიპტის ქრისტიანული მოსახლეობა. მაგრამ ბოლო საუკუნეებში სალაპარაკო ენად კოპტურის ნაცვლად ეგვიპტის ქრისტიანებიც არაბულის ეგვიპტურ დიალექტს იყენებენ.

თავი 6

ეთნოსი და პოლიტიკა

ერი ახლო აღმოსავლეთში

„ერის“ (ნაციის) მრავალი განმარტება არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭება მართებულად არ მივიჩნიე. მით უმეტეს, ზედმეტი მეჩვენება აქ ჭარბი თეორეტიზება ამ საკითხზე. მომაქვს მხოლოდ ერის გან*საზღვრება* ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე *ბერნარდ ლიუისის* მიხედვით. შესაძლოა, არც ეს განსაზღვრებაა უნივერსალური, მაგრამ ის მაინც არის ერთგვარი მიახლოება იმასთან, რასაც ერი (ნაცია) შეიძლება ეწოდოს ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან მისადაგებით. ლიუისის მიხედვით ერი ესაა:

„ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ენა და რწმენა იმისა, რომ მათ სა ზიარო აქვთ წარმომავლობა, ისტორია და ბედ-იღბალი. ეს ადამიანები ჩვეულებრივ, მაგრამ არა აუცილებლად, განსახლებული არიან უწყვეტ ტერიტორიაზე; მათ აქვთ, ან თუ არა აქვთ, კოლექტიურად იღვწიან, რათა იქონიონ მათივე სახელის მქონე სუვერენული დამოუკიდებლობა“ [Lewis, 1999. 81].

შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლურ იმპერიებში ყველა ადამიანი ერთი ხელმწიფის ქვეშევრდომი იყო,.განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა. იმ პერიოდში ახლო აღმოსავლეთში ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის იდენტობა ძირითადად რელიგიით განისაზღვრებოდა (უცხო კაცზე უპირველესად კითხულობდნენ: „რა რჯულისაა?“).

როდესაც *რელიგია ექსკლუზიურია*, ანუ დამახასიათებელი მხოლოდ ერთი წარმოშობისა (თეორიულად მაინც!) და ერთ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფისათვის (როგორც, მაგალითად, იუდაიზმი – ებრაელებისათვის, ან გრიგორიანობა – სომხებისათვის), მაშინ შედარებით ადვილია ისეთი სხვაობის დადგენა, საიდანაც საკმაოდ ახლოსაა ერის (ნაციის) იმ ცნებამდე, რაც ზემოთაა მოტანილი.

თუკი ჯგუფს ექსკლუზიური რელიგია აქვს, მისი თვითშეგნებისათვის აღარცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ერთ ენაზე ლაპარაკს (მით უმეტეს, თუ შენარჩუნებულია რელიგიის „წმინდა ენა“). ამიტომაც შეიძლებოდა, რომ გაფანტულად მცხოვრები ებრაელი და სომეხი თავისი

განსახლების ადგილზე გაბატონებულ ენაზე გადასულიყო ისე, რომ არ დაეკარგა ეთნო-რელიგიური თვითშეგნება.

მაგრამ როდესაც რელიგია მრავალ ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა წარმოშობის ჯგუფებს აერთიანებს, ლიუისისეული განმარტება „ერის" განსაზღვრისათვის თანამედროვე პირობებში საკმარისი აღარაა. ასეა, მაგალითად, ისლამის შემთხვევაში. თეორიულად ყველა მუსლიმი ერთ თემს (*უმმა*) ეკუთვნის და ეთნიკური სხვაობა მათ შორის მეორეხარისხოვანია. მაგრამ ნათელია, რომ ისლამი მრავალ *ერშია* გავრცელებული.

შუა საუკუნეების არაბები, სპარსელები, თურქები, მონღოლები და ა.შ. არ წარმოადგენდნენ ერებს თანამედროვე გაგებით. მაგალითად, მე-9 თავში ნახსენებია, რომ ოსმალეთის იმპერიის მმართველი ელიტის წარმომადგენლები თავს „თურქად" არ მიიჩნევდნენ: ისინი „ოსმალები" იყვნენ.

ერის (ნაციის) ცნება რეგიონში ევროპიდან მოვიდა.

ასე ვთქვათ, „დაწყებითი ტერიტორიული ნაციონალიზმი" ევროპული პოლიტიკური სისტემის ქვაკუთხედად ქცევას გვიანი შუა საუკუნეებიდან იწყებს, როდესაც მსგავსი მახასიათებლების (ენა, რელიგია, თვითსახელი; აუცილებელი აღარ იყო ერთი წინაპრისაგან წარმოშობა) მქონე ადამიანებმა დაიწყეს საკუთარი თავის დაკავშირება კონკრეტულ ტერიტორიასთან. XVII საუკუნიდან ეს ძალიან ნათლად ჩანს ინგლისისა და ჰოლანდიის შემთხვევაში. ამ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკაც კი ნაციონალურ ინტერესებს ემსახურებოდა. საფრანგეთის რევოლუციის გავლენით უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ნაციონალიზმის იდეა XVIII საუკუნის ბოლოდან ფართოდ ვრცელდება დასავლეთ ევროპის გარეთაც.

ნაციონალიზმის განვითარების კვალდაკვალ დასავლეთის ქვეყნებში ეროვნება ძირითადად მოქალაქეობით[1] განისაზღვრება. ამიტომაც ჩამოყალიბდა ფრანგული, ესპანური, ამერიკული, ავსტრალიური და ა.შ. ეროვნული თვითშეგნება.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნაციონალიზმის იდეა ახლო აღმოსავლეთშიც იწყებს გავრცელებას. ამის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის იყო ევროპელი და ამერიკელი ქრისტიანი მისიონერების მიერ დაფინანსებული სკოლების გახსნა სტამბოლში, კაიროში, ბეირუთში. რეგიონის მუსლიმურ უმრავლესობაზე ადრე ნაციონალიზმის იდეას ეთნო-რელიგიური უმცირესობანი (სომხები, ბერძნები, არაბი ქრისტიანები) ეზიარნენ, რომელთაც მისიონერთა სკოლებში სწავლის მეტი მოტივაცია ჰქონდათ, ზოგი მათგანი კი ევროპაში განათლებამიღებულიც იყო.

---

1. თანამედროვე ინგლისურში nationality ერთდროულად აღნიშნავს ეროვნებასაც და მოქალაქეობას, თუმცა გერმანულად და რუსულად ასე არაა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში რეგიონში თითქმის ერთდროულად გაჩნდა თურქული, არაბული, ირანული, სომხური და ებრაული *ტერიტორიული ნაციონალიზმი* (ამ უკანასკნელს *სიონიზმის* სახელით იცნობენ).

ეს იმას ნიშნავს, რომ **ადამიანთა გამაერთიანებელი თვითსახელის მქონე ჯგუფი გარკვეულ ტერიტორიაზე აცხადებს პრეტენზიას.** მაგალითად, ოსმალეთის იმპერიაში სახელი „ოსმალო" მოიცავდა „თურქსაც" და „არაბსაც"; მაგრამ „თურქი" არ მოიცავდა „არაბს": ამ უკანასკნელ შემთხვევაში (თურქებსა და არაბებს შორის) ტერიტორიული გამიჯვნა ენობრივ საფუძველზე ხდებოდა, თუმცა ზუსტი ეთნოლინგვისტური საზღვარი უცნობი იყო, რაც მომავალი კონფლიქტების საწინდარი იყო.

1908 წელს „ახალგაზრდა თურქების" მიერ ოსმალეთის იმპერიაში *თურქი ზაციის* (სხვანაირად – თურქული ნაციონალიზმის) პოლიტიკის დაწყებამ და სახელმწიფოს სახელად „Türkiye"-ს გამოყენებამ (თუნდაც ჯერ არაოფიციალურად) უკვე 1909 წელს ბიძგი მისცა არაბული ნაციონალიზმის წარმოშობას. შეიძლება ითქვას, რომ სტამბოლის მთავრობამ თვითონ შეუწყო ხელი საკუთარი ქვეშევრდომების დიდი მასის გაუცხოებას. მანამდე ოსმალეთის იმპერიის არაბები არ მიიჩნევდნენ თავს მოსახლეობის დისკრიმინირებულ ნაწილად: როგორც ერთმორწმუნეები, ისინიც, ეთნიკური თურქების მსგავსად, *ოსმალებად* ითვლებოდნენ. მათ სახელისუფლებო სფეროშიც შეეძლოთ მაღალი თანამდებობისათვის მიღწევა.

იყო საპირისპირო მაგალითიც: სპარსეთმა 1935 წელს შეიცვალა სახელმწიფოს ოფიციალური სახელი – ის „ირანი" გახდა. *ირანელი* კი მოიცავდა არა მარტო „სპარსელს", არამედ ირანში მცხოვრებ ყველა სხვა ეთნიკურ ჯგუფსაც. თანაც „ირანი" ქვეყნის ძველი სახელი იყო. ეს ტერიტორიული ნაციონალიზმის გამოვლინების მაგალითია.

თავიდან ნაციონალიზმის იდეები მხოლოდ ინტელექტუალური უმცირესობის წრეებში ტრიალებდა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ის ხალხის ფართო მასების კუთვნილებაც გახდა. ნაციონალიზმის აღმავლობას ხელს უწყობდა ბეჭდური ნაწარმის (წიგნების, გაზეთების) გავრცელებაც.

„არაბი", როგორც ჩანს ერთ-ერთი უძველესი ეთნონიმია, რომელიც რეგიონში შენარჩუნებულ იქნა. „არაბი" მოხსენიებულია ძვ. წ. IX საუკუნის ერთ ასირიულ წარწერაში [Lewis, 1999, 72]. არაბი ტრადიციულად ნიშნავდა ნომადს, ბედუინს, განსხვავებით ბინადარი მოსახლეობისაგან.

რეგიონის მოსახლეობაში ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან *არაბები*, რომლებიც რაოდენობრივად დომინირებენ ახლო აღმოსავლეთის თორმეტ სახელმწიფოსა და პალესტინაში. არაბების, როგორც გარკვეული თვალსაზრისით, *„ერთიანი ერის"* ძირითადი შემაკავშირებელია

სალიტერატურო ენა და საერთო თვითსახელი. ისტორიაში არაბების დამკვიდრების მთავარი მიზეზი თავიდან იყო *რელიგია* – ისლამი. მაგრამ თანამედროვე არაბთა საერთო-ეროვნული თვითშეგნებისათვის რელიგია საკმაოდ ორაზროვან როლს ასრულებს: არაბთა შორის ისლამის რამდენიმე (ხშირად – მძაფრად ურთიერთდაპირისპირებული) მიმდინარეობაა გავრცელებული, მოსახლეობის ნაწილი კი ქრისტიანია.

მას შემდეგ, რაც XX საუკუნეში ახლო აღმოსავლეთის არაბულ ნაწილში შეიქმნა სახელმწიფოთა მთელი რიგი, არაბულენოვანი მოსახლეობა განაწილებული აღმოჩნდა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებში. ეს სახელმწიფოები, ფაქტობრივად ხელს უწყობენ ლოკალური ტერიტორიული ნაციონალიზმის განვითარებას და ახალი ერების (სირიელები, ერაყელები, ქუვეითელები და ა.შ.) ფორმირებას. მაგალითად, იორდანიის მეფის, აბდალა II-ის, ლოზუნგი გახდა „*ურდუნ ალ-ჯაჰიდ*!“ („იორდანია – უპირველეს ყოვლისა!“).

ამასთან, არაბებს არ დაუკარგავთ ერთიანი თვითშეგნებაც და მათ, ერთგვარი პირობითობით, განიხილავენ როგორც „ერთიან ერს“, თუმცა ისინი ევროპული ერების ტიპობრივ განსაზღვრებაში ვერ თავსდებიან.

არსებობს სირიის, ერაყის, პალესტინის, ჩრდილოეთ აფრიკის წინაისლამური მოსახლეობის არაბებად გამოცხადების ანუ „*უკუქმედებითი არაბიზაციის*“ ტენდენცია. ეს აძლევს „მორალურ უფლებას“ თანამედროვე ნაციონალისტურ არაბულ ისტორიოგრაფიას ამტკიცოს, რომ სახალიფოს ომები სულაც არ იყო დაპყრობითი ხასიათისა, არამედ „განმათავისუფლებელი“, იმ თვალსაზრისით, რომ მუსლიმი არაბები „*ათავისუფლებდნენ არაბ ძმებს ირანისა და ბიზანტიის იმპერიული ჩაგვრისაგან*“.

სინამდვილეში ის ჯგუფები, რომლებსაც ახლა *არაბებს* ვუწოდებთ, გენეტურად შეიძლება სულაც არ იყვნენ არაბეთის ნახევარკუნძულიდან მოსულთა შთამომავლები. თანამედროვე არაბული ქვეყნების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა *წინაარაბული სუბსტრატის* შთამომავლობაა, რომელმაც ისლამის მიღების შემდეგ არაბული ენა შეითვისა და გაითავისა. ასე მაგალითად, თანამედროვე ეგვიპტელი არაბების საგრძნობ ნაწილს (ხოლო *კოპტების, ქრისტიანი ეგვიპტელების* – უმეტესობას) ძველი ეგვიპტელების სისხლი უჩქეფს, ერაყელი არაბები, ნაწილობრივ მაინც, *ბაბილონელებისა და ასურელების* შორეული შთამომავლები არიან; *სირიელები, ლიბანელები, პალესტინელები გენეტიკურად წინაარაბულ მოსახლეობას უკავშირდებიან*. ეს აისახება თანამედროვე არაბების მრავალფეროვან ანთროპოლოგიურ ტიპშიც: მაროკოელ, ეგვიპტელ, იემენელ, სირიელ და ა.შ. არაბებს გარეგნობით, ჩვეულებრივ, ერთმანეთში ვერ აურევთ. ისინი საკმაოდ განსხვავებულ დიალექტებზეც მეტყველებენ.

საკმაოდ ბევრი *ლიბანელი ქრისტიანი* თავს არაბად არ მიიჩნევს

(თუმცა მშობლიურ ენად არაბული აქვს!), არამედ *„ქანაანელთა შთამომავლად“* და სურს, რომ მას *„ფინიკიელი“* უწოდონ. როგორც ვიცით, *ქანაანი* ის მიწა იყო, რომელიც, თორას თანახმად, ღმერთმა ებრაელებს აღუთქვა. მაგრამ აღთქმული მიწა ცარიელი არ იყო – ბიბლიის თანახმად, ებრაელებს ძალით მოუხდათ მისი გაწმენდა სემიტურენოვანი ქანაანური ტომებისაგან, რომელთა მონათესავე ტომი *ფინიკიაში* (დღევანდელ ლიბანში) ცხოვრობდა. ასე რომ, ლიბანელებს აქვთ გარკვეული საბაბი ზემოხსენებული თვითიდენტიფიკაციისათვის.

ირანული სახელმწიფოებრიობისა და სპარსული ენის საფუძველზე XX საუკუნიდან ყალიბდება თანამედროვე ირანელი ერი, რომელიც სხვადასხვა წარმოშობის ეთნოსებსა და სუბეთნოსებს აერთიანებს. არაბების მიერ დაპყრობილმა და ისლამიზებულმა ირანმა შემოინახა თავისი ენა – *სპარსული*. ირანის მოსახლეობამ თითქმის თავიდანვე მიიღო ისლამის შიიტური ნაირსახეობა და ამითაც შეინარჩუნა თავისი ეთნიკური განსხვავებულობა რეგიონის დანარჩენი მოსახლეობის ფონზე.

ბერნარდ ლიუისის მიხედვით, თურქი პირველად მოხსენიებულია ახ. წ. VI საუკუნის ერთ ჩინურ ტექსტში [Lewis, 1999, 72]. დღევანდელი თურქების წინაპრები ახლო აღმოსავლეთში XI საუკუნიდან შემოვიდნენ და ძირითადად დასახლდნენ [ირანის] აზერბაიჯანსა და მცირე აზიაში. მათ მოახდინეს ანატოლიაში ადრე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილის ასიმილაცია – ჯერ ისლამზე მოაქციეს და მერე თურქულ ენაზეც აამეტყველეს. ამდენად, თანამედროვე თურქები გენეტურად შეიძლება ენათესავებოდნენ კიდეც ანატოლიის უძველეს მკვიდრებს.

თურქეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, კონსტიტუციის თანახმად, თურქია. ამ ქვეყნის ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის ისეთი დიდისაც კი, როგორიც ქურთებია, განათლება ხდება თურქულ ენაზე, თურქული თვითშეგნების დამკვიდრების მიზნით.

ისრაელი ებრაული სახელმწიფოა. მის დომინანტ ერს ებრაელები წარმოადგენენ. ისინი იქ, ძირითადად, XX საუკუნეში შევიდნენ მსოფლიოს მრავალი კუთხიდან და თანდათანობით შექმნეს ერთი ერი. წიგნის მე-14 თავში განხილულია ისტორიულ პალესტინაში, დღევანდელ ისრაელში, ებრაელების იმიგრაციის საკითხი.

რეგიონის ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი შეიძლება თავს თვლიდეს იმ სახელმწიფოს მოქალაქედ, სადაც ცხოვრობს, მაგრამ განსხვავებულად – ეთნიკურობის თვალსაზრისით. ასეთია, მაგალითად, სომხები, ქურთები, ასირიელები და ზოგი სხვა.

რეგიონის სომხური მოსახლეობა პრაქტიკულად მთლიანად ურბანიზებულია. ამჟამად ის რეგიონის არც ერთ ქვეყანაში ან მის ნაწილში არ ქმნის უმრავლესობას.

რეგიონის სახელმწიფოებრიობის არმქონე ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფის, ქურთების, საკითხი განხილულია მე-12 თავში.

ეთნო-დემოგრაფიული პოლიტიკის მაგალითები

ახლო აღმოსავლეთის პრაქტიკაში დემოგრაფიას (იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის რაოდენობა და მისი ეთნო-რელიგიური შედგენილობა), პოლიტიკური ფაქტორის როლი დღეს არ შეუძენია. მაგალითები ძალიან ძველი ეპოქიდან და შორეული რეგიონებიდან რომ არ მოვიტანოთ, ამის დასტურად ახლოაღმოსავლური იმპერიების (და საქართველოსიც, როდესაც ის კავკასიურ იმპერიას ქმნიდა) პრაქტიკაც კმარა.

როცა ისტორიულ დოკუმენტებს ვკითხულობთ, ვხედავთ დემოგრაფიისადმი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომის მეტ-ნაკლებად უნივერსალურ ხასიათს. გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის, ერთ-ერთი იმ იშვიათი ქართველ მეფეთაგანის, რომელსაც სახელმწიფოებრივი მიდგომა ჰქონდა საკუთარი სამეფოსადმი, არსენ იყალთოელის მიერ დაწერილი ეპიტაფიის სიტყვები [მეტრეველი, 320]: *„თეე ზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს“.*

რასაკვირველია, ეპიტაფიის ავტორი აქ არ გულისხმობდა რაღაც იხტიოლოგიურ ექსპერიმენტებს! ვფიქრობ, არაპირდაპირაა მინიშნებული სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკაზე – მოსახლეობის არანებაყოფლობით გადაადგილებაზე „ამერთა“ მხრიდან „იმერთა“ მხარეში. როგორც ჩანს, ეს მეფე დავითის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მოიაზრებოდა, რადგან მოკლე ეპიტაფიაში ადგილი მოეძებნა. აქ შეიძლება ვივარაუდოთ დასავლეთ საქართველოს ქართიზაცია. ცნობილია დავითის მიერ საქართველოში ყივჩაღების (იმ დროს წარმართებისა და ამდენად, მართლმადიდებლობაზე შედარებით ადვილად მოსაქცევი ელემენტის) შემოყვანა: მათი შთამომავლები მთლიანად გაითქვიფნენ ქართველ ერში.

ხელმწიფე (მეფე, შაჰი, ხალიფა, სულტანი, ხანი, მალიქი, ამირა და ა.შ.) მაშინ იყო დაფასებული და ანგარიშგასაწევი სხვა ხელმწიფეთა თვალში, თუ იგი *„ლაშქარმრავალი და ყმიანი“* იყო.

ხალხმრავალი ქვეყანა მეტი გადასახადის შემომტანი იყო და მეტი მეომრის გამოყვანა შეეძლო. ამიტომაც საჭირო იყო გარკვეული ზრუნვა „წვრილ ერზე“ (ყმებზე, გლეხებზე), რათა ისინი არ გაფანტულიყვნენ (ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით, „გაუსაძლისი ეკონომიკური პირობების გამო მოსახლეობა ემიგრაციაში არ წასულიყო“).

ხელმწიფე ამჯობინებდა, რომ მისი სამფლობელოს მოსახლეობას ერთი, მისივე, სარწმუნოება ჰქონოდა: ეს ლოიალობის დიდი საწინდარი იყო. ეთნიკურ და ლინგვისტურ ერთგვაროვნებას შუა საუკუნეებში რელიგიურ ერთგვაროვნებაზე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუმცა ხელმწიფეს მაინც მისივე ენაზე მოლაპარაკე ქვეშევრდომები ერჩივნა.

თუკი ჰომოგენიზაცია (ერთგვაროვნების მიღწევა) რთულდებოდა, იმპერია თავის პერიფერიებზე ხელოვნურ ეთნო-რელიგიურ მოზა-

იკას ქმნიდა, რაც პოტენციურად ურჩი ქვეშევრდომების დაბალანსების საშუალებას იძლეოდა. მოსახლეობის ეთნიკური ან რელიგიური სტრუქტურის შეცვლა და მათთან ხშირად დაკავშირებული ეთნიკური წმენდა და დეპორტაცია ყოველთვის იყო პოლიტიკის იარაღი. რიგითი ადამიანის ინტერესებს ეს პოლიტიკა არ ითვალისწინებდა.

ხანდახან სულ სხვა რეგიონში მიმდინარე პროცესები ან პოლიტიკური გადაწყვეტილებები ახლო აღმოსავლეთში ისეთ დემოგრაფიულ ეფექტს იძლეოდა, რომელიც პოლიტიკურ გეოგრაფიაზეც ზემოქმედებდა.

ორიოდე მაგალითი გამოდგება ამის საჩვენებლად:

- პირველი მსოფლიო ომის დროს პეტერბურგის კაბინეტებში შემუშავებულმა პოლიტიკურმა კურსმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ოსმალეთის სომხების ტრაგედია: რუსეთის იმპერია ცდილობდა მათ გამოყენებას *მეხუთე კოლონის* სახით, რამაც საბაბი მისცა „ახალგაზრდა თურქებს" მოეწყოთ 1915 წლის ეთნიკური წმენდა;
- გერმანული ნაციზმის აღმასვლამ 1930-იან წლებში ხელი შეუწყო პალესტინაში ებრაული იმიგრაციის ზრდას. ომის შემდგომ, როდესაც გამომჟღავნდა ნაციზმის სასტიკი ანტიებრაული პოლიტიკა, პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნას მსოფლიოში ბევრად მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდა.

მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის შეცვლის გზით სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი მაგალითია ისრაელისა და პალესტინელი არაბების ურთიერთობა (იხ. თავი 16).

ქვემოთ მოტანილია **ეთნო-დემოგრაფიული პოლიტიკის** გატარების რამდენიმე სხვა მაგალითი რეგიონისა და მისი უშუალო სამეზობლოს სინამდვილიდან.

XIV-XVIII საუკუნეების ოსმალეთის იმპერიის ეთნო-დემოგრაფიული პოლიტიკა საკმაოდ ეფექტიანი იყო. როდესაც სულტანი იპყრობდა ქრისტიანებით დასახლებულ მიწებს ბალკანეთში, იგი შეგნებულად ასახლებდა იქ მუსლიმებს ანატოლიიდან, გარდა იმისა, რომ ახალისებდა ადგილობრივი მოსახლეობის ისლამიზაციას [სვანიძე, 1999, 109]. ასე გაჩნდა სერბულენოვანი მუსლიმური მოსახლეობა **ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში.**

ოსმალეთი ბალკანეთის ქრისტიანი გლეხების ანატოლიაში ჩასახლების პრაქტიკასაც მისდევდა. საბოლოოდ ისინიც გაითქვიფნენ თურქებში[1].

1. ანატოლიის წინარე-თურქულ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან და კავკასიიდან ჩასახლებული მოსახლეობის ასიმილაციის წყალობით ცენტრალური ანატოლიაში მოსულმა თიურქებმა თითქმის მთლიანად დაკარგეს მონღოლოიდური ანთროპოლოგიური ნიშნები. ამჟამად მათი უმრავლესობა რასობრივად მკვეთრად განსხვავდება თავიანთი „ლინგვისტური" წინაპრებისაგან, რომელთა

XVII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთი ანალოგიურ პოლიტიკას ახორციელებდა სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ სამცხე-საათაბაგოში (იხ. თავი 9).

რუსეთის იმპერია ასევე იყენებდა ეთნო-დემოგრაფიულ ცვლილებებს პოლიტიკური მიზნით. როდესაც ის XIX საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიას იპყრობდა, ადგილობრივ მოსახლეობას (ძირითადად ადიღური მოდგმის ტომებს და ვაინახებს – ჩეჩნებსა და ინგუშებს, აგრეთვე აფხაზებს – სამხრეთ კავკასიაში) ოსმალეთში გადასახლებას სთავაზობდნენ. ოსმალეთი კი, სადაც დიდი ფართობები გაუკაცრიელებული იყო, ღებულობდა ამ მუსლიმურ მოსახლეობას – თითქმის ყველას *ჩერქეზის* (Çerkes) სახელით. ასე გაჩნდა „ჩერქეზული“ (სინამდვილეში – ზოგჯერ ჩეჩნური, აფხაზური და ა.შ.) სოფლები დღევანდელ თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელში.

აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები სომხები ქრისტიანულ რუსეთის იმპერიას თავიანთ მფარველად მიიჩნევდნენ. 1828-1829, 1853-1856, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს ოსმალეთის სომხები რუსეთის იმპერიის მხარეს იჭერდნენ. შესაბამისად, მეფის მთავრობაც მფარველობდა სომხებს. მაგალითად, 1829 წელს მესხეთ-ჯავახეთიდან ოსმალეთში წასული მუსლიმი, ძირითადად ქართულენოვანი, მოსახლეობის სანაცვლოდ ამ რაიონში რუსეთმა ანატოლიიდან მოსული სომხობა დაასახლა.

1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა ბერლინის ტრაქტატის შესაბამისად შეიერთა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, შეთანხმების თანახმად მუსლიმ (ქართველ) მოსახლეობას ეძლეოდა სამი წელი, რომ გადაეწყვიტა, თუ სად ამჯობინებდა ცხოვრებას. მისმა ერთმა ნაწილმა (ვახტანგ ჯაოშვილის შეფასებით – 8 ათასამდე ადამიანმა [Джаошвили, 1968, 113]) არჩია ოსმალეთი და გადასახლდა დღევანდელი თურქეთის შავი ზღვისა და მარმარილოს ზღვის რეგიონებში. ესენი იყვნენ ბურსის, ბალიქესირის, კოჯაელის, ადაფაზარისა და სხვა ილების ამჟამინდელი ქართულენოვანი მოსახლეობის წინაპრები, რომლებსაც თურქები „გურჯებს“ უწოდებენ, ხოლო თვითსახელად „ჩვენებური“ აქვთ.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და უშუალოდ მის შემდეგ ანა-

შთამომავლობაც შუა აზიაში დარჩა. როდესაც 1990-იანი წლების დასაწყისში თურქეთის პრეზიდენტი პირველად ეწვია დამოუკიდებელ ყირგიზეთის რესპუბლიკას, მის ყირგიზ კოლეგას უთქვამს: *„ეიწროთვალიანი წახვედით და მრგვალთვალიანი დაგვიბრუნდით“*.

ანატოლიელ თურქებსა და, აგრეთვე, აზერბაიჯანელებსაც (რომლებიც კავკასიის ალბანელებს შეერიენენ) ნაცლებად აერთიანებთ გენეტიკური წარმოშობა შუა აზიელ თიურქებთან, განსაკუთრებით, უზბეკებთან, ყაზახებთან და ყირგიზებთან. შედარებით უფრო ახლოს არიან ისინი თურქმენებთან. რეალურად, კავკასიისა და ანატოლიის თიურქებს შუაააზიელ თიურქებთან მხოლოდ ენობრიეი ნათესაობა აკავშირებთ. მაგრამ ესეც ძლიერი გამაერთიანებელი ფაქტორია. თუმცა ექვსივე „თიურქულენოვანი“ სახელმწიფო სეკულარულია, მათი სოლიდარობისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს საერთო რელიგიას (სუნიტური მიმართულების ისლამს, გარდა აზერბაიჯანისა, სადაც წამყვანია შიიტური ისლამი).

ტოლიაში მოხდა სერიოზული ეთნო-დემოგრაფიული ძვრა.

1915 წლის აპრილში უმძიმეს სამხედრო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ოსმალეთის იმპერიის იმდროინდელმა მთავრობამ („ახალგაზრდა თურქებმა") ბრძანება გასცა იმპერიის აღმოსავლეთ და ცენტრალურ პროვინციებში მცხოვრები სომხური მოსახლეობის მასობრივი დეპორტაციის შესახებ.

ამ აქციის შედეგი იყო ანატოლიის სრული დაცლა სომხური მოსახლეობისაგან. მისი კვალიფიკაციისათვის ორი მხარე განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებს.

სომხები ამას უწოდებენ *გენოციდს* (მართალია, ეს ტერმინი და მისი კვალიფიკაცია მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გაჩნდა), ანუ განზრახ გეგმას, რათა ანატოლიაში არ დარჩენილიყო არც ერთი სომეხი [The Armenian Massacre, 1970; The Armenian Genocide, 1984].

საპირისპირო თურქული არგუმენტია, რომ ეს იყო ომის პერიოდში მტრის არმიის მხარდამჭერი მოსახლეობის („მეხუთე კოლონის") *პრევენციული დეპორტაცია.*

მომხდარი ფაქტი ორივე მხარისათვის პოლიტიკურად და ეთიკურად მეტად მგრძნობიარე თემაა. XXI საუკუნის დასაწყისშიც კი ორ ქვეყანას არ ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ თითქმის საუკუნის წინ ანატოლიაში მომხდარი დემოგრაფიული ძვრა სომხების ეროვნული მენტალობის შემადგენელ ნაწილად იქცა: მას ახსენებენ ყოველდღე და ნებისმიერ თემაზე საუბრისას [Фурман, 1992]. უფრო სერიოზული პრობლემაა პოტენციური გეოპოლიტიკური გართულება. როგორც ამერიკელი ავტორები წერენ, *„პარტია 'დაშნაკცუთიუნის'* ['სომეხთა რევოლუციური ფედერაციის'] *სურვილია, აღადგინოს სომხური კონტროლი ისტორიული სომხეთის იმ მიწებზე, რომლებიც ახლა თურქეთის სუვერენიტეტის ქვეშაა"* [Curtis, 1996, 66]. ეს კი თურქეთისათვის სრულებით მიუღებელია.

იმავე I მსოფლიო ომის პერიოდში მოხდა **ნესტორიანი** ასირიელების სრული გასვლა აღმოსავლეთ ანატოლიიდან. ისინიც თანამშრომლობდნენ რუსეთის საოკუპაციო არმიასთან. როდესაც რუსები წავიდნენ, მათ ასირიელებიც მიჰყვნენ, ოსმალების მხრიდან სამაგიეროს გადახდის შიშით. ასირიელების ნაწილი საქართველოში, ნაწილი კი სომხეთსა და რუსეთში დამკვიდრდა. ასირიელების მცირე თემი შენარჩუნებულია ჩრდილოეთ ერაყში.

იმავე პერიოდში ანატოლიიდან კავკასიაში (უპირატესად – თბილისსა და სომხეთში) გადასახლდნენ ოსმალეთიდან ლტოლვილი **იეზიდი ქურთები.** მუსლიმი ქურთები მათ წარმართებად მიიჩნევდნენ და დევნიდნენ. იეზიდების რამდენიმე ანკლავი შენარჩუნებულია ჩრდილოეთ ერაყში.

უშუალოდ I მსოფლიო ომის შემდეგ ბერძნული არმია შეიჭრა ანატოლიაში. რამდენიმე თურქულ დასახლებულ პუნქტში ბერძენი

ჯარისკაცების მიერ განხორციელებული ძალადობა და მკვლელობები თურქების ეროვნული მოძრაობის დაწყების მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა (იხ. თავი 10).

თურქეთ-საბერძნეთის ომის დამთავრების შემდეგ, 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებამ შექმნა მოსახლეობის გაცვლის ლეგალური პრეცედენტი: საბერძნეთში მოსახლე 400 ათასი თურქი და თურქეთში მოსახლე 1,3 მილიონი ბერძენი (სტამბოლში მცხოვრებთა გარდა) იმავე 1923 წელს იძულებული გახადეს „გაეცვალათ სამშობლო".

მოსახლეობის გაცვლა სინამდვილეში ხდებოდა უფრო რელიგიური, ვიდრე ენობრივი ნიშნით: ბევრი *ურუმი* (ანატოლიელი ბერძენი) თურქულენოვანი ქრისტიანი იყო, ხოლო *საბერძნეთის თურქები* – ბერძნულენოვანი მუსლიმები.

ბერძნების დიდი თემისათვის, რომელიც მცირე აზიაში სამი ათასწლეულის განმავლობაში ცხოვრობდა, სამშობლოდან გადახვეწა დიდი ტრაგედია იყო. არანაკლები ტრაგედია იყო საკუთარი სახლების მიტოვება საბერძნეთში მცხოვრები თურქებისათვის.

ნაწილი III

პოლიტიკური გეოგრაფიის ისტორიული წანამძღვრები

თავი 7

რეგიონი კაცობრიობის ისტორიაში (წინაისლამური პერიოდი)

მითები და ჰიპოთეზები

1998 წელს ამერიკელმა გეოლოგებმა უოლტერ პიტმენმა და უილიამ რაიანმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს მეცნიერული ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც უკანასკნელი გამყინვარების დასასრულს, დაახლოებით 7500 წლის წინ, შავი ზღვის ადგილზე არსებულა დიდი მტკნარი ტბა (რომლის დონეც დღევანდელ წყალსატევზე 150-იოდე მეტრით დაბალი უნდა ყოფილიყო). ჩრდილოეთ ატლანტიკაში ყინულის დნობის შედეგად ხმელთაშუა ზღვაში შემოსულმა დიდმა წყალმა გაანგრია დღევანდელი ბოსფორის სრუტე და სწრაფად, სულ რამდენიმე თვეში, აამაღლა ტბის დონე, რომელიც ამის შემდეგ მლაშე ზღვად იქცა [Ballard, 2001].

თუმცა ეს ჰიპოთეზა ჯერ საყოველთაოდ აღიარებული არაა, მაგრამ ერთი ახლოაღმოსავლური მითის ასახსნელად ძალიან მიმზიდველი ჩანს.

შეიძლება დავუშვათ ზემოაღნიშნული ფიზიკური მოვლენის ყველაზე ლოგიკური *მოსახლეობის მიგრაციული შედეგი*. შავი ზღვის (თავიდან – ტბის) ირგვლივ მცხოვრებმა მოსახლეობამ წყლის დონის ეს მოულოდნელი ამაღლება, რასაც, ალბათ, კოკისპირულ წვიმებს უკავშირებდა, წარღვნად აღიქვა და თავის საშველად ამაღლებული ადგილებისაკენ გაიქცა. ბევრი დაიღუპებოდა. გადარჩენილთა ნაწილი მთებს გადალახავდა და მოშორდებოდა საშიშ ადგილს. იმის გამო, რომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო უფრო ციცაბოა, იქ მცხოვრებ ხალხს გადარჩენის მეტი შანსი ჰქონდა, ვიდრე გაშლილ ვაკეებზე შერჩენილთ, მაგალითად, ზღვის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც წყალი სწრაფად დაფარავდა ხმელეთს. ამიტომაც წარღვნას გადარჩენილი ადამიანების (ასე ვთქვათ, „კოლექტიური ნოეს“: რამდენიმე ოჯახს მაინც ექნებოდა შედარებით დიდი ნავები, რომლებსაც წყალი აატივტივებდა!) მეტი რაოდენობა უფრო ზღვის სამხრეთ სანაპიროებთან იქნებოდა და ახალი სამკვიდრებლის ძიებაში დღევანდელი ახლო აღმოსავლეთისაკენ წავიდოდა.

არის სხვა ვარაუდიც, რომ წყალი ნელა მატულობდა და ჩრდილო-

დასავლეთის ვაკეების მცხოვრებლებსაც მიეცათ დრო აყრილიყვნენ და შუა ევროპისაკენ წასულიყვნენ. მაგრამ უფრო მოსალოდნელი იყო წყლის სწრაფი მატება.

ამაღლებული ადგილები, სადაც წარღვნას გადარჩენილებს თავდაპირველი საფარი უნდა დაედოთ, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა ის მთა, დღეს რომ *არარატს* უწოდებენ (საკმარისია რუკაზე დახედვა, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად შორსაა ეს მთა შავი ზღვიდან) და რომლის მწვერვალზე, ან მის ფერდობებზე, გულუბრყვილო ადამიანები ეძებენ (ხოლო ვიღაცა „პოულობს" კიდეც) ნოეს კიდობანს. მაგალითად, IV საუკუნეში ერთმა სომეხმა ქრისტიანმა ბერმა *მასისის*[1] მთის ფერდობზე იპოვა ხის ძველი კონსტრუქციის ნაწილები, რასაც სომხური გრიგორიანული ეკლესია ნოეს კიდობნის ნაშთად მიიჩნევს.

თორის ავტორები, როდესაც „არარატის *მთებს*" (და არა *ერთ მთას*) ახსენებენ, რაღაც სხვა ადგილს გულისხმობენ.

თანამედროვე არარატის დაკავშირება წარღვნის ლეგენდასთან გეოგრაფიულ ლოგიკას ეწინააღმდეგება: რამდენიმე ათასი წლის წინ რაიმე წყალდიდობას, თუნდაც შუამდინარეთში მომხდარს, არარატის მწვერვალამდე (ხუთი კილომეტრი ზღვის დონიდან), ან მის შუა ნაწილამდეც რომ მიეღწია, ეს მთელ დედამინაზე წყლის ამაღლებას მოასწავებდა და გიგანტური გეოლოგიური კატასტროფის შედეგი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ვერავინ ვერ გადაურჩებოდა.

უფრო სავარაუდოა, რომ მთები, რომელთაც შავი ზღვის ნაპირზე მოვარდნილი წყლისაგან უნდა გადაერჩინათ ადამიანები, ყოფილიყო *პონტოს ქედის ჩრდილოეთი ფერდობი.*

შორეულ მოგონებებს შავიზღვისპირეთში რეალურად მომხდარი საშიში მოვლენის შესახებ შეეძლო მითებში გადაენაცვლებინა და მიეღწია (ალბათ, იქიდანვე დაძრულ ადამიანთა ჯგუფებთან ერთად) სამხრეთ შუამდინარეთამდე და იქ მოსახლეთა კოლექტიურ მეხსიერებაში ჩარჩენილიყო.

წარღვნის ლიტერატურულად მშვენიერი ვერსია – ნოე თავისი ხომალდ-კიდობნით; მისი ვაჟები („დადებითი" სემი/შემი და იაფეთი, „უარყოფითი" ქამი); ყვავი და მტრედი, როგორც საშიში მოვლენის დასასრულის მაცნენი – ებრაელებმა თავიანთ წმინდა წიგნში, *თორაში* შეიტანეს და მისი მეშვეობით ეს ვერსია ქრისტიანებისთვისაც წარღვნის კანონიკურ სურათად იქცა.

„წარღვნის ლეგენდა" ახლო აღმოსავლური წარმოშობისაა. წარღვნას

1. *მასისის მთა* იგივე არარატია. ეს უკანასკნელი სახელი, ალბათ, უკავშირდება იმავე არეალში ადრე არსებულ ურარტუს სამეფოს, რომლის აყვავების ხანად ძვ.წ. IX-VI საუკუნეებს მიიჩნევენ. ურარტულ ენაზე შემორჩენილი ტექსტებიდან ირკვევა, რომ *ეს არ იყო ინდოევროპული ენა.* ამ ენის მატარებლებს შეეძლოთ შეედგინათ სუბსტრატი ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე სომხებისათვის, რომლებიც იმავე ტერიტორიაზე განსახლდნენ ძვ.წ. I ათასწლეულში.

შუმერული „გილგამეშის ეპოსიც“ ახსენებს. შუმერულ ტექსტებშიც არის მინიშნებები მეფეებსა და ქალაქებზე „წარღვნის წინ“ და „წარღვნის შემდეგ“ [Daley, 1998, 15]. მაგრამ ვინ მოუთხრო შუმერებს ამ საშინელი მოვლენის შესახებ?

არსებობს ისეთი მოსაზრებაც წარღვნის შესახებ, რომ ექსტრაორდინარული წყალდიდობა შუამდინარეთში მოხდა და საყოველთაო წარღვნის შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ასეთ ვერსიას რომანტიკულობა აკლია: მისგან მითი ვერ შეიქმნება! თანაც, სამხრეთ შუამდინარეთში მთები არც არის და ვერავითარ „არარატის მთას“ იქაური „ნოე“ ვერ მიაღწევდა. რეალური მოვლენა სადღაც შორს უნდა მომხდარიყო, რომ მითის ბუნდოვანება შეეძინა. გარდა ამისა, მდინარის ხეობაში დიდი წყალდიდობა შეიძლება განმეორებულიყო (რასაც არც ერთი მითი არ ახსენებს), ზღვა კი ორჯერ არ წარმოიშობა, ყოველ შემთხვევაში, ახლო გეოლოგიურ წარსულში.

შავიზღვისპირეთიდან აყრილ ტომებს, რომლებიც უფრო სამხრეთით გადასახლებისას შეხვდნენ უკვე დამკვიდრებულ მოსახლეობას და იძულებული გახდნენ, ახალი საცხოვრისი ეძებნათ, მაგალითად, დღევანდელ ევროპაში, სავსებით შეეძლოთ ხელი შეეწყოთ „ნეოლითური რევოლუციის“ დიფუზიისათვის.

დაახლოებით ძვ. წ. X ათასწლეულში (ჯერ კიდევ „წარღვნამდე“) სწორედ ახლო აღმოსავლეთში, „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ ზონაში და ახლომდებარე მთების ხეობებში დაიწყო გადასვლა შემკრებლობა-მონადირეობიდან მიწათმოქმედებაზე, ბევრი გარეული ცხოველის მოშინაურება და ველური მცენარის კულტურულად ქცევა.

ბოლო პერიოდის გენეტიკური გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ახლო აღმოსავლეთის უფრო მაღალი სამეურნეო კულტურის მქონე ადამიანები ნეოლითის ხანაში დიდი რაოდენობით მიემართებოდნენ ევროპისაკენ და ხელს უწყობდნენ იქ სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მიგრანტთა შორის შავიზღვისპირეთის სამხრეთ ნაწილიდან აყრილი ტომებიც შეიძლება ვივარაუდოთ.

ნათელია, რომ ახლო აღმოსავლეთი კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებთან დგას.

შუამდინარეთის მემკვიდრეობა

მეცნიერთა შორის არსებობს მდგრადი აზრი, რომ მსოფლიოში პირველი სახელმწიფოები წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ შუამდინარეთში.

უძველესი შუამდინარული ცივილიზაცია – **შუმერული** – განვითარდა

ძვ. წ. IV ათასწლეულში მდინარეების, ევფრატისა და ტიგროსის ქვემო წელში, სადაც ნაყოფიერი ალუვიური ნიადაგი დიდ მოსავალს იძლევა, მაგრამ საჭიროებს წყლის მუდმივ კონტროლს.

შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები ტაძრების ირგვლივ იყო კონცენტრირებული და რთული საზოგადოებრივი სტრუქტურა ჰქონდათ. ქალაქის მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილი ტაძრების ეკონომიკა მოითხოვდა სურსათით მომარაგებას მიმდებარე ტერიტორიიდან და პროდუქტების მიწოდების რეგისტრაციას [Dodgshon, 1998]. ამ მოთხოვნილების საპასუხოდ შეიქმნა ლურსმული დამწერლობა. წერდნენ (ძვ. წ. III ათასწლეულიდან – მარცხნიდან მარჯვნივ) ნედლი თიხის ფირფიტებზე, რომელთაც შემდეგ აშრობდნენ. არქეოლოგებმა საკმაოდ ბევრი იციან შუამდინარეთის ხალხებზე, ვინაიდან მათი არქივების ნაწილი კი არ დაიწვა, არამედ გამოიწვა და, ამდენად, გადარჩა.

დროთა განმავლობაში პოლიტიკურმა ძალაუფლებამ უპირატესად სეკულარული მეფეების ხელში გადაინაცვლა.

დაახლოებით ძვ. წ. XXIV-XXIII საუკუნეებში შუამდინარეთში შეიქმნა მსოფლიოს პირველი იმპერია – *აქადი*. მისი არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მისი სემიტური ენა, რომელიც არასემიტი შუმერების გამოგონილ დამწერლობას იყენებდა, შუამდინარეთის მომდევნო იმპერიების – ძველი ბაბილონისა და ასირიის – სახელმწიფო ენად იქცა.

შუამდინარეთის ხალხებმა წარმატებას მიაღწიეს ირიგაციის, მშენებლობის, ასტრონომიის საკითხებში. მათი იდეალური წელიწადი 360 დღისაგან შედგებოდა, რომელიც თორმეტ 30-დღიან თვედ იყოფოდა (აქედანვე მოდის წრის 360 გრადუსად დაყოფის წესი). როგორც ჩანს, „360" და „6" შუმერებისათვის საკრალური მნიშვნელობის რიცხვები იყო. მათგანვე მოდის შვიდდღიანი კვირის, ანუ ექვსი დღის განმავლობაში მუშაობისა და მეშვიდე დღეს დასვენების, ტრადიცია. „*მეცნიერთა მიერ დამტკიცებულია, რომ იუდეველებმა, სამხრეთ ბაბილონში ყოფნის დროს, გადმოიღეს* Šapattu-*ს* [შაბათის] *ინსტიტუტიცა და მისი აღმნიშვნელი ტერმინიც*" [ნედოსპასოვა, 1999, 184]. ბაბილონელები მთვარისა და მზის კალენდრების კომბინაციას იყენებდნენ: თვე მთვარის ციკლს მისდევდა, წელი – მზისას; გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ერთ დამატებით თვეს უმატებდნენ, რათა „წლის დღეების დეფიციტი" დაეფარათ.

შუამდინარეთში შემუშავებული ეს სისტემა უდევს საფუძვლად დღესაც გამოყენებულ ებრაულ კალენდარს, რომელმაც თვეებს შუამდინარეთის ღმერთების სახელებიც კი შეუნარჩუნა.

სემიტების მემკვიდრეობა

ძვ წ. III ათასწლეულში სემიტური მოდგმის ხალხები იწყებენ გადაადგილებას არაბეთის ნახევარკუნძულიდან ჩრდილოეთისაკენ, დღევანდელი ისრაელის, ლიბანის, სირიის მიმართულებით, მათ შორის არიან ქანაანელთა ტომები, ფინიკიელების ჩათვლით. ისინი სხვადასხვა ღვთაებებს აღიარებდნენ, თუმცა ღმერთის საერთოსემიტური სახელიც (*ელ*) ჰქონდათ.

ძირითადად დღევანდელი სირიისა და ჩრდილო მესოპოტამიის ტერიტორიაზე მოსახლე სემიტების, არამეელების, ქალაქ-სახელმწიფოებმა თავიანთი ძლიერების მწვერვალს ძვ. წ. X-IX საუკუნეებში მიაღწიეს. შემდგომ არამეელთა ქალაქები ასირიელებმა დაიპყრეს და „წარმოტყუენეს", ანუ ტყვეობაში, შუამდინარეთში, წაასხეს მათი მოსახლეობა. ყველა იმპერიას სჭირდებოდა მუშაძალა დედაქალაქში ან მის სიახლოვეს, სადაც მშენებლობისა და საერთო ეკონომიკური აქტივობის ყველაზე დიდი კონცენტრაცია იქმნება ხოლმე. დაპყრობილი ქვეყნებიდან მოსახლეობის წაყვანა იმპერიის ბირთვში გავრცელებული პრაქტიკა იყო.

არამეელები გარკვეულწილად უჩვეულო კულტურტრეგერები იყვნენ: მათ პოლიტიკურ არსებობაზე ბევრად უფრო მდგრადი აღმოჩნდა მათივე სულიერი მემკვიდრეობა. არამეელთა სახელმწიფოებრიობის გაქრობის შემდეგ მათი *ენა*, რომელზეც აქადურმა საგრძნობი გავლენა მოახდინა და, განსაკუთრებით, *დამწერლობა*, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებიდან შუამდინარეთში ფართოდ გავრცელდა.

არამეული ენის მთავარი ღირსება იყო, რომ ის იყენებდა *ქანაანურ (სემიტურ) ანბანს*. ასეთი ანბანით წერა ბევრად უფრო მარტივი იყო, ვიდრე ლურსმულით. არამეელების მიერ განვითარებულ კონსონანტურ (22 თანხმოვნისაგან შედგენილ) ანბანში იყო ნიშნები ნახევარხმოვნების აღსანიშნავადაც. საერთოდ, სემიტური ანბანები „ზოგავენ საწერ მასალას" (ქვას, პერგამენტს, ქაღალდს), რადგან არ იწერება ხმოვნები, რომლებიც სემიტურ ენებს ისედაც შეზღუდული რაოდენობით აქვთ[1]. წერისას ასეთი შემოკლების საშუალებას სემიტური ენების მორფოლოგიაც იძლევა. სემიტური ენები მარჯვნიდან მარცხნივ წერის წესს იყენებენ. თანამედროვე პირობებში ეს მოუხერხებელია, ვინაიდან რიცხვებს არაბულად ან ებრაულად მაინც „წალმა" – მარცხნიდან მარჯვნივ – წერენ.

---

1. მაგალითად, არაბულში ხმოვნებია მხოლოდ „ა", „ი" და „უ". არაბულ დიალექტებსა და სხვა ენებში, რომლებიც არაბულ ანბანს იყენებს, ისმის აგრეთვე „ე" და „ო", მაგრამ იწერება ისევ „ი" და „უ" (არაბული „მუჰამად", „აიათალაჰ", „უსამა", „ჰისბალაჰ", მაგალითად, სპარსულად გამოითქმის როგორც „მოჰამად", „აიათოლა", „ოსამა", „ჰეზბოლა"). გარდა ამისა, როგორც არაბული, ისე ებრაული ანბანი ბგერებს „ვ", „უ" და „ო" ერთი ნიშნით (*ვაე*) აღნიშნავს. ისლამის მიმდევარი არაარაბი ხალხების დიდი ნაწილი (XX საუკუნემდე – ყველა) არაბულ დამწერლობას იყენებს, რაც საგრძნობ სირთულეს ქმნის მკვეთრად განსხვავებული ფონეტიკური სისტემების ასახვისას.

არამეულ ენაზე გადავიდნენ ის ებრაელები, რომლებიც ახალი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა შუამდინარეთში („ბაბილონის ტყვეობაში") წაიყვანა (ძვ.წ. 586 წ.). კუთხოვან არამეულ ანბანს დღემდე იყენებს ებრაული ენა [Salvesen, 1998, 143]. ფალაური (საშუალო სპარსული) ენაც ასევე არამეულ ანბანს იყენებდა. ამავე ანბანის მოდელზე აიგო უიღურული ანბანი, რომელიც, მოდიფიცირებული სახით, XIII საუკუნიდან მონღოლებმა გამოიყენეს.

არამეული ერთაშორისი ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ენა იყო ახლო აღმოსავლეთში და ის ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ დამკვიდრებულმა ბერძნულმაც კი მთლიანად ვერ გამოდევნა[1]. იესო ქრისტე არამეულად ესაუბრებოდა თავის მოციქულებს. აღმოსავლეთის ქრისტიანები თავიანთი ტექსტების ჩასაწერად იყენებდნენ არამეულის ედესურ დიალექტს – სირიულს (რომელმაც ნახევრად კურსივის ტიპის დამწერლობა განავითარა). არამეულ ანბანს იყენებდნენ კომუნიკაციისათვის ისეთი ჯგუფები, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ სემიტებთან.

დღევანდელი ლიბანის ტერიტორიაზე არსებული სემიტურენოვანი ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები საკმაოდ სწრაფად დაეუფლნენ ზღვაოსნობას. მათ შორის დაწინაურებულმა ქალაქმა ტვიროსმა (დღევანდელი *სურ*-ი) საკუთარი ახალშენები დააარსა ცენტრალურ და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ერთ-ერთი ახალშენი იყო მომავალში თვით რომის მეტოქე, *კართაგენი* (ფინიკიურად *კართა-ხადათა*, რაც ამ სემიტურ ენაზე „ახალ ქალაქს" ნიშნავდა).

ფინიკიელების ყველაზე დიდ დამსახურებად კაცობრიობის წინაშე მიიჩნევენ ანბანის გავრცელებას. მათი ანბანი თითქმის იდენტური იყო იმისა, რასაც იყენებდნენ არამეელები, მოაბელები, ებრაელები. ფინიკიური ანბანის საფუძველზე ჩამოყალიბდა ბერძნული ანბანი, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო ლათინურ და სლავურ დამწერლობებს. ბერძნული, ლათინური, სლავური, აგრეთვე ქართული, სომხური, ეთიოპური წერის სხვა მიმართულებას იყენებს – მარჯვენა ხელის გამოყენებით მელნით წერა მარცხნიდან მარჯვნივ სჯობს – და ხმოვნებისთვისაც იმეტებს ნიშნებს.

სემიტური ანბანის პირველი ორი ასოს სახელი, „ალეფ"-ი და „ბეტ"-ი, ბერძნულად გამოითქმის, როგორც „ალფა" და „ბეტა" და *ალფაბეტის* (ანბანის) ზოგადი სახელი გახდა.

თორას თანახმად, ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ (ებრაულად *მოშე*), მონოთეიზმი (რომელიც საბოლოოდ ეროვნულ რელიგიად, იუდაიზმად, ჩამოყალიბდა) გამოიყენა თავისი თანატომელების დასარაზმავად. მსოფლიო ისტორიაში ძველი ებრაელების მთავარი დამსახურება მონოთეიზმის დამკვიდრებაა.

---

1. ძვ. წ. ბოლო საუკუნეებში შექმნილი „არმაზის ბილინგვა", რომელიც არქეოლოგებმა მცხეთაში აღმოაჩინეს, არამეულ და ბერძნულ ენებზეა დაწერილი.

მოსეს მაგალითი ამტკიცებს, რომ რელიგია პოლიტიკის მძლავრი იარაღია. ერთი ღმერთის რწმენა აძლიერებდა შინაგან სოლიდარობას მტრულ გარემოცვაში მყოფ ხალხში, რომელიც არ იყო მიბმული მიწასთან და თან დაჰქონდა თავისი სალოცავი. თავის თანატომელებს, რომლებიც, თორას თანახმად, ოთხზე მეტი საუკუნის განმავლობაში ეგვიპტეში ცხოვრობდნენ, მერე კი სინას ნახევარკუნძულზე მომთაბარეობდნენ, მოსემ დაუსახა იდეალი – მათივე ღმერთის (*იაჰვეს*) მიერ აღთქმულ მიწაზე, ქანაანში, შესვლა, სადაც „რძე და თაფლი მოსწვეთდა“ ანუ, უდაბნოსაგან განსხვავებით, მიწა ნაყოფიერი იყო და არსებობდა მუდმივი წყლის წყარო – მდინარე იორდანე.

თორას თანახმად, ებრაელებმა დაიწყეს ქანაანის (სადაც უპირატესად სემიტური ტომები ცხოვრობდნენ) დაპყრობა აღმოსავლეთის მხრიდან, როდესაც მათ გადალახეს მდინარე იორდანე და აიღეს პირველი ქალაქი, იერიხონი[1].

ნილოსის ხეობის მემკვიდრეობა

ნილოსის ხეობასა და დელტაში ერთ დიდ ოაზისად არსებულ ეგვიპტეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრიდან ბარიერად ჰქონდა უდაბნო, რომლის გადალახვა დამპყრობლებისთვის ადვილი არ იყო. რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში ერთიანი ეგვიპტის (მისი გაერთიანება მოხდა დაახლოებით ძვ. წ. 3100 წელს) სახელმწიფოებრიობა, ეკონომიკა და კულტურა განვითარების შედარებით უწყვეტ ხაზს მისდევდა, ვიდრე შუამდინარეთისა, რომელიც ღია იყო შემოსევებისათვის მთიანი ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან და სადაც ანარქია და რეგრესი უფრო ხშირად ენაცვლებოდა ორგანიზებულ სახელმწიფოს, ვიდრე ეგვიპტეში.

ძველი ეგვიპტის პოლითეისტური რელიგია გეოგრაფიულ გარემოს მშვენივრად შეეგუა. ერთ, ძალიან გრძელ, ოაზისად განლაგებული ეგვიპტის დაშლა სრულებით განცალკევებულ ნაწილებად (საკუთარი ღმერთებითურთ) არცთუ ადვილი საქმეა. გაერთიანების შემდეგ ზემო და ქვემო ეგვიპტემ თავ-თავიანთ ღმერთებს საერთო პანთეონში მიუჩინეს ადგილი.

---

1. უნდა ითქვას, რომ ამ ტრადიციულ მიდგომას ეჭქვეშ აყენებს თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი *ისრაელ ფინკელშტაინი (თანაავტორ სილბერმანთან ერთად)*. ის ავითარებს აზრს, რომ ქანაანის დაპყრობა ისე, როგორც ეს თორაშია აღწერილი, საერთოდ არ მომხდარა. ებრაელები ქანაანის ერთ-ერთი სემიტური ტომი უნდა ყოფილიყო. მართლაც, არქეოლოგიური მონაცემები არ ადასტურებენ არც ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლას, არც იერიხონის აღებას, არც დიდი ქალაქის, იერუსალიმის არსებობას ძვ. წ. X-VII საუკუნეებში (*ფინკელშტაინი* მას უწოდებს „*ტიპურ მთის სოფელს, პატარა სალოცავით, კედლის გარეშე*“). მისი აზრით, თორას ტექსტები შეიქმნა ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს *იუდეაში* („სამხრეთ სამეფოში“), რათა მის მმართველებს დაესაბუთებინათ *ისრაელზე* („ჩრდილოეთ სამეფოზე“) თავისი უფლება. *ისრაელს* კი საკუთარი (და იერუსალიმზე უფრო მნიშვნელოვანი) სალოცავები პქონდა სამარიასა და ბეთელში [Finkelstein & Silberman, 2001].

ჩამოყალიბებული პოლითეიზმი, ღვთაებათა იერარქიითა და მათი ფუნქციების მკაცრი განაწილებით, კარგად ემსახურებოდა სახელმწიფოს.

ძველი ეგვიპტის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა მიწათმოქმედება აუზური მორწყვის სისტემით. ნილოსის ხეობაში მდინარის პარალელურად გლეხების ერთობლივი შრომით კეთდებოდა მიწაყრილები, რომლებიც წყალსაცავებს ქმნიდა. ეთიოპიის მთიანეთში მოსული წვიმების შედეგად ადიდებული ნილოსის წყალი ზაფხულის ბოლოს აღწევდა ეგვიპტეს და ხეობას ფარავდა. წყალდიდობის შემდეგ, როდესაც ნილოსი კალაპოტს უბრუნდებოდა, შემაღლებულ ადგილებზე მდებარე ხელოვნურ წყალსაცავებში რჩებოდა წყალი, რომელსაც ქვემოთ მდებარე მინდვრების სარწყავად იყენებდნენ. მდინარის ჩამონატანი შლამით გამდიდრებულ ტენიან ნიადაგში თესდნენ მარცვლეულს და უხვ მოსავალს იღებდნენ. მორწყვის ასეთმა „აუზურმა“ სისტემამ ეგვიპტეში ექვსი ათასწლეული იარსება. მუდმივი მორწყვის სისტემა, რაც რამდენიმე მოსავლის აღების საშუალებას იძლევა, მთელ ეგვიპტეში მხოლოდ 1970-იანი წლებიდან დამკვიდრდა, როდესაც ასუანის მაღლივი კაშხალი აშენდა (ასუანის დაბალი კაშხალი 1902 წლიდან არსებობდა).

მიწათმოქმედება ირიგაციის აუზური სისტემით შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივი შრომის გამოყენებით, რაც აყალიბებს ერთგვაროვან მასას და ხელს უწყობს ერთიანი ეთნიკური ფსიქოლოგიის შექმნას. ნილოსის ხეობაში პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო, რომ რამდენიმე კომლს დამოუკიდებლად ერჩინა თავი (რაც სავსებით შესაძლებელია მთიან მხარეში, სადაც ადამიანთა მცირე ჯგუფების ხანგრძლივი *ავტარკია** ინდივიდუალიზმისა და განსხვავებული ენებისა და კულტურების ჩამოყალიბების წინაპირობაა). ძველი ეგვიპტის სამეურნეო სისტემა მოითხოვდა შესაბამის ორგანიზატორებს. ამ უკანასკნელთა როლი იკისრეს ფარაონებმა, ბიუროკრატიამ და ქურუმთა კასტამ. ქურუმები ინახავდნენ ჩანაწერებს ნილოსის რეჟიმის შესახებ, ადგენდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გრაფიკს. ქურუმთა დაღუპვა, რაც მომთაბარეთა შემოსევებს მოსდევდა ხოლმე, ქვეყნის ეკონომიკაზე კატასტროფულად მოქმედებდა.

ნილოსი მეტ-ნაკლებად სტაბილურად დიდდებოდა. ამის გამო ეგვიპტეში თითქმის ყოველთვის იყო სურსათის მარაგი. გავიხსენოთ ბიბლია: ქანაანში ჩამოვარდნილი შიმშილი მაძღარ ეგვიპტეში წასასვლელად უბიძგებდა ძველ ებრაელებს. სურსათის მარაგი კი მოსახლეობის დიდი რაოდენობის შენახვის საშუალებას იძლეოდა.

ცნობილია, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ძირითადი განმსაზღვრელი იმ პერიოდში, და კიდევ დიდხანს, იყო სურსათის არსებობა: შიმშილი ბევრად მეტ ადამიანს ანადგურებდა, ვიდრე ომები და ეპიდემიები. ნილოსის წყალმცირობა შიმშილს უქადდა ძველი ეგვიპტის მოსახლეობას, რადგან აუზური მორწყვის სისტემა წელიწადში მხოლოდ ერთი

მოსავლის აღების შესაძლებლობას იძლევა. ის, ვინც მარცელეულის მარაგს ფლობს (ეს კი სახელმწიფო და ტაძრებია), დამატებით ბერკეტს იძენს მოსახლეობის დიდი ნაწილის დასამორჩილებლად.

უბრალო ეგვიპტელები, და არა აუცილებლად მონები, ასრულებდნენ შრომატევად სამუშაოს ღმერთებისა და ფარაონების სადიდებლად, აგებდნენ პირამიდებს, ტაძრებს, სამაროვნებს. ეს ისტორიული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა ძირითადი მიმზიდველი ფაქტორია თანამედროვე ეგვიპტის ტურიზმის ინდუსტრიისათვის.

მცირე აზიისა და ირანის მემკვიდრეობა

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან ან მცირე აზიიდან ძვ.წ. XII საუკუნეში მოსულად ითვლებიან ფილისტიმელები: მათი სახელი (ლათინური გამოთქმით – *პალესტინა*) მომავალში დაერქმევა ქანაანის მთელ მიწას. ისინი უპირატესად ზღვისპირა დაბლობზე ცხოვრობდნენ, ამჟამინდელი თელ-ავივ-იაფოს სამხრეთით. მათი ქალაქები დღევანდელი *აშდოდის, აშკელონის, ღაზის* ადგილზე მდებარეობდა. ფილისტიმელები და ადგილობრივი სემიტი ტომები დახვდნენ *ქანაანში* შუამდინარეთიდან დაახლოებით იმავე დროს მოსულ სემიტ ისრაელიტებს – აბრაამსა და მის შთამომავლობას.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრებ ხალხებს (რომელთა შორის *ქართველთა წინაპრებიც* იგულისხმებიან) მიაწერენ რკინის მეტალურგიის განვითარებას [Daley, 1998, 24].

დაახლოებით ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებიდან იწყება *რკინის ხანა*. მკვეთრად გაუმჯობესდა საბრძოლო და სამეურნეო იარაღი. არსებითად დაჩქარდა კაცობრიობის განვითარების ტემპი.

ცენტრალურ ანატოლიაში დაფუძნებულმა ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ხეთებმა (მათ „ოქროს ხანად" ძვ. წ. XIV-XII საუკუნეებს თვლიან) აითვისეს რკინის საბრძოლო იარაღი. როგორც ჩანს, ამ იარაღის წყალობითაც უწევდნენ ღირსეულ მეტოქეობას ხეთები რეგიონის იმდროინდელ ჰეგემონებს, ეგვიპტის ფარაონებს, რომელთა მეომრებს ბრინჯაოს იარაღი ჰქონდათ.

მთელი რეგიონის პოლიტიკური გაერთიანება პირველად ირანის აქამანიანთა[1] დინასტიის მეფეებმა (შაჰანშაჰებმა) სცადეს. აქამანიანები, რომლებმაც დაამხეს ბაბილონის სამეფო და მესოპოტამიას დაეპატ-

1. აღმოსავლური დინასტიების დასახელებისას წიგნში გამოყენებულია ტრადიციული დაბოლოება, რომელსაც იყენებს „ქართლის ცხოვრება" (თუნდაც ის სპარსული წარმოშობისა იყოს) და ამიტომაც გვაქვს *აქამანიანი, სასანიანი, უმაიანი, აბასიანი, სელჩუკიანი, სეფიანი* და ა.შ. პარალელურად არსებობს ტრადიცია გამოიყენონ ბერძნული წარმოშობის დაბოლოებაც (აქემენიდი, სასანიდი, უმაიადი/ომეიადი, აბასიდი, სეფეევიდი და ა.შ.). ყველა ვარიანტის გამოყენებაა შესაძლებელი: ეს შეცდომა არაა.

რონნენ, ხელს უწყობდნენ არამეულის, როგორც *lingua franca**-ს გამოყენებას. *დარიაუშის* (დარიუსის) მეფობის დროს (ძვ. წ. 522-486 წწ) მთელი რეგიონი (გარდა არაბეთის ნახევარკუნძულისა) ერთი ცენტრიდან (ეს იყო სამხრეთ ირანში მდებარე ქალაქი *სუსა*) იმართებოდა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეიქმნა უზარმაზარი, მოწესრიგებული მრავალეთნიკური იმპერია, რომელიც საკმაოდ მოქნილ ეროვნულ პოლიტიკას ატარებდა და შიდა დაპირისპირებებს ეფექტიანად ებრძოდა. მოქმედებდა ერთიანი ვალუტა. ეგეოსის ზღვის ნაპირიდან სპარსეთის ყურემდე მიდიოდა კარგად დაცული „სამეფო გზა" (სპარსულად *შაჰრაჰ;* აქედან წარმოდგა ქართული „შარა"). უკვე ჩვენს დროში, ახ. წ. XX საუკუნის დასაწყისში, არსებითად იმავე „სამეფო გზის" მარშრუტით „ბაღდადის რკინიგზის" მშენებლობის გეოპოლიტიკური პრობლემა პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთ წინაპირობად იქცა.

აქამანიანთა ხანიდან მოყოლებული, ისლამის გაბატონებამდე, ირანსა და მიმდებარე ქვეყნებში წამყვანი რელიგია ხდება **ზოროასტრიზმი**. მისი ფაქტობრივი სინონიმებია ზარათუშთრას სარწმუნოება, მაზდეანობა, მაზდაიზმი, ცეცხლთაყვანისმცემლობა. ეს უკანასკნელი უფრო სხვებისაგან შერქმეული სახელია: წინასწარმეტყველ ზარათუშთრას (ძვ.წ. VI ს.) მიმდევრები ცეცხლს კი არ სცემდნენ თაყვანს, არამედ ის მათთვის იყო *სიკეთის (სიმართლის)* სიმბოლო.

არსებობს განსხვავება აქამანიანთა ირანის, პართიისა და სასანიანთა ეპოქის ზოროასტრიზმში, მაგრამ ეს მაინც ერთი რელიგიის განვითარების სტადიებია. სამხრეთ კავკასიის ძველი ისტორიისათვის ზოროასტრიზმის როლის უგულებელყოფა ძნელია. ქრისტიანობის მიღებამდე ქართველები უფრო ამ რწმენაზე ვიდექით. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ *აჰურა მაზდა* ჩვენი წინაპრებისათვის *არმაზი* იყო (თუმცა არის ისეთი აზრიც, რომ *არმაზი* ხეთური ღვთაების სახელია).

ძვ. წ. 240 - ახ. წ. 226 წლებში ირანის ტერიტორიაზე მდებარეობდა პართიის სამეფო, რომელიც დააარსა *არშაკ* დიდმა (მისი დინასტია არშაკიანების[1] სახელითაა ცნობილი). დასავლეთიდან მოსულ მძლავრ მეტოქესთან, რომთან, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ პართიას უბიძგა, ასე ვთქვათ, „ანტიევროპეიზმისა" და ადგილობრივი კულტურის განვითარებისაკენ: თავდაპირველად ის უფრო ელინისტური იყო (იხ. ქვემოთ).

პართიის სახელმწიფო ენა, რომელიც ანბანად არამეულ დამწერლობას იყენებდა, *ფაჰლავი*[2] (ქართულად მას *ფალაურს* ვუწოდებთ) –

---

1. სახელები *არშაკი, აშოტი, ბაგრატი* ფალაური წარმოშობისაა. შუა საუკუნეებში მათ სომხებიცა და ქართველებიც იყენებდნენ.

2. როდესაც 1925 წელს ირანში გამეფდა ბოლო 13 საუკუნეში პირველი სპარსული წარმოშობის დინასტია (იხ. თავი 10), მან თავის ოფიციალურ სახელად აიღო *ფაჰლავი (ფეჰლევი)*, რითაც თავი დაუკავშირა პართიის მემკვიდრეობას.

„საშუალო სპარსულია“ („ძველი სპარსული“ აქამანიანთა ხანის ენა იყო; „ახალი სპარსული“ კი არაბების ბატონობის დასასრულისათვის, დაახლოებით IX საუკუნიდან ყალიბდება). ფალაურიდან ქართულში ბევრი სიტყვა შემოვიდა. საერთოდაც, აღმოსავლეთ-ქართული სახელმწიფოს განვითარება, რაც საერთო-ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა, პართიასთან მჭიდრო ურთიერთობაში ხდებოდა. იმდროინდელი ქართლის მეფეების დიდი ნაწილი პართიის სამეფო დინასტიას ენათესავებოდა.

სასანიანთა დინასტიამ, რომელიც ახ. წ. 226 წელს გამეფდა, პართიაზე მეტი ცენტრალიზაცია მოუტანა ირანს. მისი *შაჰანშაჰის* დედაქალაქი გახდა მესოპოტამიაში, მდ. ტიგროსის ნაპირზე მდებარე *ქტესიფონი*. განსხვავებით პართიისაგან, სადაც ცეცხლთაყვანისმცემლობის პარალელურად ბერძნული ღვთაებების თაყვანისცემაც იყო გავრცელებული, სასანიანთა ირანში ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგიად იქცა. თუმცა, როგორც ქვევით ვნახავთ, ირანში არსებობდა გარკვეული შემწყნარებლობა, განსაკუთრებით ქრისტიანობის იმ ფორმების მიმართ, რომელთაც მისი ძირითადი პოლიტიკური მეტოქე – რომი და მისი მემკვიდრე ბიზანტია – არ სწყალობდა. საქართველო, კერძოდ, ქართლი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული სასანიანთა ირანთან. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, იმდროინდელი ჩვენი მეფეები (მაგალითად მირიანი, ვახტანგ გორგასალი) *ხოსროიანები* იყვნენ და სასანიანთა სამეფო დინასტიას ენათესავებოდნენ.

ევროპული მემკვიდრეობა

ისლამისწინა პერიოდში თითქმის მთელი რეგიონის კულტურული გამაერთიანებელი გახდა ელინიზმი. ალექსანდრე დიდმა, მაკედონიის მეფემ, რომელმაც ძვ. წ. 330 წელს ბოლო მოუღო აქამანიანთა იმპერიას, სულ ათიოდე წელიწადში დაიპყრო ყველაზე დიდი სივრცე, რაც ერთ მხედართმთავარს ოდესმე დაუპყრია. მისი იმპერია მოიცავდა, მთლიანად ან ნაწილობრივ, თანამედროვე 23 სახელმწიფოს ტერიტორიას ოლიმპოს მთიდან ცენტრალურ აზიამდე, მდინარე ნილოსიდან – მდინარე ინდის ხეობამდე. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში შედიოდა თითქმის მთელი ამჟამინდელი ახლო აღმოსავლეთი, არაბეთის ნახევარკუნძულის გარდა, რომლის ქვიშაც არავის იზიდავდა, ხოლო ნავთობით მისი სიმდიდრე მაშინ უცნობიც იყო და უსარგებლოც.

მისი შემქმნელის ნაადრევ სიკვდილთან ერთად ალექსანდრეს იმპერია დანაწევრდა. ეგვიპტეს ალექსანდრეს ერთ-ერთი მხედართმთავარი *პტოლემაიოსი* დაეუფლა, ირანსა და სირია-პალესტინას –

სელევკოსი. მაგრამ, მიუხედავად პოლიტიკური ერთობის სწრაფწარმავალობისა, მომდევნო სამი საუკუნე იყო ბერძნული კულტურის (ელინიზმის) ყველაზე ფართო გავრცელების ხანა, როდესაც ეს კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის ღერძად იქცა და დიდი გავლენა მოახდინა რელიგიაზე, ფილოსოფიაზე, ხელოვნებაზე, თვით ცხოვრების წესზე. კულტურული დიფუზია უპრეცედენტო მასშტაბს იღებს – ეგვიპტეში, ანატოლიაში, პალესტინაში, სირიაში, ირანში, ცენტრალურ აზიაში მეტ-ნაკლებად მსგავსი საქალაქო კულტურა ბატონობს. ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობა. ხელოვნების ნიმუშები პირველად იქცევა კომერციის საგნად.

როდესაც რომის იმპერიამ შემოაღწია ახლო აღმოსავლეთში, მას აქ, როგორც ძირითადი *lingua franca*, დახვდა ბერძნული ენა, უფრო სწორედ, მისი ხალხური ვარიანტი, *კოინე* და ვერ შეძლო მისი შეცვლა ლათინურით. არაბების გაბატონებამდე რეგიონში ყველაზე გავრცელებული ეს ენა იყო: არაა გასაკვირი, რომ სახარებები, რომლებიც *ახალ აღთქმაში* შევიდა, თავიდანვე ბერძნულად დაიწერა.

რომის იმპერიის ორად გაყოფისას (395 წელს) ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ რომის იმპერიის[1] შემადგენლობაში შევიდა, სადაც კეისრის კარის ოფიციალური ენა გახდა ბერძნული.

რომის ბატონობამ დასავლეთ აზიას მოუტანა Pax Romana, ანუ *მშვიდობა რომის პირობებით*, რამაც ერთგვარი ეკონომიკური წინსვლის საშუალება შექმნა. რეგიონის გავლით ევროპისაკენ მიედინებოდა აქლემების ქარავნები ჩინური, ინდური, ირანული წარმოების აბრეშუმის, ფუფუნების სხვა საგნებისა და სანელებლების ტვირთით (შორ მანძილზე გადატანა ეკონომიკურად გამართლებული იყო მხოლოდ ასეთი ძვირადღირებული და არამალფუჭებადი საქონლისათვის). ევროპიდან სანაცვლოდ მიდიოდა დიდძალი ოქრო (რომელსაც ძირითადად ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოიპოვებდნენ). სავაჭრო ბალანსი ევროპისათვის უარყოფითი იყო. სატრანზიტო გზებზე მდებარე ქალაქები ყვაოდა. მაგალითად, *რომაული სირიის* ცენტრში, *ანტიოქიაში*, მაშინ ბევრად მეტი მცხოვრები იყო (შეფასებით – ნახევარ მილიონამდე), ვიდრე თანამედროვე თურქეთის ქალაქ *ანტაქიაში*, სადაც ახლა 200 ათასზე ნაკლები ადამიანი სახლობს.

---

1. „ბიზანტიის", როგორც სახელმწიფოს, თვითსახელი იყო „რომი", რასაც აღმოსავლეთში გამოთქვამდნენ, როგორც *რუმ* (მაგალითად, ტოპონიმი *არზ-ე-რუმ* „რომის მინას" ნიშნავს, დღეს ეს ქალაქი *ერზურუმია*). *ბიზანტია* ამ სახელმწიფოს გვიანდროინდელი ევროპული სახელია: ის პირველად გერმანიაში გამოიყენეს 1557 წელს, როდესაც ეს სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა. სახელი „ბიზანტია" მომდინარეობს ბოსფორის სრუტის ნაპირზე ძვ. წ. 660 წელს დაარსებული ბერძნული კოლონია *ბიზანტიდან*, რომელსაც იმპერატორ კონსტანტინეს დროს სახელი გამოუცვალეს და *კონსტანტინოპოლისი* უწოდეს. „ბიზანტიელები" თავს უწოდებდნენ „რომეი"-ს. აქედანაა ნანარმოები *ურუმი* – ანატოლიელი ბერძნების სახელი, რომელიც შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ანატოლიელ თურქებზეც იქნა გადატანილი. იმავე ქართულ წყაროებში „ბიზანტია" ნახსენებიც არაა: ამ სახელმწიფოს იმდროინდელი ქართველები *„საბერძნეთად"* (ხანდახან, *„პრომ"*-ად, ანუ *„რომ"*-ად) იცნობდნენ.

კიდევ უფრო აღმოსავლეთისაკენ რომის ექსპანსიას წინ აღუდგა ჯერ პართია, ხოლო ახ. წ. 226 წლიდან პართიის ადგილზე აღმოცენებული სასანიანთა ირანი.

ბრძოლის ველი რომისა (შემდგომში – ბიზანტიისა) და სასანიანთა ირანისათვის ჩვეულებრივ იყო სხვადასხვა ცივილიზაციათა მიჯნაზე მყოფი მესოპოტამია, აღმოსავლეთ ანატოლია („არმენია/ქურთისტანი"), სამხრეთ კავკასია.

ამ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი სივრცის პოლიტიკური კონტროლი კიდევ მრავალჯერ იქნება კონფლიქტის მიზეზი დასავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე იმპერიებისათვის. იგივე ტერიტორიები იყო ბრძოლის ველი ოსმალეთსა და სპარსეთს შორის XVI საუკუნიდან XIX საუკუნის პირველ მეოთხედამდე. პრაქტიკულად, იმავე ტერიტორიების კონტროლისათვის გეოპოლიტიკური ჭიდილი ჩვენს ეპოქაშიც გრძელდება, როდესაც მეტოქეებს აღაგზნებს ნავთობთან დაკავშირებული დიდი მოგების სუნი. შუა საუკუნეებში და უფრო ადრე, რასაკვირველია, ნავთობი არ იყო ომების მიზეზი, ენერგეტიკული მიზნებისათვის ის არავის აინტერესებდა: შიდაწვისა და დიზელის ძრავები ჯერ არ გამოეგონათ. ადრეულ ეპოქებში ომების ეკონომიკური მიზეზი იყო სავაჭრო გზების კონტროლი და შემოსავლის მომტანი ნაყოფიერი მიწების ფლობა, ხოლო უშუალო მიზანი – ნადავლი.

ქრისტიანობის წარმოშობა და გავრცელება

ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ახლო აღმოსავლეთში იუდაიზმს გამოეყო და ცალკე რელიგიად ჩამოყალიბდა ქრისტიანობა (იხ. ჩანართი 7.1).

არსებითად „ქრისტეს აქეთ", „ახალი", „ჩვენი" წელთაღრიცხვა (ლათინურად Anno Domini, შემოკლებით A.D. – „უფლის წელი") იწყება კიდეც იესოს (ებრაულად *იეშუა*) დაბადებიდან, რაც ამავე რეგიონში, ბეთლემში (*ბეით-ლეჰემ*) მოხდა.

იეშუას ბერძნულმა მეტსახელმა – *ხრისტოს* (მირონცხებული), მოგვიანებით რელიგიის სახელწოდებას მისცა დასაბამი: ახ. წ. 40 ან 44 წლიდან ანტიოქიაში მის მიმდევრებს *„ქრისტიანებს"* უწოდებდნენ, რაც მალე საყოველთაოდ დამკვიდრდა. რომაელთა თვალში სამარცხვინო სასჯელის – ჯვარცმის – საშუალებით იესოს მოწამებრივმა მოკვდინებამ რელიგიის მთავარ სიმბოლოს – *ჯვარს* – მისცა სათავე. იესოს ჯვარცმა და მორწმუნეთათვის მისი *სასწაულებრივი აღდგომა იერუსალიმში მოხდა*, რის გამოც ეს ქალაქი ქრისტიანთათვისაც წმინდა ქალაქად იქცა. იქამდე ის მხოლოდ იუდეველთათვის იყო წმინდა – იქ იდგა მათი ტაძარი

მანამდე, სანამ რომაელები 70 წელს დაანგრევდნენ მას.

ქრისტიანობის ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო იმან, რომ განსხვავებით იუდაიზმისაგან, იგი ძალიან მალე გახდა ზეეროვნული რელიგია, ღია ყველა ხალხისათვის. მთავარი დამსახურება ამ მიმართულებით მიუძღვით ქრისტეს მოწაფეებს, განსაკუთრებით *მოციქულ პავლეს*, რომელმაც ქრისტეს რწმენა ებრაელთა თემს გარეთ გაიტანა. თავდაპირველად კი ღვთის ძედ იესოს აღიარებდა მხოლოდ იუდეველების მცირე ჯგუფი – პირველი *იუდეო-ქრისტიანები* (მათ შორის შეიძლება ვიგულისხმოთ ქართული წყაროდან ცნობილი ქართლის *ჰურიანი* – ელიოზ მცხეთელი, ლონგინოზ კარსნელი, სიდონია და სხვ.), რომლებიც ორთოდოქს იუდეველებს მწვალებლებად უნდა მიეჩნიათ.

თანდათან ქრისტეს სჯულს აღიარებენ ჯერ ადამიანთა ჯგუფები, შემდეგ კი მთელი ხალხები ახლო აღმოსავლეთში, ეთიოპიაში, სამხრეთ კავკასიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში. როდესაც რომის იმპერიამ IV საუკუნის პირველ დეკადებში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა აირჩია, ამით გაიადვილა ახლო აღმოსავლეთში ბატონობა, რადგან მცირე აზიაში, ეგვიპტეში, სირიაში, პალესტინაში, არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილში ეს სარწმუნოება უკვე საკმაოდ ფესვგადგმული იყო.

მონოთეიზმის იდეა ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. ქრისტიანული ეკლესიის მკაცრი იერარქიულობა ხელს აძლევდა საერო მმართველებს. ეს ნათლად ჩანს აღმოსავლეთ რომის იმპერიის შემთხვევაში. მშვიდობისა და მიმტევებლობის მქადაგებელი იესო ქრისტეს მოძღვრება კეისრებმა თავისი დაპყრობითი პოლიტიკის სამსახურში ჩააყენეს.

ზეეროვნულობის მიუხედავად (თეორიულად „ყველა ქრისტიანი ძმაა"), ქრისტიანობა ერწარმომქმნელი და სახელმწიფოწარმომქმნელი ფაქტორის როლის შესრულებას იწყებს, განსაკუთრებით დასავლეთ აზიაში.

განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქრისტიანობისაგან, სადაც ათასწლეულზე მეტხანს შენარჩუნებული იყო მონოცენტრიზმი, ხოლო პაპის ხელისუფლება ცოცხლად დაწვის მუქარით კრძალავდა ლათინურიდან ეროვნულ ენებზე ბიბლიის თარგმნას, აღმოსავლეთის ქრისტიანობისათვის ნორმად იქცა პოლიცენტრიზმი. მართლმადიდებლობის შიგნით ავტოკეფალური ეკლესიები იქმნება, რომლებიც ძირითადად ეთნიკურ საფუძველზე ყალიბდება და წმინდა წერილის სხვადასხვა ენაზე თარგმნის აუცილებლობას ქმნის.

ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) ეროვნულ ენებზე თარგმნამ, ამასთან დაკავშირებით ცალკე ანბანების (ქართული, სომხური, ეთიოპური, სლავური) შექმნამ ხელი შეუწყო ერების ფორმირებას და ეროვნულ სახელმწიფოთა მშენებლობას. ეს პროცესი ახლო აღმოსავლეთში უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე დასავლეთ ევროპაში.

ჩანართი 7.1. ქრისტიანობის ფესვებისა და გავრცელების შესახებ

ქრისტიანობა იუდაიზმის წიაღში ჩაისახა და თავდაპირველად იყო იესოს (ებრაულად – *იეშუას*) მიერ იუდაისტური სარწმუნოების განწმენდის ცდა, რაც ამ რელიგიის მესვეურთა მიერ მკაცრად დასასჯელ მკრეხელობად იქნა აღქმული.

მოციქულების ორგანიზაციული ნიჭისა და ქადაგების წყალობით ქრისტიანობა ცალკე რელიგიად ჩამოყალიბდა და შეიქმნა *ეკლესია*, მაგრამ კავშირი ფესვებთან მთლიანად არ გაწყვეტილა: იუდაიზმის წმინდა წიგნების კრებული – *თანახი* – *ძველი აღთქმის* სახელწოდებით ქრისტიანობის წმინდა წიგნადაც დარჩა. ბერძნულ ენაზე შეიქმნა *ახალი აღთქმა*, რომელშიც შევიდა იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერის კანონიკურად აღიარებული ოთხი ვერსია – *სახარება*.

პირველი ქრისტიანები ებრაელები იყვნენ, მაგრამ ძალიან მალე ახალ სარწმუნოებას მიმდევრები გაუჩნდნენ ელინთა წრეშიც. ახალმოქცეულთა გავლენითა და გემოვნებით გაუქმდა იუდაისტური *ქაშრუთი* (მხოლოდ „სუფთა“ საკვების მიღების წესი). გაუქმდა წინადაცვეთის მოთხოვნაც (თუმცა იესო წინადაცვეთილი იყო).

ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან კავშირმა საბოლოოდ მოსწყვიტა ქრისტიანობა იუდაიზმს.

ამასთან ერთად, მალევე გაჩნდა ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებები, რომელთა მიმართ საერო ხელისუფლების დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის იარაღად იქცა. მაგალითად, იმის გამო, რომ *ბიზანტიის იმპერატორები* ქრისტიანობის დიოფიზიტურ მიმართულებას მიემხრნენ, მათმა მეტოქე *ირანის სასანიანმა შაჰებმა* (სარწმუნოებით ზოროასტრელებმა) ქრისტიანობის მონოფიზიტური მიმართულების მფარველობა იკისრეს. ასე კეთდებოდა სომხეთისა და ბიზანტიის, სომხეთისა და ქართლის ურთიერთობებში ირანის ჩარევისას ჩვ.წ. V-VII საუკუნეებში.

ეროვნულ ენაზე თარგმნილი ბიბლიის არსებობა ერის (ნაციის) ფორმირების წინაპირობა ხდება. მაგალითად, ქართველი ერის ჩამოყალიბებასა და კონსოლიდაციაში ქრისტიანობამ მეტად პოზიტიური როლი შეასრულა.

თუ საერო ხელისუფლება სუსტი იყო ან დროებით არ არსებობდა, ეკლესია, რომელსაც თავის სამწყსოზე უნდა ეზრუნა, თვითონ კისრულობდა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზატორის ფუნქციას, რაც ეროვნულ პოლიტიკასაც ემსახურებოდა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება სომხური ეკლესიის შემთხვევაში, რომელიც არსებითად ეროვნულ (მონოეთნიკურ) რელიგიად ჩამოყალიბდა (მართლმადიდებლები მას *გრიგორიანულს* ვუწოდებთ, რადგან სომეხთა განმანათლებელს *გრიგორ პართევი*/პართიელი ერქვა). ანალოგიური პოლიტიკური ორგანიზატორის როლს ასრულებდნენ ქართველი მართლმადიდებელი იერარქები, როდესაც სასანიანთა ბატონობის ხანაში (VI ს.) ქართლში მეფობა გაუქმდა.

ქრისტიანთა თავდაპირველი ერთიანობა ძალიან მალე დამთავრდა და ისინი მრავალ მიმდინარეობად დაიქსაქსნენ. ქრისტიანობის სხვადასხვა

მიმდინარეობა თავიდანვე მძაფრად მეტოქეობდა და ერთიმეორეს მწვალებლობას სწამებდა.

ქალკედონის საეკლესიო კრებაზე (451 წელს) საბოლოო განხეთქილება მოხდა ქრისტიანობის დიოფიზიტურ და მონოფიზიტურ მიმართულებებს შორის.

ქრისტეს ორბუნებიანობის მომხრეები (*დიოფიზიტები* ანუ *ქალკედონიტები*) მასში ერთდროულად ხედავენ ღვთიურ და ადამიანურ საწყისს. ბიზანტიის ოფიციალური ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა – დიოფიზიტური იყო. ქართველებიც VII საუკუნის დამდეგიდან საბოლოოდ მის მხარეს დავდექით. დიოფიზიტები არიან აგრეთვე კათოლიკეები და პროტესტანტები.

მონოფიზიტებს კი მიაჩნიათ, რომ იესო ქრისტეს მხოლოდ ერთი – ღვთიური – ბუნება ჰქონდა. ე.წ. „აღმოსავლური ეკლესიები" მონოფიზიტურია, თუმცა ისინიც თავს ორთოდოქსულს (მართლმადიდებელს) უწოდებენ. კერძოდ, მონოფიზიტები არიან [გრიგორიანი] სომხები, იაკობიტები (სირიელები), კოპტები (ეგვიპტელები), ეთიოპელები (აბისინიელები).

სასანიანთა ირანშიც ფართოდ ვრცელდებოდა ქრისტიანობა, კერძოდ ნესტორიანობა, რომელიც 431 წელს გამოეყო ქრისტიანობის ძირითად შტოს – მართლმადიდებლობას. ბიზანტიის მართლმადიდებელი კეისრისათვის ნესტორიანობა მწვალებლობა იყო, მაგრამ სწორედ ამიტომ – შესაწყნარებელი მისი მეტოქე ირანის ზოროასტრელი შაჰანშაჰისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ *ხოსრო II ფარვიზი* (590-628 წწ), რომელმაც თავისი წარმატებული ომებით ირანი ეგვიპტეში, ხმელთაშუა ზღვასა და ბოსფორის სრუტის აღმოსავლეთ ნაპირზე გაიყვანა, ხოლო ბიზანტიელებს იერუსალიმის წმინდა აკლდამის ეკლესიაც კი დაუნგრია (614 წ.), თავის კარზე ტრაპეზის კურთხევის უფლებას ქრისტიან ნესტორიანთა პატრიარქს აძლევდა [გაბაშვილი, 1957, 51]. ხოსროს მიერ იერუსალიმის სალოცავების განადგურება უფრო ბიზანტიისა და მისი ოფიციალური ეკლესიის მიმართ სამტროდ ჩადენილი პოლიტიკური აქტი იყო, ვიდრე ზოგადად ქრისტიანობის ზოროასტრიზმით შეცვლის მცდელობა.

ის, რომ ქრისტიანობის დიალოგი ზოროასტრიზმთან მშვიდობიანი არ იყო, დასტურდება ქართული წყაროებითაც. მაგალითად, „მოქცევაი ქართლისაი" აღწერს ქართლში რელიგიათაშორისი ურთიერთობის („შჯულის განწმენდის") გულშემზარავ ეპიზოდს, როდესაც 620-იან წლებში ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს (*ირაკლის*) აღმოსავლეთით ლაშქრობისას *„ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთანი დიოდეს"*[1].

---

1. *„ამან ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჟარმას განავლინნა ქადაგნი, რაითა ყოველნი ქრისტეანენი ქალაქთა შინა, ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღება არა ინებეს, ზაკუეით აღერივნეს ქრისტეანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარმართა მახვილი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთანი დიოდეს. ხოლო ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტესი და ნარვიდა"* [ძვ. ქართ. I, 1963, 96].

ქრისტიანობა ძალას არ იშურებდა ძველი რწმენების აღმოსაფხვრელად. შეგნებულად და დაუზოგავად განადგურდა „წარმართული" (წინაქრისტიანული) ხელოვნების უამრავი ნიმუში, დაიწვა ძვირფასი ხელნაწერები. კერპებთან ერთად დააქციეს ტაძრები, მოსპეს არქიტექტურის ნიმუშები. ხდებოდა, ასე ვთქვათ, „კულტურული რევოლუცია", როდესაც სრულად და შეუქცევადად უნდა გაწყვეტილიყო კულტურული კავშირი წარსულთან.

ქრისტიანობისა და ზოროასტრიზმის მძაფრი მეტოქეობა ასუსტებდა სასანიანთა ირანის სახელმწიფოს, ხოლო ირანის მოსახლეობის ამ სწრაფვით მონოთეიზმისაკენ საბოლოოდ ისლამმა ისარგებლა [გაბაშვილი, 1957].

მიუხედავად ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ძლიერებისა, ვერც მან მოახერხა მთელ ახლო აღმოსავლეთში მდგრადი ერთგვაროვანი რელიგიური სივრცის შექმნა.

ხანგრძლივი ომები ბიზანტიასა და ირანს შორის ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა კავკასიიდან ეგვიპტემდე გაშლილ ფრონტებზე. ორივე იმპერია სისხლისგან იყო დაცლილი იმ დროისათვის, როდესაც რეგიონის სამხრეთში, არაბეთის უდაბნოში, მოულოდნელად გამოჩნდა მესამე ძალა.

იმ დროს არცთუ მრავალრიცხოვანი ხალხის, არაბების, იდეოლოგიური გამაერთიანებელი და მათთვის საოცარი ძალის მიმნიჭებელი აღმოჩნდა ახალი რელიგია – ისლამი, რომელმაც რამდენიმე საუკუნეში შესძინა ყველაზე ხელშესახები ერთიანობა იმ მიწებს, დღეს რომ *ახლო აღმოსავლეთს* ვუწოდებთ.

თავი 8

კულტურული ჰომოგენიზაციის ხანა (ისლამური პერიოდი)

ისლამის წარმოშობა

ისლამი მსოფლიო რელიგიათა შორის ყველაზე ახალგაზრდაა. ის *ჩაისახა არაბეთის ნახევარკუნძულზე, კერძოდ – ჰიჯაზში,* VII საუკუნის დასაწყისში. მაშინ ეს იყო თვით მეზობელი ქვეყნებისთვის საკმაოდ ცუდად ცნობილი, მაგრამ აშკარად სახიფათო მხარე. უდაბნოში მომთაბარეობდნენ არაბი ბედუინები, რომლებიც თავს ირჩენდნენ აქლემების მოშენებით, სავაჭრო ქარავნების გაცილებით, ანდა მათივე ძარცვით. აქა-იქ არსებულ ოაზისებში განლაგებული იყო ქალაქები, სადაც ცხოვრობდნენ ქრისტიანებიცა და ებრაელებიც. არაბების ნაწილი ქრისტიანობას ეზიარა, მაგრამ უმრავლესობა წარმართი იყო: ყველა ტომს თავისი ღვთაება/კერპი ჰყავდა. ყველაზე მეტ პატივს კი არაბები მიაგებდნენ მექას ოაზისში მდებარე ტაძარს, სადაც ინახებოდა ყველა მათგანისათვის უწმინდესი „შავი ქვა" – *ქააბა.*

ისლამის ფუძემდებელი მუჰამმადი[1] მექაში დაწინაურებულ *ყურაიშიანთა* ტომის, *ბანუ ჰაშიმის* გვარს ეკუთვნოდა. ის ადრე დაობლდა და ჯერ თავისი პაპის, მერე კი ბიძის, *აბასის,* ოჯახში იზრდებოდა. სხვადასხვა დროს მუჰამმადი იყო მწყემსი, აქლემების გამყოლი, ვაჭარი და ამ დროს დაიმსახურა მეტსახელი *„ალ-ამინ"* (სანდო).

თავდაპირველი ცნობები მუჰამმადის შესახებ ძირითადად ეყრდნობა მის ბიოგრაფიას – *იბნ-ისჰაკის* მიერ VIII საუკუნეში დაწერილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას. 40 წლის მუჰამმადს (მიიჩნევენ, რომ ეს 610 წელია) ჰქონდა ხილვები და მან ირწმუნა თავისი მისია – გაევრცელებინა ერთი ღმერთის იდეა. ისლამი მიიჩნევს, რომ *ყურანი* მარადიულად არსებობდა და მუჰამმადს ეუწყა მისი ტექსტი, რომელსაც იგი ზეპირად გადასცემდა მიმდევრებს.

---

1. ამ ნიგნში გამოყენებულია არაბული სახელი *„მუჰამმად"*-ის თავდაპირველი გამოთქმა. სხვადასხვა ენებში ეს სახელი განსხვავებულად გამოითქმის: სპარსულად ის ისმის, როგორც *„მოჰამმად"*, თურქულად *„მეჰმეთ"*, აზერბაიჯანულად *„მამედ"*, რუსულად *„მაგომეტ"* და ა.შ. ტრადიციული ქართული გამოთქმა იყო *„მაჰმადი"*.

„მექა" კლასიკურ არაბულში გამოითქმის, როგორც *„მაქა"* [Makkah].

სინამდვილეში ყურანის ტექსტი (ისევე, როგორც უკლებლივ ყველა სხვა „წმინდა წიგნი“) ადამიანის ქმნილებაა. მუჰამმადის სიკვდილიდან განვლილი მრავალი წლის შემდეგ მუჰამმადის მიმდევრებმა მისი გამონათქვამები ჩაიწერეს, შეავსეს და უკვე არსებულ ვითარებას მიუსადაგეს. ყურანს არა აქვს ერთიანი სიუჟეტი, მასში ხშირია გამეორებები, მაგრამ პოეტიკის თვალსაზრისით ის უბადლო ნამუშევარია.

იმისათვის, რომ არ ყოფილიყო კითხვათასხვაობა, ყურანის ჩანაწერების სხვადასხვა ვერსიები მოსპეს. ამიტომაც მუსლიმთა წმინდა წიგნი, *ყურანი*, ერთია. მისი არაბული ენა კლასიკურადაა მიჩნეული. მუსლიმთა წესით, ის არც უნდა ითარგმნებოდეს სხვა ენებზე, რადგან *ჭეშმარიტი აზრი* შეიძლება დაიკარგოს-ო.

როგორც ირკვევა, მუჰამმადს ბევრი სმენია (ყურანის ტექსტიდან ისე ჩანს, რომ წერა-კითხვა მან არ იცოდა) იუდაიზმისა და ქრისტიანობის პრინციპების შესახებ და გარკვეულწილად დაეყრდნო კიდეც მათ თავის ქადაგებაში, რაც *ყურანში* აისახა. მაგრამ, ამის პირდაპირ აღიარება ყურანის შემდგენლებს არ უნდოდათ. როგორც ყურანის ქართულად მთარგმნელი თავის კომენტარებში წერს: „*აიაში [29:84] მუჰამმადი პირდაპირ დახასიათებულია, როგორც ადამიანი, რომელსაც ყურანის მოვლინებამდე (!) არაფერი წაუკითხავს საღვთო წიგნებიდან (წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც აია მიუთითებს, იმათ – პირველ რიგში იუდიანებს – რომლებიც უარყოფენ ყურანს, ეჭვის შეტანისათვის საბუთად ექნებოდათ, რომ* [მუჰამმადს] *ზემოვლინება კი არა აქვს, არამედ ქადაგებს იმას, რასაც იცნობს უკვე არსებული საღვთო წერილებიდან*“ [სილაგაძე, 2010, 87].

ფაქტია, რომ მონოთეისტურმა რელიგიებმა გავლენა მოახდინეს მუჰამმადის მოძღვრებაზე: ყურანი სავსეა ნასესხობებით ბიბლიიდან, რომლებიც იქ ალაჰის სახელითაა ჩართული. *ზემოთქმული სრულებითაც არ ლახავს ყურანის ავტორიტეტსა და მის თვითმყოფადობას.* იუდაიზმთან და ქრისტიანობასთან ანალოგიების (სიუჟეტების, სახელების, აღთქმების, ლეგენდების) სიმრავლე იწვევდა იმას, რომ ისლამს თავიდან ვერ ასხვავებდნენ სხვა მონოთეისტური რელიგიებისაგან და ის იუდეველობის ან ქრისტიანობის ერთ-ერთ მიმართულებად მიაჩნდათ [გაბაშვილი, 1957, 59]. ბევრი ამით ამართლებდა კიდეც ისლამში გადასვლას.

ყურანი ქრისტიანებსა და იუდეველებს (აგრეთვე საბაელებს*) „*აჰლ ალ-ქითაბ*“-ად („წიგნის ხალხად“) მიიჩნევს და მათ მიმართ ტოლერანტობას მოითხოვს. სამწუხარო რეალობაა, რომ ეს მოთხოვნა ცხოვრებაში ხშირად არ ხორციელდებოდა.

ყურანში ხშირადაა გამოხატული კეთილგანწყობა მუსასა (მოსეს/მოშეს) და მისი ხალხის, ანუ იუდეველთა, მიმართ, თუმცა სურა 4-ის აია 161-ში იუდეველები დაგმობილი არიან მევახშეობისათვის: „*იმისათვის,*

რომ ვახშს იღებდნენ, ხოლო აკრძალული კი ჰქონდათ ეს, და იმისთვის, რომ ცრუობით სჭამდნენ ხალხის ქონებას, განვუმზადეთ ჩვენ მწარე სასჯელი ურწმუნოებს მათ შორის".

ქრისტიანობის მიმართ ყურანი მეტ სიმპათიას ამჟღავნებს: *„სიყვარულში იმათ მიმართ, ვინც იწამა, ყველაზე ახლობელთ შენ იმათ პოვებ, რომელნიც იტყვიან: „ქრისტიანნი ვართ ჩვენ". ეს იმიტომ, რომ მღვდლები და ბერები არიან მათ შორის, და არ ამპარტავნობენ ისინი"* [სურა 5, აია 82].

მაგრამ არც იუდეველები და არც ქრისტიანები არ ცნობენ მუჰამმადს ღვთის მოციქულად და წინასწარმეტყველად.

ისლამი საკმაოდ მალე ჩამოყალიბდა მწყობრ რელიგიურ სისტემად, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში შეიჭრა. არაბულ საზოგადოებას, სადაც სიკვდილი არსებობის დასასრულად იყო მიჩნეული, მუჰამმადი არწმუნებდა, რომ ჭეშმარიტი მორწმუნენი (მის შემთხვევაში – მუსლიმები) სიკვდილის შემდეგ სამოთხეს ეზიარებიან, მაშინ, როცა ცოდვილნი ჯოჯოხეთში მოხვდებიან. ამ იდეაში არაფერი იყო ახალი იუდეველებისა და ქრისტიანებისათვის, მაგრამ მუჰამმადის იდეის ახალ მიმდევართათვის ეს უზარმაზარი სტიმული იყო, ებრძოლათ „ჭეშმარიტი რწმენისათვის" და მშვიდად დახოცილიყვნენ სამოთხეში ნეტარების მოლოდინში. არასწორად გაგებული იგივე იდეა XXI საუკუნის დასაწყისში კვებავდა თვითმკვლელ მუსლიმ ტერორისტებს თელ-ავივის ქუჩებსა თუ ნიუ-იორკის ცაზე.

მუჰამმადი მოუწოდებდა მდიდარ ხალხს, ეწილადებინა თავისი სიმდიდრის ნაწილი ღარიბთათვის. ეს, დღევანდელი გაგებით, „პოპულიზმი" მრავალ ღარიბს განაწყობდა მუჰამმადის სასარგებლოდ. სამაგიეროდ, მდიდრები მას ეჭვით უყურებდნენ. მაგრამ როდესაც მუჰამმადმა ერთი, უხილავი ღმერთის ქადაგება დაიწყო, ამით მან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა თავისივე ტომის ხალხი, მექას კერპების მცველნი, რომელნიც კარგ შემოსავალს ნახულობდნენ სალოცავად მოსულთა მომსახურებით.

მექაში მის წინააღმდეგ შექმნილი უარყოფითი (შეიძლება ითქვას – სახიფათო) საზოგადოებრივი აზრის გამო მუჰამმადი იძულებული გახდა გაქცეულიყო ჩრდილოეთით, ჰიჯაზის შუაგულში მდებარე მექას მეტოქე ქალაქ *იასრიბში* (იათრიბში), სადაც მომდევნო რვა წელი დაყო. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ახალი რწმენის კრისტალიზაცია და მისი ჩამოყალიბება ისლამად – *მორჩილებად ღვთის (ალაჰის) ნებისადმი.* იასრიბში მუჰამმადი წინასწარმეტყველად ცნეს: მას მეტი მომხრე გამოუჩნდა სხვა, არამშობლიურ ქალაქში. კვლავ გამართლდა სახარებაში ნათქვამი სიტყვები: *„არც ერთი წინასწარმეტყველი არ შეუწყნარებიათ თავის მამულში"* [ლუკა 4:24].

---

1. ყურანი მათ მოიხსენიებს, როგორც „ნასარა"-ს

მუჰამმადის გადასახლებას მექადან იასრიბში, რასაც ქრისტიანული კალენდრით 622 წლის 16 ივლისს ვარაუდობენ, ეწოდება *ჰიჯრა* (ჩანართი 8.1). მექელი მუსლიმები კი, რომლებიც მუჰამადთან ერთად იასრიბში წავიდნენ, „მუჰაჯირები" გახდნენ. სწორედ მათ შექმნეს მუსლიმური თემი – *უმმა* და საფუძველი ჩაუყარეს მუსლიმთა პირველ სახელმწიფოს. ქალაქ იასრიბს კი ეწოდა *მადინათ ან-ნაბი* (წინასწარმეტყველის ქალაქი), ან უბრალოდ *მადინა* (მედინა), რომელიც მექას შემდეგ მეორე წმინდა ქალაქია მუსლიმთათვის.

ჩანართი 8.1

ისლამური წელთაღრიცხვის შესახებ

მუსლიმები თავიანთ წელთაღრიცხვას იწყებენ *ჰიჯრიდან*, ანუ მუჰამმადის მედინაში გადასახლებიდან: ამჟამად საყოველთაოდ მიღებული კალენდრით, რომელშიც წელთაღრიცხვას იესო ქრისტეს დაბადებიდან ვიწყებთ, ჰიჯრა 622 წლის 16 ივლისს დაიწყო.

მუსლიმები იყენებენ მთვარის კალენდარს. კლასიკური „მთვარის ჰიჯრის" (*ჰიჯრა ყამარი*) წელი შედგება მთვარის 12 თვისაგან, თითოეულში 29-30 დღით. ამ კალენდრით წელიწადში სულ 354/355 დღეა, ხოლო თვეები წლის სეზონებს არ ემთხვევა. ამიტომაც მუსლიმთა ერთთვიანი მარხვა, *რამადანი/რამა ზანი*, შეიძლება ზაფხულსაც დაემთხვეს, ხოლო ოციოდე წლის შემდეგ – ზამთარში მოხდეს.

ზოგ ისლამურ ქვეყანაში პარალელურად, ეკონომიკური გათვლების გასამარტივებლად, იყენებენ „მზის ჰიჯრის" (*ჰიჯრა შამსი*) კალენდარსაც, რომლითაც ათვლა ისევ 622 წლიდან იწყება, მაგრამ თვეების სიგრძე ისეთივეა, როგორიც საყოველთაოდ მიღებულ კალენდარში, ანუ 30-31 დღე (თებერვალში – 28/29 დღე). მთვარის ჰიჯრით 1433 წელი, *მუჰარრამის* თვის I დღე, დაიწყო საყოველთაო კალენდრის 2011 წლის 26 ნოემბერს.

მუსლიმური სახელმწიფოს პირველი სამხედრო აქციები მიმართული იყო მექას წინააღმდეგ. 630 წელს მუჰამმადმა მედინელთა და სხვა მოკავშირეთა ლაშქრით აიღო მექა. მან დაინდო მშობლიური ქალაქი, ხოლო მისმა დამარცხებულმა თანამემამულეებმა ისლამის მიღების სურვილი გამოთქვეს. კერპები განადგურებულ იქნა, შეინარჩუნეს მხოლოდ ქააბა – მექის მთავარი მიზგითის ალ-მასჯიდ ალ-ჰარამ-ის ეზოში, რომელიც ამიერიდან ისლამის მთავარ სალოცავად იქცა. ამან ისლამის ძირითადი წმინდა ადგილის ფუნქცია შესძინა მექას.

თავისი ტრიუმფიდან ორი წლის შემდეგ მუჰამმადი გარდაიცვალა და მედინაში დაიკრძალა. მაგრამ მისი საქმე არ მომკვდარა.

ისლამის გავრცელება: არაბთა დაპყრობები

მთელი მსოფლიო ისლამისათვის არის დარ ალ-ისლამი (ისლამის სახლი, მხარე) და დარ ალ-ჰარბი (ომის სახლი, მხარე). თეორიულად მუსლიმები უნდა მიისწრაფოდნენ, რომ მთელი მსოფლიო აქციონ „დარ ალ-ისლამად“.

თავდაპირველად არაბები ავრცელებდნენ ისლამს ჩრდილოეთით (სირიისაკენ) და ჩრდილო-აღმოსავლეთით (შუამდინარეთისა და ირანის ზეგნისაკენ), მერე დასავლეთით (ეგვიპტისაკენ). კავკასიაში ისლამის გავრცელებას წინაღუდგა ქართული და სომხური მოსახლეობა, ანატოლიაში – ბიზანტიის იმპერია. მაგრამ XI საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთიდან მოსულმა სელჩუკიანმა თიურქებმა მცირე აზიაშიც, ადრე ბიზანტიის კუთვნილ ტერიტორიაზე, გაავრცელეს ეს სარწმუნოება.

მუჰამმადის სიკვდილის შემდეგ მისი, როგორც მუსლიმთა იდეოლოგიური და პოლიტიკური ხელმძღვანელის, ადგილი დაიჭირა ხალიფამ, წინასწარმეტყველის *ნაცვალმა* (მოადგილემ). პირველი ხალიფა იყო *აბუ-ბაქრი* (632-634), მეორე – *ომარი* (634-644) მესამე – *ოსმანი* (644-656), მეოთხე – *ალი* (656-661). ამ ოთხ ხალიფას ისლამური ტრადიცია უმწიკვლოდ ან „მართლმორწმუნედ“ (*არ-რაშიდუნ*) მიიჩნევს. ტრადიციის თანახმად, სწორედ ამ ოთხი ხალიფას ზეობისას იდგა მუსლიმთა „ოქროს ხანა“, როდესაც არავინ არავის არ ჩაგრავდა და *დარ ალ-ისლამში* მხოლოდ სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევდა. ეს, რასაკვირველია, ძალიან შორსაა რეალობისაგან: აბუ-ბაქრის გარდა, რომელიც ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, ყველა სხვა „მართლმორწმუნე ხალიფა“ მოკლულ იქნა, ძირითადად მუსლიმთავე ხელით. ამას, ბუნებრივია, მათი თანამებრძოლების ხოცვაც სდევდა თან. მაგრამ შემდგომი პერიოდის ჩაგვრამ და კიდევ უფრო სისხლიანმა შინაომებმა გააძლიერა მუსლიმთა ნოსტალგია „ძველ კარგ დროზე“.

ხალიფა ომარმა, რომელმაც *ამირ ალ-მუმინინის* („მართლმორწმუნეთა მბრძანებლის“) ტიტული მიიღო, დაპყრობითი ომები არაბეთიდან მეზობელ ბიზანტიასა და ირანში გადაიტანა. შედარებით მცირერიცხოვანმა არაბებმა გასაოცარ წარმატებებს მიაღწიეს: 636 წელს *იარმუკთან* ბიზანტიელთა დამარცხების შემდეგ დაპყრობილ იქნა სირია, 637 წელს *კადისიასთან* ირანის ლაშქრის დამარცხების შედეგად არაბებს ხელში ჩაუვარდათ ერაყი. 640 წელს ბიზანტიამ საბოლოოდ დაკარგა ეგვიპტე. 642 წელს არაბებმა *ნაჰავანდთან* გაანადგურეს სასანიანთა ირანის ელიტა, ხოლო უკანასკნელი შაჰანშაჰის მოკვლის შემდეგ (651 წ.) ამ, სულ ცოტა ხნით ადრე მსოფლიო მნიშვნელობის, სახელმწიფომ არსებობაც შეწყვიტა. ირანი იქცა სახალიფოს ერთ-ერთ, დიდხანს – ყველაზე დაჩაგრულ პროვინციად [ნახ. 8.1].

არაბთა სამხედრო გამარჯვებების საწინდარი იყო მეომართა საო-

ცარი თავგანწირვა: ჯიჰად-ში (საღვთო ომში) დაღუპულს ხომ პირდაპირ სამოთხე ელოდა! მაგრამ, გარდა არაბთა სარდლების ნიჭიერებისა და მეომართა გულადობისა, მათი წარმატების ობიექტური მიზეზი იყო ბიზანტიისა და ირანის (განსაკუთრებით ამ უკანასკნელის), როგორც პოლიტიკური ორგანიზმების, გამოფიტვა. ეს გამოიწვია როგორც საგარეო ფაქტორმა – გაუთავებელმა ომებმა ამ ზესახელმწიფოებს შორის, ისე საშინაო ფაქტორებმა – ცენტრსა და პერიფერიას, ელიტასა და რიგით ხალხს შორის მძაფრმა დაპირისპირებამ და ამის შედეგად გაღრმავებულმა შინააშლილობამ.

ადრეული ისლამის ტრიუმფულ წინსვლას საფუძვლად ჰქონდა ის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობებიც, რომლებსაც იგი *მავალის* (ისლამში ახალგადასულ არაარაბს) სთავაზობდა: მონები და ყმები თავისუფლებასა და თანასწორობას ღებულობდნენ ისლამში გადასვლის ფასად. ეგვიპტის, სირიის, ესპანეთის ჩაგრული კლასები მუსლიმებში განმათავისუფლებლებს ხედავდნენ. მუსლიმი, მათ შორის ახალმოქცეული, გადასახადს არ იხდიდა; დაპყრობის პირველ ეტაპზე გადასახადები არამუსლიმებისთვისაც უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ბიზანტიელებისა და ირანელების ბატონობის დროს.

მაგრამ სიტუაცია არაარაბებისათვის უკვე VIII საუკუნის დამდეგიდან შეიცვალა და დამძიმდა.

მკაცრად მონოთეისტურმა ისლამმა მხოლოდ წინამორბედი მონოთეისტური რელიგიების მიმდევრების – ებრაელების, ქრისტიანების, საბაელებისათვის* – გაიმეტა სახელი *წიგნის ხალხი*, მაშინ როცა წარმართებს მძიმე არჩევანი ჰქონდათ: ან გამუსლიმება, ან მახვილი.

მოგვიანებით *წიგნის ხალხად* შერაცხეს ზოროასტრელებიც [ისლამი, 199, 35], რომელთაც ასევე ჰქონდათ *წიგნი* (ავესტა). მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დროისათვის მათი რელიგია უკვე აღარ წარმოადგენდა რეალურ ძალას. მძიმე სამხედრო მარცხის შემდეგ ირანი პოლიტიკური ელიტის – შაჰანშაჰისა და სამხედრო არისტოკრატიის – გარეშე დარჩა. კულტურულად არაბებზე ბევრად უფრო წინ წასული, ჩამოყალიბებული ცივილიზაციის მქონე ზოროასტრელი ირანელები მიხვდნენ, რომ მათ ვეღარავინ დარაზმავდა არაბების წინააღმდეგ. ალბათ ამიტომაც ამჯობინეს მათ ისლამის მიღება, თითქმის თავიდანვე მისი შიიტური ფორმისა (იხ. ქვემოთ).

ამავე დროს, არაბებთან ბრძოლაში დამარცხებული ბიზანტიის მიერ მიტოვებულ, პოლიტიკურად ირანზე უფრო სუსტად ორგანიზებულ სირიაში, პალესტინაში, ეგვიპტეში, სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანობამ თავი ასე თუ ისე შეინარჩუნა: ისლამი მას პირდაპირ არ ერჩოდა. იუდაიზმსაც შუა საუკუნეების მუსლიმური სახელმწიფო უკეთეს პირობებს უქმნიდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქრისტიანული მონარქიები, სადაც ებრაელებს მკაცრად ექცეოდნენ, ან სდევნიდნენ კიდეც.

ნახ. 8.1. არაბული სახალიფოს ექსპანსია VII-IX საუკუნეებში



სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ პირველი არაბი დამპყრობლები არ ანგრევდნენ ადრე არსებულ ცივილიზაციას. ხალიფა ომარმა ხელუხლებლად დატოვა დაპყრობილი ქვეყნების მმართველობის სისტემა, ადმინისტრაციული დაყოფა, ადგილობრივი მოხელეები და მიწისმფლობელობის ადგილობრივი წესები. VII საუკუნის დამლევამდე სახალიფოს დასავლეთ ნაწილში მიმოქცევაში იყო ბიზანტიური მონეტა ჯვრის გამოსახულებით, აღმოსავლეთ ნაწილში კი სასანიანთა მონეტა საგზებლის გამოსახულებით [გაბაშვილი, 1957, 60].

არაბების პოლიტიკურმა ელიტამ მალე აუღო ალღო ბინადარი და საქალაქო ცხოვრების უპირატესობას (თუმცა, ზოგი არაბული ტომი დღემდე მომთაბარედ, *ბედუინად* რჩება). არაბები ბევრ სიახლეს იგებდნენ დაპყრობილ ქვეყნებში. მუჰამმადს მიაწერენ შესანიშნავ სიტყვებს, რომ „*მეცნიერთა მელანი უფრო ძვირფასია, ვიდრე შაჰიდების* [სარწმუნოებისათვის დაღუპულთა] *სისხლი*“. შუა საუკუნეების კვალობაზე მუსლიმმა მეცნიერებმა საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ არც თუ იშვიათად „არაბი მეცნიერები“ იყვნენ არაარაბული წარმოშობის მუსლიმები, რომლებიც არაბულ ენაზე წერდნენ.

არაბების წვლილზე მსოფლიო მეცნიერებაში მეტყველებს მრავალი არაბული სიტყვა, რომლებსაც პრაქტიკულად ყველა ევროპულ ენაში იყენებენ – *ალგებრა, ქიმია (ალქიმია), ალგორითმი, ლოგარითმი, ციფრი, ალმანახი, ალკოჰოლი, სოდა, ზენიტი, ჩეკი* და სხვ. IX საუკუნეში არაბმა მეცნიერებმა არაპირდაპირ დაადგინეს, რომ დედამიწა სფეროსებრია. არაბმა ზღვაოსნებმა მოიტანეს ჩინეთიდან და ევროპაშიც გაავრცელეს კომპასი. არაბებმა შემოიტანეს ინდოეთიდან და დანერგეს „*არაბული ციფრები*“, სადაც, რომაული ციფრებისაგან განსხვავებით, არსებობს *ნული*. ციფრების ასეთი სისტემის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თანამედროვე მათემატიკის განვითარება და კომპიუტერული ტექნიკის შექმნა. ბუნებისმეტყველების განვითარებამ წარმოშვა რაციონალური მიმართულება არაბულენოვან ფილოსოფიაში, *მუთაზილობა*, რომელიც უარყოფდა ყურანის ღვთაებრივ წარმოშობას და ნების თავისუფლებას ქადაგებდა.

არაბული ენა ჩაენაცვლა ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში ადრე გამოყენებულ მრავალ ენასა თუ დიალექტს, ანდა მნიშვნელოვნად შეცვალა ისინი. არაბული ლექსიკა გაბატონდა სპარსულ ენაშიც, რომლის გავლითაც მან ქართულშიც უხვად შემოაღწია (არაბული ლექსიკის საგრძნობი ნაწილი ჩვენს ენაში პირდაპირ არაბულიდან, ან ოსმალურის გავლითაც მოხვდა). არაბიზმებით სავსე იყო ოსმალური (ძველი თურქული) ენა, სანამ 1930-ანი წლებიდან მიზანმიმართული პურიფიკაციისა და ნეოლოგიზმების დამკვიდრების ხარჯზე ჩამოყალიბდებოდა თანამედროვე თურქული ენა.

ჩვენი სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოები შუა საუკუნეე-

ბის არაბების შესახებ უფრო ნეგატიურ წარმოდგენას გვიქმნიან: ყველას გვახსენდება ავად სახსენებელი *მურვან ყრუ*. მართლაც, არაბების ადრეული შემოსევები საშინელი იყო. მაგრამ სიტუაცია იცვლებოდა. ქართველ ბერებს, რომლებიც პალესტინაში, წმინდა მიწაზე სახლობდნენ, მშვიდობიანი კონტაქტი უნდა ჰქონოდათ ადგილობრივ არაბებთან, ხოლო მოხელეთა მხრიდან გამომძალველობის შემთხვევაში მუსლიმი მმართველის მფარველობის იმედი შეეძლოთ ჰქონოდათ [ჯაფარიძე და ბუაჩიძე, 2001].

არსებითად, ქართველთა ისტორიული მეხსიერება იცნობს მხოლოდ ათასი წლის წინანდელ არაბებს. XII საუკუნიდან, რაც ქართველებმა დავიბრუნეთ თბილისი, სადაც იქამდე არაბი ამირა იჯდა (ისიც საკითხავია, იყო კი ის ეთნიკური არაბი?), პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი არაბებთან აღარ გვქონია, თუ არ ჩავთვლით მონღოლების მხარდამხარ ქართული ლაშქრის მონაწილეობას ბაღდადის აღებასა და იავარყოფაში 1258 წელს, თანაც ქართველ ჟამთააღმწერელთან ადგილობრივი მოსახლეობა მოხსენიებულია, როგორც „*სპარსნი ბაღდადელნი*“ (შესაძლოა, ასეც იყო), ხოლო მონღოლები – როგორც „*თათრები*“ [ქ~ც, II, 232].

შოთა რუსთაველმა როსტევანი, თინათინი, ავთანდილი არაბებად გამოიყვანა: მისი დროის „როსტევანის არაბეთს“ უკვე შეეძლო მიეღო რომანტიკული იერსახე: რუსთაველის ეპოქაში არაბები მტრები აღარ იყვნენ!

სახალიფოს აღმასვლა და დაცემა

661 წელს არაბთა სამხედრო-თეოკრატიული მონარქიის არსებობა დასრულდა. სამოქალაქო ომში დაიღუპა მეოთხე და უკანასკნელი *უმწიკვლო ხალიფა* ალი (656-661). ალის მოკვლამ უდიდესი განხეთქილება წარმოშვა ისლამში. ძირითად მიმართულებას – სუნიტობას (რომელიც ყურანთან ერთად წმინდა წიგნად აღიარებს *სუნას**, სადაც მოცემულია მუჰამმადის ცხოვრების აღწერა: აქედან მოდის მისი სახელი – სუნიტობა) გამოეყო „ალის პარტია/მომხრეები“ (*შიათ ალი*, შემოკლებით *შია*, აქედან – შიიტობა). შიიტების თვალსაზრისით, ხალიფას ტიტული მემკვიდრეობით უნდა გადასულიყო წინასწარმეტყველის ქალიშვილის (ფატიმას) და სიძის (ალის) შთამომავლობაზე, კერძოდ **ჰასანზე და ჰუსაინზე**. ეს უკანასკნელიც მეტოქეებმა მოკლეს და ის შიიტებმა წამებულ წმინდანად შერაცხეს[1].

საკმაოდ მალე განხეთქილებამ ისლამში ეთნო-გეოგრაფიული გამო-

1. შიიტების ცნობილი რიტუალი, „*შაჰსეი-ვაჰსეი*“, არის მოთქმა-დატირება „*შაჰ ჰუსაინ, ვაჰ ჰუსაინ*“. ამ რიტუალისას შიიტები ფიზიკურ თვითგვემას ახორციელებენ.

ხატულება შეიძინა. შიიტობის მიმდევრები გახდნენ ძირითადად სპარსელები, უფრო გვიან კი სპარსეთის პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში მოხვედრილი ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობაც, მიუხედავად ეთნიკური წარმოშობისა (მაგალითად, ირანის ადარბადაგანსა და კავკასიის ალბანეთში დამკვიდრებული თიურქული ტომები – მომავალი აზერბაიჯანელები).

661 წელს, ალის დაღუპვის შემდეგ, ხალიფას წოდებას დაეპატრონა უმაიანთა (*უმაიას*) გვარის წარმომადგენელი *მუავია* (იგი მუჰამმადს ენათესავებოდა, მაგრამ მტრობდა), რომელმაც თავი ერთდროულად მეფედაც (*მალიქ*-ად) გამოაცხადა. მან გადაიტანა სახალიფოს დედაქალაქი ასკეტური *მედინადან* მდიდარ და სიცოცხლით სავსე *დამასკოში*, სადაც სოციალურ-კულტურული გარემო მკვეთრად განსხვავებული იყო არაბეთისაგან. უმაიანი ხალიფებისათვის აქედან უფრო ადვილი იყო დაპყრობითი ომების გაგრძელება ბიზანტიის, ჩრდილოეთ აფრიკის, ესპანეთის, შუა აზიის, ჩრდილოეთ ინდოეთის მიმართულებით.

არაბები პირველად დასხდნენ სამხედრო ხომალდებზე. ისინი ორჯერ კონსტანტინოპოლსაც კი მიადგნენ (ორივე თავდასხმა ბერძნებმა წარმატებით მოიგერიეს). IX საუკუნეში არაბებს დაპყრობილი ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის თითქმის ყველა დიდი კუნძული (*სიცილია, სარდინია, კვიპროსი, კრეტა*), აგრეთვე მალტა. ერთხანს მათ ხელთ იყო სამხრეთ იტალია.

VIII საუკუნიდან იწყება **დამასკოს სახალიფოს** არაბიზაციის პროცესი: არაბული სახელმწიფო ენად იქცა; მონეტებზე მხოლოდ არაბული წარწერები გაჩნდა; დიდ მოხელეებად მხოლოდ არაბები ინიშნებოდნენ; მუსლიმ არაბებს დაუტოვეს დაუბეგრავობის პრივილეგია, მაგრამ *მავალებს* ის წაართვეს.

ეს უსამართლობა მძაფრ უკმაყოფილებას იწვევდა, რითაც ისარგებლეს მუჰამადის ბიძის, *აბასის*, შთამომავლებმა. სოციალური დემაგოგიის გზით მათ გააღვივეს ოპოზიცია და 749 წელს უმაიანთა დინასტიის ბატონობას ბოლო მოუღეს[1]. ყველაზე არსებითი დახმარება აბასიანებმა მიიღეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანის პროვინცია ხორასანიდან, რაც ირანული პოლიტიკური რენესანსის მომასწავებელი გახდა.

აბასიანმა ხალიფებმა 762 წელს დედაქალაქი გადაიტანეს ახალდაარსებულ **ბაღდადში**. ბაღდადი აშენდა მდ. ტიგროსზე, იქ, სადაც მისი ხეობა ყველაზე ახლოს იყო ევფრატის ხეობასთან და არხების სისტემა

1. აქვე შეიძლება გამოითქვას ერთი ვარაუდიც, რომელიც უმაიანთა დინასტიის შეცვლის, ასე ვთქვათ, „გეოლოგიურ“ ახსნას გულისხმობს. ისტორიული წყაროებითა და არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულია, რომ 749 წლის 18 იანვარს ახლო აღმოსავლეთში მოხდა უძლიერესი მინისძვრა, რომლის დროსაც მინამ შთანთქა პატარა ქალაქები და სოფლები. აფტერშოკები დამასკოს რამდენიმე მომდევნო დღეც არყევდა. იმდროინდელი მოსახლეობისათვის ეს მოვლენა ღვთის რისხვა იყო. ხომ არ გახდა გეოლოგიური კატასტროფაც უმაიანთა დამხობის მიზეზი?

ქმნიდა მდიდარ სასოფლო-სამეურნეო რაიონს, რომელსაც შეეძლო დიდი ქალაქის გამოკვება. ქალაქი მდებარეობდა სტრატეგიულ გზაჯვარედინზე ირანის, ალ-ჯაზირას, სირიის მიმართულებით. რამდენადაც ბაღდადი ახალი ქალაქი იყო, მისი უზენაესი მმართველი (ხალიფა) თავისუფალი იყო „ძირძველი" ელიტის პრეტენზიებისაგან, რაც ძველ ქალაქ დამასკოში ჩვეულებრივი ამბავი იყო.

აღმოსავლური წესის შესაბამისად, უზენაეს მმართველს თავი იმათზე მაღლა უნდა დაეყენებინა, ვისაც მართავდა. ამიტომ ბაღდადი დაიგეგმა ისე, რომ ეჩვენებინა ხალიფას სიდიადე და რიგითი ქვეშევრდომისათვის მისი მიუწვდომლობა [Hourani, 2001, 34]. შემდგომში „ბაღდადი" სიმდიდრის, ფუფუნების, კეთილდღეობის აღმნიშვნელ ზოგად სახელად იქცა ზოგიერთ ენაში (მაგალითად, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში; დასავლეთ საქართველოში „ბაღდადი/ბაღდათი" ბუნებრივი პირობებით მდიდარი ერთი დასახლებული პუნქტის სახელადაც იქცა).

ბაღდადის სახალიფოში გაძლიერდა ირანის კულტურული გავლენა. შემოღებულ იქნა ირანული პოლიტიკური ინსტიტუტები (მაგალითად, ვეზირის თანამდებობა), დაინერგა ზოგი არამუსლიმური დღესასწაული, მოდაში შემოვიდა ირანული ტანსაცმელი, სპარსული პოეზია და ა.შ. საბოლოოდ ამან ხელი შეუწყო ახალი სპარსული ენის ფორმირებას (რომელშიც მრავლად შევიდა არაბიზმები) და მის გავრცელებას სასანიანთა ირანის ყოფილ ტერიტორიაზე, მათ შორის – შუა აზიასა და ავღანეთშიც.

ირანელების მზარდი გავლენისათვის შუააზიელი თიურქების დაპირისპირების ცდამ სახალიფოს საბოლოოდ უარყოფითი შედეგი მოუტანა. ბაღდადის ხალიფა 830-იანი წლებიდან ქირაობს თიურქ *ღულამებს*, რომლებმაც მალე პრეტორიანული გვარდიის როლი შეიძინეს. თიურქული გვარდიის თვითნებობა ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას.

აბასიანი ხალიფები ახალ დაპყრობით ომებს ვეღარ ეწევიან და ძირითადად არსებული *დარ ალ-ისლამის* შენარჩუნებას ცდილობენ. სინამდვილეში კი დაიწყო სახალიფოს დაშლა. IX-X საუკუნეები არაბული სახელმწიფოს თანდათანობითი დაცემისა და ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნის ხანაა.

IX-X საუკუნეები დიდი გეოპოლიტიკური ძვრების ეპოქა აღმოჩნდა: აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რამდენიმე ერმა მიიღო ქრისტიანობა; დაჩქარდა ეროვნული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება, წარმოიშვა პოლონეთი, ხორვატია, ჩეხეთი, უნგრეთი, კიევის რუსეთი, გაერთიანდა ინგლისი და ა.შ. სამხრეთ კავკასიაში აღდგა ქართული და სომხური სამეფოები.

ირანის ტერიტორიაზეც იქმნება ახალი სახელმწიფოები, რომლებიც ისლამის საფუძველზე ცდილობენ სასანიანთა დროინდელი ირანის აღდგენას. ეს, ბუნებრივია, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით არ ხდება:

ძალაუფლების მისაღწევად დინასტიები ერთმანეთს ჟლეტენ. მაგრამ IX-X საუკუნეების ირანში ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება ვითარდება, იქ აშკარა რენესანსია.

820 წელს ბაღდადის ხალიფამ დამოუკიდებელ ამირად ცნო *ხორასანის* მმართველი ირანელი *ალ-თაჰერი*. განზე გაიწიეს სხვა რეგიონულმა ხელმძღვანელებმაც, რომელთა სეპარატიზმი უპირველესად იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ბაღდადის ხაზინაში გადასახადის შეტანას წყვეტდნენ. თუკი ბაღდადს ძალა შესწევდა, ის სეპარატისტებს სასტიკად უსწორდებოდა. სხვათა შორის, თიურქული გვარდია, ჩვენი ისტორიული წყაროებიდან ცნობილი *ბუღა თურქის* (არაბებისათვის იგი იყო *ბუღა ალ-ქაბირ*, „დიდი ბუღა“) მეთაურობით, ხალიფამ გამოგზავნა *თბილისის ურჩი არაბი ამირას* დასასჯელად, რომელიც ბაღდადში გასაგზავნ გადასახადს იჯიბავდა! სხვა საქმეა, რომ ამ ძირითადი დავალების შესრულებისას *ბუღა თურქის* დამსჯელი რაზმი თბილისისა და ქართლის მშვიდობიან მოსახლეობასაც ძარცვავდა და ჟლეტდა. შუა საუკუნეებში ეს ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა.

910 წელს მუჰამადის ასულის, *ფატიმას* ჩამომავალმა, რომელიც შიიტი იყო, თუნისში თავი დამოუკიდებელ ხალიფად გამოაცხადა. ფატიმიანმა ხალიფებმა 969 წელს დაიპყრეს ეგვიპტე და იმავე წელს დააარსეს ქალაქი *კაირო* (*ალ-კაჰირა*), რომელიც მათი დედაქალაქი გახდა. X საუკუნის შუაწლებისთვის აბასიანი ხალიფების ძალაუფლება ბაღდადს აღარ სცილდებოდა. დასავლეთ ირანის *ბუვეიანთა დინასტიის* წარმომადგენელმა 945 წელს აიღო ბაღდადი და საერო ხელისუფლება ჩამოართვა ხალიფას: მას მხოლოდ სასულიერო ხელისუფლება შერჩა.

ამრიგად, არაბების პოლიტიკური ჰეგემონია ახლო აღმოსავლეთში ფაქტობრივად სამ საუკუნეში დასრულდა. მაგრამ მათ მიერ შექმნილი რელიგიური იდეოლოგია – ისლამი – დარჩა და განმტკიცდა არა მარტო რეგიონში, არამედ მის გარეთაც.

ამჯერად ისლამის დროშა ხელში თიურქებმა აიტაცეს.

სელჩუკიანი თიურქები

თიურქულ ტომებს ახლო აღმოსავლეთში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისიდანვე იცნობდნენ. ჯერ კიდევ პართია ებრძოდა თიურქულენოვანი *ჰუნების* შემოსევებს. ბაღდადის ხალიფებს თიურქული გვარდია ჰყავდათ. მაგრამ ახლო აღმოსავლეთში მასობრივად შემოსვლას თიურქები XI საუკუნიდან იწყებენ.

თიურქების ერთ-ერთი ტომობრივი გაერთიანების – ოღუზების (თიურქების სხვა განშტოებაა უფრო ჩრდილოეთით წასული ყივჩაღური

მოდგმის ტომები) ურდოები შუა აზიაში მომთაბარეობდნენ, როდესაც მათი ერთ-ერთი ბელადის, სახელად სელჩუკის, ინიციატივით ნებაყოფლობით მიიღეს სუნიტური მიმართულების ისლამი: ეს X-XI საუკუნეების მიჯნაზე მოხდა. ამის შემდეგ ამ ხალხს *სელჩუკიანების*, ან *თიურქ-სელჩუკების* სახელით იცნობდნენ. ისლამმა განამტკიცა თიურქთა ეთნიკური ერთობა იმ პერიოდში, როდესაც გვაროვნული კავშირები დაშლის პირზე იყო მისული. სუნიტური ისლამი მშვენივრად მოერგო სელჩუკიანთა ტომობრივი არისტოკრატიის დაპყრობით ტენდენციას, რომელსაც იგი ამართლებდა ურწმუნოებთან და მწვალებლებთან (ამ შემთხვევაში, შიიტებთან) ომის საჭიროებით.

1040 წელს შუააზიელი სელჩუკიანები იწყებენ ირანის დაპყრობას და ხუთ წელიწადში ამთავრებენ ამ პროცესს. ასეთი სწრაფი წარმატების მიზეზი იყო ირანის დაქუსაქსულობა და მის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებში მძაფრი შიდასოციალური წინააღმდეგობა. ამის გამო: „*ირანის მრავალმა ქალაქმა გაუღო თავისი ალაყაფები თურქ-სელჩუკებს. ირანელი წარჩინებულები ზეიმით ხვდებოდნენ მათ*“ [გაბაშვილი, 1957, 122].

მაგრამ მალე ამ სტუმართმოყვარე მასპინძლებმა იგრძნეს, თუ რა მწარედ ცდებოდნენ, როდესაც ეგონათ, რომ „ცოტაოდენ იმიგრანტს“ მიიღებდნენ ქვეყანაში და მათ თავიანთთვის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. თეორიულად ასეთი რამ შესაძლებელი იყო, რომ არა მომხდურთა დიდი დემოგრაფიული პოტენციალი: ცენტრალური აზიიდან განუწყვეტელ ნაკადად შემოედინებოდა თიურქთა სულ ახალ-ახალი ტალღები.

არაბებისაგან განსხვავებით, რომელთა დიდი ნაწილი ურბანიზებულ ცხოვრებას ძალიან მალე ეზიარა, მეცხვარე თიურქ-სელჩუკთა უმრავლესობა კარგახანს ამჯობინებდა მომთაბარე ცხოვრებას და ამისათვის დიდი ფართობი სჭირდებოდა. მათთვის სულერთი იყო, თუ რა დაიპყრეს – *დარ ალ-ჰარბი* თუ *დარ ალ-ისლამი*. ისინი თავნებობდნენ მუსლიმურ ქვეყნებშიც, ადვილად შეეძლოთ სახნავ-სათესი მიწა ცხვრის საძოვრად ექციათ. ეს ძირძველი ბინადარი მოსახლეობის აყრის ტოლფასი იყო. მოსახლეობის შეცვლა კი მშვიდობიანად არასოდეს ხდება. დიდი იყო წინააღმდეგობა.

ჯერ ირანის, შემდგომში – კავკასიის, ბიზანტიის ტერიტორიებზე თიურქთა მრავალრიცხოვანი ტომები საკმაოდ ფართოდ განსახლდნენ. ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე არეზის სამხრეთით მდებარე ნაყოფიერ მიწებზე თიურქებმა მოსახლეობის უმრავლესობაც კი შეადგინეს. მათ აქ დახვდათ გეოგრაფიული სახელი *ატურპატაკან/აზარბაზაგან/აზარბაქაგან* [თოფურია, 1999], საიდანაც წარმოდგა „*აზერბაიჯანი*“[1]. ეს სახელი იქ დასახლებული თიურქული ტომების

1. ქართულ წყაროებში ამ ტერიტორიას *ადარბადაგანი/ადრიბეჟანი* ეწოდებოდა, ხოლო მის მთავარ ქალაქს – *თაურეზი/თაურეჟი*.

ეთნონიმად (ხალხის სახელად) იქცა და ბევრად უფრო გვიან (ფაქტობრივად – XX საუკუნეში) გავრცელდა არეზის ჩრდილოეთითაც, დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

1055 წელს სელჩუკიანთა ბელადმა *თოღრულ-ბეგმა* დაიპყრო ბაღდადი. „ფეხშიშველა მწყემსმა“ აიძულა ხალიფა მისთვის სულტნის ტიტული მიენიჭებინა და თავზე დაედგა ორრქიანი გვირგვინი, ალექსანდრე მაკედონელის სიმბოლო, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებლობას ნიშნავდა. 1065 წელს თიურქთა ხელში იყო ანისი – სომხეთის ძველი დედაქალაქი. 1071 წელს სელჩუკიან სულტან *ალფ-არსლანს* ტყვედ ჩაუვარდა აღმოსავლეთ ანატოლიაში, *მანასკერტთან*, დამარცხებული ბიზანტიის იმპერატორი *რომან დიოგენე*. 1080 წელს თიურქ-სელჩუკებმა აიღეს დიდი ქალაქი *ნიკეა*, კონსტანტინოპოლიდან სულ რამდენიმე დღის სავალზე, და *იზნიკის* სახელით ის თავიანთ დედაქალაქად აქციეს. 1085 წელს სელჩუკები ეგეოსის ზღვაზეც გავიდნენ: მათ ხელში აღმოჩნდა ბერძნული ქალაქი *სმირნა* (თურქულად – *იზმირი*).

ცენტრალურ ანატოლიაში მტკიცედ ფეხმოკიდებულმა სელჩუკიანებმა 1116 წელს თავის დედაქალაქად გამოაცხადეს *იკონიუმი* (*კონია*). შეიქმნა კონიის ანუ *რუმის* (ე.ი. რომის) სასულტნო. ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ანატოლიის ზეგანი მშვენივრად მოერგო მომთაბარეთა ინტერესებს. აქ იყო კარგი შეთანაწყობა: *ოვა* (ბარი) საუკეთესო ზამთრის საძოვარი იყო, *იაილა* (იალაღი, მთა) კი – საზაფხულო საძოვარი. ტყიანი მხარეები და ვიწრო ზღვისპირა სანაპიროები თიურქ-სელჩუკებს თავიდან ნაკლებად იზიდავდა: იქ ცხვრისათვის საძოვარი ცოტა იყო.

თიურქ-სელჩუკებმა დაამკვიდრეს სპეციფიკური *სამხედრო-ლენური სისტემა*, რომლის საფუძვლები ჯერ კიდევ არაბულ სახალიფოში იყო. ანალოგიური ფეოდალური სისტემა ევროპაში მალე წარსულს ჩაბარდება. სამხედრო-ლენური სისტემის არსი იყო ის, რომ სულტანი, როგორც მთელი მიწის უზენაესი მფლობელი, თავის ვასალს *იკტადარს* (სხვა სახელია *მუკტა*) აძლევდა საკარგავს (ფეოდს), არაბულად – *იკტას*, ვასალი კი მიღებული შემოსავლის სანაცვლოდ ვალდებული იყო სულტნისათვის სამხედრო სამსახური გაეწია.

სულტნის ძლიერი ვასალები, ხშირად სელჩუკიანი უფლისწულები, აღწევდნენ იმას, რომ მათთვის დროებით გამგებლობაში გადაცემული მიწა სამემკვიდრეო მამულად ექციათ. სეპარატიზმთან ბრძოლა სელჩუკიანი სულტნებისაგან საგარეო-პოლიტიკურ აქციებზე არანაკლებ ენერგიას მოითხოვდა. უკვე XII საუკუნეში თიურქ-სელჩუკთა იმპერია რამდენიმე სამფლობელოდ დაიშალა, რომელთაც მონათესავე, მაგრამ მეტოქე მონარქები ჩაუდგნენ სათავეში.

მიუხედავად იმისა, რომ სელჩუკიანი თიურქები ახალმოსახლენი

იყვნენ რეგიონში, მათი შეგუება ახლო აღმოსავლეთთან საკმაოდ ინტენსიურად ხდებოდა. თიურქებს ჰქონდათ მძლავრი ასიმილაციური პოტენციალი – საკმაოდ დიდი მოსახლეობა, ლოგიკურად აგებული ენა (რომელმაც ადვილად შეითვისა სპარსული და არაბული ლექსიკა). მათი წარმატების მიზეზი იყო აგრეთვე ის, რომ ყველა უცხოტომელი, ვინც სუნიტურ ისლამში გადავიდოდა და სელჩუკიანი სულტნის სამსახურს აირჩევდა, მისი მფარველობით სარგებლობდა და კარიერის გაკეთების იმედიც შეეძლო ჰქონოდა (ეს შემდგომში ოსმალო თურქების პლუსიც იქნება). ბევრი ირანელი ჩადგა სელჩუკიანთა სამსახურში. მათი მეშვეობით ირანულმა კულტურამ საგრძნობი გავლენა მოახდინა თიურქ-სელჩუკებზე. მაგალითად, *ქ. კონიის სელჩუკთა ეპოქის არქიტექტურაში* ნათლად ჩანს ირანული გავლენა.

მუსლიმები და ქრისტიანები: შეხლა და თანაცხოვრება

სელჩუკიანი თიურქების ბიზანტიაში შეჭრასა და საქართველოზე ამის გავლენას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ძალიან ლაკონურად, მაგრამ მრავლისმთქმელად გადმოგვცემს:

„*ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს და წარვიდეს. რომელნიცა აიხუნეს თურქთა და დაემკვიდრნეს მას შინა. და ვინათგან მე ზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სრვად და ტყუეობათ ჩუენ ქრისტიანეთა*“ [ქ~ც, II, 318-319].

სელჩუკიანთა შემოსევა („დიდი თურქობა“) საქართველოს თვით არსებობას უქმნიდა საფრთხეს, რადგან ბინადარი ქართული მოსახლეობა იძულებული გახდა აყრილიყო და მთას შეხიზნოდა. აღმოსავლური სამხედრო-ლენური სისტემის გაბატონება ნიშნავდა, რომ ადგილობრივი მიწათმფლობელობა და საადგილმამულო ურთიერთობა, რასაც მნიშვნელოვანწილად ეფუძნება ეთნიკური კულტურა და სულიერება, სელჩუკიანთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე რადიკალურად უნდა შეცვლილიყო.

ამ უმძიმესი პრობლემისაგან საქართველო იხსნა დავით აღმაშენებლის პასიონარულმა სულმა, როდესაც მან განდევნა მომთაბარეები თავისი სამეფოდან.

მაგრამ XI საუკუნიდან ჩვენ, ქართველები, სამუდამოდ დავუმეზობლდით თიურქებს როგორც სამხრეთ-დასავლეთით, ისე სამხრეთ-

აღმოსავლეთით და აგერ ცხრა საუკუნეა გვერდიგვერდ ვცხოვრობთ. ხანგრძლივობით ეს მეტია, ვიდრე ჩვენი გეოგრაფიული მეზობლობა ბიზანტიასთან (IV საუკუნიდან XI საუკუნემდე) და გაცილებით მეტი, ვიდრე რუსეთთან, რომელიც მხოლოდ XVIII საუკუნეში გახდა ჩვენი უშუალო მეზობელი. ქვეყნები მეზობლებს ვერ ირჩევენ, ხოლო პატარა ქვეყნები იძულებული არიან გაითვალისწინონ მეზობლობის ფაქტორი საგარეო პოლიტიკის გატარებისას.

შესაძლოა პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ *საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური აღმავლობისათვის საუკეთესო საგარეო-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა რეგიონში სელჩუკიანთა მძლავრობის პერიოდში.* მიუხედავად თიურქ-სელჩუკთა საკმაოდ დიდი სამხედრო ძალისა, მათ მრავალი სახელმწიფო ჰქონდათ, რომლებიც ერთმანეთსაც ეომებოდნენ და უფრო თანასწორ მეტოქეებად წარმოჩინდებოდნენ გაერთიანებული საქართველოსათვის, ვიდრე რეგიონული ზესახელმწიფოები (სასანიანთა ირანი, ბიზანტიის იმპერია, არაბული სახალიფო, ილხანთა იმპერია, ოსმალეთის იმპერია, სპარსეთის იმპერია), რომელთა დამარცხება ბევრად უფრო ძნელი იყო.

საუკუნეების განმავლობაში ანატოლიაში ჩამოყალიბდა გარკვეული სიმბიოზი მუსლიმ თიურქებსა და ქრისტიან ბერძნებს შორის [Necipoğlu, 1999-2000]. სელჩუკები ბიზანტიის კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ. აღნიშვნის ღირსია, რომ რუმის სულტნებმა თავიანთ სიმბოლოდ აქციეს ბიზანტიური ორთავიანი არწივი (მოგვიანებით, 1472 წლიდან, ის მოსკოვის დიდი მთავრების სიმბოლოც გახდება).

აღმოსავლეთიდან თიურქების მოწოლის თითქმის პარალელურად XI საუკუნიდან რეგიონში იჭრებიან ევროპელი ჯვაროსნები[1], რომელთა საბოლოო მიზანი იყო *სარკინოზთაგან* (ევროპულ ენებში – *„სარასენი/სარაცინი“*, რაც იმდროინდელ ევროპელთათვის არაბის/მუსლიმის მეტსახელი იყო) იერუსალიმის გათავისუფლება („ქრისტეს საფლავის სარკინოზთაგან გამოხსნა“).

კონფლიქტი ორ მომხდურს – ჯვაროსნებსა და თიურქებს – შორის პრაქტიკულად გარდაუვალი იყო. ასეც მოხდა. აბჯარში ჩამჯდარმა და გულად ულაყებზე ამხედრებულმა ევროპელმა რაინდებმა პირველად გააქციეს სელჩუკიანთა იქამდე უძლეველი კავალერია, რომელთაც 1097 წელს ნიკეის/იზნიკის დატოვება მოუხდათ. სელჩუკიანთა შემდგომი წინსვლა ევროპისაკენ შეჩერდა.

---

1. ახლო აღმოსავლეთში ევროპელ ჯვაროსნებს აგრესორებად მიიჩნევენ და მათ მიმართ, ისევე როგორც ტერმინ „ჯვაროსნობის“ (ინგლისურად „Crusade“) მიმართ ძალიან უარყოფითი დამოკიდებულებაა. ეს ვერ გაითვალისწინეს ამერიკელმა პოლიტიკოსებმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, როდესაც უშუალოდ ამ ტრაგიკული მოვლენის შემდეგ მოუწოდეს *„ჯვაროსნობისაკენ ტერორიზმის წინააღმდეგ“*, რაც ისლამურ ქვეყნებში პოლიტიკურად არაკორექტულ გამონათქვამად აღიქვეს. ამიერიდან ამ ტერმინის გამოყენებას თანამედროვე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში დასავლეთის პოლიტიკოსები თავს არიდებენ.

1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს და მას 88 წლის განმავლობაში ფლობდნენ. 1187 წელს იერუსალიმიდან ისინი განდევნა *სალაჰ ად-დინმა* (სალადინმა).

ჯვაროსნების კულტურული ნაკვალევი ჩანს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მათ მიერ აგებულ ციხე-კოშკებსა და ეკლესიებში. მაგრამ ისინი რაოდენობრივად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რათა რეგიონზე რაიმე შესამჩნევი დემოგრაფიული გავლენა მოეხდინათ. ამ ლაშქრობების ეფექტი ევროპაში უფრო მეტი იყო, სადაც აღმოსავლეთიდან ახალი ინფორმაცია, მათ შორის ტექნიკური ინოვაციაც, შევიდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების უარყოფითი თანმხლები შედეგი იყო აღმოსავლეთის ქრისტიანობის ძირითადი ბურჯის, ბიზანტიის, მორყევა. 1204 წელს დასავლეთიდან მოსულმა ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და პირწმინდად გაძარცვეს. ობიექტურად ჯვაროსნებმა გაუადვილეს მომავალი დაპყრობები ოსმალო თურქებს.

მიუხედავად ყველაფრისა, სელჩუკიანთა ბატონობის ბოლო პერიოდში, XIII საუკუნისათვის, ისახებოდა ტენდენცია, რომ რეგიონში თანდათან მოხდება ეკონომიკის, საქალაქო ცხოვრების აღდგენა, განვითარდება ადგილობრივი კულტურა. მაგრამ მომთაბარეთა ახალმა ტალღამ ისევ შეაჩერა ახლო აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

მონღოლები

თიურქ-სელჩუკთა შემოსევის დაწყებიდან 180 წლის შემდეგ კვლავ ირანმა მიიღო აღმოსავლეთიდან მოსული ახალი სასტიკი დამპყრობლის პირველი დარტყმა. *მონღოლების* პირველი შემოსევები *ჩინგის-ხანის* მემკვიდრეების მეთაურობით (ჩინგის-ხანი ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში პირადად არ შემოსულა) მოსახლეობაში შიშის დათესვასა და წინააღმდეგობის გაწევის უნარის დათრგუნვაზე იყო გათვლილი. ამ მიზნით მონღოლები ახორციელებდნენ ნამდვილ გენოციდს, როდესაც ქალაქების მოსახლეობას პირწმინდად ჟლეტდნენ, არ ინდობდნენ ბავშვებსა და ქალებს, ანგრევდნენ და სპობდნენ ყველაფერს, რაც ადამიანის ხელით იყო შექმნილი. მონღოლების ფონზე თიურქ-სელჩუკები „ჰუმანისტებად" მოჩანდნენ.

მონღოლებმა ადვილად დაიპყრეს ირანი, გაანადგურეს რუმის სასულტნო, რომლის ნაცვლად XIII საუკუნის მეორე ნახევარში მცირე აზიაში შეიქმნა მონღოლებს დაქვემდებარებული მომცრო თიურქული ბეილიქები*. მათ შორის ახალი მეტროპოლიიდან გეოგრაფიულად ყველაზე შორს, მარმარილოს ზღვასთან, მდებარე ოსმანის პატარა ბეი-

ლიქმა საკმაოდ მალე დაიწყო *ანატოლიაში დამკვიდრებული თურქების* ხელახალი გაერთიანება.

1256 წელს ჩინგის-ხანის შვილიშვილმა *ჰულაგუ ხანმა* (იმდროინდელი ქართველები მონღოლთა ხანს *„ყაენს/ყეენს“* უწოდებდნენ, შემდეგ კი გადაიტანეს ეს ტიტული მომდევნო პერიოდის ირანის შაჰებზე) მთელი ირანი დაიმორჩილა და შექმნა ილხანთა (*ილხან* – ხალხის მბრძანებელი) სახელმწიფო. საქართველო მონღოლების ვასალური ქვეყანა გახდა. მისი სახელმწიფოებრიობის განვითარება შეჩერდა.

თავდაპირველად მონღოლები ცდილობდნენ, არ გათქვეფილიყვნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, შეენარჩუნებინათ თავიანთი რელიგია, ზნე-ჩვეულებები. ისინი არ ზრუნავდნენ დაპყრობილი ტერიტორიის განვითარებაზე, მაგრამ თანდათანობით ახლო აღმოსავლეთის უფრო მაღალმა კულტურამ თავისი სიტყვა თქვა. XIII საუკუნის ბოლოსათვის მონღოლთა უმეტესობამ ისლამი მიიღო, ხოლო მომდევნო საუკუნეში ისინი პრაქტიკულად ან გასპარსელდნენ ან, უფრო მეტად, გათიურქდნენ. XIV საუკუნეში ილხანთა სახელმწიფო დაიშალა და მის ტერიტორიაზე ცალკეული თიურქულ-მონღოლური დინასტიები გაბატონდნენ.

1380-93 წლებში ირანი მთლიანად იქნა დაპყრობილი გათიურქებული მონღოლის, *თემურ-ლენგის*[1], მიერ. მისი სისასტიკე პირველ მონღოლებს თუ შეედრებოდა (მაგალითად, ისფაჰანში მან 70 ათასი მოჭრილი თავიდან პირამიდების აგება ბრძანა). თემურის შემოსევებმა გააპარტახა საქართველო და საბოლოოდ მოსპო ერთიანი სამეფოს აღორძინების იმედი. 1402 წელს თემურ-ლენგმა ანკარის ბრძოლაში დაამარცხა აღმავალი ოსმალეთის სულტანი *ბაია ზითი*, ტყვედ იგდო იგი და ამით ობიექტურად ნახევარი საუკუნით გადაავადა კონსტანტინოპოლის დაპყრობა ოსმალების მიერ.

მაგრამ თემურის იმპერია კიდევ უფრო ეფემერული აღმოჩნდა, ვიდრე ჩინგის-ხანის მემკვიდრეებისა. 1405 წელს, თემურის მოკვლის შემდეგ, მისი იმპერია დაიშალა, ხოლო ირანს მთელი საუკუნე მეტოქე თურქმანული ტომების ბელადები ჯიჯგნიდნენ. მხოლოდ 1502 წელს მოხერხდა ირანის გაერთიანება, ამჯერად სეფიანთა დინასტიის ხელქვეით.

ოსმალეთმა კი, თემურისაგან მიყენებული სასტიკი მარცხის შემდეგ, ოციოდე წელიწადში აღიდგინა სამხედრო პოტენციალი და კვლავ დაადგა ექსპანსიის გზას.

---

1. თემური არის განსხვავებული ისტორიული შეფასების მაგალითი. იგი იქცა ეროვნულ სიმბოლოდ დამოუკიდებლობის ეპოქის უზბეკებისათვის, რომლებიც მისი იმპერიიდან ითვლიან თავიანთ სახელმწიფოებრიობას. ეს ოფიციალურ სიმბოლიკაშიც ჩანს: XX საუკუნის ბოლოდან ცხენზე ამხედრებული *„დიდი სახელმწიფო მოღუანისა და მეოთხრის ამირ თემურის“* ძეგლი აღმართულია ტაშკენტის ცენტრში (იქ, სადაც საბჭოთა ეპოქაში კარლ მარქსის ბრინჯაოს ქანდაკება იდგა). იმ ქვეყნებში კი, რომელთაც თემური არბევდა, მას მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას აძლევენ.

თავი 9

გეოპოლიტიკა რეგიონში XVI საუკუნიდან პირველ მსოფლიო ომამდე

ოსმალეთი: სახელმწიფო და გეოპოლიტიკა

დასავლეთ ანატოლიაში, ბიზანტიური პროვინცია ბითვინიის მეზობლად მდებარე *ოსმანის ბეილიქი** იყო კონიის სულტნის მიერ ოსმანის მამისათვის ნაბოძები *იკტა*. XIII საუკუნის ბოლოდან კი ოსმანის მემკვიდრეებმა მიწის ეს ნაკვეთი ახალი იმპერიის ბირთვად აქციეს. ოსმანის დინასტიას *ოსმანლი* დაერქვა: აქედანაა ნაწარმოები ქართული „ოსმალო" და ევროპული ენების „ოტომანი"[1]. ოსმალთა ხელმწიფის მთავარი თურქული ტიტული იყო *ხან*-ი. მას აგრეთვე მოწიწებით მიმართავდნენ სპარსული ტიტულით – *ხუნქიარ* („მბრძანებელი"; ქართული გამოთქმაა „*ხონთქარი*"). საზღვარგარეთ ოსმალეთის ხელმწიფეს უფრო იცნობდნენ არაბული ტიტულით – *სულტან*-ი.

ამ წიგნის შესავალში ნახსენები *ფრიდრიხ რატცელის* მოსაზრება დინამიკური სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულების შესახებ, რომ მისთვის *აუცილებელია ტერიტორიული ექსპანსია*, კარგად მიესადაგება ოსმალეთს. შუა საუკუნეებში ეს მიზანი, რაოდენ ცინიკურადაც უნდა ჟღერდეს დღეს, პრაქტიკულად ყველა „დინამიკურ" სახელმწიფოს ჰქონდა. ოსმალეთი ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია. კიდევ უფრო უკეთესი მაგალითია რუსეთის სახელმწიფო.

ოსმალეთის არსებობის საწყის სტადიაზე მისი გეოპოლიტიკა მთლიანად ეფუძნებოდა ექსპანსიას. იმ დროს ოსმალეთი წარმოადგენდა ტიპურ სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოს, რომლის მიზანი იყო გაფართოება მეზობელი ქვეყნების ხარჯზე და მათი სტაბილური ექსპლუატაცია (პირველ ეტაპზე, ბანალური ძარცვა – „მეკობრობა").

ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრებაში" სხარტად იძლევა ოსმალეთის წარმოშობის ისტორიას:

---

1. ვახუშტი მოიხსენიებს დინასტიის მამამთავარს, როგორც „ოთმან"-ს [ქ~ც IV, 274], რაც ახლოსაა სახელის არაბულ ორიგინალთან, მაგრამ ქართულში მაინც „ოსმანი" დამკვიდრდა. „ქართლის ცხოვრება" ოსმალთა უზენაეს მმართველს „სულტნად" (და არა „სულთნად") მოიხსენიებს. არაბულადაც, სადაც არის ცალკე ნიშნები „თ" და „ტ" ბგერებისათვის, ეს ტიტული სწორედ ასე იწერება – „სულტან".

„ამან [ოსმანმა] *იწყო მეკობრობა, განიმრავლა მრავალი საქონელი მეკობრობითა და მით შემოიყარა მრავალი კაცი. და დაიპყრა არაბისტანი და ტახტად ჰქონდა ბურსა და დაჯდა მუნ“* [ქ~ც II, 339].

თითქმის ყველაფერი ზუსტია, გარდა ქრონოლოგიური ლაფსუსისა: უშუალოდ ოსმანს არ დაუპყრია „არაბისტანი“: ეს მისმა შორეულმა მემკვიდრეებმა გააკეთეს.

მაგრამ საკმაოდ მალე ოსმალები ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოს კარგ მშენებლებად. მათმა იმპერიამ რეგიონის კვალობაზე დიდხანს გაძლო: ოსმალეთმა ექვსი საუკუნე იარსება.

ოსმალეთის გაფართოება თავდაპირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყო[1].

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება იმპერიის სერიოზული ექსპანსია აღმოსავლეთითაც. კონსტანტინოპოლის აღებიდან (1453 წ.) რვა წლის შემდეგ ოსმალეთმა დაიპყრო ტრაპიზონის იმპერია, გავიდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და უშუალოდ დაუმეზობლდა ქართულ სამეფო-სამთავროებს.

ოსმალეთის მაქსიმალური ტერიტორიული გაფართოების ხანა XVI საუკუნეზე მოდის (ნახ. 9.1). შავი ზღვა „ოსმალურ ტბად“ იქცა, მას შემდეგ, რაც 1475 წელს სულტნის ვასალი გახდა ყირიმის ხანი. მთელი ბალკანეთი და ნახევარი უნგრეთი სულტნის ხელში იყო. ოსმალთა მარბიელი ლაშქარი ბალტიის ზღვის სანაპიროსა და აპენინის ნახევარკუნძულს აღწევდა. 1529 წელს ოსმალთა ალყაში მოექცა ვენა (მაგრამ ის არ დაეცა).

აღმოსავლეთით წინსვლა ოსმალეთს გარდაუვალად აპირისპირებდა სეფიანთა სპარსეთთან. 1514 წელს მოხდა ოსმალებისა და სეფიანების პირველი დიდი ბრძოლა ჩალდირანთან: ოსმალებმა, რომელთაც კარგი არტილერია ჰქონდათ, სასტიკად დაამარცხეს სეფიანი ყიზილბაშები. სელიმ I-მა მცირე ხნით მათი დედაქალაქი თაბრიზიც კი აიღო, მაგრამ მალევე დატოვა, რადგან უფრო მნიშვნელოვანი საქმე ელოდა სამხრეთით, არაბეთის მიწაზე.

---

1. ოსმალების ევროპაში გადაყვანის ინიციატორები ევროპელებიე იყვნენ. გენუელებს, რომლებსაც შავ ზღვაზე ვაჭრობის მონოპოლიას ვენეციელები ეცილებოდნენ, 1352 წელს განსაცდელის ჟამი დაუდგათ. ქალაქ კონსტანტინოპოლის გვერდით მდებარე გენუელთა კოლონიას, გალატას, საფრთხე შეუქმნა ბიზანტიის იმპერიის, ვენეციის რესპუბლიკისა და არაგონის სამეფოს კოალიციამ. მოკავშირეების ძიებისას გენუელებმა მიმართეს მცირე აზიის სანაპიროზე გამოჩენილ ოსმალო თურქებს და საკუთარი გემებით გადაიყვანეს ისინი ევროპაში. გენუელების მხარეზე ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა ევროპაში დარჩენა ამჯობინეს და თავიანთი სამფლობელოს გაფართოება ბალკანეთის ტერიტორიაზე დაიწყეს.

ევროპელები შემდგომშიც არც თუ იშვიათად მოკავშირეობდნენ ოსმალებთან, ანდა ემსახურებოდნენ მათ. მაგალითად, 1453 წელს კონსტანტინოპოლისათვის საბედისწერო ალყის დროს, როდესაც სულტანი მეჰმეთ II ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელ რედუტებს ლენაედა, ოსმალების მხარეს ბევრი ევროპელი ქრისტიანი იბრძოდა. ის უზარმაზარი ზარბაზანიც კი, რომლითაც ოსმალები ანგრევდნენ კონსტანტინოპოლის კედლებს, უნგრელი ოსტატის მიერ იყო ჩამოსხმული.

ნახ. 9.1. ოსმალეთის იმპერია ახლო აღმოსავლეთში (1570-იანი წლები)



XVI საუკუნეში ოსმალეთი გაბატონდა ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილში და იქ 400 წელი დარჩა. 1516-1517 წლებში სულტანმა *სელიმ იავუზმა* (მრისხანემ) დაიპყრო სირია, პალესტინა, ეგვიპტე; 1534 წელს ოსმალებს ბაღდადი და მთელი შუამდინარეთი ეპყრათ ხელთ. დღევანდელი სირია, ლიბანი, ისრაელი, პალესტინა, იორდანიის ნაწილი *შამის* (სირიის) *ეიალეთში** შევიდა. შუამდინარეთში შეიქმნა *მოსულის, ბაღდადისა და ბასრას* ეიალეთები. *მისრი* (ეგვიპტე), სადაც სელიმმა დაამარცხა და დაიმორჩილა მამლუქები, ცალკე ეიალეთი გახდა. იმავე

საუკუნის შუანლებისათვის ოსმალეთის ვასალური ტერიტორია გახდა *ჰიჯაზი* იქ მდებარე ისლამის წმინდა ქალაქებითურთ (შემდგომში ისიც ეიალეთად იქცა) და დაპყრობილ იქნა იემენი [Pitcher, 1974].

ოსმალეთს გზა ხსნილი ჰქონდა ინდოეთის ოკეანისაკენ, მაგრამ მისი სამხედრო-საზღვაო პოტენციალი აღმოსავლეთით სალაშქროდ საკმარისი არ აღმოჩნდა.

1578 წლიდან ოსმალები ქართლშიც გაბატონდნენ, როდესაც დიდვეზირმა მუსტაფა ლალა-ფაშამ თბილისი და გორი დაიპყრო. იმავე XVI საუკუნის ბოლოს ოსმალეთი ხანმოკლე დროით კასპიის ზღვის ნაპირზეც კი გავიდა, თუმცა საკმაოდ მალე სპარსეთმა მოახერხა აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან მისი განდევნა.

სპარსეთ-ოსმალეთის ასწლიანი ომი (1514-1639) ხანდახან წყდებოდა დროებითი ზავებით (მათ, რასაკვირველია, „სამარადისოდ" სდებდნენ). როგორც ყოველთვის, მართლდებოდა *ემბროუზ ბირსის* სიტყვები: „მშვიდობა არის ხანმოკლე ინტერვალი ომებს შორის". ამ ომების სისასტიკეს აღრმავებდა იდეოლოგიური დატვირთვა: ომები რელიგიური დროშების ქვეშ მიმდინარეობდა. სუნიტი ოსმალები და შიიტი ყიზილბაშები ერთიმეორეს ჟლეტდნენ, როგორც მწვალებლებს.

ამავე დროს ორივე მეომარი მხარის რეალური მიზანი ტრადიციული იყო: ნაყოფიერი (ე.ი. კარგი ხარკის გადამხდელი) ტერიტორიების დაპყრობა და სავაჭრო გზების კონტროლი, აგრეთვე სამხედრო ალაფი.

ძირითადი სადავო ტერიტორიები და ბრძოლის ველი იყო შუამდინარეთი (ერაყი), ქურთისტანი, დასავლეთ სომხეთი, სამხრეთ აზერბაიჯანი, სამხრეთ კავკასია (ნახ. 9.2), რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებოდნენ ეკონომიკურად და პოლიტიკურად.

ამ ტერიტორიებზე ფერხდებოდა პოლიტიკური პროცესი, შეუძლებელი იყო ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობა. ოსმალეთ-სპარსეთის ომები ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ვერ შეიქმნა ქურთების სახელმწიფო, ვერ აღდგა სომხების სახელმწიფო, ვეღარ გაერთიანდა ქართული სამეფო-სამთავროები, ხოლო ერთი ქართული სახელმწიფო, *სამცხე*, საერთოდ მოისპო. ის ოსმალეთმა დაიპყრო და *„ჩილდირის (გიურჯისტანის) ეიალეთის"* სახელით შეიერთა: მასში შევიდა მესხეთი, ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, არტაანი და ზემო აჭარა [Pitcher, 1974, map XXXI]. ამ ომების დროსვე სპარსეთის შაჰმა აბას I-მა კახეთიდან ფერეიდანში გადაასახლა ქართული მოსახლეობა, ხოლო ქვემო ქართლში ბორჩალუს თიურქული ტომი ჩაასახლა.

1555 წლის *ამასიის ზავით* ოსმალეთ-სპარსეთის ომების პირველი სერია დამთავრდა. დადგინდა ნაპირი (სასაზღვრო ზოლი), რომელსაც მეტ-ნაკლებად გასდევს თურქეთ-ირანის თანამედროვე საზღვარი. სამხრეთ კავკასიაში მდებარე სადავო მიწებს ეს გამიჯვნა შუაზე ყოფდა: *ქართლ-კახეთი, სამცხის ნაწილი (ახალციხე), ერევნის სახანო და*

სამხრეთ კავკასიის თიურქულენოვანი სახანოები (დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია) სპარსეთს რჩებოდა. დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ ნაწილი (ახალციხის გარეშე) ოსმალეთს გადაეცა. მასვე მიეკუთვნა ქურთისტანის/დასავლეთ სომხეთის დიდი ნაწილი და ერაყი ბაღდადითურთ.

ნახ. 9.2. ოსმალეთისა და სპარსეთის სადავო ტერიტორიები და ბრძოლის ველი XVI-XVIII საუკუნეებში



საზღვრის ზუსტი გამიჯვნა (დელიმიტაცია-დემარკაცია) შუა საუკუნეებში, რასაკვირველია, არ ხდებოდა. ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრის დემარკაცია არარატის მთიდან სპარსეთის ყურემდე ჩატარდა მხოლოდ 1913 წელს. ამასიის საზავო ხელშეკრულების (და მომდევნო ზავების) ტექსტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ყოველთვის იძლეოდა სასაზღვრო დავის საბაბს, რასაც ახალი ომი მოჰყვებოდა ხოლმე.

ომების მომდევნო სერიის შემდეგ, 1639 წლის *ზოჰაბის (ყასრ-ე-შირინის) საზავო ხელშეკრულებით* სპარსეთმა და ოსმალეთმა აღადგინეს 1555 წელს დადგენილი საზღვარი ასეთი შესწორებით: ახალციხის მხარე ოსმალეთმა მიიღო.

ვახუშტი ბატონიშვილი საკმაოდ სწორად გადმოსცემს 1639 წლის ზავის ტერიტორიულ შედეგებს:

„შემდგომად ზავ-ჰყვეს მურად-ხონთქარმან და შაჰ-სეფიმ. დაშთა ხონთქარსა იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი. ხოლო

ყეენს დაშთა ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ნახევარი" [ქ~ც IV, 440].

1746 წლის სპარსეთ-ოსმალეთის ზავმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს გამიჯვნა.

სამცხე-საათაბაგო XVII საუკუნიდან მთლიანად გადაიქცა ოსმალეთის ადმინისტრაციულ ერთეულად. მის ჩრდილოეთ ნაწილს მხოლოდ 1829 წელს აიღებს რუსი გენერალი პასკევიჩი. მალე იქ ტფილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები შეიქმნება.

XVII-XIX საუკუნეებში საათაბაგოს ტერიტორიაზე მოხდა დიდი ეთნოკულტურული ძვრა. ბევრმა ქართველმა ფეოდალმა ამჯობინა ისლამის მიღება, ოსმალთა სამხედრო სამსახურში შესვლა, იქ „ხასან-ბეგად" თუ „ასლან-ფაშად" გადაქცევა და ამით მიწის შენარჩუნება, თუნდაც ოსმალური წესით. მიწის, როგორც პირობითი მფლობელობის (თიმარის), სულტნისაგან მიღება შეეძლო მხოლოდ მუსლიმს – სამხედრო ან სამოქალაქო მოხელეს. იყო იშვიათი გამონაკლისი, როდესაც თიმარს ქრისტიან თავადს აძლევდნენ, მაგრამ ესეც მისი ისლამში გადასვლის პრელუდია იყო. ეთნიკურად ქართველი, მაგრამ გამუსლიმებული სამცხის ათაბაგი გახდა *ბეილერბეი* (ბეგთაბეგი). მოგვიანებით თავადაზნაურობას მიბაძავს გლეხობის საგრძნობი ნაწილიც.

ამავე დროს, საათაბაგოს ბევრმა ქრისტიანმა არ ისურვა სინდისთან კომპრომისი და ქართლში, იმერეთში, გურიაში, ოდიშში გადახვეწა ამჯობინა. როგორც ჩანს, ძირითადად ამ დროიდან მკვიდრდება დანარჩენ საქართველოში გვარები *მესხიშვილი, მესხიძე, მესხია, მესხი, ჯავახიშვილი, ჯავახაძე, ჯავახია* და ა.შ.

გამუსლიმებულ ქართველებს ქრისტიანები „თათრებს"[1] უწოდებდნენ. ამ რეგიონში შემდეგ დასახლდნენ მომთაბარე თურქმენები, ქურთები, ჰემშინები (გამუსლიმებული სომხები). მათთან საურთიერთობო *lingua franca* თურქული იყო, რომელმაც თანდათან შეავიწროვა ქართულის გამოყენების სფერო. ამას ხელს უწყობდა სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანობის ზოგადი დაკნინებაც.

ოსმალეთის მიერ დაპყრობილ მთიან აჭარასა და სანაპირო ქობულე-

---

1. რუსეთის იმპერიაც მესხეთის მუსლიმ მოსახლეობას *„თათრებს"* მიათვლიდა, თუმცა მათი დიდი ნაწილი ბილინგვური – ქართულ-თურქულენოვანი იყო და ქართულ გვარებს ატარებდა. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა მათ მიმართ არათანმიმდევრულობას იჩენდა: 1926 წლის მოსახლეობის აღწერის დროს ისინი *„მუსულმანებად"* ჩაწერეს; 1939 წლის აღწერის დროს კი აღრიცხეს, როგორც *„აზერბაიჯანელები"*. ნაცვლად იმისა, რომ ადგილზევე მოეხდინათ მათი დაბრუნება ქართველი ერის შემადგენლობაში, საბჭოთა ხელისუფლების ანტიპუმანური პოლიტიკის ნყალობით ისინი 1944 წელს გაასახლეს ამ ტერიტორიიდან. ამჟამინდელ რუსულ ლიტერატურაში მესხეთის გამუსლიმებულ ქართულ მოსახლეობას *„თურქ-მესხებად"* (турки-месхетинцы) მოიხსენიებენ, ხოლო თურქეთში მათ *„ახალციხელ თიურქებს"* (Ahıska Türkler) უწოდებენ. მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის საზღვარგარეთიდან ნაქეზებული ლიდერები უარყოფენ ქართველობასთან რაიმე კავშირს, მოითხოვენ დაბრუნებას საზღვრისპირა რაიონში და მათთვის ტერიტორიული ავტონომიის შექმნას იქ მცხოვრები ქართული და სომხური მოსახლეობის ინტერესების სრული უგულებელყოფით. ეთნოტერიტორიული ავტონომია კონფლიქტს გარდაუვალს ხდის, რაც კარგად დაასაბუთა ერთმა შვედმა მეცნიერმა, სხვათა შორის, საქართველოს მაგალითზე (Cornell, 2002].

თის მხარეში ისლამიზაცია უფრო გვიან მოხდა, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაც არ შეცვლილა [ნაჭყებია და სვანიძე, 1960]. ამის მიზეზი იყო როგორც მთიანი აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა, ისე დასავლეთ საქართველოდან, უპირატესად, გურიიდან გამოქცეული (*ფირარი/ფირალი* „გაქცეულს“ ნიშნავს) ყმა-გლეხების განუწყვეტელი ინფილტრაცია ქობულეთის მხარეში. როდესაც ფირალი მდინარე ჩოლოქს (საზღვარი გურიის სამთავროსა და ოსმალეთს შორის) გაღმა გადადიოდა, ის ხონთქრის ქვეშევრდომი ხდებოდა, მაგრამ მშობლიურ ენას არ ივიწყებდა.

დასავლეთ საქართველოს ქრისტიანი მეფე-მთავრები სულტნის ვასალები გახდნენ. მაგრამ მათი სამფლობელოები იმპერიის სტანდარტულ ადმინისტრაციულ ნაწილებად არ ქცეულა. პიტჩერი [Pitcher, 1974, 130] იძლევა ოსმალეთის ვასალური ტერიტორიების კლასიფიკაციას: მაგალითად, *პრესტიჟული* მნიშვნელობა ჰქონდა წმინდა ადგილებს ჰიჯაზში; *სამხედრო* მნიშვნელობა ჰქონდა სასაზღვრო რეგიონებს, მაგალითად, *ვალახეთს* (დღევანდელ რუმინეთში), *ყირიმს, ქურთისტანს*; *კომერციული* მნიშვნელობა ჰქონდა კუნძულ *ქიოსს, რაგუზას* (დღევანდელი *დუბროვნიკი*) და რამდენიმე სხვა რეგიონს, მათ შორის დასავლეთ საქართველოს: ოსმალეთს აქედან გაჰქონდა ხე-ტყე და გაჰყავდა მონები.

XVIII საუკუნის ბოლოს ოსმალეთში შეითხზა მითი, თითქოს ხალიფას უკანასკნელმა შთამომავალმა XVI საუკუნეში თავისი უფლებამოსილება გადასცა *სულტან სელიმ I*-ს. ასეთ „არგუმენტაციაზე“ დაყრდნობით ოსმალო სულტნებმა ხალიფას, ანუ ისლამის უზენაესი რელიგიური ხელმძღვანელის, ტიტულიც მიითვისეს.

ისლამის წმინდა ადგილების – მექასა და მედინას – ფლობა სულტანს, რომელიც XIX საუკუნიდან ერთდროულად ხალიფაც იყო, დიდ წონას მატებდა ისლამურ სამყაროში. გარდა ამისა, ოსმალეთის შემადგენლობაში იყო ქრისტიანთათვის წმინდა მიწა – პალესტინა იერუსალიმითურთ.

ოსმანისა და მისი მემკვიდრეების მიერ შექმნილმა სახელმწიფომ ანატოლიის სხვა თურქულ ბეილიქებს აჯობა სხვადასხვა გარემოებათა გამო.

ოსმალეთის თავდაპირველი წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მისი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და იმ დროს არსებული გეოპოლიტიკური ვითარება:

- თავისი არსებობის საწყის ეტაპზე (XIII-XIV სს.) ოსმანის ბეილიქის მდებარეობა მცირე აზიის დასავლეთ პერიფერიაზე მას საშუალებას აძლევდა არ ჩართულიყო მცირე აზიის ცენტრში და მის აღმოსავლეთით მდებარე სხვა თიურქულ სახელმწიფო წარმონაქმნებთან ჰეგემონობისათვის სისხლიან მეტოქეობაში; ამის ნაცვ-

ლად ოსმანის მემკვიდრენი ებრძოდნენ მეზობელ მისუსტებულ ბიზანტიას, რომლის რეალური ძალაუფლება ჯვაროსნების მიერ გაძარცულსა და დაქცეულ კონსტანტინოპოლს ვეღარ სცდებოდა;
- XVI საუკუნის დამდეგამდე დასავლეთ ევროპაში არ არსებობდა საკმარისად ძლიერი სახელმწიფოები, რომელთაც აღმოსავლეთის მიმართ სერიოზული ინტერესი ექნებოდათ. ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ აქტიური იტალიური ქალაქ-რესპუბლიკები – ვენეცია და გენუა – თითქმის ყოველთვის ერთმანეთში ქიშპობდნენ და საერთო პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ არ ატარებდნენ;
- მეზობელი ბალკანეთის ქვეყნები ურთიერთკონფლიქტებში იყვნენ ჩართული და ვერ ერთიანდებოდნენ ოსმალური საფრთხის წინააღმდეგ;
- ირანი XVI საუკუნემდე ერთიანი სახელმწიფო არ იყო;
- XVI საუკუნემდე რუსეთი გეოგრაფიულად ძალიან დაშორებული იყო ახლო აღმოსავლეთს და იქ არავითარ პოლიტიკას არ ატარებდა.

როდესაც XV საუკუნის დამდეგს ცენტრალური აზიიდან მოულოდნელად მოვიდა სერიოზული ძალა თემურ-ლენგის ურდოების სახით, ოსმალეთის სახელმწიფო დაშლის პირას აღმოჩნდა. ოსმანის მემკვიდრეთა საბედნიეროდ, თემური უკან გაბრუნდა, ხოლო მის სიკვდილთან ერთად მისი იმპერიაც გაქრა.

ოსმალეთისათვის ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა, რომ ის თავიდანვე ევრაზიული სახელწიფო იყო: მისი პირველი დედაქალაქი 1326 წლიდან მარმარილოს ზღვის სიახლოვეს, მცირე აზიაში მდებარე ქალაქი *ბურსა* იყო, მეორე დედაქალაქი კი, 1366 წლიდან, ევროპაში, ისტორიულ თრაკიაში მდებარე *ედირნე (ადრიანოპოლი)*. ოსმალეთის მესამე, და უკანასკნელი[1] დედაქალაქი (ოფიციალურად – 1457 წლიდან) ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე, 1453 წელს დაპყრობილ ქალაქ *კონსტანტინოპოლში* დაეფუძნა. ოსმალო თურქები მას *ისტანბულს* უწოდებდნენ, ოფიციალურ მიმოწერაში კი მას ხანდახან *„კუსტანტინიე“*-დაც მოიხსენიებდნენ.

ევროპასთან სიახლოვე საშუალებას აძლევდა ადრეულ ოსმალეთს ესარგებლა იმ ტექნიკური სიახლეებით, რომლებიც უფრო დასავლეთით ჩნდებოდა. მაგალითად, არტილერიის მასობრივი გამოყენება ოსმალეთმა ბევრ ევროპულ ქვეყანაზე ადრე დაიწყო, თუმცა მისი ზარბაზნის ჩამომსხმელები და მეზარბაზნეები ევროპელები იყვნენ.

ოსმალეთისათვის კიდევ ერთი პლუსი აღმოჩნდა მისი საკმაოდ მოქნილი ეროვნული პოლიტიკა. ისევე, როგორც სელჩუკიანები და სეფიანები, ოსმალები ახალ გამუსლიმებულ ნიჭიერ და პატივმოყვარე კაცს

1. *ანკარა* არასოდეს ყოფილა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი: 1923 წელს ის *თურქეთის რესპუბლიკის დედაქალაქად* გამოცხადდა.

სულტნის კარზე კარგი კარიერის გაკეთების საშუალებას აძლევდნენ. ოსმალოდ ითვლებოდა ყველა სუნიტი მუსლიმი, ვინც სულტნის სამსახურში იყო. ევროპელები, რომლებიც ისლამს იღებდნენ, სხვა სოციოკულტურულ გარემოში ადრე მიღებული ცოდნით კარგად ემსახურებოდნენ სულტნებს (მაგალითად, სტამბოლის ბრწყინვალე მიზგითების მშენებელი *სინან ფაშა* წარმოშობით ბერძენი იყო; დიდვეზირებს შორის აბსოლუტური უმრავლესობა ბალკანური წარმოშობის ალბანელი, სერბი, ბოსნიელი იყო[1]). ოსმალების, განსაკუთრებით სტამბოლელების, საგრძნობ ნაწილს ბალკანური და კავკასიური წარმოშობის სისხლი უჩქეფდა (ეს დღევანდელი თურქების ანთროპოლოგიურ ტიპშიც ჩანს).

იმპერიაში რელიგიათაშორისი მშვიდობის შენარჩუნებას ოსმალეთი ახერხებდა ე.წ. მილეთების სისტემის გზით. ყველა „წიგნის ხალხს" (ბერძენ მართლმადიდებლებს, სომეხ გრიგორიანებს, იუდეველებს, კათოლიკეებს: ამ უკანასკნელთ *„ფრენგის"* უწოდებდნენ), რომლებსაც ცალკე *მილეთად* (ერად) ცნობდნენ, სულტანი გარკვეულ კულტურულ ავტონომიას ანიჭებდა, აძლევდა რელიგიური განათლებისა და საკუთარ ენაზე ბეჭდვის უფლებას. ამის გამო წიგნის ბეჭდვა სტამბოლში ბერძნულ, სომხურ, ებრაულ ენებზე საუკუნე-ნახევრით ადრე დაიწყო, ვიდრე ოსმალურ-თურქულ ენაზე[2]. კონსტანტინოპოლის ბერძენ და სომეხ პარტიარქებს, ებრაელთა მთავარ რაბინს სულტნისაგან უნდა მიეღოთ დამტკიცების ფირმანი. *მილეთების* სისტემამ რელიგიური და ეროვნული კონფლიქტები აარიდა ოსმალეთს XVIII საუკუნის ბოლომდე.

თავიანთ სამხედრო ძალას ადრეული ოსმალები ავსებდნენ როგორც აზიის, ისე ევროპის ხარჯზე. აზიაში მათ შეეძლოთ დაყრდნობა იმ თიურქულ ელემენტზე, რომელიც ანატოლიაში დამკვიდრდა სელჩუკიანთა ბატონობის დროიდან (არსებითად, *სელჩუკიანებისა და ოსმალების ეთნიკური ბირთვი ერთი და იმავე წარმოშობის ოღუზური წარმოშობის თიურქები იყვნენ*: განსხვავდებოდა მხოლოდ მმართველი დინასტიები). ოსმალეთის სულტნები ამ ანატოლიელ თურქებს შორის პოულობდნენ *აკინჯიების* (მოთარეშეების) კადრებს.

გარდა იმდროისათვის მოწინავე ევროპული ტექნოლოგიების, უპირველესად ცეცხლსასროლი იარაღის, გამოყენებისა, ოსმალთა სამხედრო

1. ოსმალეთში იყვნენ ქართული ნარმოშობის დიდვეზირები და ფაშებიც, რაც შეიძლება რაღაც „კანონიერ სიამაყეს" ინვეედეს მხოლოდ ჩვენს არაგათვითცნობიერებულ თანამემამულეებში (ზუსტად ისე, როგორც ჯუღაშვილისა და ორჯონიკიძის ქართული ნარმოშობა). ყველა ამ სამხრეთსა თუ ჩრდილოეთში მოხვედრილი და იქ დანინაურებული მამლუქის, იანიჩარისა თუ გენერლის მისამართით წერდა ქართველი პოეტი: *„შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველ ოსმალეთსა"*. ქართველად უნდა მიეიჩნიოთ მხოლოდ ის, ვინც უშუალოდ საქართველოს ემსახურება.

2. პირველი თურქული სტამბა სტამბოლში 1729 წელს დაარსდა, სხვათა შორის, ოციოდე წლით გვიან, ვიდრე ქართული სტამბა თბილისში. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ პირველი სპარსული სტამბა საკუთრივე სპარსეთში კიდევ უფრო გვიან, 1817 წელს, დაარსდა (თუმცა სპარსულ ენაზე ნიგნები სხვაგან უფრო ადრეც იბეჭდებოდა).

უპირატესობას თავის მეტოქეებზე ქმნიდა რეგულარული არმია. ასეთი არმიის ხერხემალი კი იყო იენიჩერთა კორპუსი (*იენი ჩერი* – „ახალი ჯარი"). იენიჩერები (ქართულში მათ *იანიჩრებად* მოიხსენიებდნენ) იყვნენ ე.წ. *დევშირმეს* წესით ქრისტიანი ხალხებიდან (მხოლოდ ალბანელებიდან, ბოსნიელებიდან, ბერძნებიდან, ბულგარელებიდან და სომხებიდან; სხვა ტომებში *დევშირმე* აკრძალული იყო [გაბაშვილი, 1957, 259]): მცირეწლოვან ასაკში წამოყვანილ, გამუსლიმებულ და სათანადოდ გაწვრთნილი სულტნის გვარდიის წევრებს, რომელთაც ეკრძალებოდათ ოჯახის შექმნა და მოეთხოვებოდათ სულტნის უსიტყვო მორჩილება. XIV-XVI საუკუნეებში იენიჩერთა ქვეითი ჯარი მსოფლიოში საუკეთესო არმია იყო და ოსმალეთის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა. მისი მეშვეობით შეიძლებოდა დიდი ლაშქრის გაკონტროლება. რადგან იენიჩერები სხვადასხვა ტომიდან იყვნენ შეკრებილი და, როგორც ჯგუფი, ვერც ერთ ტერიტორიას ვერ მიიჩნევდნენ „თავისად", ისინი ვერც სეპარატიზმის საფრთხეს შექმნიდნენ[1].

გარდა ამისა, გვერდს ვერ ავუვლით შუა საუკუნეების ოსმალეთის სახელმწიფო მშენებლობის ისეთ ფაქტორს, როგორიცაა **ოსმანის შთამომავლობის ადრეული წარმომადგენლების პირადი თვისებები** – ნებისყოფა, ენერგია და, ამავე დროს, დღევანდელი პოზიციიდან, „ზღვარგადასული" სისასტიკე[2]. XV და XVI საუკუნეებში დიდვეზირების მხოლოდ ნაწილი თუ გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით ან გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე – ბევრ მათგანს სულტნის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. სულტანთან სიახლოვე დაუსჯელობის გარანტია სულაც არ იყო. დასჯა კი ხშირად ხდებოდა თითქმის უმიზეზოდ, სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად, სასტიკი დისციპლინის განსამტკიცებლად. კარიერამოწყურებულ, პატივმოყვარე ახალგაზრდებს ალბათ არ წაეკითხათ *ნიზამი განჯელის* შეგონება *„ფადიშაჰთან სიახლოვეს ერიდე!"*

ოსმალეთის განვითარების ყველა დადებითმა ფაქტორმა XVIII საუკუნისათვის თავისი პოტენციალი სრულად ამოწურა. ამ დროისათვის ნათელი გახდა დასავლეთ ევროპის სამეცნიერო-ტექნიკური და სამხედრო-ეკონომიკური უპირატესობა, რაც იქამდე სულაც არ ჩანდა.

---

1. XVII საუკუნიდან იენიჩერთა ინსტიტუტი გადაგვარებას იწყებს. XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან *დევშირმე* ეულად ტარდებოდა, რადგან ევროპამ სერიოზულად შეუტია ოსმალეთს ბალკანეთში. იენიჩერები ოჯახდებიან (ეს უფლება მათ 1581 წლიდან მიიღეს) და ფაქტობრივად ქმნიან სულტნის პრეტორიანულ გვარდიას; სულტანი იენიჩერებზე დამოკიდებული ხდება; ისინი მოითხოვენ უზომო პრივილეგიებს. 1826 წელს იენიჩერთა მორიგი გამოსვლა სტამბოლში *სულტან მაჰმუდ II*-მ ზარბაზნებით ჩაახშო და ამ ინსტიტუტმა არსებობა შეწყვიტა.

2. ვინაიდან სულტანს დიდ პარამხანაში მრავალი ვაჟიშვილი უჩნდებოდა, მისი მემკვიდრე, ყველაზე ყოჩაღი და ჯანმრთელი ვაჟი, ტახტზე ასვლისთანავე ახოცვინებდა თავის ძმებსა და ნათესავძმებს, რათა კონკურენტი არასდროს ჰყოლოდა (ეს წესი დაადგინა კონსტანტინოპოლის დამპყრობმა *სულტან მეჰმედ II*-მ). ამის გამო არ დამდგარა იმპერიის გაყოფის საკითხი. ეს სასტიკი წესი მხოლოდ XVII საუკუნეში შეცვალა *სულტან აჰმედ I*-მა: უფლისწულებს დახოცვის ნაცვლად სამუდამო პატიმრობაში ამყოფებდნენ. მოგვიანებით ეს წესიც გაუქმდა.

მთლიანად ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, ოსმალეთში არ შექმნილა ისეთი *სოციალურ-კულტურული გარემო*, რომელიც საწარმოო ძალების განვითარებასა და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს შეუწყობდა ხელს. არადა, სწორედ ასეთმა გარემომ განაპირობა დასავლეთ ევროპის განვითარება, სადაც, როგორც *მაქს ვებერმა* დაამტკიცა, „პროტესტანტიზმმა შექმნა კაპიტალიზმის სული".

ისლამი მართლმორწმუნეს უკრძალავს მევახშეობას და, ფაქტობრივად, საბანკო საქმიანობასაც (არამუსლიმის მიერ ამ აკრძალვის დარღვევაზე სულტნის ხელისუფლება თვალს ხუჭავდა, მაგრამ სტამბოლში ფულის ტრიალი სახიფათო რამ იყო). დასავლეთ ევროპაში კი XVII საუკუნის ბოლოდან სწორედ ბანკები იქცა ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების სტიმულად (ინგლისის ბანკი 1694 წელს დაარსდა). ოსმალეთის სოფლის მეურნეობის განვითარებას ბორკავდა ის, რომ XIX საუკუნის შუაწლებამდე *მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა*. გარდა ამისა, სახნავ-სათესი მიწის თითქმის სამი მეოთხედი *ვაკფად** იყო შეწირული და გასხვისებას არ ექვემდებარებოდა.

ოსმალეთის ბურჟუაზია თითქმის მთლიანად *კომპრადორული** იყო, რომლის სიმდიდრეს უცხოური საქონლის იმპორტი განაპირობებდა. ასე დაგროვებული სავაჭრო კაპიტალი არ გადაიზრდებოდა სამრეწველო კაპიტალში და არ ხმარდებოდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. კომპრადორები ძირითადად არათურქები და არამუსლიმები იყვნენ. მაგალითად, 1911 წელს სტამბოლში აღრიცხული ათასზე მეტი ვაჭრიდან მხოლოდ 70 იყო ეთნიკური თურქი, დანარჩენი – სომეხი, ბერძენი ან ებრაელი [Готлиб, 1960, 37]. *გარდა ამისა, უმაღლესი ხელისუფლების, ბიუროკრატიისა და „სამართალდამცავი ორგანოების" განსაცვიფრებელი სიხარბე ნებისმიერ ეკონომიკურ წამოწყებას ჩანასახშივე სპობდა*. ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი არ ხდებოდა[1]. მრეწველობა არ ვითარდებოდა.

*ნაციონალური ბურჟუაზია** ოსმალეთში არ შექმნილა. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ეთნიკურად არათურქ კომპრადორებს აღარც უნდოდათ ოსმალეთის ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვა. ისინი ჩქარობდნენ მოგებული ფული დასავლეთის ბანკებში გაეტანათ. კორუმპირებული მოხელეები (*პარაზიტული ბურჟუაზია**), რომლებიც სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა ქრთამის მიღებას ან „წილში ჩაჯდომას" აყენებდნენ, მხოლოდ უცხოურ ვალებს აგროვებინებდნენ მთავრობას.

1854 წელს ოსმალეთმა პირველად აიღო საგარეო სესხი 75 მილიონი

1. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ოსმალეთის ტექნიკური ჩამორჩენილობა მკვეთრ კონტრასტს ქმნის არაბული სახალიფოს, განსაკუთრებით აბასიანთა ეპოქასთან, როდესაც აღმოსავლეთი მეცნიერული სიახლეების სათავეში იყო, ქრისტიანული ევროპა კი – ჩამორჩენილი დოგმატიზმის ტყეობაში. მაგრამ შუა საუკუნეების არაბულ მეცნიერებას საკმაოდ შეზღუდული მასშტაბი ჰქონდა. მიღწევები, ასე ვთქვათ, ფუნდამენტურ მეცნიერებებს განეკუთვნებოდა და მათ გამოყენებითი ხასიათი ნაკლებად მიეცა.

ფრანკის ოდენობით (ქვეყანაში ამ თანხის ნახევარმა მოაღწია: დანარჩენი სხვადასხვა „შუამავლებმა“ დაიტოვეს). ახალი სესხები და პროცენტები სწრაფად ზრდიდა ვალს, რომელმაც 1876 წლისათვის 2 მილიარდ 400 მილიონ ფრანკს გადააჭარბა [Еремеев, 1980, 120]. 1881 წლიდან გაკოტრებული ქვეყნის ფინანსური მართვა ხელში აიღო *„ოსმალეთის საზოგადოებრივი ვალის ადმინისტრაციამ“*, რომელსაც უცხოელები განაგებდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო XVII საუკუნის ბოლოდან ოსმალეთის სამხედრო წარმატებები ქრონიკული მარცხით შეიცვალა. 1683 წელს ვენის უკანასკნელი ალყა ოსმალთა არმიის განადგურებით დამთავრდა: სასტიკი დამარცხება მათ პოლონელებმა აგემეს, რომლებიც ვენის დასახსნელად მოვიდნენ. ევროპამ, უპირველესად ავსტრიამ და რუსეთმა, დაიწყო ევროპიდან თურქების გამოდევნა. XVIII საუკუნის ბოლოს, ეგვიპტესა და პალესტინაში ნაპოლეონის ლაშქრობამაც საკმაოდ სერიოზული ბზარი დააჩნია ოსმალეთის იმპერიას.

ევროპისაგან აშკარა ჩამორჩენამ აიძულა სულტნის კარი ერთგვარ *მოდერნიზაციაზე* წასულიყო. 1839 წელს დაწყებული **თანზიმათის** (რეფორმების) ეპოქაში სხვადასხვა სიახლე გაჩნდა, უფრო მეტად ყირიმის ომის (1853-1856) შემდეგ. შემოღებულ იქნა, მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტი, ევროპული ენებიდან ითარგმნა და დაინერგა სისხლის სამართლის, სამოქალაქო, მიწისა და სხვა კოდექსები, გაიხსნა ბანკები, დაიწყო სარკინიგზო მშენებლობა, არამუსლიმებს მიეცათ (უფრო თეორიული, ვიდრე რეალური) უფლება დაეკავებინათ მაღალი სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობა და ა.შ. სიახლეთა შორის იყო მიწაზე კერძო საკუთრებისა და უცხოელების მიერ უძრავი ქონების შეძენის უფლების დაკანონება. ევროპელთათვის გაიხსნა *წმინდა მიწა*, ქრისტიანულმა ეკლესიებმა დაიწყეს იქ შენობებისა და მიწის შესყიდვა, მისიონერებისა და პილიგრიმების გაგზავნა. ინგლისმა, საფრანგეთმა, რუსეთმა, ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიამ, აშშ-მა და სხვა ქვეყნებმა საკონსულოები გახსნეს იერუსალიმში.

XX საუკუნემდე უცხო ძალა ოსმალეთს არ ეცილებოდა პოლიტიკურ კონტროლს ქრისტიანობისა და ისლამის წმინდა ადგილებზე. მაგრამ, როგორც ქვევით იქნება ნაჩვენები, ოსმალეთის მოწინააღმდეგეების მიერ *პოლიტიკურ ფაქტორად წმინდა ადგილების გამოყენება* პირველი მსოფლიო ომის დროს საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა.

XIX საუკუნეში ოსმალეთის იმპერიას ფაქტობრივად მოსწყდა ეგვიპტე. *1830-იან წლებში ეგვიპტის არმია ორჯერ შეიჭრა ანატოლიაში* და სავსებით რეალური საფრთხე შეუქმნა თვით ოსმანთა დინასტიის არსებობას. საჭირო გახდა ევროპის მონარქიების, მათ შორის რუსეთის, ჩარევა, რათა არ მომხდარიყო მათთვის არასასურველი გეოპოლიტიკური ძვრა: დაუძლურებული ოსმანის დინასტიის ადგილზე იმ დროს ენერგიული ეგვიპტური დინასტიის (მუჰამედ ალის შთამომავლობის) გამეფება ოსმალეთს გააძლიერებდა. იმავე საუკუნეში არაბეთის ნახევ-

არკუნძულის პერიფერიაზე თავისი ინტერესები მკაფიოდ დააფიქსირა დიდმა ბრიტანეთმა, ხოლო 1882 წელს მან ეგვიპტის ოკუპაცია მოახდინა.

რუსეთის იმპერიის ექსპანსიონიზმთან დაკავშირებით ოსმალეთს ყველაზე ხშირად (თუმცა ყოველთვის არა) შეეძლო დიდი ბრიტანეთის იმედი ჰქონოდა. ლონდონი არ იყო დაინტერესებული, რომ დასუსტებული ოსმალეთის ადგილი ახლო აღმოსავლეთში მომძლავრებულ რუსეთს დაეჭირა და ამიტომაც სულტანს ეხმარებოდა, უპირველესად დიპლომატიური გზით. ოსმალეთი საკმაოდ დიდხანს თამაშობდა ზესახელმწიფოების ამ წინააღმდეგობებზე.

XIX საუკუნის მიწურულიდან ოსმალეთს „ყველაზე საიმედო მოკავშირედ" გერმანიის იმპერია მოევლინა, რომელსაც თითქოს აღმოაჩნდა თანხვედრა ოსმალეთის ინტერესებთან. მაგრამ სწორედ გერმანიასთან მოკავშირეობამ ჩაითრია ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომში და ტრაგიკულ აღსასრულამდე მიიყვანა იგი.

XIX საუკუნეში ოსმალეთი (ისევე, როგორც სპარსეთი) დასავლეთევროპული და რუსული იმპერიალიზმის ძლიერი შეტევის ობიექტი ხდება. მაგრამ *XVI საუკუნიდან I მსოფლიო ომამდე ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ ორი სუვერენული სახელმწიფო არსებობდა – ოსმალეთი და სპარსეთი.* დასავლეთ აზიაში „სუვერენიტეტების აღლუმი" მხოლოდ I მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყება.

ბალკანეთში ეს უფრო ადრე მოხდა. წარმატებული აჯანყების შედეგად ოსმალეთის იმპერიას გამოეყო და მის ევროპულ ნაწილში შეიქმნა *საბერძნეთის სამეფო* (1830 წ.). მოგვიანებით ბერძნების მაგალითს მიჰყვნენ სულტნის ქვეშევრდომი რუმინელები, სერბები, ბულგარელები, ალბანელები, ბუნებრივია, საკუთარ ტერიტორიებთან ერთად. *იმპერიის ხარჯზე მცირე სახელმწიფოების შექმნის პროცესს დღემდე „ბალკანიზაციას" უწოდებენ.*

ოსმალეთის ევროპული სამფლობელოების ნაწილი (*ბოსნია* და *ჰერცეგოვინა*) ავსტრიელ ჰაბსბურგთა იმპერიამ შეიერთა. ოსმალეთის ფართობი ევროპაში მკვეთრად შემცირდა.

საგარეო პოლიტიკური ვითარების გაუარესებას უნდა ჩაეფიქრებინა „*ბრწყინვალე პორტა*"[1], რომ დროა გადაისინჯოს გეოპოლიტიკური კოდი. *მაგრამ ოსმალეთის ჩარხი უკვე უკუღმა ტრიალებდა: მისი, როგორც შუა საუკუნეების იმპერიის, გადარჩენა შეუძლებელი იყო.* XIX საუკუნის ბოლოს ამას მიხვდნენ ევროპაში განათლებამიღებული ოსმალეთის ინტელექტუალური ძალებიც.

ნაციონალიზმის იდეები ვრცელდებოდა ოსმალეთის არამუსლიმ მოსახლეობაში, განსაკუთრებით სომხებში. ეს აღვივებდა ოცნებას ორი

1. ეს არის ოსმალეთის მთავრობის ადგილსამყოფელის – *ბაბ-ი-'ალის* („უზენაესი კარი") რუსული სახელის – Блистательная порта – თარგმანი, რომელიც, თავის მხრივ, არის ფრანგული la Porte sublime-ის დამახინჯებული კალკი.

ათასწლეულის წინ არსებული დიდი სომხეთის სამეფოს აღდგენის შესახებ, რაც პრაქტიკაში ნიშნავდა ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ტერიტორიებიდან ახალი სახელმწიფოს გამოჭრას. რუსეთის იმპერია, რომელსაც თავის მხრივ პრობლემას უქმნიდა სომხური ნაციონალიზმი კავკასიაში, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო სომხები თურქებისათვის დაეპირისპირებინა.

რუსეთი და დასავლეთ ევროპის ქვეყნები აქტიურად უწყობდნენ ხელს ადრე მეტ-ნაკლებად ნორმალური ურთიერთობის მქონე მუსლიმი (თურქი, ქურთი) და ქრისტიანი (სომეხი, ბერძენი, ასირიელი) მოსახლეობის ანტაგონიზაციას, რაც XX საუკუნის დასაწყისში ამ უკანასკნელთათვის ტრაგიკულად დასრულდა (იხ. თავი 6).

ევროპული ტიპის ნაციონალიზმმა ოსმალეთის მმართველ ერზე გავლენა უფრო გვიან მოახდინა, ვიდრე დამორჩილებულ ერებზე. XIX საუკუნის ბოლოს შექმნილი სულტნის რეჟიმის მოწინააღმდეგე საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია „ერთიანობა და პროგრესი" (*ითიჰად ვე თერაქი*), რომელიც ნაციონალისტურ და რეფორმისტულ „*ახალგაზრდა თურქთა*" მოძრაობას წარმოადგენდა, თავდაპირველად თავის მიზნად აცხადებდა კონსტიტუციური მონარქიის შექმნას, დემოკრატიული უფლებების დამკვიდრებას, ოსმალეთის ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობის მიღწევას.

„ახალგაზრდა თურქებმა" მალე უკუაგდეს „პანოსმანიზმის", ანუ სულტნის ყველა ქვეშევრდომის ერთ ერად შეკვრის ფუჭი იდეა და ძირითადად უარი თქვეს „პანისლამიზმზე", რომლითაც სულტან-ხალიფას სურდა შეეკავშირებინა მსოფლიოს ყველა მუსლიმი. ამ მიუღწეველი იდეების ნაცვლად „ახალგაზრდა თურქებმა" გადამწყვეტი მნიშვნელობა ეთნიკური თურქების ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას მიანიჭეს.

უნდა ითქვას, რომ *ეთნიკური თურქული ნაციონალიზმის* იდეები ლონდონში ერთგვარი შვებით აღიქვეს, რადგან *პანისლამიზმი*, თეორიულად მაინც, ბრიტანეთის ქვეშევრდომებსაც შეეხებოდა, რომლებიც მრავლად იყვნენ ინდოეთის სუბკონტინენტზე [Özcan, 1997].

„ახალგაზრდა თურქებმა" დაიწყეს ევროპის ეროვნული სახელმწიფოების თვითსახელების თარგზე შექმნილი სახელის Türkiye[1] (თურქეთი) გამოყენება. მათვე აქციეს სიტყვა Türk საამაყო ეროვნულ თვითსახელად[1], რაც ფართოდ დამკვიდრდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დროს.

---

1. XX საუკუნემდე ოსმალეთის იმპერიის ელიტისათვის „თურქი" თვითსახელი არ იყო. ისინი თავს „*ოსმანლი*"-დ მიიჩნევდნენ და ძალიან სწყინდათ, თუკი რომელიმე უცხოელი მათ „თურქს" უწოდებდა, რადგან ოსმალეთში სიტყვა „თურქი" (Türk) იყო გაუნათლებელი ანატოლიელი გლეხის მეტსახელი (ქართული „ტეტიას" ანალოგი). მაგრამ ყველა ევროპელი ხალხი ოსმალებს „თურქებად" იცნობდა. ქართველებისათვის კი ისინი „ოსმალო თათრები" იყვნენ. ერთი ქართული ანდაზა არაპირდაპირ მიუთითებდა ლინგვისტურ ნათესაობაზე – „*ოსმანა და ალია ორივე თათარია*": „ოსმანი" – სუნიტი ოსმალო იყო, „ალი" კი – შიიტი აზერბაიჯანელი, რომლებიც მართლაც მონათესავე ენებზე ლაპარაკობენ. ხალიფა *ალის* სახელი ძალიან გავრცელებულია შიიტურ აზერბაიჯანში, ამიტომაა იქ ასე ხშირი გვარი *ალიევი*.

„ახალგაზრდა თურქების“ მიზნები აშკარად ნინააღმდეგობრივი იყო და საბოლოოდ ისინი ულტრანაციონალისტურ ძალად ჩამოყალიბდნენ. 1908 წლის რევოლუციის შედეგად მათ ქვეყნის მართვის სადავეები ჩაიგდეს ხელში და მალე დაიწყეს თურქიზაციის პოლიტიკა, რითაც მალე აიმხედრეს იმპერიის მუსლიმი ხალხებიც, უპირველესად – არაბები, რომლებიც იქამდე დისკრიმინირებულად არ მიიჩნევდნენ თავს.

I მსოფლიო ომის დროს „ახალგაზრდა თურქებმა“ წამოიწყეს ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკა, როდესაც ქვეყნის გეოპოლიტიკის ქვაკუთხედად აქციეს *თურანიზმი*, პანთურქისტული იდეის აგრესიული გამოვლინება – ყველა თიურქულენოვანი ხალხის ერთ სახელმწიფოში (*თურანში*) გაერთიანებისაკენ სწრაფვა [გიგინეიშვილი, 1963]. პრაქტიკულად თურანიზმის იდეის განხორციელება რუსეთის იმპერიისა და სპარსეთის ნაწილების ანექსირებას ნიშნავდა. ჰიპოთეტური *თურანი* ჩინეთის ხარჯზეც უნდა გაფართოებულიყო, სადაც ასევე ცხოვრობს თიურქულენოვანი მოსახლეობა (უიღურები).

თავიდან ეს ყველაფერი აუხდენელ ოცნებას უფრო წააგავდა. მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1910-იანი წლების დასაწყისში, ოსმალეთი მარცხდებოდა ლოკალურ ომებშიც კი და კარგავდა ტერიტორიას (ალბანეთი, მაკედონია, ლიბია). 1913 წლის მეორე ბალკანური ომის შემდეგ უზარმაზარი სამფლობელოებიდან ევროპაში ოსმალეთს ოციოდე ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობი დარჩა. თუ 1844 წელს სულტნის ქვეშევრდომთაგან 15 მილიონი ევროპაში ცხოვრობდა, ხოლო 16 მილიონი – აზიაში [Drysdale & Blake, 1985, 58], 70 წლის შემდეგ, I მსოფლიო ომის წინ, სტამბოლსა და მის შემოგარენში მცხოვრებთა გარდა ევროპაში სულტანს ქვეშევრდომი აღარ დარჩა.

მაგრამ I მსოფლიო ომის ბოლო წელს, როდესაც რუსეთმა სეპარატული ბრესტის ზავით მიატოვა მოკავშირეები და გააშიშვლა კავკასიის ფრონტი, „ახალგაზრდა თურქებს“ მოულოდნელად შეექმნათ საშუალება პრაქტიკაში გამოეცადათ თურანიზმის იდეა.

1918 წლის მეორე ნახევარში შეიქმნა „პარალელური ომებისა“ და მოკავშირეთა დაპირისპირების პარადოქსული სიტუაცია. ოსმალეთის არმია შეიჭრა დაუცველ სამხრეთ კავკასიაში, 15 სექტემბერს აიღო ბაქო და თურქესტანში, შუა აზიაში, გალაშქრებას გეგმავდა. ეს ხდებოდა ოსმალეთის მოკავშირე გერმანიასთან შეუთანხმებლად და მისი პოლიტიკური გეგმების საწინააღმდეგოდ. ბაქოზე იერიშის დაწყების წინ ოსმალეთის მთავრობა ძალიან გააღიზიანა გამოჟონილმა საიდუმლო ინფორმაციამ, რომ საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის 27 აგვისტოს გაცვლილი ნოტებით, მოსკოვი „*არ განიხილავდა არამეგობრულ აქტად, თუკი გერმანიის ჯარები განდევნიდნენ ბაქოდან ბრიტანულ ძალებს*“ [Лудшувейт, 1965, 253], ოღონდ ოსმალებს არ აეღოთ ეს ქალაქი. უთანხმოება მოკავშირეებს შორის სამხედრო შეჯახებამდეც კი მი-

დიოდა, განსაკუთრებით ახალშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის[1] ტერიტორიაზე [ibid, 205].

გერმანია მოითხოვდა ოსმალეთისაგან სამხრეთის ფრონტის დაცვას ბრიტანელებისაგან. მაგრამ კავკასიისა და შუა აზიის ნდომით შეპყრობილმა „ახალგაზრდა თურქებმა" რეალიზმის გრძნობა დაკარგეს. იმპერიის პრაქტიკულად დაუცველ სამხრეთ ნაწილში ბრიტანული სამხედრო ნაწილები, ზოგჯერ თავის არაბ მოკავშირეებთან ერთად, ზედიზედ იპყრობდნენ ქალაქებს. 1917 წელს მათ აიღეს ბაღდადი და იერუსალიმი, 1918 წლის შემოდგომაზე – ბეირუთი და დამასკო.

1918 წლის სექტემბერში *ანტანტის* ძალებმა ომიდან გამოთიშეს *ცენტრალური სახელმწიფოების* მხარეზე მებრძოლი ბულგარეთი. ოსმალეთი იზოლირებული აღმოჩნდა თავისი მთავარი მოკავშირისაგან. 1918 წლის ოქტომბერში სტამბოლმა აღიარა, რომ აღარ შეუძლია ომის გაგრძელება და ზავი ითხოვა. „ახალგაზრდა თურქების" მმართველი ჯგუფი ქვეყნიდან გაიქცა.

თურანიზმი ოსმალეთის გეოპოლიტიკის უკანასკნელ აკორდად შეიძლება ჩაითვალოს. ამ იდეის მიზანი განუხორციელებელი დარჩა და თვალმისაწვდომ მომავალში ასეთად დარჩება კიდეც. რაც შეეხება ზოგად პანთურქისტულ იდეას, რომელიც ოფიციალურად დაგმობილია თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ, ის დღემდე ცოცხლობს თურქეთისა და ზოგი სხვა თიურქულენოვანი სახელმწიფოს გარკვეულ (ამჟამად, ძირითადად მარგინალურ) ნაციონალისტურ წრეებში.

1918 წლის 30 ოქტომბერს საბერძნეთის კუნძულ ლემნოსის ნავსადგურში ღუზაჩაშვებულ ბრიტანულ კრეისერ „*აგამემნონზე*" ოსმალეთის იმპერიის წარმომადგენელმა საზღვაო მინისტრმა *ჰუსეინ რაუფ ბეიმ* ხელი მოაწერა ზავს (*„მუდროსის ზავებად"*), რომელიც სინამდვილეში სრული კაპიტულაცია იყო. სტამბოლში დაბრუნებულმა *რაუფ ბეიმ* ისე წარმოადგინა საქმე, თითქოს დაზავების პირობები ოსმალეთისათვის ხელსაყრელია... ხალხის გაბრიყვების ასეთ მეთოდს – დამარცხების გამარჯვებად გამოცხადებას – მიმართავენ ხოლმე პოლიტიკურად გაკოტრებული მთავრობები.

სამიოდე წელიწადში ოსმალეთის სახელიც კი გაქრა პოლიტიკური რუკიდან. მის ნანგრევებზე წარმოიშვა თურქეთის რესპუბლიკა და რამდენიმე არაბული სახელმწიფო.

---

1. 1918 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში გერმანია მაქსიმალურად მფარველობდა საქართველოს, რადგან ის საიმედო სტრატეგიულ მოკავშირედ (უფრო პროტექტორატად) ეგულებოდა კავკასიაში. ოსმალეთის „ახალგაზრდა თურქთა" და რუსეთის ბოლშევიკთა შიშით იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლებაც გერმანული გავლენის სფეროში ყოფნას ამჯობინებდა. ამ გეოპოლიტიკურ გათვლებს ხაზი გადაესვა იმავე წლის ნოემბერში, გერმანიაში მომხდარი რევოლუციისა და ომში მისი დამარცხებისთანავე.

სპარსეთი: სახელმწიფო და გეოპოლიტიკა

არდებილის შეიხის *სეფი-ედ-დინის* შთამომავალმა *ისმაილმა*, რომელმაც შვიდი თურქმანული ტომის გაერთიანება მოახერხა, დაიპყრო [სამხრეთ] აზერბაიჯანი და 1502 წელს ქ. თაბრიზში თავი გამოაცხადა სპარსეთის შაჰანშაჰად. შეიქმნა სეფიანთა სახელმწიფო.

ქართველების, ევროპელებისა და რუსებისათვის სეფიანთა სახელმწიფოსა და ირანის ტერიტორიაზე მისი მემკვიდრე სახელმწიფოების სახელი *სპარსეთი/პერსია* იყო. მხოლოდ 1935 წელს გამოცხადდება სახელმწიფოს ოფიციალურ სახელად „ირანი". ამიტომაც ამ ქვეთავში განხილულ სახელმწიფოს „სპარსეთის" სახელით მოვიხსენიებ, რაც ტერიტორიულად „ირანს" ემთხვევა და ფაქტობრივად მისი სინონიმია.

სეფიანთა დინასტიის შაჰები თავდაპირველად ეყრდნობოდნენ [სამხრეთ] აზერბაიჯანის თურქმანულ ტომებს – *ყიზილბაშებს („წითელთავიანებს")*, რომლებსაც ეს სახელი ეწოდათ იმის გამო, რომ ისინი, როგორც შიიტები, ატარებდნენ თორმეტნაკეციან (თორმეტი შიიტი იმამის აღსანიშნავად) წითელზოლიან თავსაბურავს (ჩალმას). *შაჰ-ისმაილმა* (რომლის წინაპრებიც სუნიტები იყვნენ) შიიტობა გამოაცხადა სახელმწიფო რელიგიად და ამით ქვეყნის შიიტი მოსახლეობის გული მოიგო, მათ შორის ეთნიკური სპარსელებისაც, რომლებიც იჩაგრებოდნენ იქამდე გაბატონებული სუნიტური დინასტიების მიერ.

შაჰ-ისმაილმა საკმაოდ სწრაფად გააერთიანა მთელი ისტორიული ირანის ტერიტორია, შეიერთა ჩრდილო-აღმოსავლეთით, შუა აზიისა და ავღანეთის მეზობლად მდებარე ხორასანი, რომელიც ამიერიდან სპარსეთის სახელმწიფოს ორგანული ნაწილი გახდა. 1507 წელს მან დაიპყრო აღმოსავლეთ ანატოლია [„არმენია/ქურთისტანი"], 1508 წელს კი – ბაღდადი და მთელი დღევანდელი ერაყი. პრაქტიკულად ჩამოყალიბდა სპარსეთის იმპერია, რომელსაც მალე მოუხდა დაპირისპირება დასავლეთით მდებარე არანაკლებ აგრესიულ მეტოქესთან, ოსმალეთთან.

1519 წელს შაჰ-ისმაილმა ილაშქრა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც. დაახლოებით ამ დროიდან მოყოლებული სპარსეთის შაჰანშაჰები (ქართველები მას „ყეენს" უწოდებდნენ) ქართლისა და კახეთის მეფეებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც თავიანთ ვასალებს. ყეენი ამტკიცებდა მცხეთის კათალიკოსსაც კი [კაციტაძე, 2001, 170].

სპარსეთის იმპერიის პერიფერიებზე (შუა აზია, ავღანეთის ნაწილი, ქურთისტანი, დაღესტანი) სუნიტური ისლამი ბატონობდა იმპერიის შიიტური ბირთვის საპირისპიროდ. მაგრამ ეს მაინც *„დარ ალ-ისლამი"* იყო. მკვეთრად განსხვავდებოდა მხოლოდ იმავე იმპერიის პერიფერიაზე მდებარე ქრისტიანული ქართლი და კახეთი, რომელთაც განსხვავებული მიდგომაც სჭირდებოდა. სპარსეთის შაჰები ეგუებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ქრისტიანობას, მაგრამ XVII საუკუნიდან, ფაქტო-

ბრივად, იმ პირობით, რომ ისლამში გადასულიყო ბაგრატიონთა დინასტიის მემკვიდრეობითი მმართველი[1]. თბილისში მას მეფეს უწოდებდნენ, ისფაჰანში კი – *გორჯესთანის ვალი*-ს, რაც რანგით უდრიდა განსაკუთრებული პრივილეგიებით გამორჩეულ „მენაპირე ამირას" [კუცია, 1999, 86].

შაჰების ამ პოლიტიკამ შედეგიც გამოიღო. ეს „პრივილეგიები" იყო მიზეზი, რომ გამუსლიმებული ქართველი მეომრებით იყო სავსე სეფიანი შაჰების *ყულის ჯარი* (სამეფო გვარდია); მისი მეთაური, *ყულარაღასი*, ხშირად ქართველი იყო; ზოგი პროვინციის ბეგლარბეგად შაჰი ასევე შიიტ ქართველს ნიშნავდა ხოლმე. რელიგიის გამოცვლა პიროვნების პირადი პოლიტიკური თუ ეკონომიკური დაინტერესების შედეგი იყო. XVI-XVIII საუკუნეებში სპარსეთი იმავეს წარმოადგენდა ქართლ-კახეთისთვის, რასაც XIX-XX საუკუნეებში რუსეთი – მთელი საქართველოსათვის: ეს იყო მეტროპოლია, სადაც შეიძლებოდა კარგი კარიერის გაკეთება, გამდიდრება. ეს დამოკიდებულება ხელსაყრელი იყო მეტროპოლიისათვის, შესაძლოა, კერძო პირებისთვისაც ქართველთაგან, მაგრამ ფიტავდა ჩვენს ეროვნულ ორგანიზმს.

სპარსეთის უფრო ორგანული ნაწილი, ვიდრე ქრისტიანული აღმოსავლეთ საქართველო, გახდა დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე თიურქულენოვანი შიიტური სახანოები და [აღმოსავლეთ] სომხეთი (ერევნისა და ნახჭევნის სახანოები), სადაც მოსახლეობა შერეული, მუსლიმურ-სომხური, იყო. XVII საუკუნეში ადგილობრივი სომხების საგრძნობი ნაწილი ამ სახანოების ქალაქებიდან, უპირველესად, ჯულფადან, შაჰ-აბასმა საკუთრივ სპარსეთში გადაასახლა იქ ვაჭრობის გასავითარებლად. ისფაჰანთან შეიქმნა მთელი სომხური დასახლება – ახალი ჯულფა (*ნოუ ჯოლფა*).

სეფიანი შაჰები და მათი მომდევნო ხელმწიფეები ხშირად იცვლიდნენ სატახტო ქალაქს. 1502 წლიდან შაჰის ტახტი იდგა *თაბრიზში*, 1548 წლიდან – *ყაზვინში*, 1597/1598 წლიდან – *ისფაჰანში*: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სეფიანები თანდათან აშორებდნენ დედაქალაქს ოსმალეთთან არასაიმედო საზღვარს (ნახ. 9.3). XVIII საუკუნეში, *ნადირ-შაჰ ავშარის* დროს დედაქალაქად იქცა *მაშჰადი*, აღმოსავლეთით მდებარე ხორასნის ცენტრი, *ქერიმ-ხან ზენდის* ზეობისას (1760-1779) – *შირაზი* (ფარსის პროვინციის ცენტრი), მერე, მოკლე დროით, ისევ *ისფაჰანი*. 1785 წლიდან *ყაჯართა* ახალი დინასტიის დამაარსებელმა *აღა-მოჰამად ხანმა* (ქართველები მას *აღა-მაჰმად-ხანად* ვიცნობთ) თავის სატახტო ქალაქად თეირანი აქცია, სადაც 1796 წელს თვითონ ეკურთხა შაჰად. თეირანი დღემდე არის ირანის დედაქალაქი.

---

1. ამ თვალსაზრისით ქართველობის დიდი წარმატება იყო 1745 წელს პრეცედენტად დამკვიდრებული *თეიმურაზ II*-ის ქრისტიანული წესით კურთხევა ქართლის მეფედ, რისი ნებაც მას *ნადირ შაჰმა* დართო [ბერძენიშვილი, 1965]. იმავე წესით ეკურთხა მეფედ *ერეკლე II*.

ნახ. 9.3. სპარსეთის დედაქალაქები XVI-XVIII საუკუნეებში



სპარსეთი თავისი უზარმაზარი ფართობისა და დიდი დემოგრაფიული პოტენციალის გამო თავადვე იქცა გეოპოლიტიკურ ძალად. მართალია, მისი საზღვრები სტაბილური არ იყო: ხანდახან ის ფართობით სჭარბობდა დღევანდელ ირანს, ძირითადად შუამდინარეთისა და ავღანეთის, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის ხარჯზე და ორ მილიონ კვადრატულ კილომეტრს აჭარბებდა, ხანაც ერთგვარად იკუმშებოდა, უპირატესად ოსმალთა და ავღანელთა, ხოლო XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში, რუსთა შემოტევის შედეგად.

ტერიტორიის დიდი სტრატეგიული სიღრმე და ოსმალეთთან ბუფერული სივრცის არსებობა საშუალებას აძლევდა სპარსეთის შაჰებს, XVI–XVII საუკუნეების ომების დროს, თუკი მათ არ შეეძლოთ ოსმალთა შეტევის შეჩერება, გამოეყენებინათ „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკა და გაენადგურებინათ ყველაფერი იქ, სადაც მოწინააღმდეგეს უნდა გაევლო. ტერიტორია ისე პარტახდებოდა, რომ არამც თუ მტრის ჯარს, ადგილობრივ მოსახლეობასაც იქ აღარ დაედგომებოდა: სურსათი არ იყო, შიმშილი ანადგურებდა ხალხს. ეს უპირატესად შეეხებოდა იმპერიის პერიფერიას – სამხრეთ აზერბაიჯანს, სამხრეთ კავკასიას. ყველაზე მეტად ზარალდებოდა არეზის ხეობა (დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნახჭევნის ავტონომიის ფარგლებში), რომელიც გეოგრაფიულად უმოკლესი გზაა ლაშქრის გადასაადგილებლად ანატოლიიდან კასპიის ზღვისაკენ ანდა პირიქით.

სპარსეთის გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელი იყო იმ დროს, როდესაც მასზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზები, მათ შორის „აბრეშუმის გზა". სპარსეთი კონტროლს უწევდა სატრანზიტო ვაჭრობას განედური მიმართულებით. მაგრამ XV საუკუნის ბოლოდან ევროპელებმა აფრიკის გარშემო გაკვალეს დამოუკიდებელი საზღვაო გზა სამხრეთ აზიისაკენ. ამიტომაც საქარავნო გზის მნიშვნელობა მომდევნო საუკუნეებში ნელ-ნელა კლებულობს, ხოლო XIX საუკუნეში საერთოდ კარგავს მნიშვნელობას, თუმცა საკუთრივ სპარსეთში წარმოებულ აბრეშუმს მყიდველი კარგა ხანს ჰყავდა, განსაკუთრებით სეფიანთა დროს. აბრეშუმით ვაჭრობა ძირითადად სომხების ხელში იყო.

ცნობილ აღმოსავლეთმცოდნე *ვალერიან გაბაშვილს* კარგად აქვს შენიშნული, რომ ქართული ქალაქების ვაჭრები, ეროვნებით ყველა სომეხი, მუდამ სპარსული ორიენტაციისა იყვნენ[1]. სომხებისათვის *კომპრადორობა** ერთგვარ „ეროვნულ პროფესიად" იქცა. მათი ეთნიკურ-პროფესიული სოლიდარობა იმდენად მტკიცე იყო, რომ თითქმის მთელ ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო საბითუმო ვაჭრობაში სხვა ეთნიკური ელემენტის გამოჩენა თითქმის შეუძლებელი გახდა. ებრაელებიც კი უფრო წერილ, საცალო ვაჭრობას მისდევდნენ და სათანადო კონკურენციას ვერ უწევდნენ სომხებს. სომეხი ვაჭრები ბატონობდნენ თაბრიზ-ალეპოს, ბაღდად-ალეპოს გზებზე, ალეპოდან კი ევროპას უკავშირდებოდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დასავლეთით სეფიანთა სპარსეთს ჰყავდა მუდმივი და ძლიერი მტერი ოსმალეთის იმპერიის სახით. თუმცა სპარსეთი ოსმალეთის ღირსეულ მეტოქედ წარმოჩინდა, მაგრამ ობიექტურად ის უფრო სუსტი იყო. მათი ომების დროს სტამბოლს საფრთხე არასოდეს შექმნია, მაშინ, როცა თავრიზსა და ყაზვინს – ხშირად. გარდა ამისა, სპარსეთს აღმოსავლეთის ფრონტიც ჰქონდა ავღანეთის სახით, საიდანაც XVIII საუკუნეში მოვიდა კიდეც სეფიანთა დინასტიის დამამხობელი ძალა (1722 წელს ავღანელებმა ისფაჰანი აიღეს: მალე სეფიანთა დინასტია შეწყდა). მაგრამ იქამდე, ორი საუკუნის მანძილზე, სეფიანმა შაჰებმა შეძლეს სახელმწიფოს საკმარისი სტაბილიზაცია და მისი დაბრუნება თითქმის იმ საზღვრებში, რომელიც VII საუკუნემდე ჰქონდა სასანიანთა ირანს (შუამდინარეთის გარეშე).

ყველაზე დიდი წვლილი ამ მიმართულებით მიუძღვის *შაჰ აბას I-ს* (1587-1629). მართალია, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ცუდის მეტი

---

1. ქართლ-კახეთში სომეხ ვაჭრებს ქართველი ფეოდალების გამომძალველობისაგან დასაცავად მუსლიმი მეფე ერეკლე II-ს, რომელსაც ზურგს გაუმაგრებდა სპარსეთის შაჰი [გაბაშვილი, 1957, 382]. ვაჭრები იმედს ამყარებდნენ ერეკლე II-ზე, როდესაც ის ძლიერი იყო. მაგრამ განსაკუთრებული ენთუზიაზმით სომეხი ვაჭრები მიესალმებოდნენ კავკასიაში რუსული იმპერიული ხელისუფლების შემოსვლას, რომელიც „მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი". როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი დროის საქართველოზე წერდა – *„სადაც აქამდე ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის ან ჰმართავს ხელი"* – ის პოეტური ფორმით გადმოსცემდა ფაქტობრივად ეთნო-კლასობრივ დაპირისპირებას ქართველ თავადებსა და სომეხ ვაჭრებს შორის. XIX საუკუნის ამ ქიშპის ტრადიციამ ბოლშევიკების დროში ეკონომიკური საფუძველი დაკარგა, სამაგიეროდ, გადაინაცვლა პუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში.

არაფერი მოუტანია, მაგრამ თავისი იმპერიისათვის მან ბევრი ისეთი რამ გააკეთა, რის გამოც ირანში მას სამართლიანად უწოდებენ *„აბას დიდს“*. აბას I-ის დროს მოხდა საზღვრის სტაბილიზაცია დასავლეთით, მნიშვნელოვანი საგარეო ეკონომიკური კავშირები დამყარდა ევროპასთან (ინგლისი, ჰოლანდია), დაარსდა ახალი ქალაქები, სპარსეთი ინდოეთის ოკეანეზე გავიდა.

ის, რომ სპარსეთს ორი საზღვაო გასასვლელი ჰქონდა – ჩრდილოეთით, კასპიის ზღვაზე და სამხრეთით, ინდოეთის ოკეანესა და სპარსეთის ყურეში, მნიშვნელოვანი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უცხო ქვეყნებმა, ჩრდილოეთიდან – რუსეთმა და სამხრეთიდან – დასავლეთმა ევროპამ (პორტუგალია, ინგლისი, ჰოლანდია) „აღმოაჩინეს“ სპარსეთი და მასთან ურთიერთობის დადებითი მხარეები.

სპარსეთის ყურის ინდოეთის ოკეანესთან დამაკავშირებელ *ჰორმუზის სრუტეზე* კონტროლი 1515 წლიდან პორტუგალიელებს ჰქონდათ. მათ ააგეს ციხესიმაგრე *კუნძულ ჰორმუზზე* და იგი აღმოსავლეთთან ვაჭრობის საყრდენ პუნქტად აქციეს. ერთი საუკუნის შემდეგ ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ინტერესები ინდოეთის ოკეანეში დაუპირისპირდა პორტუგალიის ინტერესებს და დაემთხვა სპარსეთისას: ინგლისელებს ორჯერ უფრო იაფი უჯდებოდათ აბრეშუმის ყიდვა უშუალოდ ირანში, ვიდრე ოსმალეთის მთავარ სავაჭრო ცენტრში „აბრეშუმის გზაზე“, სირიის ქალაქ *ალეპოში*. 1623 წელს შაჰ-აბასის ჯარმა, ინგლისის ფლოტის დახმარებით, იერიშით აიღო ჰორმუზის ციხე და პორტუგალიელები გააძევა (ისინი გადაბარგდნენ მასკატში, არაბეთის ნახევარკუნძულზე).

რადგანაც იმდროინდელ სპარსეთს ფლოტი არ ჰქონდა, საბაჟო და სავაჭრო ოპერაციები კუნძულ ჰორმუზიდან გადატანილ იქნა მატერიკზე, იმ ადგილზე, სადაც შემდგომში დაარსდა ქალაქი *ბანდარ-ე აბასი* („აბასის ნავსადგური“).

შაჰ აბასისათვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ ინგლისურმა *ოსტ-ინდოეთის კომპანიამ* (East India Company), რომელიც XIX საუკუნის შუანლებამდე ფაქტობრივად განაგებდა ბრიტანეთის აზიურ სამფლობელოებს, XVII საუკუნეში სპარსეთში რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრივილეგია მოიპოვა. შემდგომში თითქმის ანალოგიური პრივილეგიები მიიღეს ჰოლანდიელებმა, XVIII საუკუნეში კი – ფრანგებმა.

სპარსეთის მეშვეობით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ფიქრობდნენ აღმოსავლეთის მხრიდან მუდმივი წნეხის შექმნას ოსმალეთისათვის, რომელიც ზოგი მათგანის პირდაპირი მტერი იყო. ამიტომაც სპარსეთს უფრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ევროპასთან, მათ შორის რუსეთთანაც, ვიდრე ოსმალეთს. ისფაჰანში არაერთხელ ჩასულა ელჩობა რუსეთიდან, ჰოლანდიიდან, ინგლისიდან, ესპანეთიდან. ქრისტიანები, განსაკუთრებით კათოლიკეები და სომეხი გრიგორიანები, სპარსეთის შაჰების პირადი მფარველობით სარგებლობდნენ.

XVIII საუკუნიდან სპარსეთში ისევ იწყება პოლიტიკური კრიზისების სერია. ხანმოკლე კონსოლიდაცია და ტერიტორიული ექსპანსიაც კი (მაგალითად, *ნადირ-შაჰ ავშარის* დროს) სახელმწიფოს გრძელვადიანი დასუსტებით იცვლება. ასეთ დროს პერიფერიებზე მდებარე ვასალური სამფლობელოები, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფიან ხოლმე. სამხრეთ კავკასიის მუსლიმი ხანები ავტონომიური გახდნენ. კახეთის ბაგრატიონებმა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მართვა დაიწყეს, როგორც ქრისტიანმა მეფეებმა. მაგრამ ქართლ-კახეთის მეფის ჰეგემონობის დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში გავრცელების მცდელობა ოსმალეთთან დაპირისპირებას ნიშნავდა.

მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს მოახერხა თურქმანული წარმოშობის ყაჯართა დინასტიამ სპარსეთის ხელახალი გაერთიანება (დინასტიამ 1925 წლამდე იმეფა). სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის *აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის* სადამსჯელო ლაშქრობა სამხრეთ კავკასიაში, იქაური „სეპარატისტების ჭკუაზე მოსაყვანად“, რისი კულმინაციაც იყო თბილისის აოხრება (1795 წ.).

ამ ლაშქრობას სპარსეთის პოლიტიკური მიზნის ზუსტად საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა, მით უმეტეს, რომ 1797 წელს *აღა-მაჰმადი* (1796 წლიდან – *შაჰი*) საკუთარმა დაცვამ მოკლა და ირანში ისევ დაიწყო შინაომი. აღმოსავლეთ საქართველოს ძლიერი ანტი-სპარსული განწყობით ისარგებლა რუსეთის იმპერიამ და ადვილად განავრცო თავისი ძალაუფლება კავკასიონის ქედის სამხრეთით, როდესაც 1801 წელს მოახდინა ქართლ-კახეთის ანექსირება. ამით რუსეთის იმპერია შევიდა და დამკვიდრდა უშუალოდ ახლო აღმოსავლეთში, რომლის ნაწილიც იმ დროს სამხრეთ კავკასია იყო.

რუსეთის მხრიდან ამ ექსპანსიის აღკვეთის მიზნით XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში სპარსეთმა ორჯერ წარუმატებლად იომა რუსეთთან. 1804-1813 წლების ომის შედეგად **სპარსეთმა დაკარგა, ხოლო რუსეთმა შეიძინა ყარაბაღის, განჯის, შექის, შირვანის, ყუბას, ბაქოსა და დარუბანდის სახანოები, თალიშის სახანოს ჩრდილო ნაწილი.** ეს ის ტერიტორიაა, რომელზეც, დარუბანდის გარეშე, 1918 წელს დაარსდება *აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა*. 1813 წლის *გულისტანის ზავის* პირობებით სპარსეთმა უარი თქვა თავის პრეტენზიაზე აღმოსავლეთ საქართველოსა და დაღესტანზე. ამიერიდან მხოლოდ რუსეთს ეძლეოდა უფლება ჰქონოდა სამხედრო ფლოტი კასპიის ზღვაზე.

1826 წელს სპარსეთმა *ჯიჰადი* (საღვთო ომი) გამოუცხადა რუსეთს: მიზანი იყო დაკარგული მიწების დაბრუნება. მაგრამ რევანშის ნაცვლად სპარსეთი კვლავ დამარცხდა და იძულებული გახდა 1828 წლის *თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებით* რუსეთისათვის დაეთმო ერევნისა და ნახჭევნის სახანოები. ახალი საზღვარი რუსეთთან ძირითადად მდინარე არეზზე გატარდა.

სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საზღვარი ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან დღემდე მიჰყვება 1828 წელს დადგენილ ხაზს. XXI საუკუნის დამდეგიდან ეს ხაზი პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მიჯნავს ევროპასა და აზიას (იხ. შესავალი).

1804-1828 წლების ომების შემდეგ სპარსეთსა და რუსეთს მეტი აღარ უომიათ და პირველ მსოფლიო ომამდე ამ ქვეყნებს საკმაოდ ინტენსიური ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ. რუსეთი, რასაკვირველია, როგორც უფრო ძლიერი პარტნიორი, ცდილობდა და ახერხებდა კიდეც გავლენა ჰქონოდა თეირანზე.

1879 წლიდან შეიქმნა *სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა* რუსი ოფიცრების ხელმძღვანელობით, რომელიც ყველაზე ბრძოლისუნარიანი სამხედრო შენაერთი იყო სპარსეთის არმიაში: ყაჯარი შაჰები კაზაკებს უპირველესად საკუთარი ოპოზიციის ჩასახშობად იყენებდნენ.

სპარსეთი ეკონომიკურადაც საკმაოდ დამოკიდებული იყო რუსეთზე, თუმცა ის არ იყო მხოლოდ გასაღების ბაზარი რუსული საქონლისათვის. უფრო პირიქით: სპარსული პროდუქცია დიდი მოცულობით შედიოდა რუსეთის იმპერიაში. სპარსეთის ბურჟუაზია და მემამულეები ძალიან იყვნენ დაინტერესებული რუსეთთან კარგი ურთიერთობით.

ავღანეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქის, *ჰერათის*, ფლობის გამო გამწვავებული წინააღმდეგობის გამოხატულება იყო ინგლის-სპარსეთის 1856-1857 წლების ომი, რომელშიც სპარსეთი დამარცხდა და სამუდამოდ აიღო ხელი ჰერათზე. 1870-72 წლებში ბრიტანეთმა ისე გამიჯნა სპარსეთისა და ავღანეთის საზღვარი სისტანსა და ბელუჯისტანში, რომ ამ სახელმწიფოებს ურთიერთპრეტენზიები ჰქონოდათ. მაგალითად, ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ავღანეთი თავისად მიიჩნევდა, ბრიტანელმა შუამავალმა სპარსეთს გადასცა, მაგრამ ამ უკანასკნელს არ შეეძლო ამ მიწის გამოყენება, რადგან მორწყვისათვის საჭირო წყლის სათავეები ავღანეთს დარჩა [ИД, II, 1963, 76].

XIX საუკუნეში წარმოებული გეოპოლიტიკური „დიდი თამაშის"[1] შემდეგ, 1907 წლის 31 აგვისტოს. ხელმოწერილ იქნა ბრიტანულ-რუსული შეთანხმება გავლენის სფეროების გამიჯვნაზე სპარსეთში, ავღანეთსა და ტიბეტში.

სპარსეთის ყველაზე დასახლებული და ათვისებული ნაწილი, საერთო ფართობით 790 ათასი კმ² (შედარებისათვის: ეს დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეტია) ცხადდებოდა *რუსეთის გავლენის სფეროდ*. ეს იყო *ყასრ-ე-შირინ-ისფაჰან-იეზდ-ზულფაგარის*

1. ცენტრალურ აზიასა (ავღანეთის ჩათვლით) და ახლო აღმოსავლეთში რუსეთ-ბრიტანეთის მეტოქეობის აღსანიშნავად ტერმინი „დიდი თამაში" (Great Game) პირველად გამოიყენა ვინმე კაპიტანმა *კონოლიმ*, მაგრამ მისი პოპულარიზაცია და გეოპოლიტიკურ კლიშედ ქცევა ცნობილი ინგლისელი მწერლის, *რადიარდ კიპლინგის* სახელს უკავშირდება [Parker, 1997, 117n].

(სპარსეთის, ავღანეთისა და რუსეთის საზღვრების თავშესაყარი) ხაზის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია.

ბრიტანეთის გავლენის სფერო ფართობით ორჯერ ნაკლები იყო – 355 ათასი კმ² (შედარებისათვის: ეს დღევანდელი გერმანიის ტერიტორიის ტოლფასია) და მოიცავდა უდაბურ, მაგრამ ბრიტანეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან, *ბანდარ-აბას-ქერმან-ბირჯანდ-გაზიკის* (სპარსეთ-ავღანეთის საზღვარი) ხაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას, რომელიც ბრიტანეთის ინდოეთსა და ავღანეთს ესაზღვრებოდა[1] (ნახ. 9.4).

ნახ. 9.4. სპარსეთის გაყოფა გავლენის სფეროებად რუსეთის იმპერიისა და დიდი ბრიტანეთის 1907 წლის ხელშეკრულებით



გავლენის სფეროებს შორის მდებარე სივრცე (შედარებისათვის: საფრანგეთის ტერიტორიის ტოლფასი) *„ნეიტრალურ ზონად"* ცხად-

1. სპარსეთის გამიჯვნისას დიდი ბრიტანეთის მიერ რუსეთისათვის საკმაოდ დიდი დათმობის საკომპენსაციოდ ბრიტანეთმა მოითხოვა რუსეთის უარი ავღანეთსა და ტიბეტში თავის გავლენაზე. ეს უკანასკნელი ბრიტანეთის სავაჭრო გავლენის სფეროდ ცხადდებოდა, თუმცა ორივე მხარე ცნობდა ტიბეტზე ჩინეთის სიუზერენიტეტს.

დებოდა, სადაც ორივე მხარეს ჰქონდა უფლება მიეღო კონცესიები. სწორედ ამ „ნეიტრალურ ზონაში“, სადაც უკვე 1901 წელს ინგლისელ *უილიამ ნოუქს დ'არსის* მიღებული ჰქონდა ნავთობის მოპოვების კონცესია, 1908 წელს *მასჯედ-ე სოლეიმანთან* აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადო.

1915 წელს რუსეთი დათანხმდა ეს „ნეიტრალური ზონაც“ ბრიტანული გავლენის სფერო გამხდარიყო. სამაგიეროდ, ლონდონი და პარიზი მას დაჰპირდნენ ომისშემდგომ კომპენსაციას ოსმალეთის ხარჯზე – კონსტანტინოპოლსა და სრუტეებს. რუსეთს არ მიუღია ეს კომპენსაცია, ვინაიდან 1917 წლის ოქტომბერში პეტროგრადში მომხდარი ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ის 1918 წლის მარტში სეპარატულად გამოეთიშა ომს.

ცნობამ ქვეყნის გავლენის სფეროებად გაყოფის შესახებ დიდი აღშფოთება გამოიწვია სპარსეთში, მაგრამ პრაქტიკული წინააღმდეგობის გაწევის უნარი ქვეყანას არ შესწევდა.

სპარსეთი ამაოდ ცდილობდა XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ გამოეყენებინა საფრანგეთი, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში – გერმანია: გადამწყვეტი დახმარება სპარსეთს მათგან არ მიუღია.

ინგლისთან 1856-1857 წლების ომის შემდეგ ყველაზე სერიოზული საგარეო კონფლიქტი სპარსეთს/ირანს ჰქონდა მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს, როდესაც 1980 წელს მას თავს დაესხა სადამ ჰუსეინის ერაყი.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს სპარსეთი/ირანი, რომელიც ფორმალურად ნეიტრალური იყო, მეზობელი ქვეყნების (ოსმალეთი, რუსეთი/საბჭოთა კავშირი) ბრძოლის ველი ხდებოდა, ანდა ფაქტობრივად ოკუპირებული იყო რუსეთის/საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიერ.

საუკუნე-ნახევარია, პრაქტიკულად უცვლელი რჩება სპარსეთის/ირანის საზღვრები. ხანგრძლივი მშვიდობა ქვეყნის განვითარებისათვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ შიდაპოლიტიკური სიტუაცია და სოციალურ-კულტურული ვითარება დიდხანს არ აძლევდა მას ნორმალური განვითარების საშუალებას.

რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკა რეგიონში

იმ პერიოდში, როდესაც ოსმალეთი და სპარსეთი ამთავრებდნენ ასწლიანი ომის პირველ სერიას, „ორმოცდაერთწლიან ომს“ (1514-1555), და ანატოლიის ქალაქ *ამასიაში* ათანხმებდნენ ახლო აღმოსავლეთის გაყოფის სქემას, ჩრდილოეთიდან რეგიონს სწრაფად უახლოვდებოდა

ახალი გეოპოლიტიკური მოთამაშე – გაერთიანებული რუსეთი.

მოსკოვის დიდმა მთავრებმა, რომლებმაც *ოქროს ურდოს ხანებთან* გატარებული მოხერხებული პოლიტიკის წყალობით მიაღწიეს ჰეგემონობას რუსულ სამთავროებს შორის, XV საუკუნეშივე გაითავისეს აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) დაღუპული იმპერიის *სიმბოლიკა* (ორთავიანი არწივი) და, მოგვიანებით, მონარქის *ტიტულიც* (კეისარი/ცეზარი, რუსულად *ცარ*).

თავიდან „*რუსი*"[1] თითქმის ისეთივე დინასტიური სახელი იყო, როგორც *სელჩუკიანი, ოსმალო, სეფიანი*, მაგრამ მათგან განსხვავებით, ის უფრო მდგრადი აღმოჩნდა და აღმოსავლეთ სლავების ეთნონიმად იქცა. XVI საუკუნიდან მოსკოვის დიდმა სამთავრომ „რუსეთის სამეფო" დაირქვა სახელად.

რუსეთის ტერიტორიული ექსპანსია XVI საუკუნის შუაწლებიდან საკუთრივ სლავურ სამყაროს სცდება და ვოლგისპირეთის თიურქულ და ფინურენოვან სივრცეში იჭრება. ასტრახანის თათრული სახანოს დაპყრობამ 1556 წელს რუსეთი კასპიის ზღვაზე გაიყვანა. სწრაფად მზარდი სამეფო (რომლის დემოგრაფიულ პოტენციალს ზრდიდა ჩრდილოეთ რუსეთისა და ვოლგისპირეთის ფინურენოვანი სუბსტრატის სწრაფი ასიმილაცია გაქრისტიანების საფუძველზე), ექსპანსიას იწყებს სამხრეთისაკენ, სადაც მას ხვდება კავკასიონის მთები და ველის ხალხებისაგან განსხვავებით ბევრად უფრო ძნელად დასამორჩილებელი მთიელი ტომები.

ჩრდილოეთში გამოჩენილი ახალი მეზობელი სპარსეთს აფიქრებინებს გამოიყენოს ის თავისი დასავლეთელი მეტოქის, ოსმალეთის, წინააღმდეგ. თუმცა ასეთი პოლიტიკური კავშირი არ შემდგარა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი და სპარსეთი მომდევნო საუკუნეებში უფრო მეტ საერთოს ნახულობდნენ ერთმანეთთან, ვიდრე რუსეთი და ოსმალეთი.

რუსეთი და სპარსეთი სწრაფად დაინტერესდნენ *მერიდიანული მიმართულების სატრანზიტო ვაჭრობით*: ვოლგა-ასტრახანის გზა ლოგიკურად მიისწრაფვის, რათა გაგრძელდეს კასპიის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე, სადაც ირანმა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები დააფიქსირა XVII საუკუნის პირველ დეკადებში.

რუსეთს სპარსეთზე მეტი შიში ჰქონდა ოსმალეთისა, რომელიც 1774

---

1. *რუს-ი* იყო სკანდინავიელი ვიკინგების ერთი ჯგუფის ტომობრივი სახელი. როდესაც VIII საუკუნეში სკანდინავიელი რუსების რაზმმა დაიპყრო (ან დააარსა) ციხესიმაგრე კიევი დნეპრის მაღალ ნაპირზე, მისი ბელადებისა და მათი რაზმის სახელი გადავიდა ადგილობრივ სლავურ მოსახლეობაზე. კიევის პირველი მთავრების სახელები (რიურიკი, ოლეგი/ჰელგი, ოლგა/ჰელგა, იგორი/ინგვარი) ეჭვს არ ტოვებს მათ სკანდინავიურ წარმოშობაში. საკმაოდ მალე ადგილობრივმა სლავურმა უმრავლესობამ მოახდინა რუსების ენობრივი ასიმილაცია, ისე, რომ მათი სახელი საკუთარ ეთნონიმად აქცია. ანალოგიური რამ მოხდა VII საუკუნეში ბალკანეთში აღმოსავლეთიდან მოსული თიურქულენოვანი ბულგარების შემთხვევაში, რომელთაც ასევე განიცადეს სლავიზაცია, მაგრამ გადასცეს სლავურ უმრავლესობას თავისი სახელი (*ბულგარ-ი*), როგორც ეთნონიმი.

წლამდე სამხრეთ უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაზე ნომინალურ სიუზერენიტეტს ფლობდა ყირიმის ვასალური სახანოს მეშვეობით. ოსმალეთი შემდგომშიც არაერთხელ უქმნიდა საფრთხეს რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში, თუნდაც იმის გამო, რომ იდეოლოგიური გავლენის ბერკეტები ჰქონდა: იქ ერთმორწმუნე სუნიტები ცხოვრობენ; ვოლგისპირეთში კი ენობრივად მონათესავე თიურქულენოვანი ხალხები სახლობენ (გავიხსენოთ, რომ XX საუკუნის დასაწყისში თურანიზმის იდეის განხორციელება უპირველესად რუსეთის ხარჯზე ივარაუდებოდა).

შიიტობა კავკასიაში მხოლოდ აზერბაიჯანელებს შორისაა გავრცელებული, დანარჩენ კავკასიაში კი სპარსეთის რელიგიური გავლენა უმნიშვნელო იყო, რასაც ვერ ვიტყვით პოლიტიკურ გავლენაზე.

პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი რუსეთსა და სპარსეთს XIX საუკუნემდე არ ჰქონიათ. *პეტრე I-ის ლაშქრობა* კასპიისპირეთში, რომლის შედეგადაც 1722-23 წლებში რუსეთმა დროებით დაიკავა დარუბანდი და ბაქო, ფორმალურად არც იყო მიმართული ცუდ დღეში მყოფი *სეფიანთა დინასტიის* წინააღმდეგ (ისფაჰანი ავღანელებს ჰქონდათ ხელში). პეტრე I-ის მანიფესტში ზემოხსენებული ლაშქრობის მიზნად გამოცხადებული იყო დაღესტნელი ლეკების დასჯა ქ. შემახაში რუსი ვაჭრების დახოცვის გამო და ქრისტიანი ხალხების – ქართველებისა და სომხების დაცვა, რაც ელემენტარული დიპლომატიური თვალისახვევა იყო.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში თავისი საკმაოდ ხანმოკლე გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში რუსეთმა გააფორმა *პეტერბურგის ხელშეკრულებით* სპარსეთთან (1723 წ.) და *სტამბოლის ხელშეკრულებით* (1724 წ.) – ოსმალეთთან.

1724 წელს სულტანი ცნობდა რუსეთის შენაძენსა და პრეტენზიებს კასპიისპირეთში (ანუ დარუბანდისა და ბაქოს დაპყრობას, მომავალში კი, რუსეთის უფლებას ჩრდილოეთ სპარსეთის პროვინციებზე – გილანსა და მაზანდარანზე), ხოლო *რუსეთი ცნობდა ოსმალეთის ფაქტობრივ დაპყრობებსა და პრეტენზიებს დანარჩენ სამხრეთ კავკასიაზე, მათ შორის ქართლ-კახეთზე,* [სამხრეთ] აზერბაიჯანზე, მთელ ქურთისტანზე, ქერმანშაჰზე, ჰამადანზე.

წინააღმდეგ რუსულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრისა, თითქოს პეტრეს ლაშქრობას „*დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანული და თურქული უღლისაგან ამიერკავკასიის ხალხების გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის*“ [Иванов, 1952, 86], *სტამბოლის ხელშეკრულებით* რუსეთმა და ოსმალეთმა სამხრეთ კავკასია გაიყვეს.

ტერიტორიის ეს გაყოფა, ბუნებრივია, მესამე მხარის, ამ შემთხვევაში – სეფიანთა მომაკვდავი იმპერიის, ხარჯზე ხდებოდა. როდესაც ათიოდე წელიწადში სპარსეთი აღდგა, რუსეთმა ოფიციალურად თქვა უარი ოსმალეთის მიერ მისთვის „დათმობილ“ ქალაქებსა და სამხრეთ კასპიისპირეთზე.

საქართველოსათვის ამ რუსულ-ოსმალური გარიგების უარყოფითი შედეგი იყო ის, რომ რუსეთის მეფის იმედად მყოფი ქართლი ადვილად ჩაუვარდა ხელში ოსმალოს. *ვახტანგ VI* იძულებული გახდა ქართლის მთელ ინტელექტუალურ ელიტასთან ერთად რუსეთში გადასახლებულიყო. ამ ემიგრანტთა მომდევნო თაობები გარუსდა და საქართველოსათვის დაიკარგა. თბილისმა კარგახნით დაკარგა ქართული კულტურის ცენტრის როლი. მეორე მხრივ, ქართლის ტახტის მემკვიდრეების ემიგრაციას არაპირდაპირ შედეგად მოჰყვა ის, რომ გაადვილდა აღმოსავლეთ საქართველოს ორი სამეფოს გაერთიანება კახეთის ბაგრატიონების ხელქვეით.

1783 წელს რუსეთის დიპლომატიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა: გეორგიევსკში გაფორმდა ხელშეკრულება (*ტრაქტატი*), რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ნებაყოფლობით უთმობდა სუვერენიტეტის დიდ ნაწილს რუსეთის მონარქს და მის მფარველობაში შედიოდა. პროტექტორატების თითქმის ანალოგიურ სისტემას ბრიტანეთი ამყარებდა სპარსეთის ყურის აუზსა და ინდოსტანის ნახევარკუნძულზე და იქ კრეისერებს აგზავნიდა თავისი პროტექტორატების დასაცავად. ასეთ იმპერიალიზმში, სამწუხაროდ, უჩვეულო არაფერია.

მაგრამ რუსული (და მას აყოლილი – ქართული საბჭოთა) ისტორიოგრაფიის მტკიცება, თითქოს *გეორგიევსკის ტრაქტატის* წყალობით *„ქართველი ხალხი გადაურჩა სპარსეთისა და ოსმალეთის მხრიდან გარდაუვალ აგრესიასა და სრულ გადაშენებას“*, რეალობის თავდაყირა დაყენების მცდელობაა. სპარსეთს არ ესაჭიროებოდა საქართველოში ლაშქრობა, თუკი შაჰის ნომინალური ვასალი (სპარსეთისათვის ის *„ერეკლე-ხანი“* იყო) არ განუდგებოდა მას. არც ოსმალეთი გეგმავდა აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობას, რაც სპარსეთთან ომის დაწყების ტოლფასი იყო. ქართლ-კახეთისათვის ბევრად უფრო სახიფათო დაღესტნელი მოთარეშეების (მათ ზოგად სახელად ქართველები *„ლეკს“* ვიყენებდით) ყაჩაღური თავდასხმების აღსაკვეთად რუსის ჯარი ერეკლე II-ს არც დახმარებია.

უფრო სავარაუდოა, რომ კახთბატონი საკუთარმა მრჩეველებმა (ისე ჩანს, რომ ისინი სხვა ქვეყნის მონარქისათვის უფრო ზრუნავდნენ, ალბათ არც თუ უანგაროდ) მოხიბლეს მისი შთამომავლობისათვის ქართლის შენარჩუნების პერსპექტივით: *ტრაქტატი* ერეკლესა და მის მემკვიდრეებს (მეტისმეტად მრავალრიცხოვანთ, რომელთა პრეტენზიების დაკმაყოფილებას ერთი სამეფო არ ეყოფოდა) მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მფლობელად ცნობდა და ბუნდოვნად პირდებოდა გაფართოებას სამცხე-საათაბაგოს ხარჯზე. თანაც იმ პერიოდში სპარსეთი დასუსტებული იყო, ხოლო აღმავალი რუსეთი უფრო საინტერესო იყო თბილისის სამეფო კარისათვის.

ძნელი წარმოსადგენია, რომ სპარსეთი, რომელიც თავის თავს მთე-

ლი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სიუზერენად მიიჩნევდა, ადვილად შეურიგდებოდა ამ შეთანხმებას. მაგრამ სპარსეთში მორიგი არეულობა სუფევდა და კიდევ 12 წელი იყო გასავლელი, ვიდრე აღა-მაჰმად-ხანი მოვიდოდა თბილისში და დაარბევდა მას. სხვათა შორის, ის რამდენიმე თვით ადრე მოუწოდებდა ერეკლე II-ს გაეწყვიტა ურთიერთობა რუსებთან და საქმე მშვიდობიანად მოეგვარებინა [შენგელია, 2001, 195].

1783 წლის აქციის გეოპოლიტიკური შედეგი ცნობილია. *გეორგიევსკის ტრაქტატმა* მოახდინა სპარსელების თბილისზე ლაშქრობის პროვოცირება. ამ სადამსჯელო აქციის გაუგონარმა სისასტიკემ რუსეთს გაუადვილა შემდეგი ნაბიჯი – ქართლ-კახეთის ანექსია. რუსეთი უბრძოლველად შემოვიდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ სივრცეში, რასაც „*რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება*" დაარქვა.

სავსებით დასაშვებია, რომ რუსეთის იმპერია *გეორგიევსკის ტრაქტატის* გარეშეც შემოვიდოდა სამხრეთ კავკასიაში: იქ დამკვიდრება რუსეთისათვის გეოპოლიტიკური იმპერატივი იყო. მაგრამ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ქართლ-კახეთისათვის უკეთესი პირობებით (მაგალითად, ხომ შეძლეს დასავლეთ საქართველოს სამთავროებმა ნომინალური ავტონომიის ათწლეულობით შენარჩუნება რუსეთის იმპერიაში?), რომ არა ზოგიერთი ქართველი თავადის („დიპლომატის") სულსწრაფობა და ერეკლეს მემკვიდრეების სიმრავლე და უნიათობა.

1804-1828 წლების ომების შემდეგ რუსეთის ტერიტორიული მადა მდინარე არეზზე შეჩერდა, თუმცა რუსეთის არმია არაერთხელ შესულა ჩრდილოეთ ირანში (უკანასკნელად ეს 1941-1946 წწ. მოხდა).

სხვა ვითარება იყო რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში. იშვიათი გამონაკლისია სხვისი ტერიტორიების ის „ძმური გაყოფა", რაც 1724 წლის სტამბოლის ხელშეკრულებით გაფორმდა (მაგრამ სინამდვილეში განუხორციელებელი დარჩა, რადგან ნადირ-შაჰმა თავისი სამხედრო აქტიურობით ჩაშალა ეს გარიგება). ჩვეულებრივ, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს უფრო საომარი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. XVI-XVII საუკუნეებში ოსმალეთის ვასალი ყირიმის ხანი პერიოდულად უქმნიდა საფრთხეს რუსეთს. 1677 წლიდან უშუალოდ ოსმალეთისა და რუსეთის ომები პრაქტიკულად სისტემურ ხასიათს ღებულობს. XVII-XX საუკუნეებში ეს სახელმწიფოები 14-ჯერ იყვნენ საომარ მდგომარეობაში ერთიმეორესთან. XVIII საუკუნიდან ჩატარებული ომებიდან მხოლოდ ერთი, 1710-1711 წლებისა, მოიგო ოსმალეთმა (სამასი წლის წინ, ე.წ. „პრუტის ლაშქრობისას" პეტრე I დამარცხდა), და ერთშიც, 1853-1856 წლების ყირიმის ომში, რუსეთი დაამარცხეს ოსმალეთის ევროპელმა მოკავშირეებმა. ომების სერია მთავრდება 1918 წელს.

რუსეთს პრეტენზია ჰქონდა ყოფილიყო ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა მართლმადიდებლის მფარველობა, რითაც ადრე თუ გვიან შეეძლო გაემართლებინა ტერიტორიული ექსპანსია.

ინტერესების შეხლა ორ იმპერიას შორის ჯერ ჩრდილო შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო კავკასიაში დაიწყო. საკვანძო გამოდგა 1768-1774 წლების ომი, რომლის შედეგადაც *ეკატერინა II*-ის რუსეთი შავიზღვისპირეთში დამკვიდრდა: *ქუჩუკ კაინარჯას სამშვიდობო ხელშეკრულებით* რუსეთი ღებულობდა უფლებას შეექმნა სამხედრო-საზღვაო ფლოტი შავ ზღვაზე, მის სავაჭრო გემებს კი დაუბრკოლებლად შეეძლოთ გაეცურათ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში. აღსანიშნავია, რომ იმავე ომის დროს, 1770 წელს, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ესკადრა, რომელმაც ევროპას შემოუარა, პირველად გამოჩნდა ხმელთაშუაზღვისპირეთში და დაამარცხა ოსმალეთის ფლოტი. 1774 წლის ზავის პირობებით, ყირიმის სახანო ოსმალეთისაგან დამოუკიდებლად ცხადდებოდა. 1783 წელს რუსეთმა მოახდინა ფორმალურად მის მიერვე დამოუკიდებლად ცნობილი ყირიმის სახანოს ანექსია, რაც ოსმალეთთან კიდევ ერთი ომის მიზეზი გახდა.

რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს წამყვანი ფრონტი ბალკანეთში იყო, საიდანაც რუსეთი უფრო ადვილად უქმნიდა საფრთხეს მოწინააღმდეგის ნერვულ ცენტრს – *სტამბოლს*. რუსეთის იმპერიის ძირითადი მიზანი ოსმალეთთან ურთიერთობისას იყო ბალკანეთზე გაბატონება და *შავი ზღვის სრუტეების დაუფლება*, ეს კი ოსმალეთის დედაქალაქის, სტამბოლის, აღებასაც მოასწავებდა. რუსული იმპერიალიზმის იდეოლოგები ამ პოლიტიკის გასამართლებლად იხსენებდნენ ბიზანტიის მემკვიდრეობას და იმას, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მოსკოვმა თავი *მესამე რომად* გამოაცხადა.

ამ ომების დროს კავკასიის ფრონტს დამხმარე ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ XIX საუკუნის ომებში რუსეთის იმპერიას კავკასიაში საკმაო ტერიტორიული მოგება ხვდა წილად. 1829 წელს მან შეიერთა *სამცხე-ჯავახეთი*, სადაც დაასახლა ოსმალეთიდან მოწვეული 30-40 ათასი სომეხი და ბერძენი, სამაგიეროდ იქაურ მუსლიმ მოსახლეობას, ძირითადად – ქართულენოვანს, უბიძგა წასულიყო ოსმალეთში. 1877-1878 წლების ომის შედეგად რუსეთის იმპერიამ შეიერთა *აჭარა-ქობულეთი, არტაანისა და ყარსის ოლქები*.

დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც საკუთარი იმპერიული ზრახვები ჰქონდათ, სულაც არ სჭირდებოდათ *ბოსფორის ნაპირებზე* ძლიერი კონკურენტი რუსეთის სახით (რომელიც, ბუნებრივია, უფრო სამხრეთითაც მოინდომებდა გაფართოებას) და ყველანაირად უშლიდნენ ხელს მის ექსპანსიონიზმს. ობიექტურად ეს სიცოცხლეს უხანგრძლივებდა მძიმე კრიზისში მყოფ ოსმალეთის იმპერიას – *„ევროპის ავადმყოფ ადამიანს“*, როგორც მას ერთხელ უწოდა რუსთ ხელმწიფე *ნიკოლაი I-მა*.

„აღმოსავლეთის პრობლემაზე“ დიდ ბრიტანეთთან განუწყვეტელი უთანხმოების მიუხედავად, XX საუკუნის დასაწყისში, იაპონიასთან 1904-5 წლების ომში განცდილი მძიმე მარცხის შემდეგ, რუსეთის დიპლომა-

ტია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლონდონთან საერთო ენის გამონახვა სჯობდა. ლონდონიც, რომელსაც 1904 წელს უკვე ჰქონდა საიდუმლოდ გაფორმებული *entente cordiale* („გულითადი შეთანხმება") საფრანგეთთან (რომელიც, თავის მხრივ, 1893-95 წლებიდან რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე იყო), რუსეთიდან მომდინარე საფრთხეზე მეტად ელოდა მეტოქეობას დინამიკურსა და ინდუსტრიულად სწრაფად მზარდ გერმანიასთან. რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიისაგან განსხვავებით, გერმანიას ცოტა ჰქონდა ბუნებრივი რესურსები და ცდილობდა დაპატრონებოდა მათ წყაროებს ევროპის გარეთ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1907 წელს რუსეთმა და ბრიტანეთმა გავლენის სფეროებად გაიყვეს ირანი. ამასთან ერთად, რუსეთი აგრძელებდა პოლიტიკურ მანევრებს ბრიტანეთის მთავარ მეტოქე გერმანიასთანაც. 1910 წლის ბოლოს პეტერბურგმა საერთო ენა გამონახა ბერლინთან სპარსეთისა და ოსმალეთის საკითხებზე. ჩრდილოეთ სპარსეთში რუსეთისათვის მოქმედების სრული თავისუფლების აღიარების სანაცვლოდ რუსეთი ხელს არ შეუშლიდა გერმანიის მიერ „ბაღდადის რკინიგზის" მშენებლობას ოსმალეთის ტერიტორიაზე (იხ. ქვემოთ) და მისი განშტოების ირანის საზღვრამდე მიყვანას. ეს დიდი ბრიტანეთის ინტერესების სერიოზული ხელყოფა იყო.

ასეთი ორაზროვანი თამაშის მიუხედავად, 1914 წელს დაწყებული მსოფლიო ომის პირველი სამი წლის განმავლობაში რუსეთი და დიდი ბრიტანეთი მოკავშირეები იყვნენ.

1918 წლის მარტში რუსეთის ახალმა, ბოლშევიკურმა მთავრობამ, რომელიც სრულებით უგულებელყოფდა ადრე დადებულ საერთაშორისო შეთანხმებებს, სეპარატული ბრესტის ზავით უღალატა მოკავშირეებს და გამოეთიშა ომს. რუსეთი მოკლე დროით ჩამოსცილდა ომისშემდგომი მსოფლიოს, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის, პოლიტიკურ მოწყობას.

მაგრამ უკვე 1920-იანი წლებიდან რუსეთი ისევ დაბრუნდა სამხრეთ კავკასიაში და იმპერიის ძველი საზღვრის აღდგენა სცადა: სპარსეთის შემთხვევაში ეს გამართლდა, თურქეთისათვის კი გარკვეული ტერიტორიული დათმობა გახდა საჭირო უკვე გასაბჭოებული საქართველოსა და სომხეთის ხარჯზე.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების გეოპოლიტიკა რეგიონში

XVI საუკუნის დამდეგიდან, ორ საუკუნეზე მეტხანს, ახლო აღმოსავლეთში არსებობდა ბიპოლარული სისტემა. თითქმის თანაბარი ძალის მქონე ორი იმპერია, ოსმალეთი და სპარსეთი, ებრძოდა ერთმანეთს

ჰეგემონობისათვის. ამ დროს რეგიონში არ იყო რეალური მესამე ძალა, რომელსაც რომელიმე მხარე მოკავშირედ გამოიყენებდა: ეგვიპტის მამლუქებიც კი, რომელთაც ადრე, XVI საუკუნემდე, სირია-პალესტინაზე ჰქონდათ დადებული ხელი, უძლური აღმოჩნდნენ *სელიმ I-ის* იენიჩერების წინააღმდეგ.

ევროპელი მოკავშირეები ირანსაც და ოსმალეთსაც XIX საუკუნემდე მხოლოდ ლოკალური პრობლემების გადასაჭრელად თუ სჭირდებოდათ. შემდეგ კი სწორედ ამ ევროპელმა „მოკავშირეებმა" დაუმორჩილეს თავიანთ ნებას ახლო აღმოსავლეთის ყოფილი ზესახელმწიფოები და შიდარეგიონულ მეტოქეობას აზრი დაუკარგეს. უკანასკნელი, ტერიტორიული თვალსაზრისით უშედეგო, ომი ოსმალეთსა და სპარსეთს ერთმანეთში ჰქონდათ 1821-1823 წლებში.

დასავლეთ ევროპის ეროვნული სახელმწიფოების ჯერ ეკონომიკური და შემდეგ პოლიტიკური შეღწევა ახლო აღმოსავლეთში იწყება XVI საუკუნიდან. იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებს, ვენეციასა და გენუას, იქამდეც ჰქონდათ თავიანთი კომერციული ინტერესები რეგიონში, მაგრამ მათი პოლიტიკური გავლენა ოსმალეთსა და სპარსეთზე უმნიშვნელო იყო.

ახლო აღმოსავლეთში დასავლეთევროპული ინტერესების დამკვიდრების გამოხატულება გახდა კაპიტულაციების რეჟიმის შემოღება. *„კაპიტულაციას" აქ სულ სხვა მნიშვნელობა აქვს სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობისაგან („დანებება") განსხვავებით.* ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვა capitula-დან, რაც თავს ან მუხლს აღნიშნავს. ეს იყო შეთანხმება, რომლის მუხლების თანახმადაც, იმ უცხოელი მონარქის ქვეშევრდომები, რომელსაც „კაპიტულაცია" ჰქონდა მიღებული, თავისუფლდებოდნენ ადგილობრივი იურისდიქციისაგან სხვადასხვა სფეროში, როგორიც იყო პირადი სტატუსი, ვაჭრობა, ნავიგაცია, საფოსტო მომსახურება. ოსმალეთის ტერიტორიაზე მათ შეეძლოთ საკუთარი რელიგიური, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო დაწესებულებების დაარსება.

თავიდან ასეთ კაპიტულაციას ოსმალეთის ძლევამოსილი სულტანი საკუთარი კეთილი ნებით უბოძებდა თავის მოკავშირე ევროპელ მონარქს (ან რესპუბლიკას, მაგ. გენუას), რათა მისი ქვეშევრდომები დაეცვა საკუთარი ფაშების უსამართლობის, კორუმპირებულობისა და ქსენოფობიისაგან, რასაც სულტანი მშვენივრად უწყოდა. სპარსეთში ანალოგიურ პრივილეგიებს ევროპელებს შაჰი უბოძებდა.

პირველი სამეფო, რომელმაც ოსმალეთის სულტნისაგან კაპიტულაცია მიიღო, იყო საფრანგეთი (1535 წელს): ოსმალეთის სულტანი *სულეიმან I* და საფრანგეთის უკათოლიკოესი მეფე *ფრანსუა I* მოკავშირეები იყვნენ და სხვა ქრისტიან მონარქებს ებრძოდნენ. ძლიერების ზენიტში მყოფ ძლევამოსილ სულტანსაც ესაჭიროებოდა მოკავშირე, რომელიც მისგან დავალებული იქნებოდა.

კათოლიკეების ოფიციალურ მფარველად ოსმალეთის იმპერიაში ამიერიდან ითვლებოდა საფრანგეთის მეფე. ადგილობრივი მართლმადიდებლის კათოლიციზმში გადასვლა მისთვის ადამიანის უფლებების დაცვის გარკვეულ გარანტიას ნიშნავდა. „გაფრანგდა" (კათოლიკე გახდა) ოსმალეთის მიერ დაპყრობილი სამცხის ბევრი ქართველი მართლმადიდებელი, როდესაც მათ აღარ დარჩათ პოლიტიკური ან რელიგიური მფარველი.

მეორე ქვეყანა, რომელმაც ოსმალეთისგან კაპიტულაცია მიიღო, იყო ინგლისი (1583 წელს). ოსმალეთის დასუსტების კვალდაკვალ კაპიტულაციას მოითხოვენ და ღებულობენ დასავლეთის სხვა ქვეყნებიც (XIX საუკუნეში აშშ, პრუსია/გერმანია, ბელგია და სხვ., მათ შორის საბერძნეთიც კი, რომელიც ადრე დიდხანს იყო ოსმალეთის ხელქვეით). ეს ნიშნავდა ოსმალეთის სუვერენიტეტის სერიოზულ შეზღუდვას: მეტისმეტად ბევრი ადამიანი თავისუფლდებოდა ადგილობრივი იურისდიქციისაგან.

როდესაც ევროპაში უკვე ბობოქრობდა დიდი ომის ცეცხლი, ხოლო ოსმალეთი ჯერ ნეიტრალური იყო, **1914 წლის 8 სექტემბერს სტამბოლმა ცალმხრივი აქტით გააუქმა ყველა ადრე გაცემული კაპიტულაცია.** უცხოელები ოსმალურ იურისდიქციას დაექვემდებარნენ, უცხოურ საქონელზე ჯერ ბაჟი დაწესდა და მალევე მკვეთრად გაიზარდა. ამან მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ანტანტის ქვეყნებში, ისე ოსმალეთის ფაქტობრივ მოკავშირე გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში. მაგრამ მალე ოსმალეთი მსოფლიო ომში ჩაერთო და ეს საკითხი მეორე პლანზე გადავიდა.

I მსოფლიო ომის შემდეგ კი კაპიტულაციები მეორე მხარემაც გააუქმა. საბჭოთა რუსეთმა ნებაყოფლობით თქვა მათზე უარი 1921 წელს, როდესაც ქემალისტურ თურქეთს დაუმეგობრდა. 1923 წელს ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებამ ბათილად ცნო ოსმალეთის სულტნების მიერ ადრე გაცემული ყველა კაპიტულაცია. ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე მათი ნაშთები საერთოდ გაუქმდა XX საუკუნის პირველ ნახევარში, ირანში – 1928 წელს.

მაგრამ იქამდე, ვიდრე კაპიტულაციების რეჟიმი მოქმედებდა, ევროპულმა კაპიტალმა, საკუთარი მთავრობების აქტიური მხარდაჭერით, დაიწყო ახლო აღმოსავლეთში სპეციფიკური სატრანსპორტო პოლიტიკის გატარება, რომელსაც იმპერიალისტური ხასიათი ჰქონდა.

ეს პოლიტიკა თავიდან იმით გამოიხატა, რომ 1820 წლიდან დიდი ბრიტანეთი გაბატონდა სპარსეთის ყურეში, სადაც ადგილობრივ ამირებსა და შეიხებს მფარველობა მოახვია თავს და საზღვაო საყრდენი პუნქტები დააარსა. მეკობრეობისა და მონათვაჭრობის მოსპობის საბაბით ინგლისის ფლოტმა გაანადგურა არაბული ზღვაოსნობა იქ, სადაც შემდგომში აღმოცენდება *„ხელშეკრულებითი ომანი"* – შვიდი საშეიხო (მოგვიანებით – საამირო) ერთობლივი ბრიტანული პროტექტორატის ქვეშ. ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი ბრიტანეთისათვის იყო *ადენის* ნავსადგური, სადაც

ინგლისური ქვემეხები 1839 წლიდან დააყენეს. ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზე ადენი დიდ სამხედრო-საზღვაო ბაზად იქცა.

ხმელთაშუა და წითელი ზღვების დაკავშირების იდეა დიდი ხანია არსებობდა. არქეოლოგიურად დადასტურებულია, რომ ფარაონებისა და აქამანიანთა სპარსეთის ბატონობის დროს მდ. ნილოსიდან იმ დროს უფრო ჩრდილოეთით გავრცელებულ წითელ ზღვამდე რაღაც საწყლოსნო გზა არსებობდა, მაგრამ ის კარგა ხანია დაფარა ქვიშამ. ფრანგმა დიპლომატმა და ბიზნესმენმა *ფერდინანდ დე ლესეპსმა* განიზრახა *არხის სუეცის ყელ ზე* გაყვანა. აღსანიშნავია, რომ 1863 წლის შემდეგ არხს მანქანებით თხრიდნენ, რაც სიმბოლურად აღნიშნავდა ხელით შრომის დასასრულს და მექანიზებულ შრომაზე გადასვლას [Karabell, 2003]. 1869 წელს ხმელთაშუა და წითელი ზღვების წყლები პირველად შეხვდა ერთმანეთს და ევროპისა და ინდოეთის დამაკავშირებელი საზღვაო გზის სიგრძე განახევრდა. ამ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის აღსანიშნავი ზეიმისათვის *ჯუ ზეპე ვერდის* ოპერა შეუკვეთეს: მან „*აიდა*“ შექმნა.

ბრიტანელმა პოლიტიკოსებმა და ბიზნესმენებმა დიდ დაუდევრობად მიიჩნიეს სუეცის არხის დატოვება საფრანგეთის, იმ დროს ჯერ კიდევ პოლიტიკური მეტოქის, კონტროლქვეშ. ფარული გარიგების გზით ინგლისის მთავრობამ *ბენჯამინ დ'იზრაელის* მეთაურობით 1875 წელს ეგვიპტის *ხედივისაგან* (1866 წელს ეგვიპტის მემკვიდრეობითმა ფაშებმა სულტნისაგან მიიღეს ეს ტიტული, რაც დაახლოებით ნიშნავს *მმართველს, ბატონს*) შეიძინა არხის აქციების დიდი პაკეტი (175 ათასი აქცია, საერთო რაოდენობის 40 პროცენტზე მეტი). 1882 წელს ბრიტანეთმა სამხედრო ნაწილები განალაგა ეგვიპტეში.

ამიერიდან ლონდონს ჰქონდა „საკუთარი გზა“ ინდოეთამდე და შორეულ აღმოსავლეთამდე: მის ხელში იყო ისეთი სტრატეგიული პუნქტები, როგორიცაა *გიბრალტარი, პორტ-საიდი, სუეცი, ადენი, სინგაპური*, სადაც შექმნილი ქვანახშირის უზარმაზარი საწყობები ორთქლზე მომუშავე ბრიტანული ფლოტის მოქმედების არეალს გლობალურს ხდიდა. ამ გზას პოტენციური მეტოქეებისაგან დაცვა სჭირდებოდა. ამიტომაც ახლო აღმოსავლეთში გავლენის სფეროს შემდგომი გაფართოება ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის იმპერატივად იქცა. I მსოფლიო ომის შემდეგ ამ გეოპოლიტიკურ მიზანს დროებით ხორციც შეესხმევა.

იქამდე კი *სარკინიგზო მშენებლობა* ოსმალეთის ტერიტორიაზე გადაიქცა *იმპერიალისტური სარელსო პოლიტიკის* განხორციელების კლასიკურ მაგალითად [გაჩეჩილაძე, 1965]. 1866 წელს ინგლისურმა კომპანიამ გახსნა 130-კილომეტრიანი პირველი სარკინიგზო ხაზი დასავლეთ ანატოლიაში (იზმირი-აიდინი-ოსმანელი). სამხრეთ თურქეთში მერსინ-ადანას რკინიგზას ინგლისურ-ფრანგული კომპანია ფლობდა. ფრანგულმა კაპიტალმა ააგო ლიბანის, იაფო-იერუსალიმისა და დამას-

კო-ჰიჯაზის რკინიგზები[1]. *ბარონ ჰირშის* კომპანიამ 1888 წელს გახსნა ხაზი ვენიდან სტამბოლამდე (ამ მარშრუტით დადიოდა *აგატა კრისტის* მიერ უკვდავყოფილი „აღმოსავლეთის ექსპრესი"!): 1892 წელს ეს რკინიგზა შეისყიდა გერმანულმა „დოიჩე ბანკმა" და ის *ბერლინ-სტამბოლ-ბაღდადის* („ბაღდადის რკინიგზა") სამომავლო ხაზის ნაწილად აქცია.

გერმანიის კაიზერმა *ვილჰელმ II-მ* აქტიური ლობირება მოუწყო ბაღდადის რკინიგზას. 1898 წელს მან იმოგზაურა წმინდა მიწაზე. სხვათა შორის, იერუსალიმში მის პატივსაცემად გაჭრეს ქალაქის კედელი იაფოს კარიბჭესთან: ეს დღემდე რჩება ძველ ქალაქში მთავარ საავტომობილო შესასვლელად. დამასკოში ყოფნისას *ვილჰელმმა* თაყვანი სცა *სალადინის მავზოლეუმს* და თავი გამოაცხადა ოსმალეთის სულტნისა და მსოფლიოს მუსლიმთა მარადიულ მეგობრად.

კაიზერის შუამდგომლობის შედეგად 1899 წელს ოსმალეთის მთავრობამ ხელი მოაწერა წინასწარ შეთანხმებას გერმანულ კომპანია „ანატოლიის რკინიგზების საზოგადოებასთან", რომელმაც შემდეგში სახელი გამოიცვალა და „ბაღდადის რკინიგზის საიმპერიო საზოგადოების" სახით 1903 წლის 5 მარტს მიიღო 99-წლიანი კონცესია კონიიდან ბაღდადამდე რკინიგზის მშენებლობაზე, ბასრამდე მისი გაგრძელების უფლებით. სხვათა შორის, ამ კონტრაქტისათვის „დოიჩე ბანკმა" ოსმალეთის ოფიციალურ პირებს გადაუხადა იმ დროისათვის კოლოსალური ქრთამი 10 მილიონი ფრანკის ოდენობით [ИД, II, 1963, 451].

1912 წელს ბაღდადში უკვე მიიყვანეს ლიანდაგი, მაგრამ სტამბოლიდან გამოსულ მატარებელს იქ მისვლა ჯერ არ შეეძლო, რადგან 1914 წლისათვისაც არ იყო დამთავრებული რთული პროფილის მქონე მონაკვეთები (მაგალითად, მარდინი-მოსული).

მსოფლიო ომმა არ მისცა საშუალება, რომ მშენებლობის გეგმით განსაზღვრული 1917 წლისათვის გერმანულ ორთქლმავალს მიეკვლებინა *შატ ალ-არაბის* ნაპირისთვის, ქ. ბასრაში: დიდმა ბრიტანეთმა ყველაფერი გააკეთა ამ გეგმის ჩასაშლელად.

ომის შემდეგ რუსი ისტორიკოსი *ევგენი ტარლე* წერდა: *„ბაღდადის რკინიგზა – ეს იყო ინდუსტრიალიზაციისა და მილიტარიზმის შესანიშნავი მცდელობა, დაეძლია გეოგრაფია. ინდოეთის ხელყოფის ეს ცდა უიმედოდ ჩაიფუშა გერმანიის დიდმპყრობელობასთან ერთად"* [Тарле, 1923, 68].

შეიძლება დაიბადოს კითხვები: რა საჭიროა იმპერიალიზმის მოხ-

1. ჰიჯაზის რკინიგზა, რომლის მშენებლობა 1908 წელს დამთავრდა, ქ. მედინას აღწევდა. ის უპირველესად მუსაჯირებს ემსახურებოდა, რომლებიც მექაში ასრულებდნენ ჰაჯს. ამავდროულად, ოსმალებისათვის ეს იყო სტრატეგიული რკინიგზა არაბეთის ნახევარკუნძულზე საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დასაცავად. ამ რკინიგზის განშტოება სინას ნახევარკუნძულის გავლით 1920-იან წლებში ინგლისელებმა ეგვიპტემდე მიიყვანეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, როდესაც საზღვრებმა მკვეთრად გამიჯნა ახლო აღმოსავლეთი, ბევრი სარკინიგზო ხაზი აყარეს. მაგალითად, აღარ არსებობს რკინიგზა ისრაელიდან ეგვიპტეში, არც ხაზი მედინამდე.

სენიება რკინიგზის მშენებლობასთან და, საერთოდ, სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით? რა არის ცუდი იმაში, რომ უცხოურ კაპიტალს გაჰყავს რკინიგზა სანაპიროდან ქვეყნის სიღრმეში და ამით ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლას – ნიაღისეულის ამოღებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ნატურალური გლეხური მეურნეობის სასაქონლო ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნას, მოწინავე კულტურული და სამეურნეო გამოცდილების დანერგვას?

მართლაც, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ თავისი საუკუნოვანი სოციალ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა ახლო აღმოსავლეთს შეეძლო დაეძლია მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებულ ევროპასთან (შემდგომში კი, აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკასთან) თანამშრომლობით. ფაქტია ისიც, რომ ევროპული კაპიტალით აგებული რკინიგზების დიდი ნაწილი, ნავსადგურების ინფრასტრუქტურა, სუეცის არხი, საბოლოო ჯამში, დამოუკიდებელ ქვეყნებს ემსახურება.

მაგრამ მკაფიო პასუხის გაცემას ზემოთ დასმულ კითხვებზე სულაც არ ესაჭიროება „მარქსისტული მიდგომა". ელემენტარული კეთილგონიერება გვკარნახობს, რომ რკინიგზების (აგრეთვე არხებისა და მილსადენების) მშენებლობა ქვეყნისათვის სულაც არაა ცუდი, თუკი პირველ მიზნად დასახულია ამ ქვეყნის (და არა უცხო ქვეყნის/კონსორციუმის) ექსკლუზიური ინტერესების დაცვა.

ოსმალეთში კი ლიანდაგის (სხვათა შორის, სხვადასხვა სიგანისა, ვინაიდან ერთიანი სარკინიგზო ქსელი რესპუბლიკურ ხანამდე არ არსებობდა) დაგება ხდებოდა უცხოური კომპანიებისათვის ხანგრძლივი ვადით საკონცესიოდ გადაცემულ მიწაზე, რკინიგზის ორივე მხარეს 10-20 კილომეტრის მანძილზე მადნებისა და ტყის ექსპლუატაციის უფლებით. სულტნის მთავრობას აიძულებდნენ (ძირითადად, მოხელეების მოქრთამვის გზით) გაეცა ე.წ. *„კილომეტრული გარანტიები"* (მოგების დათქმული ნორმა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში განსხვავებას ოსმალეთის მთავრობა იხდიდა).

რაც მთავარია, ყველა უცხოური კომპანია საკუთარი მთავრობის მფარველობით სარგებლობდა და სატრანსპორტო ქსელების მშენებლობით შეძლებისდაგვარად მიჯნავდა თავისი სახელმწიფოს გავლენის სფეროს ოსმალეთისა და სპარსეთის ტერიტორიებზე. მაგალითად, სამხრეთ და ცენტრალურ სპარსეთში 1890-იანი წლებიდან ინგლისური კომპანიები აგებდნენ რკინიგზებს და საფუძველს ქმნიდნენ ბრიტანული და რუსული გავლენის სფეროების გასამიჯნად.

რკინიგზის მშენებლობის უფლების მიღება ხანდახან ხდებოდა მეტოქის ბლოკირების მიზნით, რომ იქ სხვა ქვეყნის კომპანიას *რკინიგზა არ აეშენებინა*. ამ თვალსაზრისით „მოწინავე" იყო რუსეთის იმპერია. ასე მაგალითად, 1900 წელს რუსეთის მთავრობამ აიძულა სულტანი მიეცა უფლება რუსული კომპანიებისათვის აეშენებინათ რკინიგზა ჩრდილოეთ

ანატოლიაში, შავი ზღვის აუზში, მაგრამ ეს უფლება გამოიყენა მხოლოდ იმისათვის, რომ არ დაეშვა იქ სხვა ქვეყნის კონცესიონერების შემოსვლა. 1910 წელს ბერლინი დათანხმდა, რუსეთის კომპანიებს მიეღოთ ჩრდილოეთ სპარსეთში რკინიგზის გაყვანის უპირატესი უფლება. მაგრამ პეტერბურგი არც ფიქრობდა იქ რაიმე მშენებლობას, რადგან სპარსეთის ამ ნაწილში *„რუსეთის უპირატესობა სწორედ უგ ზოობაზე იყო დამოკიდებული და ასეთ უპირატესობას ის საკუთარი ნებით არ დათმობდა"* [Новичев, 1937, 156-157].

სუეცის არხის დაცვის საბაბით მთელი ეგვიპტე ოკუპირებულ იქნა ინგლისის არმიის მიერ. ადენი ბრიტანულ კოლონიად იქცა თავისი ყურის გამო, სადაც სამხედრო-საზღვაო ბაზა შეიქმნა. 1878 წლიდან კვიპროსს, რომელსაც სტრატეგიული მდებარეობა აქვს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ინგლისი დაეპატრონა (სამეფო კოლონიად ის I მსოფლიო ომის დაწყებისას გამოცხადდება). სამდინარო ნავიგაცია ტიგროსსა და ევფრატზე ასევე ბრიტანული კომერციული ინტერესების სფეროში იყო და შემდგომში ერაყზე პოლიტიკური კონტროლის პრეტენზიის საბაბად იქცა. გერმანული კონსორციუმის მიერ „ბაღდადის რკინიგზის" მშენებლობა ინდოეთისათვის მომავალი მეტოქეობის პრელუდია იყო.

ყველაფერს ამას კი იმპერიალიზმი ერქვა და ახლაც ასე ჰქვია.

როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთის შემთხვევაში, **განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებში** ვერ გამოვრიცხავთ ევროპის ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რომელიც არსებითად ზღუდავდა ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუვერენიტეტს. ევროპის ქვეყნები რეგიონში მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავდნენ, ხშირად – ერთმანეთისაგანაც. ჩრდილოეთიდან (რუსეთი), დასავლეთიდან (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი), სამხრეთიდან (ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია), აღმოსავლეთიდან (ბრიტანეთი) მოწოლილი პოლიტიკური ძალები თანდათანობით ამზადებენ რეგიონის პოლიტიკური რუკის ცვლილებას, რაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გახდება თვალნათელი.

მეორე მხრივ, დაპირისპირება ევროპის ქვეყნებს შორის (რუსეთი-ბრიტანეთი, გერმანია-ბრიტანეთი, საფრანგეთი-ბრიტანეთი, საფრანგეთი-გერმანია, რუსეთი-ავსტრია და ა.შ.; იქმნებოდა დროებითი კოალიციებიც უფრო ძლიერი საერთო მეტოქის წინააღმდეგ) არც ერთ მათგანს არ აძლევდა საშუალებას მთლიანად გაბატონებულიყო რომელიმე ახლოაღმოსავლურ ქვეყანაში და, გარკვეული თვალსაზრისით, უზრუნველყოფდა ოსმალეთისა და სპარსეთის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას.

1914 წლამდე, წინა სამი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი (გამონაკლისს წარმოადგენდა *ლორდი სოლსბერი*, პრემიერ-მინისტრი 1886-1892 და 1895-1902 წლებში [Wilson, 1982, 18]) მტკიცედ უჭერდა მხარს ოსმალეთის, ყოველ შემთხვევაში მისი იმპერიის ბირთვის, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

ლონდონის მიზანი იყო ოსმალეთის, როგორც ბასტიონის, გამოყენება რუსეთის იმპერიის ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ. პირველმა მსოფლიო ომმა ვითარება მკვეთრად შეცვალა: რუსეთი დიდი ბრიტანეთის მოკავშირე აღმოჩნდა, ოსმალეთი კი – მისი მტრის მოკავშირე.

ყველაფერი ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთი და სპარსეთი „ევროპული იმპერიალიზმის უცოდველი მსხვერპლი“ იყო. სტამბოლი აგრძელებდა არათურქული რეგიონების ჩაგვრას და, თუ შესაძლებლობა მიეცემოდა, არც ახალ ექსპანსიაზე იტყოდა უარს. ეს დამტკიცდა I მსოფლიო ომის დროს. XIX საუკუნეშიც კი ოსმალეთი თავის სამფლობელოებს აფართოებდა: 1869 წელს მან დაიკავა სპარსეთის ყურის ნაპირის მიმდებარე *ქუვეითი* (30 წლის შემდეგ მასზე პროტექტორატი გამოაცხადა დიდმა ბრიტანეთმა) და მის სამხრეთით მდებარე *ალ-ჰასა*, 1870 წელს აღადგინა თავისი ძალაუფლება *იემენში* [Brown, 1996]. სპარსეთი *აღანეთის* ნაწილის დამორჩილებას ლამობდა, ვიდრე ის ინგლისელებმა არ გამოაძევეს იქიდან; *სამხრეთ კავკასიაში* თეირანის რევანშიზმს მხოლოდ რუსეთის იმპერიის ძალა აჩერებდა.

ბრიტანულმა იმპერიალიზმმა რეგიონს მოუტანა არაწინასწარგანზრახული, მაგრამ სერიოზული პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები [Schofield, 1994].

ბრიტანული პროტექტორატის წყალობით არაბეთის ნახევარკუნძულის ხალხმცირე საშეიხოები შემდგომში სახელმწიფოებად გადაიქცნენ. სხვა შემთხვევაში მათ აუცილებლად ჩაყლაპავდა *აბდალა ზიზ ას-საუდის* მზარდი სამეფო, ისე, როგორც ეს უქნა ბევრად უფრო დიდ ჰიჯაზს. განა ვინმეს ახსოვს, რომ *ჰიჯაზი*, სადაც მდებარეობს მუსლიმთა წმინდა ქალაქები *მექა* და *მედინა*, 1916 წლიდან 1924 წლამდე დამოუკიდებელი სამეფო იყო, აღიარებული ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, საბჭოთა კავშირის მიერ, და იმართებოდა *ჰაშიმიანთა* და *არა საუდიანთა* დინასტიის მიერ, როგორც ახლა?

ამის საპირისპიროდ, ყოფილი *„მეკობრეთა ნაპირი“*, შემდგომში *„ხელშეკრულებით ომანად“* წოდებული ბრიტანეთის პროტექტორატების ჯგუფი (შვიდი საშეიხო), ამჟამად კი *„გაერთიანებული არაბული საამიროების“* სახელით ცნობილი სახელმწიფო მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების სიაში პირველ სტრიქონებზე მოიხსენიება. იმავე ბრიტანული პროტექტორატის წყალობით შემორჩნენ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას *კატარი, ქუვეითი, ომანი, ბაჰრეინი:* ამ უკანასკნელზე პრეტენზია ირანს XX საუკუნეშიც კი ჰქონდა.

1899 წელს პატარა, უდაბური ტერიტორიის, *ქუვეითის,* შეიხთან, რომელიც იქამდე ბასრას ვილაიეთის გუბერნატორს (*ვალის*) ექემდებარებოდა, ინგლისმა დადო საიდუმლო შეთანხმება. ლონდონი შეიხის ფაქტობრივი პროტექტორი ხდებოდა და უნიშნავდა მას ყოველ-

წლიურ სუბსიდიას – 15 ათას ინდურ რუპიას [ИД, 1963, 447]. ამ პოლიტიკური ნაბიჯის რეალური მიზეზი ქუვეითის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა იყო (ნავთობის არსებობა მაშინ არ იცოდნენ): სპარსეთის ყურის ჩრდილოეთში განლაგებული ქუვეითი თითქმის მთლიანად უკეტავდა ზღვაზე გასასვლელს ოსმალურ მესოპოტამიას (დღევანდელ ერაყს). გარდა ამისა, ქუვეითის ღრმა უბე საუკეთესო ნავსაყუდელია სპარსეთის ყურეში.

ქუვეითზე პროტექტორატის დამყარებით ბრიტანეთი წინდაწინვე უზღუდავდა გერმანიას შესაძლებლობას, მიეყვანა ბაღდადის რკინიგზა სპარსეთის ყურემდე. როდესაც ოსმალეთმა, ბერლინის წაქეზებით, 1901 წელს სამხედრო ნაწილები გაგზავნა ქუვეითის სეპარატისტი შეიხის წინააღმდეგ, ლონდონმა ქუვეითის უბეში თავისი კრეისერი შეიყვანა და ოსმალები არ შემოუშვა. ამ აქტით ინგლისელებმა ფაქტობრივი საფუძველი დაუდეს პატარა საშეიხოს მომავალ სუვერენიტეტს, რაც 90 წლის შემდეგ *სპარსეთის ყურის კრიზისისა* და ომის საბაბი გახდა.

დიდი ბრიტანეთის წყალობითაა ეგვიპტე არა მარტო აფრიკული, არამედ აზიური სახელმწიფოც. 1906 წელს ლონდონის დაჟინებით იქნა გავლებული სწორი გამმიჯნავი ხაზი (იმ დროს – ადმინისტრაციული საზღვარი) ოსმალეთის იმპერიის ჰიჯაზის ვილაიეთსა და იმპერიისავე ნომინალურ ნაწილს, ეგვიპტეს, შორის, ხმელთაშუა ზღვიდან ოდნავი დაშორებით მდებარე არაბულ დასახლება *რაფიაჰიდან აკაბას ყურის ჩრდილოეთამდე.* ამ ყურის ნაპირზე მდებარე ოსმალური სამხედრო პოსტი *უმ-რაშრაში* ჰიჯაზის ვილაიეთში დარჩა [Kliot, 1987]. ტოპოგრაფიასთან დაკავშირებით გაკეთებული მცირედი მოდიფიკაციით ეს ხაზი ახლა *ეგვიპტე-ისრაელის სახელმწიფო საზღვარია,* ხოლო უმ-რაშრაშის ადგილზე ისრაელს ახლა აქვს ნავსადგური და კურორტი *ეილათი.* 1906 წელს კი ლონდონს უნდოდა აღმოსავლეთის მხრიდან უფრო დიდი ტერიტორიული ბუფერით დაეცვა სუეცის არხი.

რთულ ურთიერთობაში თავის დაუძინებელ მტერ – რუსეთის იმპერიასთან, ოსმალეთმა უკანასკნელად ყირიმის ომის დროს (1853-1856) შეძლო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის თავის მხარეზე გამოყენება. ამის შემდეგ ის პირისპირ დარჩა ჯერ კიდევ აღმავლობის გზაზე მყოფ ჩრდილოელ მეტოქესთან.

მოკავშირეების ძებნისას *XIX საუკუნის ბოლო დეკადებში ოსმალეთმა აღმოაჩინა გერმანიის ინტერესების გარკვეული თანხვედრა საკუთართან.* უფრო ზუსტად, იმპერიად გაერთიანებულმა გერმანიამ ამ დროისათვის საკმარისად ძლიერად ჩათვალა თავი, რათა ევროპის გარეთ აქტიური პოლიტიკა წამოეწყო და დედამიწის თითქმის გაყოფილი „ნამცხვრიდან" თავისთვისაც მიეღო წილი კოლონიების სახით.

განსხვავებით ლონდონისაგან, რომლის „ქვემეხიანი ნავების დიპლომატია" კლასიკად იქცა, და პეტერბურგისაგან, რომელიც ოსმალეთში

ამჯობინებდა „კონტრიბუციულ დიპლომატიას“[1] და მოქმედებდა, ტარლეს სიტყვებით, „с помощью зычного солдатского окрика“ [Тарле, 1928, 248], ბერლინის პოლიტიკა ბევრად უფრო მოქნილი იყო. გერმანიის ექსპანსია ოსმალეთსა და სპარსეთში თავიდან მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. აი, როგორ აღწერს მას XX საუკუნის პირველი დეკადების ერთი ავტორი:

„გერმანია განაგრძობს თურქეთსა და სპარსეთში დიდ მოსამზადებელ მუშაობას. იხსნება სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო და ფილანტროპიული დაწესებულებები, იგ ზავნება სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიცია და სხვ. ესაა აღმოსაველეთში გერმანიის შეღწევის პირველი პერიოდი“ [Фукс, 1928, 11].

ხომ არ გვაგონებს ეს ზოგიერთი ნეოიმპერიალისტური სახელმწიფოს შეღწევას სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში XX საუკუნის ბოლო დეკადიდან?

სტამბოლი და თეირანი ბერლინში ხედავდნენ გარკვეულ საპირწონეს ინგლისისა და რუსეთის, აგრეთვე (ოსმალეთის შემთხვევაში) საფრანგეთისა და იტალიის იმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ. ძნელია იმის მტკიცება, რომ გერმანიასაც მომავალში არ გაუჩნდებოდა ასეთივე მადა, მაგრამ ფაქტია, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ბერლინი რეალურად ბევრს აკეთებდა ოსმალეთის სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად, წვრთნიდა მის არმიას.

1913 წელს თურქეთის არმიის რეორგანიზაცია დაეკისრა გერმანულ სამხედრო მისიას, რომელსაც გენერალი *ოტო ლიმან ფონ სანდერსი* ჩაუდგა სათავეში[2]. არმია კი საბოლოოდ ერთადერთი ძალა აღმოჩნდა, რომელმაც გადაარჩინა თურქეთი სრულ დაქუცმაცებას. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებრივი აზრი ოსმალეთსა და სპარსეთში უფრო პროგერმანული იყო, ვიდრე პრობრიტანული ან პრორუსული.

გერმანული კონსორციუმი სწრაფად აშენებდა რკინიგზას ბაღდადამ-

---

1. 1877-1878 წწ. ომში დამარცხების შემდეგ ოსმალეთს შეენერა 802,5 მილიონი ოქროს ფრანკის კონტრიბუცია, რომელიც მან ბოლომდე ვერც გადაუხადა რუსეთის იმპერიას. *„რუსულ იმპერიალიზმს არ სჭირდებოდა ოსმალეთში* [სხვა ქვეყნების მიერ: რ.გ.] *რკინიგზის მშენებლობა, და თუ აღმოჩნდებოდა, რომ დაგეგმილ რკინიგზას სწორედ იმ ვილაიეთებზე უნდა გაევლო, რომელთა შემოსავალიც კონტრიბუციის გადახდას უზრუნველყოფდა, მშენებლობის გეგმა შესაცვლელი ხდებოდა“* [Новичев, 1937, 224].

2. უფრო მოგვიანებით, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 1915-1916 წლებში, დარდანელის სრუტის მხრიდან სტამბოლისაკენ გაჭრის მცდელობისას დიდი ბრიტანეთისა და მისი დომინიონების სამხედრო ნაწილებმა მძიმე მარცხი განიცადეს (დანაკარგმა 214 ათასამდე ადამიანი შეადგინა: მათი საგრძნობი ნაწილი ავსტრალიელები და ახალზელანდიელები იყვნენ; ოსმალეთმა 300 ათასამდე ადამიანი დაკარგა). ოსმალეთის მე-5 არმიას *გალიპოლის* (თურქულად – *გელიბოლუს*) ნახევარკუნძულზე, რომელიც დარდანელის სრუტის დასავლეთ მხარეზეა, ხელმძღვანელობდა გენერალი *ლიმან ფონ სანდერსი*. ოსმალების მხრიდან გმირობის მაგალითს იძლეოდა პოლკოვნიკი *მუსტაფა ქემალი* (შემდგომში – თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი *ქემალ ათათურქი*). გალიპოლისთან გამარჯვებამ წარმოშვა სამართლიანი სიამაყე თურქ ოფიცერთა ნრეში, ფაქტობრივად შექმნა მათი კასტა.

დარდანელის ოპერაციაში ანტანტის მიერ განცდილ მარცხს სხვა ეფექტიც ჰქონდა: მან ორი წლით გადაავადა ომის დამთავრება, ხოლო სრუტეების ჩაკეტვამ რუსეთის საგარეო ვაჭრობას და მისთვის გარედან სამხედრო დახმარებას უმძიმესი პრობლემები შეუქმნა და დაჩქარა რევოლუცია პეტროგრადში.

დე, რომელიც შემდგომში ბასრამდე უნდა მისულიყო. აშკარა იყო, რომ გერმანული ინტერესების დამკვიდრება სპარსეთის ყურის სანაპიროზე მალე გადაიქცეოდა სერიოზულ მუქარად ბრიტანული ინტერესებისათვის ინდოსტანის ნახევარკუნძულზე.

ამდენად, ინგლისის მთავრობა დიდი ეჭვით უყურებდა ახლო აღმოსავლეთში გერმანიის გავლენის სწრაფ ზრდას, ვინაიდან ეს რეგიონი მიაჩნდა ბუფერად სამხრეთ აზიაში საკუთარი ინტერესების დასაცავად.

დიდი ხნის განმავლობაში პრობლემებს ახლო აღმოსავლეთში ბრიტანეთს უქმნიდა მეტოქეობა რუსეთთან. მაგრამ XX საუკუნის პირველ დეკადაში ლონდონისათვის ნათელი შეიქნა, რომ მისი ძირითადი მოწინააღმდეგე ხდება სწრაფად განვითარებადი და ბევრად უფრო მოქნილი მეტოქე – გერმანია. საერთო მოწინააღმდეგის დადგენაში ბრიტანულ თვალსაზრისს იმავე პერიოდიდან მეტ-ნაკლებად იზიარებდა პეტერბურგიც, რომელიც ხედავდა, რომ გერმანია სერიოზულად ეხმარება მის მთავარ მეტოქეს რეგიონში – ოსმალეთს.

მსოფლიო სწრაფად უახლოვდებოდა დიდ ომს, რომელშიც ერთერთი სადავო ტერიტორია და, ერთდროულად ბრძოლის ველი, უნდა გამხდარიყო ახლო აღმოსავლეთი.

თავი 10

მსოფლიო ომები და ახლო აღმოსავლეთი: თანამედროვე პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბება

პირველი მსოფლიო ომის მონაწილე სახელმწიფოების ინტერესები რეგიონში

პირველი მსოფლიო ომი, რომელსაც ერთმა იმდროინდელმა პოლიტიკოსმა პომპეზურად უწოდა *„ყველა ომის დამამთავრებელი ომი“*, რეალურად მსოფლიოს გადანაწილებას ისახავდა მიზნად. ევროპაში აგრესიის მსხვერპლად მხოლოდ ბელგიას თუ მივიჩნევთ, რომლის ნეიტრალიტეტის დარღვევა გერმანიას საფრანგეთზე შესატევად დასჭირდა. ევროპის ყველა დანარჩენ მეომარ ქვეყანას საკუთარი აგრესიული ზრახვები ჰქონდა და ტერიტორიულ შენაძენს ელოდა. ზესახელმწიფოების ინტერესების საგრძნობი ნაწილი კი ახლო აღმოსავლეთს უკავშირდებოდა.

დიდი ბრიტანეთისათვის ახლო აღმოსავლეთს მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც „ინდოეთის ფარს“. თუკი გერმანია მოიკიდებდა ფეხს ამ რეგიონში, ის მისთვის „ინდოეთის კარიბჭე“ გახდებოდა.

ომის წინ რეგიონში მდებარეობდა ორი სუვერენული სახელმწიფო (*ოსმალეთი* და *სპარსეთი*). არაბეთის ნახევარკუნძულის უდაბნოებში, ნომინალურად ოსმალეთის ვასალურ *ნაჯდის, ჯაბალ-შამარის, ასირის* საამიროებში, *იემენის* იმამათში და ოსმალეთს დაქვემდებარებულ *ჰიჯაზის* ვილაიეთში ფაქტობრივი დამოუკიდებლობის პირობებში ცხოვრობდნენ ბედუინთა ტომები. ეგვიპტეში და სპარსეთის და ადენის ყურეების სანაპიროთა ყველაზე ხელსაყრელ ადგილებში ბატონობდა ბრიტანეთის იმპერია თავისი პროტექტორატების სისტემით.

ანტანტის ქვეყნებს ზოგადად, და განსაკუთრებით, დიდ ბრიტანეთს აინტერესებდა ოსმალეთში გერმანიის მზარდი გავლენის მოსპობა, ეგვიპტეში თავისი პოზიციის განმტკიცება, სადაც მისი სამხედრო ნაწილები უკვე იდგა, რათა სტრატეგიული მნიშვნელობის სუეცის არხისათვის მიეხედა.

ომში ოსმალეთის ჩაბმისთანავე, 1914 წლის ბოლოს, დიდი ბრიტანეთის არმიის ინდოელთა კორპუსმა დაიკავა სამხრეთ ერაყი, რათა დასავლეთიდან დაეცვა *აბადანი*, სპარსეთის იმ დროს ერთადერთი ნავთობჩამომსხმელი ნავსადგური, რომელსაც რეალურ კონტროლს ბრიტანეთი უწევდა. უკვე ომის დროს ჩამოყალიბდა ოსმალეთის კუთვნილი მესოპოტამიის, სირიისა და პალესტინის დაუფლების გეგმა.

საფრანგეთს ამოძრავებდა გარკვეული კოლონიური ინტერესები ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ლიბანში. მაგრამ ძირითადი მოტივაცია მისთვის მაინც იყო ევროპაში რევანშის აღება პრუსიასთან 1870-1871 წლების ომში დამარცხებისათვის.

რუსეთი შედარებით ნაკლებად იყო დაინტერესებული ევროპაში ომით, რომელშიც ის ფაქტობრივად ჩაითრია სერბეთმა. სამაგიეროდ, დამხმარე მნიშვნელობის მქონე *კავკასიის ფრონტი* რუსეთისათვის სწორედ რომ მისწრება იყო: ის ოსმალეთის ხარჯზე აპირებდა გაფართოებას. ომის პირველ წლებში ეს ფრონტი ყველაზე წარმატებულიც აღმოჩნდა რუსეთისათვის.

როგორც ზემოთაც ითქვა, ომის დროს მოკავშირეები *პეტროგრადს* (პატრიოტული მოსაზრებით 1914 წელსვე *პეტერბურგს* გერმანული სახელი გამოუცვალეს) დაპირდნენ მთავარი ოცნების აღსრულებასაც: 1915 წლის 12 მარტის ნოტით ინგლისი ოფიციალურად იღებდა ვალდებულებას, ომის შემდეგ გადაეცა რუსეთისათვის კონსტანტინოპოლი და სრუტეები მიმდებარე ტერიტორიითურთ [ИД, III, 1965, 18].

კონსტანტინოპოლი ომის უძვირფასესი ნადავლი იქნებოდა და მისი შესაძლებელი გადასვლა ოსმალეთისაგან რუსეთის ხელში ძირფესვიანად შეცვლიდა გეოპოლიტიკურ ვითარებას ევრაზიაში.

რუსეთის გენერალური შტაბი 1917 წლისათვის გეგმავდა გადამწყვეტ იერიშს *ცარგრადზე* (სტამბოლზე). მაგრამ პეტროგრადში იმავე წელს მომხდარმა *თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ* და, საბოლოოდ, 25 ოქტომბრის (ძვ. სტილით) *ბოლშევიკურმა რევოლუციამ* ამ გეგმას ხაზი გადაუსვა.

რაც შეეხება გერმანიის ირგვლივ გაერთიანებულ **ცენტრალურ სახელმწიფოებს**, მათ შორის **ავსტრია-უნგრეთს** პრაქტიკულად არ ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში ომის მოტივაცია. მისი საარტილერიო და საინჟინრო ნაწილები გარკვეულწილად ეხმარებოდნენ ოსმალებს.

სამაგიეროდ, გერმანიის სტრატეგიულ გეგმაში შედიოდა სპარსეთის ყურეში გასვლა და ინდოეთში ბრიტანული ინტერესებისათვის რეალური მუქარის შექმნა. ამის განხორციელება მას მხოლოდ ევროპაში ომის მოგების შემთხვევაში შეეძლო. მართალია, ომის საწყის ეტაპზე სამხრეთ სპარსეთში საკმაოდ ეფექტიანად მოქმედებდნენ პროგერმანული ძალები, მაგრამ მათ მხოლოდ „ცეცხლის თავისკენ მიმქცევის“ როლი ჰქონდათ.

ევროპაში ორ ფრონტზე მებრძოლ *გერმანიას უნდოდა, რუსეთსაც ჰქონოდა დამატებითი ფრონტი* – როგორმე ერთმანეთისათვის დაეტაკებინა რუსეთი და ოსმალეთი. კავკასიის ფრონტი დააბანდებდა რუსეთის იმ ძალებს, რომლებიც ევროპის ფრონტებზე შეიძლებოდა გამოეყენებინათ, ხოლო *რუსეთისათვის შავი ზღვის სრუტეების ჩაკეტვა მისი ეკონომიკური ბლოკადის ტოლფასი იყო.* საკმარისია ითქვას, რომ საზღვაო გზით წარმოებული რუსეთის საგარეო ვაჭრობის 60 პროცენტი და ხორბლის მთელი ექსპორტი 1914 წლამდე შავი ზღვის სრუტეების გავლით ხორციელდებოდა [Drysdale & Blake, 1985, 55]. გარდა ამისა, ოსმალეთის ომში ჩართვა ახლო აღმოსავლეთში დააბანდებდა ბრიტანულ ძალებსაც.

რუსეთმა 1914 წლის 2 ნოემბერს ოსმალეთს ომის გამოუცხადა. ეს შედეგად მოჰყვა გერმანული ჯავშნოსანი „გიობენისა" და კრეისერ „ბრესლაუს" მიერ 29 ოქტომბერს შავ ზღვაში განხორციელებულ სამხედრო პროვოკაციას, როდესაც მათ მოულოდნელად დაბომბეს რუსეთის სანაპირო ქალაქები – ოდესა, სევასტოპოლი, ფეოდოსია და ნოვოროსიისკი[1].

სპარსეთმა იმავე 1914 წლის 2 ნოემბერს ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, თუმცა მის ტერიტორიაზე ბრძოლას ეწეოდნენ სხვა სახელმწიფოთა: რუსეთის, ოსმალეთის, დიდი ბრიტანეთის არმიები, პროგერმანული ძალები (ე.წ. *შვედური ყანდარმერია*).

რაც შეეხება პირველი მსოფლიო ომის უშუალო მონაწილეს, ოსმალეთს, მისი ჩაბმა ომში განაპირობა „ახალგაზრდა თურქთა" ლიდერების, განსაკუთრებით სამხედრო მინისტრის, ენვერ ფაშას, ავანტიურიზმმა. ქვეყანა არ იყო საომრად მზად, მაგრამ ქვეყნის სათავეში მდგომ ჯგუფს იმედი ჰქონდა, რომ გერმანია დაამარცხებდა ანტანტას. ამასთან, საზოგადოებრივი აზრიც ოსმალეთში ანტანტის წინააღმდეგ იყო განწყობილი[2].

---

1. ამ დროისათვის ოსმალეთმა *ფიქტიურად* შეისყიდა ეს გემები გერმანიისაგან, რომელთაც „*იავუზ სულტან სელიმი*" და „*მიდილი*" დაარქვა. თუმცა გემები ოსმალური დროშით ცურავდნენ, მაგრამ მათი ადმირალი და ეკიპაჟი გერმანელები იყვნენ (მეზღვაურებს მხოლოდ ფორმა გამოუცვალეს და ფესები დაახურეს თავზე). სამხედრო პროვოკაციის თანაინიციატორი გერმანელებთან ერთად იყო ოსმალეთის სამხედრო მინისტრი *ენვერ ფაშა.*

2. ომისათვის მზადების მიზნით, ბალკანეთის პირველი ომის დროს (1912 წ.), საბერძნეთის მიერ დაპყრობილი ეგეოსის ზღვის კუნძულების დასაბრუნებლად, ოსმალეთმა იმავე წელს ინგლისში შეუკვეთა ორი *დრედნოუტი* – მსხვილი ჯავშნოსანი გემი – მძლავრი შორსმსროლელი არტილერიით. მათ შესაძენად საჭირო ფულის შესაგროვებლად მთავრობამ გამოიყენა ბერძნებთან ახალგანცდილი მარცხით გამონვეული რევანშისტული აღტკინება: თანხა შეგროვდა ხელმონერით, საქველმოქმედო ბაზრებზე. მუსლიმი ქალები პირად ძვირფასეულობასა და საკუთარ თმასაც კი სწირავდნენ. მაგრამ 1914 წლის 31 ივლისს, როდესაც ოსმალთა ეკიპაჟი ჩასული იყო ინგლისში პირველი გემის მისაღებად, ბრიტანეთის მთავრობამ ორივე დრედნოუტის რეკვიზიცია მოახდინა. ნათელი იყო, რომ უახლოეს დროს დაინყებოდა დიდი ომი და ლონდონი ვერ დაუშვებდა შესაძლო მეტოქის ფლოტის გაძლიერებას. ბრიტანეთის მთავრობის ამ აქციამ საშინელი რისხვა გამოიწვია სტამბოლში და ხელი შეუნყო ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრის გადახრას გერმანიის მხარეს.

თურანისტული გეგმის განხორციელება, კავკასიის გარდა, ირანის აზერბაიჯანის ოკუპაციასაც ითვალისწინებდა. 1914-1916 წლებში ოსმალეთის არმიის ნაწილები რუსებს სპარსეთის ტერიტორიაზეც ებრძოდნენ.

1914 წლის 17 დეკემბერს ეგვიპტე ფორმალურად გამოეყო ოსმალეთს, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა ის თავის პროტექტორატად გამოაცხადა. ეგვიპტე ჩაება ომში ანტანტის მხარეს. სწორედ ეგვიპტის მხრიდან ახორციელებდნენ ბრიტანელები თავიანთ სამხედრო ოპერაციებს პალესტინისა და სირიის დასაპყრობად.

სამხრეთის ფრონტებზე ოსმალური არმიები გაჭიმული იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე, რაც აძნელებდა ბრიტანელების შეჩერებას, რომელთაც 1917 წლის 11 მარტს აიღეს ბაღდადი, ხოლო 9 დეკემბერს – იერუსალიმი. ამ ისტორიული ქალაქების აღებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში.

დიპლომატია და ტერიტორია: მაკმაჰონ-ჰუსაინი, საიქს-პიკო, ბალფური

ანტანტის დიპლომატიამ დროულად დაიწყო ზრუნვა ახლო აღმოსავლეთის ომისშემდგომ მოწყობაზე.

ომის დროს დიდი ბრიტანეთი ეძებდა ადგილობრივ მოკავშირეს ოსმალეთის იმპერიაში. ამ მიზნით მისმა დიპლომატიამ მექაზე მიიტანა იერიში.

ოსმალეთის სუსტი ადგილი იყო პერიფერია, განსაკუთრებით *ჰიჯაზი* – არაბეთის ნახევარკუნძულზე, რომლის შენარჩუნებაც სტამბოლს ესაჭიროებოდა იდეოლოგიური თვალსაზრისით: იქ იყო *მექა*, ისლამის მთავარი წმინდა ადგილი, რომლის დაკარგვა დიდ პროპაგანდისტულ უკუეფექტს იქონიებდა ოსმალეთისათვის. ბრიტანელებმა კი ოსმალებს აუჯანყეს სწორედ მექის მმართველი *ჰუსაინი*, რომელმაც 1916 წლის 30 ივნისს ჰიჯაზი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

ამას დიდი დიპლომატიური მომზადება უძღოდა წინ.

„მაკმაჰონ-ჰუსაინის მიმოწერა". 1915 წლის ივლისიდან 1916 წლის მარტამდე მექის მმართველმა *შარიფმა*[1] *ჰუსაინ იბნ-ალი ალ-ჰაშიმიმ*

1. *შარიფი* (არაბულად „კეთილშობილი, დიდებული") იყო ტიტული წინასწარმეტყველ მუჰამმადის შთამომავლებისა მისი ქალიშვილის, ფატიმას და მისი სიძის, მეოთხე ხალიფა ალის, მხრიდან. დინასტიურად ისინი *ჰაშიმიანებს* ეკუთვნიან. შარიფები მართავდნენ მექას მეათე საუკუნიდან 1924 წლამდე, ვიდრე *აბდალაზიზ ას-საუდი* ნაართმევდა მათ ჰიჯაზს წმინდა ქალაქებითურთ. ჰუსაინის შთამომავლები არიან დღევანდელი იორდანიის მონარქები. ჰუსაინის მეორე შვილი, *ფაისალი*, ერაყში მეფობდა. მისი შტო მოისპო ერაყის 1958 წლის რევოლუციის დროს.

და დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა ეგვიპტეში *სერ ჰენრი მაკმაჰონმა* ერთმანეთს გაუგზავნეს ჯამში ათი წერილი. ამ წერილებში განისაზღვრა ის პირობები, რომლებითაც *ჰუსაინი* ააჯანყებდა არაბებს ოსმალეთის წინააღმდეგ და მიემხრობოდა ომში ბრიტანელებს: სანაცვლოდ მექის შარიფი ითხოვდა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერას აზიის არაბული მიწების ხარჯზე არაბული სახელმწიფოს (სახალიფოს) აღსადგენად, მისი დამოუკიდებლობის ცნობასა და გარანტირებას. *ეგვიპტე ჰუსაინს არ მოუთხოვია და არც ადენზე განუცხადებია პრეტენზია.* ბრიტანულმა მხარემ მიიღო ეს პირობები, ოღონდ ვერ დაეთანხმა *ჰუსაინის* მიერ აზიაში მოთხოვნილი ტერიტორიის საზღვრებს.

„მაკმაჰონ-ჰუსაინის მიმოწერა" არის კლასიკური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გეოგრაფიულმა უზუსტობამ (თუ უვიცობამ?) გამოიწვიოს ხანგრძლივვადიანი საერთაშორისო გართულება.

1915 წლის 24 ოქტომბრის წერილში *მაკმაჰონი* წერდა:

„მერსინისა და ალექსანდრეტას ორი რაიონი და სირიის ის ნაწილები, რომლებიც მდებარეობს დამასკოს, ჰომსის, ჰამასა და ალეპოს რაიონების დასავლეთით, არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა არაბულად. ამიტომაც ეს ადგილები უნდა გამოირიცხოს [არაბული სახელმწიფოს. რ.გ.] *შემოთავაზებული დელიმიტაციიდან*" [Sela, 1999].

თუ რუკას დავხედავთ, ისე ჩანს, რომ ამ შენიშვნით *მაკმაჰონი* არსებითად ბრიტანეთის მოკავშირე საფრანგეთისათვის ლევანტის სანაპირო მხარის რეზერვირებას ახდენდა. *ჰუსაინი* დაეთანხმა ამ შენიშვნას, ისევე, როგორც ცნო ბაღდადისა და ბასრას ვილაიეთებში ბრიტანეთის განსაკუთრებული ინტერესები. ასე რომ, ის ერაყზეც არ აცხადებდა პრეტენზიას.

მოგვიანებით, 1917 წლის ბოლოს, როდესაც ბოლშევიკების მთავრობამ გამოამზეურა საიდუმლო *„საიქს-პიკოს შეთანხმება"* (იხ. ქვემოთ) და გამოქვეყნდა *„ბალფურის დეკლარაცია"*, დიდ ბრიტანეთსა და არაბებს შორის ატყდა დავა იმის თაობაზე, განეკუთვნება თუ არა პალესტინა „მაკმაჰონ-ჰუსაინის მიმოწერით" გამორიცხულ ადგილებს.

საქმე ისაა, რომ ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად, პალესტინის ჩრდილოეთი ნაწილი (სამარია და გალილეა) შედიოდა ბეირუთის ვილაიეთში, ხოლო სამხრეთით მდებარე ნეგევის უდაბნო – ჰიჯაზის ვილაიეთში, ცენტრით მედინაში. იერუსალიმის რაიონი (*„ალ-კუდსის მუთესარიფლიკი"*) უშუალოდ ემორჩილებოდა სტამბოლს. პალესტინა არ იყო „სირიის ნაწილი", ის არ მდებარეობდა *„დამასკოს, ჰომსის, ჰამას, ალეპოს რაიონების დასავლეთით"*. მაგრამ პალესტინა მდებარეობდა დამასკოს (*შამის*) ვილაიეთის დასავლეთით, ვინაიდან ეს ვილაიეთი მოიცავდა დღევანდელ იორდანიასაც, რაზეც მოგვიანებით მიუთითებდა ბრიტანეთის მთავრობა.

მაკმაჰონს თავის წერილში, რომელიც ლონდონთან იყო შეთანხმებული, შეეძლო პირდაპირ ეხსენებინა *პალესტინა* ან *იერუსალიმის რაიონი*, თუკი მის გამორიცხვას აპირებდა. სავსებით შესაძლოა, ეს დაუდევრობა იყო, მაგრამ სერიოზული პოლიტიკური გართულების მომტანი. გეოგრაფიულად ბუნდოვანი ტექსტიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უმაღლესი კომისარი *გამორიცხულ ადგილებად* გულისხმობდა მხოლოდ *დღევანდელ ლიბანს, დასავლეთ სირიას, აგრეთვე დღევანდელ სამხრეთ თურქეთს (ჰათაის ილს)* [Fromkin, 2001, 183], სადაც არსებობდა, თუნდაც არადომინანტი, ქრისტიანული მოსახლეობა. იქვე ცხოვრობდნენ სუნიტი თურქები, შიიტი არაბი-ალავიტები: ეს ტერიტორია, გარკვეული პირობითობით, შეიძლება არ ჩათვლილიყო „წმინდა არაბულად".

ამ წერილის (რომელიც ფორმალურად არც შეთანხმებას წარმოადგენდა და არც მტკიცე პირობას გულისხმობდა) ტექსტის ზემოაღნიშნული ბუნდოვანების მიუხედავად, ბრიტანეთის მხარე შემდგომში ამტკიცებდა, რომ *გამორიცხულ ადგილებში* ივარაუდებოდა პალესტინაც და, ამდენად, *„ბალფურის დეკლარაცია"* [იხ. ქვემოთ] არ ყოფილა უპრინციპობის გამოვლინება.

არაბები კი ამტკიცებდნენ (და მათ მტკიცებას მეტი გეოგრაფიული ლოგიკა ახლავს თან), რომ წერილის ტექსტიდან ისე გამოდის, თითქოს იმ ტერიტორიაში, რომელსაც *მაკ-მაჰონი* დაჰპირდა *ჰუსაინს*, პალესტინაც იყო ჩართული და, ამდენად, „საიქს-პიკოს შეთანხმება" და განსაკუთრებით „ბალფურის დეკლარაცია" ბრიტანული მზაკვრობისა და მუხანათობის მაგალითს წარმოადგენდა.

მაგრამ 1916 წლის 5 ივნისს, როდესაც არაბებმა მართლაც წამოიწყეს აჯანყება ოსმალების წინააღმდეგ, ისინი ჯერ არ იცნობდნენ უაიტჰოლის დიპლომატიის ამ დახვეწილ ნიუანსებს. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ აჯანყების წამახალისებელი მიზეზი იმდენად პატრიოტიზმი არ იყო, რამდენადაც ინგლისური გირვანქა სტერლინგები, რომლებიც ლონდონმა უხვად მისცა *ჰუსაინსა* და მის ვაჟიშვილებს, უპირველესად *ფაისალს*.

შედარებით მცირერიცხოვანი ბედუინების თავდასხმისაგან ჰიჯაზის რკინიგზის დაცვა ოსმალეთის საგრძნობ ძალებს ქსაქსავდა, რაც უადვილებდა ბრიტანულ ნაწილებს ეგვიპტის მხრიდან ჯერ პალესტინაზე და შემდეგ სირიაზე შეტევას.

„საიქს-პიკოს შეთანხმება". ჯერ კიდევ ბრიტანული იარაღის რეალურ წარმატებამდე ლონდონმა და პარიზმა მოილაპარაკეს, თუ როგორ გაიყოფდნენ ოსმალეთის იმპერიას ომის მოგების შემდეგ [Woodward & Butler, 1952; Boustani & Fargues, 1990].

ინგლისელმა დიპლომატმა *სერ მარკ საიქსმა* და საფრანგეთის გენერალურმა კონსულმა ბეირუთში *ფრანსუა-ჟორჟ პიკომ*, რომელ-

თაც თავიანთი მთავრობების რწმუნებულება ჰქონდათ, 1915 წლის 23 ნოემბერს ლონდონში, საფრანგეთის საელჩოს შენობაში, დაიწყეს მოლაპარაკება და 1916 წლის დასაწყისისათვის მოამზადეს საიდუმლო შეთანხმება ოსმალეთის იმპერიის არაბული სამფლობელოების გაყოფის თაობაზე.

ამ გარიგებას გაეცნო და, შესწორებების შეტანის შემდეგ, შეუერთდა რუსეთის იმპერიის მთავრობაც. ამის გამო *ფრომკინი* მას *„საიქს-პიკო-სა ზონოვის შეთანხმებას"* უწოდებს რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის გვარის დამატებით [Fromkin, 2001, 189].

შეთანხმებაში საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი აცხადებდნენ მზადყოფნას, ეცნოთ და დაეცვათ დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო ანდა არაბული ქვეყნების კონფედერაცია ერთ-ერთი არაბი ლიდერის სიუზერენიტეტის ქვეშ. მაგრამ იქვე, თანდართულ რუკაზე (ნახ. 10.1) მითითებული იყო ოსმალეთის იმპერიის ის ნაწილები, სადაც საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი პირდაპირი ან არაპირდაპირი ადმინისტრაციისა ან კონტროლის დაარსების უფლებას ანიჭებდნენ ერთიმეორეს.

ორმა დიპლომატმა ფერადი ფანქრებით შემოხაზა სხვადასხვა ხალხებით დასახლებული მიწის მონაკვეთები, სადაც უცხო ძალას დიდი ხნით, შესაძლოა სამუდამოდაც, უნდა განესაზღვრა მომავალში შესაქმნელი პოლიტიკური ერთეულების ბედი.

„საიქს-პიკოს შეთანხმების" მიხედვით ლიბანი, სირიის სანაპირო რაიონები და დღევანდელი თურქეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილი საფრანგეთის უშუალო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა (*„ლურჯი ზონა"*), ხოლო შიდა სირია და მოსულის ვილაიეთი (ამჟამინდელი ჩრდილოეთ ერაყი) ფრანგული გავლენის ზონა უნდა გამხდარიყო (ზონა „A"). მოსულის ვილაიეთის შეტანა ფრანგული გავლენის ზონაში ბრიტანული ინიციატივა იყო, რომელსაც უნდოდა შეექმნა „ფრანგული ბუფერი" საკუთარ და რუსეთის სამომავლო სამფლობელოებს შორის. მოსულის ვილაიეთში ნავთობის არსებობა ცნობილი იყო, მაგრამ მისი მოცულობა – ჯერ დაუდგენელი. მას შემდეგ, რაც 1918 წელს რუსეთი გამოეთიშა გეოპოლიტიკურ თამაშს ახლო აღმოსავლეთში, ლონდონმა უდიდესი დაინტერესება გამოამჟღავნა მოსულის მიმართ.

ბრიტანეთის უშუალო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა ცენტრალური და სამხრეთ ერაყი და ქუვეითი (*„წითელი ზონა"*), ხოლო დღევანდელი იორდანია და დასავლეთ ერაყი ბრიტანული გავლენის სფერო ხდებოდა (ზონა „B").

პალესტინაზე ორივე მხარეს ჰქონდა პრეტენზია, ამიტომაც კომპრომისის სახით დადგინდა, რომ მისი დიდი ნაწილი, იერუსალიმითურთ (*„ყავისფერი ზონა"*), უნდა დაქვემდებარებოდა საერთაშორისო ადმინისტრაციას, რომლის სტატუსი უნდა შეთანხმებულიყო რუსეთის იმპერიასთან, სხვა მოკავშირეებთან და მექის შარიფის წარმომადგენლებთან

კონსულტაციის შემდეგ. ამასთან, ბრიტანეთის წარმომადგენელმა თავისი ქვეყნისათვის მოითხოვა (და მიიღო) პალესტინაში მდებარე ხაიფას ნავსადგური.

ევროპელი მოკავშირეები რუსეთს უთმობდნენ აღმოსავლეთ ანატოლიას – ტრაბზონის, ერზურუმის, ვანის, ბითლისის ვილაიეთებს. ეს ტერიტორია რუსეთს უნდა მიეღო იმის ზევით, რასაც მას კონსტანტინოპოლისა და სრუტეების შესახებ დადებული საიდუმლო შეთანხმებით შეჰპირდნენ [ИД, III, 1965, 26]. რეალურად რუსეთმა ვერაფერი მიიღო იმის გამო, რომ ომს ნაადრევად და სეპარატულად გამოეთიშა.

აღსანიშნავია, რომ *„საიქს-პიკოს შეთანხმებაში“ არაფერი თქმულა სომხებისა და ქურთების სახელმწიფოების შესაძლო შექმნის შესახებ:* ამ ხალხების ბედი ევროპის დედაქალაქებში საერთოდ არ აინტერესებდათ.

ნახ. 10.1. ოსმალეთის მემკვიდრეობის დანაწილების გეგმა „საიქს-პიკოს შეთანხმების“ (1916 წ.) თანახმად



გარიგების დადებისთანავე, როგორც ბრიტანეთის, ისე საფრანგეთის ხელისუფლებაში გამოჩნდნენ გავლენიანი პირები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მეორე მხარემ „მოატყუა“ და „მეტი მიიღო“. ომის დამთავრებისთანავე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა *დევიდ ლოიდ-ჯორჯმა* გამოსთხოვა მოსულის ვილაიეთი და მთელი პალესტინა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე *ჟორჟ კლემანსოს* მისი ბუნდოვანი დაიმედების ფასად, რომ ლონდონი მხარს დაუჭერდა პარიზის ინტერესებს ევროპაში.

1919 წელს შექმნილმა *ერთა ლიგამ*, რომელშიც წამყვან როლს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი თამაშობდნენ, ძირითადად ზემოხსენებული შეთანხმების ქარგაზე გამოჭრა ახლო აღმოსავლეთის ახალი რუკა. *„საიქს-პიკო“*, გარკვეული თვალსაზრისით, იქცა ფარული გარიგების გზით სხვისი ტერიტორიის განაწილების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად. ასე მაგალითად, როდესაც 2003 წლის დასაწყისში ერაყელი დიპლომატები გაეროს უშიშროების საბჭოში გმობდნენ ამერიკისა და ბრიტანეთის პოზიციას ერაყის მიმართ, ისინი მათ ბრალს სდებდნენ *„ერაყის დასანაწევრებლად ახალი საიქს-პიკოს მომზადებაში“*.

„ბალფურის დეკლარაცია“. პალესტინაში ებრაელთა ლეგალურად დასახლების უფლებაზე 1917 წლის თებერვლიდან მიმდინარეობდა მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის მთავრობასა და სიონისტურ ფედერაციას შორის, რომელსაც ძალიან აქტიურად წარმოადგენდა ფედერაციის პრეზიდენტი, შემდგომში ისრაელის სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი *ხაიმ ვაიცმანი* [Weigal & Carmichel, 1962]. სხვათა შორის, იმ დროს პალესტინა ჯერ ისევ ოსმალების ხელში იყო.

1917 წლის 2 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა *ლორდმა ბალფურმა* სიონისტური ფედერაციისათვის გასაცნობად საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი (ე.წ. „ბალფურის დეკლარაცია“) გაუგზავნა ცნობილი ბანკირების, როტშილდების, ბრიტანული შტოს წარმომადგენელს *ლორდ როტშილდს* (იხ. ჩანართი 10.1).

აღსანიშნავია, რომ 1917 წლის 4 ივნისს საფრანგეთის მთავრობამაც მისცა წერილობითი დაპირება სიონისტებს, რომელთაც *ნაჰუმ სოკოლოვი* წარმოადგენდა, რომ იგი მხარს დაუჭერს ებრაელი ერის აღორძინებას *იმ მიწაზე*, საიდანაც ისრაელის ხალხი განიდევნა მრავალი საუკუნის წინ [Fromkin, 2001, 292]. ამ დოკუმენტმა, თუმცა ის ბუნდოვანი იყო (განსაკუთრებით გეოგრაფიულად: კონკრეტულად არ ზუსტდებოდა *ის მიწა*, რომელსაც გულისხმობდნენ ტექსტის ავტორები), გარკვეული იმპულსი მისცა დიდი ბრიტანეთის მთავრობას საკუთარი (ასევე საკმაოდ ბუნდოვანი) გარანტიები მიეცა სიონისტებისათვის.

„ბალფურის დეკლარაციის“ გამოქვეყნებით ლონდონი ჩქარობდა დაესწრო ბერლინისათვის, რომელიც ასევე ცდილობდა ებრაელობის

მხარდაჭერის მოპოვებას. გერმანიის მთავრობამაც გამოაქვეყნა ანალოგიური დეკლარაცია 1918 წლის 5 იანვარს, რომელსაც ისრაელში გამოცემული ენციკლოპედია „ნელთბილს" უწოდებს [Sela, 1999, 160].

ჩანართი 10.1

ფორინ ოფისი

ნოემბრის 2, 1917 წ.

ძვირფასო ლორდო როტშილდ,

ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი თანაგრძნობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და დამტკიცდა კაბინეტის მიერ:

„მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გაადვილოს ამ მიზნის მიღწევა, იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, ანდა იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლებითაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში".

მადლობელი დაგრჩებით, თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას.

არტურ ბალფური

ბრიტანულ დოკუმენტს მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სწორედ ბრიტანელებმა დაიპყრეს პალესტინა და „ბალფურის დეკლარაცია" პრაქტიკაში მათ განახორციელეს.

დეკლარაციის საბოლოო რედაქცია კომპრომისების შედეგია:

- მან ასახა სიონისტების მისწრაფება – *„პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნება"*. ტერმინი *„ეროვნული კერა" (national home)* სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და ამიტომაც ის ორივე მხარემ (ბრიტანეთმაც და სიონისტებმაც) მოიწონა;
- აისახა იმ გავლენიანი ორთოდოქსული ებრაული წრეების თვალსაზრისი, რომლებიც *„სიონიზმს ჰეტეროდოქსულ კრედოდ, ხოლო მის გეგმას ღვთის გეგმის უზურპაციად მიიჩნევდნენ"* [Jones, 1999, 12]: მათი რწმენით, ისრაელი მხოლოდ მესიას უნდა აღედგინა. ამავე დროს, იმავე წრეებში არ უნდოდათ რამენაირად აუცილებელი გაეხადათ საკუთარი გადასახლება ახლო აღმოსავლეთში. ამიტომაც ჩაიწერა: *„არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს...იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს, რომლები-*

თაც ებრაელები სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში"; *არტურ ჰეტცბერგის* აზრით, იმავე ორთოდოქსული ებრაული წრეების გავლენის შედეგია, რომ „დეკლარაციაში" ლაპარაკია *პალესტინაში* ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებაზე და არა *მთელი პალესტინის* გადაქცევაზე ასეთ კერად [Hettzberg, 2002]. „ბალფურის დეკლარაციის" ამ დეტალს ასევე ხაზს უსვამდა 1922 წლის 3 ივნისის „ჩერჩილის მემორანდუმიც".

- ინგლისის მთავრობის ინიციატივით ჩაიწერა სიტყვები *პალესტინაში არსებული არაებრაული თემების* (რომელთა წარმომადგენლებიც მოლაპარაკებაში არ მონაწილეობდნენ) *სამოქალაქო და რელიგიური უფლებებისათვის ზიანის მიუყენებლობის* შესახებ.

ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ეს დოკუმენტი იმ იმედით, რომ ამერიკის ებრაელობის მხარდაჭერას მოიპოვებდა აშშ-ის მსოფლიო ომში ჩასაბმელად. გარდა ამისა, ლონდონი მიიჩნევდა, რომ ამით დაარწმუნებდა რუსეთის ებრაელობას, გავლენა მოეხდინათ რუსეთის მთავრობაზე ომში მონაწილეობის გასაგრძელებლად.

რაც შეეხება შორს მიმავალ გეოპოლიტიკურ მიზნებს, ბრიტანეთის მთავრობა, როგორც ჩანს, მიიჩნევდა, რომ პალესტინაში ებრაული კერის შექმნა გაზრდიდა ლონდონის გავლენას ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე.

უნდა ითქვას, რომ *„ბალფურის დეკლარაციამ"* თავიდანვე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. ის სიხარულით მიიღო მსოფლიო ებრაელობამ, მაგრამ არ ცნო არც ერთი არაბული ქვეყნის მთავრობამ. ზოგიერთი არაბი მოღვაწე იმასაც კი ამბობდა, რომ *„ბალფურმა მისცა მიწა, რომელიც მას არ ეკუთვნოდა, ხალხს, რომელსაც მასზე უფლება არ ჰქონდა"*.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს *ბევინს* უთქვამს, რომ *„ბალფურის დეკლარაცია იყო ბრიტანული საგარეო პოლიტიკის უდიდესი შეცდომა მეოცე საუკუნეში"* [Silsby Boyle, 2001].

XX საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები ის-ის იყო ყალიბდებოდა, გამარჯვებული ანტანტა, ანუ ლონდონი და პარიზი, განსაზღვრავდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

1918 წელს საფრანგეთმა და იტალიამ ცნეს „ბალფურის დეკლარაცია" . ის შეიტანეს სევრის ხელშეკრულებაში (1920 წ.). 1922 წელს მას დაეთანხმა აშშ-ის კონგრესი. 1922 წელსვე ის აისახა ერთა ლიგის მიერ რატიფიცირებულ დოკუმენტში, რომლის ძალითაც პალესტინის მართვის მანდატი მიეცა დიდ ბრიტანეთს. ამრიგად, „ბალფურის დეკლარაციამ" საერთაშორისო ვალდებულების ხასიათი შეიძინა. ამ დოკუმენტის შედეგები არის *fait accompli**.

ცვლილებები რეგიონის პოლიტიკურ რუკაზე ომთაშორის პერიოდში

უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ძვრა ახლო აღმოსავლეთში მოხდა პირველი მსოფლიო ომის მომდევნო წლებში.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ერთეულები. შემდგომში კი თვით ეს ერთეულები იქცნენ დამოუკიდებელ „გეოპოლიტიკურ მოთამაშეებად".

ომის დაწყებიდან ოთხი წლის შემდეგ მსოფლიოსა და ახლო აღმოსავლეთში რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური გეომეტრია შეიქმნა. სცენიდან ჩამოვიდნენ და საერთოდ გაქრნენ გერმანიის, რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, ოსმალეთის იმპერიები. პოტენციურმა „მსოფლიო გეოპოლიტიკურმა მოთამაშემ", ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თავი აარიდა „ძველი სამყაროს" პრობლებებს. აშშ-ის კონგრესმა არ მოახდინა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაცია და აშშ არ შევიდა ერთა ლიგაში, რომელიც მისი პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა (ერთა ლიგის პირველ სხდომას 1919 წ. 3 თებერვალს *პრეზიდენტი ვუდრო უილსონი* თავმჯდომარეობდა). ახლო აღმოსავლეთის მართვის სადავეები ხელში შერჩათ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, განსაკუთრებით პირველ მათგანს.

ამერიკის შეერთებული შტატების როლი ცალკე აღნიშვნის ღირსია, თუმცა ამ სახელმწიფოს ახლო აღმოსავლეთში არ უომია. 1917 წლის 2 აპრილს აშშ-სა პრეზიდენტმა *ვუდრო უილსონმა* ომი გამოუცხადა გერმანიას. ომში ამერიკის არმიის ჩაბმამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა უკვე სისხლისაგან დაცლილი გერმანიის იმპერიის ბედზე, რომელსაც ვეღარ ამარცხებდა ასევე გამოფიტული ანტანტა.

მაგრამ ოსმალეთთან ამერიკას ფორმალურად ომი არა ჰქონია[1]. საერთოდაც, აშშ თავს მიიჩნევდა არა ანტანტის მოკავშირედ, არამედ „დაკავშირებულ (associate) ქვეყნად" და აცხადებდა, რომ მისი მიზანი არ იყო რაიმე ტერიტორიული შენაძენი, განსხვავებით ომის მონაწილე ევროპული და აზიური ქვეყნებისაგან, რომლებიც არც მალავდნენ ასეთ ზრახვებს. ვუდრო უილსონი დიდ პოლიტიკაში მეცნიერებიდან მოვიდა და თავისი ევროპელი და იაპონელი კოლეგებისაგან განსხვავებით, რომელთა პრაგმატიზმი ხშირად ვერაგობას უტოლდებოდა (მათ შორის საკუთარი მოკავშირეების მიმართაც), „პოლიტიკური იდეალისტი" იყო.

1. ოსმალეთისათვის ომის გამოუცხადებლობას გარკვეული ეკონომიკური სარჩული ჰქონდა: ამერიკელ პროტესტანტ მისიონერებს მილიონობით დოლარი ჰქონდათ დახარჯული სტამბოლის „რობერტ კოლეჯისა" და ბეირუთის „სირიული პროტესტანტული კოლეჯის" მოსანყობად. ომის გამოცხადება სამხედრო ინტერვენციის გარეშე (ამერიკას კი არ შეეძლო სწრაფად გაეგზავნა ახლო აღმოსავლეთში თავისი ჯარი) გამოინვევდა ამ ქონების კონფისკაციას ოსმალეთის მთავრობის მიერ.

უილსონი აცხადებდა, რომ *„აშშ იბრძოლებს საბოლოო მშვიდობისათვის მსოფლიოში და ხალხების გასათავისუფლებლად, გერმანიის ხალხების ჩათვლით... მსოფლიო უნდა უხიფათო გახდეს დემოკრატიისათვის“.*

1918 წ. იანვარში გამოქვეყნებული პრეზიდენტ უილსონის სამშვიდობო პროგრამა *„თოთხმეტი პუნქტი“* კეთილშობილურ და სამართლიან მიზნებს ისახავდა. მაგრამ მისი მე-12 პუნქტი ანომალიაა, რამდენადაც იქ ჩაწერილი ოსმალეთის იმპერიის არათურქული ტერიტორიებისათვის თვითგამორკვევის მოთხოვნა ამ იმპერიის დანაწევრებას გულისხმობდა, რაც მრავალი ადამიანისათვის უსამართლობა შეიძლება გამხდარიყო. მაგრამ ეს პუნქტი მშვენივრად მოერგო გამარჯვებული ანტანტის ტერიტორიულ მისწრაფებებს.

ყოფილი ოსმალეთის იმპერიის არათურქული ტერიტორიები დაინაწილეს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა.

ინგლისელმა ოფიცერმა (შემდგომში ფელდმარშალმა*) არჩიბალდ უეიველმა* (Archibald Wavell), რომელიც გენერალ ედმუნდ ალენბის მეთაურობით იბრძოდა პალესტინაში, პირველი მსოფლიო ომის დასასრულის მაუწყებელი სამშვიდობო შეთანხმებების კომენტირებისას წარმოთქვა ნინასწარმეტყველური ფრაზა: **„'ომების დამამთავრებელი ომის' შემდეგ პარიზში საკმაო წარმატებით დაამყარეს 'მშვიდობის დამამთავრებელი მშვიდობა'“** [Fromkin, 2001].

არჩიბალდ უეიველის სიტყვები გამართლდა.

ოსმალეთის იმპერიის აზიურ სამფლობელოებში *ერთა ლიგამ* შექმნა მმართველობის სამანდატო სისტემა, რაც დამოუკიდებლობასა და კოლონიალიზმს შორის ერთგვარ კომპრომისს წარმოადგენდა. ამ რეგიონისათვის შემოღებულ იქნა „A" კლასის მანდატი, რომელიც გულისხმობდა *სამანდატო ტერიტორიისათვის* (სირია, ლიბანი, ერაყი) *მანდატორი სახელმწიფოს* მიერ ადმინისტრაციულ დახმარებას და კონსულტირებას დამოუკიდებლობისათვის მის მოსამზადებლად. სამ წელიწადში უნდა შექმნილიყო შესაბამისი კონსტიტუციები. პალესტინის შემთხვევაში კი სხვა ამოცანა დაისახა (იხ. ქვემოთ).

ფორმალურად *სამანდატო ტერიტორია* კოლონია არ იყო. სტატუსით ის უფრო პროტექტორატს უახლოვდებოდა და მანდატორი ქვეყნის საქმიანობა საერთაშორისო კონტროლს ექვემდებარებოდა. მაგრამ პრაქტიკულად მანდატორ ქვეყანას შეეძლო ისე ემოქმედა სამანდატო ტერიტორიაზე, როგორც საკუთარ კოლონიაში.

დიდ ბრიტანეთს ეკონომიკური თვალსაზრისით აინტერესებდა ნავთობით მდიდარი ერაყი. სხვა ტერიტორიებს მისთვის უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: ეს იყო, მაგალითად, ხაიფას ნავსადგური, სადაც ბრიტანეთის სამხედრო ფლოტი დადგა.

ახლო აღმოსავლეთში მანდატორები გახდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. ლონდონი ვაშინგტონსაც სთავაზობდა მანდატს სომხეთზე

და/ან კონსტანტინოპოლსა და სრუტეებზე. ამ „გულუხვობის“ ფარული მიზანი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ლონდონი და პარიზი არ წარმოჩინდებოდნენ „ხარბ იმპერიალისტებად“.

პრეზიდენტმა *უილსონმა* იცოდა, რომ აშშ-ის კონგრესი არ დათანხმდებოდა აელო დამატებითი საგარეო ტვირთი შორეულ ქვეყანაში გაურკვეველი მიზნის განსახორციელებლად, მაგრამ მაინც სცადა კანონპროექტის შეტანა. ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა: 1920 წლის 1 ივნისს ამერიკის სენატმა უარი თქვა სომხეთის მანდატზე. ამასობაში დრო გავიდა და „ბუნებრივმა პოლიტიკურმა პროცესმა“, როდესაც სამხედრო უპირატესობა ყველაფერს წყვეტს, შეცვალა ვითარება რეგიონში. იმავე წლის ბოლოს, სომხეთის რესპუბლიკის ბედი ბეწვზე დაეკიდა, როდესაც აღორძინებულმა თურქულმა არმიამ ძლიერი შეტევა წამოიწყო მის წინააღმდეგ და დაამარცხა ის.

ბრიტანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიული ნადავლი ახლო აღმოსავლეთში იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მისი ათვისება ახალმა მფლობელებმა რეალურად ვერ შეძლეს. საკმაოდ მალე პარიზსა და ლონდონში მიხვდნენ, რომ სამანდატო ტერიტორიებს ამ რეგიონში მეტი ხარჯი მოაქვს მათთვის, ვიდრე შემოსავალი.

პოლიტიკური პროცესების ანალიზისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ უკვე 1930-იანი წლებიდან ორივე მანდატორი სახელმწიფოს ძალისხმევა იმისაკენ იყო მიმართული, როგორმე უარი ეთქვათ მანდატზე, ოღონდ ისე, რომ შეენარჩუნებინათ სახე საერთაშორისო არენაზე და გარკვეული პოლიტიკური გავლენა – რეგიონში.

თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი მართავდნენ ახლო აღმოსავლეთს. ამის შედეგია რეგიონის თანამედროვე პოლიტიკური რუკა.

სირიასა და ლიბანზე მანდატი მიიღო საფრანგეთმა, რომელსაც დიდი ხანია ჰქონდა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ამ ტერიტორიის, ძირითადად, ლიბანის, მიმართ.

საფრანგეთის შესვლა პოსტოსმალურ სივრცეში თავიდანვე მრავალი გართულებით აღინიშნა. სირიის ადგილობრივ ელიტას აღიზიანებდა პარიზის იმპერიული პოლიტიკური თამაში – პროვინციების გამოყოფა-შეერთება, სეპარატიზმის წახალისება, დათმობები ადგილობრივი ლიდერების სასარგებლოდ, რასაც მოსდევდა მათზე უარის თქმა, მერე ისევ დათმობები.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ფორმალურად მიიღებდა *ერთა ლიგის* მანდატს ლიბანზე (1920 წლის ივლისი), საფრანგეთმა საკუთარი დეკრეტით გამოაცხადა „დიდი ლიბანის“ შექმნა (ლიბანის რესპუბლიკის დღევანდელ საზღვრებში). ამ დეკრეტის მიზანს შეადგენდა საფრანგეთის ძველი მოკავშირის, მთიან ლიბანში მოსახლე და ფრანგების დახმარების წყალობით 1860-იანი წლებიდან სტამბოლისაგან ავტონომიის

მქონე *მარონიტი ქრისტიანების* თემისათვის მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიების დაქვემდებარება. ეს ტერიტორიები იყო *ბეირუთის* ნავსადგური, *ტრიპოლის* (არაბულად – *ტარაბლუს*-ი) რაიონი – ჩრდილოეთით, *ჯაბალ-ამელის*, *ტვიროსისა* (*სურ*-ი) და *სიდონის* (*საიდა*) რაიონები – სამხრეთით, *ბექაას* (*ალ-ბიქა*) ხეობა – აღმოსავლეთით. ამან შექმნა ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი, მაგრამ პოლიტიკურად ძალიან მყიფე წარმონაქმნი. შეიძლება ითქვას, რომ ნახევარი საუკუნით ადრე ლიბანში ჩაისახა მომავალი სამოქალაქო ომის შესაძლებლობა.

„შეთქმულების თეორია", რასაკვირველია, დაუშვებს, რომ პარიზს ასეთი არაჰომოგენური სახელმწიფოს შექმნა იმისათვის უნდოდა, რომ საკუთარი მოკავშირე *მარონიტებისათვისაც* ამოედო ლაგამი. ***მაგრამ ხშირად იქ, სადაც „შეთქმულებით" გვინდა ავხსნათ პოლიტიკური მოვლენა, ადგილი აქვს კომპრომისს დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესებს შორის, ანდა სულაც არაკომპეტენტურობას, რაც „უვიცობის" ეფექტია.***

ლიბანის ზოგი მუსლიმი ლიდერი მოითხოვდა ქვეყნის სირიასთან შეერთებას. მაგრამ მალე ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას მუსლიმური თემების ლიდერებშიც საკმაო მომხრე გამოუჩნდა: ისინი მიხვდნენ, რომ პატარა ქვეყანაში მათი პრივილეგიების დაცვა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე დიდ სახელმწიფოში („დიდი ლიბანი" სირიაზე ტერიტორიულად 18-ჯერ მცირე იყო). 1926 წელს დამტკიცებული კონსტიტუციით ლიბანი რესპუბლიკად გამოცხადდა, დაიწყეს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები, თემების წარმომადგენლობის პროპორციების დაცვა. 1943 წლიდან ლიბანი *de facto* დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

სირიაზე საფრანგეთის მანდატს მეტი გართულება მოჰყვა. 1918 წლის ოქტომბერში ბრიტანულმა ნაწილებმა *ამირ ფაისალის* (შარიფ ჰუსაინის ძის) რაზმებთან ერთად დაიკავეს სირია. დამასკოში შეიქმნა არაბული მთავრობა. 1920 წლის მარტში ფაისალმა თავი სირიის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ, რადგან *„საიქს-პიკოს შეთანხმების"* თანახმად, სირია ფრანგული ინტერესების სფეროში შედიოდა, ბრიტანელებმა სირიის საქმეები ფრანგებს შეატოვეს, რომელთაც დამასკოს ბრძოლით აღება და იქიდან *ფაისალის* გაძევება მოუხდათ.

პარიზმა ჯერ ავტონომიურ ერთეულებად დაყო სირია: შეიქმნა *დამასკოს*, *ალეპოს*, *ლათაკიას* (სადაც ალავიტები სჭარბობდნენ), *ჯაბალ-დრუზისა* და *ალექსანდრეტას* „სახელმწიფოები"; მერე თანდათან დაიწყო სირიის გაერთიანება. 1930 წელს საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა გამოაცხადა კონსტიტუცია, რომლითაც ერთიანი სირია რესპუბლიკა ხდებოდა. მაგრამ 1934 წელს ადგილობრივი წარმომადგენელთა პალატა პარიზმა დაითხოვა. 1936 წელს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლითაც საფრანგეთის მემარცხენე მთავრობა პირობას დებდა სამ წელიწადში სრული დამოუკიდებლობა მიენიჭებინა სირიისა და ლიბანი-

სათვის და ხელი შეეწყო მათი მიღებისათვის ერთა ლიგაში. მაგრამ მალე პარიზში მთავრობა შეიცვალა და ეს შეთანხმება არ იქნა რატიფიცირებული საფრანგეთის ეროვნული კრების (პარლამენტის) მიერ.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ალექსანდრეტას სანჯაყის (ფართობი 4704 კმ²) სტატუსის შეცვლა.

როდესაც 1936 წელს საფრანგეთში დებდნენ ხელშეკრულებას სირიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თაობაზე, თურქეთმა გააკეთა საპროტესტო დემარში: ანკარის განცხადებით, 1921 *წელს საფრანგეთთან დადებული საზავო ხელშეკრულებით* (იხ. ქვემოთ, ამავე თავში) *ის დათანხმდა ალექსანდრეტას სანჯაყზე საფრანგეთის მანდატის გავრცელებას, მაგრამ არა მის შესვლას სირიის შემადგენლობაში.* ახლა კი თურქეთი მოითხოვდა ცალკე სახელმწიფოებრიობას ამ ტერიტორიისათვის იმ საბაბით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა იქ თურქია (საფრანგეთის მხარე ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის 60 პროცენტი იქ არაბია, მაგრამ ზუსტი აღწერა არ ჩატარებულა).

1937 წელს *ერთა ლიგა* კომპრომისზე წავიდა და ფაქტობრივი ავტონომია მიანიჭა ალექსანდრეტას სანჯაყს, სირიის შემადგენლობაში მისი დარჩენის პირობით. თურქეთმა ეს გადაწყვეტილება უგულვებელყო და პარიზი დაითანხმა ამ ტერიტორიაზე შექმნილიყო „ჰათაის ავტონომიური სახელმწიფო", რომელიც თურქეთთან დაკავშირებული იქნებოდა კანონმდებლობით, ვალუტით, საბაჟო რეჟიმით. 1938 წლიდან აქ უკვე იდგა თურქული სამხედრო ნაწილები. თურქეთმა მიაღწია, რომ ჰათაის პარლამენტის უმრავლესობა ეთნიკური თურქებით დაკომპლექტებულიყო და „ხალხს მოეთხოვა" თურქეთთან შეერთება.

საფრანგეთი, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა ომისა და მშვიდობის ზღვარს ევროპაში, ცდილობდა „ეყიდა მშვიდობა" ახლო აღმოსავლეთში და 1939 წლის ივლისში ოფიციალურად დათანხმდა ალექსანდრეტას სანჯაყის (ჰათაის) თურქეთის შემადგენლობაში შესვლას. თურქეთში ქ. ალექსანდრეტას *ისქენდერუნი* ეწოდა.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სირიამ არ ცნო ეს გარიგება და მისი ყველა მთავრობა სანჯაყის უკან დაბრუნებას მოითხოვს. სირიაში გამოცემულ რუკებზე ეს რეგიონი სირიისავე ფერითაა შეფერილი. მაგრამ რაც დრო გადის, მისი დაბრუნების იმედი სულ უფრო ფერმკრთალდება. თურქეთმა პრაქტიკულად „გადახარშა" ეს ტერიტორიული შენაძენი[1], რომელსაც *ჰათაის ილი* უწოდა. მას დარჩა ქალაქი *ანტიოქია* (თურქულად – *ჰათაი* ან *ანტაქია*), ქრისტიანობის დიდი ისტორიული

1. 1970-იან წლებში ისქენდერუნში დიდი მეტალურგიული კომბინატის მშენებლობამ გამოიწვია ქალაქის სწრაფი ზრდა და ეთნიკური თურქული მოსახლეობის მოდინება, რომელიც ახლა დიდ უმრავლესობას შეადგენს ჰათაის ილში. თურქეთი ამ კომბინატს აგებდა საბჭოთა კავშირის დახმარებით, რომელიც ერთდროულად სირიის „დიდი მეგობარი" იყო.

ცენტრი, რომლის მართლმადიდებელი პატრიარქი ამჟამად დამასკოში ზის.

1943 წლიდან სირია *de jure* დამოუკიდებელი გახდა. 1944 წელს აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა, ხოლო 1945 წელს დიდმა ბრიტანეთმა ცნეს მისი დამოუკიდებლობა. 1946 წელს სირიიდან გაყვანილი იქნა უცხო ქვეყნების – საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის – უკანასკნელი სამხედრო კონტიგენტები.

სხვათა შორის, სრული სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ (1946 წ.), სირიის ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური აქტი იყო საფრანგეთის მიერ თავსმოხვეული *დრუზებისა და ალავიტების რაიონების ავტონომიის გაუქმება.*

1922 წლის 24 ივლისს ერთა ლიგამ პალესტინაზე მანდატი დიდ ბრიტანეთს გადასცა. ამ საკითხზე კონსულტაცია არ გამართულა ბოლშევიკურ რუსეთთან, რომელიც არ ცნობდა მეფის მთავრობის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებს (მათ შორის არც *„საიქს-პიკოს შეთანხმებას")* და ამის გამო არც ანტანტა ცნობდა მას რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრედ.

მანდატში შეიტანეს „ბალფურის დეკლარაციის" ყველა დებულება და იგი მანდატორისაგან მოითხოვდა ებრაელთათვის დახმარების აღმოჩენას მათი *ეროვნული კერის* დაარსებაში. მანდატის თანახმად, „პალესტინა" მდინარე იორდანეს დასავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებს მოიცავდა. მაგრამ მანდატის 25-ე მუხლი მანდატორს უფლებას აძლევდა, ერთა ლიგის თანხმობით, გადაედო ან უარი ეთქვა ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულებაზე იმ ტერიტორიაზე, რომელიც *მდინარე იორდანეს* აღმოსავლეთით მდებარეობდა[1].

ამ საბაბით დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ერთა ლიგის თანხმობა და 1922 წლის სექტემბერში პალესტინაზე მანდატის ფარგლებში ცალკე გამოყო ავტონომიური ერთეული – ტრანსიორდანიის საამირო, სადაც ამირად დასვეს მექის შარიფის ჰუსაინის ვაჟი აბდალა (ერაყის მეფე ფაისალის ძმა). მან დაუდო სათავე იორდანიის ჰაშიმიანთა დინასტიას, რომელიც დღემდე მართავს იორდანიას.

მანდატი პალესტინაზე არ მოიცავდა მუხლს, რომელიც მისთვის

---

1. ეს არის მკაფიო მაგალითი იმისა, თუ როგორი შედეგი შეიძლება მოიტანოს *პოლიტიკურ-გეოგრაფიულმა ლაფსუსმა* – გეოგრაფიული ნომენკლატურის არაზუსტმა გამოყენებამ – საერთაშორისო დოკუმენტის შედგენისას. 1922 წ. იელისში გამოყენებული დეფინიცია, როდესაც „პალესტინად" ცხადდებოდა მდინარე იორდანეს ორივე მხარეს მდებარე ტერიტორია, ფაქტობრივად შეიცვალა სულ ორი თვის შემდეგ. მაგრამ მანდატის თავდაპირველი ტექსტი ისრაელის ნაციონალისტებს საბაბს აძლევს ამტკიცონ, რომ „პალესტინა – ეს იორდანიაა" და დასაშვებად მიიჩნიონ „დასაელეთ ნაპირის" არაბული მოსახლეობის *ტრანსფერი* („ნებაყოფლობითი გადასახლება", ფაქტობრივად – განდევნა) მდ. იორდანეს აღმოსაელეთით [Blanche, 2002, 20]. მართალია, ამ აზრს არ იზიარებს ისრაელის პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსთა დიდი უმრავლესობა, მაგრამ „ტრანსფერის" იდეის პერიოდული მუსირება ისრაელის პრესაში ძალიან ძაბავს არაბული ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს.

დამოუკიდებლობის მინიჭებასა და კონსტიტუციის შექმნას შეეხებოდა, მაგრამ მანდატორს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რათა განევითარებინა თვითმმართველობის ინსტიტუტები და დაეცვა პალესტინის ყველა მცხოვრების სამოქალაქო და რელიგიური უფლებები, მიუხედავად რასისა და რელიგიისა. მანდატი პალესტინაზე დამთავრდა 1947 წელს (პალესტინის საკითხი განხილულია წიგნის V ნაწილში).

ერაყზე მანდატი ბრიტანეთმა მიიღო. ფიქტიური რეფერენდუმის შემდეგ ლონდონმა სირიიდან გამოძევებულ *ფაისალს* კომპენსაციის სახით *ერაყის კონსტიტუციური მონარქის* გვირგვინი მიართვა.

ერაყის ნაციონალისტური წრეები არ თანხმდებოდნენ მანდატსა და სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. კომპრომისი მიღწეულ იქნა 1922 წლის ოქტომბერში ანგლო-ერაყული ხელშეკრულების დადებით, რომელშიც შეიტანეს მანდატის პირობების უმრავლესობა. ასე რომ, ბრიტანეთს შეეძლო წარედგინა ერთა ლიგისათვის ეს ხელშეკრულება, როგორც მანდატის განხორციელების ინსტრუმენტი, ხოლო ერაყის სამეფოსათვის – როგორც თანასწორუფლებიანი შეთანხმება და არა მანდატი.

ერაყის აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი საზღვრები, ძირითადად, 1922 წელსვე დადგინდა. პრობლემა წარმოიშვა ჩრდილოეთით, *მოსულის ვილაიეთთან* დაკავშირებით. ეს ტერიტორია ქურთებითა და არაბებითაა დასახლებული და იქ არის მცირერიცხოვანი თიურქულენოვანი მოსახლეობაც (თურქმენები). ამ უკანასკნელი საბაბით თურქეთს პრეტენზია ჰქონდა მოსულზე. მაგრამ რეალური მიზანი, ალბათ, მისთვისაც იყო ნავთობით პოტენციურად მდიდარი რეგიონის დაუფლება.

1918 წლის დეკემბერში საფრანგეთმა დიდ ბრიტანეთს დაუთმო *„საიქს-პიკოს შეთანხმებით"* პარიზისათვის მინიჭებული უფლება მოსულის ვილაიეთზე. ეს ტერიტორია, რომელსაც 1916 წელს ლონდონი ბუფერად ითვალისწინებდა რუსეთის სამფლობელოებისაგან დასაშორებლად, 1918 წელს აღარ იყო საჭირო ამ ფუნქციის შესასრულებლად, ვინაიდან რუსეთმა ვერ შემოაღწია აღმოსავლეთ ანატოლიაში. 1925 წელს ერთა ლიგამ, რომელშიც ბრიტანეთსა და საფრანგეთს გადამწყვეტი გავლენა ჰქონდათ, დაადგინა, რომ მოსულის ვილაიეთი ერაყის შემადგენლობაში რჩება.

თურქეთი იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ დადგენილებას. 1926 წელს დიდ ბრიტანეთთან დადებული ხელშეკრულებით ანკარამ ცნო ერაყისათვის მოსულის გადაცემა და დაადასტურა დღემდე არსებული საზღვარი ერაყთან. მომდევნო, 1927 წელს კი ქირქუკში აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადო.

1932 წელს ლონდონმა დასრულებულად გამოაცხადა თავისი მანდატი ერაყზე და ეს ქვეყანა გახდა პირველი არაბული სახელმწიფო, რომელიც ერთა ლიგაში მიიღეს. ერაყს იქ წამოუყენეს პირობა, რომ

მისი სუნიტური არაბული ელიტა დაიცავდა უმცირესობების უფლებებს. ეს შეეხებოდა ჩრდილოეთით მცხოვრებ ქურთებსა და სამხრეთით მცხოვრებ შიიტ არაბებს, რომლებიც რაოდენობრივად სჭარბობდნენ სუნიტ არაბებს: „უმცირესობაში“ არაპრივილეგირებული მოსახლეობა იგულისხმებოდა (ნახ. 10.2).

ამრიგად, ერაყი იმთავითვე შეიქმნა განსხვავებული ეთნო-რელიგიური ელემენტებისაგან, რაც განაპირობებდა მტკიცე (უფრო ხშირად – სასტიკი) ხელისუფლების არსებობის აუცილებლობას ბაღდადში, თუკი ამ პოლიტიკური წარმონაქმნის ტერიტორიული მთლიანობა იქნებოდა შესანარჩუნებელი.

ნახ. 10.2. ერაყის ეთნო-რელიგიური ჯგუფების ტრადიციული განსახლების არეალები



პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა არაბეთის ნახევარკუნძულის პოლიტიკური რუკაც. ოსმალეთის იმპერიის მმართველობა *იემენის* დიდ ნაწილში (*ქ. სანას* გარეთ) ადრეც ნომინალური იყო, ხოლო არაბეთის შიდა რაიონებს ოსმალეთი არც არასოდეს ფლობდა, გარდა *ჰიჯაზისა*, სადაც მდებარეობს ისლამის წმინდა ქალაქები – *მექა* და *მედინა*. ბედუინთა ტომები ძველებურად აგრძელებდნენ თავიანთ შინაომებს. საზღვარი უდაბნოში ძალიან პირობითი იყო.

ანაიზას ტომის ბელადმა *აბდალაზიზ იბნ აბდალ-რაჰმან აალ სა'უდმა* (ის უფრო ცნობილია *ას-საუდის* სახელით) 1902 წელს დაიპყრო *არ-რიადის* ოაზისი და არაბეთის ნახევარკუნძულის შუაგულში, *ნაჯდის* მხარეში, საუდის დინასტიის ოდესღაც არსებული მმართველობა აღადგინა, ეს შეუმჩნეველი დარჩა გარესამყაროსათვის. ისიც კი, რომ მან 1913 წელს სპარსეთის ყურის ნაპირზე მდებარე *ალ-ჰასას* პროვინცია დაიპყრო, მხოლოდ დიდი ბრიტანეთისათვის იყო ერთგვარი გამოწვევა, რადგან ლონდონი ყურეში განუყოფლად ბატონობას ესწრაფოდა. სხვათა შორის, ოციოდე წლის შემდეგ სწორედ ალ-ჰასაში აღმოაჩენენ დიდ ნავთობს.

ლონდონმა 1915 წელს ცნო ას-საუდი *ნაჯდის სასულტნოსა და ალ-ჰასას მფლობელად*. დიდი ბრიტანეთის მთავრობა ყოველწლიურ სუბსიდიას უხდიდა ას-საუდს, ძირითადად იმისათვის, რომ მას მსოფლიო ომის დროს ნეიტრალიტეტი დაეცვა და არ დასხმოდა თავს ბრიტანულ პროტექტორატებს სპარსეთის ყურის სანაპიროზე.

1916 წლის 29 ოქტომბერს ჰიჯაზის მეფე ჰუსაინმა, იმან, ვინც აუჯანყა არაბები ოსმალებს, თავი „არაბთა მეფედაც" გამოაცხადა. ამით მან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა არაბეთის სხვა მფლობელები, უპირველესად კი ნაჯდის ამბიციური სულტანი ას-საუდი [Лудшувейт, 1965, 111]. უკმაყოფილო იყო ასევე იემენის რელიგიური ლიდერი, იმამი *იაჰია*, რომელიც ბრიტანელებმა მოგვიანებით, 1934 წელს, იემენის მეფედ ცნეს.

1924 წელს *ას-საუდმა* დაიპყრო მექა და 1926 წელს აიძულა ბრიტანელების ძველი მოკავშირე *ჰუსაინი* და მისი ძე *ალი* უარი ეთქვათ სამემკვიდრეო მამულზე. *ჰუსაინის* ორი სხვა ძე ამ დროისათვის ბრიტანეთს ერაყის მეფედ (*ფაისალი*) და ტრანსიორდანიის ამირად (*აბდალა*) ჰყავდა დასმული. *ჰუსაინისა* და *ალის* ინტერესების დაცვა კი ლონდონმა ზედმეტად მიიჩნია და 1927 წელს ცნო ას-საუდი *ჰიჯაზისა და ნაჯდის მეფედ*. იმდროინდელი სამეფო მხოლოდ უდაბნოებს მოიცავდა და ნავთობით მისი სიმდიდრე ჯერ კიდევ უცნობი იყო, თუმცა ამ წიაღისეულს უცხოური კომპანიები უკვე ეძებდნენ.

1932 წლის 18 სექტემბერს *ას-საუდმა* თავის აბსოლუტურ მონარქიას სახელი გამოუცვალა და ოფიციალურად არაბეთის საუდიანთა სამეფო დაარქვა (ის უფრო ცნობილია, როგორც საუდის არაბეთი). ორი პოლიტიკური ერთეული – *ჰიჯაზი* და *ნაჯდი*, რომლებიც 1927 წლიდან

ცალ-ცალკე იმართებოდა, გაერთიანდა, რათა ძირშივე აღკვეთილიყო ჰიჯაზის შესაძლო მცდელობა აღედგინა დამოუკიდებლობა. 1934 წელს, იემენის იმამთან ხანმოკლე ომის შემდეგ, ას-საუდმა შეიერთა პროვინცია *ასირი*. ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში მდებარე ბრიტანულ პროტექტორატებს ას-საუდი არ შეეხო.

საუდის არაბეთის საზღვრები დიდხანს ბუნდოვანი იყო. მეფის ძალაუფლება გამოიხატებოდა სიუზერენიტეტში სხვადასხვა ტომის შეიხებზე. ტომების ტერიტორია კი უდაბნოში მიახლოებითი იყო. მხოლოდ XX საუკუნის ბოლო დეკადებში გახდა შესაძლებელი საუდის არაბეთის უფრო ზუსტი საზღვრების დანახვა, ისიც – რუკაზე.

მაგრამ რეალური ფაქტია, რომ *ას-საუდმა* შექმნა ფართობით უდიდესი ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ნავთობის მარაგით მსოფლიოში უმდიდრესი გამოდგა: ნავთობი მის სამეფოში 1938 წელს აღმოაჩინეს.

1922 წელს დიდმა ბრიტანეთმა გამოაცხადა, რომ დამოუკიდებლობას ანიჭებს ეგვიპტეს, მაგრამ შეინარჩუნა მისი მართვის სადავეები და კიდევ 14 წელი ეს „დამოუკიდებლობა“ მხოლოდ ფარატინა ქაღალდზე არსებობდა. ეგვიპტის სამეფო *de jure* დამოუკიდებელი გახდა დიდ ბრიტანეთთან 1936 წლის 26 აგვისტოს დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების შედეგად. *1937 წელს დიდი ბრიტანეთის რეკომენდაციით ეგვიპტე ერთა ლიგაში მიიღეს.*

სამოკავშირეო ხელშეკრულება უფლებას ანიჭებდა ბრიტანეთს ჰყოლოდა შეზღუდული სამხედრო კონტიგენტი სუეცის არხის ზონაში, ხოლო ომის შემთხვევაში ეგვიპტის სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენების უფლებაც ენიჭებოდა. ძალიან მალე ბრიტანეთს მართლაც დასჭირდა ეგვიპტის ტერიტორია გერმანულ-იტალიური დივიზიების შესაჩერებლად. 1936 წლის ხელშეკრულების დენონსირება (გაუქმება) ეგვიპტემ 1957 წელს მოახდინა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში სპარსეთმა ფაქტობრივად დაკარგა კონტროლი თავის ტერიტორიაზე, რომელსაც ოსმალეთი, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი საკუთარი სამხედრო მიზნებისათვის იყენებდნენ. ქვეყანას დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა შეუნარჩუნდა და მისი საზღვრები არ შეცვლილა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი მტრები (ოსმალეთი და რუსეთის იმპერია) მსოფლიო ომში ერთმანეთს ებრძოდნენ და საბოლოოდ ორივე დამარცხდა.

ყაჯართა დინასტიამ საერთოდ მიუშვა ქვეყნის სადავეები. 1925 წელს დინასტია შეიცვალა. ფორმალურად ყველაფერი კონსტიტუციური გზით გაკეთდა: შაჰი მეჯლისის (პარლამენტის) გადაწყვეტილებით გადააყენეს და ტახტი შესთავაზეს რეალურ მმართველს, პრემიერ-მინისტრ *რეზა*

ხანს, რომელიც გამეფდა *რეზა შაჰ ფეჰლევის* (1925-1941) სახელით. თავიდან რეზა ხანი პირფერულად აცხადებდა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტობას ამჯობინებდა, მაგრამ შიიტი სასულიერო პირების გაღიზიანებას „მოერიდა“ და ამიტომაც „დათანხმდა გვირგვინზე“.

ათასი წლის შემდეგ ირანში პირველად გამეფდა სპარსული წარმოშობის დინასტია: იქამდე მას მართავდნენ არაბები, თიურქები (სელჩუკიანები, სეფიანები, ავშარები, ყაჯარები და სხვა დინასტიები თიურქული წარმოშობისა იყვნენ), მონღოლები, ავღანელები.

რეზა შაჰმა 15 წელი იმეფა, როგორც აბსოლუტურმა მონარქმა. მის დროს მთავარ იდეოლოგიურ როლს ქვეყანაში თამაშობდა სეკულარული ირანული ნაციონალიზმი და არა ისლამი. სახელმწიფოს სახელის გამოცვლა (ირანი – 1935 წლიდან) მრავალეროვანი მოსახლეობის საერთო-ირანული თვითშეგნების მისაღწევად იყო გამიზნული. ქვეყანამ გარკვეული მოდერნიზაცია განიცადა, შეიქმნა თანამედროვე არმია, ევროპული ტიპის სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზა. ეკონომიკა *ეთათიზმს* (სახელმწიფო კაპიტალიზმს) ეფუძნებოდა. ირანი თანდათანობით გამოდიოდა შუა საუკუნეებიდან. მისი საგარეო პოლიტიკა საკმაოდ მოქნილი იყო, მაგრამ შაჰი, როგორც ჩანს, დიდ იმედს ამყარებდა გერმანიაზე, რაც მას ტახტის დაკარგვად დაუჯდა 1941 წელს. იმ წელს ქვეყანაში შევიდნენ ბრიტანული და საბჭოთა სამხედრო ნაწილები. შაჰი აიძულეს გადამდგარიყო და ტახტი თავისი ვაჟისათვის, მოჰამად რეზასათვის დაეთმო.

ყველაზე არსებითი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებები I მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა თურქეთში, რომელიც ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა და ომის ქარცეცხლში იბადებოდა.

1920 წლის 10 აგვისტოს გამარჯვებულმა მოკავშირეებმა ოსმალეთის სულტნის მარიონეტულ მთავრობას თავს მოახვიეს სევრის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ოსმალეთი უარს ამბობდა ყველა არათურქულ ტერიტორიაზე აზიასა და აფრიკაში.

იმავე ხელშეკრულებით, აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილები (*ტრაბზონის, ერზურუმის, ვანისა* და *ბითლისის ვილაიეთები*) უნდა გადასცემოდა იმ დროს დამოუკიდებელ სომხეთის რესპუბლიკას. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში უნდა შექმნილიყო ქურთების ავტონომია, რომელსაც შემდგომში, ერთა ლიგის რეკომენდაციით, სრული დამოუკიდებლობაც შეეძლო მიეღო.

იზმირის რაიონი (სადაც ბერძნების საგრძნობი რაოდენობა ცხოვრობდა) ფორმალურად ოსმალური სუვერენიტეტის ქვეშ რჩებოდა, მაგრამ საბერძნეთის ფაქტობრივი ადმინისტრაციის ობიექტი უნდა ყოფილიყო ხუთი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ ადგილობრივ პარლამენტს ანდა პლებისციტს უნდა გადაეწყვიტა ამ ტერიტორიის

საბერძნეთთან შეერთების საკითხი. საბერძნეთს უნდა გადასცემოდა დარდანელის სრუტის შესასვლელთან სტრატეგიულად განლაგებული კუნძულები *იმბროსი* და *ტენედოსი*.

1912 წელს იტალიის მიერ დაკავებული *დოდეკანესის არქიპელაგი* მასვე რჩებოდა და მას დამატებით გადაეცემოდა გავლენის სფერო *სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში*. საფრანგეთის გავლენის სფერო *სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიას* ფარავდა, ხოლო მისი სამანდატო ტერიტორია – *სირია* – ჩრდილოეთით ფართოვდებოდა.

ოსმალეთს უტოვებდნენ *შუა* და *ჩრდილოეთ ანატოლიას* და ფორმალურად მის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული *სტამბოლი* და *შავი ზღვის სრუტეები*, სადაც მისი სუვერენიტეტი მკვეთრად იზღუდებოდა (ნახ. 10.3).

ნახ. 10.3. თურქეთის დანაწევრების გეგმა 1920 წლის სევრის ხელშეკრულების თანახმად



როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველაზე მეტი პრეტენზია შავი ზღვის სრუტეებზე ჰქონდა რუსეთის იმპერიას, მაგრამ ის თვითონ აღარ არსებობდა ამ დროისათვის, რათა მონაწილეობა მიეღო თავისი ძველი მეტოქის დანაწევრების პროცესში.

სევრის ხელშეკრულების მომზადებას თითქმის ორი წელი დასჭირდა. ამასობაში კი ახლო აღმოსავლეთში ისეთი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა, რომ ხელშეკრულების დადება უაზრობად იქცა.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ბრიტანეთის სამხედრო წრეები საკუთარ მთავრობას ურჩევდნენ არ მოეხვია თავს ოსმალეთისათვის ყოვლად დამამცირებელი *სევრის ხელშეკრულება*. მის ცხოვრებაში გატარებას

ათობით დივიზია დასჭირდებოდა. ბრიტანეთმა კი უკვე მოახდინა დემობილიზაცია და ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ სიმბოლური ძალები დატოვა. გარდა ამისა, ბრიტანეთში დაიწყო სასტიკი ეკონომიკური კრიზისი, ქვეყანა ვალებში იყო ჩაფლული.

საფრანგეთს მხოლოდ საკუთარი ტერიტორიული ამბიციების დაკმაყოფილება აინტერესებდა. იტალიას თითქმის არც უცდია მისთვის მიკუთვნებული გავლენის სფეროს დაუფლება. გამოდიოდა, რომ საერთაშორისო დონის ხელშეკრულების რეალური განხორციელება უნდა ეკისრათ საკმაოდ სუსტ სომხეთსა და საბერძნეთს.

ამ დროს კი ანატოლიაში ძალას იკრებდა თურქების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. თურქების პატრიოტული აღმავლობისათვის სერიოზული კატალიზატორის როლი ითამაშეს სწორედ ბერძნებმა *სმირნის (იზმირის)* ოკუპაციით (1919 წლის 15 მაისი) და ანატოლიაში შეჭრით, რასაც ძალადობა მოჰყვა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საძულველმა მტერმა დარაზმა იქამდე დემორალიზებული ხალხი: თურქები ახლა მამულისათვის იბრძოდნენ, მაშინ, როცა დამასკოსა თუ ბაღდადის დაცვისას ანატოლიელი თურქები ვერ გრძნობდნენ სამშობლოს.

სევრის ხელშეკრულების რატიფიკაცია თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას (პარლამენტს) არც მოუხდენია. ცენტრალურ ანატოლიაში, პატარა პროვინციულ ქალაქ ანკარაში დაბანაკებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შტაბმა გენერალ *მუსტაფა ქემალის* მეთაურობით (ამიტომაც მოძრაობას *ქემალისტური* ეწოდა) კატეგორიულად უარყო ეს ხელშეკრულება. მაგრამ მთავარი იყო არა სიტყვიერი პროტესტი, არამედ რეალური სამხედრო ძალა. თურქმა ოფიცრებმა შეძლეს აღედგინათ თითქმის დაშლილი არმია და წარმატებით ეომათ ბერძნებთან – დასავლეთით, სომხებთან – აღმოსავლეთით, ფრანგებთან – სამხრეთით.

როდესაც 1920 წელს რუსეთი (ამჯერად ბოლშევიკური) დაბრუნდა სამხრეთ კავკასიაში, მუსტაფა ქემალის მთავრობამ მიაღწია მასთან გარიგებას. 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში გაფორმდა „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება" რსფსრ-სა და თურქეთს შორის. თურქეთმა დაიბრუნა 1878 წელს რუსეთის იმპერიისათვის გადაცემული *ყარსის, ართვინისა* და *არტაანის ოლქები* (რომლებიც ამ დროისათვის თურქეთის არმიის ხელში იყო კიდეც). საბჭოთა საქართველოს რჩებოდა *ბათუმის ოლქი*, მისთვის ავტონომიის მინიჭების პირობით. *ნახჭევნის ოლქი* ცხადდებოდა საბჭოთა აზერბაიჯანის პროტექტორატად

მოსკოვის ხელშეკრულებამ გააბათილა 1920 წლის 2 დეკემბერს დადებული სომხეთისათვის კაბალური *ალექსანდროპოლის ხელშეკრულება*, რომლითაც სომხეთს რჩებოდა მხოლოდ ერევნისა და სევანის ტბის მიმდებარე რაიონები და ეს ტერიტორიაც თურქეთის პროტექ-

ტორატი ხდებოდა. მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთის არმიამ დაცალა ალექსანდროპოლის (*გიუმრი*, საბჭოთა პერიოდში – *ლენინაკანი*) მაზრა და ეს ტერიტორია საბჭოთა სომხეთს გადაეცა.

1921 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვის ხელშეკრულების პირობების დუბლირებით ქ. ყარსში დაიდო **„მეგობრობის ხელშეკრულება"**, რომლითაც თურქეთი აფიქსირებდა თავის უკვე რეალურად არსებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს სამხრეთ კავკასიის ნომინალურად სუვერენულ, მაგრამ რეალურად ბოლშევიკურ რუსეთს დამორჩილებულ, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან – საქართველოსთან და სომხეთთან (აზერბაიჯანთან საზღვარი თურქეთს იმ დროს არ ჰქონდა). 1925 წლის 17 დეკემბერს თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა დადეს ხელშეკრულება **„მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის"** შესახებ.

რაც შეეხება პარიზის პრეტენზიებს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილებზე, ანკარის მთავრობამ არ დაუთმო ეს პროვინციები საფრანგეთს. ქემალისტური არმიის მიერ მიყენებული რამდენიმე სამხედრო მარცხის შემდეგ 1921 წლის 20 ოქტომბერს საფრანგეთმა ანკარაში დადო ხელშეკრულება *მუსტაფა ქემალის* მთავრობასთან (და არა სტამბოლში მყოფ სულტნის მთავრობასთან, რომელსაც აღიარებდა საფრანგეთის მოკავშირე დიდი ბრიტანეთი). ამით საფრანგეთმა *de jure* ცნო ანკარის ქემალისტური მთავრობა. *დადგინდა საზღვარი სირიასა და თურქეთს შორის, რომლის საგრძნობი მონაკვეთი „ბაღდადის რკინიგზას" მისდევს.* საფრანგეთი, ანკარასთან დაზავების შემდეგ, ანატოლიიდან გავიდა ისე, რომ მთელი თავისი შეიარაღება ქემალისტებს დაუტოვა.

მუსტაფა ქემალის თხოვნის საპასუხოდ საბჭოთა რუსეთმა, რომელსაც თვითონაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ჰქონდა (ქვეყანაში სასტიკი შიმშილი მძვინვარებდა), 1921 წელს გარკვეული სამხედრო და ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ანკარის მთავრობას: 33 ათასი შაშხანა და 58 მილიონი ტყვია, 54 ქვემეხი და 130 ათასი ყუმბარა, ორი საზღვაო გამანადგურებელი და 6,5 მილიონი ოქროს მანეთი [Новичев, 1965, 159]. ქემალისტური თურქეთისათვის დახმარება მის ბრძოლაში „ანტანტის დამქაშებთან" (საბერძნეთთან) ბოლშევიკებმა უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, ვიდრე საკუთარი მოსახლეობის გადარჩენა შიმშილით სიკვდილისაგან.

არაა გამორიცხული გეოპოლიტიკური გათვლაც. რუსეთს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს აშინებდა, რომ კონსტანტინოპოლსა და სრუტეებს შეიძლებოდა დაუფლებოდა საბერძნეთი, რომელიც „თურქეთზე საშიში აღმოჩნდებოდა" [Готлиб, 1960, 133].

რუსეთთან და საფრანგეთთან ხელშეკრულებების დადების შემდეგ ქემალისტებს ხელი გაეხსნათ, რათა მთელი ძალები დასავლეთ ანატოლიაში გადაესროლათ. 1921-1922 წლებში თურქეთმა რამდენიმე მძიმე

მარცხი აგემა ანკარასთან 80 კილომეტრზე მიახლოებულ საბერძნეთის არმიას და აიძულა ის დაეცალა ანატოლია.

რუსეთმა და საფრანგეთმა არაპირდაპირ შეუწყვეს ხელი საბერძნეთის დამარცხებას: მათი (ძირითადად – ფრანგული) იარაღი მოქმედებდა ბერძნების წინააღმდეგ. ბრიტანეთის მთავრობა, რომელმაც თავის დროზე ყურად არ იღო საკუთარი გენერლების სერიოზული რჩევა და ფაქტობრივად წააქეზა საბერძნეთი სამხედრო ავანტიურაზე, სამხედრო თვალსაზრისით არ დაეხმარა ათენს.

ბერძნებმა ეროვნული კატასტროფა განიცადეს: მათი დიდი თემი, რომელიც სამი ათასწლეულის განმავლობაში ცხოვრობდა მცირე აზიაში, იძულებული გახდა საერთოდ წასულიყო იქიდან.

1923 წლის 24 ივლისს ერთ მხარეს თურქეთსა და მეორე მხარეს – დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, იტალიას, იაპონიას, საბერძნეთსა და რუმინეთს შორის[1] დაიდო **ლოზანის ხელშეკრულება**, რომელმაც შეცვალა სევრის განუხორციელებელი ხელშეკრულება. საერთაშორისო დონეზე იქნა აღიარებული თურქეთის სუვერენიტეტი მთელ ანატოლიაზე. მასვე გადაეცა დარდანელის სრუტის ჩამკეტი კუნძულები იმბროსი (თურქულად – *გიოქჩეადა*) და ტენედოსი (*ბოზჯაადა*). დოდეკანესის არქიპელაგი შეინარჩუნა იტალიამ (1947 წლის პარიზის ხელშეკრულებით ის საბერძნეთს გადაეცა). თითქმის დადგინდა თანამედროვე თურქეთის საზღვრები (ჰათაის ილის გარეშე).

სომხეთი და ქურთისტანი ლოზანის ხელშეკრულებაში ხსენებულიც არ ყოფილა.

ახალშექმნილი თურქეთის სახელმწიფო, 1923 წლიდან – რესპუბლიკა (1922 წლის ნოემბერში ეროვნულმა კრებამ ქვეყნიდან გააძევა უკანასკნელი სულტანი), საკმაოდ ჰომოგენური გახდა ეთნო-კულტურული (უფრო რელიგიური, ვიდრე ეთნიკური) თვალსაზრისით. იმპერიის ადგილი დაიკავა ეროვნულმა სახელმწიფომ.

1936 წლის 20 ივლისის **მონტრიოს კონვენცია** (Montreux Convention) არეგულირებს „შავი ზღვის სრუტეების" სტატუსს, რომლებიც თურქეთის სუვერენიტეტის ქვეშაა, მაგრამ ღიაა ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის მშვიდობიან ან საომარ ვითარებაში (თუ თურქეთი არაა ომის მონაწილე). თუ თურქეთი ომის მონაწილეა, იმ ქვეყნების სავაჭრო გემებს, რომლებიც არ არიან თურქეთთან ომში ჩაბმული, შეუძლიათ ისარგებლონ სრუტეებში ტრანზიტით იმ პირობით, რომ ნეიტრალიტეტს დაიცავენ (ანუ არ დაეხმარებიან ომის სხვა მონაწილეს).

მშვიდობიან ვითარებაში *შავი ზღვის ქვეყნების* (იმ დროს ესენი იყვნენ საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი და რუმინეთი) *სამხედრო ფლო-*

1. სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფომ (1929 წლიდან – იუგოსლავიამ) ხელი მოაწერა შეთანხმებას, მაგრამ არ მოახდინა მისი რატიფიკაცია, რადგან შეთანხმება მასაც აკისრებდა გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებას.

ტებისთვისაც, მათ შორის წყალქვეშა ნავებისთვისაც, ტრანზიტი თითქმის შეუზღუდავია. *უცხო ქვეყნების სამხედრო ხომალდების შესვლა კი შეზღუდულია ტონაჟითა და დროის ხანგრძლივობით*: მსუბუქ წყალზედა სამხედრო ხომალდებს, არა უმეტეს 10 ათასი ტონა წყალწყვით, შეუძლიათ გაიარონ სრუტეებში თურქეთისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ და დარჩნენ შავ ზღვაში არა უმეტეს 21 დღისა. წინასწარი შეტყობინება თურქეთს შეუძლია არ მოითხოვოს, თუკი გემებს ჰუმანიტარული დახმარება მიაქვთ. „მსუბუქი წყალზედა ხომალდების“ გამოცხადება უდიდეს სამხედრო გემებად, რომლებსაც სრუტეებში გასვლის უფლება აქვთ, საბჭოთა კავშირის მოთხოვნით მოხდა, რომელსაც აშინებდა შავ ზღვაში უახლესი გერმანული ჯავშნოსნების გამოჩენა.

ავიამზიდების გავლა სრუტეებში აკრძალულია. საომარ ვითარებაში თურქეთს თავისი სუვერენიტეტის განხორციელება უფრო მკაცრად შეუძლია.

მეორე მსოფლიო ომის შედეგები რეგიონში

პირველი მსოფლიო ომისაგან განსხვავებით, რომლის ცეცხლი თითქმის მთელ ახლო აღმოსავლეთში ბობოქრობდა, მეორე მსოფლიო ომის დროს რეგიონში მოხდა მხოლოდ ერთი დიდი ბრძოლა.

1942 წელს იტალიის კოლონია *ლიბიის* მხრიდან წამოსული გერმანული და იტალიური არმიების ნაწილები ეგვიპტის ქალაქ *ალექსანდრიის* გარეუბნებში გამოჩნდნენ. მაგრამ ბრიტანეთმა მოახერხა გარდატეხის შეტანა ომის მსვლელობაში, სადაც იქამდე გერმანია ყველა ბრძოლას იგებდა. 1942 წლის ოქტომბერში, ელ-ალამეინთან (*ალ-ალამაინ*), ალექსანდრიის დასავლეთით, ბრიტანულმა არმიამ *გენერალ მონტგომერის* მეთაურობით ისეთი მძიმე მარცხი აგემა *ფელდმარშალ რომმელის* არმიას, რომ *ელ-ალამეინი სტალინგრადთან* ერთად ითვლება მეორე მსოფლიო ომის ბედის შემობრუნების სიმბოლოდ.

ომის დაწყებისთანავე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დაძაბული მოლოდინი გამეფდა. იმ ქვეყნებში, სადაც ოკუპანტები ბრიტანელები და ფრანგები იყვნენ, უფრო პროგერმანული განწყობა ბატონობდა. *თურქეთში* ხიფათს საბჭოთა კავშირისაგან ელოდნენ. იქ იგრძნობოდა ანტირუსული და პანთურქისტული განწყობა (თუმცა მთავრობა ძალიან თავშეკავებულად იქცეოდა: პირველი მსოფლიო ომის ავანტიურიზმის სავალალო შედეგები ჯერ კიდევ ახსოვდათ). პროგერმანულად იყო განწყობილი *ირანის რეზა-შაჰი*. გერმანელი ინფილტრატორები *სირიაში, ერაყში, ირანში* ადგილობრივი მოსახლეობისაგან გარკვეულ ხელშეწყობას ელოდნენ. *ერაყში* ანტიბრიტანული გამოსვლაც მოხდა,

რომელიც 1941 წელს ბრიტანულმა არმიამ ჩაახშო. მაგრამ მოკავშირეები (ძირითადად – ბრიტანული არმია) ეფექტიანად ებრძოდნენ პროგერმანულ ძალებს.

პალესტინის ებრაული მოსახლეობა, რასაკვირველია, ანტიგერმანულად იყო განწყობილი და ჰიტლერის დამარცხებას ნატრობდა. პალესტინაში 1944 წელს დაკომპლექტებული ებრაული ბრიგადა ბრიტანული არმიის შემადგენლობაში იბრძოდა. მაგრამ პალესტინის ებრაელობას მთლიანად *პრობრიტანულს* ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან ომის პერიოდში ბრიტანეთის მთავრობა კრძალავდა მასობრივ ებრაულ იმიგრაციას პალესტინაში (იხ. თავი 15). *პალესტინელი არაბების ლიდერები* კი ძნელად მალავდნენ თავიანთ ანტიბრიტანულ განწყობას.

ომმა, რომელიც ევროპაში ანტიჰიტლერული კოალიციის სრული გამარჯვებით დამთავრდა, ახლო აღმოსავლეთში არც თუ სახარბიელო შედეგები მოუტანა იმავე კოალიციის ევროპელ მონაწილეებს.

უკვე ომის დროს, 1943 წელს, საფრანგეთს მოუხდა უარის თქმა თავის მანდატზე *ლიბანსა* და *სირიაზე* და ისინი *de jure* დამოუკიდებელ ქვეყნებად იქცნენ (*de facto* – 1946 წლიდან, როდესაც საფრანგეთის სამხედრო ნაწილებმა საბოლოოდ დატოვეს მათი ტერიტორია).

დიდმა ბრიტანეთმა 1946 წელს დამოუკიდებლობა მიანიჭა *ტრანსიორდანიას*, ხოლო 1948 წელს მისმა უკანასკნელმა სამხედრო ნაწილებმა დატოვეს *პალესტინა*.

საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე ჯერ გერმანიასთან კავშირში სცადა გეოპოლიტიკური უპირატესობის მოპოვება ირანისა და თურქეთის ხარჯზე[1], ომის ბოლოსათვის კი ამასვე შეეცადა თავისი დასავლეთელი მოკავშირეების გვერდის ავლით (იხ. ქვემოთ), მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავის ამბიციებზე. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა *ჰარი ტრუმენმა*, განსხვავებით თავისი წინამორბედებისაგან, არ ისურვა ახლო აღმოსავლეთის მიტოვება სხვა ზესახელმწიფოების ანაბარა, მით უმეტეს, რომ ნათელი შეიქნა ამ რეგიონის უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკისათვის იქ აღმოჩენილი ნავთობის უდიდესი საბადოების გამო.

1940-იანი წლების მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატები იწყებს დამკვიდრებას რეგიონში, როგორც ახალი ჰეგემონი. „ცივი ომის" თითქმის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში საბჭოთა კავშირი ცდილობდა გაეწია მეტოქეობა ამერიკისათვის დიპლომატიურ ფრონტზე და რეგიო-

1. ცნობილია, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს ჰიტლერმა და სტალინმა ე.წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით" გაიყვეს აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპა. ნაკლებს წერენ იმაზე, რომ მოსკოვი ბერლინისაგან მოითხოვდა, მისი *„ტერიტორიული მისწრაფებების ცენტრად ცნობილი ყოფილიყო ზონა ბათუმისა და ბაქოს სამხრეთით, საერთო მიმართულებით სპარსეთის ყურისაკენ"*. ამის შესახებ სრულიად საიდუმლო გრიფით გაგზავნილი დეპეშით ატყობინებდა გერმანიის საიმპერიო საგარეო საქმეთა მინისტრს, *რიბენტროპს*, ელჩი მოსკოვში *გრაფი შულენბურგი* საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან, *მოლოტოვთან* 1940 წლის 25 ნოემბერს შეხვედრის შემდეგ [СССР – Германия, 2, 1989, 133].

ნის ქვეყნებისათვის სამხედრო-ეკონომიკური დახმარების გაწევის გზით. მაგრამ საბოლოოდ თვით საბჭოთა კავშირი დაიშალა, ხოლო მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია ვერ ფლობს ისეთ პოტენციალს, რომ გააგრძელოს სრულფასოვანი მეტოქეობა ვაშინგტონთან ახლო აღმოსავლეთში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური რუკა.

ნახ.10.4. ცვლილებები ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკაზე XX საუკუნის განმავლობაში



პირობითი ნიშნები

M 1971 - დამოუკიდებელი მონარქია (წლიდან)
R 1946 - რესპუბლიკის დაფუძნების წელი
- საფრანგეთის ყოფილი სამანდატო ტერიტორია
- დიდი ბრიტანეთის ყოფილი სამანდატო ტერიტორია
- დიდი ბრიტანეთის ყოფილი პროტექტორატი ან გაერთიანების სფერო
- დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონია

1945 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) შექმნისთანავე მასში შევიდა ახლო აღმოსავლეთის შვიდი დამოუკიდებელი სახელმწიფო – *თურქეთი, ირანი, ეგვიპტე, ერაყი, სირია, საუდის არაბეთი, ლიბანი.* მოგვიანებით მათ შეუერთდნენ *ისრაელი* (1949), *იორდანია* (1955), *კვიპროსი* (1960), *ქუვეითი* (1963), ხოლო 1971 წელს – ყოფილი ბრიტანული პროტექტორატები *ომანი, კატარი, შეთანხმებითი ომანი* (რომელმაც *გაერთიანებული არაბული საამიროები* დაირქვა სახელად), *ბაჰრეინი.*

1990 წლიდან გაეროს წევრია *იემენის რესპუბლიკა,* რომელმაც გააერთიანა ამავე ორგანიზაციის ყოფილი წევრები – 1947 წლიდან [ჩრდილოეთ] იემენი და 1967 წლიდან [სამხრეთ] იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

ყველა საზღვარი რეგიონში საბოლოოდ ჩამოყალიბებული არაა. ეს უპირველესად ეხება ყოფილ „ბრიტანულ პალესტინას". XXI საუკუნის მეორე ათწლეულში (თუმცა უცნობია ზუსტად რა საზღვრებში) აქ შეიქმნება *პალესტინის არაბული სახელმწიფო.*

ნაწილი IV

ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფია

თავი 11

სახელმწიფო და საზოგადოება ახლო აღმოსავლეთში

სახელმწიფო: იდეა და რეალობა

ინგლისელი სოციოლოგის, *ენტონი გიდენსის*, მიხედვით, იმისათვის, რომ სახელმწიფომ იარსებოს, მას უნდა შესწევდეს უნარი დაიცვას წესრიგი და კანონი, აკრიფოს გადასახადები და იყოლიოს არმია. სახელმწიფო ხელისუფლება ცენტრალიზებული უნდა იყოს და ეყრდნობოდეს დაქირავებული მოხელეების კეთილსინდისიერ საქმიანობას. სახელმწიფოს აგრეთვე სჭირდება კარგი კომუნიკაციები, რათა მართვა და ტერიტორიის კონტროლი ეფექტიანი იყოს.

ამ სტანდარტული პირობების დაცვა ახლო აღმოსავლეთში შეეძლოთ დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც იმპერიის შექმნის მისწრაფებას იჩენდნენ. რასაკვირველია, რეგიონში პერიოდულად წარმოიშობოდა ხოლმე პატარა სახელმწიფოებიც, მაგრამ ისინი ან იმპერიაში უნდა გადაზრდილიყვნენ (როგორც, მაგალითად, ოსმანის ბეილიქი, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში გადაიზარდა), ანდა განწირული იყვნენ სხვა იმპერიის მიერ შთანთქმისათვის.

იმპერიებიც ახლო აღმოსავლეთში დიდხანს ვერ ძლებდნენ და შედარებით მალე იშლებოდნენ გარეშე თუ შიდა ძალების გავლენით; მათ ტერიტორიაზე კი ჩნდებოდა ახალი იმპერიები.

ასე მაგალითად, *ირანის აქამანიანთა იმპერიამ სამიოდე საუკუნე გაძლო* და დაეცა ალექსანდრე მაკედონელის მცირერიცხოვანი არმიის ძლიერი დარტყმის შედეგად.

ისლამის ბაზაზე გაერთიანებულმა *არაბებმა ათიოდე წელიწადში დაშალეს ოთხ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში არსებული ირანის სასანიანთა იმპერია* და შექმნეს თავიანთი იმპერია.

არაბულმა სახალიფომ სამიოდე საუკუნე გაძლო.

ოსმალეთის იმპერიამ ექვსი საუკუნე იარსება, სეფიანთა იმპერიამ – ორ საუკუნეზე ცოტა მეტხანს (1502-1722), ილხანთა და თემურ-ლენგის იმპერიებმა – კიდევ უფრო ნაკლებ დროს.

დასავლეთ აზიაში ყველაზე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა ბიზან-

ტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერიას. ნომინალურად, *ბიზანტიამ II საუკუნე იარსება* (IV-დან XV საუკუნემდე), მაგრამ უკვე XI საუკუნის ბოლოდან კონსტანტინოპოლი ვეღარ აკონტროლებდა მცირე აზიის უდიდეს ნაწილს.

იმპერიები ტერიტორიულად დიდი სახელმწიფოებია, რომლებიც იქმნება სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების დაპყრობით ან დაპყრობის მუქარით გაერთიანების გ ზით. იმპერიის შესაქმნელად საჭიროა, არსებობდეს გარკვეული იდეოლოგიით გაერთიანებული ენერგიული და მიზანსწრაფული ადამიანების ჯგუფი (ხანდახან ეს შეიძლება იყოს დინასტია: საუკეთესო მაგალითია ოსმანის დინასტია), რომელთა ხელში უნდა მოხდეს სამხედრო გამოცდილებისა და ეკონომიკური (მათ შორის – შრომითი) რესურსების კონცენტრაცია.

იმპერიას რთული სამთავრობო აპარატი ესაჭიროება. შუა საუკუნეების იმპერიის გაფართოებასთან ერთად მისი მართვა სულ უფრო რთულდებოდა: გზები და კავშირი სრულფასოვანი არ იყო. *„ტრადიციული სახელმწიფოების ტერიტორია ყოველთვის ცუდად იყო შემოსაზღვრული და ცენტრალური მთავრობის მიერ განხორციელებული კონტროლი სუსტი იყო“* [Giddens, 1991, 302]. პერიფერია ხშირად უმართავი ხდებოდა, ცენტრალური აპარატის კონტროლიდან გამოდიოდა და ცალკე სახელმწიფოები ყალიბდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ატლანტის ოკეანის ნაპირებსა და პირენეის ნახევარკუნძულზე გასული მუსლიმები (რომელთა შორის ცოტა იყო საკუთრივ არაბი) ვეღარ იმართებოდნენ დამასკოდან ან ბაღდადიდან და ცალკე სახალიფოებს, საამიროებს ან სამეფოებს ქმნიდნენ.

სხვა მაგალითია XVI საუკუნეში ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი არაბეთის ნახევარკუნძულის შორეულ სამხრეთში მდებარე *იემენი*. ის მხოლოდ ნომინალურად რჩებოდა იმპერიის შემადგენლობაში და XIX საუკუნეში სტამბოლს მისი ხელახალი დაპყრობა დასჭირდა.

იმპერია პოლიტიკურად შეიძლება მოკვდეს, მაგრამ მისი მემკვიდრეობა კიდევ დიდხანს არსებობდეს. რომის იმპერია ფაქტობრივად აღარ არსებობდა V საუკუნიდან, მაგრამ მისი სახელი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გადაადგილდა, ხოლო მის კანონებს საუკუნეების შემდეგაც იყენებდნენ. ოსმალეთის გაქრობიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რიგში ოსმალური კანონმდებლობა კვლავაც გამოიყენება მიწათმფლობელობის, პირადი სტატუსის, უმცირესობათა უფლებების განსასაზღვრავად. ისრაელიც კი, რომელიც სულ სხვა ცივილიზაციის პროდუქტია, იძულებულია ცნოს მიწის ფლობის ოსმალეთის დროინდელი კანონმდებლობის ელემენტები.

ისლამის წარმოშობისა და მისი წინსვლის შედეგად ახლო აღმოსავლეთში *ისლამური სახელმწიფოებრიობა* მკვიდრდება. სპარსეთის სასანიანთა იმპერია, რომლის იდეოლოგია ზოროასტრიზმს ეფუძნე-

ბოდა, სახალიფომ სრულად შთანთქა, ხოლო ისლამმა ზოროასტრიზმს ხაზი გადაუსვა. ბიზანტიის იმპერია იძულებული გახდა, სულ უფრო დასავლეთით გადაწეულიყო, ვიდრე 1453 წელს ის საბოლოოდ გაანადგურა ოსმალეთმა. ჯვაროსნების ქრისტიანულმა სახელმწიფოებმა სულ ორასიოდე წელიწადი იარსებეს ლევანტში, პალესტინასა და კვიპროსზე.

არაისლამური (ქრისტიანული) სახელმწიფოებრიობა შემორჩა მხოლოდ იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის ჩრდილოეთ პერიფერიას – კავკასიას, ქართული სამეფო-სამთავროების სახით, რომელნიც განუწყვეტელ ზეწოლას განიცდიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით არსებული ისლამური იმპერიების მხრიდან. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ ამ მოწოლას, ასე თუ ისე, გაუძლო. რეალურად ის მოსპო ჩრდილოეთიდან მოსულმა ერთმორწმუნე იმპერიამ.

როდესაც X საუკუნის შუა ხანებში გიორგი მერჩულე წერდა *„ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“* [ქართული პროზა, I, 1981, 279-280], ის *სახელმწიფოს* („ქართლი“) *ტერიტორიულ* მახასიათებელს („ფრიადი ქვეყანა“), *ენობრივ* („ქართულითა ენითა“) და *იდეოლოგიურ* („ყამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“) მახასიათებელსაც უმატებდა. ამ ტერიტორიის მოსახლეობა ეთნო-რელიგიურად ერთგვაროვანი იყო ან ასეთად ითვლებოდა. მერჩულეს ფორმულა საკმაოდ მკაფიოდ აყალიბებდა იმ დროს უკვე არსებულ გრძნობას, თუ რა არის ქართლი, არსებითად – *ერი-სახელმწიფო*. მერჩულეს დროსვე ანდა საკმაოდ მალე დამკვიდრდება სახელი „საქართველო“, რომელიც უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე „ქართლი“.

მერჩულის ფორმულის გამოყენება მრავალეთნიკური იმპერიის (მაგალითად, ბიზანტიის) შემთხვევაში შეუძლებელი იყო. მაგრამ ბიზანტიური ტიპის მართლმადიდებელი ქრისტიანობა არსებითად ხელს უწყობდა ამ იმპერიის პერიფერიებზე ან მიმდებარე, ეთნიკურად ჰომოგენურ მხარეებში „ეროვნული“ სახელმწიფოების მშენებლობას და შუასაუკუნეობრივი ერების ჩამოყალიბებას. ქართველების გარდა, *მართლმადიდებლობამ* შეუწყო ხელი ბულგარელთა, სერბთა, უკრაინელთა (იმავე კიეველ რუსთა), რუსთა (მოსკოველთა), ვლახთა და მოლდაველთა (მომავალ რუმინელთა) და სხვათა „ეროვნული“ სახელმწიფოების ფორმირებას, თუნდაც ეს შუასაუკუნეობრივი (და არა თანამედროვე) ერები და შედარებით ეფემერული სახელმწიფოები ყოფილიყვნენ.

იმავეს ვერ ვიტყვით *ისლამზე*.

ისლამის წარმოშობის პირველ საუკუნეებში არსებობდა მხოლოდ ერთი ისლამური სახელმწიფო, რომელსაც ერთი ხელისუფალი – *ხალიფა* – მართავდა. ის ერთდროულად განასახიერებდა სასულიერო და საერო ხელისუფლებას. შემდგომში ეს პოლიტიკური ერთობა დაიშალა,

თეორიულად კი ისლამური სახელმწიფო მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომაც ძლიერი მუსლიმი მმართველი, რომელიც თავს ხალიფას მემკვიდრედ გამოაცხადებდა, ყველა სხვა მუსლიმ მმართველს ან თავის ვასალად მიიჩნევდა ან მეამბოხედ, რომელიც უნდა დაესაჯა (თუკი ამის ძალა შესწევდა!). მაგრამ, რეალურად, იქმნებოდა ძალთა გარკვეული თანაფარდობა და ეს „თეორია" პრაქტიკაში იშვიათად, ან საერთოდ არ ხორციელდებოდა.

ბერნარდ ლიუისი აღნერს საინტერესო ფაქტს *ამასიის ზავთან* დაკავშირებით, რომლითაც სპარსეთმა და ოსმალეთმა 1555 წელს დაამთავრეს ომების 41-წლიანი პერიოდი, და რომელიც ახლო აღმოსავლეთის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებად ითვლება:

„თუკი ოსმალური ხელშეკრულებების საარქივო ან გამოქვეყნებულ კრებულებს გავსინჯავთ, ამასიის საზავო ხელშეკრულებას იქ ვერ აღმოვაჩენთ. ეს კრებულები საკმაოდ ახლო პერიოდამდე მოიცავს მხოლოდ ხელშეკრულებებს ოსმალეთის იმპერიასა და ქრისტიანულ ქვეყნებს შორის. ქრისტიანული ქვეყანა ლეგალური ერთეული იყო. სხვა მუსლიმური სახელმწიფო ლეგალური ერთეული არ იყო. სულტნის პოზიციიდან, შაჰი მეამბოხე იყო; შაჰის პოზიციიდან, მეამბოხე იყო სულტანი, ამიტომაც საზავო მოლაპარაკებისას ეს საკითხი ღიად დატოვეს...

ერთი ოსმალური დამწერლობითი ხელოვნების სახელმძღვანელო ორ შესაბამის დოკუმენტს წარმოგვიდგენს. პირველს მოხდენილად ჰქვია „ვედრების წერილი" და მიეწერება შაჰს, მაგრამ აშკარად ოსმალო მოხელის მიერაა შედგენილი. მეორე დოკუმენტში სულტანი სულგრძელად პასუხობს [შაჰის „ვედრების წერილს": რ.გ.], *რაც ცალმხრივი განცხადებაა მისი მხრიდან, მაგრამ სინამდვილეში მოიცავს ხელშეკრულების მუხლებს. ეჭვგარეშეა, რომ სპარსეთის მხარესაც უნდა ჰქონოდა ეკვივალენტური დოკუმენტი"* [Lewis, 1999, 93].

XX საუკუნემდე ახლო აღმოსავლეთში ნომინალურად მხოლოდ ორი სახელმწიფო იყო – ოსმალეთი და სპარსეთი. XX საუკუნის ბოლოს ამავე ტერიტორიაზე 16 სახელმწიფო არსებობდა. ირანმა შეინარჩუნა ტერიტორია. დანარჩენი სახელმწიფოები კი შეიქმნა ან ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე, ან ადრე ფორმალური სახელმწიფოებრიობის არმქონე არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე.

არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ და დასავლეთ პერიფერიაზე არსებული თითქმის ყველა სახელმწიფო ბრიტანული ქმნილებაა. ლონდონმა არ მისცა მათ საშუალება, მონაწილეობა მიეღოთ ნახევარკუნძულის შუაგულში დაწყებულ არაბთა გამაერთიანებელ მოძრაობაში, რის შედეგადაც მთელი ნახევარკუნძული ერთი სახელმწიფო შეიძლებოდა გამხდარიყო. სხვა კუთხით დანახვის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ *„ლონდონმა თავისი პროტექტორატები დაიცვა ას-საუდის ექსპანსიონიზმისაგან"*. დიდ ბრიტანეთს აქ საკუთარი მიზნები ჰქონდა:

თავიდან სანაპირო პუნქტების სტრატეგიული მდებარეობა იზიდავდა, შემდეგ კი ეკონომიკური ინტერესი (ნავთობი) გაუჩნდა.

რეგიონში ამჟამად არსებული ერი-სახელმწიფოები პოლიტიკური რეალობაა. ისინი ცნო საერთაშორისო საზოგადოებრიობამ და, როგორც 1991 წლის ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალმა" აჩვენა, მათ ძალისმიერ ურთიერთშერწყმას მსოფლიო (არსებითად – უძლიერესი ზესახელმწიფოები) არ დაუშვებს, რადგან ამას მიიჩნევს არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ბალანსის უხეშ დარღვევად.

ინგლისელი სოციოლოგი *ენტონი გიდენსი* წერს:

„ერი-სახელმწიფო ნიშნავს, რომ აღიარებული სუვერენული უფლებების მოხმობით დემარკირებული ტერიტორიის საზღვრებში არსებობს პოლიტიკური აპარატი, რომელსაც აქვს უნარი დაიცვას თავისი სუვერენიტეტი სამხედრო ძალის მეშვეობით მის მოქალაქეთა უმეტესობას აქვს პოზიტიური გრძნობა იმის გამო, რომ ეკუთვნის ამ სახელმწიფოს ეროვნულ იდენტობას" [Giddens, 1991, 303].

ისევე, როგორც ყველგან თანამედროვე მსოფლიოში, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ორგანიზაციაშიც ერი-სახელმწიფო ამჟამად წარმოადგენს ძირითად, ლეგიტიმურ და უნივერსალურ ერთეულს. სახელმწიფო საზღვრები ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ლანდშაფტის წამყვან ნიშნად იქცა. პოლიტიკურმა სივრცეებმა, რომლებიც საზღვრებმა გამიჯნა, მუდმივობა შეიძინა [Drysdale & Blake, 1985, 149].

რეგიონში არსებობს *ერთი ირანული, ერთი ებრაული* და *ერთი თურქული* სახელმწიფო (ყველა მათგანში არის ეთნიკური უმცირესობები[1]). თუმცა ანკარაში ცნობენ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, მაგრამ დანარჩენი მსოფლიო კვიპროსს განიხილავს ისევ ერთიან (იძულებით გაყოფილ) სახელმწიფოდ, რომელიც *ბერძნულ-თურქული* უნდა იყოს.

ახლო აღმოსავლეთის *ყველა დანარჩენი ქვეყანა არაბულია*. მსოფლიოში ამჟამად არსებობს 22 არაბული პოლიტიკური ერთეული, 21 სახელმწიფო და პალესტინის ადმინისტრაცია, რომლის სახელმწიფოებრიობის *de jure* აღიარება ახლა ხდება, მაგრამ *de facto* განხორციელება ჭირს. 13 არაბული პოლიტიკური ერთეული ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს.

არაბული სამყარო პოლიტიკურად და სოციალურ-კულტურულად ძალიან მრავალფეროვან და დიდ სივრცეს მოიცავს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ამ სივრცის მთავარი გამაერთიანებელი არის ისტორია, თვითსახელი („არაბი") და ლიტერატურული არაბული ენა. მაგრამ ეს არაა საკმარისი ფაქტორები პოლიტიკური

1. მრავალეთნიკურობა არ არის ერი-სახელმწიფოს შექმნის სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორი, რადგან ყველა ერი-სახელმწიფო სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკური ჯგუფებისაგანაა შედგენილი [Giddens, 1991, 303].

ერთიანობისათვის. პოლიტიკური *პანარაბიზმი* (განსხვავებით კულტურულისაგან), ანუ არაბებით დასახლებული ყველა ტერიტორიის ერთ სახელმწიფოში შერწყმა, განუხორციელებელი რჩება.

1950-1960-იან წლებში იყო რამდენიმე მცდელობა არაბული ქვეყნების გაერთიანებისა (მაგალითად, 1958-1961 წლებში არსებობდა *გაერთიანებული არაბული რესპუბლიკა*, რომელშიც ეგვიპტე და სირია შედიოდა), მაგრამ ასეთი ცდები მალევე იფუშებოდა: ეროვნულ პოლიტიკურ ელიტებს ძალიან განსხვავებული ინტერესები ჰქონდათ და აქვთ. თუმცა არსებობს ***არაბული ქვეყნების ლიგა***, არსებობს გარკვეული სოლიდარობაც, მაგრამ არაბული ნაციონალიზმი, ძირითადად, ქვეყნების პოლიტიკურ საზღვრებშია ჩაკეტილი.

რეგიონის პოლიტიკური ერთეულების მართვის სისტემა ამჟამად უფრო რესპუბლიკურია (ასეთია ათი ქვეყანა), ვიდრე მონარქიული (შვიდი ქვეყანა). XX საუკუნის ახლო აღმოსავლეთში მონარქია თითქოს მყიფე პოლიტიკური სისტემა გამოდგა: 1922 წელს გაუქმდა მონარქია თურქეთში, 1953 წელს – ეგვიპტეში, 1958 წელს – ერაყში, 1962 წელს – იემენში, 1979 წელს – ირანში. მაგრამ არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე მონარქიები საკმაო სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებს.

უფრო მეტიც, ზოგ რესპუბლიკაში მმართველი დინასტიები იქმნებოდა. მაგალითად, სირიაში პრეზიდენტ ჰაფიზ ასადის შემდეგ მისმა ვაჟმა, ბაშარმა, დაიკავა იგივე პოსტი. ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი თავის ვაჟს ამზადებდა მემკვიდრედ. იმავეს ამბობდნენ რეგიონის ზოგი სხვა ქვეყნის მეთაურზეც (ეგვიპტე, იემენი). ასეთ პრაქტიკას სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობით ასაბუთებენ ხოლმე, მაგრამ დემოკრატიზაციას ის ხელს არ უწყობს. 2011 წლის მოვლენებმა ხაზი გადაუსვა „მემკვიდრეობითი რესპუბლიკების“ პრაქტიკის გაგრძელებას. ეს კარგი მაგალითი უნდა იყოს მსოფლიოს სხვა რეგიონებში არსებული ანალოგიური დიქტატურისათვის.

სახელმწიფო საზღვრები

საზღვრების აბსოლუტური უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთში XX საუკუნის ქმნილებაა. გამონაკლისი არაა *თურქეთ-ირანის საზღვარიც კი, თუმცა მისი ძირითადი მონახაზი მოდის 1555 წლიდან*, როდესაც სპარსეთის შაჰისა და ოსმალეთის სულტნის ელჩებმა ქ. ამასიაში მოუნახეს გარკვეული კომპრომისი საკუთარი მბრძანებლების ტერიტორიულ ამბიციებს.

სინამდვილეში 1555 წელს ქ. ამასიაში დაადგინეს შაჰისა და სულტნის შესაბამის მფლობელობაში მყოფი მიწების მიჯნა, სასაზღვრო ზოლი,

ანუ ის, რასაც ინგლისურად *frontier* ჰქვია, ხოლო ქართულ შესატყვისად შეიძლება ისტორიული ტერმინი „*ნაპირი*" გამოვიყენოთ[1]. ოსმალეთ-სპარსეთის ნაპირი ერთადერთი ლეგალური მიჯნა იყო მთელ ახლო აღმოსავლეთში თითქმის სამ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში. სხვა ნაპირს და, მითუმეტეს, *საზღვარს* (იმას, რასაც ინგლისურად *boundary* ჰქვია) ოსმალეთი და სპარსეთი რეგიონში არ ცნობდნენ. საქართველოც მათ მიერ გავლენის სფეროებად იყო გაყოფილი: დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის სულტნის სიუზერენიტეტის ქვეშ იყვნენ, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები – სპარსეთის შაჰისა. სამცხე-საათაბაგო უშუალოდ იყო ინკორპორირებული ოსმალეთის იმპერიაში.

ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრის დემარკაცია (ადგილზე მონიშვნა) მხოლოდ 1913 წელს დამთავრდა: ის ჩაატარეს რუსმა და ბრიტანელმა სპეციალისტებმა. საზღვარი ოფიციალურად გაფორმდა იმავე წლის სტამბოლის შეთანხმებით. ამ შეთანხმებით დემარკირებული საზღვარი აშორებს თურქეთსა და ირანს, ერაყსა და ირანს.

ამრიგად, უძველესი საზღვარი რეგიონში ჯერ ასი წლისაც არაა. დანარჩენი საზღვრების უმეტესობა კიდევ უფრო გვიანდელია: ისინი ჩამოყალიბდა და გაფორმდა ძირითადად 1920-იანი წლებიდან.

საზღვრების უდიდესი ნაწილი ახლო აღმოსავლეთში ევროპული კოლონიალიზმის (სამანდატო სისტემის, პროტექტორატების) მემკვიდრეობაა. მე-10 თავში აღწერილია, თუ როგორ ისაზღვრებოდა მომავალი სახელმწიფოების ტერიტორია ლონდონის კაბინეტებში. მართალია, *სერ მარკ საიქსისა* და *ფრანსუა-ჟორჟ პიკოს* ფანქრებით გავლებული ხაზებიდან სრული სიზუსტით პოლიტიკურ რუკაზე მხოლოდ მცირე მონაკვეთები აისახა, მაგრამ გეგმის ძირითადი მონახაზი, როგორც იტყვიან, პრაქტიკაში დაინერგა და შესაბამისი პრობლემებიც წარმოშვა. თავისი წვლილი მომავალ სასაზღვრო დავებში შეიტანეს ბალფურის დეკლარაციამ და გაეროს უშიშროების საბჭოს შეუსრულებელმა რეზოლუციებმა.

ყველა სასაზღვრო პრობლემის შექმნას გარეშე ძალებს ვერ დავაბრალებთ: ადგილობრივმა სახელმწიფოებმა (რომლების „გამჩენიც" ლონდონი და პარიზი იყო), დამოუკიდებლადაც შეიქმნეს პრობლემები. ასე მაგალითად, ისრაელის სახელმწიფოს სადავო აქვს საზღვარი სირიასთან (გოლანის მაღლობი, ოკუპირებული 1967 წლიდან), ლიბანთან (ხარ-დოვის/შაბას ფერმების მომცრო ტერიტორია). გაურკვეველია, თუ სად გადის მისი საზღვარი პალესტინის ავტონომიასთან, ან სად გაივლის საზღვარი მომავალში პალესტინის სახელმწიფოსთან. სამაგიეროდ,

1. „ქართლის ცხოვრებაში" არაერთხელაა მოხსენიებული „ნაპირი" და „მონაპირე", მაგალითად, „ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს [ქ~ც, II, 129].

ეგვიპტესთან (საბოლოოდ, 1982 წლიდან) და იორდანიასთან (1994 წლიდან) ისრაელს სასაზღვრო საკითხები მოგვარებული აქვს.

საზღვრების რამდენიმენაირი კლასიფიკაცია არსებობს. ქვემოთ მოტანილია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, *ბოგსის კლასიფიკაცია* [Boggs, 1940], რომელიც სახმელეთო საზღვრებს ასე აჯგუფებს: *ფიზიოგრაფიული, ანთროპოგეოგრაფიული, გეომეტრიული* და *კომპლექსური.*

ფიზიოგრაფიული საზღვრები მიჰყვება ტერიტორიის გამოკვეთილ ფიზიკურ ნიშნებს, მაგალითად, მდინარეს, ქედს, ტბის ნაპირს და ა.შ. ახლო აღმოსავლეთში ასეთი საზღვრის მაგალითებია ირან-ერაყის, ისრაელ-იორდანიის საზღვრების მონაკვეთები.

ანტროპოგეოგრაფიული საზღვრები ადამიანის ხელქმნილ ნიშნებს მიჰყვება. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, რკინიგზა: ყველაზე ცნობილი მაგალითია სირია-თურქეთის საზღვრის 390-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც „ბაღდადის რკინიგზის“ ლიანდაგს მიუყვება. იმავე ტიპის საზღვარი ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებულ განმასხვავებელ ნიშნებს, მაგალითად, ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებას ეყრდნობა.

გეომეტრიული საზღვრები მისდევს გრძედს ან განედს, როგორც, მაგალითად, ეგვიპტის დასავლეთი და სამხრეთი საზღვრები, ანდა სწორ ხაზებს, რომლებიც გარკვეულ წერტილებს აერთებს. ლონდონისა და პარიზის კაბინეტებში, სადაც სახაზავით მიჯნავდნენ მომავალ სახელმწიფოებს, არ იცნობდნენ ადგილობრივ სოციალურ გეოგრაფიასა და ტოპოგრაფიას. თუ რუკაზე გავლებული სწორი ხაზი ისეთ უდაბნოში გადის, სადაც მოძრავი ქვიშის დიუნებია, იქ ძნელია საზღვრის დემარკაცია (მონიშვნა).

ახლო აღმოსავლეთის საზღვრების დიდი ნაწილი გეომეტრიულია. ასეთია არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების, სირია-იორდანიის, იორდანია-საუდის არაბეთის, ერაყის დასავლეთი და სამხრეთი საზღვრები. ლონდონის დაჟინებით, იმ დროს ნომინალურად ოსმალეთის იმპერიის ნაწილებს – ეგვიპტესა და ჰიჯაზის ვილაიეთს – შორის 1906 წელს გავლებული სწორი ხაზი (ფორმალურად – ადმინისტრაციული საზღვარი) საბოლოოდ ისრაელ-ეგვიპტის საზღვრად იქცა (იხ. თავი 9).

კომპლექსური საზღვრები ზემოაღნიშნული ვარიანტების ნებისმიერ კომბინაციას წარმოადგენს.

ხანდახან ისმის ხოლმე ლაპარაკი *„ბუნებრივ საზღვრებზე“*, რომელიც თითქოს შედარებით ადვილი დასაცავი მიჯნაა. მაგრამ, როგორც ინგლისელი სპეციალისტები აღნიშნავენ:

„არ არსებობს ის, რასაც „ბუნებრივ საზღვარს“ უწოდებენ. ყველა [სახმელეთო: რ.გ.] *საზღვარი თვითნებურია. იქნება თუ არა ის კარგი ღობე, დამოკიდებულია მისი განვითარების სტადიაზე და არა ფიზიო-*

გრაფიაზე. „მოწიფული“ გეომეტრიული საზღვარი, ანუ ისეთი, რომელიც სათანადოდაა აღიარებული და კარგად იმართება, შეიძლება ბევრად უფრო სტაბილური და საიმედო იყოს, ვიდრე ფიზიკურად მკაფიო, მაგრამ სადავო საზღვარი“ [Drysdale & Blake, 1985, 82].

რაოდენ კარგადაც უნდა იყოს დელიმიტირებული, დემარკირებული და დაცული საზღვარი, არ არსებობს სრული გარანტია, რომ არ წარმოიშობა *სახელმწიფოთაშორისი დავა საზღვრების გამო*. თუკი საზღვარი მოუწყობელია, თუკი ის არ არის საყოველთაოდ ცნობილი, იქ დავა თითქმის გარდაუვალია.

გამოყოფენ ოთხი ტიპის სასაზღვრო დავას [Prescott, 1978]. ესენია: *პოზიციური, ტერიტორიული, ფუნქციური და საზღვარგადაღმა რესურსული დავა*. ყველა მათგანი ახლო აღმოსავლეთშიც ვლინდება.

პოზიციური დავა ეხება ხოლმე საზღვრის ზუსტ მდებარეობას: ის გამომდინარეობს ან იურიდიული დოკუმენტების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციიდან, ანდა წარმოიშობა საზღვრის ფიზიკური თავისებურებების ცვლილების შედეგად (მაგალითად, მდინარის კალაპოტის შეცვლის, კუნძულის აღმოცენებისა თუ გაქრობის გამო).

ტერიტორიული დავის საბაბს ქმნის ერთსა და იმავე მიწაზე მეზობელი ქვეყნების პრეტენზია, რაც, ჩვეულებრივ, ეყრდნობა სხვადასხვა პოზიციიდან გაგებულ ისტორიას ან „გეოგრაფიულ აუცილებლობას“ (მაგალითად, ჩაკეტილი ქვეყნის მისწრაფებას გავიდეს ღია ზღვაზე; სტრატეგიული, სასიცოცხლო სივრცის მოპოვებას და ა. შ.). რეგიონში ყველაზე ცნობილი ტერიტორიული დავაა კონფლიქტი პალესტინის მიწის გამო, რაც განხილულია წიგნის V ნაწილში.

როგორც პოზიციური, ისე ტერიტორიული დავის შემთხვევაში მხარეები ჩვეულებრივ მოითხოვენ საზღვრის გადაწევას.

ფუნქციური დავის შემთხვევაში მეზობელი მხარეები ჩივიან, რომ საზღვარი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანების, ტვირთების გადაადგილებაზე, მიწის გამოყენებაზე (მაგალითად, საძოვრად).

საზღვარგადაღმა რესურსული დავა წარმოიშობა, როდესაც ერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ მეორე ქვეყანა მის ხარჯზე იყენებს ბუნებრივ რესურსებს, მაგალითად, წყალს. ახლო აღმოსავლეთში ასეთი ტიპის დავა არსებობს ერაყსა და სირიას, ერაყსა და თურქეთს, სირიასა და თურქეთს შორის. ხშირად ჩნდება ასეთი ტიპის დავა სპარსეთის ყურის ქვეყნებს შორის ნავთობისა და გაზის წყალქვეშა საბადოების ექსპლუატაციის თაობაზე.

ფუნქციური და საზღვარგადაღმა რესურსული დავის გადაჭრა შესაძლებელია საზღვრის შეუცვლელად, მოლაპარაკების გზით.

სახელმწიფო: სახელი და სიმბოლიკა

სახელმწიფო სახელით იწყება. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ახლო აღმოსავლეთის არც ერთი სახელმწიფოს სახელი არ ასახავს იქ მცხოვრები ძირითადი ეთნოსის ენას.

ჩვენ, საბჭოთა კავშირის ყოფილი მოქალაქეები, დარწმუნებული ვიყავით, რომ სახელმწიფოს სახელი ასახავს იქ მცხოვრები ძირითადი ერისა და, შესაბამისად, მისი ენის სახელს: იტალიაში იტალიელი ერი ცხოვრობს, ნორვეგიაში – ნორვეგიელი და ა.შ. საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ევროპული „ერი-სახელმწიფოს" ანალოგიური პრინციპით იყო ჩამოყალიბებული: ძირითადი (სატიტულო) ეთნოსი აძლევდა თავის სახელს ტერიტორიულ ერთეულს. ამიტომაც, მაგალითად, მოლდავეთის სსრ-ში *ძირითადი* ერი მოლდავურად მოლაპარაკე მოლდაველები უნდა ყოფილიყვნენ, ჩუვაშეთის ასსრ-ში – ჩუვაშურ ენაზე მოლაპარაკე ჩუვაშები, საქართველო – ქართველების ქვეყანაა და მათი ენა ქართულია და ა.შ.

ჩვენ ვცნობდით იშვიათ გამონაკლისს. ყველამ იცოდა (ან ითვლება, რომ უნდა სცოდნოდა), რომ დაღესტნელები, აჭარლები, ნახჭევნელები, ყარაბაღელები ცალკე ეროვნებანი არ არიან და არც შესაბამისი ენები აქვთ. ისინი ან რაოდენობრივად მცირე ეთნოსების კონგლომერატია (დაღესტანი), ან სხვა უფრო დიდი ერის ნაწილია (აჭარლები – ქართველებისა, ნახჭევნელები – აზერბაიჯანელებისა, ყარაბაღელები – სომხებისა), ხოლო ეს გეოგრაფიული სახელები გარკვეული პოლიტიკური კომპრომისის შედეგად გაჩნდა ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ რუკაზე. მიუხედავად ამისა, ეთნოსისა და ქვეყნის სახელის თანხვედრა წესად მიგვაჩნდა.

მსოფლიო პრაქტიკა კი ამტკიცებს, რომ *ევროპისა და, ნაწილობრივ, აზიის გარეთ სახელმწიფოს სახელისა და იქ გავრცელებული ენის სახელის თანხვედრა სულაც არაა წესი.* თანამედროვე აფრიკის 50-ზე მეტი, ჩრდილოეთ, ცენტრალურ, სამხრეთ ამერიკის 30-ზე მეტი, ავსტრალიის ოციოდე, აზიის ბევრი ქვეყნის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის სახელები ხელოვნურია და სულაც არ ემორჩილება ზემოხსენებულ „ევროპულ წესს".

ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა სახელები არ უკავშირდება იქ მცხოვრები ეთნოსისა და მისი ენის სახელს.

ასე მაგალითად, *ლიბანი* მთის სახელია, *იორდანია* – მდინარის სახელიდან მოდის; *ბაჰრეინი* და *კვიპროსი* – კუნძულების, *კატარი* – ნახევარკუნძულის სახელებია; *ერაყი* და *ქუვეითი* ასევე გეოგრაფიული სახელებია; *სირია, იემენი, ომანი, პალესტინა* ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების სახელებია. სირიული ენა კი არსებობს (ის არამეული ენის დიალექტია), მაგრამ მისი მატარებლები ძირითადად ერაყში

ცხოვრობენ, ხოლო სირიის მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა ლაპარაკობს არაბულ ენაზე. არ არსებობს ერაყული, იემენური, იორდანიული, ქუვეითური, პალესტინური და სხვა ენები (თუმცა არაბული ენის ასეთი დიალექტები არის). ეგვიპტის თვითსახელია *„მისრ“*-ი: *„მისრული ენაც“* არ არსებობს.

ორ შემთხვევაში სახელმწიფოს სახელი ადამიანის სახელიდან მოდის. *ისრაელი* – ებრაელი ხალხის ერთ-ერთი პატრიარქის (იაკობის) მეტსახელი იყო. *საუდის არაბეთის* შემთხვევაში *საუდი* – დინასტიის ფუძემდებლის (აბდალაზიზ ას-საუდის) წინაპრის სახელია. ამ სახელმწიფოებში არ არსებობს *„ისრაელური“* ან *„საუდიური“* ენები: იქ შესაბამისად *ებრაული* და *არაბული* ენებია გაბატონებული.

რეგიონის თორმეტ ქვეყანაში, რომელთაც „არაბულ ქვეყნებად“ ვიცნობთ, ძირითადი ენა არაბულია. მაგრამ სულ ოთხი მათგანის ოფიციალურ სახელში ჩანს *არაბეთი/არაბული*: ესაა *საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული საამიროები, სირიის არაბული რესპუბლიკა, არაბული რესპუბლიკა ეგვიპტე.*

ირანი ოდინდელი ეთნიკური სახელიდან, *არიან*-იდან, მოდის, მაგრამ ცალკე ირანული ენა არ არსებობს (არის „ირანული ენების ჯგუფი“, რომელშიც სპარსულიც შედის, ქურთულიც, ფუშთუც, ოსურიც და კიდევ ბევრი სხვა).

რეგიონში არსებობს ერთადერთი გამონაკლისი: ესაა *თურქეთი*, რომლის სახელი ასახავს ძირითადი ეთნოსის (*თურქების*) და მისი ენის (*თურქულის*) სახელს. როგორც ზემოთ ითქვა, ესეც XX საუკუნის პროდუქტია: იქამდე თურქეთის რესპუბლიკის წინამორბედს *ოსმალეთი* ერქვა, მაშინ, როცა ასეთი ეთნოსი არ არსებობდა.

ის, რომ სახელმწიფო სიმბოლიკა პოლიტიკის სამსახურში დგას, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ახლო აღმოსავლეთი ამ მხრივ გამონაკლისი არაა.

ისტორიულ ახლო აღმოსავლეთში ჰერალდიკა ნაკლებ გავრცელებული იყო. ოფიციალური სახელმწიფო გერბი არა აქვს რამდენიმე თანამედროვე სახელმწიფოს (თურქეთს, საუდის არაბეთს და სხვა). სპარსეთის ყურის ზოგმა მონარქიამ და იორდანიამ ევროპის ქვეყნების წაბაძვით შექმნა თავისი გერბები. ეგვიპტესა და ერაყში ეროვნულ გერბად აქციეს *სალაჰ ად-დინის არწივი*, ხოლო სირიაში – *ყურაიშიანთა* (მოციქულ მუჰამმადის მშობლიური ტომის) *შევარდენი* (მოხაზულობით ის ლიბიის გერბის იდენტურია).

ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ჰიმნი[1] ასრულებს ეროვნული მობილიზატორის როლს. მაგრამ ამ მიმართულებით ყველაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება დროშას.

---

1. აღსანიშნავია, რომ ისრაელის ჰიმნის (*ჰა-ტიკვა* – „იმედი“) შესრულებას აუცილებლად მიიჩნევს ისრაელის ყველა სეკულარული ებრაელი. მაგრამ ულტრაორთოდოქსი იუდეველები, ისევე, როგორც ისრაელის არაბები, ამ ჰიმნს არ ცნობენ და არც ასრულებენ.

სახელმწიფო დროშა რეგიონის ყველა ქვეყანაში დიდ როლს თამაშობს ერის დარაზმვაში: საკუთარი დროშის პატივისცემა ნორმადაა ქცეული. სახელმწიფო დროშის ნაცვლად თვითნებურად აღებული სიმბოლიკის ფრიალს იქ ვერავინ გაბედავს.

მიიჩნევენ, რომ მოციქულ მუჰამმადის დროშა *მწვანე* ფერისა იყო. XIX საუკუნიდან ეს ფერი თავიანთ სიმბოლოდ აქციეს ისლამის ერთ-ერთი მიმართულების, ვაჰაბიზმის, მიმდევრებმა[1]. ლიბიას 1977-2011 წლებში ერთფეროვანი სახელმწიფო დროშა ჰქონდა და ის მწვანე იყო; 2011 წელს იქ ძველი სამფეროვანი დროშა აღადგინეს. *მწვანე ფერი ისლამის სიმბოლოდ იქცა.* აფხაზეთის სამოქალაქო ომის დროს სეპარატისტები და მათი ჩრდილოკავკასიელი მოკავშირეები შუბლზე წაკრული მწვანე ქსოვილით განასხვავებდნენ თავს ქართველებისაგან.

VII-VIII საუკუნეებში დამასკოს უმაიანი ხალიფების ტრადიციული დროშა *თეთრი* ფერისა იყო. იმ დროს სახალიფო ექსპანსიის გზაზე იდგა და ეს ფერი დანებებას სულაც არ ნიშნავდა!

VIII-XI საუკუნეებში ბაღდადის აბასიანი ხალიფების დროშა *შავი* ფერისა იყო. ევროპელმა მეკობრეებმა უფრო გვიან აქციეს ეს ფერი თავიანთ სიმბოლოდ!

როდესაც *სერ მარკ საიქსმა* 1917 წელს შესთავაზა დროშის შექმნა ინგლისის მოკავშირე ჰიჯაზის მეფის ძეს, ფაისალ იბნ ჰუსაინს (რომელიც საბოლოოდ ერაყის მეფე გახდა), მან სწორედ *შავი, თეთრი და მწვანე* ზოლები და, დამატებით, *წითელი* სამკუთხედი შეურჩია მას [Fromkin, 2001].

თანამედროვე არაბული ქვეყნების დროშებში ძირითადად ეს ფერები – შავი, მწვანე, თეთრი და წითელი – დომინირებს, ხოლო საიქსის მიერ შექმნილი დროშის მოდელი მეტნაკლებად ემთხვევა იორდანიის, [ჩრდილოეთ] სუდანისა და პალესტინის დროშებს: განსხვავება ფერების თანამიმდევრობაშია.

ეგვიპტის, სირიის, ერაყისა და იემენის დროშებზე ჰორიზონტალურად დალაგებული წითელი, თეთრი და შავი ზოლებია (ზევიდან ქვევით). ამ ოთხი ქვეყნის დროშას ერთმანეთისაგან განასხვავებს *შუა, თეთრ, ზოლზე* არსებული სიმბოლო ან მისი არარსებობა. *იემენის* დროშას შუაში *თეთრი სადა* ზოლი აქვს; *ეგვიპტის* დროშის თეთრ ზოლზე ოქროსფერი სალაჰ ად-დინის არწივია გამოსახული; *სირიის* დროშაზე ორი მწვანე ვარსკვლავია; *ერაყის* დროშაზე – სამი მწვანე ვარსკვლავი. 1991 წელს, კოალიციასთან ომის დროს, სადამ ჰუსეინმა ვარსკვლავებს შორის ჩაამატებინა სიტყვები *ალაჰუ აკბარ* – „დიდ არს ალაჰი": ამით მას უნდოდა თავისი რეჟიმისათვის ისლამური ქვეყნების მხარდაჭერის

1. საუდის არაბეთის, სადაც ვაჰაბიზმი სახელმწიფო რელიგიაა, დროშის მწვანე ფონზე თეთრი ასოებით არაბულად წერია შაჰადა (ისლამის რწმენის განცხადება): „არაა ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამმადია ალაჰის მოციქული". ნარნერის ქვეშ სამეფოს დამაარსებლის, აბდალაზიზის, ხმლის გამოსახულებაა.

მოპოვება. 2008 წელს ერაყის ახალი მთავრობის გადაწყვეტილებით ეს ჩამატებული სიტყვები ამოიღეს.

ზემოხსენებული ოთხი ქვეყნის ეროვნულ დროშაზე ფერების ეს თანამიმდევრობა *პანარაბულ სოლიდარობას* ასახავს. მისი პროტოტიპი შეიქმნა 1952 წელს, როდესაც ეგვიპტელმა ოფიცრებმა ანტიმონარქისტული და ნაციონალისტური რევოლუცია მოახდინეს. 1950-60-იან წლებში არსებობდა სწრაფვა არაბული ქვეყნების გაერთიანებისაკენ. 1958 წელს შექმნილი და 1961 წელს დაშლილი *გაერთიანებული არაბული რესპუბლიკის* ორვარსკვლავიანი დროშა შეინარჩუნა სირიამ, ხოლო ერაყის დროშაზე მესამე ვარსკვლავი გაერთიანებულ არაბულ რესპუბლიკაში მისი შესვლის სიმბოლო იყო (რაც რეალურად არ მომხდარა).

მწვანე, თეთრი და წითელი ფერები *სპარსეთის (ირანის) დროშაზე* XVIII საუკუნიდან ჩნდება. 1906 წელს ისინი ჰორიზონტალურ ზოლებად დაალაგეს. 1980 წელს კი, ისლამური რევოლუციის შემდეგ, დროშაზე ორ რიგად დაიტანეს სტილიზებული კუფური შრიფტით შესრულებული სიტყვები *ალაჰუ აკბარ* (ეს სიტყვები 22-ჯერ მეორდება, რაც ისლამური კალენდრის იმ დღეს აღნიშნავს, როდესაც აიათოლა ჰომეინი ირანში დაბრუნდა 1979 წელს). დროშის შუაში, თეთრ ფონზე ოთხი ნახევარმთვარისა და მახვილისაგან შედგენილი *რევოლუციური ემბლემაა*. შაჰის დროს სახელმწიფო *ემბლემა* ხმალშემართული ლომი იყო.

ისრაელის დროშა ესაა თეთრი ფონი ორი ლურჯი ზოლით და შუაში ლურჯი ექვსქიმიანი ვარსკვლავით. ეს დროშა 1891 წელს შეიქმნა სიონისტური მოძრაობისათვის, ხოლო 1948 წლიდან იგი სახელმწიფო დროშად იქცა.

თურქეთის დროშა მკვეთრად განსხვავდება ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების დროშებისაგან: ის წითელია ზედ გამოსახული თეთრი ნახევარმთვარითა და ხუთქიმიანი ვარსკვლავით. მართალია, სულტნები უკვე XVII საუკუნიდან იყენებდნენ მსგავს დროშებს, მაგრამ ოსმალეთის იმპერიამ ის სახელმწიფო დროშად მხოლოდ 1844 წლიდან აქცია.

ქემალისტებმა სამხედრო გამარჯვებებს სწორედ ამ დროშის ქვეშ მიაღწიეს. ამიტომაც რესპუბლიკურმა თურქეთმა ოსმალური დროშა შეინარჩუნა, მაშინ როცა დანარჩენი მონარქიული სიმბოლიკა გააუქმა.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის გავლენით ნახევარმთვარე და ერთი ან რამდენიმე მრავალქიმიანი ვარსკვლავი გაჩნდა აზერბაიჯანის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის სეკულარული რესპუბლიკების დროშებზე.

პოლიტიკური მიზნით გრაფიკული სიმბოლოების გამოყენებაში უჩვეულო არაფერია. არსებობს სხვისი სიმბოლიკის გათავისების მრავალი შემთხვევაც: ცნობილი მაგალითია ბიზანტიური ორთავიანი არწივის რუსეთის სამეფო სიმბოლოდ გადაქცევა.

ნახევარმთვარე გამოიყენებოდა, როგორც დეკორატიული მოტივი,

წინა-ისლამურ ირანში, რომსა და ბიზანტიაშიც კი [Lewis, 1999, 107]. XIX საუკუნიდან ოსმალები ნახევარმთვარის პანისლამურ სიმბოლოდ გამოყენებას იწყებენ. საყოველთაო სიმბოლოდ ნახევარმთვარე მუსლიმებს ფაქტობრივად ქრისტიანებმა უქციეს, როდესაც ის ჯვარს დაუპირისპირეს.

ჯვარს ბევრად უფრო დიდი აზრობრივი დატვირთვა ენიჭება: ის ქრისტეს ჯვარცმიდან მოდის და რელიგიის ნამდვილი სიმბოლოა თითქმის 20 საუკუნის განმავლობაში. ჯვრის სხვადასხვა ფორმა გაიხადა თავის სიმბოლოდ ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებამ.

მაგალითად, ხუთი ჯვარი (ერთი დიდი და ოთხი პატარა, რომლებიც სიმბოლურად აღნიშნავენ ჯვარსა და ოთხ ლურსმანს, რომლითაც მაცხოვარი ჯვარცმისას გამსჭვალეს) *იერუსალიმის ჯვრის* სახელითაა ცნობილი და ფრანცისკანელთა კათოლიკური ორდენი შუა საუკუნეებიდან მას თავის სიმბოლოდ მიიჩნევს (მას წმინდა ფრანცისკ ასიზელის ჯვარსაც უწოდებენ).

რაც შეეხება ექვსქიმიან ვარსკვლავს (ებრაულად *მაგენ დავიდ*, „დავითის ფარი"), ის დიდი ხანია გამოიყენება დეკორატიულ მოტივად მაროკოდან პაკისტანამდე, როგორც გეომეტრიულად სრულყოფილი ფიგურა. ის საკმაოდ ადრე გამოჩნდა ებრაულ ორნამენტშიც. მაგრამ, როგორც ლიუისი წერს, *„იუდაიზმისათვის რელიგიური მნიშვნელობა მას ბევრად გვიან მიენიჭა"* [Lewis, 1999, 107]. ახლა ის ებრაულ სიმბოლოდ ითვლება.

სამხედრო ბალანსი

სახელმწიფოსათვის აუცილებელია თავდაცვაზე ზრუნვა.

ახლო აღმოსავლეთში, სადაც ისტორიულადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო ძალას, არმიის შენახვა სახელმწიფოს ერთერთი მთავარი ფუნქციაა.

იმას, რომ თავდაცვაზე ზრუნვა ზედმეტი არაა, ადასტურებს XX საუკუნეში ამ რეგიონში მომხდარი მრავალი ომი.

ყველაზე ხშირი იყო *რეგიონული ომები* ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის: მათ იომეს 1948-1949, 1956, 1967, 1973, 1982 წლებში. 2006 წელს ისრაელის არმია შეიჭრა ლიბანში შიიტური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია *ჰეზბოლა*-ს განადგურების მიზნით, მაგრამ იძულებული გახდა გამოსულიყო, მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ *ჰეზბოლა*-ს დამარცხება ძნელია: ამ უკანასკნელს აღმოაჩნდა რაკეტები საკუთრივ ისრაელის ტერიტორიის დასაზიანებლად. გარდა ამისა, ცალკე ომად ისრაელში მიიჩნევენ 1967-1970 წლების „ომს გამოფიტვაზე"

(როდესაც ის და ეგვიპტე ერთმანეთს საარტილერიო ზალპებს უცვლიდნენ). ისრაელის არმია 2000-2005 წლებში ებრძოდა პალესტინელთა „*ალ-აკსას ინთიფადას*“ (აჯანყებას) „დასავლეთ ნაპირსა“ და ღაზის სექტორში.

1980-1988 წლებში ხანგრძლივი ომი იყო ერაყსა და ირანს შორის.

1990 წელს ერაყმა სამხედრო ოპერაციის შედეგად დაიპყრო ქუვეითი, ხოლო 1991 წელს საერთაშორისო კოალიციამ ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის“ მეშვეობით გაათავისუფლა ეს ქვეყანა ერაყის ოკუპაციისაგან.

სამოქალაქო ომები იყო იემენში, ლიბანში, ერაყში. აღმოსავლეთ ანატოლიაში თურქეთი დიდი ხანია ებრძვის ქურთთა სეპარატისტულ მოძრაობას. 2011 წელს სირიის ხელისუფლება სამხედრო ძალით ახშობდა სახალხო გამოსვლას.

2003 წლის მარტში ამერიკულმა და ბრიტანულმა ძალებმა 30 ქვეყნის კოალიციის, ძირითადად სიმბოლური, მონაწილეობით, დაიწყეს ოპერაცია „თავისუფლება ერაყს“, რომელიც არსებითად რელიგიურ (სუნიტებსა და შიიტებს შორის) სამოქალაქო ომში გადაიზარდა, ომი გახანგრძლივდა და ამერიკული სამხედრო კონტიგენტი სავარაუდოდ 2012 წელს საბოლოოდ დატოვებს ერაყს.

ერაყის ბოლო ომი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ მკვეთრად შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება რეგიონში „ცივი ომის“ შემდეგ. ადრე დაპირისპირება დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამხედრო ბლოკებს, *ნატო*-სა და *ვარშავის პაქტს* შორის არ მისცემდა საშუალებას ვაშინგტონსა და ლონდონს, ასე ადვილად მიეღოთ გადაწყვეტილება ომის შესახებ, დაეწყოთ ის გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე და სწრაფად აეღოთ ბაღდადი. დაპირისპირება უფრო ნატოს ბლოკის შიგნით მოხდა: ნატოს წევრები – საფრანგეთი, გერმანია, ბელგია და თურქეთი ომის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ომს ასევე ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთი და ჩინეთი.

ბოლო მესამედ საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში მკვეთრად გაიზარდა მმართველი რეჟიმების მდგრადობა. 1948-1971 წლებში რეგიონის ქვეყნებში სამხედროებმა მოაწყეს 20-მდე წარმატებული სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგადაც შეიცვალა ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობა. არმია მმართველი რეჟიმის დასაყრდენიდან ხშირად მისივე მესაფლავედ შეიძლებოდა ქცეულიყო.

მაგრამ 1971 წლის შემდეგ რეგიონში არც ერთი წარმატებული სამხედრო გადატრიალება არ მომხდარა (ირანის რევოლუცია სხვა სიბრტყეში განიხილება). ამის მიზეზია ის, რომ მთავრობებმა შეძლეს სამხედროების საკუთარ კონტროლქვეშ მოქცევა. ოფიცრებს გაუზარდეს ხელფასი, მისცეს სხვადასხვა პრივილეგია, სამხედრო ბიუჯეტები გაიბერა. არმიების ელიტას აღარა აქვს სტიმული რისკში ჩაიგდოს თავი შეთქმულებაში მონაწილეობით, მით უმეტეს, რომ მკვეთრად

გაუმჯობესდა სამთავრობო დაზვერვების მუშაობა. ყველა მთავრობა ცდილობს იქონიოს რამდენიმე სადაზვერვო სამსახური, რომლებიც ერთიმეორეს გააკონტროლებენ.

მთავრობებს საშუალება მიეცათ გავლენა იქონიონ სამხედროებზე. 1979 წელს ირანში ისლამური რევოლუციის დროს შაჰის არმია გატყდა და ვერ/არ იმოქმედა რეჟიმის დასაცავად[1]. ასეთი რამ რეგიონის ქვეყნებში ამჟამად ნაკლებ მოსალოდნელია. როცა არმიის გამოყენებაა საჭირო სახალხო მღელვარების დროს, არმია ლოიალობას იჩენს რეჟიმისა და არა მასების მიმართ. ამის მაგალითია სირია, სადაც იმავე 2011 წელს მმართველი რეჟიმი არმიას იყენებდა აჯანყების ჩასახშობად. ერთგვარი გამონაკლისი აღმოჩნდა ეგვიპტე, სადაც ხანდაზმული პრეზიდენტის გადადგომა გამოიწვია არმიის უარმა ესროლა აჯანყებული ხალხისათვის. მაგრამ იქ უკვე სხვა კანონზომიერებები ამოქმედდნენ, რაზეც მე-13 თავში იქნება საუბარი.

ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური სამხედრო დანაყოფები ეთნიკური, რელიგიური ან კლანური ნიშნით, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას არ წარმოადგენს და ამიტომაც მმართველისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევა. მაგალითად, სირიაში ოფიცერთა კასტის დიდი ნაწილი განეკუთვნება ალავიტებს, ისევე, როგორც ბოლო ოთხი ათეული წლის პრეზიდენტები მამა-შვილი *ჰაფიზ და ბაშარ ასადები*; ამავე დროს, ალავიტები სირიის მოსახლეობის მეათედზე ნაკლებს შეადგენენ. ერაყის არმიასა და დაცვის სამსახურებს 2003 წლამდე მართავდა სუნიტური არაბული ელიტა, მაშინ როცა მოსახლეობის უმრავლესობა შიიტი არაბია, ხოლო საგრძნობი უმცირესობა – ქურთები.

არაბულ ქვეყნებში არმია ყველაფერთან ერთად ასრულებს სოციალურ როლსაც – ჭარბი მუშაძალის დასაქმების გზით.

აღსანიშნავია ისიც, რომ რიგ პოლიტიკურ მოძრაობას თავისი სამხედრო დანაყოფებიც აქვს. ამ თვალსაზრისით ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ლიბანში მოქმედი შიიტური ორგანიზაცია *ჰისბ-ალლაჰ-ი* (ალაჰის პარტია), რომელიც უფრო ცნობილია სპარსული გამოთქმით *ჰეზბოლა*. მას მხარს უჭერს და აიარაღებს ირანი. *ჰეზბოლას* სამხედრო ორგანიზაცია ლიბანში უძლიერესია, ფაქტობრივად, ეროვნულ არმიასაც კი სჭარბობს სიდიდით, შეიარაღებითა და დისციპლინით, ხოლო 2006 წლის ზაფხულში თვეზე მეტხანს აწარმოებდა ძალიან ეფექტიან ომს რეგიონში უძლიერესი ისრაელის რეგულარული არმიის წინააღმდეგ.

---

1. თავის მოგონებებში ირანის ყოფილი შაჰი წერდა, რომ მისი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, რომელსაც ამერიკელები მოელაპარაკნენ, არ მიიღო სათანადო ზომები რევოლუციის წინააღმდეგ და რევოლუციონერებმა მას სიცოცხლე შეუნარჩუნეს, მაშინ როცა ბევრი სხვა გენერალი სიკვდილით დასაჯეს [Дружиловский, 2002, 172-173].

სამხედრო ბალანსი რეგიონში უცვლელი არ რჩება. ცხრილ 11.1-ში მოყვანილი სტატისტიკური მასალა ასახავს რეგიონის შვიდი, ყველაზე ძლიერი და ანგარიშგასაწევი ქვეყნის არმიებისა და მათი შეიარაღების შესახებ XXI საუკუნის დასაწყისისათვის შექმნილ მდგომარეობას. დანარჩენი ქვეყნების სამხედრო პერსონალი და შეიარაღება რეგიონის კვალობაზე უმნიშვნელოა. სპარსეთის ყურის მცირე ქვეყნები და ლიბანი უფრო სიმბოლურ ძალებს ფლობენ, თუმცა ზოგი მდიდარი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს უახლესი სამხედრო ტექნიკის შესაძენად.

ცხრილი 11.1 ნაწილობრივ ეყრდნობა ისრაელში გამომავალი ცნობარის, „ახლო აღმოსავლეთის სამხედრო ბალანსის" მონაცემებს, რომლებიც, თავის მხრივ, სპორადულ სადაზვერვო ცნობებს იყენებს და ბევრ შემთხვევაში საკმაოდ მიახლოებითია.

ცხრილი 11.1. ახლო აღმოსავლეთის რიგი ქვეყნის სამხედრო ბალანსი (2010 წ.)

ქვეყნები	თურქეთი*	ისრაელი	ეგვიპტე	ირანი	ერაყი (2008 წელს)	სირია	საუდის არაბეთი
რეგულარული არმია (000)	421	176	405	520	250	289	214
რეზერვი (000)	398	445	254	350	...	132	...
ტანკი	2600	3770	387	1620	171	4800	1015
ჯავშანმანქანა*	5460	6750	3680	1570	...	5060	4430
არტილერია*	4350	1348	3530	2700	2700	2100	2600
თვითმფრინავი	373	875	518	341	3	490	330
წყალქვეშა ნავი*	12	3	4	6	0	0	0

* *მონაცემები 2002-2006 წლებისათვის*

წყაროები: Feldman & Shapir, 2001; Brom & Shapir, 2002]; The Institute for National Security Studies (Israel), 2010

რაოდენობრივ მაჩვენებლებზე უფრო მნიშვნელოვანი ხშირად საბრძოლო ტექნიკის ხარისხობრივი მახასიათებლები, პერსონალის გაწვრთნის დონე, მოტივაცია და საბრძოლო სულისკვეთებაა, რაც ცხრილში ვერ აისახებოდა. ასე მაგალითად, 2003 წელს ერაყის რაოდენობრივად დიდმა არმიამ ვერ გაუძლო ამერიკული არმიის შეტევას უზუსტესი სამხედრო ტექნიკის მეშვეობით და პრაქტიკულად უბრძოლველად დაიშალა: რიგითმა შემადგენლობამ და ოფიცრების უმრავლესობამ სამოქალაქო ტანსაცმელი გადაიცვა და მოსახლეობაში გაიფანტა. სხვა საქმეა, რომ ერაყის არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცების ნაწილი პარტიზანულ მოძრაობაში ჩაება.

სამხედრო ტექნიკის რაოდენობრივი მონაცემების მექანიკურმა შედარებამ ხანდახან შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. მაგალითად, ზემოთმოტანილი ცხრილის თანახმად, 2010 წელს ისრაელს 875 სამხედრო თვითმფრინავი ჰქონდა, ეგვიპტეს – 518, ხოლო სირიას – 490. ჯამში ორ არაბულ ქვეყანას ისრაელზე ბევრად მეტი თვითმფრინავი გააჩნდა. მაგრამ ორივე ქვეყანა საჰაერო ძალით ისრაელს კონკურენციას ვერ უწევს. ისრაელს აქვს უახლესი ამერიკული ტექნიკა, ხშირად კიდევ უფრო გაუმჯობესებული ადგილობრივ სამხედრო საწარმოებში. სირიის განკარგულებაშია მორალურად მოძველებული საბჭოთა/რუსული თვითმფრინავები („МиГ"-ი და „СУ"). ისრაელისა და არაბული ქვეყნების სამხედრო მფრინავების მომზადების დონის შედარება ისრაელისათვის გაცილებით უკეთეს სურათს იძლევა.

სამხედრო ტექნიკა სწრაფად ძველდება, განსაკუთრებით მორალურად. ყოველწლიურად ჩნდება უკეთესი ტექნიკა, რომელიც ძველ იარაღს უსუსურად აქცევს. ახალი ტექნიკის საზღვარგარეთ შესაძენად საჭიროა ბევრი ფული, ანდა დიდი კაპიტალდაბანდება სამამულო სამხედრო მრეწველობასა და სამეცნიერო-ტექნიკურ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში.

ამ უკანასკნელი, და ერთადერთი სწორი, გზით წავიდა ისრაელი, რომელმაც თავიდანვე გააკეთა აქცენტი ყველაზე მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიაზე. იგი არ ზოგავდა სახსრებსა და ენერგიას შესაბამისი სამეცნიერო-ინდუსტრიული ბაზის შესაქმნელად. შედეგიც სათანადო იყო: ყველა ომში, რომელიც ისრაელს უწარმოებია თავის მეზობლებთან, მისი ტექნიკური უპირატესობა აშკარაა. საკუთარ არმიას ის უზრუნველყოფს თითქმის ყველა ტიპის უახლესი მაღალხარისხოვანი იარაღით – პისტოლეტიდან ტანკამდე, უპილოტო თვითმფრინავიდან ბალისტიკურ რაკეტამდე.

ისრაელის შეიარაღებაში 1960-იანი წლების ბოლოდან დიდ როლს ასრულებს ამერიკის სამხედრო დახმარება. ამჟამადაც ისრაელი ამერიკის კონგრესისაგან წლიურად იღებს სამ მილიარდ დოლარს, რომელიც სამხედრო გრანტებს ხმარდება. 1950-იანი წლების დასაწყისიდან ისრაელის არმიის ფეხზე დასაყენებლად არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა [დასავლეთ] გერმანიის რეპარაციებსა და საფრანგეთის ტექნიკურ დახმარებას.

ისრაელი ეწევა შეიარაღების ცალკეული ტიპების (მაგალითად, წყალქვეშა ნავების, უახლესი ავიატექნიკის) იმპორტს. ამავდროულად ისრაელი თავისი სამხედრო ნაწარმის 60 პროცენტს საზღვარგარეთ ყიდის და სამხედრო პროდუქციის ექსპორტით მსოფლიოს ქვეყნების პირველ ხუთეულშია.

რეგიონში ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილი არმია სწორედ *ისრაელს* ჰყავს. იქ სამხედრო სამსახურს გადის ყველა, მათ შორის ქალებიც

(მართალია, მათი საგრძნობი ნაწილი არმიაში საკანცელარიო სამუშაოს ასრულებს, მაგრამ ესეც აუცილებელი საქმეა).

ისრაელის რეგულარულ არმიაზე უფრო დიდი ჯარი ჰყავთ თურქეთს, ირანს, ეგვიპტეს, სირიას, ბოლო დრომდე ჰყავდა ერაყს. ისრაელის მუდმივი არმია დიდი არაა, მაგრამ მისი არმიის რეზერვი სამჯერ მეტია და ის რეალურია: ყველა მამაკაცი რეზერვისტი (საბრძოლო ნაწილებში 49 წლამდე, ზურგის ნაწილებში – 54 წლამდე) ყოველწლიურად 3-6 კვირის განმავლობაში წვრთნას გადის და ხშირად სამხედრო მოქმედებაშიც მონაწილეობს.

ძვირადღირებული უცხოური სამხედრო ტექნიკის შეძენა ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ არმია ძლიერდება: ტექნიკას ესაჭიროება მოვლა და, რაც მთავარია, სწორი ექსპლუატაცია კარგად გაწვრთნილი და თავდადებული სპეციალისტების მიერ. *„თავდადებულს“* მე ვახსენებ იმ თვალსაზრისით, რომ უცხოელ, დაქირავებულ სპეციალისტს მთლიანად ვერ ანდობ შენს სამხედრო ტექნიკას. რეგიონის ზოგ მცირე, მაგრამ კარგად შეიარაღებულ ქვეყანაში კი მაღალი კლასის მფრინავები და მერაკეტეები თითზე ჩამოსათვლელი ჰყავთ.

მაგალითად, სპარსეთის ყურის ნავთობით მდიდარი მცირე ქვეყნები ყიდულობენ ყველაზე მოწინავე სამხედრო ტექნიკას, მაგრამ ის ვერ იქნება შემაკავებელი ფაქტორი და ვერც „საფრთხობელა“ უფრო ძლიერი მეტოქისათვის. ერაყმა 1990 წლის აგვისტოს ერთ დღეში დაიკავა ქუვეითი, რომელსაც უხვად ჰქონდა საუკეთესო საბრძოლო თვითმფრინავები და სხვა იარაღი, მაგრამ ვერ გამოიყენა ის.

რეგიონის ქვეყნების უმრავლესობას უხდება სამხედრო შეიარაღების ძირითადი ნაწილის იმპორტი. ყველაზე ახლოს ***სამხედრო საჭურვლით თვითუზრუნველყოფასთან*** ისრაელის შემდეგ რეგიონში იმყოფებიან *თურქეთი* და *ირანი*, რომელთა სამხედრო მრეწველობა თანამედროვე შეიარაღების საკმაო ნაწილს აწარმოებს.

თურქეთს ევროპაში რუსეთის შემდეგ უდიდესი არმია ჰყავს. რაც მთავარია, მას ჰყავს კარგად გაწვრთნილი ოფიცრები და გენერალიტეტი: ხშირად ისინი ოფიცრების ოჯახებიდანვე არიან გამოსული, რომლებისთვისაც ჯარში სამსახური მემკვიდრეობითი საქმეა. ოფიცრობა და სამხედრო სამსახური ამ ქვეყანაში ძალიან პრესტიჟულ საქმიანობად ითვლება.

ირანი, რომლისთვისაც სამხედრო დახმარებას უკვე თითქმის მესამედი საუკუნეა კრძალავს ამერიკის ადმინისტრაცია, თავის სამხედრო პროგრამებს ავითარებს უფრო ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეის, რუსეთის დახმარებით.

2003 წლიდან მისი არმიის შეიარაღებაზეა ჩრდილო-კორეული რაკეტის პროტოტიპზე შექმნილი ადგილობრივი წარმოების ორსაფეხურიანი რაკეტა *„შაჰაბ-3“*, რომლის საოპერაციო რადიუსია 1280 კმ.

არის ცნობა, რომ ამ რაკეტის მოდიფიკაცია „ღადრ-*110*“ 2500-3000 კმ მიღწევადობას ფლობს. ირანმა უკვე შექმნა შორსმოქმედი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები, რომლებიც რეალურ საფრთხეს შეუქმნიან სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში შემოსულ უცხო ქვეყნების ავიამზიდებს. 2008 წელს თეირანმა გამოაცხადა, რომ გამოსცადა ახალი რაკეტა „*აშურა*“, რომლითაც კოსმოსური თანამგზავრის გაყვანა შეუძლია. ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია ეს მონაცემები.

ფაქტია, რომ თანამედროვე ომის პირობებში სარაკეტო ტექნიკის მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება. ამის გამო ზოგიერთი ტერიტორია თავის სტრატეგიულ ხარისხს კარგავს. მაგალითად, 1967 წელს ოკუპირებულ გოლანის მაღლობს ისრაელი სტრატეგიულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს და არ უბრუნებს სირიას, რადგან ისრაელში ფიქრობენ, რომ თუ აქ სირიის არტილერია განლაგდება, მას შეეძლება 50-60 კილომეტრში მდებარე ქალაქ ხაიფას დაბომბვაც კი, ხოლო მაღლობიდან დაშვებული სირიული ტანკების შესაჩერებლად ძალების წარმოუდგენელი მობილიზაცია იქნება საჭირო. თანაც, გოლანის შენარჩუნება ისრაელს უპირატესობას ანიჭებს, რადგან აქედან ადვილია სირიის არმიის გადაადგილებაზე დაკვირვება, ხოლო დამასკომდე სულ 70 კილომეტრია.

მაგრამ 2000 წელს ისრაელის მთავრობა, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გამოცდილი გენერალი *ეჰუდ ბარაკი*, სავსებით სერიოზულად აწარმოებდა არაპირდაპირ (ამერიკის პრეზიდენტ *ბილ კლინთონის* მეშვეობით) მოლაპარაკებას სირიელებთან მათთვის გოლანის მაღლობის დაბრუნების თაობაზე. ისრაელის პრესაში გამოდიოდნენ ავტორიტეტული სამხედრო პირები, რომლებიც ასაბუთებდნენ, რომ გოლანის მაღლობს აღარა აქვს სერიოზული სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან ბევრად უფრო ეფექტიანია დაკვირვება კოსმოსიდან „ჯაშუში თანამგზავრების“ მეშვეობით, ხოლო მომავალ ომებში გადამწყვეტი უპირატესობა ექნება რაკეტულ ძალებში. რაკეტა კი გოლანის მაღლობის წინაღობას ადვილად გადაუვლის.

ცალკე უნდა ითქვას რეგიონში *მასობრივი განადგურების იარაღის* (*მგი*), ანუ ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და ზოგი სხვა ტიპის იარაღის გავრცელების შესახებ.

2003 წლის დამდეგს, ერაყში ომის დაწყების წინ, მსოფლიო მედიაში მრავლად ქვეყნდებოდა მასალა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში *მგი*-ს არსებობის ანდა მათი წარმოების შესაძლებლობის შესახებ. როდესაც დასავლეთის პრესა აქვეყნებდა იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთაც ჰქონდათ, აქტიურად ავითარებდნენ ან გააჩნდათ საშუალება, ეწარმოებინათ *ბირთვული იარაღი*, რეგიონის ქვეყნებს შორის ახსენებდნენ ისრაელს, ირანსა და ერაყს; *ქიმიური იარაღის* შემთხვევაში – ისრაელს,

ირანს, ერაყს, ეგვიპტესა და სირიას; *ბიოლოგიური იარაღის* შემთხვევაში – ისრაელს, ირანს, ერაყსა და ეგვიპტეს [IHT, February 6, 2003].

ქვეყნის შეტანა ასეთ „შავ სიაში" ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას მართლაც აქვს, ანდა ის მზადაა აწარმოოს *მგი*. მაგალითად, ერაყის შეტანა *მგი*-ს ყველა ტიპის იარაღის მქონე ან მისი წარმოებისათვის მზადმყოფი ქვეყნების სიაში ყალბ ინფორმაციაზე დაფუძნებული აღმოჩნდა. ეს ნათელი გახდა 2003 წელსვე [Kristof, 2003], ხოლო ორი წლის შემდეგ აშშ და ბრიტანეთი იძულებული გახდნენ ეცნოთ, რომ ერაყს *მგი* არ გააჩნდა. ამასთან, სწორედ ერაყში *მგი*-ის „დანამდვილებით არსებობის" საბაბით დაიწყეს სამხედრო მოქმედება მის წინააღმდეგ აშშ-მა და მოკავშირეებმა 2003 წელს.

არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც კრძალავს *მგი*-ის გავრცელებასა და გამოყენებას. *ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას* (ძალაშია 1970 წლიდან) რეგიონის ქვეყნებიდან არ შეერთებია მხოლოდ ისრაელი; *ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის კონვენციას* (ძალაშია 1975 წლიდან) ისრაელმა და სირიამ ხელი მოაწერეს, მაგრამ მისი რატიფიკაცია არ მოუხდენიათ; *ქიმიური იარაღის კონვენციას* (ძალაშია 1997 წლიდან) არ შეერთებიან ეგვიპტე და სირია. რეგიონის დანარჩენი სახელმწიფოები სამივე შეთანხმების წევრია.

ის ქვეყნები, რომლებიც არ შეუერთდნენ ზემოხსენებულ შეთანხმებებს, არც მიიჩნევენ აუცილებლად მათ შესრულებას. ხოლო ზოგი ქვეყანა, შეთანხმებაზე ხელმოწერის მიუხედავად, ფარულად არღვევს მათ.

საქმე ისაა, რომ *მგი*-ს ფლობა აპრიორულად ანიჭებს სახელმწიფოს სამხედრო უპირატესობას იმ ქვეყნებთან შედარებით, რომელთაც ეს იარაღი არა აქვთ, ანდა აყენებს თანაბარ დონეზე ასეთი იარაღის მფლობელ სახელმწიფოსთან. უფრო ხშირად ეს იარაღი შემაკავებელ როლს ასრულებს. ასე მაგალითად, ბირთვული იარაღის ფლობაში ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული დაახლოებითი რაოდენობრივი თანასწორობა (პარიტეტი) აღმოჩნდა ის შემაკავებელი საშუალება, რის გამოც „ცივი ომი" არ გადაზრდილა „ცხელ ომში".

ბირთვული იარაღის საწარმოებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ატომური ელექტროსადგურის (*აეს*-ი) მიერ ნახმარი საწვავი. ამიტომაც *აეს*-ებისა და სხვა დანიშნულების ბირთვული რეაქტორების მშენებლობას მეტოქე ქვეყნებში თვალს გაფაციცებით ადევნებენ ხოლმე.

ისრაელში ერთ გაზეთში გამოქვეყნდა 1967 წლის „ექვსდღიანი ომის" დაწყების ყურადსაღები ვერსია:

„1964 წელს [ეგვიპტის პრეზიდენტი] *ნასერი აფრთხილებდა ამერიკის ადმინისტრაციას, რომ 'ისრაელის ბირთვული პოტენციალის განვითარება შეიძლება გახდეს დამანგრეველი და სისხლისმღვრელი ომის მიზეზი რეგიონში'. ამერიკელებმა დაამშვიდეს ეგვიპტის დიქტატორი:*

ისრაელი არ ავითარებს და არ აწარმოებს სტრატეგიული დანიშნულების ბირთვულ იარაღს [რაც, სამწუხაროდ, სიცრუე აღმოჩნდა: რ.გ.].

ამის შემდეგ გაფრთხილება და მუქარა ნასერის მხრიდან შეწყდა, მაგრამ განგაში დიმონას ბირთვული ცენტრის გამო ისრაელის მთავრობის თავისებურ ფობიად იქცა. ყველასთვის ნათელი იყო: ბირთვული ცენტრი მოწყვლადია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ის შედარებით ახლოს მდებარეობს ეგვიპტის საზღვართან.

ეს შიში (მით უმეტეს, რომ დიმონაზე ეგვიპტის თავდასხმის ალბათობა ძალიან დიდად იქნა მიჩნეული) გახდა ისრაელის მიერ წინმსწრები დარტყმის განხორციელების ძირითადი საფუძველი" [Хаимович, 2002, 3].

ისრაელს აქვს ანალოგიური პრობლემის სამხედრო მეთოდით გადაწყვეტის გამოცდილება. 1981 წლის 7 ივნისს მისმა საბრძოლო თვითმფრინავებმა დაბომბეს და დაანგრიეს ქ. ბაღდადთან ფრანგების მიერ მშენებარე მსუბუქი წყლის ბირთვული რეაქტორის მქონე *აეს-ი*. ერაყმა ვეღარ შეძლო მისი აღდგენა. ზოგი ისრაელელი მეცნიერი და პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ სწორედ ამის გამო, ათი წლის შემდეგ, სპარსეთის ყურის ომის დროს, ერაყის რეჟიმი არ აღმოჩნდა აღჭურვილი ბირთვული იარაღით.

ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით რეგიონში ჩვეულებრივ ორ ქვეყანას ახსენებენ – *ირანსა* და *ისრაელს*.

ირანის სამხრეთში, სპარსეთის ყურის სანავსადგურო ქალაქ ბუშეჰრთან აეს-ის მშენებლობა გერმანული ფირმების მიერ ირანში 1974 წელს დაიწყო. 1980-იანი წლების შუა ხანებში, ირან-ერაყის ომის დროს მშენებარე აეს-ი რამდენჯერმე დაიბომბა. გერმანელი კონტრაქტორები წავიდნენ. 1995 წელს კი რუსეთის ფედერაციასთან დადებული 800 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტით მშენებლობა განახლდა. 2011 წელს აეს-ი ექსპლუატაციაში შევიდა. ირანი ამტკიცებს, რომ აეს-ის მსუბუქი წყლის რეაქტორი მხოლოდ მშვიდობიანი ენერგიის საწარმოებლადაა გამიზნული და რომ გამოყენებული საწვავი ვერ გამოდგება ბირთვული იარაღის საწარმოებლად. *ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს* ინსპექტორები სისტემატურად ამოწმებენ ბუშეჰრის მშენებლობის მიმდინარეობას და ჯერჯერობით საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

ამასთან, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ირანს „მშვიდობიანი ატომისათვის" არ სჭირდება გაამდიდროს ურანიუმი ან აწარმოოს მძიმე წყალი, რასაც ის უკვე ახორციელებს. პრესაში პერიოდულად ჩნდება ინფორმაცია ირანის ბირთვული პროგრამის ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე გეოგრაფიული განფენილობის შესახებ. ასე მაგალითად, ურანიუმის გამამდიდრებელი საწარმო განლაგებულია *აბალიში*, ქ. ისფაჰანთან; მძიმე წყლის წარმოება 1996 წლიდან ხდება *არაქში*, ქ. თეირანის სამხ-

რეთით 150 კილომეტრში; მეორე ასეთივე საწარმო აშენდა *ნათანზში*, ქ. ქაშანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 კილომეტრში [Schiff, 2003]. თეირანის გარეუბან *ლავიზანში* ასევე მუშაობს დიდი სამხედრო ქარხანა.

2003 წლის თებერვალში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ირანში აღმოჩენილია ურანიუმის საბადო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა მომავალში აღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ რუსეთიდან შემოტანილ ბირთვულ საწვავზე. ადგილობრივი საწვავის გამოყენებისას (საიდანაც შეიძლება გამოყოფილ იქნას სამხედრო დანიშნულების პლუტონიუმი) რუსეთში მისი ნარჩენების გატანაც აღარ იქნება აუცილებელი.

ამდენად, გაჩნდა ეჭვი, რომ ირანი ამზადებს გამდიდრებულ ურანიუმს სამხედრო მიზნებით. ამან განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია ისრაელში, ვინაიდან ირანის ამჟამინდელი ხელისუფლება არ მალავს თავის უაღრესად მტრულ განწყობილებას ამ სახელმწიფოს მიმართ.

ამერიკის დაზვერვა თავიდან ამტკიცებდა, რომ ირანს აქვს ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა და ასეთი იარაღი მას 2009 წლამდე ექნებოდა. მაგრამ 2011 წელსაც კი ის შექმნილი არ იყო.

თუმცა პრობლება სულაც არაა მოხსნილი. ამერიკის ადმინისტრაცია და ისრაელის მთავრობა კვლავაც ხედავენ ბირთვულ საფრთხეს (თუნდაც გადავადებულს) ირანისაგან და ეს საფრთხე სავსებით რეალურია.

ის, რომ *ისრაელს* 1960-იანი წლებიდან გააჩნია ბირთვული იარაღი, კარგა ხანია აღარ არის საიდუმლო (ასეთი ინფორმაციის მიღება თავისუფლად შეიძლება *ინტერნეტის* მეშვეობით). ისრაელის ბირთვული პროგრამის ეფექტიანი ორგანიზატორი 1950-იან წლებში მისი ამჟამინდელი პრეზიდენტი *შიმონ პერესი* იყო.

ისრაელის მთავრობას ოფიციალურად არასოდეს უღიარებია ბირთვული იარაღის ფლობა, თუმცა 2007 წელს ისრაელის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა *ეჰუდ ოლმერტმა* თავისი ერთ-ერთი გამოსვლისას არაპირდაპირ დაადასტურა ეს. ისრაელის გაზეთები კი ხალისით ბეჭდავენ საზღვარგარეთულ ინფორმაციას საკუთარი ქვეყნის ბირთვული პოტენციალის შესახებ [Schechter, July 4, 2003]. ისრაელელი ჟურნალისტები და პოლიტოლოგები თავიანთ პუბლიკაციებში საკმაოდ თავისუფლად მსჯელობენ ისრაელის ბირთვულ პოტენციალზე, მაგრამ ამას ყოველთვის უცხოური წყაროების დამოწმებით აკეთებენ [Feldman & Shapir, 2001, 172]. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ მიმართა ისრაელს – შეუერთდეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას, თუმცა მოწოდება დღემდე უპასუხოდ რჩება.

ამერიკულ გაზეთ „The Washington Post"-ის 2002 წლის 15 ივნისის პუბლიკაციაზე დაყრდნობით ისრაელის თითქმის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოიტანა ინფორმაცია, რომ ისრაელის „დელფინის" ტიპის დიზელისძრავიანი სამი ახალი წყალქვეშა ნავი, რომლებიც მან საჩუქრად მიიღო გერმანიისაგან, აღიჭურვა ადგილობრივი წარმოების

ფრთოსანი რაკეტებით, რომელთაც ატომური ქობინის ტარება შეუძლიათ. ინდოეთის ოკეანეში წარმატებული გამოცდით დადასტურდა, რომ ამ რაკეტებს 1450 კილომეტრზე შეუძლიათ ფრენა. გაზეთების ცნობით, ეს წყალქვეშა ნავები საშუალებას მისცემს ისრაელს მძლავრი დარტყმა მიაყენოს ირანს მისი ტერიტორიული წყლების სიახლოვიდან. ისრაელის ავიაციაც შეიძლება აღიჭურვოს ატომური ბომბებით. ბირთვული ქობინის ზიდვა შეუძლია ასევე რაკეტა „ჰარპუნს“, რომლის გაშვებაც შეიძლება წყალზედა ხომალდიდან ან თვითმფრინავიდან [Ha'aretz, February 19, 2003]. ცნობილია ისიც, რომ ისრაელს აქვს საშუალება საკუთარი წარმოების რაკეტით ორბიტაზე გაიყვანოს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. ეს კი იმის დასტურია, რომ ქვეყანას აქვს დედამიწის ნებისმიერ წერტილში მიღწევადობის მქონე ბალისტიკური რაკეტა.

გამალებული შეიარაღება რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი გახდა და პოლიტიკური განვითარების ტენდენცია არ იძლევა იმედს, რომ ის მალე დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

„მესამე სამყაროს“ საზოგადოება

„ცივი ომის“ პერიოდში, როდესაც მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური პოლარიზაცია ძალიან მძაფრი გახდა, ევროპელმა ჟურნალისტებმა დაამკვიდრეს ტერმინები – *პირველი, მეორე* და *მესამე სამყარო*.

„*პირველ*“ („*თავისუფალ*“) *სამყაროდ* მიჩნეულ იქნა დასავლეთის საბაზრო ეკონომიკისა და მრავალპარტიული დემოკრატიის მქონე ქვეყნები. „*მეორე სამყაროს*“ უწოდებდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის გეგმური ეკონომიკისა და ერთპარტიული მმართველობის მქონე ქვეყნებს. თვითსახელად ისინი იყენებდნენ „სოციალისტურ ბანაკს“ (თუმცა ამ „ბანაკში“ 1960-იანი წლებიდან აღარ იყო ერთიანობა). დასავლეთი მათ „კომუნისტურ ქვეყნებს“ უწოდებდა.

რჩებოდა ქვეყნების დიდი ჯგუფი, რომელიც 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული გათავისუფლდა კოლონიური უღლისაგან, ანდა წარმოადგენდა ფორმალურად დამოუკიდებელ, მაგრამ ეკონომიკურად ჩამორჩენილ, და, თავიდან მხოლოდ „პირველ სამყაროზე“, შემდგომში – აგრეთვე „მეორე სამყაროზე“, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოკიდებულ ქვეყნებს. ეს იყო თითქმის მთელი აფრიკა, ლათინური ამერიკა, აზიის დიდი ნაწილი (გარდა იაპონიისა და „კომუნისტური“ სამყაროსი), ახლო აღმოსავლეთის ჩათვლით. ყველა ეს ქვეყანა *მესამე სამყაროს* მიეკუთვნა.

ტერმინები „პირველი სამყარო“ და „მეორე სამყარო“ ვერ დამკვიდრდა, ხოლო 1980-იანი წლების ბოლოდან, როდესაც „სოციალისტური ბანაკი“ ხუხულასავით დაიშალა, საერთოდ ანაქრონიზმად იქცა.

ტერმინი – *„მესამე სამყარო“*, თუმცა ცოტა გახუნდა, მაინც ერთგვარ კლიშედ შემორჩა პოლიტიკურ გეოგრაფიას და, შესაძლოა, პოლიტოლოგიასაც. რამდენადაც ის საზოგადოების განვითარებასაც გულისხმობს, *„მესამე სამყარო“*, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე *„განვითარებადი ქვეყნები“*. ალბათ პოლიტკორექტულობის გამო საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) უფრო მოხდენილ ტერმინს იყენებს – *„აღმავალი და განვითარებადი ეკონომიკები“* (emerging and developing economies). მაგრამ არსებითად სამივე ტერმინი ქვეყნების ერთსა და იმავე ჯგუფს აღნიშნავს.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი უმრავლესობა შეიძლება დღემდე მივიჩნიოთ „მესამე სამყაროდ“, თუნდაც მათ ნაწილს ნავთობის დიდი რესურსების წყალობით საშუალება ჰქონდეს მკვეთრად გაზარდოს ხარჯები მოქალაქეების განათლებასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე. საზოგადოებისათვის მხოლოდ ეკონომიკური განვითარება არაა გადამწყვეტი – რაღაც ბუნებრივი რესურსის გამო სავსებით შეიძლება, რომ მცირე ქვეყანამ დროებით მიაღწიოს განვითარების მაღალ ტემპს (მაგალითია სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები) – უფრო მნიშვნელოვანია მისი სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონე.

სოციალურ-კულტურული პროგრესის გარეშე რომელიმე ქვეყნის რეალურ წარმატებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, თუნდაც ნავთობიდან შემოსული უზარმაზარი შემოსავალი საშუალებას აძლევდეს გუშინდელ ბედუინს აქლემიდან „მერსედესზე“ გადაჯდეს, კარვიდან სასახლეში გადასახლდეს და შვილები სასწავლებლად ადგილობრივი მადრასას (რელიგიური სკოლის) ნაცვლად იტონსა და კემბრიჯში გაგზავნოს.

დასავლეთში განათლებამიღებული შვილები უბრუნდებიან იმ საზოგადოებას, სადაც შუა საუკუნეების ნორმები ბატონობს.

რასაკვირველია, ყველა ქვეყანას საკუთარი თავისებურება აქვს და ქვემოთმოყვანილი გენერალიზებული მოდელიდან ყველა ნიშანი შეიძლება არც გააჩნდეს. მაგრამ რეგიონის ქვეყნებს ამ ნიშნების უმეტესობა დღემდე ახასიათებთ.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნის მეტ-ნაკლებად ტიპური მოდელი ასეთია:

როგორც წესი, ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელია, რომ ის იმართება ჩაკეტილი პოლიტიკური ელიტის მიერ. ჩვეულებრივ, მას ახასიათებს მმართველობის არადემოკრატიული ფორმა: ასეთია აბსოლუტური (ან ფაქტობრივად აბსოლუტური მონარქია), თეოკრატია და ფორმალური არჩევნების ჩამტარებელი რესპუბლიკა პრეზიდენტობის ერთადერთი ან „ძირითადი“ კანდიდატისათვის „ხალხის მხურვალე მხარდაჭერის“ გამოსახატავად.

იმისათვის, რომ თავისი ძალაუფლება შეინარჩუნოს, მმართველ ელიტას ესაჭიროება მრავალრიცხოვანი პოლიცია, უშიშროების სამსახური და არმია: საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლება მზადაა გამოიყენოს ეს ძალა საკუთარი ხალხის წინააღმდეგაც. ამის შედეგად ქვეყანაში ხშირად იქმნება ძალადობის საერთო კლიმატი, რაც ვლინდება ადამიანთაშორის ურთიერთობებში, ოჯახის დონეზე, იგრძნობა ქუჩაში, უცხოელების მიმართ დამოკიდებულებაში (ქსენოფობია, ანუ უცხოელთა სიძულვილი, ზოგან სახელმწიფო დონეზეც კი ადის). კანონის გარსშემოვლა ასეთი ქვეყნის ელიტისათვის პრობლემას არ წარმოადგენს.

ოლიგარქიული რეჟიმების არსებობა ფაქტობრივად ხელს უწყობს, რათა შეიქმნას უზარმაზარი სხვაობა მმართველი ელიტისა და რიგით მოქალაქეთა უმრავლესობის შემოსავალსა და ცხოვრების დონეში. მმართველი ელიტის მხრიდან მოსახლეობის (ხშირად, „ხალხზე ზრუნვის" რიტორიკით შეფარული) პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ჩაგვრა ფართოდ გავრცელებული სიღარიბის მიზეზია. მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა ხშირად ვერ აცნობიერებს ამ ჩაგვრას და დიდხანს ფატალისტურად მიიჩნევს, რომ „ასეც უნდა იყოს".

ასეთ ატმოსფეროში, ადამიანის პირადი დაუცველობის პირობებში ყვავის კორუფცია, რომელიც წამლავს მთელ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სისტემას. კორუფცია უპირველესად ვლინდება ხელისუფლების უმაღლეს რგოლებში, ვრცელდება პოლიციაზე, აღწევს არმიას, ბიუროკრატიის დაბალ შრეებსა და ინდივიდუალური მოქალაქის დონეს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, თუკი რაიმეს გაკეთება შესაძლებელია ქრთამის გარეშე.

მმართველი ელიტა სარგებელს ნახულობს ეკონომიკური და პოლიტიკური კორუფციიდან და, როგორც შედეგი, საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ შეუძლია ნორმალურად იცხოვროს, თუკი თვითონ არ იქნება ჩართული კორუფციაში.

მმართველ ელიტას დიდი სტიმული აქვს, შეინარჩუნოს ეკონომიკური განსხვავება. როდესაც საზოგადოება კორუმპირებულია, ელიტას ყოველთვის შეუძლია მონახოს მხარდამჭერები მოსახლეობის დაბალ ფენებში, რომლისთვისაც არსებული რეჟიმის შენარჩუნება ხელსაყრელია. ამიტომაც „მესამე სამყარო" საკმაოდ მდგრადია. სინამდვილეში კი ეს მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სტაგნაცია.

„მესამე სამყაროს სინდრომი" ქვეყნის პოლიტიკურ გეოგრაფიაშიც იჩენს თავს. რადგან მმართველი ელიტა ქვეყნის ცენტრშია თავმოყრილი, იგი დედაქალაქის მოსახლეობაზე ოდნავ მაინც ზრუნავს. სიღარიბე და ჩამორჩენილობა უფრო მკვეთრადაა გამოხატული პროვინციაში, განაპირა რეგიონებში. სიღარიბეს ამძაფრებს მოსახლეობის მაღალი შობადობა, რაც „მესამე სამყაროს" ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია,

და, თავის მხრივ, გამოწვეულია ქალის დაქვემდებარებული როლით საზოგადოებაში.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი ნაწილი თავსდება „მესამე სამყაროს“ ზემომოტანილ მოდელში. იქ შეფერხებულია სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, ზოგადად, საზოგადოების დემოკრატიზაცია.

ბოლო 20-30 წლის მანძილზე „მესამე სამყაროს“ კატეგორიას დასცილდა ზოგიერთი ინდუსტრიულად წარმატებული ქვეყანა, მაგალითად, *სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაივანი, ისრაელი, კვიპროსი.* მათ, ყოფილ „პირველ სამყაროსთან“ ერთად, ახლა *„განვითარებული ეკონომიკების“* ჯგუფში განიხილავენ. ამ ჯგუფს *თურქეთიც* მიუახლოვდა (ზოგი მას უკვე ამ ჯგუფის წევრადაც განიხილავს). სამაგიეროდ, „მესამე სამყაროს“ კატეგორიაში ჩაჯდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დიდი ნაწილი, სადაც ზემოაღწერილი მოდელი ნარნარად გადმოვიდა 1960-1980-იანი წლების ეპოქიდან.

ახლო აღმოსავლეთის საზოგადოების გაგება ძნელია რელიგიური თავისებურების გაუთვალისწინებლად. როგორც წინა თავებში ითქვა, დომინანტი რელიგია აქ ისლამია (მისი ყველა მიმართულებით), რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა უმრავლესობის ქცევასა და განწყობას.

სოციოლოგიური გამოკითხვები აჩვენებს, რომ რეგიონის ქვეყნებში შარიათის ნორმების მიმართ დამოკიდებულება დადებითია: არაბული ქვეყნების უმეტესობაში (გამონაკლისია მრავალკონფესიური ლიბანი) ცოლქმრული ღალატისათვის – ქვით ჩაქოლვას, ქურდობისათვის – ხელის მოკვეთას, ისლამზე უარის თქმისათვის – თავის მოკვეთას მხარს უჭერს მოსახლეობის 60-80 პროცენტი, ყველაზე მეტად – ეგვიპტესა და იორდანიაში (საუდის არაბეთში გამოკითხვა არ ჩატარებულა, მაგრამ პასუხი წინდაწინვე ნათელია!). ყველაზე ნაკლები მხარდამჭერი ასეთი ტიპის სასჯელებს (15 პროცენტზე ნაკლები, მაგრამ ესეც რაღაცის მაჩვენებელია) ჰყავდა თურქეთში (ისლამის დატოვებისათვის სიკვდილით დასჯას იქ სულ 3 პროცენტი მიესალმებოდა).

იქამდე, სანამ კომპრომისი საზოგადოების რელიგიურ და სეკულარულ ნაწილებს შორის არ გახდება პოლიტიკური თანაარსებობის საფუძველი, ქვეყანა განწირულია იყოს „მესამე სამყაროს“ ნაწილი.

მომდევნო თავში საუბარია რეგიონისა და ქვეყნების პოლიტიკურ-გეოგრაფიულ პრობლემებზე, მათ შორის საზოგადოების ცვლილების შესაძლებლობაზეც.

თავი 12

რეგიონის პოლიტიკურ-გეოგრაფიული პრობლემები

ზესახელმწიფოთა ცვალებადი გეოპოლიტიკა

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ბედ-იღბალს XIX-XX საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანწილად გარეშე ძალა განსაზღვრავდა. ეს ვითარება გარკვეულად XXI საუკუნეშიც გრძელდება, თუმცა რეგიონის ქვეყნების ნაწილს უკვე დამოუკიდებლადაც შეუძლია ითამაშოს საკუთარი როლი პოლიტიკურ არენაზე და მსოფლიო პოლიტიკაზეც მოახდინოს გავლენა.

უკვე თვალნათლივ ჩანს ადგილობრივი „გეოპოლიტიკური პოლუსების" – *თურქეთისა* და *ირანის* – აღორძინება. უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა – *საუდის არაბეთი* – არცთუ უმნიშვნელო ძალაა. მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს ფლობს *ისრაელი* (მის შესახებ წიგნის მე-14-16 თავებში გვაქვს საუბარი). მაგრამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ყველა მთავრობას უხდებოდა და ბევრს ჯერაც უხდება ანგარიშის გაწევა სხვა რეგიონ(ებ)ში მდებარე ზესახელმწიფო(ებ)ის ინტერესებისათვის.

XIX საუკუნის დიდი პერიოდის განმავლობაში და XX საუკუნის პირველ დეკადებში რეგიონში ჰეგემონის როლს ასრულებდა *დიდი ბრიტანეთი*, რომელსაც მეტოქეობას ჯერ *რუსეთის იმპერია* უწევდა, ხოლო 1890-იანი წლებიდან პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე – *გერმანიის იმპერია*.

1918 წლიდან დაახლოებით სამი ათეული წელი *დიდი ბრიტანეთი* პრაქტიკულად მეტოქის გარეშე ბატონობდა *თითქმის* მთელ რეგიონში (თურქეთის გარდა; ირანში 1941-1946 წლებში ის გავლენას იყოფდა საბჭოთა კავშირთან; სირიასა და ლიბანში *საფრანგეთს* საკუთარი საგამგებლო „ნიშა" ჰქონდა).

როგორც თავის ყველა კოლონიურ სამფლობელოში, ბრიტანეთი ამ რეგიონშიც მინიმალური დანახარჯებითა და ძალის მინიმალური გამოყენებით აპირებდა ყოფნას [Hopwood, 2002, 116]. როდესაც ნათელი გახდა, რომ სამანდატო ტერიტორიებს ხარჯი მეტი მოაქვთ, ვიდრე ეკო-

ნომიკური და პოლიტიკური დივიდენდები, დიდმა ბრიტანეთმა ახლო აღმოსავლეთიდან წასვლა დაგეგმა და წავიდა კიდეც. უკანასკნელი ტერიტორიები, რომელთაც სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს ბრიტანეთისაგან მისი პროტექტორატები იყო ასზე მეტი წლის განმავლობაში – *ომანი, კატარი, ბაჰრეინი და შეთანხმებითი ომანის* შვიდი საშეიხო: ახლა შვიდივე მათგანი ერთ სახელმწიფოს ქმნის – ცნობილს *გაერთიანებული არაბული საამიროების* სახელით.

არაბი ნაციონალისტები ბრიტანეთს დიდ დანაშაულად უთვლიან, რომ მან დაანგრია არაბთა ერთიანობა, ხელი შეუწყო არაბული სამყაროს ხელოვნურ დანაწევრებას მრავალ სახელმწიფოდ. ეს ბრალდება ძირითადად სწორია.

მაგრამ, სხვა კუთხიდან თუ შევხედავთ, არაბეთის ნახევარკუნძულის მცირე ქვეყნების ამჟამინდელ მმართველ ელიტებს არავითარი შანსი (ალბათ, სიცოცხლისაც კი) არ ექნებოდათ, თუკი მათ ქვეყნებს *აბდალაზიზ ას-საუდი* შეიერთებდა. არაბული სამყაროს გაერთიანების მცდელობას მოჰყვებოდა დიდი სისხლისღვრა და პროცესში აუცილებლად ჩაერეოდნენ რეგიონსგარეშე ძალები. ბრიტანეთმა კი უსისხლოდ მიიყვანა დამოუკიდებლობასთან ბევრი არაბული ქვეყანა.

დიდი ბრიტანეთის რეგიონში ყოფნის პოზიტიურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რომ მან დაამკვიდრა ადმინისტრაციული მმართველობის წესები, რომელიც ბევრგან დღემდე შემორჩა. მეორე მხრივ, ინგლისური ტიპის დემოკრატიამ, რომელიც, მაგალითად, ინდოეთში დაინერგა, ისლამურ ახლო აღმოსავლეთში შესაბამისი ნიადაგი ვერ ჰპოვა (იხ. თავი 13).

ბრიტანული პოლიტიკა ყველაზე ორაზროვანი იყო პალესტინაში, რომლის საბოლოო პოლიტიკურ მოწყობაზე ლონდონმა ფაქტობრივად უარი განაცხადა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს საკითხი შეატოვა ადგილობრივ ელიტებს. მათ შორის უფრო ძლიერმა – *სიონისტურ-ებრაულმა ელიტამ* – აჯობა *პალესტინის არაბულ ელიტას* და პოლიტიკურ-ტერიტორიული მოწყობა თავის სასარგებლოდ ძალისმიერად განახორციელა (იხ. თავები 14-16).

იმ ფიასკოს შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა განიცადეს 1956 წლის *სუეცის კრიზისის* დროს, ამ ქვეყნებს აღარ უცდიათ დამოუკიდებელი ძალისმიერი პოლიტიკის გატარება რეგიონში.

1971 წელს ახლო აღმოსავლეთში საბოლოოდ დასრულდა თითქმის საუკუნენახევრიანი *Pax Britannica*[1]. ამის შემდეგ დიდი ბრიტანეთი, თუკი იგი მონაწილეობს რაიმე სამხედრო ოპერაციაში რეგიონში (მაგალითად, 1991 წელს – ქუვეითთან დაკავშირებით, 2003-2010 წლებში – ერაყში), ამას მხოლოდ ამერიკასთან თანამშრომლობით აკეთებს.

1. ტერმინი Pax Britannica შეიქმნა Pax Romana-ს („რომაული მშვიდობა", ანუ "მშვიდობა და წესრიგი რომის პირობებით") ანალოგიით.

XX საუკუნის შუა ხანებიდან ახლო აღმოსავლეთში „ჰეგემონის“ როლში დიდ ბრიტანეთს საკმაოდ უმტკივნეულოდ ჩაენაცვლა *ამერიკის შეერთებული შტატები*, რომლის ძირითადი მეტოქე გახდა *საბჭოთა კავშირი*.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ამ უკანასკნელის პოლიტიკაზე რეგიონში.

საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ კოდში მისი უშუალო მეზობლები, *თურქეთი* და *ირანი*, ტრადიციულად ითვლებოდნენ, სულ ცოტა, არამეგობრულ სახელმწიფოებად.

1952 წლიდან *თურქეთი ნატო-ს* წევრი და მისი სამხრეთ ფლანგის საყრდენი გახდა. ამდენად, საბჭოთა არმიის გენერალურ შტაბში თურქეთს პოტენციურ სამხედრო მოწინააღმდეგედ განიხილავდნენ. 1940-იანი წლების სტალინისეული მცდელობა საბჭოთა კავშირისათვის შემოეერთებინა თურქეთის ტერიტორიის ნაწილი და დაუფლებოდა შავი ზღვის სრუტეებს უშედეგოდ დასრულდა. 1953 წლიდან საბჭოთა კავშირმა სრუტეებზე პირდაპირი კონტროლის დამყარების მცდელობაზე უარი თქვა და შეეცადა მოეხდინა ურთიერთობის ნორმალიზაცია ანკარასთან. 1960-იანი წლების შუა ხანებიდან საბჭოთა-თურქული ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მართლაც უფრო ინტენსიური გახდა, მაგრამ პოლიტიკური დაძაბულობა კვლავაც იგრძნობოდა.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას *საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობაზე:* 1950-იანი წლების შუაგულამდე ის საკმაოდ მტრული იყო, მერე კი დაეფუძნა პრაგმატულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინტერესებს როგორც შაჰის პერიოდში (1979 წლამდე), ისე ისლამური რეპუბლიკის დროს. შაჰის პერიოდში კრემლი ითვალისწინებდა იმას, რომ ამერიკას ირანში მყარი პოზიცია ჰქონდა და არ უნდოდა დამატებით გაეძლიერებინა პროამერიკული ძალები რაიმე მკვეთრი მოქმედებით. ისლამური რევოლუციის შემდეგ კი საბჭოთა კავშირი/რუსეთი პრინციპში სარგებელს ნახულობს ირანისა და დასავლეთის მკვეთრი დაპირისპირებისაგან.

რაც შეეხება *არაბულ ქვეყნებს*, მათ მიმართ 1950-1960-იან წლებშიც კი საბჭოთა კავშირი ინერციით განაგრძობდა სტალინისდროინდელი „ანტიბრიტანული პოლიტიკის“ გატარებას. რუსი აღმოსავლეთმცოდნე, რომელმაც რეგიონში 30 წელზე მეტი იმუშავა, წერს:

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც საბჭოთა კავშირის 'მეგობარი' ხდებოდა დიდი ბრიტანეთის ნებისმიერი მტერი ახლო და შუა აღმოსავლეთში, ვინც გინდა ყოფილიყო იგი: ანტიბრიტანულად განწყობილი სიონისტები პალესტინაში, თუ შუასაუკუნეობრივი თეოკრატიული დესპოტია პატარა, შორეულ და ჩამორჩენილ იემენში“ [Васильев, 1993, 208].

ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებში *საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა ისეთი გამოკვეთილი ეკონომიკური ინტერესები*, რომლებმაც თავის დროზე რეგიონში მოიყვანა დიდი ბრიტანეთი (სატრანსპორტო კომუნი-

კაციების, შემდეგ, ნავთობის საბადოების კონტროლი) და ამერიკა (კონტროლი ნავთობის მოპოვებაზე).

მთლიანად ახლო აღმოსავლეთში *კომუნისტურ საბჭოთა კავშირს იდეოლოგიური მიზნები სულაც არ ამოძრავებდა.* როდესაც „ანტიიმპერიალისტური" დიქტატორული რეჟიმის მქონე რომელიმე ქვეყანაში, მაგალითად, 1958 წლიდან რესპუბლიკურ ერაყში, სასტიკად სდევნიდნენ ადგილობრივ კომუნისტებს, კრემლი ამჯობინებდა თვალი დაეხუჭა ამაზე. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ რეჟიმს ანტიამერიკული და ანტიბრიტანული პოლიტიკა გაეტარებინა.

საბჭოთა კავშირს რეგიონში უპირველესად გეოპოლიტიკური მიზნები ჰქონდა. იგი ცდილობდა დაესუსტებინა დასავლეთის „იმპერიალისტური" ქვეყნების პოზიცია და ადგილობრივი რეჟიმებისათვის სამხედრო და ეკონომიკური დახმარების გაწევის გზით ამ რეგიონში მოეპოვებინა *სამხედრო-პოლიტიკური საყრდენი* დასავლეთთან (ფაქტობრივად – აშშ-სთან) თავის გლობალურ კონფრონტაციაში. ასე მაგალითად, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩადგა ეგვიპტისა და ადენის ნავსადგურებში, როგორც კი ბრიტანელები იქიდან გავიდნენ.

საბჭოთა კავშირი საკმაოდ მნიშვნელოვან დიპლომატიურ და სამხედრო დახმარებას უწევდა *ისრაელის სახელმწიფოს* მისი შექმნის პირველ თვეებში (1948 წ.). მაგრამ კრემლის იმდროინდელი ბელადი, სტალინი, მალე მიხვდა, რომ ფუჭი იყო მისი იმედი, ახლო აღმოსავლეთში თავის სატელიტად ექცია ახალშექმნილი ებრაული სახელმწიფო. ამიტომ საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ისრაელთან ჯერ ნელთბილი გახდა, ხოლო 1967 წლიდან საერთოდ გაწყდა და მხოლოდ 1991 წელს აღდგა.

სამაგიეროდ, 1950-იანი წლების შუაგულიდან საბჭოთა კავშირმა დაიწყო აქტიური ჩართვა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში არაბული ქვეყნების მხარეს.

1956 წ. *სუეცის კრიზისის* ეგვიპტის სასარგებლოდ გადაწყვეტა საბჭოთა კავშირმა არაბულ ქვეყნებს მხოლოდ თავის დამსახურებად მიასაღა (რეალურად, ამაში დიდი როლი შეასრულა ამერიკის პრეზიდენტმა *აიზენჰაუერმაც*: იხ. ქვემოთ). იმ წელს საბჭოთა კავშირის პრესტიჟი არაბულ ქვეყნებში მანამდე არნახულ სიმაღლეზე ავიდა. კრემლმა დაიწყო *კაიროსათვის* უშუალო სამხედრო და ეკონომიკური დახმარების აღმოჩენა, რასაც მანამდე თავისი სატელიტის, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის, მეშვეობით აკეთებდა. ეგვიპტის არმია აღიჭურვა საბჭოთა ტანკებითა და ავიაციით; ეგვიპტელი ოფიცრები გაიწვრთნა საბჭოთა სამხედრო აკადემიებში. საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა *ასუანის მაღლივი კაშხალი და ჰიდროტექნიკური კომპლექსი, მეტალურგიული ქარხანა ხელუანში,* რომელიც სამხედრო დანიშნულების ფოლადს აწარმოებს და სხვ.

საბჭოთა კავშირი 1956 წლიდან ასევე ეხმარებოდა [ჩრდილოეთ]

იემენს, 1957 წლიდან – *სირიას*, 1959 წლიდან – *ერაყს*. 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოსკოვი დიდ ინტერესს ამუღავნებდა *სამხრეთ იემენის* მიმართ, რომლის ნავსადგური *ადენი* ერთი ხანობა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის საყრდენად იქცა.

რეგიონში, სადაც დაპირისპირება არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის სულ უფრო მძაფრდებოდა, საბჭოთა კავშირმა ფსონი დადო მხოლოდ არაბული ქვეყნების (თავდაპირველად, მხოლოდ ეგვიპტის) მხარდაჭერაზე.

1967 წელს, „*ექვსდღიანი ომის*" შემდეგ, საბჭოთა კავშირმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. ასეთი ცალმხრივი პოლიტიკით მან ფორმალური საბაბი მისცა ამერიკას, რომელიც მანამდე თითქოს დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებდა, აშკარად პროისრაელური გამხდარიყო.

სამი ათეული წლის განმავლობაში არაბული ქვეყნები და პალესტინელები თავიანთ მთავარ „მეგობარსა და იმედს" კრემლში ხედავდნენ. მაგრამ ისრაელის იგნორირებით ისრაელ-არაბულ კონფლიქტში საბჭოთა კავშირმა ნებაყოფლობით დათმო „სამართლიანი მედიატორის ნიშა", რომელიც ადვილად შეავსო ამერიკამ.

უკვე 1970-იან წლებში ისრაელის მოწინააღმდეგე ქვეყნებშიც კი, მათ შორის ადრე პროსაბჭოთა ეგვიპტეშიც კი, ამერიკულმა გავლენამ მკვეთრად დაჯაბნა საბჭოთა გავლენა.

რეალური მოკავშირე საბჭოთა კავშირს ახლო აღმოსავლეთში არ ჰყოლია. ეგვიპტეც კი, რომელსაც, განსაკუთრებით პრეზიდენტ *გამალ აბდელ ნასერის* დროს, 1950-60-იან წლებში, ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვთან, არ გამხდარა მისი ისეთივე სტრატეგიული მოკავშირე, როგორიც იყო და არის ისრაელი ვაშინგტონისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში *ორ ქვეყანას, აშშ-სა და ისრაელს, საერთო აქვს არა მარტო გეოპოლიტიკური ინტერესები, არამედ მსოფლმხედველობითი პარადიგმებიც.* საბჭოთა კავშირის ყველა კლიენტს – ადგილობრივ მმართველებს, კი მხოლოდ ტაქტიკური მიზნები ამოძრავებდათ – მიეღოთ დახმარება, რომლითაც თავის სამხედრო ძალას გაზრდიდნენ და ხელისუფლებას შეინარჩუნებდნენ.

1991 წლიდან საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის – *რუსეთის ფედერაციის* – პოლიტიკური გავლენა რეგიონში არ ასულა და ვერც ავა საბჭოთა კავშირის დროინდელ დონეზე. რუსეთს არა აქვს ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომ რეალური კონკურენცია გაუწიოს ამერიკას რეგიონში გავლენისათვის.

ადრეც და დღესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ეკონომიკური ან (სამხედრო-)პოლიტიკური მოტივაცია შეიძლება მისცეს ზესახელმწიფომ სხვა სუვერენულ სახელმწიფოს, რათა ის თავის „სტრატეგიულ პარტნიორად" აქციოს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეკო-

ნომიკური ინტერესებიც არაა საკმარისი პოლიტიკური ალიანსისათვის, თუ არ არსებობს საგარეოპოლიტიკურ ინტერესთა დამთხვევა.

რუსეთის ფედერაციამ წინა საუკუნის ბოლოს განაახლა ეკონომიკური თანამშრომლობა *ირანთან* (ძირითადად ბირთვული ენერგეტიკის განვითარებაში, სამხედრო სფეროში).

ბოლო წლებში გააქტიურდა რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა *სპარსეთის ყურის ქვეყნებში,* საიდანაც რუსეთს ინვესტიციების მოზიდვა უნდა.

თურქეთი რუსეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი გახდა: ბუნებრივი გაზით თურქეთის მთავარი მომმარაგებელი რუსეთია (თურქეთში მოხმარებული გაზის ორი მესამედი რუსულია). მეორე მხრივ, თურქეთისათვის რუსეთი არის თავისი სამომხმარებლო პროდუქციის გასაღების ძირითადი ბაზარი. თურქული სამშენებლო კომპანიები ძალიან აქტიურობენ რუსეთში. თურქეთის საზღვაო კურორტების კეთილდღეობა მნიშვნელოვანწილად რუსი ტურისტების მოზღვავებაზეა დამოკიდებული.

ამასთან, *თურქეთ-რუსეთის* მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე აზრის ერთგვაროვნების გარანტია არ არის: თურქეთს თავისუფლად შეუძლია გაატაროს სრულებით დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში და ატარებს კიდეც მას.

XX საუკუნის მიწურულს *რუსეთმა „გაიხსენა" თავისი თანასპონსორის როლი* ახლო აღმოსავლეთის, ანუ ისრაელ-პალესტინის, პრობლემის გადაჭრაში. როგორც რუსეთის ფედერაციის პირველი ელჩი ისრაელში *ალექსანდრ ბოვინი* წერდა: *„რუსეთის სტატუსი, როგორც სამშვიდობო პროცესის თანასპონსორისა, დიდი ხანია უბრალო ფორმალობად იქცა. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩვენ საკუთარი პრობლემებით ვიყავით დაკავებული და ჩამოვშორდით აქტიურ მონაწილეობას ახლო აღმოსავლეთის კრიზისის დარეგულირებაში. ჩვენ შეგვიძლია რჩევა მივცეთ, თუკი გვკითხავენ, მაგრამ გაგვიძნელდება ვაიძულოთ მხარეები, მიჰყვნენ ჩვენს რჩევას"* [http://news.bbc.co.uk//sarah. rainsford. bbc. moscow. April 10, 2002].

ბოვინის ამ წერილის შემდეგ განვლილ ათიოდე წელიწადში არაფერი შეცვლილა.

სერიოზული *ეკონომიკური ინტერესი* რეგიონში აქვს გაერთიანებულ ევროპას – *ევროპულ კავშირს,* რომელიც, ძირითადად აქედან მარაგდება ნავთობით; ევროკავშირი რეგიონის ქვეყნების უმეტესობისთვის ძირითადი ეკონომიკური პარტნიორია, სამრეწველო საქონლის მთავარი მიმწოდებელი. ევროკავშირი წამყვანი ფინანსური დონორია პალესტინის ადმინისტრაციისათვის.

ევროკავშირი, განსხვავებით ამერიკისაგან, ერთგვარად ცდილობდა პოლიტიკურ ურთიერთობათა ნორმალიზაციას ირანთან. კარგა ხანია დღის წესრიგში დგას *ევროპის კავშირში* თურქეთის მიღების საკითხი (იხ. ქვემოთ).

გეოპოლიტიკური აქტივობა ევროპის კავშირის მხრიდან რეგიონში დიდად არ იგრძნობა: შეუძლებელია *27 წევრ-სახელმწიფოს ერთნაირი პოლიტიკური ინტერესები ჰქონდეს სხვა 16 ქვეყნის მიმართ.*

მაგრამ გარკვეული კონსენსუსი არსებობს. ევროკავშირი ფორმალურად გამოდის, როგორც *„ერთი ხმა" ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად 2002 წელს შექმნილ „კვარტეტში", სადაც დანარჩენი წევრები არიან აშშ, რუსეთი და გაერო.* ნათელია, რომ „კვარტეტის" ოთხივე მონაწილეს განსხვავებული პოლიტიკური ინტერესები ექნება (გაეროს, როგორც ასეთის, ინტერესი ზოგადად მშვიდობის დამყარებაში მდგომარეობს). „კვარტეტი" ჩვეულებრივ კმაყოფილდება ხოლმე ლიტონი განცხადებებით.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სუბიექტები – ისრაელი და პალესტინა თავის მხარდამჭერ არაბულ ქვეყნებთან ერთად – *ევროკავშირის* როლს კონფლიქტის მოგვარებაში სხვადასხვა პოზიციიდან უყურებენ.

ისრაელს ევროკავშირი (განსაკუთრებით კი მისი წევრები *ბელგია, დანია, ნორვეგია, შვეცია,* სადაც ადამიანის უფლებების დაცვას სერიოზულად უდგებიან) *„პროარაბულად"* მიაჩნია და სრულებით არ ენდობა მას, მით უმეტეს, რომ ზემოხსენებული „კვარტეტი", ჩვეულებრივ, „შეშფოთებას გამოთქვამს" ხოლმე სწორედ ისრაელის ქმედებების მიმართ, მათ შორის პალესტინელების უფლებების დარღვევის გამო.

არაბული ქვეყნები, პირიქით, ამჯობინებენ ევროკავშირის როლის გაზრდას ზემოაღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში.

რეალურად ევროკავშირის პოლიტიკური როლი ამ რეგიონში ძალიან მოკრძალებულია.

საკმაოდ ახლო მომავლის საქმედ მეჩვენება რეგიონში ჩინეთის მკვეთრი გააქტიურება, უპირველესად, ეკონომიკურ სფეროში. ჩინეთი უკვე გახდა ახლო აღმოსავლეთის ნავთობის მთავარი მომხმარებელი. გამოთვლილია, რომ 2015 წლისათვის ჩინეთის ნავთობის მთელი იმპორტის 70 პროცენტი ამ რეგიონიდან შემოვა. ჩინეთი ერთ-ერთ პირველი სავაჭრო კონტრაგენტია რეგიონის ყველა ქვეყნისათვის: სავაჭრო დახლები სავსეა ჩინური საქონლით. ეკონომიკურ ინტერესებს კი აუცილებლად პოლიტიკური ინტერესებიც მოჰყვება თან.

ამერიკა ახლო აღმოსავლეთში: ნავთობი, ისრაელი და სხვა ქვეყნები

XX საუკუნის შუა წლებიდან ახლო აღმოსავლეთში ყველაზე გავლენიან რეგიონსგარეშე ქვეყნად გვევლინება ამერიკის შეერთებული შტატები. ის რჩება რეგიონის უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ მოთამაშედ, თუნდაც იმის გამო, რომ ამჟამად არა ჰყავს ღირსეული მეტოქე, ვინც მას აქ გავლენას შეეცილებოდა. მაგრამ მისი ავტორიტეტი XXI საუკუნის დასაწყისიდან შესუსტების ნიშნებს ამჟღავნებს, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის მხოლოდ ერთ-ერთია ერაყის ომი (იხ. ქვემოთ).

„ცივი ომის" პერიოდში, როდესაც უნივერსალურად ქცეული დაპირისპირება *„თეთრი სახლი კრემლის წინააღმდეგ"* მთელ მსოფლიოს მოიცავდა, ამერიკის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში განსაზღვრავდა სამი რამ – *ისრაელი, ნავთობი* და *კომუნიზმის შეჩერება* [Drysdale & Blake, 1985, 33-34].

1990-იანი წლების დამდეგიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დღის წესრიგიდან მოიხსნა „კომუნიზმის შეჩერების" მიზანი: ამერიკისათვის ის გულისხმობდა პროსაბჭოთა რეჟიმების დასუსტებას, რომლებიც, ჩვეულებრივ, არც იყო კომუნისტური (ათეისტურ კომუნისტურ იდეოლოგიას ისლამურ ქვეყნებში რეალური დასაყრდენი არ ჰქონია).

პრეზიდენტ *ჯორჯ ბუშის* (უმცრ.) დროიდან ამერიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სახელდება *რეგიონის დემოკრატიზაცია*, რასაც უფრო პროპაგანდისტული ელფერი დაჰკრავს.

ამერიკის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკას ახლა ძირითადად ორი ფაქტორი განსაზღვრავს: ესაა *სანავთობო ინტერესები* და ამერიკის *ებრაული ლობი.*

ამერიკის *სანავთობო ინტერესები* ძველი ფაქტორია. ამერიკული კომპანიები 1930-იანი წლებიდან ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ ნავთობის მოპოვებაში ახლო აღმოსავლეთში და უზარმაზარ მოგებასაც ნახულობდნენ. მაგრამ ამ კომპანიების როლი არაბულ ნავთობმწარმოებელ ქვეყნებში თანდათან შემცირდა: საბადოები ნაციონალიზებულია, გამოჩნდნენ სხვა ქვეყნების დიდი კომპანიები (იხ. თავი 2).

2010 წელს ამერიკის ნავთობის იმპორტის მხოლოდ 5,4 პროცენტი მოდიოდა საუდის არაბეთზე და 2,2 პროცენტი – ერაყზე, ახლო აღმოსავლეთის დანარჩენ ქვეყნებზე ჯამში – 3 პროცენტიც არა. ამ რეგიონიდან გაზის (LNG-ის სახით) შემოტანა ამერიკას აღარც სჭირდება: მას ჰყოფნის საკუთარი არაკონვენციური *შეილგაზი.* აშშ-ს უფრო იაფი უჯდება ნავთობისა და გაზის იმპორტი ახლომდებარე რეგიონებიდან: იმავე 2010 წელს კანადიდან შემოვიდა ამერიკაში ნავთობის მთელი იმპორტის

26 პროცენტი, მექსიკიდან – 15, ნიგერიიდან – 13, ვენესუელადან – 10.

ახლო აღმოსავლეთში ამერიკის *სანავთობო ინტერესები* იმპორტზე მეტად სხვა მიზეზებში ვლინდება, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, ამერიკისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვთ.

ვაშინგტონს არ შეუძლია არ მიიჩნიოს სახიფათოდ ახლო აღმოსავლეთის *რესურსების კონტროლის გადასვლა პოტენციური მეტოქის ხელში* (ეს შეიძლება გახდეს, მაგალითად, ჩინეთი). ის ინარჩუნებს რეგიონში თავის სამხედრო ყოფნას: მისი ბაზებია *ბაჰრეინში, ომანში, ქუვეითში, კატარში. ალ-უდეიდის საჰაერო ბაზაში (კატარი) თავმოყრილია ამ რეგიონში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების დიდი ნაწილი. მინა სალმანის ნავსადგურში (ბაჰრეინი) განლაგებულია ამერიკის მე-5 ფლოტის სამხედრო-საზღვაო ბაზა. იორდანიაში ამერიკელებმა ააშენეს მსოფლიო კლასის ცენტრი სპეცდანიშნულების რაზმების საწვრთნელად (King Abdullah II Special Operations Training Center > KASOTC)* [Smith, 2010].

ამერიკის ინტერესებშია, რომ *ნავთობი მხოლოდ დოლარებში იყიდებოდეს*. ბრიტანული ყოველკვირეული გაზეთი *The Observer* თავის სტატიაში იმოწმებდა საუდის არაბეთში ამერიკის ყოფილი ელჩის სიტყვებს აშშ კონგრესის კომიტეტში მოსმენისას ერაყში ომის დაწყებამდე (2003 წ.): *„ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რაც საუდიელებმა ისტორიულად გააკეთეს, ესაა მათი დაჟინება, რომ ნავთობით ვაჭრობა დოლარებში გაგრძელდეს. ამიტომაც ამერიკას შეუძლია ბეჭდოს ფული და იყიდოს ნავთობი. ამგვარ უპირატესობას არც ერთი სხვა ქვეყანა არ ფლობს"* [Faisal, 2003].

ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რაოდენ გაუფასურდებოდა ამერიკული დოლარი, რომელიც ახლა ტრილიონობითაა დაგროვილი სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში და ტრიალებს ამერიკის ფარგლებს გარეთ, თუკი ნავთობი სხვა ვალუტაზე(ც) გაიყიდება. XXI საუკუნის დამდეგს ერთიანი ევროპული ვალუტის, *ევროს*, გამოჩენამ ერთხანს მცირე პანიკა წარმოქმნა: ხომ არ ჩანაცვლებოდა *„პეტროევროები"*[1] *„პეტროდოლარებს"*? მართალია, ევროს კურსის მერყეობა, ეკონომიკური არასტაბილურობა მეტისმეტად დიდ და არაერთგვაროვან ევროზონაში ასეთ შესაძლებლობას თითქოს გამორიცხავს, მაგრამ ნავთობით ვაჭრობისას დოლარის ჩანაცვლების საკითხს ხანდახან აყენებდნენ ირანი და რუსეთი. ირანიდან, რუსეთიდან და ხანდახან ჩინეთიდანაც პერიოდულად მოისმის ხოლმე მსჯელობა *ახალი მსოფლიო ვალუტის* შექმნის საჭიროების შესახებ. მაგრამ საუდის არაბეთი, და მასთან ერთად სპარსეთის ყურის ყველა არაბული ქვეყანა, მტკიცედ იცავს ერთგულებას დოლარისადმი, რაც აიხსნება არა მარტო ეკონომიკური, არამედ შიდაპოლიტიკური მოსაზრებითაც: ამერიკა ლმობიერებას იჩენს

1. Petrol ინგლისურად „ბენზინია".

ამ დესპოტური მონარქიების მიმართ – *დემოკრატიზაციის* მოთხოვნა მსუბუქ ფორმაში ხდება!

ნახევარ საუკუნეზე მეტია ამერიკის გეოპოლიტიკურ კოდში ჩადებულია *ისრაელის უსაფრთხოების სრული დაცვა*. ამას ვაშინგტონის ყველა ადმინისტრაციას დაჟინებით შეახსენებს ხოლმე *ამერიკის ებრაული ლობი*.

მხედველობაშია მისაღები, რომ შეერთებული შტატები იმიგრანტთა ქვეყანაა. აშშ-ის მოქალაქეთა ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი ცდილობს, და თუ კარგადაა ორგანიზებული, ახერხებს კიდეც, მოახდინოს გავლენა თავისი „ახალი სამშობლოს" საგარეო პოლიტიკაზე თავისი „ძველი სამშობლოს" სასარგებლოდ (ბრჭყალები შეგნებულად გამოვიყენე, რადგან *სამშობლო მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს*). ასეთ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე წარმატებული ამერიკის ებრაული თემია.

შეერთებულ შტატებში იმდენივე ებრაელი ცხოვრობს, რამდენიც ისრაელში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამერიკელი ებრაელების საგრძნობი ნაწილი შეძლებულია: მათი 18 პროცენტის ქონების ღირებულება მილიონ დოლარს აღემატება. 2010 წელს გაზეთმა „Jerusalem Post"-მა გამოაქვეყნა 50 ებრაელი მილიარდერის სია (მათ შორის „უღარიბესი" სულ რაღაც 3,6 მილიარდს ფლობდა; დანარჩენი მილიარდერებისათვის, რომელთა რაოდენობა ორი-სამი ასეულია, გაზეთს ადგილი არ ეყო). ჯამში ამ 50 ადამიანს 358 მილიარდი დოლარის ქონება ჰქონდა. მათი უმრავლესობა შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა [JP, September 13, 2010].

მრავალი ამერიკელი ებრაელის ქველმოქმედება ხმარდება უშუალოდ ისრაელის დახმარებას სხვადასხვა ფონდებში შენატანების სახით. მათ აგრეთვე ლეგალურად *შეუძლიათ ამერიკელი პოლიტიკოსების საარჩევნო კამპანიის საგრძნობი დაფინანსება*: ეს ბევრ რამეს განმარტავს.

ინგლისური ჟურნალი წერდა: *„ეიპაკი[1] ნამდვილი ლეგენდაა ამერიკელ ლობისტებს შორის; ის ფენომენალურად მოქმედებს, როდესაც საქმე ეხება სენატორების დარაზმვას, ისრაელის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის ორკესტრირებას და გავლენიანი პოლიტიკოსების გაგზავნას ისრაელში... ებრაელები მარტო არ არიან თავიანთი ეთნიკური ინტერესების ლობირებისას: ამერიკაში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებიც ცდილობენ იგივე გააკეთონ (ცნობილია გავლენიანი სომხური ლობი). ამერიკელი ებრაელები მარტო არ არიან არც იმაში, რომ ხანდახან ეთნიკურ ინტერესებს ამერიკის ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებენ.*

1. *ეიპაკი* (AIPAC) არის „ამერიკა-ისრაელის საზოგადოებრივი მოქმედების კომიტეტის" (The American-Israeli Public Action Committee) აბრევიატურა. კომიტეტი აერთიანებს ყველაზე გავლენიან და მდიდარ ამერიკელ ებრაელებს. ამერიკის ყველა პრეზიდენტი და სენატორების უმრავლესობა აუცილებლად მიიჩნევს მის ყოველწლიურ შეხვედრაზე მისვლას და ისრაელის მიმართ კეთილგანწყობილი სიტყვით გამოსვლას.

სხვებიც ცდილობენ იმავეს გაკეთებას: მაგალითად, სომხურმა ლობიმ კინალამ დაუპირისპირა აშშ თავის უმნიშვნელოვანეს მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთში, თურქეთს, როდესაც თითქმის მიაღწია სომხების გენოციდის აღიარებას ამერიკის კონგრესის მიერ.

მაგრამ ებრაული ლობი მართლაც უჩვეულოა მრავალი თვალსაზრისით. ის საშუალებას აძლევს ებრაელებს, რომლებიც ამერიკის მოსახლეობის 2 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ, არაპროპორციულად დიდი გავლენა იქონიონ ქვეყნის პოლიტიკაზე. ებრაული ლობი, სხვებისაგან განსხვავებით, მძაფრადაა ფოკუსირებული საგარეო პოლიტიკაზე და, განსაკუთრებით, ისრაელისათვის სამხედრო დახმარების მიწოდებაზე. ამ ლობის უამრავი მოკავშირე გააჩნია ამერიკის მასმედიასა და პოლიტიკაში" [The Economist, April 6, 2002, 47].

1970-იანი წლებიდან აშშ-ის დახმარება ისრაელისათვის წლიურად საშუალოდ სამ მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, რომელშიც სამხედრო და ეკონომიკური დახმარების წილი თანაბარი იყო. 2007 წლიდან კონგრესმა შეუწყვიტა ეკონომიკური დახმარება ისრაელს, რომელიც განვითარებულ ქვეყნად იქცა, და სამ მილიარდამდე გაუზარდა სამხედრო დახმარება (აქედან სამი მეოთხედი ამერიკაშივე უნდა დაიხარჯოს). 40-ზე წელზე მეტია ისრაელი პირველ ადგილზეა ამერიკული დახმარების სიაში.

ამ დახმარებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ პატარა ისრაელი სამხედრო გიგანტად იქცა. 1967 წელს ისრაელის თავდაცვის ხარჯები ეგვიპტის, სირიის, იორდანიისა და ერაყის ერთობლივი სამხედრო ხარჯების ნახევარზე ნაკლებს შეადგენდა (თუმცა ამას არ შეუშლია ხელი ისრაელისათვის იმავე წელს დაემარცხებინა არაბული ქვეყნების ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედი კოალიცია). 2002 წელს კი ისრაელის თავდაცვითი ხარჯები 30 პროცენტით აღემატებოდა იმავე ქვეყნების ჯამურ მაჩვენებელს [ibid.].

აშშ დიპლომატიურადაც ეხმარება ისრაელს: XXI საუკუნის დასაწყისამდე გაეროს უშიშროების საბჭოში ამერიკამ 76-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება, ძირითადად, ისრაელის წინააღმდეგ მიღებული რეზოლუციების დასაბლოკად [IHT, March 11, 2002].

არაბულ ქვეყნებში იქმნება აზრი, რომ შეერთებული შტატები მიკერძოებულია ისრაელის მიმართ და გასაკვირი არაა, რომ ამერიკის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ყველაზე მძაფრი კრიტიკა არაბულ ქვეყნებში ისმის.

კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტის პოლიტიკური და სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორმა *აბდელ მონემ საიდმა* ჩამოაყალიბა ამერიკის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის შეფასების არაბული ვერსია: *„ამერიკა ყოფს ახლო აღმოსავლეთს ცალ-ცალკე პრობლემად და თითოეულს პატარა ყუთში ათავსებს: ირანი, ერაყი, პალესტინელები და*

ისრაელი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი. არაბისათვის კი ყველა ეს პრობლემა ურთიერთდაკავშირებულია. შეერთებულმა შტატებმა უნდა მოახდინოს კონცენტრირება პრობლემაზე, რომლის გადაჭრაც ყველა სხვა პრობლემას მოაგვარებს... ესაა პალესტინელთა საკითხი, რომლის მოგვარებას აქვს საუკეთესო პოტენციალი, დადებითი გავლენა მოახდინოს რეგიონზე და მის გარეთ" [Said, 2003].

ვაშინგტონს უხდება გაითვალისწინოს ძალიან განსხვავებული განწყობები რეგიონში და შეეცადოს, მეტ-ნაკლებად თანაბარი მიდგომა იქონიოს რეგიონის პრობლემების მიმართ, რომელთა შორის უმთავრესია *ისრაელ-პალესტინის ეთნოტერიტორიული კონფლიქტი.*

რას აკეთებს ამერიკა ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად?

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ბოლო პერიოდის ორიოდე ფაქტი, რომელთაც წინ უძღოდა ამერიკული გეოპოლიტიკის ერთ-ერთი პატრიარქის გამოსვლა.

2010 წლის დასაწყისში, ერთი წლით ადრე ამერიკის პრეზიდენტად არჩეულ *ბარაკ ობამას* გასაგონად, *ზბიგნიევ ბჟეზინსკი* წერდა: *„მოდაში არაა ვილაპარაკოთ ასე, მაგრამ აშკარად სწორია, რომ – დამსახურებულად თუ არა – ამერიკის მიმართ მტრული დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთსა და მთლიანად ისლამურ სამყაროში განპირობებულია იმ სისხლისღვრითა და ტანჯვით, რომელიც ამ* [ისრაელ-პალესტინის] *გაუთავებელმა კონფლიქტმა წარმოქმნა. ოსამა ბინ ლადენის სათავისო გამართლება „9/11 "-სათვის იმის შეხსენებაა, რომ შეერთებული შტატები თვითონაც არის ისრაელ-პალესტინის თავსატეხის მსხვერპლი.*

ახლა, ისრაელის მიერ დასავლეთ ნაპირის 40-ზე მეტი წლის განმავლობაში ოკუპაციისა და სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებიდან 30 წლის შემდეგ, სავსებით ნათელია, რომ თუკი მათ პირისპირ დავტოვებთ, ვერც ისრაელელები და ვერც პალესტინელები ვერ მოაგვარებენ კონფლიქტს.

ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პალესტინელები ძალიან დანაწევრებულები და ძალიან სუსტები არიან იმისათვის, რომ სამშვიდობო პროცესი წინ წასწიონ, ხოლო ისრაელელები ძალიან დანაწევრებულები და ძალიან ძლიერები იმისათვის, რომ იგივე გააკეთონ. ამის გამო საჭიროა მტკიცე ინიციატივა გარედან, რომ ორ მხარეს შორის სერიოზული მოლაპარაკება დაიწყოს. და ეს ინიციატივა მხოლოდ შეერთებული შტატებისაგან შეიძლება მოდიოდეს" [Brzezinski, 2010].

ბჟეზინსკის შეგონება გონივრული ჩანს, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტ(ებ)ის შესაძლებლობაა შეზღუდული.

2011 წლის 18 მაისს პრეზიდენტმა *ბარაკ ობამამ* განაცხადა, რომ *„ისრაელისა და პალესტინის საზღვრები უნდა დაეფუძნოს 1967 წლის ხაზს, ერთმანეთთან შეთანხმებული* [ტერიტორიული] *გაცვლით"* [Barack Obama, 2011].

მას ახალი არაფერი უთქვამს. მისი წინამორბედებიც აკეთებდნენ ხოლმე მსგავს განცხადებებს. 2002 წ. 24 ივნისს პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა* (უმცრ.) თქვა, რომ *„პერმანენტული ოკუპაცია საფრთხეს უქმნის ისრაელის თვითმყოფადობასა და დემოკრატიას... ისრაელის საახალშენო საქმიანობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა შეწყდეს“* [Bush, 2002].

ამერიკის ყველა პრეზიდენტი კმაყოფილდება ხოლმე ასეთი რიტორიკული გამოსვლით, რაც ისრაელის მთავრობებზე ზემოქმედებას არც ახდენს: ისინი აგრძელებენ „დასავლეთ ნაპირზე“ და აღმოსავლეთ იერუსალიმში ებრაული ახალშენების გამალებულ მშენებლობას (იხ. თავი 16). არადა, ამერიკის პრეზიდენტების მოწოდებები სწორედ მათ ეხება.

როდესაც 2011 წლის მაისში *ბარაკ ობამამ* თითქოს დაითანხმა პალესტინელი რადიკალები უარი ეთქვათ პრეტენზიაზე მთელი პალესტინის მიმართ და მოუწოდა ისრაელს დათანხმებულიყო პალესტინის არაბებისათვის გადაეცა „ყოფილი სამანდატო პალესტინის“ 22 პროცენტი, ტერიტორიების ურთიერთშეთანხმებული გაცვლითურთ (ეს საკითხი განხილულია მე-16 თავში), მან, რბილად რომ ვთქვათ, *კატეგორიული* უარი მოისმინა ისრაელის პრემიერ-მინისტრ *ბინიამინ ნეთანიაჰუსაგან.* გავლენიან ამერიკულ გაზეთებში კი მაშინვე გაჩნდა მასალები რიტორიკული კითხვით – ხომ არ შეამცირებს ამერიკის ებრაული ლობი ობამას მხარდაჭერას 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას?

ამერიკის არც ერთ ადმინისტრაციას, არც ერთ სენატორსა და კონგრესმენს არ შეუძლია არ გაიხედოს წინ – მომდევნო არჩევნებისაკენ!

ეს ნიშნავს, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხი იმავე ჩიხში დარჩება, რომელშიც 45 წლის წინ შევიდა.

ამერიკაში არც უარყოფენ, რომ *ისრაელის უსაფრთხოება რჩება ამერიკის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის უმთავრეს მიზნად,* თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აშშ-ს არა აქვს სხვა გეოპოლიტიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთში.

მნიშვნელოვან ამერიკულ დახმარებას იღებენ *ერაყი* და *ეგვიპტე* (წლიურად 2-2,5 მილიარდი დოლარი). ამერიკულ იარაღს ისრაელის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე დიდი ოდენობით იძენს *საუდის არაბეთი.*

ამერიკული პოლიტიკა რეგიონის ქვეყნების მიმართ ერთგვაროვანი არაა.

„ცივი ომის“ პერიოდში *თურქეთი* ამერიკის მთავარი პარტნიორი იყო ნატოს სამხრეთ ფლანგზე. ვაშინგტონი ახლაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასთან კარგ ურთიერთობას, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ერაყში გახანგრძლივებული კამპანიისას ამერიკის არმიის უზრუნველყოფა ხდებოდა თურქეთის სახმელეთო და საჰაერო სივრცის გამოყენებით, ხოლო ირანთან ამერიკის ურთიერთობა უაღრესად გართულებულია. როგორც ვაშინგტონი, ისე ანკარა, ჩვეულებრივ ხაზს

უსვამს ხოლმე ტრადიციულ სტრატეგიულ პარტნიორობას. თურქეთის შესახებ მომდევნო ქვეთავში უფრო დეტალურადაა განხილული *თურქეთ-ამერიკის ურთიერთობაში ერთგვარი გაცივების ძირითადი მიზეზები* – განსხვავებული მიდგომები ისრაელ-პალესტინისა და ქურთების პრობლემებთან, ამერიკის ორაზროვანი დამოკიდებულება „სომეხთა გენოციდის" აღიარებასთან დაკავშირებით.

მონარქიულ ირანთან ამერიკას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა შაჰი სულაც არ იყო „დემოკრატიის შუქურა", რომელსაც ამერიკა მხარს უჭერს ხოლმე. ისლამური რევოლუციის (1979 წ.) შემდეგ ახალგაზრდა მუსლიმი ექსტრემისტების დიდმა ჯგუფმა ხელისუფლების წაყრუებით ხელში ჩაიგდო ამერიკის საელჩო თეირანში და 444 დღის განმავლობაში მძევლად ჰყავდა აყვანილი 52 ამერიკელი დიპლომატი, რაც საერთაშორისო სამართლის შეუწყნარებელი დარღვევაა. 1980 წლის 7 აპრილს ამერიკამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა *ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან*, რომელიც 30 წლის შემდეგაც არაა აღდგენილი. 1995 წლიდან ვაშინგტონმა *ეკონომიკური სანქციები* დაუწესა ირანს (ისინი მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე: სენატს შეუძლია სანქციები გააგრძელოს, რასაც, ალბათ, გააკეთებს კიდეც).

2002 წელს ამერიკის პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა* (უმცრ.) ირანი „*ბოროტების ღერძის*" შემადგენელ ნაწილად დაასახელა. ირანის ბირთვული პროგრამა დღემდე რჩება შეშფოთების საგნად ვაშინგტონში, იერუსალიმში, პარიზსა თუ ლონდონში. *თეორიულად* დღემდე არსებობს რეგიონისა და მსოფლიოსათვის პოტენციურად უამრავი გართულების მომტანი ირანის მიმართ *სამხედრო სანქციების* გატარების საფრთხეც, რაც, იმედი ვიქონიოთ, *პრაქტიკაში* არ განხორციელდება, თუმცა ექსპერტები მაინც განიხილავენ შესაძლებლობას, რომ ასეთ კონფლიქტში აშშ შეიძლება ჩაითრიოს ისრაელის სამხედრო აქციამ ირანის წინააღმდეგ, თუკი მისთვის ნათელი გახდება, რომ ირანი ბირთვული ქვეყანა ხდება [Rogers, 2010].

ეგვიპტე 1970-იანი წლების ბოლოდან რჩებოდა ამერიკის ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენად ახლო აღმოსავლეთში. 1979 წელს კაირომ ვაშინგტონის აქტიური მხარდაჭერით დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან და საზღვარი მასთან უხიფათო გახადა. ეგვიპტე დღემდე არის დიდი ამერიკული დახმარების მიმღები ქვეყანა. მაგრამ სახალხო რევოლუციის შედეგად 2011 წლის თებერვალში პრეზიდენტ *მუბარაქის* გადაყენებამ ერთგვარი პოლიტიკური ვაკუუმი წარმოქმნა აშშ-ეგვიპტის ურთიერთობაში. ძნელი სათქმელია, რა კონკრეტულ კურსს დაადგება დემოკრატიულად არჩეული ეგვიპტის ხელმძღვანელობა, თუმცა პრაგმატული გათვლა მასაც, ალბათ, უკარნახებს აშშ-სთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების საჭიროებას.

სირიის მიმართ ამერიკის დამოკიდებულება საკმაოდ ცვალება-

დია. ბოლო 40 წლის განმავლობაში, 1970 წლიდან, მამაშვილ *ჰაფიზ და ბაშარ ალ-ასადების* რეჟიმის მიმართ ამერიკას ჰქონდა ხან ერთგვარი კეთილგანწყობისა და ხანაც ეკონომიკური სანქციების პერიოდები. ამის ძირითადი მიზეზია *დამასკოს* საგარეო პოლიტიკა – ურთიერთობა საბჭოთა კავშირ/რუსეთთან, ირანთან, ლიბანთან, ერაყთან, რომლებთანაც ამერიკას ცვალებადი პოლიტიკა ჰქონდა და, განსაკუთრებით, ისრაელთან, რომელთანაც ამერიკას *უცვლელად კარგი* დამოკიდებულება აქვს, ხოლო სირიას, რომელსაც ისრაელმა 1967 წელს წაართვა გოლანის მაღლობი – *უცვლელად ცუდი*. დამასკო თავშესაფარს აძლევს რადიკალური პალესტინური ორგანიზაციის *ჰამას*-ის ხელმძღვანელობას; ის ეხმარებოდა ლიბანში მოქმედ შიიტურ გასამხედროებულ პარტია *ჰეზბოლა*-ს. ორივე ამ ორგანიზაციას ვაშინგტონში ტერორისტულად მიიჩნევენ. 2005-2010 წლებში აშშ-ს ელჩიც კი არ ჰყავდა დამასკოში. 2011 წლის სახალხო რევოლუციის პირველ თვენახევარს ამერიკას გაურკვეველი პოზიცია ეჭირა სირიის რეჟიმის მიმართ. იყო აზრი, რომ ვაშინგტონი მოქმედებდა ისე, რომ არ დაეზარალებინა ისრაელის ინტერესები, რომელსაც *ალ-ასადის რეჟიმის* სახით დამასკოში არსებული „შეჩვეული ჭირი" ურჩევნია „შეუჩვეველს" – გაურკვეველ ოპოზიციას. ვითარება იცვლება. სირიის რეჟიმის საკითხი თვით სირიელების გადასაწყვეტია, საერთაშორისო საზოგადოებაც არ აპირებს გულხელდაკრეფილი დარჩეს რეჟიმის მიერ სახალხო გამოსვლების სასტიკი მეთოდებით ჩახშობის მიმართ.

ერაყში სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმი სავსებით მისაღები იყო ვაშინგტონისათვის მანამ, სანამ ის 1990 წელს ქუვეითს დაესხმოდა თავს. *ამის შემდეგ* დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. 2003 წელს ამერიკა-ბრიტანეთის კოალიციამ სამხედრო ოპერაცია განახორციელა ერაყში (იხ. ქვეთავი „ერაყი ომებში"). ამერიკის დიდ საომარ დანახარჯებს მოჰყვა დიდი ხარჯები ერაყის აღდგენაზე. 2012 წლის დამდეგიდან ამერიკის სამხედრო შენაერთები ერაყში აღარ უნდა დარჩნენ. ერაყის მომდევნო მთავრობების პოლიტიკა ამერიკის მიმართ დეკლარაციულ დონეზე, შეიძლება სულაც არ იყოს მეგობრული, მაგრამ პრაქტიკულად მათ დასჭირდებათ ამერიკის პოლიტიკური დახმარება რეგიონის რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში.

საუდის არაბეთის აბსოლუტური მონარქია, სადაც ვაჰაბიტური ისლამი სახელმწიფო რელიგიაა და შარიათის მკაცრ ნორმებს იცავენ, სავსებით აკმაყოფილებს ვაშინგტონის ყველა ადმინისტრაციას, რამდენადაც ეს სამეფო არის მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მთავარი მიმწოდებელი და, ერთდროულად, ირანის ერთგვარი საპირწონე.

სპარსეთის ყურის პატარა, ნავთობით მდიდარი *ქვეყნები ძირითადად ნედლეულის წყაროა.*

არაბული ლობი ამერიკაში არცთუ კარგადაა ორგანიზებული: თუკი

ამ ლობის განვიხილავთ როგორც ერთიანს, მან ახლო აღმოსავლეთის 12 ქვეყნის განსხვავებული ინტერესები უნდა დაიცვას. სინამდვილეში, ყველა არაბულ ქვეყანას საკუთარი ლობისტები ჰყავს. მათგან საკმაოდ გავლენიანია *საუდის არაბეთის ლობი*. ამერიკელი ავტორი აღწერს, თუ როგორ „*ზრუნავენ საუდიელები თავიანთ* [პოლიტიკაში] გავლენიან *მეგობრებზე, როდესაც ისინი სამსახურს ტოვებენ*" [Pipes, 2002]. საკმაოდ სიმპტომატურია, რომ მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე ტერორისტული თავდასხმის ჩამდენთა უმრავლესობა საუდის არაბეთის მოქალაქე იყო, ურთიერთობა ამ ქვეყანასა და ამერიკას შორის, თუნდაც ერთგვარად გაცივებული, იმავე დიპლომატიურ დონეზე იქნა შენარჩუნებული, როგორც ადრე იყო.

ტერორიზმთან და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლა, დემოკრატიული გარდაქმნების ჩატარება ამერიკამ თავისი ახლოაღმოსავლური პოლიტიკის ქვაკუთხედად გამოაცხადა *ჯორჯ ბუშის* (უმცრ.) დროიდან. მაგრამ რეალურად ეს გამოიხატა ერაყის „დემოკრატიზაციაში", რაც ამერიკას ძალიან ძვირად დაუჯდა როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე პრესტიჟის დაკარგვის კუთხით.

2009 წლის 4 ივნისს ამერიკის ახალარჩეული პრეზიდენტი *ბარაკ ობამა გამოვიდა საგულისხმო სიტყვით კაიროში*, სადაც მან მოუწოდა ახალი დასაწყისისაკენ შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს მუსლიმების ურთიერთობაში, საჭიროდ მიიჩნია საერთო ინტერესების გამონახვა, ურთიერთპატივისცემა. მან ოდნავაც არ დააყენა ეჭვქვეშ ისრაელის არსებობის უფლება და მისთვის ამერიკის მხარდაჭერის გაგრძელება, მაგრამ პალესტინელებსაც თანაუგრძნო და თქვა: „*ამერიკა არ შეაქცევს ზურგს პალესტინელთა კანონიერ მისწრაფებას, იქონიონ საკუთარი ღირსება, პერსპექტივა და საკუთარი ქვეყანა... ერთადერთი გადაწყვეტა ორივე მხარის მისწრაფებისათვის არის ორი სახელმწიფო, სადაც ისრაელელებსა და პალესტინელებს შეეძლებათ იცხოვრონ მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობებში*" [Obama's Speech, 2009].

არაბულ სამყაროში ობამას გამოსვლას იმ დროს ძალიან პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. არაბებს გაუჩნდათ იმედი, რომ ობამა რაღაცას იღონებდა პალესტინის პრობლემის მოსაგვარებლად. კაიროში წარმოთქმული სიტყვის შემდეგ განვლილი 2-3 წლის განმავლობაში არაბები დარწმუნდნენ, რომ პრობლემის გადაწყვეტა ამერიკის ძალებს აღემატება. ამან იმედგაცრუება გამოიწვია მათში. ერაყიდან ამერიკული არმიის გამოსვლას არაბები მიესალმებიან. მაგრამ ამერიკას ესეც სისუსტედ ჩაეთვლება.

შეერთებული შტატების, როგორც ახლო აღმოსავლეთში დომინანტი გარეშე ძალის როლი ბოლო პერიოდში თითქოს ერთგვარად ფერმკრთალდება. მაგრამ რეალური მეტოქე ამერიკას ამ რეგიონში ჯერჯერობით არა ჰყავს.

თურქეთი: გეოპოლიტიკური ძვრიდან რეგიონული ლიდერის როლისაკენ

მეორე მსოფლიო ომმა სერიოზული გავლენა მოახდინა *თურქეთის გეოპოლიტიკაზე*. მთელი ექვსი წელი მის დიპლომატიას უხდებოდა ლავირება და სხვადასხვა მხრიდან მომდინარე საფრთხისათვის თავის არიდება, რომ ქვეყანა არ ჩაეთრიათ მისთვის საბედისწერო ომში.

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის (1939 წლის 23 აგვისტო) დადების შემდეგ, რომლითაც საბჭოთა კავშირი და გერმანია ცენტრალურ ევროპას იყოფდნენ, საბჭოთა კავშირი თავისი იმდროინდელი პარტნიორის, ნაცისტური გერმანიის, წინაშე აყენებდა საკითხს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში საბჭოთა სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნის შესახებ [СССР-Германия, 2, 1989, 132-133]. .

თურქეთს რუსულთან ერთად გერმანული ექსპანსიონიზმიც აშინებდა და ცდილობდა ეპოვა საიმედო გარანტი თავისი ტერიტორიული ხელშეუხებლობისათვის.

1939 წლის 19 ოქტომბერს, როდესაც მსოფლიო ომი უკვე დაწყებული იყო, ანკარაში გაფორმდა *ანგლო-ფრანკო-თურქული ხელშეკრულება*, ფაქტობრივად სამხედრო კავშირი, რომელიც გულისხმობდა თურქეთისათვის დახმარების აღმოჩენას მის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების შემთხვევაში, თურქეთი კი უნდა დახმარებოდა მოკავშირეებს, თუ რომელიმე მესამე ევროპული სახელმწიფო ხმელთაშუაზღვის რეგიონში წამოიწყებდა აგრესიას, რის შედეგადაც ბრიტანეთი და საფრანგეთი ომში იქნებოდა ჩართული. ხელშეკრულებაზე თანდართულ მეორე ოქმში აღნიშნული იყო, რომ *თურქეთის მიერ აღებული ვალდებულებები ვერ აიძულებენ მას იმოქმედოს ისე, რომ შედეგი იყოს მისი* [თურქეთის] *ჩართვა საბჭოთა კავშირთან შეიარაღებულ კონფლიქტში* [ДС, II, 1985, 74]. მიუხედავად იმისა, რომ 1940 წლიდან ომი გავრცელდა ხმელთაშუაზღვისპირეთშიც, თურქეთის მთავრობამ მოახერხა თავი აერიდებინა ომში ჩაბმისათვის.

1941 წლის 18 ივნისს, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე ოთხი დღით ადრე ანკარაში ხელმოწერილ იქნა *გერმანია-თურქეთის ხელშეკრულება „ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და მეგობრობის შესახებ“*.

თურქეთის დიპლომატიის დიდი წარმატება იყო მსოფლიო ომის განმავლობაში ინგლისთან „მოკავშირეობისა“ და გერმანიასთან „მეგობრობის“ პირობებში ფაქტობრივი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება. თურქეთმა სიმბოლურად გამოუცხადა ომი გერმანიასა და იაპონიას მხოლოდ 1945 წლის 23 თებერვალს, როდესაც ომის შედეგი უკვე ნათელი იყო. რეალური მონაწილეობა საომარ მოქმედებებში მას არ მიუღია.

მაგრამ ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე ომში ჩაბმის ფორმალურმა აქტმა თურქეთს მოუტანა მოწვევა *სან-ფრანცისკოს კონფერენცია ზე* (1945 წ.) და შესაბამისად – *გაეროს* ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრის სტატუსი.

იმავე აქტის წყალობით თურქეთმა, როგორც „ომის მონაწილემ" ამერიკისაგან მიიღო *„მარშალის გეგმით"* გათვალისწინებული დიდი ეკონომიკური დახმარება და, რაც მთავარია, ამერიკის პოლიტიკური მხარდაჭერა, რითაც ქვეყანამ თავი გადაირჩინა თითქმის გარდაუვალი სამხედრო შეტაკებისგან საბჭოთა კავშირთან.

აღსანიშნავია, რომ 1939 წელს თურქეთი ამაოდ ცდილობდა საბჭოთა კავშირთან (რომელთანაც ურთიერთობის გაფუჭებას ის ძალიან ერიდებოდა), დაედო *ხელშეკრულება ტერიტორიული ხელშეუხებლობის შესახებ*, იმის ანალოგი, რომელიც მან 1941 წელს გერმანიასთან გააფორმა.

1941-42 წლებში მოსკოვს, რომელიც იმ დროს გერმანიასთან მარცხს განიცდიდა, ეშინოდა, რომ თურქეთი შეიძლება გერმანიის მხარეს გამოსულიყო. იმ დროს თურქეთში მართლაც იგრძნობოდა პანთურქისტული წრეების აქტივიზაცია [Sela, 1999, 641], მისი არმია მობილიზებული იყო.

1944-46 წლების პოლიტიკური მოვლენები კი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა სტრატეგია თურქეთის მიმართ უკვე შეტევით პოლიტიკას გულისხმობდა.

1945 წლის 19 მარტს კრემლმა აღარ გააგრძელა *თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ* 1925 წლის 17 დეკემბრის საბჭოთა-თურქული *ხელშეკრულება*. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა (მინისტრმა) მოლოტოვმა 1945 წლის 7 ივნისს წამოჭრა 1921 წლის მოსკოვის შეთანხმებით თურქეთისათვის გადაცემული ტერიტორიების (ყარსი, ართვინი, არტაანი) უკან დაბრუნებისა და შავი ზღვის სრუტეებში საბჭოთა სამხედრო ბაზების შექმნის საკითხები. საბჭოთა კავშირში მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი: 1945 წლის ბოლოდან და მთელი 1946 წლის განმავლობაში საბჭოთა პროპაგანდა სომხებსა და ქართველებს კვებავდა ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების ფუჭი ოცნებებით, რაც მოასწავებდა ამ ხალხების ჩათრევას ძალიან სახიფათო გეოპოლიტიკურ თამაშში.

სტალინმა ვერ დაიწყო შეტევა თურქეთზე უფრო იმის გამო, რომ აშშ-ს უკვე ჰქონდა ატომური ბომბი, საბჭოთა კავშირს კი ის 1949 წლამდე არ ჰქონდა. საბჭოთა არმიის გენშტაბში, როგორც ჩანს, გამოთვალეს, რომ თურქეთთან ომის შემთხვევაში ამ უკანასკნელის მხარეს აშშ გამოვიდოდა [გაჩეჩილაძე, 2008].

ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთისათვის უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ნიშანსვეტად იქცა „ტრუმენის დოქტრინის" გამოცხადება.

1947 წლის 12 მარტს *აშშ-ის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი* თავის მოხ-

სენებაში კონგრესის საგანგებო გაერთიანებულ სხდომაზე დაჰპირდა ამერიკის სრულ პოლიტიკურსა და სამხედრო დახმარებას იმ ქვეყნებს (მან ახსენა თურქეთი და საბერძნეთი), რომლებსაც საბჭოთა კავშირისაგან საგარეო საფრთხე ელოდა.

ტრუმენის დოქტრინის შესაბამისად ამერიკამ დაიწყო დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების აღმოჩენა თურქეთისა და საბერძნეთისათვის. მოგვიანებით ეს დახმარება გავრცელდა ირანზეც.

ამერიკის მიმართ თავისი მადლიერების გამოსახატავად თურქეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო *კორეის ომში* (1950-1953). მისი სამხედრო ნაწილები ამერიკელთა მხარდამხარ *გაეროს დროშით* იბრძოდნენ ჩრდილოეთ კორეიდან წამოწყებული აგრესიის წინააღმდეგ და დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს [Türkmen, 2002].

1949 წელს თურქეთი *ევროპის საბჭოს* წევრად მიიღეს, ხოლო *1952 წელს ის ნატო-ს წევრი გახდა*. ნატოს სამხრეთი ფლანგი უშუალოდ საბჭოთა კავშირს მიებჯინა. თურქეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ამერიკული სამხედრო ბაზები, სადაც 1952-1963 წლებში ბირთვული იარაღიც ინახებოდა.

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მოხდა გეოპოლიტიკური ძვრა: მისი ნეიტრალიტეტი მკვეთრად პროდასავლურმა ვექტორმა შეცვალა.

1953 წლის მაისის ბოლოს, სტალინის გარდაცვალებიდან სულ სამიოდე თვეში, საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ. მაგრამ საქმე უკვე გაფუჭებული იყო: თურქეთის საზოგადოება დაირაზმა ანტისაბჭოთა სულისკვეთებით.

დასავლეთის მიერ აღმოჩენილი დახმარების საპასუხოდ, „დემოკრატიის იდეალებისადმი თავისი ერთგულების" დასამტკიცებლად, თურქეთის პარლამენტმა 1946 წელს დაუშვა მრავალპარტიულობა. მანამდე ქვეყანაში მხოლოდ ერთი პარტია იყო, 1920-იანი წლების „ორპარტიული დემოკრატიის" ხანმოკლე ექსპერიმენტს თუ არ ჩავთვლით. 1950 წელს პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც ოპოზიციური *დემოკრატიული პარტიის* გამარჯვებით დამთავრდა. თუმცა, ათი წლის შემდეგ ამ პარტიის მთავრობა დაამხო თურქეთის არმიამ, რომელმაც მიიჩნია, რომ იგი ღალატობს ათათურქის სეკულარიზმის პრინციპებს: პრემიერ-მინისტრი *ადნან მენდერესი*, აგრეთვე საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები ჩამოახრჩეს.

თურქეთის გენერალიტეტმა კიდევ სამჯერ (1971, 1980 და 1997 წლებში) აიძულა მთავრობა გადამდგარიყო. თუმცა, არმია საკმაოდ მალე აბრუნებდა სამოქალაქო ხელისუფლებას და ყოფილი მთავრობის წევრებიდანაც სიკვდილით აღარავინ დაუსჯიათ.

1963 წლიდან თურქეთი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ამჟამად – ევროპული კავშირის) ასოცირებული წევრია, 1996 წლიდან საბაჟო კავშირი აქვს მასთან, ხოლო 1987 წლიდან განცხადება აქვს შეტანილი

ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე. მაგრამ თურქეთი ჯერაც ვერ გახდა ევროკავშირის სრული *წევრი.*

ბრიუსელის, სადაც ევროკავშირის შტაბ-ბინაა განლაგებული, ოფიციალური აზრით, თურქეთი ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი მოთხოვნების (ე.წ *„კოპენჰაგენის კრიტერიუმების“*) საგრძნობ ნაწილს. თურქეთში კი ბევრი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის მეტისმეტად მომთხოვნი მიდგომა მათი ქვეყნის მიმართ მიკერძოებულია და განპირობებულია უფრო კულტურული განსხვავებებით (*„ევროკავშირი ქრისტიანული კლუბია!“*), ვიდრე სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების საჭიროებით თურქეთში; რომ ევროპას აშინებს თურქეთის დიდი დემოგრაფიული პოტენციალი და მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება, მაშინ როცა ევროპის ქვეყნების საგრძნობ ნაწილს დეპოპულაცია ახასიათებს.

საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა *ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა* მკაფიოდ გამოხატა ბევრი სკეპტიკოსის აზრი, როდესაც თქვა, რომ *„თურქეთი ეკუთვნის დიდ, მაგრამ სხვა ცივილიზაციას. ის არ განეკუთვნება ევროპას... თუკი თურქეთს მივიღებთ ევროკავშირში, მას შეიძლება მოჰყვნენ მაროკო და სხვა არაევროპული ქვეყნებიც, ისეთი, როგორიცაა ლიბანი ან ისრაელი. შედეგი კი იქნება ევროპული კავშირის აღსასრული“* [Pfaff, 2002].

საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერები სთავაზობენ თურქეთს *„პრივილეგირებულ პარტნიორობას ევროკავშირთან“*, ნაცვლად სრული წევრობისა, რაც არ მისცემს თურქეთის მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფალი შესვლისა და იქ დასახლების უფლებას: ევროპას ყველაზე მეტად ეს დემოგრაფიული ფაქტორი აშფოთებს. ანკარისათვის კი ასეთი შეთავაზება მიუღებელია. მისი ლიდერები ამას ქვეყნის შეურაცხყოფადაც კი აღიქვამენ.

თურქეთში არიან საკმაოდ გავლენიანი ძალები, რომლებიც არ ემხრობიან ევროკავშირში უპირობო ინტეგრაციას. ბრიუსელის მიერ ანკარისათვის წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების სიაში, რაც უნდა განხორციელებულიყო მანამ, სანამ დაიწყებოდა მოლაპარაკება ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შესახებ, ზოგიერთი ძნელად მისაღები იყო თურქეთის ელიტისათვის. მაგალითად, მოთხოვნა *ეროვნული უშიშროების საბჭოს* ფუნქციების მკვეთრი შეკვეცის შესახებ ზღუდავდა თურქეთის გენერალიტეტის გადამწყვეტ სიტყვას, მათ შორის თურქეთის სეკულარულ ქვეყნად დარჩენის საკითხში.

თურქეთის მთავრობამ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა: *ეროვნული უშიშროების საბჭოს* ფუნქციები შეიკვეცა. 2011 წლის 29 ივლისს კი საშუალება მიეცა უფრო შორსაც წასულიყო. იმ დღეს გადადგა თურქეთის არმიის უმაღლესი ხელმძღვანელობა: გენერალური შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ მისთვის შეუძლებელია მუშაობა, როდესაც 250

მოქმედი ან გადამდგარი ოფიცერი და გენერალი დაპატიმრებულია მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების მოწყობის ბრალდებით. მასთან ერთად გადადგნენ არმიის, ფლოტისა და საჰაერო ძალების სარდლებიც. ადრე ასეთი რამ სახელმწიფოში კრიზისს გამოიწვევდა. ახლა კი ბირუები არც შეტოკებულან. მოქალაქეთა უმრავლესობამ ინდიფერენტულად აღიქვა „გენერლების დამცირება". სეკულარიზმის მცველი, ყველაფრის შემძლე თურქეთის არმია, რომელმაც 1960 წლიდან ოთხი მთავრობა დაამხო, ამჯერად უძლური აღმოჩნდა [Turkey's army, 2011]. პრემიერ-მინისტრმა დაუყოვნებლივ დანიშნა გადამდგარი სარდლების ადგილზე მთავრობის მიმართ ლოიალური გენერლები.

თუმცა, საეჭვოა, ამან ბრიუსელს, ბერლინსა და პარიზს „გული მოულბოს"!

1999 წლიდან *თურქეთში ხორციელდება მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები.*

ქვეყანაში პრაქტიკულად შექმნილია სამოქალაქო საზოგადოება. XX საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბდა ახალი საშუალო კლასი. 1980-იანი წლებიდან თურქეთი ეკონომიკურად გაიხსნა გარე სამყაროსათვის, დაჩქარდა მსოფლიო ეკონომიკაში მისი ინტეგრაცია. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვის იმდროინდელ პრემიერ-მინისტრს (შემდგომში – პრეზიდენტს) *თურგუთ ოზალს.*

ბოლო პერიოდში თურქეთში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი აღინიშნება. შემცირდა ინფლაცია და უმუშევრობა. კაპიტალის დაგროვების სწრაფი პროცესის დადასტურებაა, რომ, თუ 2000 წელს ქვეყანაში 6 მილიარდერი იყო, 2011 წელს Forbes Magazine-მა იქ უკვე 38 მილიარდერი აღრიცხა. მათი რიცხვით თურქეთი მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, სადაც სოციალურ განვითარებას შედარებით ნაკლები დისპროპორცია ახასიათებს.

იმ დროისათვის, როდესაც (და თუ) თურქეთს ევროკავშირში მიიღებენ, ის არ იქნება დამოკიდებული დოტაციებზე, რაც ევროპელებს ყველაზე მეტად აშინებთ ხოლმე ახალი წევრი-სახელმწიფოების მიღებისას.

2002 წლიდან ქვეყანას სათავეში უდგას *„სამართლიანობისა და განვითარების პარტია"* (*სგპ*; *Adalet ve Kalkınma Partisi*). მას „ზომიერად ისლამისტურად" ახასიათებენ. პარტია ეყრდნობა ანატოლიის საშუალო კლასს, საშუალო და შეძლებულ გლეხობას, რომელთათვისაც ისლამი მამა-პაპათა რელიგიაა; ისინი ქემალისტურ სეკულარიზაციას ადრეც ალმაცერად უყურებდნენ, თუმცა არც ისლამურ ფუნდამენტალიზმს უჭერენ მხარს.

ამიტომაც პრემიერ-მინისტრ *რეჯეფ თაიიფ ერდოღანის* ზომიერი/ლიბერალური ისლამიზმი მათთვის მისაღებია. პარტიის წარმატებულმა

ეკონომიკურმა პოლიტიკამ, საგარეო პოლიტიკაში *ერდოღანის* მტკიცე მოქმედებამ პარტიას ბევრი მომხრე შესძინა.

აღსანიშნავია *სგპ*-ის მიერ განხორციელებული ტოლერანტობის პოლიტიკა სხვა რელიგიებისა და ეთნოსების მიმართ (ამით ის ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკას ემსგავსება, რომელიც ბევრად უფრო ტოლერანტული იყო, ვიდრე ქემალისტური რესპუბლიკისა). დაშვებულია ტელეგადაცემები ქურთულ ენაზე; ვანის ტბის კუნძულზე 2010 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა XI საუკუნის სომხურ ეკლესია *სურბ ხაჩს* და იქ წირვაცაა ნებადართული (მართალია, ჯერჯერობით, წელიწადში ერთხელ); ერდოღანმა დააყენა არაისლამური კონფესიებისათვის ჩამორთმეული უძრავი ქონების დაბრუნების საკითხი. შესაძლოა, ეს „ევროკავშირზე გათვლილი ნაბიჯებია", მაგრამ მაინც პოზიტიური ცვლილებებია.

სგპ-ის ავტორიტეტი გაიზარდა. 2007 და 2011 წლების საპარლამენტო არჩევნებში *სგპ*-მ მზარდი უპირატესობით გაიმარჯვა. როგორც ამერიკელმა ისტორიკოსმა *ჰოუარდ აისენსტატმა* ერთგვარი შეშფოთებით აღნიშნა, *სგპ*-ის მმართველობის პირობებში თურქეთი *„სულ უფრო მეტად ემსგავსება დემოკრატიულად არჩეულ ერთპარტიულ სახელმწიფოს"* (a democratically elected single-party state) [ibid].

სგპ-მ, როგორც ჩანს, მონახა „ოქროს შუალედი" დასავლური ტიპის დემოკრატიასა და „ზომიერ ისლამიზმს" შორის. *თურქეთი სრულად ვერც გამოვა ისლამის გავლენის სფეროდან.* თურქმა ინტელექტუალმა, ადრე – მარქსისტმა, ახლა კი – ისლამისტმა *ისმეთ ოზელმა*, მოსწრებულად თქვა: *„თურქეთში სოციალიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა, შესაძლებელია, თურქიზმი* [ეთნონაციონალიზმი: რ.გ] *მოსალოდნელია, ისლამი – უეჭველია".*

2011 წლის „არაბული გაზაფხულის" დროს არაბული ქვეყნების ინტელექტუალ წრეებში მსჯელობდნენ „თურქული მოდელის" გადმოღების შესაძლებლობაზე, რომელშიც შეხამებულია დემოკრატიული ინსტიტუტები და ისლამი. ამ მოდელის დანერგვა რომელიმე არაბულ ქვეყანაში თანამედროვე ეტაპზე არარეალურად მეჩვენება, რადგან მათ თურქეთისაგან განსხვავებული ისტორიულ-კულტურული გზა აქვთ გავლილი, მაგრამ არაბულ ქვეყნებში საკითხის ასე დაყენება სიმპტომატურია.

თურქეთმა მკვეთრად გაზარდა *სამხედრო ხარჯები.* XXI საუკუნის პირველ სამ დეკადაში თურქეთი სამხედრო სფეროში 150 მილიარდი დოლარის ინვესტირებას აპირებდა [Yung, 2001, 151]. ის მკაფიოდ უჩვენებს „მძლავრ კუნთებს" თავის მეზობლებს. 1990-იან წლებში და 2007 წლიდან მან რამდენჯერმე შეიყვანა ჩრდილოეთ ერაყში თავისი სამხედრო ნაწილები მეამბოხე „ქურთისტანის მუშათა პარტიის" ბაზების გასანადგურებლად. 1998 წელს თურქეთის მხრიდან დიდი ზეწოლის შემდეგ, რის მთავარ არგუმენტადაც იქცა საზღვართან თურქეთის არმიის კონცენტრაცია, სირია იძულებული გახდა, უარი ეთქვა

პოლიტიკურ თავშესაფარზე თურქეთში ქურთების ამბოხების მეთაურ *ოჯალანისათვის* და ის ქვეყნიდან გაეძევებინა. იმავე წელს თურქეთის მხრიდან სერიოზული მუქარის შემდეგ [სამხრეთ] კვიპროსმა უარი თქვა, თავის ტერიტორიაზე განელაგებინა რუსეთში შეძენილი S-300 ტიპის „მიწა-ჰაერის" რაკეტები.

„ცივი ომის" დამთავრებამ და თურქეთისათვის უმთავრესი საფრთხის, საბჭოთა კავშირის, პოლიტიკური რუკიდან გაქრობამ, *თურქეთს უნიკალური შანსი მისცა დაბრუნებოდა რეგიონული ლიდერის როლს.*

1992 წლიდან თურქეთმა დაიწყო თავისი სამომხმარებლო საქონლითა და სურსათით სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთისა და უკრაინის ბაზრების ათვისება. ამის შედეგად, მაგალითად, სწრაფად განვითარდა საქართველოს მიმდებარე, ადრე პერიფერიული და ჩამორჩენილი, ახლა კი სატრანზიტო ზონად ქცეული *აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი.*

თურქეთში გაჩნდა *ევრაზიულობის* გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომ თურქეთი – ესაა ევრაზიის გეოგრაფიულად ცენტრალური ქვეყანა, მოწოდებული ტრანსკონტინენტული გავლენები გავრცელებისკენ. ლაპარაკი იყო თურქეთის ცენტრალურობაზე მსოფლიო პოლიტიკაშიც [Ergüvenç, 1998]. თურქეთი შეეცადა გამხდარიყო „ღერძული ქვეყანა", ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მასტაბილიზებელი ძალა თავის საზღვრებთან (იგულისხმება, უპირველესად, კავკასია და ახლო აღმოსავლეთი).

სეკულარული, დემოკრატიული და, ამავე დროს, მუსლიმური თურქეთი თავს მიიჩნევს მისაბაძ მოდელად *ცენტრალური აზიის რესპუბლიკებისა და აზერბაიჯანისათვის.* ასეთივე აზრისა იყო ვაშინგტონი. მაგრამ თურქეთმა გადაჭარბებით შეაფასა ზოგიერთი თიურქული ქვეყნის კულტურული სიახლოვე. *ენობრივი ნათესაობა საკმარისი ფაქტორი არ აღმოჩნდა მათი მჭიდრო პოლიტიკური დაახლოებისათვის.* აზიის თიურქულმა ქვეყნებმა მართვის საკუთარი პოლიტიკური სისტემები შეიმუშავეს, რომლებიც, რბილად რომ ითქვას, ძალიან შორსაა ევროპული დემოკრატიის თუნდაც თურქული მოდელისაგან. თავისთვის ყველაზე ახლობელთან – აზერბაიჯანთანაც – კი, თურქეთი ხანდახან ვერ ნახულობს საერთო ენას.

ბოლო პერიოდში ხდება *თურქეთის მთელი საგარეო პოლიტიკის გადახალისება,* რომლის მიზანია თავისი საზღვრების პერიმეტრზე „მეგობრული სახელმწიფოების რკალის" შექმნა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის *აჰმედ დავუთოღლუს* ლოზუნგია *„ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან"*! ამის შედეგია ურთიერთობათა ნორმალიზაცია ბულგარეთთან, საბერძნეთთან, ირანთან, საქართველოსთან, სირიასთან, ერაყთან და ზოგადად არაბულ სამყაროსთან. ზოგიერთ ქვეყანასთან (საქართველო, სირია) თურქეთს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს.

ყველა მეზობელ ქვეყანასთან, გარდა სომხეთისა, თურქეთს აქვს დიპლომატიური და საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა. 2008 წლიდან დაიწყო *თურქეთ-სომხეთის* ურთიერთობათა ნორმალიზაციის პროცესი, რომელიც მალევე, უკვე 2009 წელს, შევიდა ჩიხში ამ ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესების შეუთავსებლობის გამო. დიპლომატიური ურთიერთობა მათ ვერ დაამყარეს, საზღვარი ჩაკეტილი რჩება. მაგრამ ცვლილებები ურთიერთობაში გამორიცხული არაა.

1990-იან წლებში დაიწყო *თურქეთ-ისრაელის* დაახლოება, რასაც არაბულ სამყაროში დაუფარავი უკმაყოფილებით შეხვდნენ. XXI საუკუნის დამდეგს ისრაელისათვის თურქეთი მეორე ადგილზე იყო სიახლოვით ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, რამაც ერთ ავტორს საფუძველი მისცა ამ ურთიერთობისათვის „*ისრაელ-თურქული ანტანტა*“ ეწოდებინა [Inbar, 2002], ხოლო სხვა ავტორებს – „*თურქეთ-ისრაელის ღერძი*“ [Yung with Piccoli, 2001].

ორივე შეფასება გადაჭარბებული აღმოჩნდა. ამ ქვეყნების ურთიერთობაში საკმაოდ მალე სხვა გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა იძალა.

ანკარაში არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისრაელი ფარულ სამხედრო და ლოგისტიკურ დახმარებას უწევდა ჩრდილოეთ ერაყის ქურთებს [Минасян, 2007], რომლებიც, რეალურად, დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვიან.

თავის მხრივ, არაბულ სამყაროში საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად *სგპ*-ის მთავრობამ მოინდომა პალესტინელების ინტერესების დაცვა და, ბუნებრივია, ისრაელის მხრიდან უარყოფით რეაქციას წააწყდა.

სანამ საქმე შემოიფარგლებოდა რიტორიკითა და დიპლომატიური უტაქტობით, ურთიერთობა ისრაელსა და ანკარას შორის, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ჩათვლით, ძველებურად გრძელდებოდა.

მაგრამ 2010 წლის 31 მაისიდან *თურქეთ-ისრაელის* ურთიერთობაში სერიოზული ბზარი გაჩნდა. იმ წელს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა *ღაზის სექტორში* ჰუმანიტარული ტვირთის ჩასატანად ექვსი გემისაგან შემდგარი „მშვიდობის ფლოტილია“ აღჭურვეს, რომელიც ისრაელის მიერ ბლოკირებულია იქ მოქმედი რადიკალური ორგანიზაცია *ჰამას*-ისათვის იარაღის მიწოდების შიშით. ბლოკადამ სერიოზული ჰუმანიტარული პრობლემები წარმოშვა ღაზის პალესტინელ მოსახლეობაში.

თურქეთის მთავრობამ ხელი არ შეუშალა „მშვიდობის ფლოტილიის“ აქციას (რაც ისრაელში პროვოკაციად შეფასდა). ხოლო ისრაელის სპეცრაზმელებმა საერთაშორისო წყლებში შეაჩერეს თურქეთის დროშით მცურავი გემები და ოპერაციის ჩატარებისას შეხლა-შემოხლაში მოკლეს ცხრა ადამიანი, მათ შორის თურქეთის რვა მოქალაქე.

თურქეთის მთავრობამ ისრაელის მხარეს მოსთხოვა დამნაშავე

პირების დასჯა, კომპენსაცია და ოფიციალური ბოდიშის მოხდა. ისრაელის მთავრობამ ყველაფერზე უარი განაცხადა. თურქეთმა გააძევა ისრაელის ელჩი ანკარიდან, გამოიწვია თავისი ელჩი თელ-ავივიდან და დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოს მეორე მდივნის დონემდე დაიყვანა. სამხედრო თანამშრომლობა შეწყდა. თურქეთმა აკრძალა თავის საჰაერო სივრცეში ისრაელის სამხედრო ავიაციის ფრენა (რაც ისრაელს გაურთულებს საქმეს ირანთან თეორიულად მოსალოდნელ კონფლიქტში). ისრაელელი ტურისტების ნაკადმა თურქეთისაკენ მკვეთრად იკლო. „ღერძისა" და „ანტანტისაგან" არაფერი დარჩა.

გაეროს კომისიამ 2011 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა დასკვნა, რომ ისრაელი უფლებამოსილი იყო მოეხდინა ღაზის სექტორის ბლოკადა, მაგრამ მან გადაჭარბებული ძალა გამოიყენა ღაზაში მიმავალი გემების შესაჩერებლად [MacFarquhar, 2011]. ნათელია, რომ ასეთი დასკვნა ორივე მხარის (განსაკუთრებით – თურქეთის) უკმაყოფილებას იწვევს.

ეს არ ნიშნავს, რომ თურქეთ-ისრაელის ურთიერთობათა აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ ნდობა და გულღია ურთიერთობა, მათ შორის ხალხების დონეზეც, შემცირდა.

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებზე ითქვა ქვეთავშიც „ზესახელმწიფოების ცვალებადი გეოპოლიტიკა". აქ შეიძლება დაემატოს, რომ კრემლს ხელს აძლევს ამერიკისაგან დამოუკიდებელი თურქეთის პოლიტიკა. ამავე დროს, *სამხრეთ კავკასიაში გრძელდება თურქეთ-რუსეთის, გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი, მაგრამ მძაფრი მეტოქეობა.* ეს ეხება არა მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობას ნავთობ- და გაზსადენების გაყვანის მიმართულებასთან დაკავშირებით, არამედ *პოლიტიკური გავლენების გეოგრაფიასაც.*

თურქეთი მხარს უჭერს აზერბაიჯანის მოთხოვნას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ, რაც ამჟამად სომხეთის ხელში მყოფი რაიონების (მთიანი ყარაბაღისა და მიმდებარე ტერიტორიის) ბაქოს იურისდიქციაში დაბრუნებას გულისხმობს. *რუსეთი* კი ორივე (აზერბაიჯანისა და სომხეთის) მხარისათვის გარეგნულად მაამებელ დიპლომატიურ მანევრირებას ეწევა „ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტის მიზნით", მაგრამ რეალურად სომხეთს უწევს სამხედრო დახმარებას. თურქეთის საზღვართან, სომხეთის ქ. *გიუმრიში*, განლაგებული დიდი რუსული სამხედრო ბაზის ყოფნა სომხეთ-რუსეთის 2010 წლის განახლებული შეთანხმებით გახანგრძლივდა 2044 წლამდე.

საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ტრადიციულად საპირისპიროა: ბუნებრივია, ორივეს უნდა საქართველოს მოქცევა საკუთარ ორბიტაში. ამ თემაზე ვრცლად საუბარი წიგნის თემატიკას სცდება.

ცვლილებები ხდება *თურქეთ-ამერიკის ურთიერთობაში.*

ამერიკულ-ბრიტანული და მათი კოალიციის ჯარების ერაყში შესვ-

ლის წინ 2003 წლის 1 მარტს *თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ* (პარლამენტმა) არ მისცა უფლება აშშ-ს გამოეყენებინა მისი ტერიტორია და საჰაერო სივრცე სადამ ჰუსეინისათვის ჩრდილოეთის ფრონტის გასახსნელად. თურქეთისათვის მიუღებელი იყო ერაყის ქურთების სწრაფვა ავტონომიისაკენ, რაც მის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთებისათვის პრეცედენტი შეიძლება გამხდარიყო. ამერიკა კი ორაზროვან პოლიტიკას ატარებდა ერაყელ ქურთებთან მიმართებით (იხ. ქვეთავი „ქურთები რეგიონულ გეოპოლიტიკაში").

თურქეთის პარლამენტის გადაწყვეტილებამდე ამერიკის სამხედრო გემებზე მყოფი ჯარის ნაწილები სამ კვირას ამაოდ ელოდნენ გადასხმას სამხრეთ თურქეთის ნავსადგურებში. ბოლოს ისინი იძულებული გახდნენ სუეცის არხის გავლით სპარსეთის ყურეში წასულიყვნენ, რათა სამხრეთიდან მიეტანათ იერიში ბაღდადზე. ანკარის ეს ნაბიჯი ვაშინგტონისათვის, სულ ცოტა, გაუგებარი იყო.

მოგვიანებით, თურქეთმა მაინც მისცა უფლება ამერიკის არმიას, განეხორციელებინა ერაყში განლაგებული ნაწილების მომარაგება მისი ტერიტორიის გავლით. მაგრამ მისი პარლამენტის გადაწყვეტილება სიმპტომატური აღმოჩნდა: ანკარა აღარ იყო „ვაშინგტონის ნების შემსრულებელი", რასაც მას ადრე უკიჟინებდა ბევრი ადგილობრივი პოლიტოლოგი.

სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებს, რომ თურქების სულ 10-15 პროცენტი თუა პოზიტიურად განწყობილი ამერიკის მიმართ [Turkey and America, 2007].

მუდმივი გამაღიზიანებელი ფაქტორი ორი ქვეყნის ურთიერთობაში არის ამერიკის გავლენიანი სომხური ლობის მრავალწლიანი დაჟინებული მცდელობა, მიაღებინოს აშშ-ის კონგრესს რეზოლუცია 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში მომხდარი მოვლენების (იხ. თავი 6) „სომეხთა გენოციდად" აღიარების შესახებ. თურქეთს სავსებით შეეძლება მოახდინოს ასეთი რეზოლუციის იგნორირება, მაგრამ აშშ-ის კონგრესის მიერ მისი მიღება გამოიწვევს ანალოგიური რეზოლუციების კასკადს მსოფლიოში და იმოქმედებს თურქეთის საგარეო-პოლიტიკურ იმიჯზე. მართალია, კონგრესში ამ რეზოლუციის მსვლელობას აჩერებს ხოლმე აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ზეწოლა, მაგრამ ის მაინც „დამოკლეს მახვილად" ჰკიდია ორი ქვეყნის ურთიერთობაზე.

გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო თურქეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამერიკისათვის. ამიტომ ვაშინგტონი მაქსიმალურად ცდილობს, გამოასწოროს ურთიერთობა. მაგრამ ეკონომიკურად გაძლიერებული თურქეთი უკვე საკუთარ პოლიტიკას ატარებს და შეუძლია თავის სტრატეგიულ მოკავშირეს ნაკლები ანგარიში გაუწიოს.

ირანი: რთული განვითარება და პრობლემები მსოფლიოსთან ურთიერთობაში

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წელს, საბჭოთა კავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა ირანის ფაქტობრივი ოკუპაცია მოახდინეს, აიძულეს პროგერმანულად განწყობილი *რეზა-შაჰი* გადამდგარიყო და ტახტი თავისი ვაჟის, *მოჰამად რეზასათვის* დაეთმო. ომის დროს ირანის ტერიტორია გამოიყენებოდა, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი არტერია ამერიკული *ლენდ-ლიზით** საბჭოთა კავშირში მიმავალი უზარმაზარი სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარებისათვის.

1945-1946 წლებში საბჭოთა კავშირს ჰქონდა ირანის დანაწევრების მცდელობა. საბჭოთა მხარდაჭერით შეიქმნა „ავტონომიური ირანის აზერბაიჯანი" და ე.წ. „მეჰაბადის რესპუბლიკა" აღმოსავლეთ ქურთისტანში. მაგრამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების შემდეგ და, განსაკუთრებით, აშშ-ის მკვეთრი პროტესტის გამო საბჭოთა არმია გამოვიდა ირანიდან. ხელოვნური ავტონომიური წარმონაქმნები თეირანმა გააუქმა, მათ მომხრეებს კი სასტიკი რეპრესიებით გაუსწორდა.

1951 წელს ირანის პრემიერ-მინისტრმა *მოჰამად მოსადეყმა* ჩაატარა ნავთობმოპოვებითი მრეწველობის ნაციონალიზაცია, რითაც ირანი დაუპირისპირა დასავლეთის ნავთობკომპანიების მფარველ მძლავრ პოლიტიკურ ძალებს. 1953 წელს მისი მთავრობა დაემხო ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო უწყებების დაუფარავი ქმედების შედეგად. ამის შემდეგ ქვეყნის მართვა უშუალოდ შაჰმა აიღო ხელში. ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა ამერიკის გავლენა.

იმ პერიოდში ირანს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ისრაელთანაც. მართალია, ქვეყნებს შორის სრული დიპლომატიური ურთიერთობა არ დამყარებულა, მაგრამ 1950 წლიდან ირანს ჰქონდა საკონსულო თელ-ავივში და ეკონომიკურად თანამშრომლობდა ებრაულ სახელმწიფოსთან.

ეკონომიკური წინსვლის მიუხედავად, რისი ფინანსური საფუძველიც გახდა ნავთობის ექსპორტით მიღებული დიდი შემოსავალი, ირანში სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მძიმდებოდა. მოხელეების კორუმპირებულობა და რეპრესიები ოპოზიციის მიმართ ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ამერიკის ადმინისტრაცია უკმაყოფილებას გამოთქვამდა ირანში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. თავის მემუარებში *მოჰამად რეზა ფეჰლევი* ვარაუდობდა, რომ ამერიკელებმა ის გაწირეს, როდესაც მის ზურგსუკან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ირანის არმიის ხელმძღვანელებთან [Pahlavi, 1980, 172; Дружиловский, 2002, 100].

როგორც ამერიკელი პოლიტოლოგები წერენ, 1979 წელს „*მრავალკლასობრივი აჯანყების შედეგად, როდესაც დაბალმა კლასებმა და*

ახალწარმოშობილმა საშუალო კლასებმა გააერთიანეს ძალები ფეჰლევის პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ" [Bill & Springbog, 2000, 290], *შაჰის* ხელისუფლება დაემხო. ირანში მოხდა ნამდვილი რევოლუცია, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სრული შეცვლით და არა სამხედრო ან სასახლის გადატრიალება, რაც დამახასიათებელი იყო რეგიონის ბევრი სხვა ქვეყნისათვის [Tarock, 1999]. წარმოიშვა *ირანის ისლამური რესპუბლიკა.*

შიიტმა რელიგიურმა ლიდერებმა (დასავლეთში ხშირად მათ კრებითად *აიათოლებს** უწოდებენ, თუმცა ყველა მათგანი ამ წოდებას არ ფლობს), რომლებმაც რევოლუციის მაორგანიზებელი რგოლების ფუნქცია შეასრულეს, ხელში აიღეს რესპუბლიკური ირანის სადავეები. მათ მაშინვე შეცვალეს *ქვეყნის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები.*

ანტიიმპერიალისტური და ანტისიონისტური რიტორიკა, აშშ-სა და ისრაელისაგან „დიდი" და „პატარა სატანას" მტრული ხატის შექმნა, ეჭვს არ ტოვებდა, რომ შაჰისდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ვექტორი მკვეთრად იცვლებოდა. ირანის ახალ ხელისუფლებას თავიდან უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა საბჭოთა კავშირის მიმართაც, მაგრამ ურთიერთობა მასთან გამოსწორდა (ეს საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, *ედუარდ შევარდნაძის* დამსახურებაც იყო).

ისლამური რევოლუციის ექსპორტის დაუფარავმა ზრახვამ ირანი პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია. *ისლამური რევოლუციის* შიიტურ იდეალებს ძნელად ვინმე თუ მიიჩნევდა ზოგადისლამურად და, მით უმეტეს, ზოგადსაკაცობრიოდ. მსოფლიოს ვერც ერთ რეგიონში, თვით ისლამურ სამყაროშიც კი, რესპუბლიკურმა ირანმა სიმპათია ვერ მოიპოვა.

1980 წელს ერაყი თავს დაესხა ირანს, მაგრამ თითქმის არც ერთ სახელმწიფოს და არც გაეროს არ გამოუხატავს პროტესტი ამ აშკარა აგრესიის გამო. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა (ორივე მხარემ მილიონამდე ჯარისკაცი დაკარგა) და დანგრეული ეკონომიკებისა, ომი 1988 წელს ნულოვანი ტერიტორიული შედეგით დასრულდა, *status quo* *-ს აღდგენით. 1990 წელს, *ქუვეითის კრიზისის* დროს, *ერაყის* ინიციატივით აღდგა მისი დიპლომატიური ურთიერთობა *ირანთან* და კიდევ ერთხელ დადასტურდა ირან-ერაყის ომამდელი საზღვრის აღდგენა.

ერაყთან ომის შემდეგ ირანმა სცადა საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან კონტაქტის აღდგენა. ირანისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1991 წელს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა *საუდის არაბეთთან.*

ირანი ცდილობს ითამაშოს *რეგიონის ერთ-ერთი ლიდერის როლი.* ამის ობიექტური საფუძველია ქვეყნის დიდი ტერიტორია, განათლებული მოსახლეობა, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მათ შორის ისეთი, როგორიცაა ნავთობი, გაზი, ურანი.

ირანის ურთიერთობაში მეზობლებთან იგრძნობა ტრადიციული გეოპოლიტიკის ელემენტები – გეოგრაფიას ვერავინ გაექცევა! ისე, როგორც გვიან შუა საუკუნეებში, *ირანის ფაქტობრივი* (ფორმალურად ურთიერთობა მეგობრულია) *მეტოქე მთელ რეგიონში არის თურქეთი.* სპარსეთის ყურის აუზში მისი მეტოქეა *საუდის არაბეთი.*

მაგრამ ირანის დაპირისპირება *ისრაელთან* მხოლოდ გეოგრაფიაზე დაფუძნებულ გეოპოლიტიკურ ლოგიკაში არ ჯდება: მათ არა აქვთ საერთო საზღვარი და სადავო ტერიტორია, სამაგიეროდ ჰყავთ საერთო მტრები! გადამწყვეტი აღმოჩნდა რელიგიურ-იდეოლოგიური დოგმების ფაქტორი, რასაც ემატება ირანის მისწრაფება, დაარღვიოს ისრაელის ბირთვული მონოპოლია რეგიონში.

ირანისათვის ყველაზე მისაღები მეზობელია რუსეთი, თუმცა 1991 წლიდან რუსეთსა და ირანს აღარა აქვთ საერთო სახმელეთო საზღვარი (ისინი კასპიის ზღვის მეშვეობით „მეზობლობენ"). ირანი და რუსეთი დაინტერესებული არიან შეიქმნას *ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო კორიდორი*; ორივე სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში თავის სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს *სომხეთის რესპუბლიკას.* ირანი არავითარ დახმარებას არ უწევდა ისლამის დროშით მებრძოლ *ჩეჩენ სეპარატისტებს* სამხრეთ რუსეთში [Borovoy, 2003].

არ გამართლდა შიში, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წ.) ირანი შეეცდებოდა მოეხდინა *ისლამური რევოლუციის ექსპორტი* პოსტსაბჭოთა ისლამურ რესპუბლიკებში. ძირითადი მიზეზია ის, რომ ცენტრალური აზიის სეკულარული რეჟიმების მქონე რესპუბლიკებში, სადაც სუნიტური ისლამია გავრცელებული, შიიტ აიათოლებს საყრდენი არა აქვთ. გამონაკლისია აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სადაც ირანს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული დასაყრდენი ადგილობრივ შიიტებს შორის და გამოიყენოს რელიგიური მომენტი ბაქოზე ზეწოლისათვის.

თუ „ცივილიზაციათა შეხლის" კონცეფციის საპირისპიროდ „ცივილიზაციათა სიახლოვის" ლოგიკას დავეყრდნობით, *ირანის ისლამურ რესპუბლიკასა* და *აზერბაიჯანის რესპუბლიკას*, რომელიც ისტორიულად შიიტურია, მეგობრული ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. ვითარება კი საპირისპიროა.

საქმე ისაა, რომ ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციას „*აზერბაიჯანი*" ჰქვია და საუკუნეების განმავლობაში ასე ერქვა მანამდეც, სანამ მდ. არეზის (არაქსის) ჩრდილოეთით, ძირითადად ყოფილი რუსეთის იმპერიის ბაქოსა და ელისავეტპოლის გუბერნიების ფარგლებში, 1918 წელს შეიქმნებოდა *აზერბაიჯანის რესპუბლიკა.* ამ ტერიტორიას ისტორიულად „აზერბაიჯანი" არასოდეს რქმევია (ირანში მას „*არანს*" უწოდებენ, ისტორიულ ქართულ წყაროებში ეს იყო „*რანი და შირვანი*"), თუმცა მდ. არეზის სამხრეთითა და ჩრდილოეთით თიურქული მოდგმის მონათესავე ხალხი ცხოვრობს, ძირითადად – შიიტები. 1945-46

წლებში საბჭოთა მთავრობა ჯერ აქეზებდა „ორი აზერბაიჯანის გაერთიანებას“, რაც ირანის დანაწევრებას გულისხმობდა, მერე კი, საერთაშორისო ვითარების შეცვლის გამო (იმავე მიზეზით, რაც თურქეთის მიმართ პრეტენზიების შემთხვევაში მოხდა), შეწყვიტა ეს პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღორძინებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, *ებულფაზ ელჩიბეის* დროს, 1991-92 წლებში, ბაქოში *აზერბაიჯანული ირედენტიზმის** იდეამ წამოიწია, რაც მრავალეროვან ირანს უქმნიდა მუქარას. ახლაც, „ორი აზერბაიჯანის“ გაერთიანების იდეა პერიოდულად წამოტივტივდება ხოლმე, ჩვეულებრივ, ბაქოს ფორმალური მხარდაჭერის გარეშე.

ირანში სპარსელები მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ მეტს შეადგენენ, მეხუთედზე მეტი – აზერბაიჯანელია. ცხოვრობს მრავალი სხვა ეთნოსიც. ამ სახელმწიფოს სისხლხორცეულად ესაჭიროება შეინარჩუნოს შიდა ეთნოსთაშორისი მშვიდობა.

საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიურ ფაქტორზე წინ ნაციონალიზმის ფაქტორი გამოდის. *მთიანი ყარაბაღის* კონფლიქტის საომარი ფაზის დროს (1988-1994) შიიტური ირანი უფრო მეტად თანაუგრძნობდა და ეკონომიკურად ეხმარებოდა *ქრისტიანულ* სომხეთს, ვიდრე *ისლამურ, თანაც შიიტურ* აზერბაიჯანს. ამ შემთხვევაში წმინდა გეოპოლიტიკური ლოგიკა მოქმედებს და არა სუბიექტური ფაქტორები.

ირანის შედარებით ლიბერალურად განწყობილი პრეზიდენტის, *მოჰამედ ჰათამის* შემდეგ ამ პოსტზე 2005 წელს და განმეორებით 2009 წელს აირჩიეს ბევრად უფრო რადიკალურად განწყობილი *მაჰმუდ აჰმადინეჟადი*. მან მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან, ხოლო ისრაელი პოტენციურად გასანადგურებელ პოლიტიკურ ერთეულად დასახა.

ირანის პოლიტიკური მომავლის პოზიტიურ ფაქტორად მიიჩნევენ ე.წ. „მესამე თაობას“, ისლამური რევოლუციის შემდეგ სიმწიფის ასაკში შესულ ათეულობით მილიონ ახალგაზრდა ადამიანს, რომელთა შორის 7 მილიონზე მეტს სრული ან არასრული უმაღლესი განათლება აქვს. ახალგაზრდობის სპორადული პროტესტები მოქმედი რეჟიმის მიმართ მოწმობს მზარდ მოთხოვნილებას თავისუფლებაზე, რომ მას აღარ სურს ცხოვრება მკაცრი რელიგიური ზედამხედველობის ქვეშ.

ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული საგარეო ფაქტორზე: ჭარბმა ზეწოლამ დასავლეთის მხრიდან შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი მოიტანოს, გააძლიეროს ირანის იზოლაციონიზმი და რელიგიური რადიკალიზმი.

ირანი არ მალავს, რომ ახორციელებს *ბირთვული ენერგეტიკის პროგრამას* და აცხადებს, რომ მას მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათი ექნება. მაგრამ ირანის ბირთვული პროგრამის სამხედრო შემადგენლის ალბათობის გამორიცხვა შეუძლებელია, თუნდაც ამის დამამტკიცებელი

საბუთები ამჟამად არ არსებობდეს. გასათვალისწინებელია, რომ ბირთვული იარაღი გააჩნია ირანის იდეოლოგიურ მტერს – ისრაელს (*„სიონისტურ წარმონაქმნს“*, როგორც მას ირანში უწოდებენ).

ამგვარი ფაქტორებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ყველაზე უარყოფითადაა განწყობილი *ისრაელი*, რაც პასუხია ირანის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე.

უკვე მესამედი საუკუნეა *ამერიკა ირანის მიმართ ეკონომიკურ სანქციებს ახორციელებს*. 2002 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცრ.) ირანი „ბოროტების ღერძის“ შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა, ერაყთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად. მან ბრალი დასდო ირანს ტერორიზმის ხელშეწყობაში, კერძოდ, ლიბანის შიიტურ ორგანიზაცია *ჰეზბოლა*-სა და *ალ-კაიდა*-სათვის (უკანასკნელი საეჭვოა, რადგან ის სუნიტების ორგანიზაციაა) დახმარებაში. ბუში განსაკუთრებით ადანაშაულებდა ირანს მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისაკენ სწრაფვის გამო (იხ. თავი 11). ამერიკის ზეწოლით მიღებულ *გაეროს* სანქციებს შეურთდნენ ევროკავშირი და რუსეთი (ეს უკანასკნელი – გარკვეული დათქმებით: იგი ერიდება ირანთან ხიდების სრულ დაწვას). მოსკოვი პერიოდულად გამოდის ხოლმე წინადადებით, რომ გაგრძელდეს ირანთან მოლაპარაკება, თუმცა ნათელია, რომ ირანის ბირთვული პროგრამა ამ გზით არ შეწყდება.

მართალია, ზოგიერთი პოლიტოლოგი თეთრ სახლს ურჩევს, მოახდინოს ურთიერთობათა ნორმალიზაცია თეირანთან, მაგრამ უახლოეს დროში, ეს, ალბათ, არ მოხდება.

წმინდა იდეოლოგიური პოზიციიდან ირანსაც უჭირს დასავლეთის მიმართ დათმობებზე წასვლა, და თუნდაც ურთიერთობათა ნორმალიზაცია აშშ-სთან, ვინაიდან ეს ჩრდილს მიაყენებს, მისი, როგორც *„მსოფლიო ჰეგემონთან შეურიგებელი მებრძოლის“* იმიჯს. ასეთი ბრძოლა კი ისლამური რეჟიმის ერთ-ერთი ძირითადი იდეოლოგიური პოსტულატია [Мамедова, 2009, 67].

კვიპროსი: გაყოფილი კუნძული

კვიპროსში ბრიტანული მმართველობის პერიოდში (1878-1960) არსებობდა თემთაშორისი დაპირისპირება ბერძნებსა (მოსახლეობის 80 პროცენტი) და თურქებს (18 პროცენტი) შორის. ბერძნული თემი ანტიკოლონიალისტურ ბრძოლასაც აწარმოებდა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. 1950-იან წლებში ბერძნული პარტიზანული ორგანიზაციები ანტიბრიტანულ ტერორიზმსაც კი მიმართავდნენ ხოლმე.

მიუხედავად ასეთი კონფლიქტებისა, ქვეყანამ შედარებით მცირე სისხლით მოიპოვა დამოუკიდებლობა, რომლის ოფიციალურ გარანტებად გამოდიოდნენ დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი. 1959 წლის 19 თებერვლის შეთანხმებით თითოეულს ამ სამი სახელმწიფოდან უფლება ჰქონდა დამოუკიდებლად მიეღო ზომები, რათა დაეცვა ამ შეთანხმებით დადგენილი პირობები, რომელთა შორის მთავარი იყო კვიპროსის დამოუკიდებლობის შენარჩუნება [Lombardi, 2001].

კვიპროსელ ბერძნებს შორის იყვნენ მთელი კუნძულის საბერძნეთთან შეერთების (*ენოსისის*) აქტიური მომხრეებიც. ამ მოტივით, 1974 წლის ივლისში ამბოხებულმა კვიპროსის ეროვნულმა გვარდიამ იმ დროს საბერძნეთის მმართველ სამხედრო ხელმძღვანელობასთან (ე.წ. *„შავი პოლკოვნიკები“*) შეთანხმებით გადააყენა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი, *არქიეპისკოპოსი მაკარიოსი* და მთელი კუნძულის საბერძნეთის შემადგენლობაში შეყვანა გამოაცხადა. ეს იყო ნაციონალისტური ავანტიურა, მცდარი და თვით ბერძნებისათვის დიდად საზიანო ნაბიჯი.

გადატრიალებამ თურქეთის ინტერვენციის პროვოცირება მოახდინა. მისმა არმიამ სასწრაფოდ დაიკავა კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი, საერთო ფართობის 36,2 პროცენტი (ნახ. 12.1).

ნახ. 12.1. 1974 წლიდან გაყოფილი კვიპროსი



ინტერვენციას მოჰყვა მოსახლეობის იძულებითი გაცვლა: ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები 180-200 ათასი ბერძენი იძულებული გახდა გაქცეულიყო სამხრეთ ნაწილში, ხოლო სამხრეთით მცხოვრები 45-60 ათასი თურქი – თურქეთის არმიის მიერ ოკუპირებული კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.

თითქმის 40 წელია კუნძული გაყოფილია, მათ შორის დედაქალაქი *ნიკოსიაც* კი (თანამედროვე გამოთქმით, *ლეფკოსია*, თურქულად – *ლეფკოშა*).

კუნძულის თურქული თემის ხელმძღვანელობამ 1983 წელს გამოაცხადა „*ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა*“, რომელიც მხოლოდ ანკარამ ცნო. ამ „რესპუბლიკას“ გაერომ საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები დაუწესა. ჩრდილოეთ კვიპროსზე მრავლადაა ტურისტულად საინტერესო ძეგლები, მდებარეობს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სამხრეთზე უკეთესი კლიმატური პირობებია, თუმცა ის მაინც კუნძულის ჩამორჩენილ ნაწილად რჩება.

ამის საპირისპიროდ, კუნძულის სამხრეთი, მთაგორიანი ნაწილი ბევრად უფრო სწრაფად განვითარდა.

აღსანიშნავია, რომ ლტოლვილი ბერძნული მოსახლეობა ძირითადად სამხრეთის ქალაქებში დასახლდა. ამის გამო ქალაქი *ლარნაკა* კუნძულის სიდიდით მეორე ქალაქი გახდა, მაშინ როცა ოკუპაციამდე ხალხმრავლობით მეორე იყო თურქების კონტროლქვეშ აღმოჩენილი ქალაქი *ფამაგუსტა*. სამხრეთიდან ჩრდილოეთ ნაწილში ლტოლვილი თურქები ძირითადად, ბერძნულ ნასოფლარებში დასახლდნენ.

კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში თურქეთის რესპუბლიკამ გაატარა წინასწარგანზრახული დემოგრაფიული პოლიტიკა: ჩაასახლა იქ თურქეთის 100 ათასზე მეტი მოქალაქე. ამის შედეგად კუნძულზე ეთნიკური თურქების რაოდენობა ორჯერ და მეტად გაიზარდა. ამ პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამრუდა ვითარების გამოსწორების გზა.

თურქეთის პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის ადგილობრივი თურქები უარყოფითად არიან განწყობილი ანატოლიიდან ჩამოსახლებულთა მიმართ და ამჯობინებენ სამხრეთ კვიპროსელ ბერძნებთან თანაცხოვრებას ერთ სახელმწიფოში [Babahan, 2011].

2004 წლის აპრილში გაეროს ეგიდით ჩატარდა რეფერენდუმი კვიპროსის გაერთიანების შესახებ. თითქოს პარადოქსია, რომ გაერთიანებას მხარი დაუჭირა კვიპროსელი თურქების უმრავლესობამ: სინამდვილეში მათ უფრო მეტად იტაცებდათ ევროკავშირში ერთიანი კვიპროსის შემადგენლობაში შესვლის პერსპექტივა. ბერძნებმა კი, რომელთაც გაერთიანების პირობები მათთვის უსამართლოდ მიიჩნიეს, რეფერენდუმის კითხვას უარყოფითი პასუხი გასცეს.

იმავე წლის მაისში *ევროკავშირის წევრად მიღებული კვიპროსის რესპუბლიკა* მხოლოდ კუნძულის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს. ჩრდილოეთი ნაწილი კვლავაც რჩება არაღიარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც ცნობს მხოლოდ თურქეთი.

კვიპროსის რესპუბლიკაში ჯერაც მოქმედებს 1960 წლის კონსტიტუცია, რომლის მუხლები, სადაც ლაპარაკია ბერძნებისა და თურქების უფლებებზე, პრაქტიკულად უმოქმედოა. ჩრდილოეთ კვიპროსს 1985

წლიდან საკუთარი კონსტიტუცია აქვს, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მოდელზეა აგებული. *კუნძულის არც ერთი ნაწილის კონსტიტუციაში სახელმწიფო რელიგია ნახსენები არაა.*

2008 წლის აპრილიდან თითქოს გაჩნდა კვიპროსის ორ თემს შორის ურთიერთობათა დათბობის ნიშნები, როდესაც გაიხსნა ადრე ბლოკირებული გასასვლელი დედაქალაქ ნიკოსიაში და ბერძნებსა და თურქებს საშუალება მიეცათ ნორმალური ურთიერთობის აღდგენა დაეწყოთ.

მაგრამ საბოლოო პოლიტიკური მოწესრიგება ჯერ კიდევ შორსაა.

ქურთები რეგიონულ გეოპოლიტიკაში

ახლო აღმოსავლეთის იმ ეთნოსთა შორის, რომელთაც სახელმწიფოებრიობა არ გააჩნიათ, ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან ქურთები.

იმისათვის, რომ გავერკვეთ ქურთებთან დაკავშირებულ საკმაოდ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, საჭიროა გაკეთდეს მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ექსკურსი.

ქურთისტანს უწოდებენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის შიდა ნაწილში მდებარე მთიან მხარეს, რომელიც დაახლოებით 350 ათას კვ. კილომეტრს მოიცავს. აღმოსავლეთიდან ქურთისტანს ემიჯნება *ურმიის ტბა* (ირანში), სამხრეთიდან – *ალ-ჯაზირა* (სირიასა და ერაყში) და *მარდინის დაბალმთიანეთი* (თურქეთში), დასავლეთიდან (თურქეთში) – *აღმოსავლეთ ტავროსის ქედი.* ჩრდილოეთით (თურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიაში) ისტორიული ქურთისტანის საზღვარი ნაკლებ მკაფიოა. ერთსა და იმავე ტერიტორიას სხვადასხვა ისტორიულ წყაროში ხან „*არმენიას*“ უწოდებდნენ, ხანაც „*ქურთისტანს*“ (ვახუშტი ბატონიშვილი ამ უკანასკნელ ტერმინს იყენებდა).

ამ მთიან მხარეში უხსოვარი დროიდან მოსახლე მუსლიმი ქურთები XX საუკუნის მეორე დეკადამდე ოსმალეთის იმპერიის *ერზერუმის, ერზინჯანის, ვანის, მუშის, ბითლისის* ვილაიეთებში* შერეულად ცხოვრობდნენ ქრისტიან სომხებთან და ასირიელებთან, იეზიდ ქურთებთან და მუსლიმ თურქებთან ერთად. ოსმალეთის მთავრობის მიერ 1915-1918 წლებში განხორციელებული სომხების, აგრეთვე ასირიელებისა და იეზიდი ქურთების ეთნიკური წმენდის შემდეგ, მუსლიმმა ქურთებმა თურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიაში ფარდობითი უმრავლესობა შეადგინეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში კი *(დიარბაქირის, მარდინის, სიირთის, ჰაქიარისა* და სხვა ილები*) ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ. ირანის დასავლეთ პროვინციებსა და ჩრდილოეთ ერაყშიც (ისტორიული *მოსულის ვილაიეთი*) ქურთები მოსახლეობის უმრავლესობაა.

ნახ. 12.2 ქურთების გავრცელების ძირითადი არეალი



ქურთებმა ადრე მიიღეს ისლამი. მათი *დიდი ნაწილი სუნიტია*, თუმცა მათ შორის არიან *შიიტები (ალევიები), იეზიდები* და სექტა *აჰლ-ი ჰაკის* მიმდევრები (ე.წ. *ალი ილაჰი*).

ქურთების რაოდენობის ზუსტად დადგენა ჭირს იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ოფიციალური სტატისტიკა საერთოდ გვერდს უვლის ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის ქურთების, არსებობის ფაქტს.

XX საუკუნის ბოლოს 24-27 მილიონ ქურთს ვარაუდობდნენ [McDowall, 1996, 6], მათ შორის 12-13 მილიონს თურქეთში (ამ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის 17-19 პროცენტი), 5-6 მილიონს ირანში (8-10 პროცენტი), 3,5 მილიონს ერაყში (15 პროცენტი), 800 ათასს სირიაში (5 პროცენტი). 50-60 ათასამდე იეზიდი ქურთი იყო სომხეთის რესპუბლიკაში [Sela, 2002]. საქართველოში, მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ 18,3 ათასი ქურთი იეზიდი აღრიცხა. საკმაოდ ბევრი ქურთი იმიგრანტია ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიასა და შვედეთში, სადაც მათი რაოდენობა მილიონს აჭარბებს. მაღალი შობადობა ხელს უწყობს ქურთების რაოდენობის სწრაფ ზრდას.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულში ქურთების საერთო რაოდენობა ახლო აღმოსავლეთში, სავარაუდოდ, 31-32 მილიონზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მათი ძირითადი გამაერთიანებელია თვითსახელი „ქურთი" და არა ერთი ენა: ქურთები ლაპარაკობენ მრავალ, ერთმანეთისათვის გაუგებარ, დიალექტზე (ზოგი ლინგვისტი მათ *ქურთულ ენებადაც* კი მიიჩ-

ნევს). ძირითადი დიალექტებია *ქურმანჯი (ჩრდილოეთით), სორანი (სამხრეთით, მათ შორის ერაყის ქურთისტანში და ირანში) და ზაზა (თურქეთის აღმოსავლეთში, დერსიმის რაიონში). ქურმანჯი*, რომელზეც ქურთების სამი მეოთხედი ლაპარაკობს (თურქეთში, სირიაში, ნაწილობრივ – ირანსა და ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში), ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ასრულებს საერთო-ქურთული ლიტერატურული ენის ფუნქციას, თუმცა ამაში მას კონკურენციას უწევს სორანი. ქურმანჯი და ზაზა იყენებენ ანბანს ლათინური გრაფიკის, ხოლო სორანი – არაბული გრაფიკის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქურთები ხშირად მოიხსენიებიან ისტორიულ ქრონიკებში, ხოლო „ქურთისტანი" მდგრადი გეოგრაფიული ტერმინია, ქურთებს არასოდეს შეუქმნიათ უმაღლესი დონის პოლიტიკური ერთეული – სახელმწიფო. ქურთების წრიდან გამოდიოდნენ ცნობილი პოლიტიკური ლიდერები. აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მხედართმთავარი, მუსლიმებისათვის საამაყო გმირი სალადინი (*სალაჰ ად-დინი*), რომელმაც ჯვაროსნებისაგან გაათავისუფლა იერუსალიმი, წარმოშობით ქურთი იყო. სალადინმა ეგვიპტესა და დასავლეთ აზიაში სამეფო დინასტიაც კი შექმნა (*აიუბიანები*). მაგრამ მასაც არ შეუქმნია „ქურთული სახელმწიფო".

ქურთისტანის გარშემო ყოველთვის არსებობდა ურთიერთდაპირისპირებული ძლიერი იმპერიები (რომი-პართია, ბიზანტია-ირანი, ბიზანტია-სახალიფო, ოსმალეთი-სპარსეთი), რომლებიც ქურთისტანის ტერიტორიაზეც ეხლებოდნენ ერთმანეთს და ხშირად იყენებდნენ კარგად მეომარ ქურთებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის. არც ერთ იმპერიას არ სჭირდებოდა აქ ახალი სახელმწიფოს წარმოშობა.

XX საუკუნეში იყო რამდენიმე მცდელობა სხვადასხვა ტერიტორიაზე შეექმნათ ქურთული „სამეფოები" და „რესპუბლიკები", მაგრამ ყველა მათგანი უდღეური გამოდგა.

ტომობრივ დონეზე ქურთების სუბეთნიკური იდენტობა XXI საუკუნის დამდეგსაც კი იგრძნობოდა, როდესაც შეიხებს/ტომის ბელადებს (ახლა ისინი თავს „პარტიის ლიდერს" უწოდებენ!) შეეძლოთ ერთიმეორის ჯიბრზე მოსისხლე მტრისათვის დაეჭირათ მხარი, დამდგარიყვნენ ხან ირანის, ხან ერაყის, ხან თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების მხარეს და მეტოქე ქურთული ტომის („პარტიის") დამარცხებისათვის ხელი შეეწყოთ.

ქურთთა შეიხები ხშირად იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას. ასე მაგალითად, 1980-1988 წწ. ირან-ერაყის ომის დროს ირანის მხარეს იდგა *ჯალალ ტალაბანის* „ქურთისტანის პატრიოტული კავშირი", რომელიც ერაყშივე მოქმედი „ქურთული დემოკრატიული პარტიის" წინააღმდეგ იბრძოდა. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობს *მასუდ ბარზანი, რომელიც, თავის მხრივ, პერიოდულად თანამშრომლობდა თურქეთთან.*

შეიხები რელიგიურ საფუძველზე რაზმავდნენ თავიანთ ტომებს და თავს ხალიფას, სულტნის, შაჰის ნომინალურ ვასალად აცხადებდნენ. სიუზერენად ეს შეიხები ყოველთვის შორს მყოფ ხელისუფლებას ამჯობინებდნენ: შინაურ მღვდელს, როგორც ყველგან და ყოველთვის, შენდობა არც აქა აქვს!

ბოლო პერიოდის ურბანიზაცია, ქურთული ინტელიგენციის წარმოქმნა, რომელიც დასავლეთში განათლებამიღებულ საკმაოდ მრავალ პირსაც მოიცავს, უკეთეს პირობას ქმნის ერთიანი ეროვნული თვითშეგნებისა და ეთნონაციონალიზმის განვითარებისათვის, რაც შეიხების აქამდე ურყევი ავტორიტეტის შესუსტებასაც მოასწავებს.

ქურთებისათვის ყველაზე სერიოზული პრობლემაა მათი დანაწილება რამდენიმე ქვეყანაში.

პირველ მსოფლიო ომამდე ქურთები ორ სახელმწიფოში, ოსმალეთსა და სპარსეთში სახლობდნენ, ომის შემდეგ კი ისინი ახლო აღმოსავლეთის ოთხ სახელმწიფოში – თურქეთში, ირანში, ერაყსა და სირიაში – აღმოჩნდნენ განაწილებული. ამ სახელმწიფოებს არ უნდათ (და საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, არც შეუძლიათ დაუშვან) ქურთული სახელმწიფოს შექმნა, სხვა სახელმწიფოს ხარჯზეც კი, რათა მათთვის საშიში ირედენტიზმი* არ წარმოიშვას.

XX საუკუნეში ქურთები მრავალჯერ მოქცეულან მსოფლიო მასმედიის ყურადღების ცენტრში. ასე იყო XXI საუკუნის დამდეგსაც, როდესაც ამერიკის სამხედრო სარდლობამ ერაყში ომისათვის მზადებისას საჭიროდ მიიჩნია ჰყოლოდა შიდა მოკავშირე ერაყში. ამ თვალსაზრისით ამერიკის ბუნებრივ მოკავშირედ სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ მოჩანდა ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთული უმცირესობა, რომელიც მუდმივად იჩაგრებოდა ბაღდადის მიერ და ჰქონდა სერიოზული საბაბი, ძალიან უარყოფითად ყოფილიყო განწყობილი მმართველი რეჟიმის მიმართ, შესაბამისად კი – ყველაზე პროამერიკული ყოფილიყო ერაყის ეთნო-რელიგიურ თემებს შორის.

მაგრამ ქურთების მოკავშირეობა ამერიკასთან არ აღმოჩნდა ისეთი მარტივი საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. *ასეთი მოკავშირეობის პირობები მხოლოდ ორი მხარის გადასაწყვეტი არ ყოფილა.* ძალიან აქტიურად ჩაერთო ამ საკითხში ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მოკავშირე რეგიონში – თურქეთის რესპუბლიკა, რომლისთვისაც „ქურთების პრობლემა" ძალიან მტკივნეული თემაა.

თურქეთში 1925 წელს სასტიკად ჩაახშეს ქურთების ამბოხება აღმოსავლეთ ანატოლიაში. ის მიმდინარეობდა ქემალისტების სეკულარული რეფორმების წინააღმდეგ მიმართული ისლამური რეაქციის დროშის ქვეშ (ყოველ შემთხვევაში, ასე წარმოადგინა ის თურქულმა პროპაგანდამ). ამიტომაც ქურთთა ეს გამოსვლა ევროპაში სიმპათიით ვერ სარგებლობდა.

1984-1999 წლებში თურქეთის რესპუბლიკას მოუხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ (საერთაშორისო დონეზე მას ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ) სეპარატისტულ მოძრაობასთან *მუსტაფა ოჯალანის* მეთაურობით, რომლის დროსაც 30 ათასამდე ადამიანი დაიღუპა.

ანკარას მიაჩნდა, რომ ამ მოძრაობას, რომელიც მარქსისტულ იდეოლოგიას ეყრდნობა, თანაუგრძნობდა და თავიდან ეხმარებოდა საბჭოთა კავშირი. ამას რუსული წყაროებიც ადასტურებენ [Партизаны].

ბოლო დრომდე თურქეთში ოფიციალურ დონეზე ქურთების სახელის ხსენებაც არ შეიძლებოდა: ისინი ჯერ *„მთიელ თურქებად“*, შემდეგ კი *„აღმოსავლეთის თურქებად“* იწოდებოდნენ.

2002 წლის 3 აგვისტოს *თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ* (პარლამენტმა) ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: შეარბილა აკრძალვა ქურთულ ენაზე სწავლებისა და რადიოსა და ტელევიზიაში გადაცემების შესახებ და ამით *de facto* ცნო ქურთული ენისა და, შესაბამისად, ქურთი ხალხის არსებობა თურქეთის ტერიტორიაზე. 2009 წელს თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიამ გახსნა 24-საათიანი ტელეარხი ქურთულ ენაზე. 2010 წლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც ქურთები უმრავლესობაა, დაიწყეს ქურთულ-თურქულად შედგენილი ქორწინების მოწმობების გაცემა, დასახლებული პუნქტებისა და გზის მიმართულების ორ ენაზე მითითება. ეს თურქეთის მმართველი *სამართლიანობისა და განვითარების პარტიის* ლიბერალური დამოკიდებულების მაჩვენებელია, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. ამავე დროს, ანკარა, ალბათ, არ დაუშვებს ქურთების ტერიტორიულ ავტონომიას თავის ქვეყანაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსკოვის ფარული დახმარებით *ირანში* შეიქმნა „ირანის ქურთთა დემოკრატიული პარტია“ და 1946 წლის იანვარში გამოცხადდა ქურთების რესპუბლიკა ქ. მეჰაბადში (ე.წ. *„მეჰაბადის რესპუბლიკა“*), რომელმაც მოითხოვა ავტონომია ირანის ფარგლებში. როდესაც საერთაშორისო ზეწოლამ აიძულა საბჭოთა კავშირი, 1946 წლის მაისში გასულიყო ირანიდან, შაჰის მთავრობამ სისხლში ჩაახრჩო „მეჰაბადის რესპუბლიკა“, რომლის სამხედრო ძალების მეთაური *მუსტაფა ბარზანი* ორი ათას მებრძოლთან და მათ ოჯახებთან ერთად საბჭოთა კავშირში გაიქცა. 1950-იან წლებში *მუსტაფა ბარზანი* თავის რაზმთან ერთად, რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა საბჭოთა კავშირში, გადაისროლეს ერაყში, სადაც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1958 წელს ერაყის მონარქიის დამხობაში, შემდეგ კი ერაყის ქურთისტანის ავტონომიისათვის იბრძოლა.

ირანის ისლამური რევოლუციის წინ, 1978 წელს, *აიათოლა ხომეინი* არაერთხელ იმეორებდა, რომ არ არსებობს განსხვავება შიიტებსა და სუნიტებს შორის, რაც ქმნიდა ილუზიას, რომ მომავალში იგი ყურს

ათხოვებდა [სუნიტი] ქურთების პრობლემას ირანში.

თუმცა ხომეინი არასოდეს დაჰპირებია ქურთებს ავტონომიას, მათი ლიდერები, თავიანთი წვლილის გამო რევოლუციის გამარჯვებაში, მაინც ელოდნენ, რომ თეირანი მისცემდა მათ ეთნიკური ავტონომიის შექმნის უფლებას.

მაგრამ 1979 წლის კონსტიტუციით ირანის ისლამური რესპუბლიკა უნიტარულ სახელმწიფოდ გამოცხადდა, რამაც ქურთების დიდი იმედგაცრუება გამოიწვია.

ამავე დროს, ირანის კონსტიტუციის მე-15 მუხლით *„ნებადართულია სპარსულ ენასთან დამატებით რეგიონული და ტომობრივი ენების* [მათში ქურთული დიალექტებიც იგულისხმება: რ.გ.] *გამოყენება მასმედიის მიერ, ისევე, როგორც სკოლაში მათი ლიტერატურის სწავლებისათვის“*.

სირიაში ქურთების (ამჟამად, სავარაუდოდ, 1,5 მილიონი) საკითხი ჯერჯერობით არ დამდგარა ისე მწვავედ, როგორც მეზობელ ერაყში: ქურთები ტერიტორიულ ავტონომიაზე ხმამაღალ პრეტენზიას არ აცხადებენ. ადგილობრივი ქურთული ნაციონალიზმი დიდხანს არ სცდებოდა მოთხოვნებს ფაქტობრივი სამოქალაქო თანასწორობის დამყარებისა და ეთნიკურ საფუძველზე დისკრიმინაციის მოსპობის შესახებ: ქურთულ ენაზე საუბარიც კი სირიაში აკრძალულია. 2011 წელს სირიაში რევოლუციური გამოსვლების დროს, ქურთების მოთხოვნები მეტი პოლიტიკური უფლებების შესახებ უკვე დღის წესრიგში დადგა. დამასკომ მიანიჭა მოქალაქეობა დაახლოებით 100 ათას ქურთს, რასაც იქამდე არ აძლევდა მათ.

1925 წლის დეკემბერში *ერთა ლიგის* საბჭომ ერაყს მიაკუთვნა *მოსულის ვილაიეთი* იმ პირობით, რომ ბადადის მთავრობა *„აღიარებდა უმცირესობათა ეროვნულ განსხვავებულობასა და თვითშეგნებას“*.

ერაყის მმართველი რეჟიმები ბრიტანეთიდან, აშშ-დან, საბჭოთა კავშირიდან პერიოდული ზეწოლის გამო ცნობდნენ ხოლმე *ჩრდილოეთ ერაყში ქურთული უმცირესობის სამოქალაქო უფლებებს*. ერთდროულად ბაღდადი (ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინამდე და, კიდევ უფრო მეტად, მის დროს – 1979-2003 წლებში) ცდილობდა ამ ეთნიკური უმცირესობის დემოგრაფიული როლის დაკნინებას ქურთისტანის არაბიზაციის გზით: არაბები ჩაასახლეს *ქირქუკში, ხანაკინში, სინჯარში, მახმურში* და სხვა ქალაქებში.

XXI საუკუნის დამდეგის გეოპოლიტიკურ გათვლებში *ერაყის* ქურთებს სხვებზე მეტი ყურადღება ეთმობოდა. ქურთებმა ამ ტერიტორიაზე შექმნეს ფაქტობრივი ავტონომიური ერთეული. იქ რეგიონული პარლამენტიც კი არსებობდა, რომელიც 1994 წელს დაიშალა, მაგრამ 2002 წლის სექტემბერში, ბაღდადის დაუკითხავად, აღდგა. ქურთთა მეტოქე ფრაქციები შერიგდნენ და ავტონომიის უფლება მოითხოვეს, რამაც შეშფოთება გამოიწვია ანკარაში, სადაც კარგად ესმით, რომ

„ავტონომიზაცია“ თითქმის ყოველთვის არის „სუვერენიზაციის“ პირველი ეტაპი.

ანკარას აშინებს, რომ ერაყში ქურთების ოფიციალური ავტონომიის შექმნა გადამდები მაგალითი იქნება თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონებში მცხოვრები მილიონობით ქურთისათვის [Filkins, 2003]. ანალოგიური შიში აქვს ირანსაც.

ერაყში ომისა და მისი ოკუპაციის პერიოდში აშშ-ის ადმინისტრაციას უხდებოდა თავისი ძველი და მეტად მნიშვნელოვანი მოკავშირის – თურქეთისა და ახალი მოკავშირის – ერაყელი ქურთების ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების გათვალისწინება. ამას *პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორიც* განაპირობებდა. 2003 წელს, ერაყში ომის დაწყებისას, ერაყის ქურთისტანთან დაკავშირება ამერიკელებს შეეძლოთ მხოლოდ თურქეთის გავლით (ამ ტერიტორიის სხვა მეზობლები არიან სირია და ირანი, რომლებთანაც აშშ-ს გართულებული ურთიერთობა აქვს). ანკარა დიდი ეჭვით უყურებდა ამერიკულ-ქურთულ ურთიერთობებს და აფრთხილებდა ვაშინგტონს, რომ ის არ დაუშვებდა ერაყის დაშლას და ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნას.

ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო ძალების მიერ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ (2003 წ.), რაშიც ქურთებიც მონაწილეობდნენ, ***ერაყის ქურთისტანში 40 ათას კვ. კმ ფართობზე შეიქმნა ფაქტობრივი ავტონომია („ქურთისტანის რეგიონი“) დედაქალაქით ერბილში*** (ქურთულად – *ჰავლერ*), რომელიც ერაყში ყველაზე მოწესრიგებული მხარე გახდა. ქურთული სამხედრო ნაწილები (*ფეშმერგა*) საკმაოდ დიდია და დისციპლინირებული. 2005 და 2009 წლებში ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტად აირჩიეს *მასუდ ბარზანი* (ზემოხსენებული *მუსტაფა ბარზანის* ვაჟიშვილი).

ქურთები ღებულობენ ზომებს, რომ მოხდეს ნავთობის საბადოების მქონე ქ. *ქირქუკისა* და მისი შემოგარენის ხელახალი „ქურთიზაცია“, იქიდან არაბების გამოდევნის გზით.

თურქეთი კი აიარაღებს და წვრთნის ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე და ქ. ქირკუკის ირგვლივ მცხოვრებ თიურქულენოვან უმცირესობას – *თურქმენებს*, რომელთა დაცვა კარგი საბაბია ანკარისათვის, თვალი ეჭიროს ჩრდილოეთ ერაყზე.

ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, ქურთისტანის რეგიონი არ ითხოვს დამოუკიდებლობას და ერთიანი ერაყის ნაწილად აცხადებს თავს. მეტიც, ქურთების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი *ჯალალ ტალაბანი* 2006 და 2010 წლებში ერაყის პრეზიდენტად აირჩიეს: მას ძირითადად წარმომადგენლობითი ფუნქცია აკისრია.

ახლო აღმოსავლეთის ცვალებადი გეოპოლიტიკის ფონზე არ არის გამორიცხული, რომ ქურთებმა ავტონომიაზე მეტიც მოითხოვონ.

ერაყი ომებში

1958 წლამდე ერაყი იყო პროდასავლური რეჟიმის მქონე „ზომიერი საპოლიციო სახელმწიფო". მრავალკონფესიურობისა და მრავალეთნიკურობის პირობებში ქვეყანას მართავდა უმცირესობის – სუნიტი არაბების – ელიტა, რისი ტრადიციაც ჯერ კიდევ ბრიტანული მანდატის დროიდან დამკვიდრდა. 1955 წელს ერაყი შეუერთდა იმ დროს დაარსებულ *ბაღდადის პაქტს*, რომელშიც ასევე შევიდნენ დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, ირანი და პაკისტანი.

1958 წელს ერაყის არმიის რადიკალურმა ოფიცრებმა (სუნიტებმა) მოახდინეს რევოლუცია, მოკლეს ახალგაზრდა მეფე *ფაისალ II*, ჩამოახრჩეს პრემიერ-მინისტრი *ნური ას-საიდი*, გამოაცხადეს რესპუბლიკა და გამოიყვანეს ერაყი *ბაღდადის პაქტიდან*.

ერაყის ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან მკვეთრად გაფუჭდა, რითაც ისარგებლა საბჭოთა კავშირმა და მას შემდეგ თანამშრომლობდა ბაღდადის ცვალებად რეჟიმებთან „ანტიიმპერიალისტურ" ბაზაზე.

მალე ჩრდილოეთში დაიწყო ქურთთა აჯანყებები. ბაღდადში პოლიტიკური არასტაბილურობა გამეფდა, ხშირი იყო გადატრიალებები. ხელმძღვანელობის ძალადობრივი შეცვლა 1968 წელს მმართველად ქცეული პარტია *ბაას*[1]-ის შიგნითაც კი ხდებოდა. ყველა ახალი ლიდერი სუნიტი არაბი იყო: დაქვემდებარებულ ელემენტს წარმოადგენდნენ შიიტი არაბები – სამხრეთით და ქურთები – ჩრდილოეთით.

გადატრიალებების სერია დამთავრდა *სადამ ჰუსეინის* (ისიც სუნიტი იყო) რეჟიმის დამყარებით (1979-2003), რომელმაც რკინის ხელით დაიწყო ქვეყნის მართვა.

სადამის მმართველობის პირველ წლებში, ნავთობზე ფასების მატების წყალობით, ერაყში აღინიშნებოდა სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ვითარდებოდა ინფრასტრუქტურა, უმჯობესდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, საბინაო პირობები. სახელმწიფო მოხელეთა ხელფასები და პენსიები ზოგიერთი ევროპული ქვეყნისას უახლოვდებოდა.

მაგრამ იმავე სადამმა ჩაითრია ქვეყანა საგარეო-პოლიტიკურ ავანტიურებში და საბოლოოდ დაიღუპა თავი, დაღუპა თავისი პარტიაც და დიდი საფრთხის წინაშე დააყენა ერაყის სუნიტური მოსახლეობა.

1980 წლის 22 სექტემბერს ერაყი თავს დაესხა მეზობელ ირანს.

---

1. *არაბული სოციალისტური აღორძინების პარტია* (შემოკლებით *ბაას*-ი) შეიქმნა 1947 წელს სირიაში *მიშელ აფლაკისა* და *სალაჰ ად-დინ ბითარის* მიერ. იგი თავს საერთო-არაბულ, სეკულარულ პარტიად აცხადებს: ამის გამო მას პყავს როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი წევრები. პარტია წარმოდგენილია ზოგ არაბულ ქვეყანაში (სირია, ერაყი, ლიბანი, იორდანია). ერთი მისი რეგიონული ორგანიზაცია 1963 წლიდან მართავს სირიას, ხოლო სხვა – 1968 წლიდან 2003 წლის აპრილამდე მართავდა ერაყს. სირიისა და ერაყის *ბაას*-ის რეგიონული ორგანიზაციები (და, შესაბამისად, პრეზიდენტები) ერთმანეთთან მძაფრად მეტოქეობდნენ: ამ ქვეყნებს დიდი ხნის განმავლობაში დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ პქონდათ.

საბაბად სადამ ჰუსეინმა გამოიყენა ირანის უარი *აღდგენილიყო საზღვარი მდინარე შატ ალ-არაბის ზონაში*. აღსანიშნავია, რომ სულ ხუთი წლით ადრე, 1975 წელს, ერაყმა და ირანმა ხელი მოაწერეს საზღვრის ამ მონაკვეთის დელიმიტაციის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საზღვარი მდინარის *ტალვეგს* (შუახაზს) უნდა გაჰყოლოდა. მანამდე, ოსმალეთ-სპარსეთის საზღვრის დელიმიტაციის 1913 წლის კონსტანტინოპოლის პროტოკოლით, საზღვარი ძალიან არახელსაყრელი იყო ირანისათვის, რადგან უშუალოდ მის ნაპირთან გადიოდა [Schofield, 1994a, 160]. სადამ ჰუსეინი კი ძველი საზღვრის აღდგენას მოითხოვდა.

სადამ ჰუსეინმა, რომელსაც მძაფრი *პერსოფობია* (ანტისპარსული განწყობა) ახასიათებდა, გადაწყვიტა ესარგებლა ირანის ფარდობითი სისუსტით, იქ წლინახევრის წინ მომხდარი რევოლუციის შემდეგ ირანის არმიის დემორალიზაციით. ბაღდადის ცუდად შეფარული მიზანი იყო ირანის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციის, ნავთობით მდიდარი *ხუზესთანის* ანექსირება, რომელიც ძირითადად შიიტი არაბებითაა დასახლებული.

ერაყ-ირანის ომის დროს (1980-1988) ბაღდადის რეჟიმმა რამდენჯერმე გამოიყენა 1925 წლის *ჟენევის პროტოკოლით* აკრძალული ქიმიური იარაღი როგორც ირანის არმიის, ისე საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ: ფართოდ გახმაურდა პატარა ქალაქ *ჰალაბჯას* (ერაყის ქურთისტანი) თითქმის მთელი მოსახლეობის მომწამლავი გაზით განადგურება 1988 წელს.

არსებობდა ვარაუდი, რომ ერაყმა დაიწყო ნაბიჯების გადადგმა საკუთარი ბირთვული იარაღის შესაქმნელად და რომ 1975 წლიდან საფრანგეთის ტექნიკური დახმარებით მშენებარე მსუბუქი წყლის ატომური რეაქტორი ხელს შეუწყობდა ამ მიზნის განხორციელებას.

1981 წლის 17 ივნისს, ირან-ერაყის ომის დროს, ისრაელის რვა თვითმფრინავი ფარულად შეიჭრა ერაყის საჰაერო სივრცეში (ამისათვის მათ იორდანიისა და საუდის არაბეთის საჰაერო სივრცე დაარღვიეს) და ძირფესვიანად გაანადგურა ბირთვული საწვავის ჩასატვირთად გამზადებული რეაქტორი *„თამუზ-1“* (*ოსირაკი*). ისრაელის ეს ქმედება გაერომ და ამერიკამაც მკაცრად დაგმეს. ისრაელში კი ამტკიცებენ, რომ ამ აქციის წყალობით ათი წლის შემდეგ, როდესაც საერთაშორისო კოალიციას მოუხდა ბრძოლა ერაყის მორიგი აგრესიის წინააღმდეგ, სადამ ჰუსეინს არ აღმოაჩნდა ბირთვული იარაღი.

შემდგომში გამოაშკარავებული საიდუმლო დოკუმენტები მოწმობს, რომ 1982 წლიდან, როდესაც ირანმა ძალები მოიკრიბა და ერაყის წინააღმდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა, დასავლეთის ქვეყნები ეხმარებოდნენ ერაყს სადაზვერვო ინფორმაციით და ხელს არ უშლიდნენ, შეეძინა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კომპონენტები [Dobbs, 2002]. ომის პერიოდში, კერძოდ 1983 წელს, ვაშინგტონმა აღადგინა დიპლო-

მატიური ურთიერთობა ერაყთან და მომდევნო წელს დანიშნა ელჩი ბაღდადში.

მიდგომა ტრადიციული realpolitik*-ის პოზიციიდან – *„ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“* – დასავლეთს საბაბს აძლევდა თვალი დაეხუჭა სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის ქცევაზე ქვეყნის გარეთ და შიგნით, რადგან კიდევ უფრო საშიშად მიაჩნდა ისლამური ირანის რეჟიმი.

როგორც მაშინდელმა ამერიკის ელჩმა *დევიდ ნიუტონმა* მოგვიანებით მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: *„ჩვენ დაინტერესებული ვიყავით, რომ ერაყს არ წაეგო ომი ირანთან, რათა ამას არ შეექმნა საფრთხე საუდის არაბეთისა და* [სპარსეთის] *ყურის ქვეყნებისათვის. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სადამის მთავრობა ნაკლებ რეპრესიული და უფრო პასუხისმგებელი გახდებოდა“* [Dobbs, 2002].

1982 წლიდან საბჭოთა კავშირმაც განაახლა საგრძნობი სამხედრო დახმარება ერაყისათვის [Васильев, 1993, 140]. მოსკოვს დიდი ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა მის ნავთობმოპოვებით მრეწველობაში. სადამ ჰუსეინის რეჟიმის არსებობის ბოლო პერიოდისათვის ერაყის ვალი საბჭოთა კავშირის/რუსეთისათვის რვა მილიარდ დოლარს შეადგენდა (პროცენტების გარეშე).

ომის დროს საუდის არაბეთი და ქუვეითი უხვ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ *მოძმე არაბულ ერაყს*, მაგრამ, როგორც მალე გაირკვა, სადამ ჰუსეინმა უმადურობა გამოიჩინა.

ერაყ-ირანის ომი 1988 წელს უშედეგოდ დამთავრდა. აღდგა *status quo*: საზღვარი უცვლელი დარჩა.

სადამ ჰუსეინმა კი არ შეწყვიტა საგარეო ავანტიურიზმი. 1990 წლის 2 აგვისტოს იგი თავს დაესხა მეზობელ *ქუვეითს* და სასწრაფოდ შეიერთა ის, როგორც „ერაყის მე-19 პროვინცია“.

ომის საბაბად მან გამოიყენა დავა შატ ალ-არაბის შესართავთან მდებარე კუნძულების, *ბუბიანისა* და *ვარბას* ირგვლივ, რომლებსაც ქუვეითი ფლობს. იქამდე ერაყი უშედეგოდ ითხოვდა ქუვეითისაგან ამ უდაბური კუნძულების დათმობას (დაუზუსტებელი ტერიტორიული კომპენსაციის საფასურად) ან მათ ხანგრძლივვადიან იჯარას (ნახ. 12.3)

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კუნძულები XXI საუკუნეშიც არის განხეთქილების ვაშლი ერაყ-ქუვეითის ურთიერთობაში: ქუვეითი, რომელსაც საზღვაო პორტები არ აკლია, სასწრაფოდ აშენებს ბუბიანის ჩრდილოეთ ნაწილში დიდ ნავსადგურს. ის 2016 წელს გაიხსნება და პრაქტიკულად, დაბლოკავს ერაყის ისედაც ვიწრო გასავლელს ღია ზღვაში. ეს ქმნის ერაყის საზოგადოების ანტიქუვეითურ განწყობას, რაც შესაძლოა, მომავალში ახალი კონფლიქტის საფუძველი გახდეს [Stracke, 2011].

ნახ. 12.3. ერაყისა და ქუვეითის მოსაზღვრე რაიონები



არსებობს ინფორმაცია, რომ ამერიკის ელჩმა ბაღდადში იცოდა სადამ ჰუსეინის გეგმა ქუვეითთან დაკავშირებით, მაგრამ თეთრმა სახლმა დროული დიპლომატიური რეაგირება არ მოახდინა.

ქუვეითზე თავდასხმისთანავე დასავლეთის ადრე გულკეთილი დამოკიდებულება სადამ ჰუსეინის მიმართ უმალ რადიკალურად შეიცვალა.

ერაყის საგარეო პოლიტიკის პრეცედენტი (თავდასხმა ირანზე) უეჭველს ხდიდა, რომ ირანზე ბევრად უფრო სუსტი ქუვეითის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია სპარსეთის ყურის სხვა არაბული ქვეყნების დაპყრობის პრელუდია შეიძლებოდა გამხდარიყო.

გაჩნდა შიში, რომ ერაყის მმართველი სულ მალე საუდის არაბეთსაც დაიპყრობდა. სპარსეთის ყურის მცირე ქვეყნების დაკავებას, ალბათ, სულაც უომრად მოახდენდა. ეს კი ბაღდადს დედამიწის ნავთობის მარაგის ნახევრის გამგებლად გახდიდა. ამის შემდეგ მას შეეძლებოდა თვითონ განესაზღვრა ნავთობის ფასი. მსოფლიო ეკონომიკის ცენტრებისათვის ეს გამოწვევა იყო.

ძირითადად ასეთი პერსპექტივის საფრთხე და არა *„დაჩაგრული ქუვეითის განთავისუფლების“* ალტრუისტული წყურვილი ამოძრავებდა დასავლეთს და რეგიონის არაბული ქვეყნების მთავრობებს.

უკვე 1990 წლის აგვისტოში *ამერიკის შეერთებულმა შტატებმა* შედარებით ადვილად შექმნა დიდი კოალიცია, რომელშიც ინდუსტრიული ქვეყნების გარდა *ბევრი არაბული ქვეყანაც* შევიდა. საუდის არაბეთმა, სულ ცოტა ხნით ადრე ერაყის მხარდამჭერმა, თავისი ტერიტორია დაუთმო კოალიციის სამხედრო ბაზებს.

თურქეთის მონაწილეობა კოალიციაში უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ არ დაეშვა დასავლეთის ძალების მეტისმეტი შეტოპვა და ერაყის დაშლა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ქურთისტანის სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნა (იხ. ქვეთავი „ქურთები რეგიონულ გეოპოლიტიკაში").

პოლიტიკურ კრიზისში მყოფი *საბჭოთა კავშირი* არ შეუერთდა სამხედრო კოალიციას, მაგრამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და არ შეუშალა ხელი ერაყის წინააღმდეგ ზომების მიღებას.

ცივი ომის დროს, *ანუ 1946-1989 წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის დაპირისპირება პერიოდულად უახლოვდებოდა ხოლმე ბირთვული ომის მიჯნას, სადამ ჰუსეინს მეტი შანსი ექნებოდა მიეღო თავისი ავანტიურის მხარდაჭერა ჩრდილოეთიდან.*

აშშ-ის დაჟინებული მოთხოვნით *ისრაელმა* არ მიიღო მონაწილეობა ერაყის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებაში. ეს გაკეთდა იმის გამო, რომ კოალიციის წევრი არაბული ქვეყნებისათვის, რომლებიც ისრაელს არ ცნობენ, მიუღებელი იქნებოდა მასთან ერთად ბრძოლა სხვა არაბული ქვეყნის წინააღმდეგ. ერაყის რეჟიმმა კი იმისათვის, რომ მოეხდინა ისრაელის პროვოცირება საპასუხო დარტყმისთვის და ამით კოალიცია დაეშალა, *თელ-ავივის აგლომერაციას* „სკადის" ტიპის რაკეტები დაუშინა (ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური იარაღის ნაცვლად, რისი შიშიც არსებობდა, მათში ბეტონი იყო ჩასხმული, რომელიც ვერც აფეთქდებოდა; 39 რაკეტიდან მიზანს მხოლოდ ექვსმა მიაღწია, დანარჩენი ზღვაში ჩავარდა ან უშენ ადგილს დაეცა; მსხვერპლი ერთი ადამიანი იყო). ისრაელის მთავრობა არ აჰყვა პროვოკაციას, რითაც კოალიციის შენარჩუნებას შეუწყო ხელი.

ამერიკის მეთაურობით 1991 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებულმა ოპერაცია *„უდაბნოს ქარიშხალმა"* სწრაფად გაათავისუფლა ქუვეითი. მოკავშირეები შეიჭრნენ ერაყში. მაგრამ კოალიციის არმია ბაღდადიდან დაშორებით შეჩერდა.

პრეზიდენტ *ჯორჯ ბუშის* (უფრ.) ადმინისტრაციის ამ თავშეკავებას მხოლოდ ერთი ლოგიკური ახსნა თუ მოეძებნება: *მას არ უნდოდა რეგიონში მომხდარიყო მკვეთრი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება,* ვინაიდან ერაყის მეზობელ ირანთან ამერიკას კიდევ უფრო მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. ბაღდადის აღებას კი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ერაყის დაშლა და სხვა გაუთვალისწინებელი შედეგები.

იმავე 1991 წელს გაერომ ერაყს დაუწესა ეკონომიკური სანქციები. ჩრდილოეთის განედის 33-ე პარალელის სამხრეთით და 36-ე პარალელის

ჩრდილოეთით ერაყის სამხედრო ავიაციას აეკრძალა ფრენა. ეს გაკეთდა ბაღდადის რეჟიმის მიმართ ოპოზიციური ქურთებისა და სამხრეთში მცხოვრები შიიტი, ე.წ. „ჭაობის არაბების" ჰაერიდან დასაცავად. მაგრამ სახმელეთო ოპერაციებს ამ რეგიონებში გაერო ვერ აკონტროლებდა. ამიტომაც უშუალოდ „სპარსეთის ყურის ომის" შემდეგ დასავლეთის მიერ წაქეზებული ქურთებისა და „ჭაობის არაბების" აჯანყებები სადამ ჰუსეინმა ადვილად ჩაახშო ისე, რომ მოკავშირეებისაგან რეალური დახმარება აჯანყებულებს არ მიუღიათ.

1990-იან წლებში სამხრეთ ერაყში ჭაობების დაშრობით ბაღდადმა მკვეთრად შეცვალა ეკოლოგიური ვითარება და ადგილობრივი რეჟიმისათვის არასანდო მოსახლეობის მიგრაციას შეუნყო ხელი.

2003 წლის გაზაფხულზე ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო ოპერაციის – *„თავისუფლება ერაყს"* – ჩატარებისას მოკავშირეებს უკვირდათ, თუ რატომ არ ხვდებიან მათ ყვავილებით ხელში სამხრეთ ერაყის განთავისუფლებული შიიტი არაბები. ამის ასახსნელად ამერიკელმა აღმოსავლეთმცოდნემ, *ბერნარდ ლიუისმა*, თანამემამულეებს 1991 წლის ამბები შეახსენა: *„არა აქვს გამართლება – თუმცა ზოგი ცდილობს ამას – იმ ხალხის მიტოვებას, ვინც ჩვენ თვითონ წავაქეზეთ ასაჯანყებლად. ჩვენმა ერაყელმა მეგობრებმა... ეს ღალატად მიიჩნიეს. ამან დატოვა, სულ ცოტა, უნდობლობისა და ეჭვის მემკვიდრეობა"* [Lewis, 2003].

გაეროს სანქციებმა საგრძნობლად დაასუსტა ერაყის სამხედრო პოტენციალი და მისი საფრთხე რეგიონისათვის შემცირდა. ამასთან, არსებობდა ეჭვი, რომ რეჟიმი ცდილობს სამხედრო ძლიერების აღდგენას, მათ შორის *მგი*-ს შექმნითაც. სადამ ჰუსეინის უპასუხისმგებლო საომარი რიტორიკა, უპირველესად გათვლილი „შიდა მოხმარებაზე", ასეთ ეჭვებს აძლიერებდა.

ახალი ეტაპი ამერიკა-ერაყის ურთიერთობაში XXI საუკუნის დამდეგიდან დაიწყო.

2001 წლის 11 სექტემბერს ისლამური ტერორისტული ქსელის „ალ-კაიდას" მიერ ორგანიზებული უმძიმესი თავდასხმა მოხდა ამერიკის ქალაქებზე – ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე. საკმაოდ მალე ტერორიზმის მსხვერპლად იქცა სხვა ქვეყნების (ინგლისი, ესპანეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, თურქეთი) მშვიდობიანი მოსახლეობა, იქ ჩასული ტურისტები. ამის საპასუხოდ *თეთრმა სახლმა დაგეგმა ტერორიზმის მხარდამჭერი რეჟიმების აღმოფხვრა.* „ტერორიზმთან ომი" სავსებით გასაგები და მისაღები რეაქცია იყო მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობისათვის. გაგებით იქნა აღქმული ტერორისტული ქსელის, ე.წ. „ალ-კაიდას" ხელმძღვანელების დევნა ავღანეთის ტერიტორიაზე და მათი მხარდამჭერი *თალიბების* რეჟიმის დამხობა 2001 წლის ბოლოს (სხვა საქმეა, რამდენად ეფექტიანი იყო შემდგომი პოლიტიკა ავღანეთში, რომლის განხილვაც ამ წიგნის სფეროს არ განეკუთვნება).

2002 წელს ამერიკის 43-ე პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა* (უმცრ.) ამერიკისა და მსოფლიოს მტრებად დასახა ის ქვეყნები, სადაც, მისთვის მიწოდებული სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად, ტარდებოდა მუშაობა *მასობრივი განადგურების იარაღის* (*მგი*) საწარმოებლად და რომლებიც ხელს უწყობდნენ საერთაშორისო ტერორიზმს. *„ბოროტების ღერძად" ამერიკის პრეზიდენტმა დაასახელა ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა.* არადა, ერაყი და ირანი ერთმანეთთან არც თანამშრომლობდნენ და ვერც „ღერძს" (ანუ ალიანსს) შექმნიდნენ.

აშშ-ის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ *მგი*-ს ფლობით ან მისი წარმოებისათვის მზადებით, ერაყის დიქტატორული რეჟიმი ემუქრებოდა როგორც რეგიონის სახელმწიფოების, ისე ამერიკის უსაფრთხოებას.

2002 წლის 8 ნოემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო 1441-ე დადგენილება, რომლის თანახმადაც ერაყში *მგი*-ს საცავების აღმოსაჩენად გაიგზავნა ექსპერტების ჯგუფი *ჰანს ბლიქსის* ხელმძღვანელობით. ოთხთვიანმა ინსპექციამ ვერ დაადასტურა იქ *მგი*-ს არსებობა.

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები არ ენდნენ გაეროს ინსპექტორების დასკვნას. ამერიკულმა პროპაგანდამ ქვეყნის მოქალაქეების უმრავლესობა დაარწმუნა, რომ „9/11"-ის ტერორისტული აქტები ერაყში მზადდებოდა (სინამდვილეში ტერორისტები წარმოშობით საუდის არაბეთიდან და ეგვიპტიდან იყვნენ). პრეზიდენტმა ბუშმა და პრემიერ-მინისტრმა ბლერმა იმდენად სერიოზულად წარმოადგინეს სადამ ჰუსეინის რეჟიმის საფრთხე მსოფლიოსათვის, რომ სამხედრო წესით მისი მოშორება დასაშვები გამოჩნდა. ანტიერაყულ კოალიციაში შევიდა 30-ზე მეტი სახელმწიფო, მათ შორის ესპანეთი, იტალია, ავსტრალია, ქუვეითი, კატარი და ა.შ. „პოსტსაბჭოთა სივრციდან" კოალიციას შეუერთდნენ *სუუამ*-ის ქვეყნები – უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი (ეს უკანასკნელი მალე გამოეთიშა), მოგვიანებით – სომხეთი.

ამასთან, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, ისევე როგორც გაეროს უშიშროების საბჭო, გაყოფილი აღმოჩნდა. საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, ჩინეთის, თურქეთის, არაბული ქვეყნების უმრავლესობის მთავრობებმა და მოსახლეობამაც „ერაყის განიარაღებისათვის" სამხედრო მეთოდის გამოყენება მიუღებლად მიიჩნიეს.

შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: სადამ ჰუსეინს, ვისი წასვლაც ქვეყნის სათავიდან ერაყელების უმრავლესობასაც არ დაამწუხრებდა, ფაქტობრივად მხარში ამოუდგა პაციფისტურად განწყობილი მასა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთშიც, იმართებოდა, მასობრივი აზრით, „უკანონო ომის" საწინააღმდეგო დემონსტრაციები, ზოგან ერთდროულად მილიონამდე ადამიანის მონაწილეობით.

არაბული ქვეყნების საზოგადოებრივ აზრში ანტიამერიკანიზმმა

დაისადგურა. „არაბული ქუჩის" მწვავე რეაქცია ახსნა ცნობილმა პალესტინელმა მწერალმა *ნასერ ად-დინ ნაშაშიბიმ* ისრაელის გაზეთ „The Jerusalem Post"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში:

„არაბები მხარს უჭერენ სადამ ჰუსეინს არა იმის გამო, რომ მათ დესპოტური მმართველები უყვართ, არამედ იმის გამო, რომ მან ხალხს სიამაყის გრძნობა შესძინა ამერიკასთან [კონფრონტაციაში] არაბული ინტერესების დაცვით... არაბ ხალხებს უნდათ დემოკრატია, მათ უნდათ მოდერნიზაცია, მაგრამ არ უნდა ველოდოთ, რომ ისინი თავიანთ საზოგადოებებს 24 საათის განმავლობაში გარდაქმნიან და ისიც ფრთოსანი რაკეტებით დაბომბვის ქვეშ... სადამ ჰუსეინისნაირი ხალხი ხარობს პალესტინელთა გაჭირვებაზე, ისინი აგრეთვე იყენებენ განუვითარებლობის პრობლემას, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებულ დიდ განსხვავებას, მთელი ახლო აღმოსავლეთის განვითარების საჭიროებას. თქვენ რომ ამ პრობლემების, ამ გაჭირვების მოსპობა შეგეძლოთ, მაშინ თქვენ აღმოფხვრიდით სადამისნაირი ხალხის ხელმძღვანელობაში მოსვლის საშუალებასაც" [Abu Toameh, 2003].

როდესაც პოლიტოლოგები ომის წინ მსჯელობდნენ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო აქციის განხორციელებაზე, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ერაყის არაჩვეულებრივ სიმდიდრეს ნავთობის რესურსებით, რომლის კონტროლი დიდ გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ უპირატესობას იძლევა. არაბულ ქვეყნებში ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ერაყში ომის ძირითადი მიზანი იყო ნავთობის რესურსების ხელში ჩაგდება (იორდანიაში, მაგალითად, ასე ფიქრობდა მოსახლეობის 83 პროცენტი [Banerjee, 2003]).

მართლაც, ერაყში შესული მოკავშირეთა არმიები ძალიან ზრუნავდნენ, რათა არ დაზიანებულიყო ნავთობსარეწი და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები. სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ექცეოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. ომის დროს ადგილობრივმა მაროდიორებმა გაძარცვეს მსოფლიო ისტორიისათვის უნიკალური მნიშვნელობის მქონე ბაღდადის მუზეუმი, დაწვეს ბაღდადის ცნობილი ბიბლიოთეკა და სხვ.

ფაქტია ისიც, რომ დანგრეულის აღსადგენად გამოყოფილი ათობით მილიარდი დოლარის ათვისებისას და ბუნებრივი რესურსების გადანაწილებისას ყველაზე დიდი მოგება ამერიკულმა კომპანიებმა ნახეს.

ამასთან, ზოგი ექსპერტი ფიქრობდა, რომ ამერიკის რეალური გეგმის პირველი ნაწილი იყო „ბოროტების ღერძიდან" უსუსტესი რგოლის ამოგდება, რეგიონისათვის თავისი პოლიტიკური ნებისა და სამხედრო ძალის დემონსტრირება [Roy, 2003] და, შემდეგ, „ირანის პრობლემის მოგვარება".

პრეზიდენტმა *ბუშმა* დაუჯერა, როგორც პრესა უწოდებდა, „ერაყის ომის არქიტექტორს", თავდაცვის მინისტრის იმდროინდელ მოადგილეს

პოლ ვოლფოვიცსა და მის თანამზრახველებს, რომელთაც აშფოთებდათ ირანის მოსალოდნელი ბირთვული საფრთხე ისრაელისათვის და, ამიტომაც, ირანსა და ისრაელს შორის ამერიკული არმიის ჩადგომა სურდათ.

ისრაელის ხელისუფლება არც მალავდა, რომ მის ინტერესებში იყო ამერიკელების მიერ ერაყის ოკუპაციის „მარტივი ოპერაციის" შემდეგ ირანის მიმართ სამხედრო სანქციების გატარება. ისრაელის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა *არიელ შარონმა* წამყვან ინგლისურ გაზეთში პირდაპირ მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებრიობას *„ერაყთან ომის დამთავრების შემდეგ კონცენტრირება მოახდინოს ირანზე... მისი ხელმძღვანელობა ძალას არ იშურებს, რომ მასობრივი განადგურების იარაღს დაეუფლოს. ეს საფრთხეს უქმნის არა მარტო ისრაელსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, არამედ ევროპასაც"* [Times, November 5, 2002].

სამხედრო ოპერაციას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა *საფრანგეთი*: ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საფრთხე ემუქრებოდა ფრანგული კომპანიების დიდ ინტერესებს სადამისდროინდელ ერაყში. *გაეროს უშიშროების საბჭოში* საფრანგეთის მოსალოდნელი ვეტო ამერიკამ და ბრიტანეთმა გამოიყენეს საბაბად, რათა აღარ გაეტანათ *უშიშროების საბჭოზე* ახალი რეზოლუციის პროექტი, რომლის სასარგებლოდ საბჭოს 15 წევრი ქვეყნის კვალიციფიური უმრავლესობის, ანუ 9 ხმის, მიღებაც კი საეჭვო ჩანდა.

ის, რომ ერაყში შეჭრა ამერიკის ადმინისტრაციის ისტორიული შეცდომა იყო, მრავალჯერ ითქვა. პრეზიდენტმა *ბარაკ ობამამ* კაიროში 2009 წლის 4 ივნისს წარმოთქმულ სიტყვაში სინანულით აღნიშნა, რომ *„განსხვავებით ავღანეთისაგან* [სადაც ამერიკა იძულებული გახდა შესულიყო] *ერაყში ომი ამერიკის არჩევანი იყო და მან შექმნა დიდად განსხვავებული აზრები ჩემს ქვეყანასა და მსოფლიოში... ერაყის მოვლენებმა გაახსენა ამერიკას თავისი პრობლემების გადასაჭრელად დიპლომატიის გამოყენებისა და საერთაშორისო კონსენსუსის შექმნის საჭიროება"* [Obamas'speech, 2009]. რბილადაა ნათქვამი თავისი წინამორბედის პოლიტიკის შესახებ. მაგრამ გამგები გაიგებს!

გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით *პრეზიდენტმა ბუშმა* ახლო აღმოსავლეთში „დემოკრატიის დაფუძნების" ექსპერიმენტი წამოაწყებინა თავის ქვეყანას და მის მიერ შექმნილ კოალიციას.

სერ უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნის უკვდავი სიტყვები: *„შეერთებული შტატები ყოველთვის იპოვის სწორ გზას, მას შემდეგ, რაც ყველა სხვა გზას მოსინჯავს!"*

ერთ-ერთი ასეთი „სხვა გზა" მოსინჯა ერაყში ამერიკამ 2003 წელს. „სწორი გზა" კი საბოლოოდ იქიდან გამოსვლა აღმოჩნდა!

ერაყს, რომელიც მართლაც იმართებოდა სასტიკი დიქტატორის, სადამ ჰუსეინის მიერ (ერაყის სასამართლოს განაჩენით ის 2006 წლის 31

დეკემბერს ჩამოახრჩეს), დააბრალეს მასობრივი განადგურების იარაღისა და მათი გადასატანი საშუალებების – რაკეტების – ქონა, თუმცა გაეროს ინსპექტორების ჯგუფმა საგულდაგულო კვლევის შემდეგ უარყო ეს ბრალდებები.

მოგვიანებით, 2005 წლის აპრილში *აშშ-ის და ზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ* აღიარა, რომ *სადამის დროინდელ ერაყს არ ჰქონდა მგი.* ერაყის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი გაბათილდა. ამ არგუმენტის უსუსურობა უკვე 2003 წლის დამდეგსვე იყო ცნობილი. მაგრამ იმ დროს ომისათვის ყველაფერი მზად იყო, ჯარები – მობილიზებული, იარაღი – შემოზიდული. ვიღაც მეცნიერთა დასკვნის გამო ახლო აღმოსავლეთიდან უკან ხომ არ წაიყვანდნენ ავიამზიდებს! ეს ხომ ამერიკის პრესტიჟს მიწასთან გაასწორებდა! თანაც საქმე მარტივი ჩანდა: ერაყის განთავისუფლებას დიქტატურისაგან ადგილობრივი მოსახლეობა სიხარულით უნდა შეხვედროდა, ხოლო ბაღდადიდან თეირანამდე სულ ხუთასიოდე კილომეტრი დარჩებოდა!

2003 წლის 20 მარტს კოალიციის ამერიკულ-ბრიტანულმა ნაწილებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედება ერაყში, დაამარცხეს მისი არმია, აიღეს ბაღდადი და სამი კვირის შემდეგ სამხედრო კონტროლი დაუწესეს მთელ ქვეყანას.

კოალიციამ ერაყში თავიდან საკუთარი დროებითი ადმინისტრაცია შექმნა. აიკრძალა *ბაას*-ის პარტია, ხოლო პარტიის წევრები (ასეთი კი მილიონზე მეტი იყო, რადგან სადამის დროს მხოლოდ პარტიის წევრობა იძლეოდა სამსახურეობრივი წინსვლის საშუალებას) საჯარო სამსახურიდან დაითხოვეს: პროფესორები, მასწავლებლები, ექიმები, მოხელეები უმუშევრად დარჩნენ, რამაც სოციალურ პროტესტი გაზარდა.

ერაყის ახალი მთავრობის შექმნა ძალიან გაჭირდა. საბოლოოდ, ის შეიქმნა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის – შიიტი არაბების – დომინაციით. ახალი კონსტიტუცია მოსახლეობამ მოიწონა 2005 წლის 15 ოქტომბრის რეფერენდუმზე.

ახალი ხელისუფლება დიდხანს იყო დამოკიდებული ამერიკის სამხედრო ძალის ყოფნაზე ერაყში. 2011 წლისათვის ერაყის მთავრობა მეტნაკლებად მართავს მთელ ერაყს, თუმცა სექტარული ტერორისტული აქტები არ შეწყვეტილა.

პიტერ გელბრეითი თავის წიგნს ერაყის კრიზისის შესახებ [Galbraith, 2006] ეპიგრაფად უმძღვარებს 1931 წელს *სომერსეტ მოემის* მიერ ადაპტირებულ ერთ არაბულ იგავს:

ბატონმა მსახური გაგ ზავნა ბაღდადის ბაზარში. მსახური მალე ძალიან შეშინებული დაბრუნდა: „ბაზარში სიკვდილს შევხვდი და ძალიან უცნაურად შემომხედაო. გთხოვ, მათხოვე ცხენი, სამარრაში წავალ და დავემალებიო" [სამარრა ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქია, ისტორიული შიიტური ტაძრით: რ.გ.]. *ბატონმა ათხოვა ცხენი მსახურს,*

რომელმაც სამარრაში გაჰქუსლა. თვითონ ბატონი კი წავიდა ბაზარში, სიკვდილს შეხვდა და ჰკითხა, „რატომ შეხედე ისე უცნაურად ჩემს მსახურს, რომ ის შიშით ბაღდადიდან გაიქცაო?“. სიკვდილმა მიუგო: „ძალიან გამიკვირდა, ბაღდადში რომ იყო, მე ხომ მასთან შეხვედრა ამაღამ სამარრაში მაქვს დანიშნულიო“.

გელბრეითის წიგნის ძირითადი ტექსტი კი იწყება 2006 წლის მარტის მოვლენებით: *სამარრას* მეცხრე საუკუნის შიიტური მიზგითი სუნიტმა ტეროტისტებმა ააფეთქეს. ამას მოჰყვა შიიტების მიერ სუნიტური მიზგითების აფეთქება და ძალადობის ციკლის გამძაფრება.

ერაყში 2003-2011 წლებში დაიღუპა, დასახიჩრდა და დაიჭრა მეოთხედ მილიონზე მეტი ადამიანი. რამდენიმე მილიონი ადამიანი ქვეყნიდან გაიხიზნა (დიდი ნაწილი დაბრუნდა). სადამ ჰუსეინის რეჟიმი, რაოდენ ტირანულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ასეთი რაოდენობის მსხვერპლს არ ითხოვდა, თანაც მანამდე ადამიანებს შიში მხოლოდ მთავრობის მიმართ ჰქონდათ, 2003 წლიდან კი საფრთხე ყველა მხრიდან გახდა მოსალოდნელი.

სადამ ჰუსეინი მართლაც ახორციელებდა ტერორს საკუთარი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ საერთაშორისო (მათ შორის „ალ-კაიდას“) ტერორისტები ერაყში ვერ გაიჭაჭანებდნენ. 2003 წლიდან კი ერაყში ტერორიზმმა თავი აიშვა და მისი შეკავება დემოკრატიული მეთოდებით შეუძლებელი გახდა.

მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო, აშშ, უძლური აღმოჩნდა ბოთლში ჩაემწყვდია თავისივე გამოშვებული ჯინი – სექტარული ტერორიზმი.

ამერიკელების დანაკარგმა ერაყში, მხოლოდ დახოცილების სახით, 4500-მდე სამხედრო მოსამსახურე შეადგინა.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დაცემა ერაყში მოასწავებს სულ ***სხვაგვარი გეოპოლიტიკური სიტუაციის აღმოცენებას ახლო აღმოსავლეთში*** და, გარკვეულწილად, მსოფლიოში.

ერთი მხრივ, არაბულ ქვეყნებს შორის სამხედრო თვალსაზრისით ერთ-ერთი უძლიერესი და აგრესიული სახელმწიფო კარგა ხანს არ შეუქმნის საფრთხეს თავის მეზობლებს.

მეორე მხრივ, პარადოქსია, მაგრამ ამერიკამ ხელი შეუწყო თავისივე მტრის – ირანის ისლამური (შიიტური) რეჟიმის ფაქტობრივ გაძლიერებას, ვინაიდან პოლიტიკურ არენას ჩამოაშორა *თეირანის მთავარი მტერი – სადამ ჰუსეინი*. გარდა ამისა, ერაყის პოლიტიკაში გადამწყვეტი გახდა ადგილობრივი შიიტი აიათოლების* ავტორიტეტი, რომლებსაც კონტაქტი აქვთ ირანის სულიერ ლიდერებთან.

დიდი ძალისხმევის შედეგად ერაყში შეიქმნა მეტ-ნაკლებად ქმედითუნარიანი მთავრობა. ქვეყანა არ დაიშალა, თუმცა ერაყის ქურთისტანში ჩამოყალიბდა ავტონომიური მთავრობა, საკუთარი არმიითა და პოლიციით.

2008 წელს, ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუშის დროს, აშშ და ერაყის ახალი ხელისუფლება, რომელიც შიიტებისა და ქურთების კოალიციას წარმოადგენს, შეთანხმდნენ, რომ ამერიკის სამხედრო ნაწილები საბოლოოდ დატოვებენ ერაყს 2011 წლის 31 დეკემბრამდე. პრეზიდენტი ობამა ამ შეთანხმებას ასრულებს.

საინტერესოა, რომ ამერიკელების დარჩენას ამჯერად ერაყელი სუნიტები მოითხოვენ, რომლებიც ოკუპაციის პირველი ოთხი წლის განმავლობაში სხვადასხვა მეთოდით ებრძოდნენ კოალიციის ჯარებს. ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ ერაყის სუნიტები უმცირესობაში დარჩნენ და შიშობენ, რომ რაოდენობრივად უპირატესი და ხელისუფლებაში მყოფი შიიტების მხრიდან რეპრესიების მსხვერპლად შეიძლება იქცნენ.

ერაყის შიიტური რეჟიმი ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილია და უცნობია, რა პოლიტიკას დაადგება, მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ამერიკელი გავა ერაყიდან.

ეგვიპტე და სირია: პოლიტიკურ-გეოგრაფიული მსგავსება და განსხვავება

1958 წელს ეგვიპტემ სირიასთან ერთად შექმნა *არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა (აგრ-ი)*. თითქოს იწყებოდა არაბული ქვეყნების გაერთიანება და ხორცი ესხმებოდა პანარაბიზმის იდეას.

მაგრამ ადგილობრივი ელიტების ინტერესები მძაფრ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა საერთო-არაბულ იდეალებთან. 1961 წლის სექტემბერში სირიელმა ოფიცრებმა, რომელთაც დაინახეს, რომ ერთიან სახელმწიფოში ეგვიპტელებმა გაბატონებული პოზიციები დაიკავეს, აიღეს ძალაუფლება დამასკოში და გამოიყვანეს სირია *აგრ-ის* შემადგენლობიდან. მარტო დარჩენილი ეგვიპტე 1971 წლამდე ინარჩუნებდა „გაერთიანებული რესპუბლიკის" სახელს, *იმ* იმედით, რომ არაბული სახელმწიფოების გაერთიანება ისევ დაიწყებოდა. იმედი ამაო გამოდგა. 1963 წელს *აგრ*-ის აღდგენის ერთგვარი სურვილი გამოთქვა ერაყმა, მაგრამ პრაქტიკულად ეს არ მომხდარა. „არაბული ერთობის" ერთადერთი მოგონება არის ამ სამი ქვეყნის (აგრეთვე იემენისა და სუდანის) დროშის ერთნაირი ფერები (იხ. თავი 11).

ეგვიპტესა და სირიას აქვთ გარკვეული მსგავსებები, მაგრამ ბევრად მეტი აქვთ *პოლიტიკურ-გეოგრაფიული განსხვავებები.*

რასაკვირველია, ორივე არაბული სახელმწიფოა; ორივე ქვეყნის მოსახლეობაში ძირითადად ისლამის სუნიტური მიმართულებაა წარმოდგენილი; ორივეგან ძლიერი იყო პანარაბული სულისკვეთება;

ორივეს დიდი ხანია მართავს სეკულარულად განწყობილი ელიტა, რომელიც ისლამურ რადიკალურ ორგანიზაციებს მტრად მიიჩნევს; 1948, 1967 და 1973 წლებში ეგვიპტე და სირია ისრაელთან არაბული ქვეყნების ომების ძირითადი მონაწილენი იყვნენ (იხ. თავი 15), მაგრამ მათი მოკავშირეობა სამხედრო მოქმედებათა კოორდინაციაში ნაკლებად გამოიხატა.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული განსხვავება უპირველესად აიხსნება *მდებარეობით.*

უდაბნოებით გარშემორტყმული *ეგვიპტე* (ფაქტობრივად, ნილოსის ხეობა და დელტა) ოდითგანვე ინარჩუნებდა *ერთგვარ იზოლაციას გარესამყაროსაგან.* ამჟამინდელი სამი მეზობელი, რომლებთანაც საზღვრები XX საუკუნეში ლონდონსა და რომში, კაიროს დაუკითხავად, ძირითადად სახაზავით გაავლეს, მინიმალურ პრობლემას უქმნის ეგვიპტეს: საფრთხე არ მოდის *სუდანიდან* – სამხრეთით და *ლიბიიდან* – დასავლეთით. „სახიფათო მეზობელი" *ისრაელი,* რომელთანაც ეგვიპტემ ოთხჯერ იომა 1948-1973 წლებში, 1979 წლიდან „მშვიდობიანი მეზობელია", რომელთანაც ტერიტორიული დავა მოგვარებულია. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ისრაელი და ეგვიპტე „მეგობარი სახელმწიფოები" არიან, მაგრამ ომის ალბათობა მათ შორის მინიმუმამდეა დაყვანილი.

ამის საპირისპიროდ *სირიას საკვანძო მდებარეობა აქვს წინა აზიაში.* მასზე ისტორიულად გადიოდა და ახლაც გადის (ან შეიძლება გადიოდეს) მრავალი სატრანსპორტო კომუნიკაცია. უძველესი ქალაქი დამასკო იყო მსოფლიო იმპერიის, უმაიანთა სახალიფოს, ცენტრი. ამჟამად სირია ხუთ სახელმწიფოს ესაზღვრება, რომლებთანაც ჯერაც აქვს ან არცთუ დიდი ხნის წინ ჰქონდა სხვადასხვა სახის პრობლემები: ტერიტორიული – თურქეთთან და ისრაელთან, იდეოლოგიური – ერაყთან, პოლიტიკური – ლიბანთან და იორდანიასთან.

ეგვიპტისაგან განსხვავებით, რომელიც პრაქტიკულად მონოეთნიკურია (ქრისტიანი კოპტები არაბულად ლაპარაკობენ და ეგვიპტური თვითშეგნება აქვთ) და მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი იქ სუნიტი მუსლიმია, *სირია მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საზოგადოებაა* [ჯაფარიძე, 1984]. მართალია, აქაც სუნიტები ჭარბობენ (სირიის მოსახლეობის 74 პროცენტი სუნიტი მუსლიმი არაბია), მაგრამ ბევრი სირიელი არაბი ან ალავიტია (შიიტი), ან სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანი; საკმაოდ არიან ქურთები, დრუზები, ჩერქეზები, გრიგორიანი სომხები. სირიის არაბებს შორის, განსაკუთრებით სოფლებსა და პატარა ქალაქებში ჯერ კიდევ ძლიერია ტომობრივი დაყოფის გადმონაშთები. ზოგიერთ ეთნო-რელიგიურ ჯგუფს გამოკვეთილი ტერიტორიული განსახლებაც აქვს, რაც საბაბს აძლევდა საფრანგეთს, რომელიც 1923-1944 წლებში ოფიციალურად ფლობდა სირიის მართვის

მანდატს, შეექმნა იქ ავტონომიური ტერიტორიები. მიუხედავად ასეთი სიჭრელისა, სირიული ნაციონალიზმი საკმაოდ ძლიერია: ქვეყნის შიგნით თითქმის არ აღინიშნებოდა (ყოველ შემთხვევაში, ბოლო დრომდე) ეთნორელიგიური დაპირისპირება. მაგრამ მისი საფრთხე არსებობს.

როგორც აღინიშნა თავში „რელიგიების გეოგრაფია", სირიის შედარებით მცირერიცხოვანმა (მთელი მოსახლეობის 10 პროცენტამდე) *ალავიტებმა* 1970-იანი წლებიდან შეადგინეს ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის დიდი უმრავლესობა, ვინაიდან 1970 წლიდან ქვეყნის პრეზიდენტები – *ჰაფიზ და ბაშარ ალ-ასადები* – ალავიტები არიან. ამას გარკვეული დაძაბულობა შეაქვს სირიის საზოგადოებაში და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს 2011 წლის კრიზისს (იხ. თავი 13).

პოლიტიკური გეოგრაფიიდან გამომდინარე, *განსხვავებულია ამ ორი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პრობლემები და პრიორიტეტები.*

1952 წელს ახალგაზრდა ოფიცრებმა ეგვიპტეში რევოლუცია მოახდინეს. 1953 წელს მონარქია გაუქმდა და *მუჰამად ნაგიბის* ხანმოკლე პრეზიდენტობის შემდეგ, 1954 წლიდან, რესპუბლიკას სათავეში ჩაუდგა *გამალ აბდელ ნასერი.* 1956 წელს ნასერმა ცალმხრივი აქტით მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, საბაბად კი გამოიყენა დასავლეთის ქვეყნების უარი, დაეფინანსებინათ მდინარე ნილოსზე ასუანის მაღლივი კაშხლის მშენებლობა.

სუეცის არხის ნაციონალიზაციის საპასუხოდ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა განახორციელეს სამხედრო აქცია, რომელიც მათი მხრიდან „ქვემეხიანი ნავების დიპლომატიის" უკანასკნელი და წარუმატებელი დემონსტრაცია აღმოჩნდა. ევროპის ძველი კოლონიური იმპერიების ინტერვენციას მხარი აუბა რვა წლით ადრე შექმნილმა ისრაელმა. უფრო სწორად, სამხედრო ოპერაცია დაიწყო 30 ოქტომბერს, გამთენიისას, როდესაც ისრაელის ტანკები სინას ნახევარკუნძულზე შეიჭრნენ და მალე სუეცის არხს მიაღწიეს.

ამერიკამ, რომელთანაც წინასწარი კონსულტაცია ლონდონმა და პარიზმა არ ჩაატარეს, და საბჭოთა კავშირმა, გაეროს უშიშროების საბჭოში შეიტანეს ერთობლივი რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ისრაელის დაუყოვნებლივ გასვლას ეგვიპტის ტერიტორიიდან.

გაეროში პირველი შემთხვევა იყო, რომ ამერიკის მიერ უშიშროების საბჭოში შეტანილი რეზოლუციის პროექტს ვეტო დაადეს მისივე მოკავშირეებმა – საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა. აშშ-ის აღშფოთებულმა პრეზიდენტმა *დუაით აიზენჰაუერმა* რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გაიტანა, სადაც ვეტოს უფლება არ მოქმედებს, და ხმათა დიდი უმრავლესობა მიიღო. გენერალური ასამბლეის დადგენილება შესასრულებლად აუცილებელი არაა. ეგვიპტის სასარგებლოდ უფრო იმან იმუშავა, რომ საბჭოთა ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი ატომური

იარაღის გამოყენებით დაემუქრა ევროპის ქვეყნებს. ეს შანტაჟი იყო, მაგრამ ეფექტიანი!

„სუეცის კრიზისი" პარიზსა და ლონდონში მთავრობების შეცვლით დამთავრდა. ისრაელი თავის საზღვრებს დაუბრუნდა. ეგვიპტის ქარიზმატული პრეზიდენტი *გამალ აბდელ ნასერი*, მიუხედავად დაბომბილი ქალაქებისა და ისრაელის მიერ მისი სატანკო დივიზიების განადგურებისა, გამარჯვებას ზეიმობდა. ეგვიპტე აღიარეს არაბული ნაციონალიზმის წინამძღოლად.

1970-იანი წლების მეორე ნახევარში *ეგვიპტემ მკვეთრი გეოპოლიტიკური ბრუნი გააკეთა.* 1976 წელს ეგვიპტის მესამე პრეზიდენტმა *ანვარ სადათმა* მოახდინა *მეგობრობისა და თანამშრომლობის საბჭოთა-ეგვიპტური ხელშეკრულების* დენონსაცია, 1981 წელს კი კაიროდან გააძევა საბჭოთა ელჩი. დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან აღდგა 1984 წელს, უკვე მეოთხე პრეზიდენტის, *ჰოსნი მუბარაქის* დროს (1981-2011).

„ცივი ომის" პერიოდში, როდესაც ზესახელმწიფოების მეტოქეობა მესამე გზის არჩევას თითქმის შეუძლებელს ხდიდა, *„პროსაბჭოთა" ვექტორი მხოლოდ „პროამერიკულით" შეიძლებოდა შეცვლილიყო.* ეგვიპტემ ეს უკანასკნელი არჩია. ამ კურსის რეალური საყრდენი ყოველწლიური *ამერიკული ეკონომიკური და სამხედრო დახმარება* გახდა, რომელიც ბოლო პერიოდში ორ მილიარდ დოლარს აჭარბებს.

1979 წელს, *ისრაელთან საზავო ხელშეკრულების* დადების შემდეგ (იხ. თავი 15), ეგვიპტემ, პირველმა არაბულ ქვეყნებს შორის, დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. ფაქტობრივად განხორციელდა ფორმულა *„მიწა მშვიდობის სანაცვლოდ"*: ისრაელმა 1982 წელს მთლიანად დაუბრუნა ეგვიპტეს სინას ნახევარკუნძული და სანაცვლოდ მიიღო მშვიდობა (თუნდაც „ცივი") ეგვიპტისაგან. სინას ნახევარკუნძული ეგვიპტე-ისრაელის საზღვრიდან სუეცის არხამდე დემილიტარიზებულია.

სირიას უფრო მრავალფეროვანი ურთიერთობა აქვს მეზობლებთან.

II მსოფლიო ომის დროს (1944 წ.) სირიამ მოიპოვა დამოუკიდებლობა საფრანგეთისაგან, რომლის სამანდატო ტერიტორიაც ის იყო 20-ზე მეტი წლის განმავლობაში. სირია *გაეროს* ერთ-ერთი დამაარსებელი ქვეყანა გახდა.

პოლიტიკური თვალსაზრისით, სირია დიდხანს იყო არასტაბილური ქვეყანა. სამხედრო გადატრიალებები თითქმის პერმანენტულად ხდებოდა 1970 წლამდე, როდესაც თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა *ჰაფიზ ალ-ასადმა* შექმნა მდგრადი ავტორიტარული რეჟიმი. შეიძლება ითქვას, რომ *ასადი* თანამედროვე სირიის შემქმნელია, რომლის არადემოკრატიული რეჟიმი ოთხი ათეული წელია არსებობს. 2000 წლიდან ქვეყნის პრეზიდენ-

ტია ჰაფიზ ალ-ასადის ვაჟიშვილი *ბაშარ ალ-ასადი*. 2007 წელს რეფერენდუმზე, კონკურენტის გარეშე, მან სირიის ელექტორატის 97,6 პროცენტის მხარდაჭერა მიიღო მომდევნო 7 წლით პრეზიდენტობისათვის.

სირიას ბოლო დრომდე საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა თავის დიდ მეზობელ *თურქეთთან*. როგორც მე-10 თავში აღინიშნა, 1939 წელს საფრანგეთმა დაუთმო თურქეთს ალექსანდრეტას სანჯაყი, რასაც დამოუკიდებელი სირია 60-ზე მეტი წლის განმავლობაში არ ურიგდებოდა. სირია, საკმაოდ დაუფარავად, მხარს უჭერდა ქურთულ სეპარატიზმს თურქეთში. მაგრამ XXI საუკუნის დამდეგიდან სირიასა და თურქეთს ერთმანეთთან სავსებით ნორმალური ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. სავიზო რეჟიმი გაუქმდა. სირია გაემიჯნა ქურთულ სეპარატიზმს, რომელიც პოტენციურად მისთვისაც საშიში შეიძლება აღმოჩნდეს. თურქეთი ერთხანს შუამავლობდა სირიასა და ისრაელს შორის მოლაპარაკებას გოლანის მაღლობთან დაკავშირებით, მაგრამ 2009 წლიდან თურქეთის ავტორიტეტი ისრაელში ეცემა. 2011 წლის მოვლენებმა სირიაში, საპროტესტო მოძრაობის სამხედრო ძალით ჩახშობამ მისი საზღვრის სიახლოვეს (იხ. თავი 13) ანკარაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის ერთგვარად დაიძაბა.

ერაყთან სირიის დამოკიდებულების განმსაზღვრელი უფრო იდეოლოგიური და ქვეყნების მმართველთა პირადი უთანხმოება იყო. XXI საუკუნის დამდეგს, ხანმოკლე დროით, აქაც გამოჩნდა დათბობის ნიშნები: 2003 წელს ამერიკა-ბრიტანეთის ძალებთან მისი ბრძოლის დროს სირიამ *სადამ ჰუსეინის რეჟიმს* მორალური მხარდაჭერა აღმოუჩინა. სადამის დამარცხების შემდეგ ასეთმა პოზიციამ საგრძნობლად გაურთულა სირიას საერთაშორისო მდგომარეობა. 2006 წელს, პირველად ორი ათეული წლის განმავლობაში სირიამ და ერაყმა აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა და მალე ელჩებიც გაცვალეს.

სირია დიდხანს მიიჩნევდა თავის კანონიერ ნაწილად *ლიბანს*, თუმცა ოსმალეთის იმპერიაში *შამის (დამასკოს) ვილაიეთი* და *ბეირუთის ვილაიეთი* სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. 1920-იანი წლების დამდეგს საფრანგეთმა *ერთა ლიგისაგან* ცალკე მანდატი მიიღო ლიბანზე, ცალკე – სირიაზე და ყველაფერი გააკეთა, რომ ეს ორი ქვეყანა არ შერწყმულიყო. 1976 წლიდან 2005 წლამდე სირიის სამხედრო ნაწილები პერიოდულად შედიოდნენ ან წლობით იდგნენ ხოლმე ლიბანში იქაური მეტოქე ფრაქციების თხოვნითა და მოწვევით, რომლებიც სისხლიან სამოქალაქო ომში იყვნენ ჩაბმულნი ერთმანეთთან. 1989 წელს სირიამ მხარი დაუჭირა *„ტაიფის შეთანხმებას“* – ლიბანის ეროვნული შერიგების დოკუმენტს, რომელმაც წერტილი დაუსვა სამოქალაქო ომს ლიბანში (იხ. ქვეთავი „სხვა არაბული ქვეყნები“).

1991 წლის მაისში სირიამ და ლიბანმა ხელი მოაწერეს *„ხელშეკრულებას ძმობის, თანამშრომლობისა და კოორდინაციის შესახებ“*, რომლი-

თაც სირია ბოლოს და ბოლოს ცნობდა ლიბანის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება გაჭიანურდა. სირიამ მხოლოდ 2008 წლის დეკემბერში გახსნა თავისი პირველი საელჩო ბეირუთში, ხოლო ლიბანმა – დამასკოში 2009 წლის მარტში, რაც სრული ურთიერთცნობაა.

იორდანიასთან სირიას სხვადასხვა სახის პრობლემები ჰქონდა 1990-იან წლებამდე, მაგრამ ახლა ურთიერთობა ნორმალურია.

ყველაზე დაძაბულია *სირია-ისრაელის* ურთიერთობა. 1967 და 1973 წლების ომების შედეგად ისრაელის ხელში აღმოჩნდა სირიის სამხრეთით მდებარე *გოლანის მაღლობის* დიდი ნაწილი (1176 კმ^2), რომელიც 1981 წელს ისრაელმა ანექსირებულად გამოაცხადა, ანუ ოფიციალურად შეიერთა, რასაც სირია და მსოფლიოს ყველა სხვა სახელმწიფო *უკანონო აქტად* აცხადებს.

განსხვავებით ისრაელ-პალესტინის „მრავალფენოვანი" კონფლიქტისაგან, სირიასთან კონფლიქტის მოგვარების ფასი ისრაელისათვის ცნობილია: ესაა გოლანის მაღლობის დაბრუნება დამასკოს იურისდიქციაში.

მაგრამ მინის გარდა აქ *წყლის პრობლემაცაა* გარეული.

ამერიკის პრეზიდენტ *ბილ კლინტონის* შუამავლობით 2000 წელს საბოლოოდ უშედეგოდ დამთავრებული მოლაპარაკების დროს პრეზიდენტი *ჰაფიზ ალ-ასადი* მოითხოვდა 1967 წელს ისრაელის მიერ ოკუპირებულ *გოლანის მაღლობზე* სირიის სუვერენიტეტის სრულ აღდგენას „ეგვიპტური პრეცედენტის" მოდელით, ანუ ტერიტორიის სრული დაბრუნებით. იგი გულისხმობდა სირიის ხელახალ გასვლას კინერეთის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე, ისე, როგორც ეს ფაქტობრივად იყო 1967 წლის 5 ივნისამდე. სამაგიეროდ, დამასკო მზად იყო მოეხდინა ურთიერთობათა ნორმალიზაცია ისრაელთან, რაც თითქმის ავტომატურად გულისხმობდა ლიბანის მიერაც ისრაელის ცნობას. ამით ისრაელი დაამყარებდა მშვიდობას (თუნდაც „ცივს") თითქმის ყველა მეზობელთან (პალესტინის გარდა), რაც უდიდესი საგარეო პოლიტიკური გარღვევა იქნებოდა მისთვის.

ისრაელი ითხოვდა მხოლოდ ერთ (მაგრამ არსებით) გამონაკლისს: *სირიას არ უნდა მისცემოდა კინერეთის ტბის ნაპირზე გასვლის უფლება, რადგან ეს ტბა ისრაელის წყლის მთავარი რეზერვუარია.*

მართალია, ლაპარაკი იყო 1967 წლის საზღვართან შედარებით ტბიდან სირიის გადაწევაზე ასზე (!) ნაკლები მეტრით და ისრაელი თითქოს თანახმა იყო ტერიტორიულ კომპენსაციაზეც, *ჰაფიზ ალ-ასადი არ დაეთანხმა ამას*, გამომდინარე უფრო შიდაპოლიტიკური ვითარებიდან და პოლიტიკური პრესტიჟის, ვიდრე პრაგმატიზმის პოზიციიდან.

დაიკარგა რეგიონში გეოპოლიტიკური ძვრის შესაძლებლობა.

იმავე პერიოდში ისრაელში ფართოდ ვრცელდებოდა კამპანია გოლანის მაღლობის სრულად შესანარჩუნებლად. საკანონმდებლო დონეზე

ისრაელმა დაწვა ყველა ხიდი სირიასთან კომპრომისის მისაღწევად[1]. 2001 წლის შემდეგ ისრაელის მთავრობათა დღის წესრიგში სირიასთან შეთანხმების მიღწევის საკითხი აღარც დგას.

ფორმულა „მიწა მშვიდობის სანაცვლოდ" ნაკლებ პროდუქტიულია, თუკი ისრაელი მიწას ან წყალს თავისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ოკუპირებული მიწა-წყლის შესანარჩუნებლად მას ურჩევნია „შესწიროს მშვიდობა", მით უმეტეს, თუკი ის სამხედრო უპირატესობას ფლობს.

სირიასთან მისი უპირატესობა კი აშკარაა. ამის დასტურად გამოდგება ასეთი მაგალითი: ისრაელის დაზვერვამ დაადგინა, რომ სირიაში, *დეირ-ე ზ-ზორის* მახლობლად, ჩრდილოეთ კორეის სპეციალისტების დახმარებით შენდება საიდუმლო ობიექტი, სავარაუდოდ, ბირთვული იარაღის შესაქმნელად. 2007 წლის 6 სექტემბერს ისრაელის ავიაციამ ობიექტი მიწასთან გაასწორა, სირიის საჰაერო თავდაცვამ კი თავდასხმა ვერ აღკვეთა. მოგვიანებით ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ დაადასტურა, რომ ობიექტის ნანგრევებში რადიოაქტიურობა აღმოჩნდა [IHT, February 19, 2009].

სირიასა და ისრაელს შორის ისევ საომარი მდგომარეობაა, მათ მხოლოდ დროებითი დაზავების რეჟიმი აქვთ. მაგრამ გოლანის მაღლობზე საზღვრის ნაცვლად არსებული დაზავების ხაზი სამ ათეულ წელზე მეტია საკმაოდ უპრობლემოა.

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს სირია სარგებლობდა კრემლის მეგობრული სახელმწიფოს სტატუსით და საგრძნობ სამხედრო დახმარებას ღებულობდა მისგან. 1990-იან წლებში *რუსეთ-სირიის ურთიერთობა* საგრძნობლად შესუსტდა, თუმცა სირია აგრძელებდა რუსული იარაღის შესყიდვას. 2008 წლიდან ამ ქვეყნების ურთიერთობა აღორძინებას განიცდის: რუსეთმა გადაწყვიტა ხმელთაშუაზღვისპირეთში თავისი სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნა დააფიქსიროს და ფლოტის (მათ შორის ატომურძრავიანი წყალქვეშა ნავების) ბაზად გამოიყენოს *სირიის ნავსადგური ტარტუსი*, რომელიც 1971-1992 წლებში საბჭოთა ფლოტის საყრდენი იყო. ბაზის აღდგენა დაწყებულია. იმ პირობებში, როდესაც ამერიკელები სირიას არამეგობრულ ქვეყნად განიხილავენ, რუსეთის გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში შეიძლება სწორედ სირიის ხარჯზე მოხდეს.

---

1. 1999 წელს ისრაელის ქნესეთმა (პარლამენტმა) საბჭოთა კავშირიდან ამოსულ ებრაელთა პარტიის „*ისრაელ ბეითენუ*"-ს (ისრაელი – ჩვენი სახლია) ინიციატივით, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს ისრაელის ამჟამინდელი (2011) საგარეო საქმეთა მინისტრი *ავიგდორ ლიბერმანი*, დაადგინა, რომ ანექსირებული ტერიტორიების (იგულისხმება აღმოსავლეთ იერუსალიმი და გოლანის მაღლობი) სტატუსის შესაცვლელად საჭიროა ქნესეთის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ (61 ხმით 120-დან) მთავრობის გადაწყვეტილების რატიფიკაცია. ამის შემდეგ დამატებით საჭირო იქნება საყოველთაო რეფერენდუმზე მისი დადასტურება.

ეს კანონი უაღრესად გაართულებს გოლანის მაღლობის სირიისათვის დაბრუნების ლეგალურ პროცედურას.

ამერიკას, ისევე როგორც ისრაელს, აშფოთებს *სირიის რეჟიმის სიახლოვე ირანთან,* რომელიც სირიის მეშვეობით ეხმარება ლიბანის *ჰეზბოლას* – სამხედრო ორგანიზაციის მქონე შიიტურ პარტიას, რომელსაც აშშ-ში, ისრაელსა და რამდენიმე სხვა ქვეყანაში ტერორისტულად მიიჩნევენ. აშშ ჯერჯერობით წარუმატებელ დიპლომატიურ და ეკონომიკურ ზეწოლას ახდენს სირიაზე, რათა ის გაემიჯნოს ჰეზბოლა-სა და პალესტინურ რადიკალურ ორგანიზაციას *ჰამას*-ს.

2005 წლიდან ხუთი წელი ამერიკას არ ჰყავდა თავისი ელჩი სირიაში. 2010 წელს ვაშინგტონმა დანიშნა დამასკოში თავისი ელჩი. თითქოს ჩაისახა დათბობის („გადატვირთვის") იმედი, მაგრამ 2011 წლის მოვლენებმა ისევ უკან დასწია ამერიკა-სირიის ურთიერთობა.

საუდის არაბეთი: განვითარების ახალი სტადიის მიჯნასთან?

1992 წელს მიღებული *ძირითადი კანონის* შესაბამისად, ***საუდის არაბეთი არის მონარქია, რომელსაც მართავენ მეფე აბდალაზიზ ას-საუდის შვილები და შვილიშვილები, ქვეყნის კონსტიტუცია არის წმინდა ყურანი და ქვეყანა იმართება ისლამური კანონის (შარიათის) საფუძველზე.***

სამეფოს დამაარსებელს, 1953 წელს გარდაცვლილ *აბდალაზიზ ას-საუდს,* 22 კანონიერი ცოლისა და მრავალი მხევლისაგან ორასზე მეტი შვილი დარჩა, რომლებიც თავის მხრივ გამრავლდნენ. ვარაუდობენ, რომ საუდიანი უფლისწულებისა და მათი ოჯახის წევრების რაოდენობა 24 ათასს აღწევს. მათ უჭირავთ ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, სახელმწიფო პოსტი. აბდალაზიზის ყველა შთამომავალი ღებულობს ყოველთვიურ სახელმწიფო შემწეობას რამდენიმე ათასიდან მილიონ დოლარამდე – იმის შესაბამისად, თუ დინასტიის დამაარსებლის რომელი რიგის მემკვიდრეა იგი.

ას-საუდის დინასტია ქმნის ქვეყნის ელიტას, უკვე საკმაოდ განშრევებულსა და არაერთგვაროვანს, რომლის შიგნითაც სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს მაღალი თანამდებობებისათვის [Lacey, 2009].

რეგიონის პოლიტიკური მომავლისათვის უმნიშვნელო არ არის საუდის სამეფო დინასტიის მემკვიდრეობითობა. მეფობა აქ გადადის ძმიდან ძმაზე. დღემდე მეფობენ *აბდალაზიზის* ძენი, ანუ დინასტიის მეორე თაობა: ხუთმა ძმამ უკვე მოასწრო მეფობა. 2005 წელს 81 წლის ასაკში გამეფდა *აბდალა.* მისი ოფიციალური მემკვიდრე (კრონპრინცი) გახდა 1928 წელს დაბადებული, იმ დროს 77 წლის, ნახევარძმა *სულთანი.* მემკვიდრეობაში მომდევნოა 1933 წელს დაბადებული ნახევარძმა *ნაიფი.*

ხომ არ შეიძლება კრიზისი გამოიწვიოს და თვით მონარქიის იდეას

შეურყიოს საფუძველი მომდევნო თაობისათვის ტახტის გადაცემის პროცედურამ?

მმართველმა დინასტიამ თავისი ქვეყანა აქცია ყველაზე მილიტარიზებულ სახელმწიფოდ არაბულ ქვეყნებს შორის. 2010 წელს მისი თავდაცვის ბიუჯეტი *მშპ*-ის (იხ. გვ. 341, სქოლიო 2) 10,5 პროცენტს შეადგენდა (2008 წელს – 8 პროცენტს). შედარებისათვის: ანალოგიური შეფარდება აშშ-ისათვის 2010 წელს იყო 4,5 პროცენტი, გერმანიისათვის – 1 პროცენტი [The Economist, March 9, 2011]. სამეფოს სამხედრო ავიაციის შენახვას (ახალი შენაძენის გარეშე) წლიურად ერთ მილიარდ დოლარზე მეტი ესაჭიროება. 1991-2001 წლებში ამერიკამ საუდის არაბეთს მიჰყიდა 40,6 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკა. 2010 წელს აშშ-მა გამოაცხადა, რომ მომდევნო 15-20 წლის განმავლობაში საუდის არაბეთს 60 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების იარაღს მიჰყიდის [Smith, 2010]. გაჩნდა ცნობები, რომ მეტოქედ მიჩნეული *ირანის* ბირთვული პროგრამის შემხედვარე *საუდის არაბეთშიც* ფიქრობენ საკუთარი ბირთვული პროგრამის განხორციელებაზე, სავარაუდოდ, *ბირთვული იარაღის შექმნის* მიზნითაც.

ასეთ შემთხვევაში ყოველთვის წარმოიშობა კითხვები: რისთვის სჭირდება ქვეყანას ამდენი საჭურველი? ვისგან ელის საფრთხეს? ვისთან აპირებს ომს?

ყოველგვარი ოფიციალური განცხადებების გარეშეც ნათელია (პრესაში ხანდახან ჟონავს ამის დამამტკიცებელი გამონათქვამებიც!), რომ საუდის არაბეთი რეგიონში თავის მტრებად მიიჩნევს *ირანსა* და *ისრაელს* (ერაყის საფრთხე მოიხსნა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობასთან ერთად). *გეოპოლიტიკური პარადოქსია, რომ ირანი და ისრაელი თვითონ არიან ერთიმეორის მტრები.*

გეოპოლიტიკური ლოგიკიდან გამომდინარე, *საუდის არაბეთისათვის სპარსეთის ყურეში ძირითადი პოტენციური მეტოქეა ირანი.* ისრაელის შემთხვევაში იგივე ლოგიკა არ მოქმედებს, ის იდეოლოგიური მტერია, როგორც „*დარ-ალ-ისლამში* [ისლამის სახლში] *დამკვიდრებული უცხო*".

მსოფლიოში უდიდესი ნავთობის საბადოების მფლობელი საუდის არაბეთის კეთილდღეობა მთლიანად არის დამოკიდებული ამ ენერგეტიკულ ნედლეულზე. ნავთობი იძლევა მისი საექსპორტო შემოსავლის 90-95 პროცენტს და საბიუჯეტო შემოსავლის 75 პროცენტს. ეს ქვეყანას საშუალებას აძლევს, შეინახოს დიდი სახელმწიფო აპარატი, უზრუნველყოს ქვეყნის მოქალაქეთა სოციალური კეთილდღეობა და კარგად შეაიარაღოს არმია.

1980-1990-იან წლებში ნავთობის ფასის კლების ტენდენციის გამო საუდის არაბეთის საშუალო მოქალაქე შეფარდებით გაღარიბდა. მშპ ერთ მცხოვრებზე 1982 წელს შეადგენდა 28 ათას დოლარს, 2001 წელს კი – 7 ათასს. XXI საუკუნის დასაწყისიდან ნავთობის მსოფლიო ფასების

მატებამ გამოასწორა სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობა: 2010 წელს მშპ ერთ მცხოვრებზე გადათვლით საშუალოდ 23 ათას დოლარს აღწევდა (30 წლის წინანდელთან შედარებით ამ ფორმალური მაჩვენებლის კლება გამოიწვია მოსახლეობის, მათ შორის შრომითი მიგრანტების, რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ და ნავთობის მოპოვების სტაბილიზაციამ ან ერთგვარმა შემცირებამაც კი).

უფასო განათლების სისტემამ საუდის არაბეთში ბევრი განათლებული ადამიანი წარმოშვა. ქვეყანაში საკმაოდ დიდია ევროპასა და ამერიკაში განათლებამიღებულთა რიცხვიც. მათ სხვანაირი ცხოვრება აქვთ ნანახი, რომელსაც, მართალია, სამშობლოში სრულად ვერ დანერგავენ, მაგრამ რაღაც სიახლის ელემენტის შეტანას ცდილობენ. ახლა კი ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ განათლების ცენზის შესაბამისი სამუშაო თავიანთ ქვეყანაში არა აქვთ. 2011 წელს ფეისბუქში გაჩნდა ვიღაც ახალგაზრდა საუდიელის მოწოდება ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების გატარების შესახებ. ასეთ მოწოდებათა თესლი შეიძლება სულ უფრო ნოყიერ ნიადაგს დაეცეს.

რელიგიური ინსტიტუტების სახელმწიფო აპარატში ჩართვის პოლიტიკური კონსენსუსი დაშალა სპარსეთის ყურის პირველი ომის შედეგებმა, განსაკუთრებით კი 1992 წელს არ-რიადის სამხრეთით, 80 კილომეტრში, ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზის, *პრინს-სულთანის,* დაფუძნებამ. „ისლამის წმინდა მიწაზე" განლაგებული უცხოური ბაზა, სადაც მსუბუქად ჩაცმული ქალებიც კი მსახურობდნენ, ძირითადი გამაღიზიანებელი გახდა მუსლიმი ფუნდამენტალისტებისათვის.

ერაყის ომის შემდეგ საუდის არაბეთს მოეხსნა სადამ ჰუსეინის საფრთხე. ამიტომაც 2003 წელს *პრინს-სულთანის* ბაზა დაიხურა. ამერიკული სამხედრო თვითმფრინავები ახლა კატარში, *ალ-უდეიდშია,* ბაზირებული.

ბევრი რადიკალური ისლამური დაჯგუფება ან საუდის არაბეთის ტერიტორიაზე შეიქმნა, ან აქ გაიფურჩქნა. 1928 წელს ეგვიპტეში წარმოშობილი რადიკალური *„მუსლიმი ძმების ასოციაციის"* (*ჯამიიათ ალ-იხვან ალ მუსლიმინ*) აქტივისტები, რომელთაც ეგვიპტეში სდევნიდნენ, საუდის არაბეთში პოულობდნენ თავშესაფარს. ამჟამად საკმაოდ დეცენტრალიზებული ტერორისტული ქსელის *ალ-კაიდა-ს* (არაბულად *„ბაზისი, ფუნდამენტი"*) 1988-89 წლებში დამაარსებელი *ოსამა ბინ-ლადენი* არ-რიადში დაიბადა, თუმცა მამამისი იემენელი იყო. ეს არ ნიშნავს, რომ საუდის არაბეთი ტერორიზმს მხარს უჭირს. პირიქით, *ალ-კაიდას* „ისლამის მტრების" სიაში შეტანილია არ-რიადის მთავრობა, ტერორისტულ აქტებს ამერიკელებისა და დასავლეთის სხვა მოქალაქეთა წინააღმდეგ *ალ-კაიდა* თვით საუდის არაბეთის ტერიტორიაზეც ახორციელებს. თუმცა ნათელია, რომ ასეთი ტერაქტები საუდიანთა დინასტიის წინააღმდეგაა მიმართული, ამერიკაში ისინი ანტიარაბულ გრძნობებს აღვივებენ.

ამავე დროს, პოლიტიკაში პრაგმატიზმი მძლავრობს. 2008 წლის დამდეგს ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობისას აშშ-ის პრეზიდენტმა *ჯორჯ ბუშმა* (უმცრ.) საუდის არაბეთი რეგიონში ირანის გამაწონასწორებელ ძალად მიიჩნია. ამერიკა დამატებით მიჰყიდის მას უახლეს სამხედრო ტექნიკას და დაეხმარება „მშვიდობიანი ბირთვული პროგრამის" განხორციელებაშიც.

მართლაც, საუდის არაბეთი არაა ის ქვეყანა, რომელიც ადვილად შეიძლება დაისაჯოს ან უგულებელყოფილ იქნას. ნავთობის უზარმაზარი რესურსები, მის ტერიტორიაზე მდებარე ისლამის მთავარი წმინდა ადგილები ის ფაქტორებია, რომლებიც საშიშს ხდის ნებისმიერ დესტაბილიზაციას რეგიონში ტერიტორიით უდიდეს სახელმწიფოში. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს აინტერესებს, თუ როგორი იქნება მისი მომავალი, რომლის პროგნოზირება საკმაოდ ძნელია.

სხვა არაბული ქვეყნები: მყიფე წონასწორობა

1948-49 წლებში ლიბანში საკმაოდ ბევრი პალესტინელი გაიხიზნა. 1970-იანი წლებიდან ბეირუთში განლაგდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის შტაბ-ბინა. 1975 წელს ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელსაც სათავე დაუდო პალესტინელებისა და *მარონიტი* ქრისტიანების მილიციის, *ფალანგის*, შეტაკებებმა.

1989 წელს საუდის არაბეთის ქ. ტაიფში ლიბანის 1972 წლის მოწვევის *დეპუტატთა პალატის* (პარლამენტის) შემორჩენილმა წევრებმა დადეს შეთანხმება, რომლითაც მთავრდებოდა სამოქალაქო ომი. შეთანხმება გარკვეულად ითვალისწინებდა 1926 წლის კონსტიტუციის (ის ჯერაც ძალაშია) მიღების შემდეგ მომხდარ დემოგრაფიულ ცვლილებებს: განვლილ პერიოდში ლიბანში ქრისტიანული უმრავლესობა მუსლიმმა უმრავლესობამ შეცვალა. მიუხედავად ამისა, მუსლიმები დათანხმდნენ ახალი პარლამენტის 128 წევრის არჩევისას ადგილების ნახევარი ქრისტიანებისათვის დაეთმოთ. პოლიტიკური სექტარიზმი (ანუ პოლიტიკური კვოტები რელიგიური ნიშნით) უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ რა დროში – „ტაიფის შეთანხმებაში" მითითებული არ ყოფილა. პოლიტიკური კვოტები ჯერაც ძალაში რჩება.

თუმცა „ტაიფის შეთანხმება" ყველა პრობლემას არ წყვეტდა, მან საშუალება მისცა ქვეყანას, დაბრუნებოდა მშვიდობიან განვითარებას. სამოქალაქო ომი 1990 წელს დამთავრდა და მას შემდეგ ლიბანი თანდათან იბრუნებს ახლო აღმოსავლეთის კულტურული, ფინანსური და ტურისტული ცენტრის ფუნქციებს.

იქამდე კი, სამოქალაქო ომმა საბაბი მისცა სირიას, თავისი არმია

შეეყვანა ლიბანში. 1982 წელს პალესტინურ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, ლიბანში შეიჭრა ისრაელის არმიაც, რომელიც დროებით ბეირუთშიც კი შევიდა. აღმოსავლეთ ლიბანში სირიისა და ისრაელის სამხედრო ნაწილები პირისპირ შეეტაკნენ ერთმანეთს. იმავე წელს ისრაელის არმია გამაგრდა სამხრეთ ლიბანში, თავისი საზღვრის მიმდებარე ზოლში, სადაც შექმნა მარიონეტული „სამხრეთ ლიბანის არმია", უპირატესად, ადგილობრივი ქრისტიანებისა და დრუზებისაგან. მის საპირისპიროდ ლიბანში გააქტიურდა ირანისა და სირიის მხარდაჭერით არსებული რადიკალური შიიტური ორგანიზაცია *ჰეზბოლა*. ისრაელის თვითმფრინავების ლიბანის საჰაერო სივრცეში შეჭრის საპასუხოდ ჰეზბოლა სარაკეტო დარტყმებს აყენებდა ხოლმე ისრაელის ტერიტორიას. სამხრეთ ლიბანი და ჩრდილოეთ ისრაელი 18 წლით ფრონტისპირა ზონად იქცა.

2000 წლის მაისში, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა *ეჰუდ ბარაკმა* გამოიჩინა სიმტკიცე და, მიუხედავად შიდა პოლიტიკური წინააღმდეგობისა, ცალმხრივად, ზავის დადების გარეშე, გამოიყვანა ლიბანიდან ისრაელის არმია. ამის შემდეგ ყოფილი ფრონტისპირეთი, ისრაელის ჩრდილოეთ საზღვარი, დამშვიდდა. 2005 წელს, დიდი საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ, ლიბანი დატოვა სირიის არმიამაც.

მაგრამ ლიბან-ისრაელის იმ საზღვარზე, რომელიც გაერომ საერთაშორისოდ ცნო, მაინც დარჩა მოუგვარებელი პრობლემა. მცირე ფართობის (20 კვ. კმ), მაგრამ *ისრაელისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბორცვი ხარ-დოვი* (ცნობილი აგრეთვე „*შაბაას/შებაას ფერმების*" სახელით) ისრაელმა შეინარჩუნა იმ ფორმალური საბაბით, რომ ეს ტერიტორია მან დაიპყრო 1967 წელს სირიასთან ომის შედეგად. სინამდვილეში, როგორც ისრაელელმა მეცნიერმა [Kaufman, 2002] დაადგინა, ეს პრაქტიკულად დაუსახლებელი ტერიტორია ფრანგული მანდატის პერიოდში ნომინალურად ლიბანის იურისდიქციის ქვეშ ყოფილა, მაგრამ საზღვარი დემარკირებული არ იყო და მას სირიას მიათვლიდნენ. ლიბანში კი მიწის ამ ნაკვეთის დაბრუნება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენად აღიქმება.

2000 წლიდან ეს ადგილი იქცა *ჰეზბოლას* მხრიდან სამხედრო თავდასხმების პერიოდულ ობიექტად, რასაც შეეძლო გამოეწვია ლიბანში ისრაელის სამხედრო ოპერაციის პროვოცირება. 2006 წლის ზაფხულში ასეც მოხდა. *ჰეზბოლას* მიერ სწორედ ამ ბორცვზე *მყოფ* ისრაელის რაზმზე თავდასხმის შემდეგ, როდესაც რამდენიმე ისრაელელი ჯარისკაცი დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა, ისრაელის არმია თითქმის მთელი ძალით შეეცადა ამ სამხედრო ორგანიზაციის განადგურებას, მაგრამ ვერ მოახერხა. ისრაელის არმიამ დაანგრია სამხრეთ ლიბანის მთელი ინფრასტრუქტურა – ხიდები, გზები, ენერგეტიკის ობიექტები, მაგრამ მისმა, იქამდე უძლეველად მიჩნეულმა, სატანკო ნაწილებმაც დიდი ზარალი განიცადეს: ისინი სირიიდან მოწოდებული რუსული იარაღით დააზიანეს. *ჰეზბოლამ* თავისი რაკეტებით საკმაოდ მძიმედ დაბომ-

ბა ჩრდილოეთ ისრაელის ქალაქებიც კი. ისრაელი იძულებული გახდა ლიბანიდან გასულიყო.

ტრანსიორდანიაზე მანდატი 1946 წლის 22 მარტს დამთავრდა, როდესაც ბრიტანეთმა ცნო მისი დამოუკიდებლობა და დასდო მასთან სამოკავშირეო ხელშეკრულება. იმავე წლის 25 მაისს *ამირა აბდალამ* თავი *მეფედ გამოაცხადა.*

ბრიტანეთმა შეინარჩუნა გარკვეული გავლენა ტრანსიორდანიაში: მაგალითად, ახალი სამეფოს ერთადერთი ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილი, „არაბული ლეგიონი", ინგლისელმა გენერალმა *ჯონ ბეგოთ გლაბმა* („*გლაბ ფაშამ*") გაწვრთნა და მის მეთაურად დარჩა 1956 წლამდე.

ტრანსიორდანიის (1949 წლიდან – იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს) სრული საერთაშორისო აღიარება და გაეროში მიღება მხოლოდ 1955 წლის დეკემბერში მოხდა. მანამდე ამას აბრკოლებდა საბჭოთა კავშირის მუდმივი ვეტო გაეროს უშიშროების საბჭოში[1].

1948-49 წლების ისრაელთან ომის შემდეგ ჰაშიმიანთა ხელში აღმოჩნდა *მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მდებარე პალესტინის ტერიტორია აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით.* ტრანსიორდანიამ ამ ტერიტორიის ანექსირება მოახდინა.

სხვა არაბულ ქვეყნებში პალესტინის ნაწილის ტრანსიორდანიის მიერ ანექსიის აქტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია: არც ერთმა მათგანმა არ ცნო ანექსია. ამ აქტის ნაცვლად მიწის თუნდაც ამ მცირე ნაწილზე (სულ 5612 კმ²) პალესტინის სახელმწიფოს შექმნა ძირფესვიანად შეცვლიდა არაბულ-ებრაული კონფლიქტის პოლიტიკურ არსს. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა.

როგორც ისრაელში მომზადებულ ენციკლოპედიაში წერენ:

„ტრანსიორდანიის მეფე აბდალას სურდა, რომ პალესტინის არაბული ნაწილი თავისთვის მიეღო და მზად იყო ეს გაეკეთებინა ებრაელებთან თანამშრომლობითაც კი, თუნდაც მათ სრული დამოუკიდებლობა მიეღოთ პალესტინის დანარჩენ ნაწილში. 1946-1947 წლებში მან მიაღწია არაფორმალურ და დაუწერელ ურთიერთგაგებას სიონისტ ლიდერებთან, რომელშიც არ იყო მითითებული არც დეტალური საზღვრები და არც იერუსალიმის სტატუსი. ამ შეთანხმებას ის საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ მას ზე ალაპარაკდნენ, რადგან სხვა არაბ ლიდერებს ის ეუბნებოდა, რომ იტოვებს 'მოქმედების თავისუფლებას' პალესტინაში, როდესაც იქ მანდატი დამთავრდება" [Sela, 2002, 68].

---

1. საბჭოთა კავშირის ვეტო იორდანიის გაეროში მიღებაზე იყო საბჭოთა რესპუბლიკების გაეროს წევრად მიღებაზე დადებული ამერიკის ვეტოს საპასუხო რეაქცია. სტალინის დროს კრემლი გეგმავდა ყველა მათგანის, როგორც „სუვერენული სახელმწიფოს", გაეროში შეყვანას (და ამით თავისთვის [16] ხმის გარანტირებას!). დასავლეთის ქვეყნები დათანხმდნენ გაეროში მიეღოთ მხოლოდ უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ.

ამრიგად, დღემდე გადაუწყვეტელ პალესტინის საკითხში თავისი წილი ბრალი ტრანსიორდანიის მეფე აბდალასაც მიუძღვის.

ფაქტია, რომ 1948-1949 წლების ომის დროს ტრანსიორდანიის „არაბულმა ლეგიონმა" არ გადალახა ის საზღვარი, რომელიც გაეროს რეკომენდაციით ებრაული სახელმწიფოსათვის იყო რეზერვირებული [Morris, 2002].

ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა 1953 წელს, როდესაც ტახტზე ადიოდა მეფე აბდალას 18 წლის შვილიშვილი, *ჰუსეინი*, იორდანიას უწოდა *„ეკონომიკური უაზრობა, ბრიტანული სტრატეგიული ინტერესებისათვის უაიტჰოლში შეკოწიწებული სახელმწიფო"* [Time/capsule, 1953, 27]. მაგრამ მეფე ჰუსეინმა, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე მართა ქვეყანა, უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებასა და ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების უქონლობის პირობებში მოახერხა სახელმწიფოს შენარჩუნება და მისი ფეხზე დაყენებაც კი.

1967 წლის „ექვსდღიანი ომის" შედეგად ისრაელმა დაიპყრო მდ. იორდანეს „დასავლეთ ნაპირი". მხოლოდ 1988 წელს გამოაცხადა იორდანიამ, რომ მომავალი პალესტინის სახელმწიფოს სასარგებლოდ უარს ამბობს ამ ტერიტორიებზე, ანუ მთელ „დასავლეთ ნაპირზე", აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით. ამ განცხადებამ 40 წლით დააგვიანა.

იერუსალიმში მდებარე ისლამის წმინდა ადგილების (*ალ-ჰარამ აშ-შარიფის ვაკფი*) ფორმალურ მეურვედ 1990-იანი წლების შუა ხანებამდე რჩებოდა იორდანიის მონარქი. შემდეგ კი ამ *ვაკფის* ადმინისტრატორის დანიშვნის პრეროგატივაც პალესტინის ადმინისტრაციის ხელში გადავიდა.

1994 წელს დაიდო *სამშვიდობო ხელშეკრულება ისრაელსა და იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს შორის* და მათ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთთან. საზღვარი ისრაელსა და იორდანიას შორის აღდგენილ იქნა 1947 წლამდე ბრიტანულ პალესტინასა და ტრანსიორდანიის სამეფოს შორის არსებულ გამმიჯნავ ხაზზე (მკვდარი ზღვის შუახაზი და რიფტული ხეობის ყველაზე ღრმა წერტილებზე გამავალი ხაზი). ფაქტობრივი საზღვარია მდ. იორდანეც, თუმცა მის დასავლეთ ნაპირზე ფორმალურად ისრაელის იურისდიქცია არ ვრცელდება.

1962 წელს [ჩრდილოეთ] იემენის მონარქია (*იმამათი*) რესპუბლიკად გამოცხადდა და ათიოდე წლით ჩაეფლო სამოქალაქო ომში, რომელშიც რესპუბლიკელთა მხარეს გამოდიოდა ეგვიპტე: მის ზურგსუკან საბჭოთა კავშირი იდგა. მონარქისტებს კი მხარს უჭერდა საუდის არაბეთი: მას დასავლეთის ქვეყნები ეხმარებოდნენ. ეს იყო იმ დროისათვის საკმაოდ ტიპური გეოპოლიტიკური დაპირისპირება „კომუნისტურ ბლოკს" (ასე უწოდებდნენ მას ვაშინგტონში) და „იმპერიალისტურ ბლოკს" (ასე უწოდებდნენ მას მოსკოვში) შორის. ეს დაპირისპირება აღვივებდა ძმათამკვლელ ომს, რომელსაც 200 ათასი იემენელი, ქვეყ-

ნის იმდროინდელი მოსახლეობის ოთხი პროცენტი, შეეწირა.

1967 წლიდან ბრიტანეთმა დამოუკიდებლობა მიანიჭა სამხრეთ იემენს (ადენის სამეფო კოლონიასა და ადენის პროტექტორატს), რომელმაც „სოციალისტური ორიენტაცია" აირჩია და იემენის **სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა** (*ისდრ*) დაირქვა სახელად. 1979 წელს *ისდრ-ის ხელმძღვანელობა* წავიდა სამხედრო ავანტიურაზე და სცადა სამხედრო ძალით შეეერთებინა ჩრდილოეთ იემენი. ეს მცდელობა ჩაიფუშა.

მეოცე საუკუნის ბოლოს მთელ რეგიონში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება იყო ორი იემენის მშვიდობიანი გაერთიანება.

1990 წელს *ისდრ*-ის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ თვითონ შესთავაზა გაერთიანება ჩრდილოეთ იემენს, მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ კომუნისტური ბლოკი იშლება და საბჭოთა კავშირი აღარ იქნება მისი დამოუკიდებლობის გარანტი. თანაც, სწორედ ამ დროს ორი იემენის სადავო სასაზღვრო ზონაში აღმოჩნდა ნავთობისა და გაზის საკმაოდ დიდი საბადოები.

მიუხედავად გაერთიანების ნებაყოფლობითი ხასიათისა და ორივე იემენში მონათესავე ტომების ცხოვრებისა, ერთიანი სახელმწიფოს შექმნის პროცესი მთლად ადვილად არ მიმდინარეობდა. მაგალითად, 1994 წელს *ადენში* სეპარატისტული ამბოხება მოხდა, რომელიც *სანაას* მთავრობამ სამხედრო ძალით ჩაახშო.

2009 წლიდან სამხრეთ იემენში განახლდა სეპარატისტული მოძრაობა („სამხრეთ იემენის მოძრაობა"), რომელსაც მიზნად აქვს, აღადგინოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა ამ ტერიტორიაზე.

არაბეთის ნახევარკუნძულზე 1971 წელს დასრულდა დეკოლონიზაციის პროცესი, როდესაც გაუქმდა დიდი ბრიტანეთის პროტექტორატი ომანზე, კატარზე, ბაჰრეინზე და შეთანხმებით ომანზე: ამ უკანასკნელში შედიოდა შვიდი პატარა საშეიხო, რომელთაც **გაერთიანებული არაბული საამიროები** (გას) დაირქვეს სახელად. უფრო ადრე, 1961 წელს, დამოუკიდებელი გახდა ქუვეითი.

მათი საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან დადგინდა ლონდონის შუამავლობით, თუმცა გას-ს მაინც აქვს სადავო ტერიტორია საუდის არაბეთთან.

ყველა ამ სახელმწიფოს აღმოაჩნდა ნავთობის ან ბუნებრივი აირის დიდი რესურსები, რამაც ხელი შეუწყო მათ ეკონომიკურ წინსვლას. ყველა მათგანის ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკის სამხედრო ბაზები, რაც მათ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზეც მიუთითებს.

სიმდიდრის მიუხედავად, მათი პოლიტიკური მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მსოფლიო გეოპოლიტიკაზე. 1990-1991 წლების სპარსეთის ყურის კრიზისი ამის ნათელი დადასტურება იყო.

თავი 13

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და „არაბული გაზაფხული“

ეკონომიკური პრობლემების გეოგრაფიული სხვაობები

შორეულ წარსულში და შუა საუკუნეებშიც, დაახლოებით XII-XIII საუკუნეებამდე, ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე რეგიონი იყო, როგორც ეკონომიკური, ისე სამეცნიერო-ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ბევრი სიახლე შუა საუკუნეების ევროპამ ისლამური ახლო აღმოსავლეთისაგან ისესხა, მათ შორის ალგებრის საფუძვლები, ამ რეგიონის გზით შემოსული არაბული ციფრები, მაგნიტური კომპასი, სანავიგაციო ინსტრუმენტები და ა.შ.

ამას ხაზს ვუსვამ, რადგან თანამედროვე ევროცენტრული პოზიციიდან ახლო აღმოსავლეთი ლამის მარადიული ჩამორჩენილობის სიმბოლოდ აღიქმება.

ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპა გამოდიოდა მსოფლიოს ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური დომინანტის როლში სულ ოთხი ასწლეულის განმავლობაში – XVI-XIX საუკუნეებში. XX საუკუნე არსებითად ჩრდილოეთ ამერიკის დომინაციის ხანა იყო, გარკვეულ ეტაპზე მის მეტოქედ ევრაზია გამოდიოდა. დედამიწის რომელი ნაწილიდან ჩაანაცვლებს ამერიკას (და ჩაანაცვლებს კი?) სხვა დომინანტი ეკონომიკური და სამხედრო-ეკონომიკური ძალა XXI საუკუნეში, მიჭირს თქმა: 100-დან ჯერ მხოლოდ 11 წელია გასული!

XIII საუკუნიდან, მონღოლების დამანგრეველი შემოსევების გამო, მთელ ახლო აღმოსავლეთში მკვეთრად დაეცა საწარმოო ძალები, დაიწყო ეკონომიკური სტაგნაცია და უკუსვლაც კი. XVI საუკუნიდან თვალნათელი ხდება ახლო აღმოსავლეთის სწრაფი ეკონომიკური ჩამორჩენა დასავლეთ ევროპასთან, ხოლო მოგვიანებით, ჩრდილო ამერიკასთან შედარებით.

II მსოფლიო ომს ახლო აღმოსავლეთი გადაურჩა, მაგრამ ის მაინც რჩებოდა ტრადიციონალიზმისა და სიღარიბის სიმბოლოდ. ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებმა კი, რომლებმაც იმავე ომის დროს ლამის ტოტალური ნგრევა განიცადეს, საკმაოდ მალე აღიდგინეს ეკონომიკური პოტენციალი.

მსოფლიო ომის შემდეგ, კარგახანს, რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფოს[1] სხვა ქვეყნებისა და ადგილობრივი მეცნიერები და პუბლიცისტები განიხილავდნენ „ღარიბ", „ჩამორჩენილ", „ინდუსტრიულად განუვითარებელ" ან „განვითარებად" ქვეყნებად. რეგიონს მიიჩნევდნენ და დღემდე მიიჩნევენ „მესამე სამყაროს" ნაწილად, რაც ბოლო დროს ნაკლებ პოპულარული ტერმინია, თუმცა საკმაოდ ტევადი (იხ. თავი 11).

1960-იან წლებამდე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მართლაც გამოირჩეოდნენ ცხოვრების დაბალი დონით, ერთ სულზე გადაანგარიშებით მთლიანი შიდა პროდუქტის[2] (*მშპ*) მცირე მოცულობით, დაბალი ურბანიზაციით, რასაც თან ერთვოდა მზარდი დემოგრაფიული ზეწოლა, დემოკრატიის არარსებობა, რეპრესიული და ერთდროულად არამდგრადი რეჟიმები ქვეყნების უმეტესობაში. არაბეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მომთაბარე ბედუინები იყვნენ. იმ დროს ეს ქვეყნები უიმედოდ ჩამორჩენილად გვეჩვენებოდა.

ამჟამად *საერთაშორისო სავალუტო ფონდი* (*სსფ*) თითქმის მთელ რეგიონს განიხილავს ქვეყნების ჯგუფში – „აღმავალი და განვითარებადი ეკონომიკები", ხოლო *კვიპროსი* და *ისრაელი* „მოწინავე ეკონომიკების" ჯგუფშიც კი მოხვდნენ. ამავე ჯგუფს მიუახლოვდა *თურქეთიც*.

სინამდვილეში, ნელი ცვლილებები რეგიონში ბევრად ადრე დაიწყო, თავიდან – ევროპასთან ყველაზე ახლოს (და ნაწილობრივ ევროპაში) მდებარე თურქეთში. პოლიტიკურ-კულტურული მოდერნიზაციის საჭიროება იქ უკვე XIX საუკუნეში იგრძნეს, ხოლო 1920-იანი წლებიდან ეკონომიკური განვითარების თავისებური ტენდენციაც გაჩნდა.

„განვითარების მოდა" გადამდებია. ემპირიული დაკვირვება გვაძლევს საბაბს ვამტკიცოთ, რომ თუ რომელიმე ქვეყნის მეზობლები ეკონომიკურ განვითარებას იწყებენ, ეს ქვეყანაც, ადრე თუ გვიან, „განწირულია განვითარებისათვის".

1923 წელს ახალშექმნილ *თურქეთის რესპუბლიკაში* აღებული ეკონომიკური განვითარების მოდელი, „ეთათიზმი" (ფრანგული სიტყვიდან „état", რაც „სახელმწიფოს" ნიშნავს: ესაა სახელმწიფო კაპიტალიზმის ნაირსახეობა), რომელიც ახლა დრომოჭმულად გვეჩვენება, მაშინ კი პროგრესული იყო, უკვე 1920-იანი წლების ბოლოს მისაბაძი მაგალითი აღმოჩნდა მონარქიული ირანისათვის, მოგვიანებით – სირიის, ეგვიპტის, ერაყისათვის. ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში „ეთათისტური" ჩარევა ეკო-

---

1. არ იგულისხმება ისრაელი, რომელიც არ არის ტიპური „ახლოაღმოსავლური" ქვეყანა. XX საუკუნის განმავლობაში ის ძირითადად დაასახლეს მსოფლიოს სხვა რეგიონებიდან, უპირველესად ევროპიდან, შემოსულმა ადამიანებმა, რომლებმაც იქიდანვე შემოიტანეს ეკონომიკური აზროვნება და პრაქტიკა.

2. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის სახელმწიფოს ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება. ქვეყნების შედარების მიზნით მას ზომავენ ან როგორც რეალურს – ადგილობრივი ვალუტის აშშ დოლარში გაცვლითი კურსით გადაყვანის გზით, ან „მსყიდველობითი უნარის პარიტეტით" (Purchasing Power Parity > PPP), რომლითაც უკეთ შეიძლება სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრების დონეში არსებული სხვაობების შედარება.

ნომიკაში ცვალებადი წარმატებით დღემდე გრძელდება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამანდატო სისტემის რღვევას და ბრიტანული პროტექტორატების ნაცვლად რეგიონში დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობას დაემთხვა *„იღბლის ფაქტორიც"* – მსოფლიო ეკონომიკის მზარდი მოთხოვნილებისათვის საჭირო ნავთობის დიდი საბადოების აღმოჩენა, ან ძველი საბადოების უფრო დიდი მოცულობის დადგენა ძებნა-ძიების ახალი მეთოდებით.

1973 წელს დაწყებულმა „ნავთობის ფასების რევოლუციამ" (იხ. თავი 2) მკვეთრად შეცვალა ვითარება: ახლო აღმოსავლეთი გამდიდრდა!

ამჟამად რეგიონის ქვეყნების ნახევარზე მეტი – საუდის არაბეთი, გას-ი, ქუვეითი, კატარი, ბაჰრეინი, ომანი, ერაყი და ირანი –ეკონომიკურად თითქმის მთლიანად დამოკიდებული არიან ნავთობ-გაზის სექტორზე, ეგვიპტე და სირია – ნაწილობრივ.

საერთო ჯამში, რეგიონის ეკონომიკური განვითარება საყოველთაო ტენდენციის – *გლობალიზაციის* – გამოვლინებაა. მსოფლიო ეკონომიკური სისტემა ძალიან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. დასავლეთისა და შორეული აღმოსავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებს საკუთარი ნავთობი არ ჰყოფნით, ახლო აღმოსავლეთს კი ეს რესურსი უხვად აქვს. ამას მოჰყვება ფინანსური ნაკადების მიმართულების ცვლილება, უფრო ხშირად – ამ რეგიონის ქვეყნების სასარგებლოდ.

ამავე დროს, ცალმხრივ ორიენტაციას ნავთობ-გაზის სექტორზე დიდი საფრთხეც ახლავს თან. საკმარისია სერიოზული ეკონომიკური კრიზისი, რომ მოთხოვნილება და, შესაბამისად, ფასები ნავთობზე დაეცეს. 2008 წლის შედარებით ხანმოკლე კრიზისმა აჩვენა, რომ მის შედეგად ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები 2009 წელს რეგიონში მკვეთრად დაეცა, ქვეყნებისა და მათი მოსახლეობის შემოსავალი შემცირდა. თუ მომავლის კრიზისები (რომლებიც, სამწუხაროდ, გარდაუვალია) გახანგრძლივდება, ისინი აქ სოციალურ დაძაბულობასაც გაზრდიან.

ცხრილი 13.1. გვიჩვენებს რეგიონის ქვეყნების განვითარების კომპლექსურ მაჩვენებელს – მშპ-ის ზრდის ტემპს (პროცენტებში წინა წელთან შედარებით), საკმაოდ ხანგრძლივ დინამიკაში – 1993-2010 წლებში. იქვე მოცემულია *საერთაშორისო სავალუტო ფონდის* პროგნოზი მომდევნო ორი წლისათვის.

ცხრილი იძლევა საშუალებას შევადაროთ ერთმანეთს რეგიონის ქვეყნების განვითარების ტემპი. როგორც ვხედავთ, ბოლო ოცი წლის განმავლობაში მთელი რეგიონი ეკონომიკურად სწრაფად ვითარდებოდა, ქვეყნებს შორის კი ყველაზე დინამიკურად – კატარი (ხშირად, წლიურად ორნიშნა ციფრებით: 2010 წელს ის მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო ერთ სულზე მშპ-ის მოცულობით და მშპ-ის ზრდის ტემპით).

ცხრილი 13.1. რეგიონის ქვეყნების რეალური მშპ-ის წლიური ზრდის დინამიკა 1993-2012 წლებში (2011 და 2012 წლებისათვის – პროგნოზი)

ქვეყნები	1993-2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ბაჰრეინი	4,8	7,2	5,6	7,9	6,7	8,4	6,3	3,1	4,1	3,1	5,1
გას-ი	4,5	16,4	10,1	8,6	8,8	6,5	5,3	-3,2	3,2	3,3	3,8
ეგვიპტე	4,8	3,2	4,1	4,5	6,8	7,1	7,2	4,7	5,1	1,0	4,0
ერაყი	...	...	...	-0,7	6,2	1,5	9,5	4,2	0,8	9,6	12,6
თურქეთი	3,0	5,3	9,4	8,4	6,9	4,7	0,7	-4,7	8,2	4,6	4,5
იემენი	5,0	3,7	4,0	5,6	3,2	3,3	3,6	3,9	8,0	3,4	4,0
იორდანია	4,3	4,2	8,6	8,1	7,9	8,5	7,6	2,3	3,1	3,3	3,9
ირანი	3,2	7,2	5,1	4,7	5,8	7,8	1,0	0,1	1,0	0,0	3,0
ისრაელი	4,5	1,5	5,1	4,9	5,7	5,3	4,2	0,8	4,6	3,8	3,8
კატარი	7,4	6,3	17,7	7,6	18,6	26,8	25,4	8,6	16,3	20,0	7,1
კვიპროსი	4,1	1,9	4,2	3,9	4,1	5,1	3,6	-1,7	1,0	1,7	2,2
ლიბანი	4,0	3,2	7,5	1,0	0,6	7,5	9,3	8,5	7,5	2,5	5,0
ომანი	3,8	0,3	3,4	4,0	5,5	6,7	12,9	1,1	4,2	4,4	4,1
საუდის არაბეთი	1,4	7,7	5,3	5,6	3,2	2,0	4,2	0,6	3,7	7,5	3,0
სირია	3,4	-2,0	6,9	6,2	5,0	5,7	4,5	6,0	3,2	3,0	5,1
ქუვეითი	4,8	17,4	11,2	10,4	5,3	4,5	5,0	-5,2	2,0	5,3	5,1

წყარო: IMF World Economic Outlook 2011

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი 2009 წელს მშპ-ის ზრდის დაბალ ტემპებში გამოვლინდა: *ქუვეითს, თურქეთს, კვიპროსს, გას*-ს უარყოფითი ზრდაც კი ჰქონდათ, ანუ მათი მშპ შემცირდა. 2006 წელს *ლიბანის* ერთგვარი „ჩავარდნა" აიხსნება იმ წელს მის ტერიტორიაზე მომხდარი ომით ისრაელის არმიასა და გასამხედროებულ ორგანიზაცია *ჰე ზბოლა*-ს შორის. *ერაყი* 2006 წლამდე განიცდიდა 2003 წელს თავსდატეხილი ოპერაცია „ერაყის თავისუფლების" შედეგებს. 2003-4 წლების მონაცემები არა გვაქვს, თუმცა ლოგიკურია დავუშვათ, რომ მისი *მშპ* ამ დროს მცირდებოდა. მაგრამ 2010-იან წლებში იქ ეკონომიკურ აღმავლობას ელოდებიან. 2008 წლიდან ნელი განვითარება აღინიშნებოდა *ირანში*, რაზეც, ალბათ, ზემოქმედებდა მის მიმართ შემოღებული საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები.

მიუხედავად ცხრილ 13.1-ში მოცემული ძირითადად მაჟორული ინფორმაციისა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს ბევრი *ეკონომიკური პრობლემა* აქვთ. ზოგი მათგანი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებითაა განპირობებული. ყველა ქვეყანას აქვს თავისი უპირატესობაც და სირთულეც.

ის, რომ რეგიონი მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რასაკვირველია, უპირველესად აიხსნება ნახშირწყალბადოვანი რესურსების სიუხვით.

ამასთან, მხოლოდ ნავთობი და გაზი არ არის ეკონომიკური წინსვლის საფუძველი: ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებულ სახელმწიფოებს – *თურქეთს, ისრაელსა და კვიპროსს* – ნავთობი პრაქტიკულად არა აქვთ. „უნავთობო" *თურქეთის რესპუბლიკა* რეგიონში ყველაზე დიდ ეკონომიკას ფლობს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების გამოყენებისას, რომელთაც ყველაზე ხშირად ეყრდნობიან ქვეყნების შედარებისას [IMF WEO, 2011], ვამჯობინე შემედარებინა ქვეყნები *მათი ადგილით* მსოფლიოში *მშპ*-ის მოცულობით (PPP-ის მიხედვით) და არ გადამეტვირთა ტექსტი ყოველწლიურად ცვალებადი მილიარდების მითითებით (სხვადასხვა ზომის ქვეყნების შედარების კარგი საშუალებაა *მშპ*/ერთ მცხოვრებზე, რაც მომდევნო ქვეთავში გამოვიყენე).

2011 წლის დამდეგს თავისი მშპ-ის მოცულობით *თურქეთი* მე-16 ადგილზე იყო მსოფლიოს ქვეყნებს შორის, ევროპაში ის მე-7, ხოლო აზიაში – მე-5 ადგილზეა. *თურქეთს* აქვს რეგიონში ყველაზე დივერსიფიცირებული ეკონომიკა, რაც მის დიდ ტერიტორიას, დიდ ბუნებრივ რესურსებს (ნახშირწყალბადების გარდა) და დიდ შრომით რესურსებს ეყრდნობა. მაგრამ ძირითადი ფაქტორი მისი ეკონომიკური წინსვლისათვის აღმოჩნდა სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ბიზნესისათვის შექმნილი ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო. ეთათიზმზე საბოლოო უარის თქმამ და 1980-იანი წლებიდან საბაზრო ეკონომიკის სტიმულირებამ რამდენიმე ათწლეულში მოიტანა შედეგი მრავალრიცხოვანი საშუალო კლასის შექმნის სახით, რომელსაც უკვე შეუძლია ქვეყნის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა. თურქეთისათვის პრობლემაა რეგიონული განვითარების მკვეთრი დისპროპორცია (მომცრო ჩრდილო-დასავლეთში, სტამბოლის აგლომერაციაში, მრეწველობის 70 პროცენტზე მეტია კონცენტრირებული).

ირანი IMF-ის ზემოხსენებულ ნუსხაში მსოფლიოში მე-19 ადგილზეა. მის ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს იდეოლოგიური არტახები და საგარეო-პოლიტიკური გართულებები, კერძოდ, დასავლეთის ქვეყნების მიერ შემოღებული და რუსეთის მიერაც კი მხარდაჭერილი სანქციები ირანის გაუმჭვირვალე ბირთვული პროგრამის განხორციელების გამო. რეალურად, ამ ქვეყანას აქვს ეკონომიკის დივერსიფიკაციის დიდი პოტენციალი: ის კარგადაა უზრუნველყოფილი ბუნებრივი და შრომითი რესურსებით.

საუდის არაბეთი მშპ-ის მოცულობით რეგიონში მე-3 ადგილზეა, მსოფლიოში კი – 23-ეზე. მის ეკონომიკურ განვითარებას, რასაკვირველია, აფერხებს ბუნებრივი პირობები (უდაბნო, ცხელი ჰავა). მაგრამ

მთავარი პრობლემა მისთვის, ისევე, როგორც *სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნებისათვის, არის* მეურნეობის ცალმხრივი ორიენტაცია ნავთობ-გაზის სექტორზე. ამ პრობლემის დასაძლევად *არ-რიადმა* დაიწყო ექვსი „ეკონომიკური ქალაქის" პროექტის განხორციელება და გეგმავს 373 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტის დახარჯვას სოციალურ განვითარებაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 2010-2014 წლებში. ქვეყანაში კარგა ხანია ხორციელდება „ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმები".

ეკონომიკური განვითარების დივერსიფიკაციის საჭიროებაზე სპარსეთის ყურის ქვეყნებში კარგა ხანია ლაპარაკობენ. ეს აღნიშნა აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა *ბილ კლინტონმაც* დოჰაში (კატარი) კონფერენციაზე გამოსვლისას [Clinton, 2006], მაგრამ რეალური შედეგები ჯერჯერობით საკმარისი არაა. *სპარსეთის ყურის ყველა არაბულ ქვეყანაში, მათ შორის საუდის არაბეთშიც,* პრობლემაა ადგილობრივი მუშახელის არასათანადო მომზადება: საკუთარი მოსახლეობის მატების მაღალი ტემპის მიუხედავად, ამ ქვეყნებს მაინც ესაჭიროებათ დიდძალი უცხოური მუშახელი. ყველა ადგილობრივ მოქალაქეს კი მხოლოდ „სუფთა სამუშაო" უნდა!

ეგვიპტეს რეგიონში სიდიდით მე-4 ეკონომიკა აქვს, მსოფლიოში ის 26-ე ადგილზეა. მისი ყველაზე სერიოზული პრობლემაა ჭარბმოსახლეობა: ყოველწლიურად ქვეყანას 700 ათასი შრომისუნარიან ასაკში შესული ადამიანი ემატება, რომელთა დასაქმება ძალიან ჭირს და ეს სოციალურ პრობლემებს აღვივებს. ასათვისებლად ვარგის ძალიან მცირე ფართობზე მოსახლეობის უზარმაზარი სიმჭიდროვეა. *მუბარაქის* რეჟიმის პერიოდში (1981-2011) ეკონომიკის ერთგვარი ლიბერალიზაციისა და მიკერძოებული პრივატიზაციის კურსმა წარმოშვა ხელისუფლებასთან დაახლოებული „ოლიგარქები" – დიდად გამდიდრებული ადამიანების მცირე ჯგუფი, რომლებიც ხალხის უმრავლესობისათვის საძულველ ელემენტს წარმოადგენენ: მათ „მსუქან კატებს" ეძახდნენ. ამავე დროს, აუტანელი ბიუროკრატია ართულებდა წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რომელიც ამჯობინებდა „ჩრდილში" წასვლას: ერთ-ერთი შეფასებით, არარეგისტრირებულ სექტორში (*ჩრდილოვან ეკონომიკაში*) 40 პროცენტით მეტი იყო დასაქმებული, ვიდრე რეგისტრირებულში [The Economist, August 13, 2011]. 2011 წლის „25 იანვრის რევოლუციის" შემდეგ (იხ. ქვეთავი „არაბული გაზაფხული") ეს პრობლემები არ გამქრალა, შესაძლოა, უფრო მწვავეც კი გახდეს.

ისრაელს, მიუხედავად მცირე ტერიტორიისა და ბუნებრივი რესურსების უკმარისობისა, აქვს მრავალდარგოვანი ეკონომიკა, რომელიც უპირველესად მაღალ ტექნოლოგიებსა და სამხედრო მრეწველობას ეფუძნება. მშპ-ის მოცულობით მსოფლიოში ის 51-ე ადგილზეა. ისრაელისათვის ხელსაყრელი იქნებოდა არაბულ სამყაროსთან ურთიერთო-

ბის ნორმალიზაცია. ჯერჯერობით მას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მხოლოდ ეგვიპტესთან და იორდანიასთან, მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობა მათთანაც კი საკმაოდ შეზღუდულია. ისრაელის ეკონომიკისათვის ხელშემშლელი ფაქტორია დღემდე გადაუწყვეტელი ტერიტორიული დავა პალესტინასთან.

სპარსეთის ყურის მცირე ქვეყნებიდან *გას*-ი 50-ე, *კატარი* – 58-ე, ხოლო *ქუვეითი* – 59-ე ადგილზეა. ამ ქვეყნებში ესმით, რომ ნავთობისა და გაზის რესურსები ულევი არ არის და ახლავე ცდილობენ ეკონომიკის დივერსიფიკაციას: მაგალითად, გას-ში ქ. *დუბაი* საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-საფინანსო ცენტრად იქცა, კატარში შექმნეს ალუმინის მრეწველობა, რომელიც ძალიან ენერგოტევადია და იქაურ იაფ გაზზე მუშაობს. დივერსიფიკაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ჯერჯერობით ვერ ცვლის ამ ქვეყნების თითქმის სრულ დამოკიდებულებას ნავთობისა (გას-ი, ქუვეითი) და გაზის (კატარი) ექსპორტზე.

ერაყი (64-ე ადგილი), მას შემდეგ, რაც ის მოიშუშებს ომის ჭრილობებს (პირდაპირი და გადატანითი აზრით) და იქ დამყარდება სამოქალაქო მშვიდობა, თავისი რესურსების წყალობით, ალბათ, შეძლებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კურსზე მყარად დაბრუნებას (სხვათა შორის, ასეთი კურსი არსებობდა სადამ ჰუსეინის ბატონობის პირველ წლებში, 1970-80-იანების მიჯნაზე).

სირიას (65-ე ადგილი) კარგი შანსი აქვს ეკონომიკურად განვითარდეს, თუკი ქვეყანაში ლიბერალური რეფორმები გატარდება. ამჟამად, მიუხედავად მოკრძალებული საბაზრო რეფორმებისა, ეკონომიკა ძირითადად მთავრობის კონტროლქვეშაა, ნავთობის მოპოვება მცირდება, უმუშევრობა კი მატულობს.

უდაბური *ომანი*, თავისი 3 მილიონი მცხოვრებით, მშპ-ის მოცულობით (ნავთობის მოპოვება!) უსწრებს მეზობელ *იემენს*, სადაც 24 მილიონი ცხოვრობს: IMF-ის ხსენებულ ნუსხაში ისინი შესაბამისად 79-ე და 82-ე ადგილებზე არიან. იემენის ეკონომიკური წინსვლა მეტ-ნაკლებად თანაბარი ტემპით ხდებოდა (ნავთობს მცირე რაოდენობით აქაცმოიპოვებენ, თუმცა მოელიან, რომ მისი რესურსები 2017 წელს ამოიწურება), მაგრამ დიდი დემოგრაფიული ზეწოლა, წყლის უკმარისობა და, დამატებით, ტომობრივი დაპირისპირება ამძიმებს ეკონომიკურ ვითარებას.

პატარა *ლიბანში* (84-ე ადგილი), რომელმაც გადაიტანა 15-წლიანი სამოქალაქო ომი, ქვეყნის სამხრეთ ნაწილის 18-წლიანი ოკუპაცია ისრაელის მხრიდან, 2006 წელს – ისრაელ-„ჰეზბოლას“ ომი, აქვს არაბულ ქვეყნებს შორის ყველაზე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. მაგრამ ის მეტისმეტად არის ორიენტირებული მესამეულ დარგებზე (საბანკო სექტორზე, საშუამავლო ვაჭრობაზე, ტურიზმზე), რომელთა მდგრადობა დამოკიდებულია პოლიტიკურ სტაბილურობაზე ქვეყანასა და მსოფლიოში.

იორდანიის (99-ე ადგილი), რომელსაც არა აქვს ნავთობი და კონვენციური გაზი, საკმაოდ მაღალი ტემპით განვითარება აიხსნება საგარეო დახმარებით, რაც არაა ეკონომიკისთვის საიმედო ფაქტორი. პრობლემაა დემოგრაფიული ზეწოლაც.

რეგიონის ყველაზე პატარა ქვეყნები – შემოტანილი ნავთობის (ადგილობრივი რესურსები ამოიწურა) გადამუშავებასა და საბანკო სფეროზე დამოკიდებული *ბაჰრეინი* და მესამეულ დარგებზე ორიენტირებული (სამხრეთ) *კვიპროსი*, სადაც 2005 წლიდან ვალუტად *ევრო* ბრუნავს – მშპ-ის მოცულობით მსოფლიოში 105-ე და 114-ე ადგილებზე არიან.

მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის პრობლემები

რეგიონის *მოდერნიზაცია*, რაც გულისხმობს მის დაახლოებას *თანამედროვე მსოფლიოს* ეკონომიკურად და სოციალურად ყველაზე წინწასულ ქვეყნებთან, კარგა ხანია მიმდინარეობს.

მაგრამ ამ პროცესს ბევრი პრობლემაც ახლავს თან, რომლებიც ძირითადად უკავშირდება რეგიონში არსებულ ძნელად შესაცვლელ სოციალურ-კულტურულ სიტუაციას. ავიღოთ, მაგალითად, ქალთა უფლებები. თითქმის წარმოუდგენელია, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების ქალებმა ახლო მომავალში მიიღონ ისეთივე (რეალური და არა მხოლოდ დაპირებული) უფლებები, რაც დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრებ ქალებს აქვთ.

სეკულარიზაციის პროცესი, ანუ *საზოგადოებრივ-პოლიტიკური, გონებრივი საქმიანობის რელიგიური გავლენისაგან განთავისუფლება*, რაც ასევე უკავშირდება მოდერნიზაციას (თუმცა მთლიანად არ ემთხვევა მას), ახლო აღმოსავლეთში მკვეთრ სოციალურ-პოლიტიკურ რეაქციას აწყდება. ამის მკაფიო მაგალითია *ირანი*, სადაც 1979 წლამდე შაჰის სეკულარული (საერო, არარელიგიური) რეჟიმი თრგუნავდა რელიგიას. ამას ისლამური რევოლუცია მოჰყვა და სამიოდე ათეული წლის წინ საკმაოდ ემანსიპირებულ თეირანელ ქალებს XXI საუკუნის დამდეგს ქუჩაში თხემით-ტერფამდე შებურულებს უხდებათ სიარული.

საუდის არაბეთში, სახლის გარეთ მყოფი ყველა, მათ შორის – უცხოელი, ქალისათვის აუცილებელია ტრადიციული *აბაიას* ტარება, რომელიც ქალს მთლიანად ფარავს. ქალს აქ მანქანის მართვის უფლებას არ აძლევენ: მართვის მოწმობაში ჩადრით დაფარული ადამიანის სურათს ხომ არ ჩააკრავენ? უცხოსათვის ქალის სახის ჩვენებას კი რელიგია კრძალავს.

შეიძლება კი ლაპარაკი დასავლური ტიპის დემოკრატიის მოდელზე, თუკი ქვეყანას ოფიციალურად ან ფაქტობრივად აქვს სახელმ-

წიფო რელიგია? თუკი ქვეყანაში არსებობს „მშვიდობიანი/ზომიერი/შეგნებული“ რელიგიური პარტიები? ასეთი პარტიების მიზანი ხომ არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოსვლა და ადამიანთა გარკვეული ჯგუფების, მაგალითად, სხვა რელიგიების მიმდევართა, ან უბრალოდ არარელიგიური მოსახლეობის, უფლებათა პირდაპირი ან ირიბი შეზღუდვა იქნება.

ეს რიტორიკული კითხვები არ ეხება მხოლოდ ისლამურ ქვეყნებს: *ერთი რომელიმე რელიგიის სხვებთან შედარებით სამართლებრივად უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს ნებისმიერ ქვეყანაში.*

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის *დემოკრატიის დასავლურ მოდელს* ყველაზე მეტად უახლოვდება *კვიპროსის რესპუბლიკა* (კუნძულის სამხრეთი ნაწილი) და *ისრაელის სახელმწიფო*: ორივეგან მოქმედებს კანონის უზენაესობა. კვიპროსი 2004 წლიდან ევროკავშირის წევრი გახდა, თუმცა კუნძულის ორი ნაწილი ჯერ არ გაერთიანებულა.

ორივე ამ ქვეყნის შემთხვევაში შეუძლებელია გამოირიცხოს ბრიტანული გავლენა. *კვიპროსი* დიდხანს იყო დიდი ბრიტანეთის სამეფო კოლონია და იქ ინგლისური სამართლის სისტემა მოქმედებდა. ბრიტანული მანდატის 25 წლის მანძილზე *პალესტინაში*, რომლის ტერიტორიაზეც 1948 წელს შეიქმნა ისრაელი, ერთდროულად ხდებოდა ბრიტანული დემოკრატიის მოდელის დანერგვა და ევროპიდან ებრაული მოსახლეობის მოდინება: ამ ხალხისათვის უფრო ადვილი აღმოჩნდა ევროპული ტიპის მმართველობის წესებთან შეგუება, ვიდრე ადგილობრივი არაბული მოსახლეობისათვის.

მაგრამ ისეთი, აშკარად დემოკრატიული, სახელმწიფოც კი, როგორიც *ისრაელია*, სადაც არსებობს კანონის უზენაესობა და ტარდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, მთლიანად ვერ ჯდება *დემოკრატიის დასავლურ მოდელში*. ისრაელს არა აქვს ერთიანი, დაწერილი კონსტიტუცია; ის არ შეერთებია „*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას*“; რელიგია ოფიციალურად არაა გამოყოფილი სახელმწიფოსაგან და რელიგიური პარტიების გავლენა პოლიტიკაში ძალიან დიდია; მისი „*კანონი დაბრუნების შესახებ*“ ეთნოცენტრულია, ანუ მხოლოდ ერთ ეთნო-რელიგიურ ჯგუფს ანიჭებს ქვეყანაში იმიგრაციის უფლებას: ისრაელში ამ კანონის ლოგიკურ გამართლებას პოულობენ (ეს ერთადერთი ებრაული სახელმწიფოა; არსებობს არაბული უმრავლესობის წარმოქმნის საფრთხე და ა.შ.), თუმცა ანალოგიური კანონის შემოღების შემთხვევაში ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს არ ასცდებოდა მწვავე კრიტიკა საერთაშორისო დონეზე.

თურქეთს დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა ევროპული დემოკრატიის მოდელთან დასაახლოვებლად. მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. კონსტიტუციის დანერგვის პირველი ცდა ოსმალეთის იმპერიაში

უკვე 1876 წელს განხორციელდა. თურქეთის რესპუბლიკაში შექმნილია მრავალი დემოკრატიული ინსტიტუტი; გამიჯნულია ხელისუფლების შტოები. კანონის უზენაესობის პრინციპი ძირითადად (მაგრამ მთლიანად არა) დაცულია: მას შემდეგ, რაც თურქეთში 1946 წელს მრავალპარტიულობა შემოიღეს, არმიის ხელმძღვანელობამ ოთხი მთავრობა გადააყენა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთმა გადატრიალებებმა ქვეყნის მოდერნიზაცია საბოლოო ჯამში ვერ შეაფერხა, არმიის ქმედება დემოკრატიის დასავლურ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. მხოლოდ 2010-2011 წლებში მოახერხა თურქეთის (სხვათა შორის, „ზომიერად ისლამისტურმა“) მთავრობამ სამოქალაქო ხელისუფლებისადმი გენერალიტეტის საბოლოოდ *(ასეა?)* დაქვემდებარება.

რეგიონის ისლამურ ქვეყნებში ყველაზე მოდერნიზებული და ვესტერნიზებული თურქეთიც კი, რომელსაც *ევროკავშირში* გაერთიანება სურს, ჯერ ვერ იქცა „ნამდვილ ევროპად“ (სტამბოლიდან აღმოსავლეთით მაინც), თუმცა ფაქტია, რომ იქ ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება.

ირანის ისლამური რესპუბლიკის შემთხვევაში, სადაც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ტარდება და ფორმალურად არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტები, მაინც ძნელია ლაპარაკი ადამიანის უფლებათა პრიმატზე და რეალურ დემოკრატიაზე. საპარლამენტო არჩევნების წინ იცხრილება კანდიდატთა სია: „არასაიმედოებს“ ასარჩევად არ უშვებენ. არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის ხელისუფლებაზე მაღლა კონსტიტუციურად დგას ხალხის მიერ აურჩეველი ქვეყნის *სულიერი ლიდერის (რაჰბარის)* ხელისუფლება. სასამართლო VII-VIII საუკუნეში ჩამოყალიბებული შარიათის წესებით ხელმძღვანელობს.

პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ ირანის დემოკრატიზაციის პროცესი სეკულარული მოდელით წარიმართოს (შაჰის დროს სეკულარიზმი კი იყო, მაგრამ დემოკრატია – არა). ამ სახელმწიფოს შინაგანი სტაბილურობა, განსაკუთრებით კი წონასწორობა ეთნოსთაშორისი ურთიერთობების სფეროში, დამოკიდებულია შიიტური ისლამის გამაერთიანებელ ფაქტორზე [სანიკიძე, 2005]. ამიტომაც ლიბერალიზაციის პროცესები უახლოეს მომავალში ალბათ არ გასცდება რელიგიურ ჩარჩოებს.

რაც შეეხება *არაბულ ქვეყნებს*, აქ ერთი გამოცდილი ბრიტანელი დიპლომატის მოსაზრებას მოვიშველიებ. *სერ ჯეიმზ კრეგი*, რომელიც ელჩად მუშაობდა რამდენიმე არაბულ ქვეყანაში, XX საუკუნის დამდეგს წერდა:

„1945 წელს არაბულ სამყაროში დემოკრატია საერთოდ არ იყო, ახლაც ის პრაქტიკულად არ არსებობს, თუ აქა-იქ მის რალაც ციმციმს არ ვიგულისხმებთ. არაბულ ქვეყნებში ხდებოდა რევოლუციები და ჩნდებოდა ე.წ. 'პროგრესული რეჟიმები', რომლებიც არაფრით სჯობ-

და ტრადიციულ რეჟიმებს. სირიისა და ერაყის რევოლუციათა წყებით გამოწვეული ახალი ჩაგვრა და თვალთმაქცობა სხვა ქვეყნებში ცვლილებების დაწყების ხალისს აქრობდა.

დასავლური დემოკრატია, რასაკვირველია, პანაცეა არ არის, მით უმეტეს ახლო აღმოსავლეთში... მაგრამ დასავლეთში არის თავისუფალი პრესა: თუნდაც ზედაპირული და ვულგარული, ის მაინც იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ამის საპირისპიროდ, არაბული პრესა მორჩილი და თავაზიანია. ის ან ოფიციალურ ცენზურას ექვემდებარება, ანდა თვითცენზურას ეწევა. ხალხი მიჩვეულია, რომ გაზეთის მოწინავე ან სატელევიზიო ახალი ამბების პირველი ინფორმაცია უნდა მიეძღვნას პრეზიდენტის მიერ ახალი ხიდის გახსნას. დასავლეთში რიგით ადამიანს ემსახურება სასამართლო, პრესა, ომბუდსმენი, პარლამენტის წევრი. არაბულ სამყაროში კი დაჩაგრული კაცის ერთადერთი იმედია საჩივრის დაწერა უფროსის სახელზე. ეს სისტემა კი არასაიმედოა. ბოლო 50 წელიწადში ცოტა რამ შეიცვალა. პოლიტიკური ოპონენტების თვითნებური დაპატიმრება ჩვეულებრივი პრაქტიკაა ბევრ ქვეყანაში" [Craig, 2001].

არაბულ მონარქიებში დემოკრატიად აცხადებენ არჩევნების ჩატარებას, რაც დემოკრატიზაციის პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი კრიტერიუმია. თავისებურ საპარლამენტო არჩევნებს ატარებენ *ომანი, ქუვეითი, ბაჰრეინი, კატარი, იორდანია, გაერთიანებული არაბული საამიროები (გას-ი):* არც ერთ მათგანში არჩევნების გზით მთავრობა არ შეცვლილა. საინტერესო მაგალითია *გას-ი*, სადაც 2011 წლის სექტემბერში *საკონსულტაციო ეროვნული ასამბლეის* 40 წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაუშვეს 129 274 ადამიანი. ეს დიდი პროგრესია: 2006 წლის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ 6 ათასი ადამიანი შეარჩიეს! გას-ში 5,2 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, უმეტესობა შრომითი მიგრანტია, რომელთაც სამოქალაქო უფლებები არა აქვთ, მაგრამ ადგილობრივი ელექტორატიც კი ერთი-ოთხად მეტია იმათზე, ვისაც „საკონსულტაციო პარლამენტის" არჩევა მიანდეს. სხვა ქვეყნებში საარჩევნო გარემო დიდად განსხვავებული არაა.

საუდის არაბეთში, სადაც პოლიტიკური პარტიები არც არსებობს, საპარლამენტო არჩევნები არასოდეს არ ჩატარებულა – იქ არ თვალთმაქცობენ მაინც! მუნიციპალურ არჩევნებში კი მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ.

არაბულ რესპუბლიკებში არჩევნები უმეტესწილად ფორმალურ ხასიათს ატარებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, *დემოკრატია, როგორც პოლიტიკურ პროცესზე გავლენის მოხდენის საშუალება, იქ ფიქციაა.* 2002 წელს სადამ ჰუსეინმა *ერაყის* საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების 100 პროცენტი მიიღო! *იემენში, ეგვიპტესა და სირიაში* (ყოველ შემთხვევაში, 2011 წლამდე) არჩევნები ტარდებოდა მოსალოდნელი შედეგით – აუცილებლად გაიმარჯვებდა მმართველი პარტია. *ლიბანის* შემთხვევაში

არჩევნებს თემობრივი ხასიათი აქვს: ამ სახელმწიფოში განსაზღვრულია რელიგიური თემის წარმომადგენლობა პარლამენტში; პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ა.შ. წინასწარ დადგენილ სარწმუნოებას უნდა წარმოადგენდეს.

არაბული წარმოშობის ამერიკელმა პოლიტოლოგმა *შადი ჰამიდმა* ჟურნალ „Foreign Policy"-ში 2010 წელს გამოაქვეყნა სტატია საგულისხმო სათაურით *„არაბული არჩევნები: თავისუფალი, რაღაცით სამართლიანი... და უაზრო"* [Hamid, 2010]. ის განიხილავდა იმ წლის არჩევნებს ბაჰრეინში, იორდანიასა და ეგვიპტეში და მიდიოდა დასკვნამდე, რომ არჩევნები არის მხოლოდ ფასადი იმისათვის, რომ დასავლეთს თავი მოაწონონ: ოპოზიციის წარმატების შემთხვევაშიც კი გადამწყვეტი სიტყვა დესპოტურ აღმასრულებელ ხელისუფლებას დარჩება-ო.

ჰამიდმა მაგალითად მოიყვანა *ბაჰრეინი*, სადაც, ჩემი მხრიდან დავძენ, საპარლამენტო არჩევნები 2002 წლიდან ტარდება; არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქალებსაც აქვთ, მათ შორის პასიური უფლებაც კი, ე.ი. მათი არჩევაც შეიძლება; ბაჰრეინის ამირამ, რომელმაც იმავე 2002 წელს თავი კონსტიტუციურ მონარქად გამოაცხადა, გაათავისუფლა პოლიტიკური პატიმრები, მოიწვია მამამისის დროს განდევნილი პოლიტიკური ოპოზიცია. ერთი სიტყვით, დასავლეთს, წესით, ბაჰრეინი „დემოკრატიის შუქურად" უნდა მიაჩნდეს.

2010 წლის ბაჰრეინის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ჰამიდი წერს: *„კენჭისყრა საკმაოდ თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდა, მონაწილეობდა ელექტორატის 67 პროცენტი, ოპოზიციამ მოიპოვა საპარლამენტო ადგილების 45 პროცენტი. ჟღერს, როგორც ნამდვილი დემოკრატია"* და იქვე აღნიშნავს: *„...იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოპოზიციას გამარჯვების საშუალებას მისცემენ, საფუძვლები არ შეიცვლება. საპარლამენტო კანონმდებლობა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბაჰრეინი და იორდანია* [და მუბარაქის დროინდელი ეგვიპტეც: რ.გ.], *შეიძლება დაიბლოკოს დანიშნული ზედა პალატის მიერ. და თუ ამანაც არ გაჭრა, მეფეს (ან პრეზიდენტს) და მის მინისტრებს – მის მიერვე დანიშნულებს – შეუძლიათ ჩაკლან მათთვის სახიფათო კანონი"* [ibid.].

დავუმატებ, რომ იმავე ბაჰრეინში, 2011 წლის „არაბული გაზაფხულის" დროს, მოსახლეობის დიდი ნაწილის (ისინი შიიტები არიან) გამოსვლები მმართველმა რეჟიმმა (ის სუნიტებს წარმოადგენს) ჩაახშო უხეში ძალის გამოყენებით და საუდის არაბეთის სამხედრო ნაწილების დახმარებით. დასავლეთის რეაქცია ამ ქმედებაზე მეტისმეტად თავშეკავებული იყო: გადამწყვეტია გეოპოლიტიკა – *ბაჰრეინში მდებარეობს აშშ-ის მე-5 ფლოტის ბაზა.*

ხაზი უნდა გავუსვა, რომ *კორუფციის დაბალი დონე ან დიდი მთლიანი შიდა პროდუქტი არაა დემოკრატიის გარანტია.*

ცხრილი 13.2 გვიჩვენებს არაბული ქვეყნების რიგით ადგილს დემო-

კრატიის განვითარებისა და მასმედიის თავისუფლების მიხედვით. შეფასებები და რანჟირება ეკუთვნის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც ვერ აგროვებენ ინფორმაციას ერთნაირი რაოდენობის ქვეყნებში; შეფასებები ზოგჯერ ეყრდნობა სადავო კრიტერიუმებს, მაგრამ ცხრილი ქვეყნების შედარების საშუალებას იძლევა.

ცხრილი 13.2. ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნების რიგითი ადგილი მსოფლიოს ქვეყნებს შორის დემოკრატიის განვითარების, კორუფციის დონისა და მასმედიის თავისუფლების მიხედვით და მშპ/ერთ მცხოვრებზე (მსყიდველობითი უნარის პარიტეტით) (2010 წლის მონაცემები)

ქვეყანა	დემოკრატიის დონე (167 ქვეყანას შორის)	მასმედიის თავისუფლ. (196 ქვეყანას შორის)	კორუფცია (178 ქვეყანას შორის)	მშპ/ერთ მცხოვრ. $1000
ლიბანი	86	115	127	13,4
პალესტინის ტერიტორიები	93	181	...	2,9
ერაყი	111	144	175	4,0
ქუვეითი	114	115	54	40,6
იორდანია	117	140	50	5,2
ბაჰრეინი	122	153	48	24,0
კატარი	137	146	19	66,9
ეგვიპტე	138	130	98	5,9
ომანი	143	153	41	23,3
იემენი	146	173	146	2,9
სირია	152	178	127	4,7
საუდის არაბეთი	160	179	50	22,9

წყაროები: The Economist; CIA World Factbook

დემოკრატიის დონით რეგიონის არაბულ ქვეყნებს შორის ყველაზე წინწასული ქვეყანა – *ლიბანი* – მსოფლიოში 86-ე ადგილზეა, *პალესტინა* – 93-ეზე. ყველა დანარჩენი მეორე ასეულში აღმოჩნდა, ხოლო დემოკრატიული დასავლეთის მთავარი პარტნიორი რეგიონში, *საუდის არაბეთი*, 160-ე ადგილზეა 167 ქვეყანას შორის.

მასმედიის (ელექტრონულისა და ბეჭდურის) *თავისუფლებით* რეგიონში ყველაზე წინწასული ქვეყნები – *ლიბანი* და *ქუვეითი* – მსოფლიოში მხოლოდ 115-ე ადგილს იყოფენ; *კატარი*, საიდანაც მაუწყებლობს 1996 წელს დაარსებული სახელგანთქმული ტელეარხი „ალ-ჯაზირა“ – მსოფლიოში 146-ე ადგილზეა. სინამდვილეში „ალ-ჯაზირა“ თავს ბევრის უფლებას არ აძლევს და თუ ვინმე მაღლა მყოფთაგანს

აკრიტიკებს, ეს სხვა ქვეყნის მთავრობის მინისტრია და არა საკუთარი ქვეყნის ხელისუფალი.

დემოკრატიით გამორჩეული *პალესტინა* მასმედიის თავისუფლებით (181-ე ადგილი) ჩამორჩება 179-ე ადგილზე აღმოჩენილ არადემოკრატიულ *საუდის არაბეთსაც კი.*

ეს მონაცემები შეგვიძლია შევადაროთ *კორუფციის დონეს, რომელიც დაბალია სწორედ არადემოკრატიულ სახელმწიფოებში.* კატარი, საერთოდ, „რეგიონის ჩემპიონია", მსოფლიოში კი მე-19 ადგილზეა. როგორც ჩანს, იქ უმწიკვლო და მოუსყიდველი ხელისუფლებაა! მართალია, ამ პატარა, არასაფეხბურთო და ძალიან ცხელი ქვეყნის მიერ ფეხბურთში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლების ყველასათვის მოულოდნელად მოპოვებამ მსოფლიო სპორტულ პრესაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როდესაც სიტყვა „კორუფციას" ხშირ-ხშირად იყენებდნენ, მაგრამ ადგილობრივი შეიხები ქრთამს არ იღებენ! ფიფას წევრები კი უცხოელები არიან!

კორუფციის მაღალი დონით გამოირჩევიან *სირია* და *იემენი.* ეს უკანასკნელი ყველა მაჩვენებლით ჩამორჩენილი ჩანს.

რაც შეეხება *ეკონომიკურ კეთილდღეობას,* მისი უარყოფითი კორელაცია მხოლოდ კორუფციასთან ჩანს: მდიდარ ქვეყნებში კორუფცია ნაკლებია. *სიმდიდრესა და დემოკრატიის დონეს შორის კავშირი არ ჩანს.* რეგიონის მდიდარი ქვეყნები შეიძლება არადემოკრატიულიც იყოს (საუდის არაბეთი) ან რეპრესიებს მიმართავდეს (ბაჰრეინი) და, რეგიონის კვალობაზე, შედარებით დემოკრატიულიც (ლიბანი).

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიზაციის პროცესის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია. აუცილებელია *ხელისუფლებათა გამიჯვნა,* განსაკუთრებით კი *სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა* აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. საჭიროა *ადამიანის უფლებათა სრული სპექტრის დაცვა* (ქალის უფლებებს *შარიათი* ძალიან თავისებურად „იცავს"). არანაკლებ აუცილებელია *კანონის უზენაესობა ყველასათვის,* მათ შორის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის, *ხელისუფლების ტრანსპარანტულობა* (გამჭვირვალობა), მისი *ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის* წინაშე.

ამ თემებზე ლაპარაკი მემკვიდრეობით მონარქიებში – ასეთი კი რეგიონში შვიდია, ირანში თეოკრატიაა, ხოლო სირია „მემკვიდრეობითი რესპუბლიკა" – სასაცილოც კია.

დასავლური ტიპის დემოკრატიის დამკვიდრება ახლო აღმოსავლეთის უდიდეს ნაწილში გაჭირდება, რადგან იქ არსებობს ერთპიროვნული მართვისადმი, ქვეყნის მეთაურის (მეფის/ამირას/შეიხის/პრეზიდენტის) სიტყვისადმი მორჩილების ძვალსა და რბილში გამჯდარი ტრადიცია. ისრაელის, კვიპროსისა და თურქეთის გარდა, ყველგან წინასწარ შეიძლება განისაზღვროს – ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში.

ამიტომაც აღმოჩნდა გარდაუვალი სახალხო გამოსვლები არაბული დესპოტური რეჟიმების შესაცვლელად (იხ. ქვეთავი „არაბული გაზაფხული"). „მომდევნო არჩევნების მოლოდინი" მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებშია შესაძლებელი, სადაც ხალხს საშუალება აქვს საარჩევნო ყუთთან უთხრას უარი მთავრობას, რომელიც არ მოსწონს.

რეჟიმის ლიბერალიზაციის ცალკეული ფაქტები, მიუხედავად კეთილი განზრახვისა, ვერ შექმნის ევროპული ტიპის დემოკრატიას რომელიმე „ცალკე აღებულ ახლოაღმოსავლურ ქვეყანაში". *დემოკრატია გარედან არ მკვიდრდება, ის მხოლოდ შინაგანი განვითარების შედეგი შეიძლება იყოს.*

დემოკრატიის გარედან დანერგვის ცდა უნაყოფოა (წარუმატებელი მაგალითია ერაყი 2003 წლის შემდეგ, თუმცა იქ არჩევნები მეტნაკლებად ნორმალურად ტარდება), თუკი ადამიანები არ არიან მომზადებული თვითონ აიღონ ხელში საკუთარი საზოგადოების მართვა. *ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ სახელმწიფოსაგან ეკონომიკურად დამოუკიდებელნი, მის კმაყოფაზე არ უნდა იმყოფებოდნენ: ეს ნიშნავს საშუალო კლასის არსებობას, რომელიც არც ოლიგარქიას განეკუთვნება და არც პროლეტარიატს.*

საშუალო კლასი კი ახლო აღმოსავლეთში ძალიან მცირერიცხოვანია და მისი ბევრი წარმომადგენელიც კი რელიგიური დოგმატების ტყვეობას ვერ სცდება.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა *ისრაელში, კვიპროსში, თურქეთში.* ამ უკანასკნელში ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი საშუალო კლასი შექმნა. მაგრამ სხვა ქვეყნებში ასეთ ელემენტს რაოდენობრივად მკვეთრად სჭარბობს ღარიბ-ღატაკი მოსახლეობა.

რაც შეეხება პოლიტიკური პლურალიზმის აუცილებელ თანმხლებ მოვლენას – *სიტყვისა და პრესის თავისუფლებას*, როგორც ცხრილში ჩანს, არაბულ ქვეყნებში ის ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს. ისრაელში, თურქეთში, კვიპროსში, ლიბანში არის თავისუფალი მასმედია, მაგრამ სხვა არაბულ ქვეყნებსა და ირანში არსებული ხელისუფლება კრიტიკას ვერ იტანს.

2003 წელს ამ წიგნის პირველ გამოცემაში ვწერდი: *„ინტერნეტისა და თანამგზავრული სატელევიზიო ქსელის არსებობა ინფორმაციის გავრცელების ის დიდი საშუალებაა, რომლებმაც ცვლილებებს შეიძლება შეუწყოს ხელი".*

იმ დროს მე, რასაკვირველია, ვერც წარმოვიდგენდი 2011 წლის „არაბულ გაზაფხულს", რომლის დროსაც ადამიანების საპროტესტო მობილიზაციაში სოციალურმა ქსელებმა უდიდესი როლი ითამაშეს. მაგრამ ასეთი საფრთხე, როგორც ჩანს, უკვე მაშინ ნათელი იყო ადგილობრივი რეჟიმებისათვის. საუდის არაბეთი 2000 წლიდან ეწევა ინტერ-

ნეტის ინფორმაციის ფილტრაციას: სპეციალური სამსახური ბლოკავს ზოგიერთ ვებსაიტს, და არა მარტო ისეთს, რომლებიც ასე თუ ისე უნივერსალური მორალის პოზიციიდანაც მიუღებელია (ვთქვათ, პორნოგრაფიული ხასიათისაა, ანდა ნარკოტიკებს უკეთებს რეკლამას), არამედ ისეთსაც, რომლებსაც ხელისუფლება ისლამური კულტურისათვის მიუღებლად და საკუთარი თავისათვის სახიფათოდ მიიჩნევს.

რეგიონის სხვა ქვეყნებშიც იყო ასეთივე ფილტრაციის მცდელობა. მაგრამ სოციალური მედია – *ფეისბუქი, ტვიტერი, იუთუბი, სკაიპი* – ყველა ვერ დაბლოკეს! 2010 წელს ინტერნეტს იყენებდა გას-ის მოსახლეობის 65 პროცენტი, ბაჰრეინში – 51 პროცენტი, საუდის არაბეთში, ქუვეითში, კატარში – 31-36 პროცენტი, ეგვიპტესა და სირიაში – 16-17 პროცენტი, მაგრამ იემენში – სულ 1,6 პროცენტი.

ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაციაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია საკმაოდ ორაზროვანი რელიგიური ფაქტორი, რომელიც მკვეთრად აშორებს ერთმანეთს დასავლურ (ევროპულ და ჩრდილოამერიკულ) და ახლოაღმოსავლურ ფასეულობებს. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნებში ადამიანის უფლებების ზოგი სპეციფიკური ტიპის (მაგალითად, სექსუალური უმცირესობების უფლებების) წინ წამოწევამ ხომ საერთოდ დაუპირისპირა ერთმანეთს დასავლური და აღმოსავლური სოციალური ფასეულობები.

ევროპა სეკულარიზმის სამშობლო და მთავარი საყრდენია. ევროკავშირში შედის მხოლოდ ერთი ქვეყანა, რომლის კონსტიტუციაშიც ნახსენებია *სახელმწიფო* (იქ წერია: „გაბატონებული“) *რელიგია*: ეს მართლმადიდებლური *საბერძნეთის რესპუბლიკაა* (მისი კონსტიტუცია *წმინდა სამების* ხსენებით იწყება).

ახლო აღმოსავლეთში კი მხოლოდ ერთი სახელმწიფოა, რომელიც კონსტიტუციურად არის *სეკულარული*: ეს *თურქეთის რესპუბლიკაა*. ისრაელის, ლიბანისა და კვიპროსის თავისებურებებზე ზემოთ ითქვა. ახლო აღმოსავლეთის ყველა სხვა ქვეყანა ან პირდაპირ, ან ირიბად არასეკულარულია: ყველა კონსტიტუციაში იხსენიება *წმინდა ყურანი*, ზოგან – *შარიათიც*. ყველა არაბული მონარქია ისლამს ეყრდნობა.

მართალია, ბევრ არაბულ რესპუბლიკას ბოლო დრომდე ფაქტობრივად სეკულარული ხელისუფლება მართავდა (ერაყი, ეგვიპტე, სირია, იემენი), მაგრამ მათ კონსტიტუციებში ისლამი მაინც ნახსენებია. ეს რეჟიმები დაემხო ან ემხობა. უცნობია, რა ცვლილებები მოჰყვება იქაურ რევოლუციებს – გაძლიერდება თუ არა რელიგიის როლი ამ სახელმწიფოებში?

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება ახლო აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში შეიძლება მოასწავებდეს რადიკალური (ფუნდამენტალისტური) პარტიების გამარჯვებას, რაც არც ადგილობრივი საზოგადოების სეკულარულ წრეებს უქადის მშვიდ ცხოვრებას და რასაც არც დასავლეთში ელიან დიდი სიხარულით.

არჩევნებში წარმატების შედეგად რელიგიურ პარტიებსა და მოძრაობებს მართლაც შეუძლიათ დაამკვიდრონ სამართლიანობა და მაღალი ზნეობა, მაგრამ VII-VIII საუკუნეების ნორმებით. დასავლური ტიპის დემოკრატიულ ფასეულობებთან საერთო მათ არაფერი ექნებათ.

„არაბული გაზაფხული“: მიზეზები და პერსპექტივა

ზემოთ აღწერილ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე 2011 წელს რეგიონში მოხდა მოვლენები, რომელთაც მსოფლიო მასმედიამ მალე გამოუნახა სახელი – *„არაბული გაზაფხული“* – როგორც ჩანს, 1968 წლის *„პრაჰის გაზაფხულის“* ანალოგიით, როდესაც ხალხი გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ტოტალიტარულ-კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

ყველაფერი საკმაოდ ტრივიალურად დაიწყო.

2010 წლის 17 დეკემბერს *თუნისის*[1] პატარა პროვინციულ ქალაქში სიღარიბით უკიდურესობამდე მისულმა ქუჩაში მოვაჭრე ახალგაზრდა *მუჰამედ ბუაზიზიმ*, რომელიც ძლივძლივობით არჩენდა ოჯახს, პროტესტის ნიშნად ქალაქის მერიის წინ თავი დაიწვა. ასეთი უკიდურესი პროტესტის საბაბი აღმოჩნდა სამართალდამცავების მიერ მისთვის სასწორის ჩამორთმევა, ვაჭრობის აკრძალვა და თავმოყვარეობის შემლახავი პირადი შეურაცხყოფა. ბუაზიზის არ ჰქონდა თანხა, რომ ქრთამით მოეშორებინა თავიდან პოლიცია.

ოჯახისათვის მარჩენლის დაღუპვა დიდი ტრაგედიაა. სამწუხაროდ, მსგავსი ტრაგედიები მსოფლიოში ლამის ყოველდღე ხდება. განსხვავება ის იყო, რომ ბუაზიზის სიკვდილმა (მკურნალობის მიუხედავად, ის 2011 წლის 4 იანვარს გარდაიცვალა) უკვალოდ არ ჩაიარა. მისი დაკრძალვისას მისსავე ქალაქში და, თითქმის დაუყოვნებლივ, მთელ თუნისში აგორდა საპროტესტო ტალღა: *ტელევიზიამ, მობილურმა ტელეფონმა, ინტერნეტის სოციალურმა ქსელებმა განაპირობეს პროტესტის მასობრივი ხასიათი.* რეჟიმით უკმაყოფილება ხალხში გროვდებოდა: ახლა მან გამოსავალი იპოვა.

პოლიციამ სცადა დემონსტრაციების დაშლა, რასაც 200-ზე მეტი ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. ამან კიდევ უფრო გაამძაფრა პროტესტი. თუნისის არმიამ არ ისურვა კონფლიქტში ჩარევა და პრაქტიკულად განუდგა პრეზიდენტ *ზინე ელ-აბიდინ ბენ ალის*. 14 იანვარს თუნისის პრეზიდენტი ოჯახთან ერთად გაიქცა საუდის არაბეთში, რომელმაც მისცა მას პოლიტიკური თავშესაფარი ქ. ჯიდაში.

---

1. მართალია, *თუნისი* არაა ახლო აღმოსავლეთის ნაწილი, მაგრამ სისტემურად ის უახლოვდება ამ რეგიონის არაბულ ქვეყნებს. სწორედ თუნისში დაიწყო „არაბული გაზაფხული“, რომელიც ახლო აღმოსავლეთსაც გადაედო.

მრავალ არაბულ ქვეყანაში არსებობდა ღრმა უკმაყოფილება საკუთარი რეჟიმებით, მაგრამ ზედაპირზე ის არ ამოდიოდა. „თუნისის რევოლუციის“ სწრაფმა წარმატებამ პროტესტის აფეთქებისათვის დეტონატორის როლი ითამაშა.

დომინოს ეფექტით პროტესტი სწრაფად გადაედო სხვა არაბულ ქვეყნებს. ერთი არაბული ქვეყნის სატელევიზიო ახალ ამბებს სხვა არაბულ ქვეყნებშიც ხედავენ და ენაც ესმით, თანაც ტელეარხ „ალ-ჯაზირას“ ყველგან ჰყავს რეპორტიორები და გადამღები ჯგუფები. სწრაფად გავრცელდა აზრი: *„თუკი თუნისში შეძლეს, ჩვენც შეგვიძლია მოვიშოროთ ჩვენი მტარვალები“*! უკვე 2011 წლის იანვარში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები *იორდანიაში, ომანში, იემენში, ეგვიპტეში, ბაჰრეინში;* მარტში – *სირიაში*. რეგიონს გარეთ დემონსტრაციები იყო *ალჟირში, მაროკოში*, ხოლო *ლიბიაში*, რომელსაც 1969 წლიდან (sic!), 41 წლის განმავლობაში თავის ოჯახთან და კლანთან ერთად უცვლელად მართავდა საერთაშორისო დონეზე უტაქტობითა და ახირებით ცნობილი დიქტატორი, პოლკოვნიკი *მუამარ ალ-კადაფი*, ანტისამთავრობო გამოსვლები ნახევარწლიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

ოპოზიციურმა მასმედიამ და სოციალურმა ქსელებმა უზრუნველყვეს რეჟიმების საწინააღმდეგო პროტესტის მასობრივი ხასიათი არაბულ ქვეყნებში: ამ არადემოკრატიული რეჟიმებიდან არც ერთი არ გამოხატავდა ხალხის ინტერესებს და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის იღწვოდა.

საყოველთაო *ლოზუნგად* იქცა *„აშ-შააბ იურიდ ისკატ ან-ნიზამ“* (*ხალხი მოითხოვს რეჟიმის დამხობას*).

„ბენ ალის პრეცედენტმა“ განაპირობა მასობრივი პროტესტი *ჰოსნი მუბარაქის* რეჟიმის წინააღმდეგ *ეგვიპტეში*, რომელიც, გარკვეულად, არაბული სამყაროს სახეა. 25 იანვარს დაწყებული მასობრივი დემონსტრაციების დასაშლელად ეგვიპტის უშიშროების ორგანოებმა ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს: სხვადასხვა ქალაქში ჯამში 840-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, 6 ათასზე მეტი დაიჭრა. მხცოვანი პრეზიდენტი მუბარაქი საკმაო ხანს მყარად გრძნობდა თავს. მაგრამ აქაც არმიის პოზიცია აღმოჩნდა გადამწყვეტი: როდესაც გენერლებმა გადაწყვიტეს, რომ ხალხის წინააღმდეგ წასვლას მუბარაქის ხელისუფლებიდან წასვლა ურჩევნიათ, ის 11 თებერვალს იძულებული გახდა გადამდგარიყო. ეგვიპტის შეირაღებული ძალების ხელმძღვანელობამ ხელში აიღო ძალაუფლება, დაშლილად გამოაცხადა იქამდე სახელისუფლებო *ეროვნულ-დემოკრატიული პარტია* და ახალი არჩევნებისათვის ქვეყნის მომზადება დაიწყო. პროტესტმა იკლო, მაგრამ ეგვიპტელ ხალხს არ უნდა, რომ დემოკრატიზაციის პროცესი შეწყდეს და ძალაუფლება ისევ გენერალიტეტსა და ძველი რეჟიმის ხალხს დარჩეს. რევოლუცია იქ დასრულებულად ჯერ ვერ ჩაითვლება.

თუნისისა და ეგვიპტის პრეზიდენტების ბედი

ზინე ელ-აბიდინ ბენ ალი 23 წლის განმავლობაში რკინის ხელით მართავდა თუნისს, სადაც ის აშენებდა გზებს, იზიდავდა უცხოურ ინვესტიციებს სასტუმროების ასაშენებლად, ახალისებდა უცხოურ ტურიზმს, ატარებდა რეფორმებს ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიზნით (მის დროს თუნისის მშპ/ერთ მცხოვრებზე გადაანგარიშებით გასამმაგდა), მეგობრობდა დასავლეთის ქვეყნების ლიდერებთან, ებრძოდა ისლამურ რადიკალიზმს. ჩადრიანი ქალი იქ იშვიათი იყო. თუნისი არაბულ ქვეყნებს შორის ყველაზე „ვესტერნიზებული" იყო.

ჰოსნი მუბარაქი 30 წელს იყო ეგვიპტის უცვლელი პრეზიდენტი. მის დროს ეკონომიკა, თუმცა არა ისეთი ტემპით, როგორც თუნისში, მაგრამ ვითარდებოდა. უცხოური ტურიზმისაგან ეგვიპტე წლიურად 12-13 მილიარდ დოლარს ღებულობდა. ვაშინგტონი წლიურად 2 მილიარდი დოლარით ეხმარებოდა ეგვიპტეს, ხოლო მუბარაქს ყველაზე სანდო ხელმძღვანელად მიიჩნევდა არაბულ სამყაროში. „მუსლიმი ძმები" – რადიკალური ისლამური ორგანიზაცია – ეგვიპტეში ითრგუნებოდა.

მაგრამ რეალურად, როგორც თუნისში, ისე ეგვიპტეში იყო არადემოკრატიული, ავტორიტარული, ერთპიროვნული ხელისუფლება; ორივე პრეზიდენტი და მათი ფრთის ქვეშ მყოფი მმართველი პარტიები დიდი უპირატესობით იგებდნენ ყველა არჩევნებს; ადამიანის უფლებები ირღვეოდა; ეგვიპტეში საგანგებო მდგომარეობა 30 წლის განმავლობაში არ გაუქმებულა; მასმედია შეზღუდული იყო; გარდა პოლიციისა და ბიუროკრატიის მექრთამეობისა, არსებობდა გიგანტური მასშტაბის კორუფცია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში (არის ცნობა, რომ გაქცევისას თუნისის პრეზიდენტის ცოლმა *ლეილა ბენ ალიმ* ხელს გააყოლა 1,5 ტონა ოქრო ეროვნული ბანკიდან); მდიდრდებოდნენ მინისტრები და პრეზიდენტების დაახლოებული პირები; ორივე ქვეყანაში მხოლოდ ხელისუფლებასთან ახლოს მყოფ ბიზნესმენებს ჰქონდათ გასაქანი; ორივე პრეზიდენტისა და მათი ოჯახის წევრების თავნებობა და ახირებულობა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა.

ხალხი დაიღალა როგორც *ბენ ალით*, ისე *მუბარაქით*.

2011 წლის ივნისში თუნისის სასამართლომ ყოფილ პრეზიდენტსა და მის ცოლს დაუსწრებლად მიუსაჯა 35 წლის პატიმრობა და ჯარიმის სახით დაუწესა 50 მილიონი ევროს ეკვივალენტის გადახდა.

ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის (ის საავადმყოფოს საწოლით შემოაგორეს სასამართლოში) პროცესი კაიროში 2011 წლის აგვისტოში დაიწყო. მშვიდობიანი დემონსტრანტების დახოცვის ბრძანების გაცემის, საზოგადოებრივი ფონდების გაფლანგვის, მისი ოჯახის უკანონოდ გამდიდრების ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში მას სიკვდილით დასჯა ელოდება.

ზოგიერთ მდიდარ არაბულ მონარქიაში დაუყოვნებლივ მიიღეს *წინმსწრები (პრევენციული) ზომები* – საკუთარ მოქალაქეებს მკვეთრად გაუზარდეს ხელფასი, პენსია, შემწეობა (საუდის არაბეთი, ქუვეითი, კატარი, ომანი), მინისტრების ნაწილი ან მთელი მთავრობაც კი

შეცვალეს (იორდანია, ომანი, ბაჰრეინი). ზოგ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები დაჰპირდნენ ხალხს, რომ აღარ იყრიდნენ კენჭს მომდევნო არჩევნების დროს (იემენი, ერაყი).

არაბული მონარქიების უმეტესობაში, სადაც მოსახლეობის საგრძნობი ან დიდი ნაწილიც კი უცხოური მუშახელია, ასეთმა ღონისძიებებმა გაამართლა: ადგილობრივი პრივილეგირებული მოსახლეობა არაა დაინტერესებული მაგრად შეარყიოს მყიფე პოლიტიკური სისტემა, ხოლო უუფლებო უცხოელი მუშები და მომსახურე პერსონალი ორგანიზებულ პროტესტს ვერც გამოხატავენ (შესაძლოა, ჯერჯერობით!).

იემენში კი დაპირებებმა ვერ იმოქმედა: ქვეყანა პრაქტიკულად სამოქალაქო ომის ზღვარზე მივიდა, რადგან გადადგომის შესახებ რამდენიმე განცხადების მიუხედავად, პრეზიდენტი (1978 წლიდან!) *ალი აბდულა სალეჰი* ხელისუფლებიდან წასვლას არ ჩქარობდა.

ბაჰრეინში, როგორც ზევით აღინიშნა, პროტესტის ჩასახშობად მმართველმა რეჟიმმა საუდის არაბეთის ძალები შემოიყვანა.

სირიაში დიდხანს სიმშვიდე იყო. მასობრივი პროტესტისათვის ნაპერწკლის როლი ითამაშა 2011 წლის მარტის თვეში სამხრეთის პატარა ქალაქ *დერააში* 10-15 წლის ბავშვების მიერ სკოლის კედელზე წერამ ზემოხსენებული ლოზუნგისა – *„აშ-შააბ იურიდ ისკატ ან-ნიზამ“*, რომელიც მათ ტელევიზიით ნახეს. ბიჭები პოლიციამ დაიჭირა, სასტიკად სცემა და აწამა, რასაც მათი მშობლებისა და მთელი დიდი სანათესაოს (ტომობრივი სოლიდარობა იქ ჯერაც ძლიერია) პოლიციასთან სისხლიანი შეხლა მოჰყვა. დაღუპულების დასაფლავებამ და ახალმა რეპრესიებმა პროტესტების ზვავი ააგორა, რომელიც მალე მთელ ქვეყანას მოედო: სირიელ ხალხს სიამაყე და თავმოყვარეობა გააჩნია [Syria's brave demonstrators, 2011]. იმავე წლის აგვისტოს ბოლოსათვის სირიაში დაღუპულთა რაოდენობამ ორი ათასს გადააჭარბა, დაჭრილისა და დაპატიმრებულის თვლა არ არის.

შედეგი არ გამოიღო სირიის მმართველი რეჟიმის მიერ სასწრაფოდ გადადგმულმა სანახევრო ნაბიჯებმა, მაგალითად, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამ (ის 1963 წლიდან უწყვეტად მოქმედებდა), დაპირებამ, რომ ქვეყანაში მრავალპარტიულობას დაუშვებენ. პროტესტები გრძელდებოდა. გრძელდებოდა მათი სასტიკი მეთოდებით ჩახშობაც.

სირიის რეჟიმს უფრო მყარი მდგომარეობა აქვს არმიაში, ვიდრე თუნისსა და ეგვიპტეში. სირიაში გენერლები და უმაღლესი ბიუროკრატია ვერ გადაუდგებიან *პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს*, რადგან მათი დიდი უმრავლესობა მასავით *ალავიტია*, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი. ბაშარ ალ-ასადის დამხობა მმართველი ელიტისათვის დაღუპვის მომასწავებელი შეიძლება გახდეს. ამიტომაც სირიის არმია, სხვა არაბული ქვეყნების არმიებისაგან განსხვავებით, თავდამოდებით იბრძვის პროტესტების ჩასახშობად ტანკებისა და არტილერიის მეშვეობითაც კი.

ბუნებრივია, სირიის ოპოზიციაში დაუყოვნებლივ გამოჩნდნენ ისლა-

მისტური ძალები (მაგალითად, იქამდე იატაკქვეშეთში მყოფი სუნიტი „მუსლიმი ძმები"), რომელთა ერთ-ერთი მთავარი საყრდენია *ქ. ჰამა*, სადაც სირიის არმია საცხოვრებელ უბნებს ქვემეხებს უშენდა.

მაგრამ სირიელი ხალხის პროტესტს, საერთო ჯამში, რელიგიური ელფერი, ჯერჯერობით მაინც, არ დაჰკრავს.

ზემოთქმული უკვე ცნობილი ფაქტებია.

უფრო მნიშვნელოვანია პასუხის გაცემა კითხვებზე:

შეიძლებოდა თუ არა ამ პროცესის წინასწარ განჭვრეტა? გამოიწვია თუ არა ეს პროცესი გარედან ჩარევამ? თუ პროცესი შინაგანი ფაქტორებითაა გამოწვეული, რა ფაქტორებია ეს? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს „არაბულ გაზაფხულს" გარესამყაროსათვის? გამოიწვევს თუ არა „არაბული გაზაფხული" რელიგიური (ისლამური) პარტიების მოსვლას ადრე სეკულარული სახელმწიფოების სათავეში?

თუნისში 2011 წლის დამდეგს დაწყებული *ანტისამთავრობო გამოსვლები მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც უცხოელი პოლიტიკოსებისათვის, ისე აღმოსავლეთმცოდნე სპეციალისტებისათვის*. თუნისი იყო ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და შედარებითი კეთილდღეობის მქონე არაბული ქვეყანა. *პრეზიდენტ ბენ ალის* სწრაფ გადადგომას და ქვეყნიდან გაქცევას არავინ ელოდა. თუნისისა და ეგვიპტის „25 იანვრის რევოლუციის" მოვლენებმა სპეციალისტებს „თვალი აუხილა".

აღმოსავლეთმცოდნე პოლიტოლოგმა *გრეგორი გოზმა ავტორიტეტულ ჟურნალ Foreign Affairs*-ის 2011 წლის ივლის-აგვისტოს ნომერში დაწერა, რომ არაბისტების უმრავლესობისათვის იმ წლის იანვარ-თებერვლის მოვლენები თუნისსა და ეგვიპტეში სრული მოულოდნელობა იყო. ის თვითკრიტიკასაც არ მოერიდა და აღიარა, რომ თითონაც ადრე (ისევე, როგორც ამერიკელი ექსპერტების დიდი უმრავლესობა) ღიად მოუწოდებდა შეერთებული შტატების მთავრობას მეტისმეტად არ წაეხალისებინა დემოკრატია არაბულ სამყაროში, რადგან *„ვაშინგტონის ავტორიტარული არაბი მოკავშირეები სტაბილურობის საიმედო გარანტები არიან"*-ო. *„მე სასტიკად ვცდებოდი"*, გულწრფელად თქვა ექსპერტმა [Gause, 2011, 82].

თუმცა არაბული რეჟიმები ძალიან არაპოპულარულნი იყვნენ, ჰქონდათ უამრავი დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური პრობლემა, მაგრამ ისინი საოცარ მდგრადობას ამჟღავნებდნენ. მონარქიებში მემკვიდრეობის წესები ცნობილია, მაგრამ ეგვიპტისა და იემენის რესპუბლიკების პრეზიდენტებიც, ლიბიის დიქტატორიც საკუთარ ვაჟიშვილებს ამზადებდნენ მემკვიდრეებად, როგორც ეს გააკეთა *ჰაფიზ ალ-ასადმა* სირიის რესპუბლიკაში. მათ იმედი ჰქონდათ, რომ თავიანთივე შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო ელიტები სისხლხორცეულად დაინტერესებული იქნებოდნენ „სტაბილურობის შენარჩუნებაში". ამ ლიდერებს ამერიკის იმედიც ჰქონდათ, სადაც ყველა პრეზი-

დენტი ყურს უგდებდა სწორედ იმ სპეციალისტების აზრს, რომლებიც, საკუთარ თავთან ერთად, გააკრიტიკა *გრეგორი გოზმა*.

ამრიგად, პროგნოზი შეიძლებოდა მხოლოდ ვარაუდის დონეზე. „რაღაცა უნდა შეიცვალოს" – ასე ბევრს გვეგონა, მაგრამ კონკრეტულად რა და როგორ – არავინ იცოდა.

კითხვაზე – იყო თუ არა არაბული რევოლუციები ინსპირირებული რეგიონის გარედან, ჩემი პასუხია – „არა მგონია".

არ მიმაჩნია საკმარისად დასაბუთებულად *კონსპიროლოგიის* (შეთქმულების თეორიის) მიმდევართა აზრი, რომლებიც განსაკუთრებით მრავლად არიან რუს ექსპერტთა შორის და ამტკიცებენ, თითქოს *„ყველაფერი დაგეგმილი იყო ვაშინგტონში, რომელსაც უნდა, კონტროლი დაუწესოს ახლო აღმოსავლეთის ნავთობის რესურსებს და როგორმე ავნოს რუსეთისა და ჩინეთის ინტერესებს"* [Черных, 2011].

კონსპიროლოგებს ძირითად არგუმენტად მოჰყავთ *ლიბია*, სადაც ოდიოზური დიქტატორის, პოლკოვნიკ კადაფის (ფორმალურად მას არავითარი პოსტი არ ეჭირა, „1969 წლის რევოლუციის ლიდერი" იყო), წინააღმდეგ აჯანყებულებს მხარი დაუჭირეს საფრანგეთმა, ბრიტანეთმა, იტალიამ. ხანმოკლე დროით სამხედრო მოქმედებაში ამერიკის ავიაციაც მონაწილეობდა, იქამდე, სანამ კონგრესი აუკრძალავდა პრეზიდენტს ამ „არაკონსტიტუციურ ქმედებას". მაგრამ ის, ვინც ლიბიის ამბებში უშუალოდ დასავლეთის ინიციატივას ხედავს, ფაქტების თავისებურ ინტერპრეტაციას ახდენს.

ლიბიაში აჯანყება დაიწყო თუნისსა და ეგვიპტეში მომხდარი რევოლუციების შემდეგ; ლიბიის მმართველი ოჯახის თავგასულობა მართლაც აუტანელი გახდა მრავალი ლიბიელისათვის; ლიბიის ნავთობის კონცესიები დასავლეთის კომპანიებს ისედაც დანაწილებული ჰქონდათ და არავითარი „გადანაწილება" იქ არ სჭირდებოდათ; კადაფის რეჟიმს განუგდა *არაბული ქვეყნების ლიგა*, ხოლო არაბული ქვეყნის, *კატარის*, ავიაცია უშუალოდ მონაწილეობდა ოპერაციებში ლიბიაში [Burke, 2011]. თუ ვინმემ გარედან მოახდინა ლიბიის ოპოზიციის წახალისება, ეს კატარი და საუდის არაბეთი იყვნენ, რომელთა მონარქებს კადაფი პირად შეურაცხყოფასაც კი აყენებდა!

რა გასაკვირია, რომ დასავლეთის ლიდერებს გულში გახარებოდათ დიქტატორ კადაფის დამხობა, რომლის უტაქტობა პერიოდულად ქმნიდა საერთაშორისო პრობლემებს. კრემლი კი ამ ამბავმა ძალიან დაამწუხრა. კადაფის ლიბიას რუსეთი თავის „მეგობარ ქვეყნად" მიიჩნევდა, ყოველ შემთხვევაში, რუსეთი იქ ყიდდა დიდძალ იარაღს, აბანდებდა კაპიტალს ნავთობმოპოვებაში, რკინიგზის მშენებლობაში და ა.შ.

ფორმალურად, ნატო-ს ჩარევა ლიბიის კონფლიქტში განაპირობა კადაფის რეჟიმის მხეცურმა მოქმედებამ მშვიდობიანი მოსახლეობის

წინააღმდეგ: *გაეროს უშიშროების საბჭოს* 1973-ე რეზოლუციამ, რომლის მიღებას, სხვათა შორის, *რუსეთმა და ჩინეთმა ხელი არ შეუშალეს*, საჭიროდ მიიჩნია რეჟიმის წინააღმდეგ სანქციების გამოყენება.

თუნისსა და ეგვიპტეში კი, სადაც „არაბული გაზაფხული" დაიწყო, ადგილობრივი რეჟიმები პროდასავლური იყო; მუბარაქის რეჟიმის დროინდელი ეგვიპტე ისრაელისათვის მშვიდობის გარანტიას წარმოადგენდა. ნავთობი, რომელიც შეთქმულების თეორიის მომხრეებს „ვაშინგტონის ხელის" მთავარ არგუმენტად მოჰყავთ, თუნისში საერთოდ არაა, ეგვიპტეში კი ძალიან ცოტაა.

დასავლეთის ლიდერებს „არაბული გაზაფხულის" მოწყობა, უბრალოდ, არ სჭირდებოდათ.

ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი *ტომ ფრიდმენი* წერდა: *„ცივი ომის დამთავრების შემდეგ... ამერიკას სურდა, შენარჩუნებულიყო ნავთობის სტაბილური მოწოდება და ისრაელის უსაფრთხოება. ამერიკა განაგრძობდა status quo-ს შენარჩუნებას და მხარდაჭერას ნებისმიერი არაბული ქვეყნისათვის, რომელიც ამ status quo-ს დაიცავდა"* [Friedman, 2003].

ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ან სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებთან დემოკრატიულმა დასავლეთმა გაუხმაურებლად დადო, ასე ვთქვათ, „ეშმაკისეული გარიგება": ნავთობის მიწოდების ან პოლიტიკური ლოიალობის (მაგალითად, ეგვიპტის შემთხვევაში) სანაცვლოდ აშშ და ევროპა თვალს ხუჭავდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევაზე. პირიქით, ისინი აიარაღებდნენ ავტორიტარულ რეჟიმებს (ერაყს – 1990 წლამდე; საუდის არაბეთს, ეგვიპტეს და ა.შ), არაბეთის ნახევარკუნძულის მოულოდნელად გამდიდრებულ შეიხებს აწვდიდნენ ექსტრა-კლასის საქონელს, უშენებდნენ მათ ექსტრავაგანტულ შენობებსა და იახტებს. ეს ყველაფერი მომგებიანი იყო და არის დასავლური ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის.

არაბული ავტოკრატიული რეჟიმების მდგრადობა განპირობებული იყო დასავლეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესებით. ეს ინტერესები დღის წესრიგში რჩება.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ *„დასავლეთი"* სულაც არ არის ისეთი მონოლითი, როგორადაც მას წარმოადგენენ „ცივი ომის" ტრადიციებზე აღზრდილი პოლიტოლოგები. ამერიკისა და ევროპის დიდი ქვეყნების ინტერესები ხანდახან სულაც არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, სანქციებს ლიბიის წინააღმდეგ საერთოდ გაემიჯნა გერმანია, ევროპაში უდიდესი ეკონომიკის მქონე და ნატოს წევრი ქვეყანა.

მართალია, დასავლეთში შექმნილი მაღალი ტექნოლოგიები, იგივე ინტერნეტი, სკაიპი და ა.შ., დასავლეთის მატერიალური კეთილდღეობის მაგალითი, დასავლეთში მიღებული ცოდნა მასების მართვის შესახებ და მისი გამოყენება (ეგვიპტეში მართლაც შეიქმნა ახალგაზრდული საზოგადოება *„ქეფაია"*, რაც ქართულად „კმარა"-ს ნიშნავს) ირიბად

ახდენდა გავლენას რევოლუციურ გამოსვლებზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რევოლუცია ვაშინგტონის კაბინეტებში დაიგეგმა.

რევოლუციებს შეიძლება მიეცეს სტიმული გარედან. მაგრამ ის, რაც არაბულ ქვეყნებში ხდება, არ შეიძლება მთლიანად მიეწეროს „გარეშე ხელს". ამავე დროს, ნათელია, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე რაღაც „გარეშე ძალა" საბოლოოდ მოიგებს, ხოლო სხვა – წააგებს.

ამერიკელი, ევროპელი, ისრაელელი ექსპერტები ახლა სხედან და ითვლიან, რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ახალშექმნილმა ვითარებამ არ დააზარალოს, ან მინიმალურად დააზარალოს მათი ქვეყნების ინტერესები. ისრაელისათვის მუბარაქი, ბენ-ალი, კადაფი, ასადი სავსებით „ასატანი" იყო. ნუთუ ამერიკაში, ისრაელში, დასავლეთ ევროპაში შეგნებულად გაიჩინეს პრობლემები?

რადგან „არაბული გაზაფხულის" გარეგანი ფაქტორები გადამწყვეტი არ ჩანს (თუმცა მათი უგულებელყოფაც არ შეიძლება), *ყურადღება უნდა გავამახვილოთ შინაგან ფაქტორებზე.*

არაბული სამყაროს *წინარევოლუციური განვითარების ფაქტორებიდან* აღსანიშნავია დემოგრაფიული ვითარება; კულტურულ-საგანმანათლებლო დონე; სოციალურ-ეკონომიკური განვითარება; სოციალური მობილობის შესაძლებლობა; მმართველი ელიტების ხარისხი; ინფორმაციული უზრუნველყოფა; რევოლუციური „ნაპერწკლის" არსებობა.

ვინაიდან ამ წიგნის წინა თავებში ზოგი საკითხი (ფაქტორი) უკვე განხილულია, აქ მათი ძალიან მოკლედ თავმოყრა დამჭირდება.

- *„დემოგრაფიული აფეთქება"* ძალიან მკაფიოდ ვლინდება არაბულ აღმოსავლეთში, სადაც მოსახლეობის სწრაფი ზრდა იწვევს თაობების სწრაფ განახლებას. 18 წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი ყველა ქვეყანაში ორ-სამჯერ სჭარბობს ხნიერი ასაკის მოსახლეობის ხვედრით წილს. იზრდება ურბანიზებულობის დონე, რის გამოც ნაწილობრივ მცირდება შობადობის მაჩვენებლები, იცვლება სოციალური სტრუქტურა, სუსტდება ტომობრივი კავშირები. *ახალგაზრდობა რევოლუციურ მასად შეიძლება იქცეს.*
- ქვეყნების *ეკონომიკური განვითარების* საკმაოდ მაღალი ტემპიც კი არ იძლევა უფრო სწრაფად მზარდი შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულად დასაქმების საშუალებას. სპარსეთის ყურის მდიდარ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს, რომელთაც შედარებით მცირე [ადგილობრივი] მოსახლეობა ჰყავთ, შეუძლიათ გარკვეულ ეტაპზე „იყიდონ" მოქალაქეების ლოიალობა მათთვის მატერიალური სიკეთეების დარიგების გზით. მაგრამ ასეთი ერთჯერადი და თუნდაც მრავალჯერადი *სოციალური* აქციები მხოლოდ გადაავადებენ უკმაყოფილების გადმონთხევას. სხვა ქვეყნებში კი სოციალური ვითარების გაუარესება, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების სწრაფი ზრდა

(რაც მთლიანად ადგილობრივი ხელისუფლების მიზეზით არ ხდება) ძალიან კარგ ნიადაგს ქმნის ოპოზიციური ძალების რიცხობრივი ზრდისათვის. *უმუშევრები და სოციალურად დაუცველები რევოლუციურ მასად შეიძლება იქცნენ. თუმცა, ამისათვის მათ ლიდერი სჭირდებათ.*

- არაბული ქვეყნების მთავრობების ძალისხმევა *განათლების დონის* ასამაღლებლად, საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობა გარკვეულწილად თვით ამ მთავრობების წინააღმდეგ მოქმედებს, ვინაიდან ზრდის ინფორმირებულობის დონეს: განათლებულ ადამიანებს ეზრდებათ მოთხოვნილებები, მათ შორის აზრის თავისუფლად გამოთქმისა, რაც არადემოკრატიულ ატმოსფეროში არ არსებობს. ამასთან, მათი საგრძნობი ნაწილი ვერ პოულობს შესაფერის სამუშაოს, რაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა განათლების დონის მატებასთან ერთად. *განათლებული ხალხიდან გამოდიან ხოლმე რევოლუციის ლიდერები.*
- ქვეყნების *მმართველი ელიტების* უმრავლესობა ქმნის კარჩაკეტილ კასტას, ერთმანეთთან დაკავშირებულს ნათესაობით ან საერთო წარმოშობით, რომელშიც შეღწევა მაღალი განათლების მქონე „უცხო" ადამიანებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ. *სოციალური მობილობა* უმეტეს შემთხვევაში შეზღუდულია. ხელმძღვანელების (მონარქების, პრეზიდენტების) მრავალწლიანი მმართველობა, ფიქტიური არჩევნები, ელიტარული კორუფცია, მმართველი ელიტების დაუოკებელი მომხვეჭელობა, მათი მეტისმეტი გამდიდრება შეუმჩნეველი არ რჩება და ზრდის *მოსახლეობის უკმაყოფილებას, რაც რევოლუციისათვის დენთია.*
- ცალკეული, თუნდაც მრავალრიცხოვანი ადამიანების დაუკმაყოფილებლობა და უკმაყოფილება ვერ გამოიწვევს რევოლუციას. მის დასაწყებად საჭიროა *ნაპერწკალი* (ხანდახან თითქოს უმნიშვნელოც კი): თუნისში ეს იყო ერთი გარემოვაჭრის თვითდაწვის აქტი, სირიაში – ბიჭების წამება პოლიციის მიერ.
- ამავე დროს, როგორც *ალექსის დე ტოკვილი* წერდა, *„რევოლუციები იმის გამო კი არ ხდება ხოლმე, რომ ადამიანები ცუდად ცხოვრობენ, არამედ იმიტომ, რომ მათ უკეთ ცხოვრება უნდათ"*. „უკეთესი ცხოვრება" არაბული ქვეყნების განათლებულმა ნაწილმა საზღვარგარეთ ყოფნისას ან ინტერნეტით ნახა. სერიოზულ საფრთხედ მმართველი რეჟიმებისათვის იქცა *მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა.* არაბული რევოლუციების საწყის ეტაპებზევე მთავრობები ცდილობდნენ, დაებლოკათ მასმედია და კავშირგაბმულობა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. სრული ინფორმაციული ვაკუუმის შექმნა თანამედროვე პირობებში შეუძლებელია.
- რევოლუციის ნარმატება/წარუმატებლობას ძალიან ხშირად განაპირობებს მმართველი *ელიტის სიმტკიცის ხარისხი*: ყოველთვის

არსებობს ხოლმე მასში *ბზარის წარმოშობის* საფრთხე. სწორედ ასეთი ბზარი გაჩნდა ჯერ თუნისის, შემდეგ კი ეგვიპტის ელიტაში (იგულისხმება გენერალიტეტის უარი, გამოსულიყო გაკოტრებული აღმასრულებელი ხელისუფლების დამცველად). სირიაში კი ასეთი ბზარი ჯერჯერობით (2011 წ.) არ ჩანს.

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს „არაბულ გაზაფხულს" გარესამყაროსათვის?

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელისათვის არადემოკრატიული რეჟიმები „შეჩვეული ჭირი" იყო, რაც ახლა უნდა შეცვალოს *„შეუჩვეველმა ჭირმა"*. ამიტომაც, მაგალითად, სირიის რეჟიმის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმართ ამერიკასა და ევროკავშირს დიდხანს სათანადო რეაქცია არ ჰქონდათ და მხოლოდ მაშინ დაიწყეს დამასკოს დაგმობა, როდესაც ხოცვა-ჟლეტამ ფართო მასშტაბი შეიძინა. ამავე დროს, სირიის რეჟიმის წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ქმედითი სანქციების მიღებას ბლოკავენ რუსეთი და ჩინეთი, რომელთაც თავიანთი ინტერესები აქვთ ალ-ასადის მთავრობასთან.

თუ სირიის ხალხმა დამოუკიდებლად, გარედან ჩარევის გარეშე, გაიმარჯვა (რაც ძალიან რთული ჩანს), ეს, შესაძლოა, მართლაც იყოს დემოკრატიის გამარჯვება, რომელიც, პარადოქსულად, დამატებით სირთულეებს შეუქმნის ისრაელს, რუსეთს, ირანს, ჩინეთს და, ალბათ, შეერთებულ შტატებსაც.

ევროპული ქვეყნებისათვის ქაოტური ვითარება ახლომდებარე ჩრდილოეთ აფრიკაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის, განსაკუთრებით იქიდან ლტოლვილების მოზღვავების თვალსაზრისით. ლიბიიდან ათეულ ათასობით ლტოლვილი უკვე მიაწყდა იტალიას და იქიდან – საფრანგეთსაც.

თუკი არაბულ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობა გაგრძელდება და გადაედება არაბულ მონარქიებს (რაც უახლოეს პერიოდში ნაკლებად მოსალოდნელად მიმაჩნია), ეს იმოქმედებს ნავთობის მსოფლიო ფასების მომატებაზე.

მხედველობაშია მისაღები, რომ ახლო აღმოსავლეთი საკმაოდ მრავალფეროვანი რეგიონია და რევოლუციების შედეგებიც სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგრამ გარესამყარო უნდა შეეგუოს იმას, რომ რეგიონი აღარ იქნება ისეთი, როგორიც ის 2011 წლამდე იყო.

დაბოლოს, ყველას, ვისაც საქმე აქვს ახლო აღმოსავლეთან, არ შეიძლება არ გაუჩნდეს კითხვა – *გამოიწვევს თუ არა „არაბული გაზაფხული" რელიგიური (ისლამური) პარტიების მოსვლას ადრე სეკულარული სახელმწიფოების სათავეში?*

„არაბული გაზაფხული" დაიწყო სტიქიურად, არაორგანიზებული ოპოზიციის მიერ. რელიგიური მომენტი იმ დროს ზედაპირზე არ ჩანდა. ბაჰრეინშიც კი, სადაც უკმაყოფილოა შიიტური უმრავლესობა, რომელიც სუნიტური ელიტის მხრიდან ჩაგვრას უჩივის, რელიგიურ მომენტს მაქსიმალურად უვლიდნენ გვერდს.

მაგრამ რევოლუციის მეთაურობა შეიძლება იკისრონ შედარებით უკეთ ორგანიზებულმა ისლამურმა მოძრაობებმა და პარტიებმა (მაგალითად, ეგვიპტესა და სირიაში – „მუსლიმმა ძმებმა", იორდანიაში „ისლამური მოქმედების ფრონტმა"). ასე მოხდა ირანში 1979 წელს, სადაც მასების სოციალური უკმაყოფილებით ისარგებლეს შიიტურმა კლერიკალურმა წრეებმა და ისლამური რეჟიმი დაამყარეს.

ბოლო პერიოდში მმართველი რეჟიმებით სახალხო უკმაყოფილებას ახლო აღმოსავლეთში ყველაზე კარგად გამოხატავენ რელიგიური მოძრაობები, რომლებიც სამართლიანობისა და მაღალი ზნეობის დამკვიდრებას ჰპირდებიან ამომრჩეველს. საბოლოოდ კი მათი პროგრამები ირიბად, ხანდახან კი პირდაპირაც, რელიგიის ძირეული, ფუნდამენტური ფასეულობების აღორძინებას გულისხმობს, რასაც კლერიკალური წრეები ამართლებენ იმით, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი მორალის, ცხოვრების ტრადიციული წესების აღდგენა, უცხო კულტურულ გავლენებთან ბრძოლა.

თავისუფალმა და სამართლიანმა არჩევნებმა, რისკენაც მოუწოდებენ დასავლეთის ქვეყნები, შეიძლება ისეთი ძალები მოიყვანონ არაბული ქვეყნების სათავეში, რომლებიც მიუღებელი აღმოჩნდება დასავლეთისათვის. ამის კარგი მაგალითია პალესტინაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მოთხოვნა აშშ-ის მხრიდან, რასაც 2006 წელს რადიკალური ისლამური ორგანიზაცია *ჰამას*-ის სავსებით კანონზომიერი გამარჯვება მოჰყვა.

„არაბული გაზაფხულის" შედეგები სრულად პროგნოზირებადი არაა. ერთი მხრივ, მათ ხელი უნდა შეუწყონ ქვეყნების დემოკრატიზაციას. სავსებით შესაძლებელია, რომ გამარჯვებული აღმოჩნდეს „ზომიერი ისლამიზმი", რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ნორმალურ განვითარებასაც [Islam and democracy, 2011] და მოახერხებს გარესამყაროსთან ნორმალურ ურთიერთობასაც.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ *ტირანული რეჟიმის დამხობა ძნელია*, მაგრამ *კიდევ უფრო რთულია იმ საზოგადოების გამოსწორება, რომელიც მან დაა ზიანა და, ხშირად, გარყვნა* კიდეც (ამის კარგი მაგალითია ერაყი 2003 წლის შემდეგ).

ასეთ პირობებში, ახალმოსული ხელისუფლებით უკმაყოფილებამ შეიძლება არ გამორიცხოს არც *კონტრევოლუცია* და არც ისეთი ახალი რეჟიმების ჩამოყალიბება, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ ახალ ტირანებს წარმოშობენ.

ნაწილი V

რეგიონის ცენტრალური პრობლემა: „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი“

თავი 14

ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წანამძღვრები

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის არსისათვის

მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ განვითარებას ხშირად ისრაელისა და არაბული სამყაროს კონფლიქტის პრიზმაში ხედავენ.

მართლაც, რეგიონისათვის უდიდესი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილება აღმოჩნდა პალესტინაზე ბრიტანული მანდატის დამთავრება და ***ისრაელის სახელმწიფოს*** შექმნა (1948 წ.). ისრაელი ომის ქარცეცხლში დაიბადა და დღემდე საომარ მდგომარეობაშია თავის ზოგიერთ მეზობელთან.

ასევე მძიმე პირობებში მიმდინარეობს ***პალესტინის*** სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი. მაგრამ ამ პოტენციური სახელმწიფოს საზღვრების საკითხი ბუნდოვანებითაა მოცული.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი (რომლის სინონიმებია არაბულ-ისრაელური, არაბ-ისრაელის, ისრაელ-პალესტინის, ისრაელისა და პალესტინელთა კონფლიქტი/პრობლემა/საკითხი) მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია მოქცეული მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან. სინამდვილეში პრობლემა წინა ათწლეულებშიც არსებობდა, მაგრამ მას სხვა, გლობალური მასშტაბით კიდევ უფრო ტრაგიკული მოვლენები ფარავდა. ყურადღება ამ პრობლემის მიმართ XXI საუკუნესაც გადმოჰყვა.

მსოფლიო მედიის ეს ყურადღება მოწმობს იმას, რომ ახლო აღმოსავლეთის მომცრო ქვერეგიონში, რომელიც ტერიტორიულად მოიცავს ისრაელის სახელმწიფოს, მდინარე იორდანეს „დასავლეთ ნაპირსა“ და ღაზის სექტორს, რთული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს და, გლობალური გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი ადგილია.

პოლიტიკურ-გეოგრაფიული პრობლემები აქ ისეა გადახლართული, რომ შეუძლებელია ისრაელისა და პალესტინის (ჯერ არარსებული სახელმწიფოს) ცალ-ცალკე განხილვა, მით უმეტეს, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტისაგან განცალკევებით.

იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად ვითარდება კონფლიქტი, 1947 წლამდე ვრცელდებოდა დიდი ბრიტანეთის მანდატი (იხ. თავი 10). ეს

იყო სამანდატო პალესტინა, საერთო ფართობით 27 ათასი კმ², რომლის საზღვრები დადგინდა ლონდონსა და ჟენევაში (ჟენევაში მდებარეობდა *ერთა ლიგის* შტაბ-ბინა). ქვემოთ საკმაოდ ხშირად მოგვიხდება ოპერირება ტერმინით „სამანდატო პალესტინის ტერიტორია“ (თუმცა მანდატი კარგა ხანია გაუქმდა).

არც ერთი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში არ იბადებოდა ისეთ მძიმე პირობებში, როგორშიც ისრაელი. არანაკლებ რთულ ვითარებაში იბადება პალესტინა. XXI საუკუნის დასაწყისშიც ტელეარხებზე მსოფლიო ხედავდა ისრაელში მომხდარ შემზარავ, სისხლიან ტერორისტულ აქტებს და საპასუხოდ „დასავლეთ ნაპირსა“ და ღაზის სექტორში განხორციელებულ მკაცრ სადამსჯელო ოპერაციებს.

რეგიონში მიმდინარე ურთულესი გეოპოლიტიკური პროცესების წინაპირობების გაუთვალისწინებლად გარეშე ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება, ყველაფერი მიაწეროს ან ერთი, ან მეორე, ან ორივე მხარის ირაციონალურ სისხლისმსმელობას, რაც მეტისმეტად გამარტივებული ახსნა იქნებოდა.

კონფლიქტური სიტუაცია ქვერეგიონში დაკავშირებულია *ტერიტორიასთან*. ეს დღემდე აიძულებს ზოგიერთ სიონისტ მოღვაწეს ამტკიცოს *ისრაელის ტერიტორიაზე* ებრაელების უფლების ლეგიტიმურობა (რაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ეჭვს არ იწვევს). სხვა სიონისტები კი თვლიან, რომ ასეთი მტკიცება ხანდახან კონტრპროდუქტიულიც შეიძლება იყოს.

მაგალითისათვის მოვიყვან პოლემიკას ორ სიონისტ მოღვაწეს შორის, რომლებიც სხვადასხვა არგუმენტაციას ეყრდნობიან. *ნაციონალ-რელიგიური პარტიის* წევრმა ქ-ნმა *ემუნა ელონმა* ისრაელის გაზეთ „*ედიოთ აჰრონოთში*“ დაწერა:

„ჩვენ მოვაღწიეთ ამ მიწას ტანსაცმელშემოცვეთილებმა და დაქანცულებმა და მოვეჭიდეთ მას უკანასკნელი ძალით, როგორც წყალწაღებული ეჭიდება მორს... მაგრამ თუ ეს მორი სინამდვილეში სხვა ხალხს ეკუთვნის, არავითარი ტრაგედია, არავითარი დახრჩობის საფრთხე არ ამართლებს ამ ქურდობას. თუ ჩვენ მართლაც დავაარსეთ ჩვენი ქვეყანა სხვა ხალხის ქვეყანაში, ჩვენთვის არ უნდა არსებობდეს ცოდვის მონანიება...თუ ჩვენ დავიპყარით მათი [პალესტინელების] *მიწა, რატომ უნდა დათანხმდნენ ისინი ისეთ კომპრომისს, რომლითაც ჩვენ განვაგრძობთ მათ სახლში ცხოვრებას და ამავდროულად, სულგრძელად ვთავაზობთ მათთვის ერთი კუნჭულის დაბრუნებას“* [Tamir, 2002].

შედარებით ლიბერალური *შრომის პარტიის* წევრი ქ-ნი *იული თამირი* კი აკრიტიკებს ისრაელის ნაციონალისტური ბანაკის წარმომადგენლის ამ გამონათქვამს, რაც, მისი აზრით, ისრაელის მტრების წისქვილზე ასხამს წყალს:

„ელონი, რასაკვირველია, ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს მიწა ჩვენ [ებრაელების] გარდა სხვას არავის ეკუთვნის, რადგან ჩვენ ვართ რჩეული ხალხი და ეს ჩვენთვის აღთქმული მიწაა. მაგრამ იმათ, ვისაც არა სწამს ისრაელის თორა და რჩეული ხალხის კონცეფცია, ელონის ამ სტატიაში შეუძლიათ წაიკითხონ მხარდაჭერა პალესტინელთა უარისათვის, მიაღწიონ ისტორიულ კომპრომისს ისრაელთან... ისრაელის მემარჯვენეები ამტკიცებენ, რომ მიწა ჩვენია, ამდენად, ჩვენ უნდა განვდევნოთ სხვა ხალხი, ვინც ამ მიწაზე ცხოვრობს... ისრაელის მემარცხენე სიონისტებმა კი ისრაელის დასაცავად უნდა გამოვიყენოთ მკაფიო განსხვავება იმათ შორის, რაც ნებადართული იყო მაშინ, როდესაც ჩვენ უნდა გადაგვერჩინა საკუთარი სიცოცხლე და რაც აკრძალულია დღეს. ჩვენ უნდა განვასხვავოთ, თუ რას აკეთებს ერი, როდესაც მან უნდა გადაირჩინოს თავი, და რას აკეთებს სუვერენული სახელმწიფო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ განსხვავებაა მსოფლიოს მიერ ისრაელის სახელმწიფოს 1967 წლის საზღვრებში ცნობასა და იმის ცნობას შორის, რასაც ვერასოდეს მივიღებთ – რომ ყველა [ოკუპირებული] ტერიტორია ისრაელის მიწად ვაქციოთ“ [ibid.].

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი აპრიორულად ეთნოტერიტორიულ ხასიათს ატარებს, ანუ ეს არის განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების, ებრაელებისა და პალესტინელი არაბების, დაპირისპირება ერთი და იმავე ტერიტორიის („სამანდატო პალესტინის“) ფლობის საკითხზე.

ამდენად, გამართლებული უნდა იყოს მისი ახსნის მიმართ პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიდგომა და კონცენტრირება კონფლიქტის *ტერიტორიულ და დემოგრაფიულ განზომილებებზე* მაქსიმალურად ნეიტრალური პოზიციიდან და შეფასებების გარეშე[1].

---

1. რეგიონი ძალიან მგრძნობიარეა ყველანაირი შეფასების მიმართ. ნეიტრალური პოზიციაც კი შეიძლება მიკერძოებად იქნაარხების „თანაბარი მიდგომა“ (evenhandedness) კონფლიქტის ორი მხარის მიმართ. ასე მაგალითად, The New York Times-ის გავლენიან მიმომხილველ *თომას ფრიდმენს* (წარმოშობით ებრაელს) ისრაელის პრესა განუწყვეტლივ კილავს იმისათვის, რომ ის რეგიონში მშვიდობის დამყარების ნინაღობად მიიჩნევს „როგორც ძალადობას პალესტინელთა მხრიდან, *ისე* ებრაული ახალშენების არსებობას და მათ გაფართოებას დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში“. ამ უკანასკნელ არგუმენტს ისრაელში ბევრი არ ეთანხმება. მაგალითად, ამას უკიჟინებს ფრიდმენს ბარ-ილანის უნივერსიტეტის პროფესორი *დავიდ ვაინბერგი* (Weinberg, 2002].

ევროპის დედაქალაქებში გამოთქმულ ნებისმიერ კრიტიკულ აზრს ისრაელის პოლიტიკის მიმართ თვით ისრაელსა და ამერიკის ებრაულ თემში მტკივნეულად აღიქვამენ და ხშირად ანებებენ „ევროპისათვის ჩვეული ანტისემიტიზმის“ იარლიყს [Foxman, 2002]. ისრაელში ბრალს სდებენ ამერიკულ მასმედიასაც, რომ ის „პროპალესტინურია“, მაშინ, როცა ისრაელის გენერალური კონსული ნიუ-იორკში, *ალონ პინკასი*, 2002 წელს აღნიშნავდა, რომ „ამერიკული ტელევიზია და პრესა განონასწორებულია“ და „შესაძლოა, უფრო პროისრაელურიც კი“ [Handwerker, 2002, 13].

ებრაული სახელმწიფოს წინაისტორია

ებრაელთა წმინდა წიგნი *თანახი** იგივეა, რაც ქრისტიანებისათვის ასევე წმინდა *ძველი აღთქმა*. ამიტომაც მსოფლიოს მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა, რომელიც განეკუთვნება *ქრისტიანულ სამყაროს*, იცის (ან ითვლება, რომ უნდა იცოდეს), თუ რა თავგადასავალი გადახდათ ებრაელებს, როდესაც სამი ათასწლეულის წინ ისინი მკვიდრდებოდნენ მათი ღმერთის (*იაჰვეს*) მიერ მათთვისვე აღთქმულ მიწაზე.

ყურანი ასევე ეხმაურება *თანახის* ზოგიერთ რელიგიურ მომენტს: მე-5 სურის („სუფრა") 21-ე აია შეახსენებს მუსას (მოსეს) სიტყვებს თავისი ხალხისადმი: *„ჰოი, ხალხო ჩემო! შედით წმიდა მიწაზე, რომელიც ალაჰმა* [ღმერთმა] *დაგინიშნათ, და არ გამობრუნდეთ უკან..."*

დღევანდელი ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიაზე ძვ. წ.-ის I ათასწლეულში არსებობდა ებრაული სახელმწიფოები. ებრაელების განდევნა იერუსალიმიდან მოხდა ახ. წ. 70 წელს რომის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებული იერუსალიმის ტიტუსის მიერ აღებისა და მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ. იმპერატორ ადრიანეს დროს ებრაელებს იერუსალიმში დაბრუნების ნება დართეს. მათი მორიგი აჯანყების შემდეგ კი, 135 წელს, რომაელებმა ქალაქი დაანგრიეს და ებრაელებს იქ ცხოვრება აუკრძალეს. მაგრამ დანარჩენი პალესტინის ტერიტორიიდან ისინი არ გაუძევებიათ. ქვეყნიდან, რომელსაც ამიერიდან სახელად *პალესტინა* დაუმკვიდრდა, ებრაელების გასვლა ნელი და ნებაყოფლობითი პროცესი იყო: არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ პალესტინის ბევრ ქალაქში ისინი კიდევ კარგა ხანს ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი დიდი ნაწილი თანდათანობით სხვა ქვეყნებში წავიდა.

ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში ებრაელთა აბსოლუტური უმრავლესობა დიასპორაში (ებრაულად „*გალუთ*"-ში*) ცხოვრობდა, ხოლო მცირე ნაწილი რჩებოდა ძველ სამშობლოშიც.

VII საუკუნეში სამხრეთიდან მოსულმა მუსლიმმა არაბებმა [აღმოსავლეთ] რომის იმპერიას (იმავე *ბიზანტიას*) წაართვეს პალესტინა, სადაც ძირითადი სალაპარაკო ენა იყო „ხალხური ბერძნული" *(კოინე)*. ისევე, როგორც არაბების მიერ დაპყრობილ სხვა ტერიტორიებზე, მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის შერევა არაბებთან. მომდევნო 13-14 საუკუნის მანძილზე მოსახლეობა პალესტინაში არაბულენოვანი გახდა (მათ შორის ის ნაწილიც, რომელმაც ქრისტიანობა შეინარჩუნა და დიდხანს *კოინეზე* ლაპარაკობდა).

იერუსალიმის აღების შემდეგ (638 წ.) *არაბებმა ნება დართეს ებრაელებს დაბრუნებულიყვნენ ქალაქში*, სადაც მათ რომაელები/ბიზანტიელები წინა ხუთი საუკუნის განმავლობაში დასახლების უფლებას არ აძლევდნენ. 1492 წელს ესპანეთიდან დევნილი და ოსმალეთის იმპერიას შეკედლებული ებრაელობის ერთი ნაწილიც XVI საუკუნიდან იერუსა-

ლიმში დამკვიდრდა, მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა დაიპყრო პალესტინა (1516 წ.). ებრაელთა მცირე ჯგუფების მოძრაობა ოსმალური პალესტინის მიმართულებით განუწყვეტელი პროცესი იყო. საქართველოდან გადასახლებულმა ქართველმა ებრაელებმა XIX საუკუნის იერუსალიმში ე.წ. „გურჯების უბანიც“ კი შექმნეს.

გალუთში მცხოვრები ებრაელობის უდიდესი ნაწილი ინარჩუნებდა მამა-პაპათა რელიგიას. რაბი ყოველთვის ასწავლიდა, თუ სადაა ებრაელის ნამდვილი სამშობლო. ამიტომ იერუსალიმში (რომლის სინონიმი იყო *სიონი*) დაბრუნების იდეა ებრაელობაში არასოდეს კვდებოდა. *თორას* წყალობით შენარჩუნდა ებრაული ენა, თუმცა მას, ძირითადად, რელიგიური ფუნქციის შესრულება დაეკისრა. ის, რომ *ხახამი* (მცოდნე) ასწავლიდა ებრაელ ბიჭებს საკმაოდ რთულ ებრაულ ენას (*თორა* ხომ ებრაულად უნდა ნაკითხულიყო), ებრაელობას ზოგადად წიგნიერ ხალხად აქცევდა. ეს უადვილებდა მას ადგილობრივ ენაზე წერა-კითხვის დაუფლებასაც. ინფორმაციის ფლობა კი შუა საუკუნეებშიც ისეთივე დიდ უპირატესობას აძლევდა ადამიანს, როგორსაც დღეს აძლევს.

ებრაელობას *შუა საუკუნეების ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში* ჩაგრავდნენ (იმდროინდელი კათოლიციზმი და მისი ინკვიზიცია ადანაშაულებდა ებრაელობას ქრისტეს ჯვარცმაში, რაც უსამართლო ბრალდება იყო). მაგრამ სწორედ ეს ჩაგვრა აიძულებდა ებრაელობას, თემად შეკრული ყოფილიყო. ვენეციაში მათ თავიანთი საცხოვრებელი უბანი, სახელად *გეტო*, გაამაგრეს კიდეც. შემდგომში „გეტო“ ჩაკეტილი ებრაული უბნის საზოგადო სახელად იქცა. რადგან ებრაელს მიწის ფლობას უკრძალავდნენ და აიძულებდნენ ქალაქში ეცხოვრა, მან ხელი მიჰყო ხელოსნობას (განსაკუთრებით – ოქრომჭედლობას), ვაჭრობას, მევახშეობას. ამ დარგებში კი სიმდიდრის დაგროვება უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე გლეხური შრომით. წინააღმდეგ განზრახვისა, დისკრიმინაციულმა შეზღუდვებმა ებრაელობას ობიექტურად საგრძნობი ეკონომიკური უპირატესობა მისცა ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით.

შუა საუკუნეების ისლამურ ქვეყნებში ებრაელობა ბევრად უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქრისტიანულ სამეფოებში. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ისლამი ძირითადად რჯულშემწყნარებელია „წიგნის ხალხის“ მიმართ. სულტნებს, შაჰებს, ამირებს სჭირდებოდათ წიგნიერი და ფულთან დაკავშირებული არამორწმუნენი[1]. ასეთად კი ქრისტიანებთან ერთად იუდეველებიც ითვლებიან.

1. ოსმალეთში ებრაელები გარკვეულ ეკონომიკურ, კერძოდ, მევახშეებისა და ვაჭრების, ფუნქციას ასრულებდნენ. მართლმორწმუნე მუსლიმს *ყურანი* უკრძალავს მევახშეობას, მაგრამ საბანკო სისტემის განუვითარებლობის პირობებში ეს საქმიანობა საჭირო იყო. არამუსლიმის მიერ ამ ფუნქციის შესრულება ოსმალეთში არ იკრძალებოდა. ამიტომაც იყო, რომ სულტანმა *ბაია ზითმა* XV საუკუნის ბოლოს შეიფარა ესპანეთიდან და პორტუგალიიდან განდევნილი ებრაელები.

გარდა ამისა, ავტორიტარულ ხელისუფლებას არ სჭირდება თემთაშორისი დაპირისპირება, რომელიც შეიძლება უმართავ „ბუნტში“ გადაიზარდოს.

საქართველოში ებრაელობის მიმართ ტოლერანტობა ორი ძირითადი მიზეზით აიხსნება. ერთი, ასე ვთქვათ, იდეოლოგიურია, მეორე კი – ეკონომიკური. *პირველი* მიზეზი ისაა, რომ ქართული ქრისტიანული ტრადიცია ებრაელებს აკავშირებს ქრისტიანობის შემოტანასთან (გავიხსენოთ „მოქცევაი ქართლისაი“, თავისი ელიოზით, სიდონიათი, სვეტიცხოველით!). ამიტომაც ქართულენოვან ებრაელებს (მათი კრებითი სახელი იყო „ჰურიანი“: „ურია“ მაშინ სულაც არ ატარებდა დამამცირებელ მნიშვნელობას; მოგვიანებით დამკვიდრდა სახელი „ქართველი ებრაელები“) ქრისტიანი ქართველი მოყვარედ აღიქვამდა. *მეორე*, უფრო ტრივიალური, მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ებრაელებმა დაიკავეს ის ეკონომიკური ნიშა – ვაჭრობა – რომელსაც ქართველი ფეოდალები და გლეხები ზურგს აქცევდნენ. მაგრამ ვაჭრობაში ჩართული ქართველი ებრაელები დიდად არ განსხვავდებოდნენ ეთნიკური ქართველებისაგან თავიანთი სიმდიდრით. თემთაშორისი დაპირისპირების ეკონომიკური მიზეზი არ არსებობდა.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ნათელი გახდა აშკენაზი (ევროპელი) ებრაელების დიდი მიღწევები ეკონომიკაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთის, რუსეთის ეკონომიკური და კულტურული ელიტის თვალშისაცემ ნაწილს ებრაელები ქმნიან. ამის მიზეზი იყო ის, რომ ებრაელები ყველა ამ ქვეყანაში საშუალო კლასებს ეკუთვნოდნენ. ისტორიულად, ფეოდალური ხანის ევროპა არ აძლევდა ებრაელობას უფლებას გამხდარიყო მიწათმოქმედი (დაბალი კლასი) და, მით უმეტეს, არისტოკრატია (მაღალი კლასი). მაგრამ XIX საუკუნიდან სწორედ საშუალო კლასები გახდა წამყვანი სოციალური ძალა მთელ ევროპაში. ამ კლასებში კი ებრაელობის წილი საგრძნობი იყო.

სხვისი სიმდიდრე და წარმატება ხშირად ხდება შურის საბაბი, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც „უსამართლოდ დაჩაგრულად“ მიიჩნევს თავს. ადვილია საკუთარი წარუმატებლობა სხვა თემს გადააბრალო და საკუთარ თემში მოახდინო ასეთივე „დაჩაგრულების“ მობილიზაცია. შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში ებრაელთა რბევა, ძირითადად, შურის მიზეზით ხდებოდა და ის, თითქმის ყოველთვის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ იყო წაქეზებული.

თუ უცხო რჯულის ხალხის სიმდიდრე შურის საგანი ხდება, ახალგამდიდრებული პირებისათვის დამახასიათებელი ამპარტავნობა გაღიზიანებას იწვევს, ხოლო ვიწრო ეთნიკურ წრეში ჩაკეტილობა ეჭვს ბადებს. ეს ყველაფერი აშკარად სუბიექტური ფაქტორებია, რომლებიც შეიძლება სულაც არ ეფუძნებოდეს რეალობას. მაგრამ ფაქტია, რომ XIX

საუკუნის ევროპაში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ის, რასაც დაერქმევა სხარტი, მაგრამ ამავე დროს საშინელი სახელი – *ანტისემიტიზმი*.

ზოგიერთი ებრაელი გამოსავალს გაუცხოების პრობლემიდან ნებაყოფლობით ასიმილაციაში ხედავდა. ასეც ხდებოდა ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით საფრანგეთში, გერმანიაში: მაგალითად, *კარლ მარქსი* ასიმილირებული ებრაელი იყო, ქრისტიანად მონათლული და დაქორწინებული გერმანელ ბარონესაზე. რუსეთში სპეციალური ტერმინიც კი გაჩნდა „მოქცეული ებრაელის" აღსანიშნავად – **выкрест**.

ბევრი განათლებული ებრაელი, რომელიც ინტეგრირებული იქნა ევროპულ საზოგადოებაში, ცდილობდა გამიჯნოდა *შტეტლს* – ებრაულ დაბას, როგორც ჩამორჩენილობისა და რელიგიური ფანატიზმის სიმბოლოს. მაგრამ ევროპის ებრაელთა საგრძნობი ნაწილისათვის, ხოლო ევროპის გარეთ – პრაქტიკულად ყველა ებრაელისათვის, ასიმილაცია მიუღებელი იყო.

სიონიზმის წარმოშობა და პირველი წარმატებები

XIX საუკუნის ევროპაში ნაციონალიზმის (ამ სიტყვის პოზიტიური მნიშვნელობით) ზრდა – „ერების გამოღვიძება" – გამოიხატა პოლონეთის აჯანყებებში, ჰაბსბურგთა იმპერიაში უნგრეთის აღმასვლაში, იტალიისა და გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფოების შექმნაში, ირლანდიის ბრძოლაში *ჰოუმრულისათვის* (ავტონომიისათვის) და ა.შ. ამ პროცესმა გავლენა მოახდინა სხვა ერებზეც. საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის სურვილი ლამის საყოველთაო გახდა. ევროპის ებრაელობამ კი აღმოაჩინა, რომ ყველა სხვა ერს, მათ გარდა, შეუძლია გარკვეულ ტერიტორიაზე ჰქონდეს პრეტენზია.

1881 წელი გარკვეული ათვლის წერტილია პალესტინაში ევროპელი ებრაელების იმიგრაციისა და, ერთდროულად, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დაწყებისთვისაც. იმ წლის 1 მარტს რადიკალური ორგანიზაცია *ნაროდნაია ვოლიას* ტერორისტული აქტის შედეგად მოკლულ იქნა რუსეთის იმპერატორი *ალექსანდრ II*, კაცი, რომელმაც სახელი გაითქვა ბატონყმობის გაუქმებით, ლიბერალური – საუნივერსიტეტო, სასკოლო, პრესის, სათემო, სასამართლო, სამხედრო – რეფორმებით. ტერორიზმის ამ აქტზე რეაქცია იყო რეფორმების შეწყვეტა, რეჟიმის გამკაცრება [Мунчаев, 1998].

იმის საბაბით, რომ *ნაროდნაია ვოლიას* წევრებს შორის ებრაელებიც იყვნენ, რუსეთში დაიწყო ხელისუფლების მიერ ინსპირირებული ებრაელთა *პოგრომები* (დარბევა). ამან უბიძგა რუსეთის იმპერიის (განსაკუთრებით მის პოლონურ, უკრაინულ, ბესარაბიულ გუბერნიებში მცხოვრებ) ბევრ

ებრაელს დასავლეთის ქვეყნებში, უპირველესად, აშშ-ში, ემიგრაციისაკენ. ებრაელთა ნაწილმა კი იერუსალიმისკენ აიღო გეზი [Gitelman, 2002].

XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში გაძლიერებულმა ანტისემიტიზმმა ევროპის ებრაელთა წრეები აიძულა დაეწყოთ სერიოზული მსჯელობა, თუ *სად შეიძლებოდა შექმნილიყო ებრაული სახელმწიფო.* ერთხანს ლაპარაკი იყო *უგანდაზე, იემენზეც* კი. მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობოდა დაბრუნებას შორეული წინაპრების მიწაზე – *პალესტინაში,* რომელიც ებრაელებისათვის იყო *სიონი.*

სიონიზმის[1], როგორც ებრაელთა ეროვნული მოძრაობის, დაფუძნება მოხდა 1897 წელს ქ. ბაზელში ჩატარებულ პირველ სიონისტურ კონგრესზე, რომლის მოწვევის ინიციატორი იყო *თეოდორ ჰერცლი* (1860-1904). ის იყო ავსტრიელი ჟურნალისტი, პრაქტიკულად ასიმილირებული ებრაელი (მან საკუთარ ვაჟს, ჰანსს, წინადაცვეთაც კი არ გაუკეთა). *ჰერცლს* სიონიზმის იდეების პროპაგანდისაკენ უბიძგა ფრანგი ოფიცრის, რელიგიით ებრაელი *დრეიფუსის,* წინააღმდეგ ჩატარებულმა სასამართლო პროცესმა. თუმცა ღალატის ბრალდება დრეიფუსს ვერ დაუმტკიცდა, პროცესს და მასზე პრესის გამოხმაურებას ანტისემიტიზმის სუნი უდიოდა.

1896 წელს ჰერცლმა თავის წიგნში, „*სახელმწიფო ებრაელთათვის*" [Herzl, 1896], დახატა მომავალი ებრაული ქვეყნის სურათი პალესტინაში. მისი ოცნება, რომ ნახევარ საუკუნეში ასეთი სახელმწიფო შეიქმნებოდა, მართლაც ახდა.

სიონიზმი შეიქმნა, როგორც სეკულარული, არარელიგიური მოძრაობა. მაგრამ „ძველი ახალი მიწის" (*Altneuland:* ეს კომპოზიტი ჰერცლმა გამოიყენა 1902 წელს გამოსულ თავის წიგნში) ასარჩევად გამოყენებულ იქნა რელიგიური არგუმენტი: ის, რომ თორას თანახმად, ებრაელთა ღმერთმა *იაჰვემ* (იეღოვამ) თავის რჩეულ ხალხს აღუთქვა *ქანაანი,* რომელიც ტერიტორიულად პალესტინას ემთხვევა.

პალესტინაში ებრაელთა მასობრივ იმიგრაციას (*ალიას**) ესაჭიროებოდა ეკონომიკური და იურიდიული ბაზა.

სიონიზმისათვის ეკონომიკური ბაზის შექმნა შედარებით ადვილი საქმე იყო: ბევრი მდიდარი ებრაელი დათანხმდა, გაეღო თანხა ამ მიზნით. 1901 წელს შექმნილმა ებრაულმა „მიწის ფონდმა" [*კერენ კაიემეთ*], რომელიც შემოწირულობებით არსებობდა, ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, 1948 წლამდე, პალესტინაში შეიძინა 96 ათასი ჰექტარი მიწა, რაც ებრაელი ხალხის განუყოფელ ქონებად ითვლება. ჯერ კიდევ „წინასიონისტურ" პერიოდში, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, მდიდარ ებრაელ როტშილდთა ფრანგული შტოს წარმომადგენელი *ბარონი ედმონ როტშილდი* და ზოგი სხვა მსხვილი ებრაელი ფინანსის-

1. ტერმინ „სიონიზმის" აღმოცენების თარიღად მიჩნეულია 1885 წელი, როდესაც ქ. ვენაში *ნათან ბირნბაუმმა* დააარსა ჟურნალი „ავტოემანსიპაცია", რომლის ფურცლებზეც მიმდინარეობდა მიზანმიმართული აგიტაცია სიონში (დღევანდელ ისრაელში) „ებრაელთა ეროვნული კერის" შექმნის შესახებ.

ტი ყიდულობდა მიწას პალესტინაში და ცდილობდა ებრაული იმიგრაციის წახალისებას. ასე გაჩნდა დასახლებები *ზიხრონ-იაკოვი, ფეთახ-თიკვა, რეხოვოთი, რიშონ-ლე-ციონი*. 1909 წელს *ქ. იაფოდან* გამოსულმა ებრაულმა თემმა ცოტა ჩრდილოეთით გადაინაცვლა და დააარსა დასახლება, რომელსაც *თელ-ავივი* („გაზაფხულის ბორცვი") უწოდა.

1903 წლისათვის პალესტინაში უკვე 25 ათასი ებრაელი იყო, ძირითადად, რეპატრიანტები აღმოსავლეთ ევროპიდან.

XX საუკუნის დამდეგიდან ებრაულმა იმიგრაციამ პალესტინაში იმატა. ამ პერიოდის ე.წ. *„მეორე ალიას"* დიდი ნაწილი შეადგინეს ერთდროულად სოციალისტური და სიონისტური იდეებით შეპყრობილმა ახალგაზრდა ებრაელებმა აღმოსავლეთ ევროპიდან (უპირატესად, რუსეთის იმპერიიდან და რუმინეთიდან). ისინი პალესტინაში აარსებდნენ *კიბუცებს** – სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს აბსოლუტურად ყველაფრის კოლექტიური საკუთრებით. ეს შრომისმოყვარე, სეკულარული *კიბუცნიკები*, რომლებსაც ერთ ხელში თოხი ეჭირათ და მეორეში თოფი, იყვნენ ის პიონერები, რომლებიც ქმნიდნენ მომავალი ებრაული სახელმწიფოს ხერხემალს. კიბუცების მიწა დღემდე კოლექტიური საკუთრებაა, თუმცა XX საუკუნის ბოლოსათვის *კიბუციზმის* იდეოლოგია გაცვდა: ახლა მინდორში იდეური კიბუცნიკების ნაცვლად დაქირავებულ ტაილანდელ მუშებს უფრო იხილავთ[1].

ვიდრე პალესტინა ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა, ებრაელთა ჩასახლება უფრო ადგილობრივი ოსმალო მოხელის ნება-სურვილზე (ან, უფრო ზუსტად, მისი კორუმპირებულობის დონეზე) იყო დამოკიდებული. ვითარება შეიცვალა, როდესაც ეს მხარე ევროპული იმპერიის – დიდი ბრიტანეთის – ხელში აღმოჩნდა.

ებრაელთა რეპატრიაციის რეალური იურიდიული საფუძველი გახდა *„ბალფურის დეკლარაცია"*, სადაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა აცხადებდა მხარდაჭერას სიონისტური მიზნისათვის (იხ. თავი 10).

როგორც ისრაელელი ავტორი *ტომ სეგევი* წერს: *„ბრიტანელებმა შეუსრულეს დაპირება სიონისტებს. მათ გაუხსნეს გზა მასობრივ ებრაულ იმიგრაციას: 1948 წლისათვის ებრაული მოსახლეობა გაათმაგდა. ებრაელებს ნება დაერთოთ ეყიდათ მიწა, განევითარებინათ სოფლის მეურნეობა, დაეარსებინათ საწარმოები და ბანკები. ბრიტანელებმა მათ ნება დართეს შეექმნათ ასობით დასახლება, მათ შორის რამდენიმე ქალაქი. ებრაელებმა შექმნეს სასკოლო სისტემა და არმია; დააარსეს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და არჩევითი ინსტიტუტები; ამის შედეგად მათ [ებრაელებმა] საბოლოოდ დაამარცხეს არაბები. ყველაფერი*

1. კიბუცების ამჟამინდელი კრიზისის მიზეზი სოციალურ-ეკონომიკურია. კერძო ფერმები უფრო ეფექტიანია მინის გამოყენების თვალსაზრისით; კიბუცნიკები ხედავენ, რომ სხვები, განსაკუთრებით ქალაქის მცხოვრებნი, მათზე უკეთ ცხოვრობენ და ახალგაზრდა თაობა ტოვებს კიბუცს. კიბუცები სულ უფრო მეტად ემსგავსება ჩვეულებრივ სოფელს ან კაპიტალისტურ ფერმას.

ბრიტანული სპონსორობით კეთდებოდა, 1917 წლის დაპირების შესაბამისად. წინააღმდეგ ფართოდ გავრცელებული აზრისა, თითქოს ბრიტანეთი პროარაბული იყო, სინამდვილეში ბრიტანეთის ქმედება საგრძნობლად უწყობდა ხელს სიონისტურ წამოწყებას" [Segev, 2002, 5].

მაგრამ სეგევი აღწერს იმასაც, თუ როგორ არ უსრულებდა ლონდონი სიონისტებს ყველა დანაპირებს. ის, რომ, ისრაელელი ისტორიკოსებისა და პოლიტიკოსების უმრავლესობა მანდატისდროინდელ დიდ ბრიტანეთს ებრაელებისადმი არამეგობრულ ძალად სახავს, ფაქტია. ეს კი საზოგადოებრივ აზრს ქმნის.

1917 წლიდან დიდი ბრიტანეთი პალესტინაში ფაქტობრივად მართავდა „მტრის ოკუპირებულ ტერიტორიას", 1922-1947 წლებში ეს იყო *ერთა ლიგის მანდატით დიდი ბრიტანეთისათვის სამართავად გადაცემული ტერიტორია.*

დიდ ბრიტანეთს პალესტინაში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესი ჰქონდა. მას სჭირდებოდა *ხაიფას* ნავსადგური, რომელიც ბრიტანული ფლოტის მსხვილ ბაზად იქცა. ფლოტს კი უნდა დაეცვა სუეცის არხი. სერიოზული ეკონომიკური ინტერესები ბრიტანეთს პალესტინაში არ ჰქონია. როგორც ბრიტანული ადმინისტრაციის ერთი-ერთი წარმომადგენელი თავის მოგონებებში წერდა, *„პალესტინა ჩვენი უმრავლესობისათვის უფრო ემოცია იყო, ვიდრე რეალობა"* [Segev, 2000, 5].

ლონდონს, როგორც ჩანს, თავიდან იმედი ჰქონდა, რომ პალესტინაში ებრაული იმიგრაციის წახალისებით გარკვეულად დააბალანსებდა არაბი ლიდერების მისწრაფებას, შეექმნათ *ერთიანი არაბული სახელმწიფო.* ასეთი სახელმწიფოს შექმნა ლონდონის ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომაც შეუწყო მან ხელი იორდანიასა და ერაყში სხვადასხვა სახელმწიფოს შექმნას და იქ ჰაშიმიანთა გაბატონებას, რომლებიც მექადან განდევნა მეტოქე საუდიანთა საგვარეულომ.

ლონდონის კაბინეტებში რამდენიმე ჯენტლმენმა გადაწყვიტა, რომ ევროპელი ებრაელების იმიგრაცია პალესტინაში ინდოეთამდე იმპერიული გზის დამატებითი დაცვისა და ეგვიპტესა და სუდანში ბრიტანული ჰეგემონიის გამაძლიერებელი ფაქტორი გახდებოდა [Defries, 2002]. მაგრამ, როგორც პოლიტიკაში ხშირად ხდება ხოლმე, პაიკებად გათვალისწინებული ფიგურები თვითონ იქცევიან ხოლმე მოთამაშეებად და დიდოსტატს მათთვის ანგარიშის გაწევა უხდება.

I მსოფლიო ომის დროინდელ ლონდონში, სადაც წყდებოდა პალესტინის ბედი, პოლიტიკოსები, როგორც ჩანს, სერიოზულად არ აღიქვამდნენ სიონისტურ ოცნებას – შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო პალესტინაში. *დაუნინგ-სტრიტ ზე* კიდევ უფრო ნაკლებად ფიქრობდნენ იმ საშიშროებაზე, რაც ახლო აღმოსავლეთში ახალი ეთნიკური კონფლიქტური კერის შექმნას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ასეთი კერა კი გაჩნდა.

თავი 15

პალესტინის გაყოფის გეგმები და შედეგები

პალესტინის გაყოფის მიზეზი

როდესაც პირველი სიონისტები თავიანთ მოწოდებაში იყენებდნენ მოხდენილ ფორმულას *„ხალხი მიწის გარეშე, მიწა ხალხის გარეშე“*, ისინი, სამწუხაროდ, არასწორ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ: პალესტინა არ იყო *„მიწა ხალხის გარეშე“*. თანაც *ჰერცლს*, ალბათ, იმის გამო, რომ თვითონ მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი პალესტინაში, მიაჩნდა, რომ ადგილობრივი (მისი აზრით, მცირერიცხოვანი) არაბები უნდა მისალმებოდნენ [ევროპელი] ებრაელების დასახლებას, რადგან მათ უფრო მაღალი სამეურნეო კულტურა მოჰქონდათ პალესტინაში: ასე აღწერა მან სიტუაცია თავის უტოპიურ რომანში *Altneuland*.

სინამდვილეში პალესტინაში არც ისე მცირერიცხოვანი არაბული მოსახლეობა იყო. „პალესტინისათვის ებრაული სააგენტოს“ (*სოხნუთის*) 1947 წლის მემორანდუმის თანახმად [СИО, I, 2000, 204], 1919 წელს არაბული მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე შეადგენდა 515 ათასს, 1944 წლისათვის კი მისი რაოდენობა გაორმაგდა და 1064 ათასს მიაღწია, რაც ბუნებრივი მატების შედეგად მოხდა.

მიწის მეტ ნაწილს კონკრეტული პატრონი ჰყავდა, უმეტესწილად გაფორმებული ოსმალური *„თაფუ“*-თი (მიწის ფლობის დოკუმენტით), და მას კერძო პირები, ძირითადად, არაბები ფლობდნენ. მათგან შესყიდულ მიწებზე იქმნებოდა ებრაული დასახლებები. მიწის ნაწილი, განსაკუთრებით იერუსალიმსა და სხვა ადგილებში, რომლებიც *იესო ქრისტესთან* იყო დაკავშირებული (ნაზარეთი, ბეთლემი, გალილეის ზღვის ანუ კინერეთის/ტიბერიადის ტბის მიდამოები და ა.შ.), ეკუთვნოდა სხვადასხვა ქრისტიანულ მიმართულებებს: ეს ხომ *წმინდა მიწა* იყო!

თავიდან, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს პალესტინელი არაბების უმრავლესობა შედარებით ინდიფერენტულად იყო განწყობილი ებრაული იმიგრაციის მიმართ. ზოგმა მდიდარმა მიწათმფლობელმა, რომლებიც ბეირუთში ან სხვაგან ცხოვრობდნენ, მიწა მიჰყიდეს *კერენ კაიემეთს* და კერძო ებრაელ ფინანსისტებს. იყო ლოკალური დაპირისპირება, მაგრამ მასობრივ გამოსვლებში ეს არ გადაზრდილა.

XX საუკუნის მეორე დეკადიდან კი არაბულ-ებრაული ურთიერთობა მკვეთრ გაუარესებას იწყებს. სამანდატო პალესტინაში ევროპელი ებრაელების იმიგრაციის მზარდმა მასშტაბმა არაბთა მრავალი ლოკალური ამბოხება, ხოლო 1936-1939 წლებში დიდი ანტიბრიტანული აჯანყებაც კი გამოიწვია.

პალესტინის გაყოფის ბრიტანული გეგმები

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ სპეციალური კომისია შექმნა *ლორდ რობერტ პილის* თავმჯდომარეობით, რომელმაც თავის „თეთრ წიგნში" (1937 წ.) მდგომარეობის განსამუხტავად შესთავაზა მანდატის დასრულება, პალესტინაში არაბული და ებრაული მოსახლეობის გამიჯვნა ინგლისის კონტროლქვეშ დასატოვებელი მომცრო ზონით (ქ. იერუსალიმი, ზღვაზე გასასვლელით ქ. იაფოში) და სამანდატო ტერიტორიის მომზადება იქ ორი – ებრაული და არაბული – სახელმწიფოს შესაქმნელად (ნახ. 15.1ა).

პილის კომისიის წინადადებები მიუღებელი აღმოჩნდა ორივე მხარისათვის, განსაკუთრებით არაბებისათვის, თუმცა ლონდონი მათ პალესტინის ტერიტორიის 60 პროცენტზე მეტს სთავაზობდა. არაბები კი მთელ პალესტინას მოითხოვდნენ.

სენტ-ჯეიმზის კონფერენციაზე (ის ჩატარდა ლონდონში 1939 წლის თებერვალ-მარტში) *„პალესტინისათვის ებრაულ სააგენტოსთან"* (ისრაელის პროტომთავრობასთან) ერთად პალესტინელი არაბების, ეგვიპტის, საუდის არაბეთის, ტრანსიორდანიის, იემენის წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი. კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა. ბრიტანული წინადადებები ამჯერად ებრაელებისათვის აღმოჩნდა მიუღებელი.

ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ცდილობდნენ გაემაგრებინათ საკმაოდ არასაიმედო ზურგი ახლო აღმოსავლეთში. საფრანგეთი წავიდა დათმობაზე თურქეთის მიმართ და გადასცა მას სამანდატო სირიაში შემავალი ალექსანდრეტას სანჯაყი (იხ. თავი 10). დიდი ბრიტანეთი დაინტერესებული იყო „ეყიდა მშვიდობა" პალესტინაში, კერძოდ, არაბებისაგან.

ამიტომაც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ 1939 წლის მაისში გამოაქვეყნა მორიგი *„თეთრი წიგნი"*, რომელშიც *სენტ-ჯეიმზის კონფერენციაზე* წარდგენილი თავისი გეგმა გამოამზეურა. საბოლოო მიზნად იქნა გამოცხადებული 10 წლის შემდეგ დამოუკიდებელი ერთიანი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, ხოლო მიმდინარე ამოცანად – ებრაული იმიგრაციის ისე შეზღუდვა (ხუთი წლის განმავლობაში არა უმეტეს 75 ათასისა), რომ ებრაელთა რაოდენობას ქვეყნის საერთო მოსახლეობის 1/3-სათვის არ გადაეჭარბებინა. ებრაელების მიერ მიწის შეძენა ზოგ რაიონში აიკრძალა, ზოგან – შეიზღუდა.

ნახ. 15.1. ლორდ პილის კომისიისა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მომზადებული პალესტინის გაყოფის რეკომენდაციები



ლონდონის გეგმამ გარკვეულწილად დააკმაყოფილა პალესტინის არაბები. მათი აჯანყება ჩაცხრა და ომის დროს ანტიბრიტანული აქტივობა მათ დიდად არ გამოუჩენიათ, თუმცა მათი ელიტის პროგერმანული განწყობა ძნელი დასამალი იყო.

ამის საპირისპიროდ, *„თეთრმა წიგნმა“* სიონისტების დიდი აღშფოთება გამოიწვია: ნაციზმის წინსვლა ევროპაში და უკვე დაწყებული მისი ანტიებრაელი ქმედებები დაუცველად და მიუსაფრად ტოვებდა მილიონობით ადამიანს. ამიტომაც ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1948 წ. 14 მაისი) მისი მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი აქტი იყო 1939 წლის *„თეთრი წიგნით“* ებრაული იმიგრაციისათვის დაწესებული შეზღუდვების გაუქმება.

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სიონისტებს ესმოდათ, რომ დიდი ბრიტანეთის მტერი ერთდროულად მათი დაუძინებელი მტერიცაა. ბევრი ებრაელი იბრძოდა ბრიტანული არმიის შემადგენლობაში (ამან მათ სათანადო წვრთნა მისცა, რაც ძალიან მალე გამოადგათ). ამიტომ, პალესტინაში სიწყნარე იყო.

სამაგიეროდ, როგორც კი მსოფლიო ომი დამთავრდა, ბრიტანულ ადმინისტრაციას მოუხდა ბრძოლა ებრაული *იშუვის** შეიარაღებულ ჯგუფებთან, რომლებიც ტერორიზმსაც არ ერიდებოდნენ[1]. 1946 წელს აქ საინსპექციოდ ჩამოსულმა ფელდმარშალმა *მონტგომერიმ*, ელ-ალამეინის გმირმა, კატეგორიულად მოითხოვა *„ებრაული ტერორიზმის ამოძირკვა“* სამხედრო ძალის გამოყენებითაც. მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ძალის ჭარბმა გამოყენებამ უკურეაქცია გამოიწვია.

მიუხედავად 1939 წელს შემოღებული შეზღუდვებისა, მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგაც პალესტინაში გრძელდებოდა ებრაელთა არალეგალური იმიგრაცია. თუ 1920 წელს აქ ცხოვრობდა 67 ათასი ებრაელი, 1947 წლისათვის მათმა რაოდენობამ 600 ათასს მიაღწია [СИО, I, 2000, 204]. ამოსულთა* უმრავლესობა ნაციზმს გადარჩენილი ადამიანები იყვნენ, რომლებიც თავიანთ უკანასკნელ თავშესაფარს ხედავდნენ პალესტინაში.

პროგრესული სამყარო მაქსიმალურ თანაგრძნობას გამოხატავდა ებრაელი ხალხის მიმართ, რომელმაც ნაცისტური პოლიტიკის გამო დაკარგა ექვს მილიონამდე ადამიანი[2].

1947 წლის თებერვალში დიდმა ბრიტანეთმა აღიარა, რომ აღარ შეუძლია შეასრულოს პალესტინის ორი თემის მიმართ პალესტინაზე მანდა-

---

1. ცნობილია, მაგალითად, რომ 1946 წლის 22 ივლისს იატაკქვეშა ებრაულმა ორგანიზაცია „ეცელმა“ ააფეთქა იერუსალიმის სასტუმრო „კინგ დევიდი“. დაიღუპა იქ მცხოვრები 91 ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე. ამ ტერორისტული აქტის შემსრულებელთა შორის ასახელებენ შემდგომში ისრაელის რესპექტაბელურ პოლიტიკოსებს, მათ შორის ერთ მომავალ პრემიერ-მინისტრსაც კი.

2. ევროპელ ებრაელთა ამ კატასტროფას ებრაულად უწოდებენ *„შოა“*-ს, ხოლო ევროპულ ენებზე *„ჰოლოკოსტ“*-ს.

ტით აღებული ვალდებულებები. პალესტინის მართვა დიდ ბრიტანეთს მხოლოდ თავის ტკივილს უჩენდა. ამიტომაც მისმა ლეიბორისტულმა მთავრობამ გადაწყვიტა, უარი ეთქვა მანდატზე და პალესტინის პრობლემის მოგვარება ახალშექმნილი *გაერო*-სათვის მიენდო.

პალესტინის გაყოფის გეგმა გაეროს მიხედვით

გაეროს სპეციალურმა კომისიამ წინასწარ მოინახულა პალესტინა და დაადგინა, რომ ერთ სახელმწიფოში არაბებისა და ებრაელების თანაარსებობა შეუძლებელია. შედგა პალესტინის გაყოფის გეგმა, რომელიც გარკვეულწილად ემთხვეოდა *„პილის კომისიის“* (1937 წ.) რეკომენდაციებს: ყველაზე არსებითი განსხვავება ის იყო, რომ პილის კომისია ნეგევს მომავალი არაბული სახელმწიფოს შემადგენლობაში ტოვებდა, ხოლო გაეროს კომისია მომავალ ებრაულ სახელმწიფოს აძლევდა (ნახ. 15.1ბ).

1947 წლის 29 ნოემბერს ***გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 181 (II), რომლითაც რეკომენდაცია მისცა პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფას და იერუსალიმის ცალკე რაიონად გამოყოფას.*** ეს უკანასკნელი უნდა გამხდარიყო საერთაშორისო კონტროლქვეშ მყოფი ქალაქი. როგორც ებრაული, ისე არაბული სახელმწიფო რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და ანკლავები* უნდა ჰქონოდა. უწყვეტი ხაზით ორი სახელმწიფოს გამიჯვნა ვერ ხერხდებოდა.

გაეროს რეზოლუციის თანახმად, ებრაულ სახელმწიფოს რჩებოდა სამანდატო პალესტინის ტერიტორიის (იერუსალიმის გარეშე) 56,47 პროცენტი, სადაც ცხოვრობდა 498 ათასი ებრაელი და 325 ათასი არაბი. ამ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელი *ქ. ისდუდის* (დღევანდელი *აშდოდი*) ჩრდილოეთით *ქ. ხაიფამდე*; სანაპირო ქალაქი *ჯაფა* (დღევანდელი *იაფო*) არაბული ანკლავი უნდა გამხდარიყო. ებრაულ სახელმწიფოს ეძლეოდა *ზემო გალილეის* დიდი ნაწილი, თითქმის მთელი *ნეგევი* (არაბებით დასახლებული *ქ. ბირ-საბას*, დღევანდელი *ბეერ-შევას*, გარეშე) და გასასვლელი აკაბას ყურეში.

არაბულ სახელმწიფოს უნდა დარჩენოდა სამანდატო პალესტინის ტერიტორიის (იერუსალიმის გარეშე) 43,53 პროცენტი, სადაც ცხოვრობდა 807 ათასი არაბი და 10 ათასი ებრაელი. ამ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა ორმონაკვეთიანი გასასვლელი ზღვაზე, ერთი – *ქ.* აკოდან ჩრდილოეთით, ლიბანის საზღვრამდე, და მეორე, სამხრეთით – *ისდუდი, მაჯდალი* (დღევანდელი *აშკელონი*) და ღაზა ეგვიპტის საზღვრამდე; არაბული სახელმწიფოსი უნდა ყოფილიყო დასავლეთ გალილეა *ქ. ნაზარეთითურთ, ქ. რამლა, ლიდა* (დღევანდელი *ლოდი*), პროვინციები *სამარია* და *იუდეა* მკვდარ ზღვაზე გასასვლელით.

იერუსალიმის რაიონში (რომლის ფარგლებში უნდა შესულიყო თვით ქალაქი იერუსალიმი, სოფელი *აბუ დისი* აღმოსავლეთით, სოფელი *შუაფათი* – ჩრდილოეთით, სოფელი *ეინ კერემი* – დასავლეთით, ქალაქი *ბეთლემი* და სოფელი *ბეით-ჯალა* – სამხრეთით) იმ პერიოდში ცხოვრობდა 105 ათასი არაბი და 100 ათასი ებრაელი. ეს ტერიტორია საერთაშორისო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა.

პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნას მხარს უჭერდა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, განსაკუთრებით აშშ, ლათინური ამერიკისა და ევროპის ქვეყნები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის უბედურება და ტანჯვა, რაც ევროპის ებრაელობამ გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის დროს. ევროპის ქვეყნებში დიდხანს არსებობდა „დანაშაულის კომპლექსი" ჰოლოკოსტთან დაკავშირებით[1]. ცნობილია, რომ ანტიებრაულ აქციებში გერმანელ ნაცისტებთან ერთად სხვა ევროპული სახელმწიფოების ნაციონალისტურ წრეებსაც ერიათ ხელი. ებრაული სახელმწიფოს შექმნისათვის მხარდაჭერით ევროპის დემოკრატიულ რეჟიმებს უნდოდათ, ერთგვარად მოეწანიებინათ თავიანთი ავისმქმნელი თანამემამულეების ცოდვა.

პალესტინის გაყოფას, ანუ არაბულთან ერთად ებრაული სახელმწიფოს შექმნას, საკმაოდ მოულოდნელად მხარი დაუჭირა და გაეროს რეზოლუციას ხმა მისცა საბჭოთა კავშირმაც, რომელიც 1947 წლამდე მოითხოვდა პალესტინაზე ბრიტანული მანდატის გაუქმებას და იქ „ერთიანი დემოკრატიული" სახელმწიფოს შექმნას.

იმდროინდელი დიპლომატიური მიმოწერის [СИО, 2000] გაცნობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საბჭოთა კავშირს იმ დროს არ ჰქონდა გამოკვეთილი პოლიტიკა რეგიონში. საბჭოთა დიპლომატები სტალინის გულის მოგებას ბრიტანული იმპერიალიზმის „დამცირებით" ცდილობდნენ, ვინაიდან საბჭოეთის ბელადს მთავარ მტრად ძველებურად დიდი ბრიტანეთი მიაჩნდა.

კრემლში, როგორც ჩანს, ვერ ასწრებდნენ იმის გაანალიზებას, თუ რა სისწრაფით ამბობდა უარს დიდი ბრიტანეთი თავის კოლონიურ იმპერიაზე (იმავე 1947 წელს მან დატოვა „გვირგვინის უდიდესი ბრილიანტი" – ინდოსტანის სუბკონტინენტი) და რა იოლად უთმობდა „თეთრი

---

1. ებრაელთა მიმართ მსოფლიო ომის დროს ჩადენილი უსამართლობის გამო ევროპელების მხარდაჭერა ისრაელის მიმართ 1948 წლიდან 1973 წლის „იომ-ქიფურის" ომამდე ყოვლისმომცველი იყო [Elliot, 2002, 31]. ვითარება, *მაიკლ ელიოტის* აზრით, შეიცვალა 1982 წლიდან, როდესაც ისრაელის არმია შეიჭრა ლიბანში და, განსაკუთრებით, პალესტინელ ლტოლვილთა იქაურ ბანაკებში, საბრასა და შატილაში, ქრისტიანი ფალანგისტების მიერ განხორციელებული ჟლეტის შემდეგ [იბიდ.], რაზეც არაპირდაპირი პასუხისმგებლობა ისრაელის ოფიციალურმა გამოძიებამ დააკისრა თავდაცვის იმდროინდელ მინისტრს *არიელ შარონს* [JP, June 24, 2002].

ევროპის საზოგადოებრივი აზრი ისრაელის მიმართ უფრო კრიტიკული გახდა იმის გამოც, რომ ებრაული ახალშენები პალესტინელთა ტერიტორიაზე იზრდება და, იმავე *ელიოტის* სიტყვებით, *„ისრაელი დაადგა კოლონიზაციის პოლიტიკას, რაც თანამედროვე ევროპელთა თვალში მორალურად დასაგმობია"*, ვინაიდან თვით ევროპელებს აქვთ დანაშაულის გრძნობა საკუთარი კოლონიური წარსულის გამო.

ადამიანის ტვირთს“ ოკეანისგაღმელ, თავისსავე ენაზე მოლაპარაკე, მემკვიდრეს – *ამერიკის შეერთებულ შტატებს.*

ვერ გათვალეს კრემლში ისიც, რომ ებრაულ სახელმწიფოს აარსებდნენ თუნდაც სოციალისტური იდეებით ნაკვები, მაგრამ პატრიოტული სულისკვეთებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც სულაც არ აპირებდნენ ეთამაშათ მათთვის განსაზღვრული კრემლის მარიონეტის როლი.

პალესტინის ტერიტორიის ფაქტობრივი გაყოფა

ებრაელებმა პალესტინის გაყოფის გეგმა მიიღეს. მართალია, სიონისტ ლიდერებს მთელ პალესტინაზე ჰქონდათ პრეტენზია[1], მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებით, ეს კომპრომისული გადაწყვეტილებაც მისაღებად მიიჩნიეს[2].

არაბებმა კი პალესტინის გაყოფის გეგმა არ მიიღეს. მათ საერთოდ არ უნდოდათ აქ ებრაული სახელმწიფოს ხილვა. გაყოფის კონკრეტული გეგმაც უსამართლოდ ჩათვალეს (არაბები მოსახლეობის 2/3-ზე მეტი იყვნენ, მაგრამ მათ ნახევარზე ნაკლებ ტერიტორიას სთავაზობდნენ). *არაბული ქვეყნების ლიგამ,* რომელიც 1945 წელს დაარსდა, დაიწყო მოხალისეთა ნაწილების ფორმირება და პალესტინაში შეგზავნა. არაბი ლიდერების ეს მაქსიმალიზმი საბოლოოდ ძალიან ძვირად დაუჯდათ პალესტინელ არაბებს.

ნათელი იყო, რომ მორიგება არაბებსა და ებრაელებს შორის შეუძლებელია. ორივე მხარე გამალებით იარაღდებოდა, იქმნებოდა გამაგრებული ადგილები, იწვრთნებოდნენ გასამხედროებული ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ებრაულ თემს ბევრად უკეთესი სამხედრო ინსტრუქტორები და, თუნდაც უფრო მცირერიცხოვანი, მაგრამ მორალურ-ფსიქოლოგიურად უკეთ მომზადებული რიგითი შემადგენლობა ჰყავდა.

უკვე 1948 წლის დასაწყისიდან დაიწყო თემთაშორისი შეტაკებები საგრძნობი მსხვერპლით (დაღუპულთა უმრავლესობა არაბი იყო). მოსალოდნელი იყო ომი გარედან ინტერვენციით, მით უმეტეს, რომ პალესტინის გაყოფის კონკრეტული მექანიზმი არ შემუშავებულა და

---

1. გაეროს 181-ე რეზოლუციის მიღებამდე ერთი წლით ადრე, 1946 წლის დეკემბერში ბაზელში ჩატარებულმა 27-ე სიონისტურმა კონგრესმა დაადგინა, რომ „პალესტინა უნდა გახდეს ებრაული სახელმწიფო“ [CHO, 1, 2000, 184]. ამასვე მოითხოვდა 1947 წლის 4 ივნისს ებრაული სააგენტოს აღმასკომის თავმჯდომარე *დავიდ ბენ-გურიონიც* [CHO, 1, 2000, 238].

2. იმას, რომ *ბენ-გურიონი* საკმაოდ ცინიკური პრაგმატიკოსი იყო, მოწმობს ისრაელში ხშირად ციტირებული მისი გამონათქვამი: „*არა აქვს მნიშვნელობა, რას ლაპარაკობენ გოიმები* [არაებრაელები], *მნიშვნელოვანია, რას აკეთებენ ებრაელები*“. ეს ითქვა მაშინ, როდესაც პოლოკოსტის ტრავმა მოუშუშებელი იყო და მსოფლიოს პქონდა დანაშაულის გრძნობა ებრაელობის მიმართ.

რეალურად არავინ იღებდა პასუხისმგებლობას ამ მტკივნეულ აქციაზე.

ასეთ პირობებში ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს შეეჩერებინათ პალესტინის გაყოფის რეზოლუციის ამოქმედება და გაეროს სხდომაზე წამოაყენეს ეს წინადადება.

მაგრამ საბჭოთა კავშირმა და მისმა სატელიტებმა ყველაფერი იღონეს, რათა გაეროს ვერ მიეღო ეს წინადადება და ძალაში დარჩენილიყო 1947 წლის 181-ე რეზოლუცია. ასეც მოხდა.

1948 წლის 14 მაისს ებრაულმა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და *ისრაელი* დაირქვა სახელად. უკვე 15 მაისს კი ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი დაიწყო არაბული ქვეყნების ლიგამ (*ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ტრანსიორდანია, ერაყი*). ფაქტობრივად, ლიბანს ათეულიც არ გამოუგზავნია, ერაყი კი ორიოდე ბატალიონის გამოგზავნით დაკმაყოფილდა.

ჯერ კიდევ ომამდე (1948 წლის აპრილში) საბჭოთა კავშირის სატელიტ ჩეხოსლოვაკიაში შეძენილი „მესერშმიტის“ ტიპის თვითმფრინავებით ისრაელმა იმავე წლის მაისის ბოლოს ეგვიპტის არმიის საჰაერო უპირატესობას ხაზი გადაუსვა [JP, May 23, 2002]. უნდა ითქვას, რომ სტალინის ნებართვით, ჩეხოსლოვაკიამ მიჰყიდა საკმაოდ ბევრი და კარგი ხარისხის საჭურველი ისრაელს, რამაც მას საბოლოოდ ომი მოაგებინა.

ისრაელის სამხედრო ნაწილები თავდადებით იბრძოდნენ, მათ ძლიერი მოტივაცია ჰქონდათ: წყდებოდა არა მარტო ებრაული სახელმწიფოს, არამედ საერთოდ პალესტინის *იშუვის* ყოფნა-არყოფნის საკითხი. არაბული ქვეყნების არმიების საბრძოლო მოქმედება კი ერთმანეთთან ცუდად კოორდინირებული და ნაკლებ ეფექტიანი გამოდგა. არაბულ არმიებს დიდი რაოდენობრივი უპირატესობა არ ჰქონდათ: ისრაელის მხარემ 25-30 ათასი ჯარისკაცი გამოიყვანა; არაბული ქვეყნების საინტერვენციო ნაწილები კი ჯამში 30-35 ათასს ითვლიდნენ [Фромер, 2003]. თუმცა ამ უკანასკნელთ, თავიდან მაინც, მეტი იარაღი ჰქონდათ. ისრაელის არმიას კი, ომის პირველ ეტაპზე, სამხედრო შეიარაღება აკლდა. ამიტომაც იყო, რომ 1949 წლის დაზავების შემდეგ ისრაელმა უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭა ქვეყანაში საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის განვითარებას და დიდ წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით.

1949 წელს ცეცხლის შეწყვეტაზე დათანხმებისათვის პალესტინელები არაბულ ქვეყნებს ღალატში სდებდნენ ბრალს. მაგრამ ბრძოლის გაგრძელებას შეეძლო უფრო მეტი ტერიტორიული შენაძენი მოეტანა ისრაელისათვის.

არაბებს შორის ყველაზე წარმატებით იბრძოლა ბრიტანელების მიერ გაწვრთნილმა ტრანსიორდანიის „არაბულმა ლეგიონმა“. მან დაიკავა აღმოსავლეთ იერუსალიმი (ძველი ქალაქითურთ), ისტორიული იუდეა და სამარია („დასავლეთ ნაპირი“).

არსებობს საკმაოდ დასაბუთებული ვერსია, რომ ტრანსიორდანიის

მეფე აბდალას ფარული გარიგება ჰქონდა სიონისტებთან [Фромер, 2003] და დაჰპირდა მათ, რომ არ შეიჭრებოდა გაეროს მიერ ებრაული სახელმწიფოსათვის მონიშნულ ტერიტორიაზე. ასეც მოხდა. 1950 წელს *იორდანიამ* (ეს სახელი მან 1949 წელს დაირქვა) თავისი იურისდიქცია გაავრცელა ფაქტობრივად დაკავებულ ტერიტორიაზე, ანუ მოახდინა პალესტინის არშექმნილი არაბული სახელმწიფოს ამ ნაწილის, მათ შორის ძველი იერუსალიმის, ანექსირება, რაც სხვა არაბულმა ქვეყნებმა არ მოიწონეს.

ღაზის სექტორი ეგვიპტის სამხედრო ადმინისტრაციას დაექვემდებარა: ეგვიპტემ, იორდანიისაგან განსხვავებით, არ შეიერთა პალესტინის ეს ნაწილი.

ისრაელმა დაიკავა არაბული სახელმწიფოსათვის გათვალისწინებული ტერიტორიის თითქმის ნახევარი (სამხრეთით – სანაპირო ზოლი თითქმის ღაზამდე, ჩრდილოეთით – ლიბანის საზღვრამდე, აგრეთვე ზემო გალილეა).

ქ. იერუსალიმის დასავლეთი ნაწილი ისრაელის ხელში გადავიდა. მომდევნო 19 წლის განმავლობაში ეს იყო გაყოფილი ქალაქი, ეკლიანი მავთულხლართებით ქუჩებსა და პარკებში.

ამრიგად, 1948-49 წწ. დამოუკიდებლობისათვის ომის შემდეგ, *ისრაელის სახელმწიფოს ფაქტობრივად დარჩა „სამანდატო პალესტინის" ტერიტორიის 78 პროცენტი.*

არაბული სახელმწიფო არ შექმნილა. გაერო, რომელმაც არ აამოქმედა არავითარი რეალური მექანიზმი პალესტინის გაყოფის შესახებ საკუთარი რეზოლუციის შესასრულებლად, რამდენიმე შეუსრულებადი დადგენილებით დაკმაყოფილდა. მომდევნო ორი ათეული წლის განმავლობაში *საერთაშორისო საზოგადოებამ პალესტინაში არაბული სახელმწიფოს შექმნის საკითხი საერთოდ დაივიწყა.* მისი საკითხი კვლავ შევა მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში მხოლოდ 1960-იანი წლებიდან.

„ექვსდღიანი ომის" პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები

1967 წლის „ექვსდღიან ომს" ახლო აღმოსავლეთის უახლეს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მან შეცვალა მთელი რეგიონის გეოპოლიტიკური ბალანსი და დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკაზე.

ისედაც რთული ურთიერთობა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის 1967 წლის პირველ ნახევარში კიდევ უფრო დაიძაბა. იმ წლის ივნისის დამდეგს, რამდენიმე დღეში სერიოზული მოვლენები მოხდა: ეგვიპტემ

ტირანის სრუტე საერთაშორისო ნაოსნობისათვის *დაკეტა*, რითაც, ფაქტობრივად, ისრაელის ნავსადგური *ეილათი დაბლოკა*. სინას ნახევარკუნძულზე დაიწყო ეგვიპტის არმიის კონცენტრაცია. 4 ივნისს *ეგვიპტე-იორდანიის თავდაცვით პაქტს შეუერთდა ერაყი* (1966 წლის ნოემბერში ეგვიპტემ ცალკე დადო ანალოგიური პაქტი სირიასთან, რომელსაც იმ დროს არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა იორდანიასთან). არაბული ქვეყნების ლიდერებისა და გენერლების თავდაჯერებული ანტიისრაელური რიტორიკა ეჭვს არ ტოვებდა, რომ ჰაერში მოსალოდნელი ომის სუნი ტრიალებდა.

ისრაელის მთავრობამ და შეირაღებული ძალების ხელმძღვანელობამ გათვალა, რომ თუკი მოწინააღმდეგის პირველ გასროლას დაუცდიდნენ, ქვეყნის ძალიან მცირე ტერიტორიის სტრატეგიული სიღრმე მისი დაცვის საშუალებას არ მისცემდა. საქმე მართლაც ეხებოდა ისრაელისათვის ეგზისტენციურ საფრთხეს. გარკვეული დროის განმავლობაში ყოყმანის შემდეგ, ისრაელის ავიაციას ებრძანა წინმსწრები დარტყმის მიყენება ეგვიპტის აეროდრომებისათვის, თუნდაც იარაღის პირველად გამოყენებას ქვეყნისათვის აგრესორის იმიჯი შეექმნა საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში.

5 ივნისს, გამთენიისას, ისრაელის ავიაციამ, აღჭურვილმა უახლესი ფრანგული თვითმფრინავებით, მოულოდნელი იერიში მიიტანა და მიწაზევე მოსპო ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო პოტენციალი. ისრაელს ჰაერში სრული დომინირების საშუალება მიეცა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისათვის. ისრაელის არმიამ დაიკავა მთელი სინას ნახევარკუნძული და გაჩერდა სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე.

იორდანიამ და სირიამ (ერთმანეთთან კოორდინაციის გარეშე) დაიწყეს ეგვიპტის მხარდამჭერი სამხედრო მოქმედება ისრაელის წინააღმდეგ და დამანგრეველი საპასუხო დარტყმის განხორციელების საბაბი მისცეს მას. ამის შედეგად ისრაელმა დაიკავა სირიის გოლანის მაღლობი და იორდანიის დაქვემდებარებაში მყოფი პალესტინის ტერიტორია („დასავლეთ ნაპირი" და აღმოსავლეთ იერუსალიმი ძველი ქალაქითურთ).

„ექვსდღიან ომში" გამარჯვება სამართლიანადაა მიჩნეული ებრაელი ხალხის ისტორიაში უდიდეს სამხედრო წარმატებად.

ომის დამთავრებისთანავე ისრაელის ქნესეთის დადგენილებით იერუსალიმის საზღვრები აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გაფართოვდა 70,2 კმ²-ით [Khamaissi, 1999] (ნახ. 15.2). ამ ფართობზე ისრაელის ხელთ არსებულ დასავლეთ იერუსალიმთან (37,3 კმ²) ერთად შეიქმნა „ერთიანი იერუსალიმი".

სამხედრო გამარჯვებამ არ მოუტანა მშვიდობა და უსაფრთხოება არც ისრაელსა და არც რეგიონს.

მთავარ პრობლემად ისრაელისათვის იქცა ის, თუ რა უნდა ექნა და-

კავებული ტერიტორიისათვის (იხ. ჩანართი 15.1). ამ ფართობის შეერთება ისრაელის სახელმწიფოსთან მკვეთრად შეცვლიდა ეთნო-დემოგრაფიულ ბალანსს არაბების სასარგებლოდ იმის გამო, რომ იქ ცხოვრობდა მრავალრიცხოვანი არაბული მოსახლეობა.

ნახ. 15.2. იერუსალიმის საქალაქო საზღვრების ცვლილებები 1917-1967 წწ-ში



გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები
ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 242 (22 ნოემბერი, 1967), 338 (22 ოქტომბერი, 1973), 1322 (7 ოქტომბერი, 2000) და ყველა სხვა, რომლებიც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს ეხება, 1967 წელს ისრაელის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს განიხილავს, როგორც „ოკუპირებულს" და მოუწოდებს ისრაელს გაიყვანოს იქიდან თავისი შეირაღებული ძალები. მაგრამ ისრაელში ამ ფართობს უწოდებენ უბრალოდ „ტერიტორიებს" და მიიჩნევენ მათ „სადავოდ", ჯერ დაუდგენელი სტატუსით. ამის საბაბს ისრაელს აძლევს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 242, რომლის ტექსტშიც ისრაელის არმიას მოეთხოვება გასვლა *„ოკუპირებული ტერიტორიებიდან"* და არა *„მთელი ოკუპირებული ტერიტორიიდან"*: ინგლისურ ტექსტში სიტყვა *„ტერიტორიების"* წინ შეგნებულად არის გამოტოვებული განსაზღვრებითი არტიკლი „the", რაც მკაფიოს გახდიდა, თუ საიდან მოეთხოვება გასვლა ისრაელის არმიას.

აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის პროექტი შეადგინა ბრიტანულმა დელეგაციამ და ეს გრამატიკული ლაფსუსი კი არაა, არამედ შეგნებულად დატოვებული ბუნდოვანება. სხვათა შორის, გაეროს რეზოლუციის ესპანური და ფრანგული ტექსტები მოკლებულია ინგლისური ვერსიის ორაზროვნებას.

გარდა ამისა, იმავე რეზოლუციაში ნახსენებია *„რეგიონის ყველა სახელმწიფოს* [ხაზგასმა ჩემია: რ.გ.] *უფლება – მშვიდობიანად იცხოვროს უსაფრთხო და აღიარებულ საზღვრებში". ასეთი ფორმულირება უფრო ძლიერ სახელმწიფოს აძლევს საშუალებას თავისათვის სასარგებლო ინტერპრეტაცია გაუკეთოს „უსაფრთხო საზღვრების" კონცეფციას.*

როგორც ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი წერდა, „გაეროს უშიშროების საბჭომ თავის ისტორიულ დოკუმენტში, რეზოლუცია 242-ში, განსაზღვრა, რომ ისრაელს აქვს უფლება 'უსაფრთხო და აღიარებულ საზღვრებზე' და მას არ მოეთხოვება გასვლა ყველა ტერიტორიიდან, სადაც მისი ძალები შევიდნენ – და საიდანაც მას თავს დაესხნენ – 'ექვსდღიანი ომის' დროს. სინამდვილეში რეზოლუცია ამბობს, რომ ეს არის სადავო ტერიტორიები, სადაც ისრაელს აქვს კანონიერი უფლება დაადგინოს დაცვადი საზღვრები" [Sharon, 2002].

ისრაელში ბევრი არ იზიარებს გაეროს რეზოლუციის შარონის ასეთ „გათავისებულ" გაგებას [Eldar, 2002]. *ამ სუბიექტურ ინტერპრეტაციას არ ეთანხმებიან დასავლეთელი პოლიტოლოგებიც* [Siegman, 2002].

1967 წლის 2 სექტემბერს ქალაქ *ხართუმში* ჩატარებულმა არაბული ქვეყნების ლიგის კონფერენციამ მოსპო მორიგების შესაძლებლობა, როდესაც დაადგინა *„სამი არა"* (*„არა – ისრაელის ცნობას, არა – მოლაპარაკებას ისრაელთან, არა – მშვიდობას ისრაელთან"*). იმ პერიოდში, ახლად განცდილი მტკივნეული მარცხის შემდეგ, არაბებისაგან ძნელი წარმოსადგენი იყო სხვაგვარი გადაწყვეტილება, თუმცა ის აშკარად ეწინააღმდეგებოდა საღ აზრს. არც თუ იშვიათად, თავმოყვა-

რეობის შელახვით გამოწვეული ემოციები პოლიტიკაში პრაგმატიზმს თრგუნავს და არასწორი გადაწყვეტილებების მიღების მიზეზად იქცევა ხოლმე.

ხართუმის კონფერენციის ძალიან გამომწვევი დეკლარაციის შემდეგ, ისრაელის მემარჯვენე და რელიგიურ ძალებს ხელი გაეხსნათ, როგორც ისრაელელი ავტორი უწოდებს, *„მესიანური ისტერიისათვის“* [Barzilai, 2002], რაც გამოიხატა დასავლეთ ნაპირზე, ღაზის სექტორში და გოლანის მაღლობზე ებრაული ახალშენების მასობრივ მშენებლობასა და ტერიტორიის *de facto* ანექსირებაში.

„დასავლეთ ნაპირისა“ და ღაზის სექტორის ანექსირება ისრაელს ოფიციალურად არ განუხორციელებია, ამიტომ იქაურ არაბებზე ისრაელის იურისდიქცია არ ვრცელდება (ნახ. 15.3).

ნახ. 15.3. ისრაელის ტერიტორიული გაფართოება 1948-49 და 1967 წლებში



უშუალოდ „ექვსდღიანი ომის“ შემდეგ ისრაელის ელიტის უმცირესობა იმ აზრისა იყო, რომ ახლად დაპყრობილი ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე შექმნილიყო პალესტინის არაბული სახელმწიფო (ზოგი ისრაელელი ავტორი უარის თქმას ასეთ ნაბიჯზე „დაკარგულ შესაძლებლობას“ უწოდებს [Bloch, 2002; Barzilai, 2002]), რაც იქნებოდა გაეროს 1947 წლის რეზოლუციის ნაწილობრივი შესრულება მაინც. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო როგორც ისრაელის ხელისუფლებისა და ხალხის განწყობა, ისე არაბული ქვეყნების კეთილი ნება.

არაბული ქვეყნების ლიგას 35 წელი დასჭირდა, რათა ბეირუთში ჩატარებულ სამიტზე (2002 წლის 27 მარტი) მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ 1967 წლის საზღვრები პალესტინის არაბული სახელმწიფოსათვის საკმარისი იქნებოდა. ეს წინადადება წამოაყენა საუდის არაბეთის იმ დროს რეგენტმა (2005 წლიდან – მეფე) *აბდულა იბნ აბდულაზიზმა*. მაგრამ ახლა უკვე ისრაელი არ იყო თანახმა ასეთ კომპრომისზე.

„იომ-ქიფურის ომის“ გეოპოლიტიკური შედეგები

ის, რომ მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება სამხედრო უპირატესობას იძლევა, გაითვალისწინა ეგვიპტის ხელმძღვანელობამაც.

1973 წლის 6 ოქტომბერს, როდესაც ებრაელები მათთვის ყველაზე წმინდა დღეს, *იომ-ქიფურს* (დღე განკითხვისა) აღნიშნავდნენ და მთელ ისრაელში საყოველთაო უქმე იყო (ამ დღეს ჯარისკაცების მეტ წილს სახლებში უშვებენ), ეგვიპტის არმიამ მოულოდნელად გადალახა სუეცის არხი და შეუტია მოწინააღმდეგის შეთხელებულ ნაწილებს. ერთდროულად სირიამ სატანკო ოპერაცია დაიწყო გოლანის მაღლობის დასაბრუნებლად.

ისრაელმა, ძალების მაქსიმალური დაძაბვითა და საგრძნობი მსხვერპლის ფასად შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. მისმა არმიამ ხელახლა დაიკავა გოლანის მაღლობი და სუეცის არხის ფორსირების შედეგად აფრიკის მხრიდან მოახდინა სინას ნახევარკუნძულზე შეჭრილი ეგვიპტური დივიზიების ბლოკირება. დროებითი დაზავებით, პრაქტიკულად აღდგენილ იქნა *status quo ante bellum**.

ომის მომდევნო წლების პოლიტიკური განვითარება, რომელსაც სერიოზული გეოპოლიტიკური შედეგი მოჰყვა, ომის ფსიქოლოგიურ ეფექტსაც ეყრდნობოდა. ომის შედეგად შეიქმნა ერთგვარი სამხედრო წონასწორობის შთაბეჭდილება. როგორც ეგვიპტე, ისე ისრაელი ამ ომს მოგებულად მიიჩნევდნენ. ეგვიპტელებისათვის, და ზოგადად არაბებისათვის, ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ პირველად დაინახეს გაქცეული ისრაელელი ჯარისკაცები. მათ შეექმნათ

ილუზია, რომ ისრაელის არმიის უძლეველობა მითია. ეგვიპტეში ამ ომს საგანგებო მუზეუმიც კი მიუძღვნეს.

„გამარჯვებულის იმიჯმა" საკუთარ ქვეყანაში ეგვიპტის *პრეზიდენტ ანვარ სადათს* გაუადვილა გადაწყვეტილების მიღება, პირისპირ შეხვედროდა ისრაელის *პრემიერ-მინისტრ მენახემ ბეგინს*. ეს ისტორიული შეხვედრა შედგა იერუსალიმში 1977 წლის 19 ნოემბერს. სადათის ეს გადაწყვეტილება იმპულსური ვერ იქნებოდა. სადათ-ბეგინის სამიტის შემდეგ *ამერიკული დიპლომატიისათვის* უფრო ადვილი გახდა წინა პლანზე გამოჩენა.

1978 წლის სექტემბერში *პრეზიდენტ ჯიმი კარტერის* შუამავლობით *კემპ-დევიდში* ჩატარდა მოლაპარაკება, ხოლო 1979 წელს ვაშინგტონში ხელმონერილი დოკუმენტების თანახმად, ისრაელმა რამდენიმე ეტაპად გაათავისუფლა სინას ნახევარკუნძული; აღდგენილ იქნა ეგვიპტესთან 1948 წლამდე არსებული საზღვარი (პალესტინის ღაზის სექტორი, რომელსაც 1948-1967 წლებში კონტროლს უწევდა ეგვიპტე, ხოლო 1967 წლიდან – ისრაელი, ამ უკანასკნელის კონტროლქვეშ დარჩა); სინას ნახევარკუნძული დემილიტარიზებულ იქნა, იქ გაეროს „ცისფერჩაფხუტიანთა" კონტინგენტი ჩააყენეს, რომელთა შორის უმრავლესობა ამერიკელია. სამხრეთ-დასავლეთ მხრიდან ისრაელს სამხედრო საფრთხე მოეხსნა. ეგვიპტემ, პირველმა არაბული ქვეყნებიდან, ცნო ისრაელის სახელმწიფო და სრული დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან.

ისრაელისათვის ეს უდიდესი დიპლომატიური მიღწევა იყო: არაბულმა ქვეყანამ, თანაც უდიდესმა, პირველად ცნო ისრაელის არსებობის უფლება. იქამდე ისრაელს ახლო აღმოსავლეთში ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ თურქეთთან, კვიპროსთან და ირანთან. მაგრამ 1979 წლის თებერვალში ირანის ისლამური რევოლუციის შედეგად მოსულმა რეჟიმმა გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა ისრაელთან. ეგვიპტესთან ურთიერთობის დამყარება, საელჩოების გაცვლა, ისრაელისათვის გარკვეული კომპენსაცია იყო ისლამურ სამყაროში ირანის სტრატეგიული პარტნიორობის დაკარგვისათვის.

ეგვიპტისათვის მნიშვნელოვანი იყო სინას ნახევარკუნძულის (თავის ნავთობსარეწებითურთ) დაბრუნება. გარდა ამისა, ეს ქვეყანა ამერიკის საგარეო დახმარების სიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ ადგილზე მოექცა: ყოველწლიური ამერიკული დახმარება, რომელიც XXI საუკუნის დასაწყისში ორ მილიარდ დოლარს აღწევდა, საშუალებას აძლევდა ეგვიპტეს შეექმნა თანამედროვე არმია, გარკვეულად დაეფარა საბიუჯეტო დეფიციტი. ზემოაღნიშნულმა დიპლომატიურმა ნაბიჯმა (ისრაელის ცნობამ) და ამერიკულმა დახმარებამ საბოლოოდ გამოიყვანა ეგვიპტე საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროდან და ის პროდასავლურ ქვეყნად აქცია, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ იქ ამიერიდან დასავლური

ფასეულობანი, ან დასავლური ტიპის დემოკრატია გაბატონდა!

მართალია, ურთიერთობა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, განსაკუთრებით „ალ-აკსას ინთიფადას" პერიოდში (2000-2005 წწ.) უფრო „ცივ მშვიდობას" მოგვაგონებდა, მაგრამ საზღვარი მათ შორის მშვიდობიანი რჩება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული დიპლომატიური გარღვევის მთავარ ინიციატორსა და შემსრულებელს – ეგვიპტის პრეზიდენტ *ანვარ სადათს* – ძვირად დაუჯდა გამბედაობა: 1981 წელს ის მოკლა მუსლიმმა ფანატიკოსმა. თვით ეგვიპტეს კი სხვა არაბულმა ქვეყნებმა გამოუცხადეს ბოიკოტი: ის გარიცხეს *არაბული ქვეყნების ლიგიდან*, კაიროდან გამოიწვიეს არაბული და ბევრი სხვა მუსლიმური ქვეყნის ელჩები, ნავთობმომპოვებელმა არაბულმა ქვეყნებმა შეუწყვიტეს მას დახმარება. ეს სადამსჯელო სანქციები ეგვიპტეს მოეხსნა 1989 წელს, ვინაიდან მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, „ცივი ომი" დამთავრდა და ნათელი შეიქნა, რომ ასეთი სანქციები ვერ აიძულებს ეგვიპტეს, შეცვალოს თავისი საგარეო პოლიტიკა.

ეგვიპტესა და ისრაელს შორის მშვიდობის დამყარებამ პრაქტიკულად შექმნა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პრეცედენტი ფორმულით – *„მიწა მშვიდობის სანაცვლოდ"*. ამ ფორმულაში იგულისხმება, რომ მშვიდობა ესაჭიროება ისრაელს, რომელიც მზადაა მის მისაღწევად დათმოს ოკუპირებული არაბული ტერიტორიები.

თავი 16

კონფლიქტის მოუგვარებლობის ელემენტები: ტერიტორია, საზღვრები და „დემოგრაფიული მეტოქეობა“

ტერიტორიული მოუგვარებლობა და საზღვრები

1949 წლის 11 მაისს ისრაელი გაეროს წევრი გახდა და მის საზღვრად სწორედ 1949 წლის დაზავების ხაზი იქნა მიჩნეული. 1967 წლამდე ეს ხაზი ასრულებდა სახელმწიფო საზღვრის როლს იორდანიასთან და ეგვიპტის კონტროლქვეშ მყოფ ღაზის სექტორთან. საერთაშორისო საზოგადოება თანდათან მიეჩვია ამ რეალურ მდგომარეობას.

იორდანიასთან დაზავების ე.წ. *„მწვანე ხაზი“* არ მისდევდა რაიმე ეთნიკურ ან ფიზიოგრაფიულ მიჯნას, რადგანაც ის ცეცხლის შეწყვეტის მომენტისათვის იყო ფიქსირებული, მაგრამ დღემდე მეტ-ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

1967 წლის „ექვსდღიანი ომის“ შედეგად ისრაელმა მთელი „ყოფილი სამანდატო პალესტინა“ დაიკავა. მაგრამ მის არც ერთ მთავრობას ფორმალურად არ უცდია „მწვანე ხაზს“ მიღმა მდებარე ტერიტორიის *de jure* ანექსირება, გარდა იმისა, რაც იერუსალიმის ახალ საზღვრებში იქნა შეტანილი[1].

რასაკვირველია, „მწვანე ხაზს“ მიღმა მდებარე მიწაზე ებრაული ახალშენების შექმნა, ისრაელის მიერ იქ გზებისა და სხვა ფიზიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა *de facto* ანექსირებას უდრის, მაგრამ, როგორც ისრაელელი გეოგრაფი წერს, *„იურიდიული თვალსაზრისით – არა მარტო საერთაშორისო სამართლის, არამედ, ისრაელის კანონმდებლობის მიხედვითაც – ეს ტერიტორია ითვლება 'ოკუპირებულად' ან 'ადმინისტრაციულ კონტროლქვეშ მყოფად'“* [Newman, 2002].

ისრაელში გამოცემულ ოფიციალურ რუკებზე „მწვანე ხაზი“ აღ-

1. 2003 წლის 26 მაისს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა *არიელ შარონმა*, რომელიც „დიდი ისრაელის“ მომხრე იყო და ხელს უწყობდა „დასავლეთ ნაპირსა“ და ღაზის სექტორში ებრაული ახალშენების მშენებლობას, მძაფრი პოლემიკის დროს ამ ტერიტორიებზე ისრაელის არმიის ყოფნას „*ოკუპაცია*“ უწოდა [Ha'aretz, May 27, 2003]. თუმცა, მეორე დღესვე, ისრაელის გენერალური პროკურორის შენიშვნის შემდეგ, მან ეს სიტყვა თავის *lapsus linguae*“-დ გამოაცხადა.

ნიშნული არაა, სხვა ქვეყნებში გამოცემულ რუკებზე კი მას უთითებენ. მაგრამ ისრაელშიც ამ ხაზს ფაქტობრივად ცნობენ, როგორც მიჯნას, მაგალითად, რეგიონული და მუნიციპალური საზღვრების დადგენისას. როდესაც 1990-იან წლებში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პალესტინის სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, „მწვანე ხაზი" ყოველთვის რაღაცა ფორმით ფიგურირებდა. კემპ-დეივიდის (2000 წ.) მოლაპარაკებისას ამ ხაზის დიდი ნაწილის სახელმწიფო საზღვრად ქცევის საკითხი იდგა.

1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა ისრაელის სახელმწიფოსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის „დეკლარაცია [პალესტინის] საშუალედო თვითმმართველობის მოწყობის პრინციპების შესახებ". ამ დოკუმენტის ხელმოწერას წინ უძღოდა ხანგრძლივი ფარული მოლაპარაკება ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, რის გამოც ამ შეთანხმებებს ***„ოსლოს შეთანხმებებს"*** უწოდებენ.

ზემოხსენებული „დეკლარაციის" მიზანი იყო პალესტინის დროებითი თვითმმართველობის ადმინისტრაციის ჩამოყალიბება და ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის დაწესება, რომლის შემდეგაც უნდა შექმნილიყო პალესტინის სახელმწიფო (პოლიტიკური დეტალებისათვის იხ. [ჯაფარიძე, 2000]).

„ოსლოს შეთანხმებები" დროებითი და არასრული იყო. ისინი მარტივ საკითხებს წყვეტდა, ხოლო რთული მომავლისათვის გადაჰქონდა. ეს „მომავალი" კი კარგა ხანია გავიდა. განუსაზღვრელი დარჩა, მაგალითად, იერუსალიმის სტატუსი, პალესტინელი ლტოლვილების, ებრაული ახალშენების საკითხები. დაუდგენელი დარჩა საზღვარი ისრაელსა და მომავალ პალესტინურ სახელმწიფოს შორის.

„ოსლოს შეთანხმებებმა" შექმნა სამშვიდობო პროცესის ილუზია. *ნობელის მშვიდობის პრემიების* მიმნიჭებელმა კომისიამ იჩქარა დაეჯილდოებინა ორივე მხარის უმაღლესი პირები – რაბინი, პერესი და არაფათი.

არაფათის ადმინისტრაციამ ოფიციალურად აღიარა ისრაელის უფლება იარსებოს „სამანდატო პალესტინის" ტერიტორიის 78 პროცენტზე, ე.ი. 1949 წლის დაზავებით მათ ხელში გადასულ ფართობზე: 1998 წელს პალესტინის პარლამენტმა დაადასტურა ეს ქალაქ *ღაზაში* სპეციალურად ჩასული ამერიკის პრეზიდენტ კლინტონის წინაშე. ამიტომ პალესტინელებს გაუჩნდათ აზრი, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე უფლება აქვთ „სამანდატო პალესტინის" დანარჩენ 22 პროცენტზე, მცირედი სასაზღვრო ცვლილებებით.

მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის. ისრაელი 1949 წელს მიღებულ ტერიტორიას საკუთრად მიიჩნევს, ხოლო დანარჩენ ტერიტორიას – სადავოდ. 2000 წლის ივლის-აგვისტოში ამერიკის პრეზიდენტ *ბილ კლინტონის* შუამავლობით *კემპ-დევიდში* გაიმართა, როგორც ახლა ირკვევა,

საკმაოდ მოუმზადებელი მოლაპარაკება. კლინტონი ჩქარობდა თავისი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე მიეღწია თვალსაჩინო შედეგისათვის, მაგრამ ვერ გაითვალისწინა კარდინალური სხვაობა ორი მხარის მიდგომაში.

კემპ-დევიდში მხარეები ვერ მივიდნენ ტერიტორიულ კომპრომისამდე. პალესტინელები მოითხოვდნენ ისრაელის მიერ 1967 წლის საზღვრის ცნობას, რაც გულისხმობდა იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილის (ძველი ქალაქითურთ) მომავალი პალესტინური სახელმწიფოსათვის გადაცემას. ისრაელის მთავრობა არ თანხმდებოდა იერუსალიმის გაყოფას, მაგრამ *თითქოს* მზად იყო გადაეცა „დასავლეთ ნაპირის" ტერიტორიის 9/10 (სხვადასხვა ვერსიით, 91-დან 96 პროცენტამდე) და დანარჩენისათვის მიეცა ცოტაოდენი ტერიტორიული კომპენსაცია (ფართობით დაახლოებით 7-9-ჯერ ნაკლები). ვინაიდან საქმე ეხება მცირე ფართობს („დასავლეთ ნაპირს" აღმოსავლეთ იერუსალიმთან ერთად სულ 5612 კმ^2 უჭირავს), თითოეულ კვადრატულ კილომეტრს მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, ისრაელის მხარე კატეგორიულად უარყოფდა ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების უფლებას.

მოლაპარაკება ფორმალურად ჩაშალა პალესტინის ხელმძღვანელობის უარმა, მიეღო ის ტერიტორიული კომპრომისი, რასაც მათ შუამავალი, პრეზიდენტი კლინტონი, სთავაზობდა ისრაელის მთავრობასთან შეთანხმებით.

გამოცდილი ინგლისელი დიპლომატი წერდა:

„ორივე მხარეს ესაჭიროება კომპრომისი და რეალიზმი. მაგრამ თითოეული მხარე მზადაა კომპრომისზე და რეალისტურად უყურებს საქმეს მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ სუსტია, და უარყოფს კომპრომისსა და რეალიზმს, როდესაც თვითონ ძლიერია. 1967 წლამდე ისრაელი მზად იყო, დათანხმებოდა ისეთ სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც მისცემდა თანაცხოვრების საშუალებას როგორც ისრაელის, ისე პალესტინის სახელმწიფოებს. მაგრამ არაბებმა არ შესთავაზეს ასეთი მშვიდობა ისრაელს. ახლა არაბები ბევრად მეტი დათმობისთვის არიან მზად, მაგრამ ამჯერად ისრაელია უარზე... ნამდვილად არსებობს პრობლემის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები იქნებოდა, მაგრამ ეს გადაწყვეტა ორი მხარისათვის სულ სხვადასხვა დროს ჩნდება. არსებობს ასეთი ინგლისური ანდაზა: ნახევარი პური ჯობია უპურობას. ერთ დროს ეს იყო სიონისტების პოლიტიკა, მაგრამ ახლა აღარ არის. არაბები კი ნახევარ პურზე ყოველთვის უარს ამბობდნენ" [Craig, 2001].

მხოლოდ 2002 წელს განაცხადა პალესტინის ადმინისტრაციამ, რომ თანახმაა კლინტონის გეგმაზე [Eldar, 21.06.2002]. თანხმობამ ორი წლით დაიგვიანა.

ისევ გამართლდა ცნობილი დიპლომატის, ისრაელის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, *აბა ებანის* დიდი ხნის წინ ნათქვამი სიტყვები: *„არაბები არასოდეს გაუშვებენ ხელიდან შესაძლებლობას, გაუშვან ხელიდან შესაძლებლობა!"* იგულისხმება, რომ მათ უარი თქვეს ლორდ პილის კომისიის რეკომენდაციაზე (1937 წ.), რომელიც არაბებს უტოვებდა სამანდატო პალესტინის 60 პროცენტზე მეტს, პალესტინის გაყოფის გაეროს გეგმაზე (1947 წ.), რომელიც არაბებს ტერიტორიის 43 პროცენტს ჰპირდებოდა, პრეზიდენტ კლინტონის წინადადებაზე (2000 წ.), რაც მათ ტერიტორიის 20-იოდე პროცენტს მოუტანდა.

ისრაელელი პოლიტოლოგი *ბარუხ კიმერლინგი* ისრაელის ყოფილ პრემიერ-მინისტრის, *ეჰუდ ბარაკისადმი* მიძღვნილი მონოგრაფიის კომენტირებისას წერს: *„შვიდი წლის უსარგებლო მოლაპარაკების შემდეგ, რომელმაც სულაც არ წასწია წინ პალესტინელთა საქმე, უნდა გვეკითხა არა რატომ, არამედ როდის და რა ფორმით იფეთქებდა რისხვა და ძალადობა. პალესტინელებს საკმაოდ კარგად ესმოდათ ისრაელთან მათი ძალთა ბალანსის ასიმეტრიულობა. მაგრამ მათ პარადიგმა შეცვალეს. ნაცვლად მცდელობისა, დაემთავრებინათ ოკუპაცია და მიეღწიათ დამოუკიდებლობისათვის ებრაელთა კეთილი ნებით, ისინი გადავიდნენ დამოუკიდებლობისათვის ომზე, რომელშიც ხალხი მზად უნდა იყოს გაიღოს მაღალი პირადი და კოლექტიური საფასური იმისათვის, რათა მიაღწიოს იმას, რასაც უზენაეს მიზნად მიიჩნევს"* [Kimmerling, 2003].

კემპ-დევიდის მოლაპარაკების ჩაშლას მოჰყვა 2000 წლის 28 სექტემბერს დაწყებული პალესტინური აჯანყება (*„ალ-აკსას ინთიფადა"*). აჯანყება ძალადობასა და სასტიკ ტერორიზმში გადაიზარდა. მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების, დახოცვა თვითმკვლელი ტერორისტების მიერ მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდ აღშფოთებას იწვევდა და სულაც არ ჰმატებდა სიმპათიას პალესტინელთა საქმეს. ტერორიზმმა ისრაელის საზოგადოების რადიკალიზაციას შეუწყო ხელი: ისინი, ვინც პალესტინელების მიმართ ლიბერალურად იყვნენ განწყობილნი, უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

მეორე მხრივ, ისრაელის არმია მკაცრ ზომებს მიმართავდა ტერორიზმის ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად. ეს ზომები მოიცავდა პალესტინური დასახლებული პუნქტების ბლოკირებას, დღეში 10-12-საათიან „საკომენდანტო საათს", ტერორისტების ოჯახების სახლების დანგრევას, ნარგავების მოთხრას, ტერორიზმში ეჭვმიტანილების განადგურებას ჰაერიდან ნასროლი რაკეტებითა და ბომბებით, რასაც სამოქალაქო პირებიც, მათ შორის, ბავშვები, ეწირებოდნენ. ისრაელის არმიის ამ ზომებს კი აკრიტიკებდნენ საერთაშორისო დონეზე (მეტადრე ისლამურ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში).

„ოსლოს პროცესი" ჩაკვდა.

ისრაელისა და პალესტინელების ტერიტორიული კონფლიქტის

მოწესრიგების კიდევ ერთ ცდას წარმოადგენდა ე.წ. „კვარტეტის“ (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და გაერო) მიერ შემუშავებული გეგმა, რომელსაც *„საგზაო რუკა“* ეწოდა. ეს გეგმა ოფიციალურად 2003 წლის 29 აპრილს იქნა წარდგენილი. ის გულისხმობდა 2005 წლამდე პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნას, ზოგიერთი წინასწარი პირობის დაცვით. ამ პირობების არსი მოკლედ ასეთია: პალესტინის მხარეს მოეთხოვებოდა ტერორიზმის აღმოფხვრა, თავისუფალი არჩევნებისა და პოლიტიკური რეფორმების ჩატარება, კონსტიტუციის შექმნა; ისრაელის მხარეს კი – სამხედრო ნაწილების გაყვანა პალესტინური ტერიტორიებიდან, ჯერ უკანონოდ დაარსებული ფორპოსტების მოშლა, მერე კი საახალშენო საქმიანობის შეწყვეტა. პალესტინის საბოლოო საზღვრები საერთაშორისო კონფერენციას უნდა დაედგინა.

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები ძალიან იყვნენ მოწადინებული, რათა ეს გეგმა განხორციელებულიყო. ამით მათ უნდოდათ ეჩვენებინათ თავიანთი მიუკერძოებლობა არაბული სამყაროსათვის, რომელიც ერაყში ცალმხრივი, გაეროს მხარდაჭერის გარეშე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, საკმაოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი. პრეზიდენტი ბუში, რომელიც თავდაპირველად ცდილობდა, თავი აერიდებინა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირებაში უშუალო ჩართვისათვის, 2003 წლის ივნისის დამდეგს ჩავიდა რეგიონში და შეხვდა ისრაელისა და პალესტინის მთავრობათა მეთაურებს.

პალესტინის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ შენიშვნების გარეშე ღებულობს „საგზაო რუკას“. მაგრამ რადიკალურმა პალესტინურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ისრაელის არსებობის უფლებასაც კი არ ცნობენ, უპირველესად, პარტია *ჰამას*-მა, ეს გეგმა უარყვეს, როგორც „დათმობა ისრაელისათვის“.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა, რომელიც ადრე არც მალავდა, რომ პალესტინის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგია, ამჯობინა „საგზაო რუკისათვის“ მხარის დაჭერა, მაშინ, როცა (იმ დროს) მისი პარტია „ლიქუდის“ წევრთა უმრავლესობა „საგზაო რუკას“ პალესტინელებისათვის დათმობად მიიჩნევდა.

ისრაელის ერთმა გაზეთმა ასე განმარტა პრემიერ-მინისტრის დამოკიდებულება „კვარტეტის“ გეგმის მიმართ:

„შარონი ძირეულად არ შეცვლილა, მაგრამ მან აირჩია ჭკვიანური ტაქტიკა, რათა დრო მოგვაგებინოს. რა საჭიროა ცუდ კაცად თავის ჩვენება, [პრეზიდენტ] *ბუშის მცდელობის ჩიხში შეყვანა, ამით ევროპელების გახარება და მდრტვინავი არაბების წახალისება. ის დააცდის, რათა აბუ მაზენმა* [პალესტინის პრემიერ-მინისტრმა რ.გ.] *მარცხი განიცადოს. ამ დროისათვის ამერიკა ჩაეფლობა საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიაში, რაც გაუძნელებს მას მძიმე ზეწოლას ისრაელზე. ამასობაში კი, ვინ იცის, რა მოხდება“* [Honig, 2003].

ეს მეტისმეტად პრაგმატული ტაქტიკა ჟურნალისტურ ვარაუდს უფრო ჰგავდა, რომელიც რეალურად ასეც მოხდა.

„საგზაო რუკის" განხორციელება დასახულ დროში ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი იდეები მთლად არ მომკვდარა.

დასავლეთის (უპირველესად – აშშ-ის) ძალისხმევა ისრაელ-პალესტინის პრობლემის დასარეგულირებლად პერიოდულად ძლიერდება ხოლმე. მაგრამ გამოცდილება გვკარნახობს, რომ ყველა ეს მცდელობა „კეთილ განზრახვად" დარჩება.

ამასთან, ორივე მხარეს არსებობს პრაგმატული ხელმძღვანელობა, რომელიც ხვდება, რომ უსასრულო კონფრონტაციას სადღაც წერტილი უნდა დაესვას. თუკი ისრაელის ელიტა და საზოგადოება მონახავს ძალას და შეწყვეტს საახალშენო საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კომპრომისის მეტი შანსი შეიძლება წარმოიშვას.

ცალკე უნდა იქნას განხილული *იერუსალიმის, როგორც ისრაელის დედაქალაქის,* საკითხი.

1950 წლის 23 იანვარს ისრაელის მთავრობა თელ-ავივიდან *დასავლეთ იერუსალიმში* გადავიდა, რომელიც ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა. საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ ცნო ეს, ხოლო ოცმა სახელმწიფომ საელჩოც კი გახსნა დასავლეთ იერუსალიმში.

მას შემდეგ, რაც 1980 წლის 30 ივლისს ისრაელმა *გაერთიანებული იერუსალიმი* გამოაცხადა თავის დედაქალაქად, გაეროს უშიშროების საბჭომ 1980 წლის 20 აგვისტოს მიიღო რეზოლუცია 478, რომელშიც აღინიშნა, რომ ქალაქის *აღმოსავლეთ ნაწილი ოკუპირებულია* და მოსთხოვა გაეროს წევრ-სახელმწიფოებს საელჩოები იერუსალიმიდან სხვაგან გადაეტანათ. ეს რეზოლუცია ჯერაც ძალაშია. *მსოფლიო ოფიციალურად არ ცნობს იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად.* ამიტომაცაა განლაგებული საელჩოების აბსოლუტური უმრავლესობა თელ-ავივსა და მის მიმდებარე ქალაქებში (რამათ-განი, ჰერცლია, იაფო). იერუსალიმში საელჩო დაიტოვა მხოლოდ ცენტრალური ამერიკის ერთმა ქვეყანამ – კოსტა-რიკამ.

1995 წლის 24 ოქტომბერს ამერიკის კონგრესმა დაავალა ადმინისტრაციას 1999 წლის მაისამდე აშშ-ის საელჩოს გადატანა იერუსალიმში. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი იყო იმ დროს თითქოს სწრაფად მიმდინარე სამშვიდობო პროცესი: 1998 წლისათვის ელოდებოდნენ პალესტინის სახელმწიფოს შექმნასაც.

მაგრამ რეალობა უფრო მძიმე გამოდგა და ამერიკის ყველა პრეზიდენტს უხდება პერიოდული, 6-თვიანი, ვეტოთი მომავლისათვის გადაიტანოს კანონის ამოქმედება. პრეზიდენტი კონგრესზე მეტადაა პასუხისმგებელი ამერიკის საგარეო პოლიტიკისაზე. ამერიკის არც ერთ პრეზიდენტს არ უნდა არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება.

ის, რომ დემოგრაფია და პოლიტიკა მჭიდროდაა გადახლართული, ნათლად ჩანს არაბულ-ებრაულ ურთიერთობებში.

მანდატის პერიოდის პალესტინაში იქმნებოდა ახალი ებრაული ქალაქები, კიბუცები და სხვა დასახლებები: 1917 წელს აქ იყო 43 ასეთი დასახლება, 1947 წელს კი – 320 [ნახ. 16.1].

ებრაული დასახლებების განლაგების გეოგრაფია შემთხვევითი არ იყო: ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ამოცანად ჰქონდა დასახული მომავალი ებრაული სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალური ფართობი მოეხვედრებინა. მაგალითად, ცნობილი სიონისტი მოღვაწე (შემდგომში ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი) *დავიდ ბენ-გურიონი* აუცილებლად მიიჩნევდა სამხრეთით მდებარე *ნეგევის უდაბნოს* ნაკლებ ნაყოფიერ მიწაზეც შექმნილიყო ახალშენები, რათა ებრაელებს დასაბუთებული პრეტენზია ჰქონოდათ ნეგევზეც.

ნახ. 16.1. ებრაული დასახლებები პალესტინაში 1917 და 1947 წლებში



მართლაც, 1943 წელს ნეგევის უდაბნოში დაარსებულმა სამმა კიბუცმა (*რევივიმი, გვულოთი, ბეთ-ეშელი*) გადაწყვიტა მომავალი ებრაული სახელმწიფოსათვის ნეგევის უდაბნოს, ქვეყნის ამჟამინდელი ფართობის ნახევრის, მიკუთვნება (რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო ისრაელის გასვლა წითელ ზღვაზე). როდესაც 1947 წელს პალესტინის გაყოფასთან დაკავშირებით ჩამოსულ სპეციალურ საერთაშორისო კომისიას უჩვენეს უდაბნოში მდებარე კარგად მოვლილი კიბუცი *რევივიმი*, ამ ვიზიტმა განაპირობა კომისიის რეკომენდაცია ტერიტორიული გადანაწილების შესახებ.

არაბები ეწინააღმდეგებოდნენ ებრაელების იმიგრაციას პალესტინაში, ვინაიდან ეშინოდათ მათი დემოგრაფიული უპირატესობის შექმნისა. უკვე 1930-იან წლებში ეთნიკური ინტერესების კარდინალური დაპირისპირება კარგად ესმოდათ სიონისტ ლიდერებს (მაგალითად, *ვლადიმირ ჟაბოტინსკის* [Жаботинский, 2000]), რომლებიც არაბთა წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროდ მიიჩნევდნენ სერიოზული სამხედრო ძალის შექმნას. საბოლოოდ მათ შექმნეს კიდეც ძლიერი არმია.

ებრაელთა დემოგრაფიული უპირატესობის შიში არაბებს აუხდათ. 1948-49 წლებისა და 1967 წლის ომებში ისრაელის გამარჯვების შემდეგ „სამანდატო პალესტინის" ტერიტორიაზე არაბთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა: მათი უმრავლესობა განიდევნა და ლტოლვილად იქცა. ამის შემდეგ ისრაელის ამოცანად იქცა, არ დაეშვა იმავე ტერიტორიაზე ხელახალი არაბული უმრავლესობის შექმნა.

XX საუკუნის პირველ ნახევარში და უფრო ადრეც, მაღალი სიკვდილიანობის გამო (განსაკუთრებით ახალშობილთა და ბავშვთა შორის) არაბთა რაოდენობა შედარებით ნელა იზრდებოდა. მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარში ისეთივე (ოდნავ დაკლებულიც კი) შობადობის პირობებში, მაგრამ შემცირებული სიკვდილიანობის გამო, არაბების ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა მკვეთრად გადააჭარბა ებრაელებისას.

1948-2001 წლებში სხვადასხვა რელიგიის მოსახლეობის დინამიკა ისრაელში ნაჩვენებია ცხრილ 16.1-ში. რელიგია გამოყენებულია როგორც მკაფიო განმასხვავებელი, რადგან ისრაელში დემოგრაფიული სხვაობა რელიგიური ნიშნით უკეთ ჩანს, ვიდრე ეთნიკური ნიშნით (მაგალითად, ქრისტიან არაბებსა და მუსლიმ არაბებს მკვეთრად განსხვავებული დემოგრაფიული ქცევა ახასიათებთ). გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა (თავი 4), ებრაელობა ერთდროულად რელიგიაცაა და ეთნიკურობაც. რელიგიის გამო არაბულენოვანი დრუზები თავს ცალკე ეთნო-რელიგიურ ჯგუფად მიიჩნევენ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ისრაელის მოსახლეობის დინამიკა 1948 წლიდან არაჩვეულებრივად სწრაფი ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა. ეთნორელიგიური ჯგუფების დინამიკის მაჩვენებლები განსხვავებულია.

ცხრილი 16.1. ისრაელის მოსახლეობა რელიგიების მიხედვით (ათასებში) (1961, 1972, 1983 და 1995 წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემები და შეფასება 1948, 2001 და 2010 წლებისათვის)

წელი		სულ	ებრაელები	მუსლიმები	ქრისტიანები	დრუზები	დაუდგენელი*
1948	აბს	1173,9	1013,9	111,5	34,0	14,5	...
	%	100,0	86,4	9,5	2,9	1,2	...
1961	აბს	2234,2	1981,7	174,9	51,3	26,3	...
	%	100,0	88,7	7,8	2,3	1,2	...
1972	აბს	3225,0	2752,7	360,6	73,8	37,8	...
	%	100,0	85,3	11,2	2,3	1,2	...
1983	აბს	4118,6	3412,5	542,2	95,9	68,0	...
	%	100,0	82,9	13,2	2,3	1,6	...
1995	აბს	5612,3	4522,3	811,2	120,6	92,2	66,0
	%	100,0	80,6	14,5	2,1	1,6	1,2
2001	აბს	6508,8	5025,0	1004,6	138,5	106,3	230,9
	%	100,0	77,2	15,5	2,1	1,6	3,6
2010	აბს	7552	5703,7	1286,5	151,7	125,3	285,5
	%	100,0	75,5	17,0	2,0	1,7	3,8

წყარო: State of Israel. Central Bureau of Statistics

* 1995 წლამდე „დაუდგენელი რელიგიის" პირებს ქრისტიანებს მიათვლიდნენ.

ქრისტიანების რაოდენობა ამ პერიოდში 4,5-ჯერ გაიზარდა (გასათვალისწინებელია, რომ ამაზე იმოქმედა 1990-იან წლებში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან იმიგრაციამაც; 2010 წელს ყველა ისრაელელ ქრისტიანს შორის არაარაბული წარმოშობისა იყო 18 პროცენტი; მათ შორის ადგილობრივი სომხები და ბერძნები 3 ათასზე ნაკლები იყო, ხოლო დანარჩენი ყოფილი საბჭოთა კაუშირიდან შემოვიდა, როგორც ებრაული ოჯახების არაებრაელი წევრი. ქრისტიან არაბებს (ყველა ქრისტიანის 82 პროცენტს), რომელთაც თავიანთ მუსლიმ თანამოძმეებთან შედარებით განათლების უფრო მაღალი დონე და უფრო მცირე ოჯახები აქვთ, ახასიათებთ საზღვარგარეთ ემიგრაციის უფრო გამოკვეთილი ტენდენცია.

საერთო ჯამში, ისრაელის ფონზე, ქრისტიანების რაოდენობა ყველაზე ნელა იზრდებოდა, ხოლო მათი ხვედრითი წილი მცირდებოდა: 1948 წელს ისინი მთელი მოსახლეობის 2,9 პროცენტს შეადგენდნენ, 2010 წელს კი – 2 პროცენტს.

დრუზების რაოდენობა იმავე პერიოდში ცხრაჯერ გაიზარდა. ყველაზე არსებითი ნახტომი მათი რაოდენობის ზრდაში – 25,4 პროცენტი ერთი წლის განმავლობაში – აღინიშნა 1983 წლის მოსახლეობის აღწე-

რისას: ამის მიზეზია ის, რომ 1981 წელს ისრაელმა მოახდინა გოლანის მაღლობის ანექსირება და იქ მცხოვრებ დრუზებს მოქალაქეობის მიღების უფლება მისცა (რომლითაც დრუზებმა არ ისარგებლეს: ისინი ამჯობინებენ მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსი ჰქონდეთ). დრუზების მატების ძირითადი ფაქტორი მაღალი შობადობაა.

მუსლიმების რაოდენობა 1948 წლიდან 2001 წლამდე 1153 (sic!) პროცენტით გაიზარდა. ასეთ ზრდაზე გარკვეულწილად იმოქმედა ისრაელის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმის ანექსიამ 1967 წელს: ისრაელის სახელმწიფოში მუსლიმთა რაოდენობამ იმ წელიწადს 30 პროცენტით იმატა. მაგრამ მხოლოდ ეს მექანიკური ნამატი არ გამხდარა ასეთი ზრდის ფაქტორი. გადამწყვეტი იყო და არის ძალიან მაღალი ბუნებრივი მატება (წლიურად 3,5 პროცენტამდე). არაბი მუსლიმი ქალების მაღალი ნაყოფიერების წყალობით 1972 წლიდან 2010 წლამდე განვლილ 38 წელიწადში (ამ პერიოდში მუსლიმი მოსახლეობის შემოსვლა ისრაელში პრაქტიკულად არ ყოფილა) მუსლიმების რიცხოვნებამ 357 პროცენტით იმატა. იმავე პერიოდში მთელი ისრაელის მოსახლეობა, მიუხედავად დიდი ებრაული იმიგრაციისა, 234 პროცენტით გაიზარდა.

ზემოაღნიშნულ ფონზე ისრაელში, რომელიც ქვეყნის ძირითადი კანონის თანახმად, „ებრაული სახელმწიფოა", ებრაული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 1948-2010 წლებში შედარებით მოკრძალებული ჩანს: ის „მხოლოდ" გახუთმაგდა. ამჟამად ისრაელი მსოფლიოში მეორე სახელმწიფოა ებრაელთა რაოდენობის მხრივ: ოდნავ მეტი ებრაელი აღრიცხეს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სულ უფრო ძნელი ხდება ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მდიდარი და მშვიდი ქვეყნების ებრაელობის დაყოლიება, მოახდინონ ალია* ისრაელში. *დსთ*-ის ქვეყნებში დარჩენილი ებრაელები კარგად არიან მოწყობილი და ისრაელში მუდმივად დასახლების სურვილს ნაკლებად ამჟღავნებენ. *დსთ*-ის ქვეყნებიდან მასობრივი იმიგრაციის იმედი ამჟამად დიდი არაა.

ე.წ. „დაუდგენელი რელიგიის" მოსახლეობაა ებრაული ოჯახის არაებრაელი წევრები (ანდა მხოლოდ მამით ებრაელები: *ჰალახას* მიხედვით, ისინი ებრაელებად არ ითვლებიან), რომლებიც სავსებით ლეგალურად შემოვიდნენ ისრაელში. რეალურად ეს ებრაელთა რაოდენობის მატების რეზერვი შეიძლება გახდეს, ვინაიდან ისრაელის არმიაში სამსახური და სოციალურ-კულტურული გარემო მათი ებრაელებთან ასიმილაციის წინაპირობას ქმნის (მუსლიმი მოსახლეობის შემთხვევაში ასეთი ასიმილაცია გამორიცხულია). მაგრამ ისრაელის ულტრაორთოდოქსული იუდაიზმის (ფუნდამენტალისტური) პარტიები „დაუდგენელი რელიგიის" პირებისაგან მტრის ხატს ქმნიან, ცდილობენ შეზღუდონ მათი შემოსვლა.

ზემოაღნიშნულ ფონზე ისრაელში ებრაული მოსახლეობის მასობ-

რივი იმიგრაციაც არ აღმოჩნდა საკმარისი ეთნო-რელიგიური ბალანსის შესანარჩუნებლად. თუ 1961 წელს (ეს ყველაზე ხელსაყრელი წელი იყო ებრაელობისათვის მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონის თვალსაზრისით) არაებრაელები მთელი მოსახლეობის 11,3 პროცენტს შეადგენდნენ, 2010 წელს ეს მაჩვენებელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედს აღწევს. ებრაელები, რომლებიც 1961 წელს თითქმის 89 პროცენტს შეადგენდნენ, 2010 წლისათვის 75,5 პროცენტამდე ჩამოვიდნენ.

ხაიფას უნივერსიტეტის გეოგრაფიის პროფესორი *არნონ სოფერი* უკვე კარგა ხანია აწვდის მთავრობას *დემოგრაფიულ პროგნოზს*, რომ 2020 წლისათვის მდ. იორდანესა და ხმელთაშუა ზღვას შორის („სამანდატო პალესტინის" ტერიტორიაზე) იცხოვრებს 15,5 მილიონი ადამიანი, მათ შორის 60 პროცენტი არაბი, ხოლო 40 პროცენტი – ებრაელი. საკუთრივ ისრაელში იმავე დროისათვის იგი ვარაუდობს ებრაელთა წილის შემცირებას 77-დან 65 პროცენტამდე. სხვა მეცნიერების გათვლებიც დაახლოებით ასეთსავე პერსპექტივას წინასწარმეტყველებს [Ha'aretz, June 28, 2002]. მათი აზრით, თუკი ებრაული იმიგრაცია მკვეთრად არ გაიზარდა (ძირითად რეზერვად კი რჩება მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების, უპირველესად აშშ-ის, ებრაული დიასპორა), რამდენიმე ათწლეულში არაბების რაოდენობა გადააჭარბებს ებრაელებისას საკუთრივ ისრაელის ტერიტორიაზეც.

ასეთ ვითარებაში გასაგები ხდება ისრაელის ულტრანაციონალისტური წრეების ოცნება პალესტინელი არაბების „ტრანსფერის" (სხვა არაბულ ქვეყნებში მათი „ნებაყოფლობით" გასახლების) შესახებ. მაგრამ არაბთა ტრანსფერის პრაქტიკული განხორციელება მშვიდობიანი მეთოდებით შეუძლებელია, ხოლო ძალადობრივ ეთნიკურ წმენდას არ დათანხმდება საერთაშორისო საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით არაბული ქვეყნები. ეს კარგად ესმის პასუხისმგებლობის მქონე ისრაელის პოლიტიკურ ელიტასაც. ისინი ამჯობინებენ მკაფიო გამიჯვნას პალესტინისაგან (საზღვრის მონყობით) და დასავლეთ ნაპირის წვრილი და გაფანტული ებრაული ახალშენების უმეტესობის (გარდა დიდი ქალაქებისა და დასახლებათა ბლოკებისა), აგრეთვე ღაზის სექტორის ყველა ებრაული ახალშენის ევაკუაციას (ღაზის შემთხვევაში ასეც მოხდა). საინტერესოა, რომ ასეთი აზრი უფრო ხშირად მოდის სამხედრო პირებისაგან, რომელთაც უკეთ ესმით რეალობა, ვიდრე სამოქალაქო პირებს [Чилит, 2002].

დემოგრაფიული პრობლემის სერიოზულობის შეგრძნება აიძულებს ისრაელის შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს, იფიქრონ ოკუპირებული ტერიტორიების შენარჩუნების პოლიტიკის კორექციაზე. მემარჯვენე პოლიტიკოსმა, იმ დროს მინისტრმა *დან მერიდორმა* ისრაელის მთავრობის სხდომაზე 2002 წლის აგვისტოში კოლეგებს მოუწოდა, გაიგონ, რომ:

„დრომ შეწყვიტა მუშაობა ისრაელის სასარგებლოდ და ის მიდგომა,

რომელიც 1967 წელს შექმნილ სიტუაციას ინარჩუნებს, ვეღარ გაგრძელდება. ის, რაც შეიცვალა, არის განტოლების დემოგრაფიული კომპონენტი: პალესტინური საშვილოსნო სჯაბნის ძალთა ბალანსს" [Benziman, 2002].

დემოგრაფიულ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს სხვა აზრიც, რომ არაბების შობადობის მაჩვენებელი მცირდება და პერსპექტივა ისრაელისათვის არც ისე ტრაგიკულია [Wattenberg, 2002]. მაგრამ შემცირებული შობადობის პირობებშიც ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა განთავსდეს 6-7 მილიონი არაბი (ლტოლვილების გარეშე) დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის 5-6 ათას კმ² ფართობზე, მით უმეტეს, თუ ამ ფართობის საგრძნობი ნაწილი ებრაულ ახალშენებს დარჩება (იხ. ქვემოთ).

ისრაელს მართლაც ემუქრება, როგორც იქ უწოდებენ, „დემოგრაფიული ურჩხული". ამიტომაც ამ სახელმწიფოში სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებენ *მაქსიმალური რაოდენობის ებრაელი რეპატრიანტის მოზიდვას*. ეს პრობლემა ისრაელის სახელმწიფოს დაარსებამდეც იდგა. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ძირითადი რეზერვუარი იყო საბჭოთა კავშირი და ცენტრალური ევროპა, სადაც რამდენიმე მილიონი ებრაელი ცხოვრობდა. მაგრამ ჰოლოკოსტმა გაანადგურა ებრაელთა გენოფონდის დიდი ნაწილი ცენტრალურ ევროპაში.

საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა საგრძნობი ემიგრაცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1960-იანი წლების მიწურულიდან. სხვათა შორის, დასაბამი ამას მისცა 18 ქართველი ებრაელის მიერ 1968 წელს გაგზავნილმა წერილმა გაეროს გენერალური მდივნის სახელზე. სიონიზმის მიმართ საბჭოთა ებრაელობის მკვეთრი შემობრუნება განაპირობა ისრაელის გამარჯვებამ „ექვსდღიან ომში". 1971-89 წლებში 150 ათასმა საბჭოთა ებრაელმა მოახდინა ალია ისრაელში (მათ შორის 40 ათასამდე საქართველოდან იყო: ამის გამო ებრაელებისაგან პრაქტიკულად დაიცალა ისეთი ქალაქები და დაბები, როგორებიცაა *კულაში, სურამი, ონი, სენაკი, ცხინვალი*, სადაც ისინი მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს, ზოგან უმრავლესობასაც კი შეადგენდნენ). 1998 წლამდე მათ კვალს მიჰყვა კიდევ 537 ათასი ებრაელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან [Gitelman, 2002] (ამ რაოდენობაში არ ითვლება რეპატრირებული ებრაული ოჯახების წევრი ეთნიკური არაებრაელები, რომლებიც შეფასებით 200 ათასამდე იყო). ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ისრაელში წავიდა ერთ მილიონზე მეტი ადამიანი.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ისრაელში რეპატრირებული ყოფილი საბჭოთა ებრაელობა დიდი ინტელექტუალური შენაძენი აღმოჩნდა მათი ისტორიული სამშობლოსათვის, რადგან მათ შორის იყო მრავალი ექიმი (რაოდენობით მეტი, ვიდრე ისრაელში უკვე მომუშავე ექიმები), მეცნიერი, ინჟინერი, ხელოვანი. ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას იმპულსი მისცა იმანაც, რომ ახალმა იმიგრანტებმა შექმნეს

დამატებითი მოთხოვნილება საბინაო ფონდზე, მომსახურებაზე. მაგრამ ათიოდე წელში იმიგრაციამ ამ ქვეყნებიდან მკვეთრად იკლო და ეკონომიკური იმპულსის მოქმედებაც შემცირდა.

ისრაელი ახალისებს რეპატრიაციას არგენტინიდან, საფრანგეთიდან, აშშ-იდან, სადაც საგრძნობი ებრაული დიასპორაა.

ამრიგად, იქმნება ისეთი რამ, რასაც შეიძლება დაერქვას *„დემოგრაფიული მეტოქეობა ტერიტორიის ფლობისათვის"*.

„დემოგრაფიული მეტოქეობის" კომპონენტები *ებრაელთა მხრიდან* არის დიასპორის ებრაელთა რეპატრიაციის წახალისება, ისრაელის ებრაული მოსახლეობის შობადობის ზრდაზე ზრუნვა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაული ახალშენების გაფართოება.

„დემოგრაფიული მეტოქეობის" კომპონენტები *არაბთა მხრიდან* არის პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების მოთხოვნა, ადგილობრივი არაბი მოსახლეობის (როგორც ისრაელის მოქალაქეებისა, ისე „დასავლეთ ნაპირზე" და ღაზის სექტორში მცხოვრებთა) შობადობის მაღალი დონის შენარჩუნება.

ქვემოთ მეტი დეტალიზაციით განხილულია ამ მეტოქეობის ორი საკითხი, რომელთაც აშკარად აქვთ გეოგრაფიული განზომილება – პალესტინელი ლტოლვილები და ებრაული ახალშენები.

პალესტინელი ლტოლვილები

1948 წელს ისრაელის წარმატებას არაბულ ქვეყნებთან ომში მოჰყვა ადგილობრივი არაბული მოსახლეობის მასობრივი განდევნა (*ამნონ რაზ-კრაკოცკინი* ბენ-გურიონის სახელობის უნივერსიტეტიდან პირდაპირ იყენებს ტერმინს *„ეთნიკური წმენდა"* [*Ha'aretz,* June 28, 2002]).

ლტოლვილად იქცა ასეულობით ათასი კაცი. მათი რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვაა: ისრაელი მიიჩნევს, რომ ლტოლვილად იქცა 538 ათასი ადამიანი; პალესტინელები ასახელებენ 850 ათასს; გაეროს შეფასებაა 720 ათასი [Lapidoth, 2002]. პალესტინის არაბული (უპირატესად მუსლიმი) მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი გაჰყვა უკანდახეულ არაბულ არმიებს იმ, როგორც მალე გაირკვა, ფუჭი იმედით, რომ ცოტა ხანში დაუბრუნდებოდა თავის სახლს. ამ ხალხს აღარ მიეცა უკან დაბრუნების საშუალება: ისრაელის არმია ეფექტიანად იცავდა ახალი სახელმწიფოს ტერიტორიას არაბი „ინფილტრატორებისაგან". ებრაელებისათვის ნათელი იყო, რომ ლტოლვილი არაბების მასობრივი დაბრუნება, მათთვის დამახასიათებელი მაღალი შობადობის გათვალისწინებით, შეცვლიდა ისრაელის დემოგრაფიულ სტრუქტურას.

ბევრი პალესტინელი არაბი გაიქცა 1949 წლის დაზავებით ეგვიპ-

ტის კონტროლქვეშ მოქცეულ ღაზის სექტორში (საკუთრივ ეგვიპტეში ლტოლვილები არ მიუღიათ), ან იორდანიის მიერ ანექსირებულ დასავლეთ ნაპირსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში. ლტოლვილ პალესტინელთა საგრძნობი ნაწილი გადავიდა მდინარე იორდანეზე და საკუთრივ იორდანიაში დასახლდა, სადაც ამჟამად მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენს.

მუსლიმი არაბების დაბრუნების მცდელობას ებრაული სახელმწიფო ყველანაირად აღკვეთდა. აღსანიშნავია, რომ ისრაელის ხელისუფლება ნაკლებ საშიშად მიიჩნევდა ქრისტიან არაბებს. გალილეის ბევრი მუსლიმური სოფლის მოსახლეობამ, იმის შიშით, რომ მას ქვეყნიდან წასვლისაკენ უბიძგებენ, დატოვა სოფლები და ამჯობინა იმ დროს თითქმის მთლიანად ქრისტიანულ ქალაქ ნაზარეთში შეკედლება, რომელიც დაზავების შემდეგ ისრაელის კონტროლქვეშ აღმოჩნდა. ამ ქალაქის მოსახლეობას გამარჯვებული არმია არ ერჩოდა. მიზეზთა შორის უკანასკნელი არ იყო ევროპის ქვეყნებისა და ვატიკანის შედარებით მეტი ყურადღება ქრისტიანობის ამ ცნობილი სიმბოლოს მიმართ. გალილეის მუსლიმი მიგრანტების შთამომავლობა ამჟამად ქმნის ქ. ნაზარეთის მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მუსლიმ უმრავლესობას

1967 წელს, „ექვსდღიან ომში" გამარჯვების შემდეგ, ისრაელის კონტროლქვეშ მოექცა მთელი „სამანდატო პალესტინა", ეგვიპტის სინას ნახევარკუნძული და სირიის გოლანის მაღლობი. ლტოლვილთა ახალმა ტალღამ დატოვა სახლები და მეზობელ არაბულ ქვეყნებში გაიქცა. 1948 წელს შემოსულ ლტოლვილთა ნაწილი დარჩა „დასავლეთ ნაპირზე" და ღაზის სექტორში. ისრაელის მიერ ოკუპირებული გოლანის მაღლობიდან სირიაში წავიდა მთელი მუსლიმი და ქრისტიანი არაბი მოსახლეობა, დარჩა მხოლოდ დრუზების რამდენიმე სოფელი. სინას ნახევარკუნძულზე დიდი დემოგრაფიული ძვრა არ ყოფილა, ხოლო 15 წლის შემდეგ ეს ტერიტორია ეგვიპტეს მთლიანად დაუბრუნდა[1].

ლტოლვილ პალესტინელთა ბანაკებში[2], სადაც უმუშევრობა და სიღარიბე ძალიან დიდ მასშტაბს აღწევს, ადვილად ვრცელდება რადიკალური, მათ შორის რევანშისტული, იდეები. სწორედ ეს ბანაკები იქცა ნოყიერ ნიადაგად ისლამური ფუნდამენტალიზმის, პალესტინური რადიკალიზმის, ტერორიზმის აღმოსაცენებლად.

1. ჩრდილოეთ სინაზე აგებული ებრაული ახალშენი, ქალაქი *იამითი*, 1982 წელს ევაკუირებულ იქნა. მისი საცხოვრებელი ფონდი და კომუნიკაციები ისრაელის არმიამ დაანგრია, თუმცა ეგვიპტე იამითის ინფრასტრუქტურის შესანარჩუნებლად 80 მილიონი დოლარის კომპენსაციას სთავაზობდა ისრაელს.

2. ლტოლვილთა ბანაკები მხოლოდ პირველ წლებში იყო კარვებიანი დასახლება. როდესაც დაბრუნების დრო გაურკვეველი ვადით გადაიდო, ლტოლვილებმა დაიწყეს დროებითი სახლების მშენებლობა უფრო მდგრადი მასალისაგან. ლტოლვილთა ბანაკები ხშირად პირდაპირ მიბჯენილია ადრე არსებულ ქალაქებს, მაგრამ მათ ერთმანეთში ძნელად თუ აურევთ. ბანაკის არქიტექტურა უსახურია: ესაა „ბეტონის კოლოფების" მჭიდრო მასა, სადაც მეორე და მომდევნო სართულებს ამატებენ ოჯახის ახალი თაობების საცხოვრებლად.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ღაზის სექტორის რვა ბანაკში მცხოვრები ლტოლვილები.

ისრაელელ ჟურნალისტს, *დანი რუბინშტაინს*, სტატიაში, სადაც იგი აღწერს პალესტინელი ლტოლვილების მდგომარეობას ღაზის სექტორში, მოაქვს გენერალ *მოშე დაიანის* გამონათქვამი 1956 წელს, როდესაც იგი გენერალური შტაბის უფროსი იყო. იმ წელს, ღაზის საზღვრის ახლოს, მინდორში მუშაობისას პალესტინელებმა მოკლეს დაიანის პირადი მეგობარი. თავის სამგლოვიარო სიტყვაში, ჟურნალისტის მიხედვით, დაიანს უთქვამს, რომ ის ხშირად გადაჰყურებდა ღაზის სექტორში მდებარე ლტოლვილთა ბანაკებს და დაუმატებია:

„როგორ შეგვიძლია ვემდუროდეთ ღაზელების სიძულვილს ჩვენ მიმართ? უკვე რვა წელია ისინი სხედან ლტოლვილთა ბანაკებში, მაშინ, როდესაც მათ თვალწინ მათი წინაპრების მიწასა და სოფლებს ჩვენს საკუთარ სახლად ვაქცევთ“ [Rubinstein, 2002, 4].

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ განვლილ ნახევარ საუკუნეში არაფერი შეცვლილა ლტოლვილთა მდგომარეობაში. არ შეცვლილა არც მათი დამოკიდებულება ისრაელის მიმართ. ღაზის სექტორში მოსახლეობის მსოფლიოში უდიდესი სიმჭიდროვეა. ეს მასა განუწყვეტლივ კეებავს ყველაზე რადიკალურ ისლამურ ორგანიზაციებს (მაგალითად, *ჰამას*-ს).

არც ერთმა არაბულმა ქვეყანამ, გარდა იორდანიისა, არ ისურვა პალესტინელი ლტოლვილების მასობრივი *აბსორბირება** და სამოქალაქო უფლებებში მათი გათანაბრება ადგილობრივ მოსახლეობასთან (თუმცა ცალკეული პირების მიმართ გამონაკლისი დაუშვეს).

ხშირი იყო *პალესტინელ ლტოლვილთა და მათი ორგანიზაციების კონფლიქტი არაბული ქვეყნების ხელისუფლებასთან* და ადგილობრივ მოსახლეობასთან. ასე მაგალითად, 1970 წელს იორდანიის არმიამ სისხლში ჩაახრჩო პალესტინელთა აჯანყება და ქვეყნიდან განდევნა *პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის* გასამხედროებული ნაწილები. 1975 წელს ლიბანის სამოქალაქო ომის დაწყებას მიაწერენ პალესტინელებსა და ადგილობრივ ქრისტიანულ თემებს შორის შექმნილ დაპირისპირებას. 1990 წელს პალესტინელთა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ერაყის აგრესიას ქუვეითის წინააღმდეგ: ამ უკანასკნელის განთავისუფლების შემდეგ პალესტინელებს ქუვეითში აღარ შეესვლებოდათ.

განსაკუთრებით უარყოფითადაა განწყობილი მის ტერიტორიაზე პალესტინელი ლტოლვილების დატოვების მიმართ *ლიბანი*, ვინაიდან მუსლიმი პალესტინელებისათვის ლიბანის მოქალაქეობის მიცემა დაარღვევს ქვეყნის ძალიან მყიფე ეთნო-რელიგიურ ბალანსს (შეფასებით პალესტინელები ამ ქვეყნის ამჟამინდელი მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენენ). ამიტომაც ლიბანი ყველაზე მეტი დაჟინებით მოითხოვს გაეროს იმ რეზოლუციების (242 და 338) შესრულებას, სადაც ისრაელს მოუწოდებენ მოაგვაროს ლტოლვილების პრობლემა.

მაგრამ გაეროს დადგენილებების სწორედ ამ პუნქტების შესრულება, სადაც ლაპარაკია ლტოლვილთა ისრაელში დაბრუნებაზე, როგორც მათი პრობლემის გადაჭრის მთავარ ვარიანტზე, წააწყდება მტკიცე უარს ისრაელის ნებისმიერი (ყველაზე ლიბერალური და, თუნდაც ჰიპოთეტური „ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილი") მთავრობისაგან.

ცხრილი 16.2. პალესტინელი ლტოლვილები ახლო აღმოსავლეთში (2010 წ.)

ქვეყანა ან ტერიტორია	ლტოლვილთა რაოდენობა	წილი მთელ რაოდენობაში (%)	წილი ქვეყნის ან ტერიტორიის მოსახლეობაში (%)
იორდანია	1 988 733	41,7	30,6
ლიბანი	425 640	8.9	10,3
სირია	472 109	9,8	2,1
„დასავლეთ ნაპირი"	778 003	16,4	37,4
ღაზის სექტ.	1 106 195	23,2	66,8

წყარო: UN Relief and Works Agency

საქმე ისაა, რომ პალესტინელი ლტოლვილების შთამომავლობა ამჟამად ოთხჯერ და მეტად აღემატება იმ რაოდენობას, რომელმაც დატოვა თავისი სახლები პალესტინაში. ცხრილი 16.2-დან ჩანს, რომ მათი საერთო რაოდენობა 2010 წელს შეფასებულია, როგორც 4,8 მილიონი. ლტოლვილების სრული (ან თუნდაც ნაწილის) დაბრუნება ისრაელში მკვეთრად შეცვლის არსებულ დემოგრაფიულ ბალანსს და საკმაოდ მალე ეჭვქვეშ დააყენებს მსოფლიოში ერთადერთი ებრაული სახელმწიფოს ეთნიკურ ხასიათს.

ამიტომაც, ბუნებრივია, არც ერთი ისრაელელი ებრაელი არ დათანხმდება ლტოლვილების მიღებას თავის ქვეყანაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბოლო პერიოდში ეს გაიგეს პალესტინელთა და არაბული ქვეყნების ლიდერებმაც, რომლებიც ხშირად ლაპარაკობენ „ლტოლვილების პრობლემის სამართლიან გადაწყვეტაზე", რაშიც ალბათ იგულისხმება ლტოლვილთათვის კომპენსაციის მიცემა და განსახლების ქვეყნებში მათი აბსორბირება*. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც პრობლემის ასეთ გადაწყვეტას ვერ დათანხმდება, არის ლიბანი.

ებრაული ახალშენები

1967 წლის შემდეგ, როდესაც „ექვსდღიანი ომის" შედეგად ისრაელმა კონტროლი დაუწესა მთელი „სამანდატო პალესტინის" ტერიტორიას და დაიპყრო გოლანის მაღლობი, თითქმის დაუყოვნებლივ დაიწყო ამ

ტერიტორიების მიზანმიმართული ათვისება ებრაელი მოახალშენეების[1] მიერ. ეს დაიწყო ე.წ. „მემარცხენე" (შედარებით ლიბერალური) პარტია *„მაარახ"*-ის („*ავოდა*"-ს, ანუ *შრომის პარტიის* წინამორბედის) მთავრობის დროს. 1977 წლისათვის, როდესაც ისრაელის სათავეში პირველად მოექცა ე.წ. „მემარჯვენე" (კონსერვატიულ-ნაციონალისტური) მთავრობა, დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში უკვე 4500 მოახალშენე ცხოვრობდა. ამის შემდეგ ახალშენების მშენებლობა მკვეთრად დაჩქარდა, ვინაიდან ნაციონალისტური და რელიგიური პარტიები დაუფარავად უჭერენ მხარს მათ ზრდას.

ახალშენების გაფართოება არ შეწყვეტილა მაშინაც კი, როდესაც 1993 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება პალესტინელებთან. 1993-2011 წლებში მოახალშენეთა რაოდენობა 125 ათასიდან 297 ათასამდე გაიზარდა. „დასავლეთ ნაპირის" ებრაული მოსახლეობა საშუალოდ ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საკუთრივ ისრაელში.

ღაზის სექტორის ტერიტორიაზე განლაგებული ახალშენები 2005 წელს იქნა ევაკუირებული (იხ. ქვემოთ).

„დასავლეთ ნაპირზე" შექმნილია 210 ებრაული ახალშენი (ნახ. 16.2-ზე მითითებულია მათი ნაწილი). სირიისაგან დაპყრობილ გოლანის მაღლობზე არის 41 ებრაული დასახლება (ან ათვისებული მონაკვეთი), სადაც 19 ათასი მცხოვრებია.

გარდა ამისა, „დასავლეთ ნაპირის" (ებრაელებისათვის – *სამარიისა* და *იუდეის*) მოახალშენეები პერიოდულად ქმნიან ფორპოსტებს (ჯამში 150-მდე) ისრაელის მთავრობის მიერ ოფიციალურად რეგისტრირებულ ახალშენებთან ახლომდებარე ან დაშორებული ბორცვების მწვერვალებზე, ხანდახან სულ რამდენიმე მცხოვრებით ან დაუსახლებელსაც კი. ცდები ამ ფორპოსტების მოსაშლელად, რომელთაც ისრაელის მთავრობა „უკანონოდ" აცხადებს, წარუმატებლად მთავრდება. იარაღის გამოუყენებლად წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ არმია ანგრევს ხოლმე რომელიმე ფორპოსტის დროებით ნაგებობებს და ფრთხილად გაჰყავს იქიდან ფანატიკოსი მოახალშენეები. მაგრამ მომდევნო დღეებში ახალი ფორპოსტი ჩნდება სხვა ბორცვზე. ამ ფორპოსტების მიზანია გაზარდოს მოახალშენეთა კონტროლქვეშ მყოფი ფართობი [Moore, 2002].

2011 წელს 193 ათასი ებრაელი ცხოვრობდა იმ ტერიტორიაზე,

---

1. პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს განსახლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ებრაული სახელმწიფოს ტერიტორიაზე 1967 წლამდე შექმნილ დასახლებებს ებრაულ ენაზე *„იიშტიმვუთ"*, ხოლო იქ მცხოვრებთ *„მიტიაშვიმი"* ჰქვია, რაც ითარგმნება კიდეც, როგორც „დასახლებული პუნქტი" და „მოსახლე/მცხოვრები". მაგრამ 1967 წლის შემდეგ „დასავლეთ ნაპირზე" (ისტორიულ იუდეასა და სამარიაში), ღაზის სექტორში და გოლანის მაღლობზე დაარსებული დასახლებები *„იიშტნახალუთ"*-ია: ეს არის ბიბლიური ტერმინი იმ დასახლებების აღსანიშნავად, რომლებიც დააარსეს ებრაელებმა „აღთქმული მიწის" დაპყრობისას სამი ათასწლეულის წინ (იქ მცხოვრებთ *„მიტნახალიმი"* ეწოდება). ამ ტერმინების ქართულ ეკვივალენტად მივიჩნიე „ახალშენი" და „მოახალშენე". ინგლისურად, მაგალითად, ისრაელის სხვა ებრაული მოსახლეობისაგან გასარჩევად მოახალშენეებს „settlers" უწოდებენ, ფრანგულად – „les colonistes" და ა.შ.

რომელიც 1967 წელს ანექსირებულ იქნა იერუსალიმის მუნიციპალური საზღვრების გასაფართოებლად (იქ აშენდა იერუსალიმის ახალი უბნები *ნევე იაკოვი, პისგათ ზეევი, რამოთ ალონი, გილო, ტალპიოთ მიზრახი, ხარ ხომა* და სხვ. სულ 32 უბანი), რომელთაც შედარებით იშვიათად მოიხსენიებენ ხოლმე „ოკუპირებულ ტერიტორიებს“ შორის.

საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ *ჟენევის მეოთხე კონვენციის* 49-ე მუხლი *(„ოკუპანტმა სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ჩასახლება იმ ტერიტორიაზე, რომლის ოკუპირებაც მან მოახდინა“)* ვრცელდება ისრაელის მიერ ანექსირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმსა და გოლანის მაღლობზე და ოკუპირებულ „დასავლეთ ნაპირსა“ და ღაზის სექტორზე[1].

ისრაელის ოფიციალური კონტრარგუმენტი არის ის, რომ „დასავლეთ ნაპირი“ და ღაზის სექტორი *ოკუპირებული* კი არაა, არამედ *სადავო ტერიტორიებია* [Sharon, 2002]. ისრაელის აზრით, საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც ოკუპირებულ მიწას ეხება, არ მიესადაგება პალესტინურ ტერიტორიებს: 1967 წელს ისინი არ იყო რომელიმე ქვეყნის ლეგიტიმური სუვერენიტეტის ქვეშ, ხოლო იორდანიამ 1950 წელს დასავლეთ ნაპირის ანექსირება ცალმხრივად მოახდინა და ეს აქტი არ იყო საერთაშორისო დონეზე აღიარებული. ეს კონტრარგუმენტი ვერ ფარავს გოლანის მაღლობს, რომელიც 1967 წლამდე სირიის სუვერენულ მფლობელობაში იყო.

ძირითადი *იდეოლოგიური არგუმენტი* „დასავლეთ ნაპირზე“ ებრაული ახალშენების შექმნისათვის იყო და არის ის, რომ იქ ჩასახლებული, უპირატესად რელიგიური ებრაელების, ოჯახები ამ ტერიტორიას, ისტორიულ იუდეასა და სამარიას, მიიჩნევენ *იაჰვეს* მიერ ისრაელის შვილებისათვის აღთქმულ მიწად. ღაზის სექტორში ეს რელიგიური არგუმენტი სუსტად ვლინდებოდა და მესიანურ ახსნას პრაგმატული არგუმენტაცია სჭარბობდა. ამიტომაც ღაზის სექტორის დაცლას 2005 წელს ისრაელის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

პრაგმატული არგუმენტია, რომ „დასავლეთ ნაპირსა“ და გოლანის მაღლობზე შექმნილი ტერიტორიული ფაქტები (არაბთა მიწის კონფისკაცია, ებრაული ახალშენების მშენებლობა, ათობით მილიარდი დოლარის ღირებულების ინფრასტრუქტურის შექმნა, ინდუსტრიული ზონების, ლანდშაფტური პარკების დაარსება) ისრაელის სახელმწიფო ინტერესების დაცვის გარანტიაა. ისრაელში ასევე თვლიან, რომ ამ ტერიტორიებს გეოსტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სახელმწიფოსათვის. სანაპირო ქალაქ *ნათანიადან* „მწვანე ხაზამდე“ სულ 15 კილომეტრია, ხოლო *თელ-ავივიდან* – 18 კილომეტრი.

1. ისრაელის მემარცხენე წრეებიც თვლიან, რომ ახალშენები აშენებულია სამხედრო რეჟიმის მქონე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობისაგან უკანონოდ ნართმეულ მიწაზე [Land Grab, 2002].

გარდა ამისა, ისრაელისათვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს იუდეისა და სამარიის მთებში მდებარე წყალშემკრებ აუზებს, რომლებიც ქვეყნის წყალმომარაგების მესამედს უზრუნველყოფს.

შეიძლება დავუშვათ, რომ თავდაპირველად (1967 წელს) ისრაელის იმდროინდელმა მთავრობამ წამოიწყო ებრაული ახალშენების მშენებლობა იმ მიზნითაც, რომ „გასაცვლელი საგანი" ჰქონოდა იმ შემთხვევისათვის, თუკი საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად აუცილებელი გახდებოდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნა და ტერიტორიული მოწესრიგება.

მაგრამ მოახალშენეებს, რომელთაგან ზოგიერთი იქ უკვე მესამედ საუკუნეზე მეტია ცხოვრობს, ამ მიწაზე, რომელსაც ისინი *ისტორიულ სამშობლოდ* მიიჩნევენ, გაუჩნდათ შვილები და შვილიშვილები. მათ სულაც არ უნდათ „გასაცვლელ საგნად" ქცევა. ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანნიც არიან და კარგად შეიარაღებულნიც საიმისოდ, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გასწიონ, თუკი ისრაელის მთავრობა იძულებული გახდება მიმართოს ძალას მათი გაყვანისათვის. ასეთი „სამოქალაქო ომის" საფრთხე ისრაელის მთავრობისათვის დამატებითი არგუმენტია ახალშენების დიდი ნაწილის შესანარჩუნებლად.

ახალშენების ინფრასტრუქტურის განვითარებას ათობით მილიარდი დოლარი მოხმარდა. ქალაქებში – *მაალე ადუმიმი, არიელი, გივათ ზეევი, კირიათ სეფერი, ბეიტარ ილითი, კარნე შომრონი, ეფრათა* – რომლებიც „დასავლეთ ნაპირზეა" გაშენებული, თითოეულში 5-30 ათასი ადამიანი ცხოვრობს. მათი დემონტაჟი, ანდა პალესტინის იურისდიქციისათვის დაქვემდებარება მოვლენათა განვითარების რეალისტურ პროგნოზში ვერ ჯდება. მით უმეტეს, შეუძლებელი იქნება იერუსალიმის მუნიციპალურ საზღვრებში 1967 წელს შეტანილი ტერიტორიის დაცლა. რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემას შექმნის მომცრო ახალშენების ევაკუაციაც კი.

პალესტინელებს საპირისპირო აზრი აქვთ. ისინი მოახალშენეებს, რომლებიც შეიარაღებული არიან, „ოკუპანტებად" მიიჩნევენ. რადიკალური პალესტინური ჯგუფები მოახალშენეებს, რომლებიც მათ მიწაზე დასახლდნენ, „კანონიერ სამიზნედ" მიიჩნევენ. ტერორისტული აქტები მოახალშენეების მიმართ საპასუხო რეაქციას იწვევს ისრაელის არმიის მხრიდან და სისხლიანი კონფლიქტი ტერიტორიისათვის აღარ მთავრდება.

2005 წლის აგვისტოში ისრაელის პრაგმატულად მოაზროვნე პრემიერ-მინისტრის, *არიელ შარონის* ინიციატივითა და ზეწოლით, რაც გულისხმობდა ნაციონალისტურ-რელიგიური წრეების წინააღმდეგობის დაძლევას და თვით შარონის მშობლიურ პარტია „*ლიქუდ*"-ში განხეთქილების შეტანას, მოხერხდა ღაზის სექტორში მცხოვრები რვა ათასამდე მოახალშენის გამოყვანა ღაზის სექტორიდან.

ნახ. 16.2. ებრაული ახალშენები „დასავლეთ ნაპირზე“ და „უშიშროების ღობის“ პერიმეტრი



გამოსვლა ღაზის სექტორიდან, რომელიც ბიბლიური ტრადიციის მიხედვით სულაც არ იყო „აღთქმული მიწა“ და სადაც პირველი ებრაელი მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდა, ისრაელში მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი გახდა.

საქმე ისაა, რომ ღაზის სექტორის დატოვების ინიციატორი იყო *არიელ შარონი*, რომელიც 20-30 წლით ადრე თვითონ იყო ღაზაში ებრაული ახალშენების დაარსების მთავარი მხარდამჭერი. საბოლოოდ კი შარონი და მასთან ერთად სალად მოაზროვნე ისრაელელი პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ ქვიშიან დიუნებზე დასახლებული რვა ათასამდე ებრაე-

ლის დაცვა 1,5 მილიონი ღაზელი არაბისაგან ისრაელის სახელმწიფოსა და მის არმიას მეტისმეტად ძვირი უჯდებოდა. მემარჯვენე-ნაციონალისტური პარტიები კი ღაზადან გამოსვლას „ღალატად" აფასებდნენ. ისრაელის პრაგმატულად განწყობილმა პოლიტიკოსებმა გამოთვალეს, რომ უმჯობესია ღაზადან გასვლა, მსოფლიოს თვალში „მშვიდობისმოყვარე და სამართლიანი აქციის" მოხდენა, სანაცვლოდ კი ოკუპირებულ „დასავლეთ ნაპირზე" უფრო დიდი და სიცოცხლისუნარიანი ებრაული ახალშენების შენარჩუნება. ამ ახალშენების ირგვლივ უკვე შენდებოდა მაღალი კედელი, რომელიც ფაქტობრივად ახალ საზღვარს ქმნიდა ისრაელსა და პალესტინის მომავალ სახელმწიფოს შორის.

2002 წლის ივნისში ისრაელმა დაიწყო „*უშიშროების ღობის*" (ფაქტობრივად – კედლის) მშენებლობა ოფიციალურად – „ოკუპირებული ტერიტორიებიდან ტერორისტების შემოსვლის აღსაკვეთად". პალესტინელებისაგან სრული *განცალკევების* (ებრაულად *ჰიფარდუთ*) მისაღწევად 720-ზე მეტი კილომეტრი სიგრძის კედლის შენება დაიწყო, რომლის ნახევარზე მეტი 2011 წლისათვის უკვე ააშენა, მაგრამ დღემდე არ დაუსრულებია. კედლის ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ პერიმეტრის საგრძნობი ნაწილი „მწვანე ხაზს" მისდევს. მაგრამ ბევრ მონაკვეთზე, განსაკუთრებით იერუსალიმის გარშემო, კედელი შეჭრილია ამ ხაზის მიღმა, მომავალი პალესტინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ზოგან 24 კილომეტრის სიღრმეზეც კი, და „დასავლეთ ნაპირის" ფართობის დაახლოებით 10 პროცენტს პალესტინელებისათვის მიუღწეველს ხდის: ამ მიწაზე აშენებულ მსხვილ ებრაულ ახალშენებს ან მათ ბლოკებს „უშიშროების ღობე" ისრაელის მხარეს ტოვებს [Finkel, 2007]. კედელი მთლიანად მომავალი პალესტინის სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ხარჯზე შენდება. ბევრ არაბულ სოფელს კედელი აცალკევებს თავისი სახნავ-სათესი მიწის, წყაროებისა და სკოლებისაგან.

ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ძვირადღირებული საინჟინრო ნაგებობა (რვა მეტრის სიმაღლის ბეტონის კედლის, მიმდებარე მავთულხლართებიანი დამცავი ზოლით ან, ცალკეულ მონაკვეთზე, ელექტროსენსორული ღობის თითო კილომეტრის მშენებლობა საშუალოდ 1,6 მილიონი დოლარი ჯდება) არ შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ დროებით ფუნქციას. როგორც ჩანს, ისრაელი ამ კედელს (ან მის უდიდეს ნაწილს) მომავალში პოლიტიკური საზღვრის ფუნქციას დააკისრებს.

პალესტინური მხარეც ხვდება, რომ ამ საინჟინრო ნაგებობის მეშვეობით, რომელსაც ის „საოკუპაციო კედელს" უწოდებს, ხდება მომავალი პოლიტიკური გამიჯვნისათვის „ტერიტორიული ფაქტის" დაფიქსირება.

ამასთანავე, ეს მშენებლობა კედელსმიღმა დარჩენილი ებრაელი მოახალშენეების არანაკლებ აღშფოთებას იწვევს, ვიდრე პალესტინელებისა: მოახალშენეები მიიჩნევენ, რომ „მათ უღალატეს და მიატოვეს".

„დემოგრაფიული მეტოქეობა" კი ისევ ძალაში რჩება.

თავი 17

წმინდა ადგილის როლი პოლიტიკაში (იერუსალიმის მაგალითზე)

„ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის" ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია დავა წმინდა ადგილებისათვის, უპირველესად, იერუსალიმის ტაძრის მთის გამო. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე წიგნის ბოლო თავში ზოგადად მიმომეხილა წმინდა ადგილის როლი პოლიტიკაში, კერძოდ, იერუსალიმის მაგალითზე.

წმინდა ადგილები ახლო აღმოსავლეთში

ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისათვის გეოგრაფიული სივრცის გარკვეული მონაკვეთი – *ადგილი* (მიწის ნაკვეთი, ქალაქი, ხანდახან მთელი ქვეყანა, რომელსაც ერთი სახელი აერთიანებს) „წმინდაა" იმიტომ, რომ ამ ჯგუფს აქვს განსაკუთრებული სიყვარული და მოწიწება მის მიმართ, ვთქვათ იმის გამო, რომ ამ *ადგილზე* განვლო მათმა ბავშვობამ, იქ არიან დამარხული მათი საყვარელი ადამიანები, იქ არის მათი სამშობლო. მაგალითად, *ჩემთვის* (ისე როგორც, ალბათ, ქართველთა უმრავლესობისათვის) ერთადერთი *წმინდა მიწა საქართველოა.*

უფრო ხშირად *ადგილს სიწმინდეს ანიჭებს ხოლმე რელიგიური ტრადიცია,* ვინაიდან იქ არის ისეთი რამ, რაც ამ რელიგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ეს შეიძლება იყოს წმინდანად მიჩნეული პირის საფლავი, ან ისეთი ნაგებობა (რელიგიური დანიშნულების შენობა), ხანდახან სულაც ქვები, რომელთაც მითოლოგია ღვთიური ენერგიის გამოვლინებას მიაწერს ხოლმე.

მითოლოგიას რომ პრაქტიკული გამოყენება აქვს, ამას მოწმობს ადამიანთა ის *დამოკიდებულება გეოგრაფიული სივრცის მიმართ,* რომლითაც ისინი შეიმეცნებენ და აყალიბებენ თავიანთი „სიწმინდის გრძნობას".

იმ *ადგილის* მნიშვნელობა, რომელიც რაიმე ნიშნით *წმინდაა* ადამიანთა ჯგუფისათვის, პოლიტიკაშიც საკმაოდ დიდია. ახლო აღმოსავლეთში *ადგილი* განსაკუთრებულ პოლიტიკურ როლს იძენს. სასულიერო

და საერო ლიდერები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა ზეგარდმო, ღვთიური ძალა კონკრეტულ სივრცეს *(ადგილს)* დაუკავშირონ: ეს მეტ ლეგიტიმურობას ანიჭებს მათ ხელისუფლებას.

ახლო აღმოსავლეთში ყველა რელიგიას აქვს თავისი *წმინდა ადგილი.*

იუდეველებისათვის წმინდაა მთელი ისრაელი, რომელიც, თორას მიხედვით, მათივე ღმერთმა აღუთქვა. განსაკუთრებული სიწმინდე აქვს მათთვის ტაძრის მთას (*ხარ ჰა-ბაითი*), სადაც ისინი არ/ვერ ადიან (იხ. ქვემოთ) და მის დასავლეთ კედელს (*კოტელ ჰა-მაარავი*), სადაც ისინი ლოცულობენ.

გარდა ამისა, ებრაელები პატივს მიაგებენ პატრიარქთა სამარეს (აბრაჰამის, იცხაკის, იაკობის საფლავებს *მახპელას* მღვიმეში, ქალაქ ხებრონში); მატრიარქ რახელის საფლავს – ქალაქ *ბეთლემის* ახლოს; *იერუსალიმში, სიონის მთაზე* მდებარე საფლავს, რომელსაც მეფე დავითს მიაწერენ და შუა საუკუნეების რამდენიმე რელიგიური მოღვაწის საფლავს.

ქრისტიანებისათვის *წმინდა მიწაა* პალესტინა/ისრაელის ტერიტორია, რამდენადაც იესო ქრისტეს მოღვაწეობა მხოლოდ აქ მიმდინარეობდა. ამ ტერიტორიაზე მდებარე 100-მდე ადგილი ქრისტიანებისათვის განსაკუთრებით წმინდად ითვლება. ისინი განლაგებულია უპირატესად *იერუსალიმში, ბეთლემში* (შობის ეკლესია), *ნაზარეთში* (წმ. გაბრიელის მართლმადიდებლური ეკლესია და ხარების კათოლიკური ბაზილიკა). რამდენიმე წმინდა ადგილია ქალაქ *კანაში, თაბორის მთაზე, გალილეის ტბის* ირგვლივ, *მდ. იორდანეზე* (იესოს ნათლობის ადგილი) და სხვ.

რელიგიური დატვირთვა აქვს ქრისტიანობასთან (მაგრამ არა თვით იესოსთან) დაკავშირებულ ახლო აღმოსავლეთის კიდევ რამდენიმე ადგილს (*ტარსუსი, ეფესი, სინას მთა, ანტიოქია* და ა.შ) [Gonen, 1999]. ეს ადგილები ნაკლები რაოდენობის ქრისტიან პილიგრიმს იზიდავს, ვიდრე *წმინდა მიწა.*

მუსლიმებისათვის უწმინდესი ადგილია *მექა*, სადაც დაიბადა მოციქული და წინასწარმეტყველი მუჰამმადი და სადაც მდებარეობს *ალ-მასჯიდ ალ-ჰარამი* (იგივე *ქააბას* მიზგითი, რომლის ეზოშიც არის „შავი ქვა"). მექას მიდამოებშია სხვა წმინდა ადგილებიც – *მინა, მუზდალიფი, არაფათის ველი* და *არაფათის მთა.* ამ უკანასკნელზე (არაბულად – *ჯაბალ არაფათ*), ტრადიციის თანახმად, იბრაჰიმს მსხვერპლად უნდა შეეწირა თავისი ძე ისმაილი, მაგრამ ღმერთმა სანაცვლოდ კრავი გამოუგზავნა[1].

ისლამის ხუთი ძირითადი მოთხოვნიდან ერთ-ერთია მართლმორწმუნე მუსლიმის მიერ ცხოვრებაში ერთხელ მაინც *მექაში ჰაჯის* შესრუ-

1. შდრ. *თორა*: იქ აბრაჰამს თავისი მეორე ძე, იცხაკი, აჰყავს სამსხვერპლოდ *მორიას მთაზე*, რომელსაც ებრაული ტრადიცია *ხარ ჰა-ბაითთან* (იერუსალიმის *ტაძრის მთასთან*) აიგივებს.

ლება: ის იწყება *ზულ-ჰიჯას* თვის მერვე დღეს და ექვს დღეს გრძელდება. ამ პილიგრიმობაში ყოველწლიურად მსოფლიოს ორ მილიონზე მეტი მუსლიმი მონაწილეობს, რის შემდეგ მას უფლება აქვს თავის სახელს წინ დაუმატოს *ჰაჯი*. არამუსლიმს მექაში ფეხის დადგმის უფლებაც არა აქვს.

მუსლიმებისათვის მეორე წმინდა ქალაქია *მედინა*, სადაც დაკრძალულია *მუჰამმადი*, ხოლო მესამე – *ალ-კუდსი* (იერუსალიმი), სადაც მდებარეობს [ბორცვი] *ალ-ჰარამ აშ-შარიფი* („წმინდა ნაკრძალი"); ებრაელები ზუსტად იმავე ადგილს *ხარ ჰა-ბაითს* უწოდებენ.

იერუსალიმი იყო *ყიბლა* (ლოცვის მიმართულება) მუჰამმადისათვის, ვიდრე იგი, მედინაში მყოფი, 623 წლიდან ყიბლად აქცევდა მექას და *ისლამში უპირველესი სიწმინდის მნიშვნელობას მიანიჭებდა მექაში მდებარე ქააბას*. ალ-კუდსში/იერუსალიმში, რომელიც მუსლიმებისათვის მესამე წმინდა ქალაქია, მათთვის მთავარი წმინდა ადგილებია [ბორცვ]] *ალ-ჰარამ აშ-შარიფ ზე* მდებარე *ალ-აკსას* მიზგითი და *ალ-კუბბათ ას-სახრა* („კლდის გუმბათი").

მუსლიმებისათვის ასევე წმინდაა ქალაქ *ალ-ხალილში* (იუდეველთათვის ეს ქალაქი *ხებრონია*) მდებარე პატრიარქთა სამარე, სადაც დაკრძალულია არაბთა მამამთავარი *იბრაჰიმი* (იუდეველებისათვის ის არის პატრიარქი *აბრაჰამი*): ამ ადგილზე VII საუკუნეში აშენდა მიზგითი *ალ-ჰარამ ალ-ხალილი*[1].

ისლამის ერთ-ერთი მიმართულების, შიიტობის, მიმდევრები, გარდა ზემოხსენებული წმინდა ადგილებისა, რომლებსაც ზოგადისლამური ხასიათი აქვს, მხოლოდ შიიტებისათვის წმინდა ქალაქებად მიიჩნევენ ერაყში მდებარე *ან-ნაჯაფსა* და *ქარბალას*, სადაც დაკრძალული არიან შესაბამისად *ალი* (მუჰამმადის სიძე, მეოთხე ხალიფა) და ალის ძე *ჰუსაინი*, აგრეთვე ერაყის ქალაქებს, *ალ-ყაზიმაინსა* და *სამარრას* და ირანის ქალაქებს – *მაშჰადსა* და *ყუმს*: იქ სხვა იმამები არიან დაკრძალული.

იმ შემთხვევაში, *თუკი ადგილი ტრადიციულად წმინდაა ერთი რელიგიისათვის, რელიგიათაშორისი პოლიტიკური პრობლემები მინიმალურია*. მაგალითად, მექის ფლობისათვის სხვადასხვა მმართველების (ყოველთვის – მუსლიმების) სისხლიანი მეტოქეობა არც თუ იშვიათი მოვლენა იყო, მაგრამ ისლამის გარდა არც ერთი სხვა რელიგია არ აცხადებს პრეტენზიას ამ *ადგილ ზე*.

მაგრამ, როდესაც *წმინდა ადგილ ზე* პრეტენზია ორ ან მეტ რელიგიას აქვს, მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია იქამდე, ვიდრე

---

1. ისლამის რელიგიური დანიშნულების ამ და სხვა შენობების სიწმინდე და მათი მოლოცვა *ვაკაბიტებისათვის*, ისლამის ფუნდამენტალისტური მიმართულების მიმდევრებისათვის, მიუღებელია და ისინი, ალბათ, მათ დაანგრევდნენ (იხ. თავი 4) კიდეც, მაგრამ მათ მსახერალ ხელს პალესტინის ქალაქებამდე არ მოუღწევია!

ამ წმინდა ადგილზე ერთ-ერთი რელიგიის ექსკლუზიურ უფლებას სხვა რელიგიებიც ცნობენ, თვითონ კი ურიგდებიან იმას, რომ მათაც აძლევენ იქ ლოცვის უფლებას. მაგრამ ამ *ექსკლუზიური უფლების შეცვლის მცდელობა* მძაფრ პროტესტს და ხანდახან სისხლიან დაპირისპირებასაც იწვევს.

მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალაქ *ხებრონში* მდებარე წმინდა ადგილზე ერთდროულად პრეტენზიას აცხადებს როგორც იუდაიზმი, ისე ისლამი.

VII საუკუნიდან ამ ადგილზე ექსკლუზიური უფლება ჰქონდა ისლამს. ერთდროულად, ქალაქში ყოველთვის ცხოვრობდა ებრაული მოსახლეობა და მის მიმართ მუსლიმური უმრავლესობა გარკვეულ ტოლერანტობას იჩენდა, ყოველ შემთხვევაში, უფლებას აძლევდა, შეესრულებინა საკუთარი რიტუალები.

რელიგიური კონფლიქტი XX საუკუნეში დაიწყო, როდესაც *ხებრონში/ალ-ხალილში* ისლამის ექსკლუზიური უფლების იუდაიზმით შეცვლის მცდელობა გაჩნდა. 1929 და 1936 წლებში მომხდარი ებრაელთა რბევის შემდეგ ამ უკანასკნელთ *ხებრონის* დატოვება მოუხდათ. ებრაელები იმავე ადგილზე დაბრუნდნენ მხოლოდ 1967 წლის შემდეგ, როდესაც ისრაელმა მოახდინა მთელი „დასავლეთ ნაპირის“ ოკუპაცია. 1970-იანი წლებიდან იუდაისტ ფუნდამენტალისტთა მოზრდილი ჯგუფი სახლობს *ხებრონში* იმ მიზნით, რათა პატრიარქთა სამარეზე იუდაიზმის უპირატესი უფლება განამტკიცოს. ეს მუსლიმებისათვის მიუღებელია. ისრაელის არმია იძულებულია დაიცვას 500-ოდე ებრაელი რელიგიური მოახალშენე ადგილობრივ არაბულ მოსახლეობასთან (150 ათასი) მუდმივ კონფლიქტში.

რელიგიათაშორისი მეტოქეობის ყველაზე მკაფიო მაგალითია იერუსალიმი – წმინდა ქალაქი სამი რელიგიისათვის.

იერუსალიმი საკულტო ცენტრი იყო ათასწლეულით ადრე, ვიდრე მას ებრაელთა მეფე დავითი *იებუსელებისაგან* დაიპყრობდა (მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო ძვ. წ. XI საუკუნის ბოლოს) და იუდეის რელიგიურ ცენტრად აქცევდა მას. გამაგრებულ დასახლებას (ქალაქს) მაშინ პატარა ადგილი ეჭირა, მაგრამ იგი ფლობდა წყაროს (*გიხონი*), რაც წყალმცირე იუდეის მთებში მუდმივი დასახლების შექმნის ძირითადი პირობა და მისთვის მეტოქეობის მთავარი მიზეზი იყო.

დღევანდელი იერუსალიმის „ძველი ქალაქის“ ტერიტორიას, რომელიც მოიცავს *წმინდა ადგილების* დიდ ნაწილს, განსაზღვრავს საფორტიფიკაციო ნაგებობა – 1539-45 წლებში ოსმალეთის *სულტან სულეიმან I*-ის ბრძანებით ავსტრიელთა შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად აგებული კედლები.

მათ მშენებელ ინჟინერს, რომელიც ამაგრებდა ჯვაროსანთა დროინდელ კედლებს, ან ცვლიდა მათ კონფიგურაციას თავდაცვის საჭიროები-

დან გამომდინარე, შეიძლება აზრადაც არ მოსდიოდა, რომ თავის სამუშაო გეგმაზე *წმინდა ქალაქს* საზღვრავდა. იმ დროს და XX საუკუნემდე ეს კედლები *მთელ ქალაქს* ერტყა გარს, რომლის ფართობი დღემდე არის სულ 0,87 კმ². XX საუკუნეში დასახლება შუა საუკუნეების კედლებს გარეთ მკვეთრად გაფართოვდა.

რადგანაც ამჟამინდელი რელიგიებიდან ყველაზე დიდი ხნის ისტორია იერუსალიმში იუდაიზმს აქვს, სწორი იქნება თუ თავდაპირველად განვიხილავთ იერუსალიმის, როგორც *ადგილის*, მნიშვნელობას ამ რელიგიისათვის[1].

იერუსალიმი და იუდაიზმი

პატრიარქების ეპოქაში, მანამ, სანამ ებრაელები იერუსალიმს დაეუფლებოდნენ, მათთვის საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა *შილოს, ბეთელს, შხემს* (არაბები ამ უკანასკნელს *ნაბლუსს* უწოდებენ, რაც ბერძნული *ნეაპოლისის*, ანუ *ახალი ქალაქის*, არაბული სახელია). საზოგადოდ მიჩნეულია, რომ მეფე დავითის შემდეგ იერუსალიმი იქცა იუდაიზმის სიმბოლოდ, ებრაელი ერისა და მისი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უდიდეს სტიმულად. როდესაც ებრაული სახელმწიფო (სახელმწიფოები) წყვეტდა ხოლმე არსებობას, იერუსალიმი თავის სიმბოლურ როლს ყოველთვის ინარჩუნებდა. ებრაელები თვლიან, რომ უფალმა აირჩია იერუსალიმი, ისევე, როგორც აირჩია მათი ერი.

თუმცა *თორაში* (მოსეს ხუთწიგნეულში) იერუსალიმი პირდაპირ ნახსენები არც ერთხელ არაა [Riskin, 2002], მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სწორედ ის იგულისხმება, როდესაც თორაში მოიხსენიება *შალემი:*

„მელქიცედეკმა, შალემის მეფემ, გამოიტანა პური და ღვინო. ის იყო უზენაესი ღმერთის მოძღვარი. აკურთხა (აბრამი) და თქვა: კურთხეულია აბრამი უზენაესი ღმრთისა, ცისა და დედამიწის მეუფის მიერ“ [დაბადება 14: 18, 19].

პროფ. ვერბლოვსკის მიხედვით, ქალაქის სახელის მეცნიერული ეტიმოლოგიაა[2] „[ღვთაება] *შალემის საყუდარი*“ [Werblowski, 1995, 14].

იუდაისტური რწმენის თანახმად, პირველი და მეორე ტაძარი სწორედ იმ ბორცვზე (*მორიას მთა*ზე) იყო აგებული, სადაც აბრაჰამმა აიყვანა თავისი ძე იცხაკი ღვთისათვის შესაწირად. ამ ბორცვს, რომელიც იერუ-

1. სხვადასხვა რელიგიისათვის იერუსალიმის მნიშვნელობის განხილვისას ფაქტობრივი მასალის წყარო იყო ვერბლოვსკის შრომა [Wcrblowski, 1995]

2. იერუსალიმის (ებრაულად „*იერუშალაიმ*“) არამეცნიერული, ხალხური ეტიმოლოგიაა „მშვიდობის ქალაქი“ (*ირ ჰა-შალომ*), რაც არაზუსტია. ებრაულად, სადაც ყველა ასოს განლაგებას ენიჭება მნიშვნელობა, „შალომ“, „შალემ“ და „იერუშალაიმ“ სხვადასხვანაირად ინერება.

სალიმის ძველ ქალაქში მდებარეობს, ებრაულად *„ხარ ჰა-ბაით“* (ტაძრის მთა) ეწოდება.

პირველი ტაძარი (რომელიც, *თანახის* თანახმად, მეფე სოლომონმა ააგო ძვ. წ. X საუკუნეში) დაანგრიეს ბაბილონელებმა ძვ.წ. VI საუკუნეში. ტაძარი აღადგინეს ძვ.წ. VI საუკუნეშივე. მის ადგილზე ძვ. წ. I საუკუნის ბოლოს, მეფე *ჰეროდეს* დროს, *მეორე ტაძარი* აშენდა, რომელიც რომაელებმა დაანგიეს ახ. წ. 70 წელს ებრაელთა აჯანყების ჩაქრობისას. სახარების მიხედვით, იესო ქრისტე სწორედ ამ *მეორე ტაძარში* შედიოდა.

იუდეველთა *მეორე ტაძრის ნაშთად* ითვლება მისი საძირკვლის შემორჩენილი საყრდენი – *ჰა-კოტელ ჰა-მაარავი* („დასავლეთ კედელი“, უფრო ცნობილი, როგორც „გოდების კედელი“), რომელსაც იუდეველები თავიანთი სარწმუნოების ძირითად სალოცავად მიიჩნევენ.

ორთოდოქსული იუდაიზმი უკრძალავს ებრაელს *ხარ ჰა-ბაითზე* ასვლას, რადგან მას შეუძლია შემთხვევით დაადგას ფეხი და შებღალოს ის *ადგილი*, სადაც იმყოფებოდა ტაძრის *წმიდათა წმიდა*. მთავარი რაბინათი 1967 წლიდან საგანგებო წარწერითაც კი აფრთხილებს ამის შესახებ მორწმუნე ებრაელებს[1]. 20 საუკუნის წინ, როდესაც მეორე ტაძარი იდგა, *წმიდათა წმიდაში* შესვლის უფლება ჰქონდა მხოლოდ პირველმოძღვარს, ისიც წელიწადში ერთხელ – *იომ-ქიფურზე* (განკითხვის დღეს). ყველა დანარჩენ ებრაელს იქ შესვლა სიკვდილის შიშით ეკრძალებოდა. რადგანაც თითქმის ორი ათასწლეულია, რაც ტაძარი აღარ არსებობს, „წმიდათა წმიდის“ ზუსტი მდებარეობა უცნობია.

მორწმუნე ებრაელებს სჯერათ, რომ მესამე ტაძარს აღმართავს *მაშიახი* (მესია, ღვთის მიერ მოვლენილი მხსნელი). მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მზად არიან თვითონვე ააშენონ მესამე ტაძარი იმ *ადგილზე*, სადაც, მათი ვარაუდით, იდგა წინა ორი. ეს გულისხმობს იმავე *ადგილზე* მდგარი ისლამური სიწმინდის – *კლდის გუმბათის* – შემუსვრას. საღად მოაზროვნე ისრაელელ პოლიტიკოსებს კარგად ესმით, რომ ასეთი რამის მცდელობაც კი უდიდეს საერთაშორისო პრობლემას შექმნის.

ებრაელისათვის (მათ შორის სეკულარული, არამორწმუნისათვისაც) „იერუსალიმი“ და „სიონი“[2] (ებრაულად – *„ციონ“*) სინონიმებია. ორივე

---

1. სეკულარული ებრაელები, რასაკვირველია, ამ აკრძალვას ყურად არ იღებენ. მაგრამ, ფაქტობრივად, *ალ-ჰარამ აშ-შარიფში* ყველა არამუსლიმს ეკრძალებოდა შესვლა 2000 წლის 28 სექტემბრიდან, იქ მომხდარი არეულობისა და სისხლისღერის შემდეგ. 2003 წლის იელისიდან ისრაელის მთავრობამ იქ ექსკურსიების ჩატარების ნება დართო (ისლამის წმინდა შენობებში შეუსვლელად).

2. *სიონს* უწოდებენ ერთ-ერთ ბორცვს იერუსალიმში, რომელიც ძველი ქალაქის კედლებს გარეთ იმყოფება. შეიქმნა ლეგენდა, რომ იქ მდებარე შენობის პირველ სართულზე თითქოს არის მეფე დავითის საფლავი, ხოლო მეორე სართულზე – სათავსო, სადაც თითქოს შედგა იესოს უკანასკნელი (საიდუმლო) სერობა თავის მოციქულებთან ერთად. ეს *ადგილიც* პილიგრიმებსა და ტურისტებს მრავლად იზიდავს. სპეციალისტების მტკიცებით, ეს შენობა აგებულია ჯვაროსნების ეპოქაში, ანუ საიდუმლო სერობიდან ათასზე მეტი წლის შემდეგ და მეფე დავითის გარდაცვალებიდან ორი ათასი წლის შემდეგ.

სიტყვა გადატანით აღნიშნავს არა მარტო ქალაქს, არამედ ისრაელის მთელ მიწას (*ერეც-ისრაელ*). თანამედროვე ებრაულმა ნაციონალურმა მოძრაობამ „სიონიზმმა“ (ებრაულად – „*ჰა-ციონუთ*“) სახელი მიიღო არა ქვეყნისა ან ხალხის სახელიდან, არამედ *ადგილის* სახელიდან.

სიონისა და იერუსალიმის ასახვა, როგორც დაქვრივებული და მგლოვიარე დედისა, რომელიც ერთ დღესაც გაიხარებს და იზეიმებს, როდესაც მისი შვილები კვლავ შეიკრიბებიან მასთან, იყო ერთ-ერთი მთავარი მოტივი ტრადიციული ებრაული ხატოვნებისა. ორი ათასწლეულის მანძილზე ებრაელები მსოფლიოს ყველა კუთხეში ლოცულობდნენ იერუსალიმის მიმართულებით. მორწმუნე ებრაელი საჭმლის მიღების შემდგომ სამადლობელში დღემდე ახსენებს იერუსალიმის აღდგენასა და იქ დაბრუნებას.

იმის გამო, რომ იერუსალიმი საერთოდ სიწმინდის სიმბოლოა, იუდაიზმი ცნობს *ზეციურ იერუსალიმსაც*. მაგრამ ღვთისმოსავობა, რელიგიური სიმბოლიზმი და მესიანური იმედები (XIX-XX საუკუნეებში – სეკულარული ფორმითაც) მიმართულია *მიწიერი იერუსალიმის* მიმართ, როგორც ებრაელთათვის მათივე ღმერთის (*იაჰვეს*) მიერ აღთქმული მიწისადმი.

იერუსალიმში ამჟამად არაა ებრაელი ხალხის უწმინდესი სალოცავი, ვინაიდან ტაძარი დანგრეულია. მაგრამ არც ერთ მორწმუნე ებრაელს ეჭვი არ ეპარება, რომ უფალმა მის ერს აღუთქვა ეს მიწა და აირჩია *ადგილი*, სადაც გამოგზავნის *მაშიახს* (მესიას) მესამე ტაძრის ასაგებად.

იერუსალიმი და ქრისტიანობა

ქრისტიანები *წმინდა მიწად* მიიჩნევენ იმ *ადგილს*, სადაც დაიბადა, მოღვაწეობდა და მოწამებრივი სიკვდილი მიიღო მაცხოვარმა, იესო ქრისტემ. გეოგრაფიულად ეს *ადგილი* მდებარეობს ისტორიული პალესტინის ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად არის ისრაელის სახელმწიფო და პალესტინის ადმინისტრაცია.

თეორიულად ქრისტიანობისათვის ზეციური იერუსალიმი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მიწიერი. ქრისტიანობისათვის ცენტრალურია არა „ფიზიკური“ ტაძარი (როგორც იუდეველთათვის), არამედ მაცხოვარი, ქრისტე. ეკლესია თავს მიიჩნევს ქრისტეს სხეულად. მიწიერ იერუსალიმში მდებარე სალოცავები უნდა მოაგონებდეს ქრისტიანს იმ წმინდა მოვლენებს, რომლებიც ამ *ადგილზე* მოხდა. ამდენად, მიწიერი იერუსალიმიც ქრისტიანებისათვის ძვირფასია და იგი მოლოცვის (პილიგრიმობის) *ადგილია*. ქრისტიანობა უშვებს იმასაც, რომ „წმინდა მიწა“ სხვაგანაც შეიძლება იქნეს წარმოსახული. ამიტომ გაჩნდა ქრის-

ტიანულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ეკლესია-მონასტრები სახელად „სიონი", „ბეთლემი", „ბეთანია", „გეთსემანია" და ა.შ. მოგვიანებით ეს სახელები დასახლებულ პუნქტებზეც გადავიდა.

ჩვ. წ. 135 წელს, ებრაელთა მორიგი აჯანყების შემდეგ, რომაელებმა ისინი განდევნეს ქალაქიდან. რომაელებმა ხელახლა ააშენეს ქალაქი (არქეოლოგიური ნაშთების უმეტესობა იმ პერიოდისაა), რომელსაც სახელიც კი გამოუცვალეს და მას *ელია კაპიტოლინა უწოდეს*, ხოლო იუდეველთა ნატაძრალზე აღმართეს *იუპიტერის ტაძარი.*

IV საუკუნეში, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ, ეს წარმართული ტაძარი დაანგრიეს [აღმოსავლეთ] რომის (ბიზანტიის) ქრისტიანმა იმპერატორებმა და იმ *ადგილზე* VII საუკუნემდე მხოლოდ იუპიტერის ტაძრის ნანგრევები რჩებოდა. ბორცვი ნაგავსაყრელად იქცა, ხოლო ქრისტიანული სიწმინდე გაჩნდა იერუსალიმის (ეს სახელი ქალაქს აღუდგინეს, თუმცა ებრაელებს დაბრუნების უფლება არ მისცეს!) სხვა ადგილას, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას დაუკავშირდა.

ქრისტიანებს იერუსალიმში აქვთ გამოკვეთილად *უწმინდესი ადგილი* – ტაძარი, რომელსაც მართლმადიდებლები უწოდებენ *აღდგომის ეკლესიას* (The Church of Resurrection), ხოლო კათოლიკეები – *წმინდა აკლდამის ეკლესიას* (The Church of Holy Sepulchre). ტაძრის შიგნით მდებარეობს *გოლგოთა* და *ქრისტეს საფლავი* (*აკლდამა*).

ქრისტიანობის სხვადასხვა განშტოებას ერთმანეთში ყოველთვის ჰქონდა დავა იერუსალიმში და მთლიანად ისტორიულ პალესტინაში მდებარე ეკლესია-მონასტრებზე სულიერი (და ეკონომიკური!) კონტროლისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ კათოლიკე ჯვაროსნებმა იერუსალიმის აღების შემდეგ (1099 წ.) *წმინდა აკლდამის ეკლესიიდან* გააძევეს მართლმადიდებლები, რომლებიც იქ დაბრუნდნენ მხოლოდ მუსლიმთა მიერ კათოლიკე ჯვაროსნების განდევნის შემდეგ (1187 წ.).

ამჟამად *წმინდა აკლდამის/აღდგომის ტაძარი გაყოფილი აქვთ* არც თუ ძმური ურთიერთდამოკიდებულების მქონე *იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს* (ის ამტკიცებს, რომ *წარმოადგენს მთელ მართლმადიდებლობას და არც ერთ სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას არ მისცემს უფლებას მოითხოვოს ცალკე ადგილი ამ ტაძარში*), *ფრანცისკანელთა ორდენს*, რომელიც წმინდა მიწაზე კათოლიციზმს წარმოადგენს, და *იერუსალიმის სომხურ* (გრიგორიანულ) *საპატრიარქოს.*

იმავე ეკლესიაში პატარა ფართობს ფლობს *კოპტური საპატრიარქო. ეთიოპურ და სირიულ საპატრიარქოებსაც* ამ ეკლესიაში გარკვეული უფლებები შეუნარჩუნდათ. ამ სამი მონოფიზიტური მიმართულების სამღვდელოებას, ოსმალეთის *სულტან აბდულ-მეჯიდის* 1852 წ. ფირმანის თანახმად, რომელიც ჯერაც ძალაშია, რელიგიურ პროცესიაში მხოლოდ მონოფიზიტ სომხებთან ერთად შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.

აღსანიშნავია, რომ იმ ეპოქაში სულტანი ყველაზე მეტად სომხურ ეკლესიას მფარველობდა.

XVI-XVII საუკუნეებამდე ამ ტაძარში წარმოდგენილი იყო აგრეთვე *ქართული მართლმადიდებელი, მარონიტული* და *ნესტორიანული* ეკლესიებიც. ქართველები უკვე 1050-იანი წლებიდან ფლობდნენ გოლგოთას ნაწილს. ასე იყო XIV-XVII საუკუნეების მანძილზეც [Janin, 1913; ფერაძე, 1995; მენაბდე, 1980]. მაგრამ სამივე ზემოხსენებული ეკლესია ვერ უხდიდა დიდ გადასახადს ოსმალეთის მთავრობას და დაკარგა *წმინდა აკლდამის ეკლესიაში* ყოფნის უფლება [Cust, 1929, 14].

ჩანართი 16.1

***Status quo* იერუსალიმში**

ბერძენი მართლმადიდებლები, კათოლიკეები, სომეხი-გრიგორიანები, კოპტები გაუთავებლად კინკლაობდნენ *წმინდა აკლდამის ეკლესიაში* მათ მიერ დაკავებული ფართობის საკითხზე, იქამდე, ვიდრე კონფესიათაშორისი დავა არ გაყინა ოსმალეთის სულტან *აბდულ მეჯიდის* 1852 წლის ფირმანმა (ბრძანებულებამ), რომელმაც დაამკვიდრა *status quo*-ს პრინციპი: ყველა ქრისტიანულ მიმართულებას დარჩა *წმინდა აკლდამის ეკლესიაში* იმ მომენტისათვის მის ხელთ არსებული ქონება და უფლებები [Cust, 1929, 9].

დღემდე მოქმედი ეს ბრძანებულება უშუალოდ ეხებოდა მხოლოდ იერუსალიმისა და ბეთლემის მთავარ ეკლესიებს. მაგრამ ყველა ქრისტიანული მიმართულება, რომლებიც 1852 წლამდე არსებობდა წმინდა მიწაზე, საჭიროდ მიიჩნევს განავრცოს ამ ბრძანებულების მოქმედება სხვა საკუთრებაზეც. წმინდა მიწის გამგებელი ყველა საერო ხელისუფალი (ოსმალეთის, ბრიტანეთის, იორდანიის, ისრაელის მთავრობები) ამჯობინებდა, რომ არ შეცვლილიყო *status quo*.

ეს არის ძირითადი მიზეზი, რაც ხელს უშლის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უფლების აღდგენას ქართველთა მიერ ოდესღაც აგებულ სალოცავებზე, მათ შორის იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე.

იერუსალიმის, როგორც წმინდა *ადგილის* მიმართ *მთელი ქრისტიანობის* დამოკიდებულების შეფასებისას მნიშვნელოვანია, რომ მისი პოლიტიკური ამბიციები არ დომინირებს სულიერ ინტერესებზე: ჯვაროსნების დრო დიდი ხანია წავიდა.

ამჟამად ქრისტიანულ სამყაროს არა აქვს იერუსალიმზე პოლიტიკური კონტროლის პრეტენზია. როდესაც პალესტინასა და იერუსალიმს 1917-1947 წლებში განაგებდა დიდი ბრიტანეთი, ამ უკანასკნელს არ ჰქონია იქ ქრისტიანული რელიგიის ჰეგემონიის აღდგენის მცდელობა.

მსოფლიო პოლიტიკისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იერუსალიმში ქრისტიანობის არც ერთი მიმართულება არ ედავება კონკრეტულ წმინდა *ადგილს* არც იუდაიზმს და არც ისლამს.

იერუსალიმი და ისლამი

როგორც აღინიშნა, იერუსალიმს მუსლიმებისათვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. არაბულად ამ ქალაქის სახელია *ალ-კუდს აშ-შარიფ*-ი (წმინდა დიდებული), შემოკლებით *ალ-კუდს*-ი.

638 წელს, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, *ხალიფა ომარმა* თანამებრძოლებთან ერთად საკუთარი ხელით გაწმინდა ნაგავსაყრელი ნატაძრალ ადგილზე და გამოაჩინა *კლდისპირი*, რომელიც ისლამმა თავის *წმინდა ადგილად* გამოაცხადა, იქიდან „მუჰამმადმა ზეცაში იმოგზაურა" (იხ. ქვემოთ).

სხვათა შორის, სწორედ ომარმა მისცა ებრაელებს იერუსალიმში დაბრუნების უფლება.

იერუსალიმში არსებული ქრისტიანული ეკლესიებისა და სხვა სალოცავების (რომლებიც დამპყრობელ არაბებს არ დაუნგრევიათ) სიმრავლე ერთგვარი გამოწვევა იყო ახალი ბატონებისათვის: ამის მსგავსი მათ არაფერი გააჩნდათ!

ამიტომაც, როდესაც უმაიანი ხალიფები დამასკოში დამკვიდრდნენ და სახალიფო მსოფლიო იმპერიად გადაიქცა, ხალიფა *აბდ ალ მალიქ იბნ მარვანმა* დაახლოებით 691-692 წლებში იერუსალიმის ტაძრის მთაზე, სწორედ იმ კლდისპირის გარშემო, რომელიც ომარმა აღმოაჩინა, ააგო „კლდის გუმბათი" (*ალ-კუბბათ ას-სახრა;* მისი სხვა სახელია *ას-სახრა ალ-მუშარაფა*), რომელსაც ხშირად შეცდომით უწოდებენ „ომარის მიზგითს".

კლდის გუმბათი, რომელიც არქიტექტურული შედევრია (ის ბიზანტიელი ოსტატების მიერაა შექმნილი) და დღესაც დომინირებს იერუსალიმის ზეცის ფონზე[1], აიგო, როგორც ფიქრობენ, იუდეველთა ნატაძრალზე, იმ ბორცვზე, რომელიც ებრაელებისათვის არის *ხარ ჰა-ბაით*-ი, ხოლო არაბებისათვის *ალ-ჰარამ აშ-შარიფ*-ი („წმინდა ნაკრძალი"). იმავე ბორცვის განაპირას VII საუკუნეშივე აიგო დიდი მიზგითი *ალ-აკსა*, რაც სიტყვასიტყვით „შორეულს" აღნიშნავს: *ეს არის ისლამის მესამე უწმინდესი მიზგითი, მექასა და მედინას შემდეგ.*

არავითარი წყარო არ ადასტურებს იმას, რომ მუჰამმადი ოდესმე ყოფილა იერუსალიმში, მის დროს ბიზანტიის იმპერიის ქრისტიანულ ქალაქში. ამას ზოგი არაბი მეცნიერიც აღიარებს.

ისევე, როგორც *თორაში*, იერუსალიმი არც *ყურანშია* პირდაპირ მოხსენიებული: *ყურანის* მე-17 სურაში არის ბუნდოვანი მინიშნება *„ხელუხლებელი მიზგითიდან უშორეულეს მიზგითში"* მუჰამმადის ერთი ღამით

1. გუმბათი, რომელიც ამჟამად იერუსალიმის მშვენებაა, ყოველთვის ოქროსი არ ყოფილა. ამჟამინდელი მისი ბრწყინვალება *იორდანიის მეფე ჰუსეინის* დამსახურებაა: მისი ბრძანებითა და საფასით დაიფარა გუმბათი სპილენძისა და ოქროს ფენით 1960-იან წლებში, როდესაც აღმოსავლეთ იერუსალიმი იორდანიის გამგებლობაში იყო.

გადაადგილების შესახებ. შემდგომში ეს „უშორეულესი მიზგითი“ იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც იერუსალიმის *ალ-აკსა*.

მუსლიმთა რწმენის თანახმად, მუჰამმადმა ფრთოსანი არსების, *ბურაკის*, მეშვეობით სასწაულებრივად იმოგზაურა ერთ ღამეს მექადან იერუსალიმში (ამ ღამის მგზავრობას ეწოდება *ისრა*), საიდანაც მოახდინა ასვლა ზეცაში (ამ ასვლას ეწოდება *მირაჯი*)[1]. როგორც ცვი ვერბლოვსკიმ ერთგვარი ირონიით აღნიშნა:

„პირდაპირი ფრენა მექადან ზეცაში არ არსებობდა, საჭირო იყო გადაჯდომა იერუსალიმში“ [Werblowski, 1995, 4].

ისრასა და *მირაჯის* წყალობით ისლამმა თავი დაუკავშირა იერუსალიმის იმ განსაკუთრებულ სიწმინდეს, რომელიც უკვე მყარად იყო დამკვიდრებული იუდაიზმისა და ქრისტიანობისათვის და ეს კულტურული მემკვიდრეობა საკუთარ რელიგიურ სისტემაში ჩართო.

წმინდა ადგილი და პოლიტიკა

ადგილის სიწმინდის ფორმირება ყოველთვის ერთნაირად არ ხდება. იერუსალიმის სიწმინდისადმი ორი მსოფლიო რელიგიის მიდგომის შედარება ასეთ სურათს გვაძლევს:

– ქრისტიანობის შემთხვევაში ისტორიული (ანუ რეალურად დასაშვები) ფაქტები – იესოს ცხოვრება და სიკვდილი, ქმნიან რელიგიურ (ანუ რწმენით დასაშვებ) ფაქტებს – აღდგომასა და ამაღლებას. ჯერ ისტორიული და შემდეგ რელიგიური ფაქტები ერთად ქმნიან *ქრისტიანობის წმინდა ადგილს.*

– ისლამის შემთხვევაში თანამიმდევრობა ზუსტად საწინააღმდეგოა: რწმენა და ღვთისმოსავობა ქმნიან რელიგიურ ფაქტს – მუჰამმადის ასვლას ზეცაში; რელიგიური ფაქტი ქმნის „ისტორიულ“ ფაქტს – მუჰამმადის ყოფნას იერუსალიმში. ჯერ რელიგიური ფაქტი და მისი მეშვეობით წარმოშობილი „ისტორიული“ ფაქტი ერთად ქმნიან *ისლამის წმინდა ადგილს.*

ასე შექმნილი „ისტორიული“ ფაქტი მუსლიმი თეოლოგის, კულტუროლოგისა და დასავლეთის უნივერსიტეტში განათლებამიღებული მუსლიმი პოლიტიკოსის მიერაც კი ისეთივე რეალობადაა მიჩნეული, როგორც დადასტურებული, თვალნათელი ფაქტი.

ისლამისათვის, რომელიც, ქრისტიანობისაგან განსხვავებით, არ მიჯნავს ცხოვრების რელიგიურ და საერო სფეროს (ამ თვალსაზრისით ისლამი უფრო ახლოს დგას ტრადიციულ იუდაიზმთან), რელიგიურ

1. მუჰამმადის ზეცაში მოგზაურობისას *ბურაკი* მიბმული იყო რომელიღაც *კედელზე*. თანამედროვე მუსლიმი *ულამას* თვალსაზრისით, ეს კედელი იგივეა, რაც ებრაელთა „გოდების კედელი“ იერუსალიმში.

ფაქტს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც რეალურ ისტორიულ ფაქტს. *ლოგიკის პოზიციიდან, ისტორიული წყაროების მოხმობით ან ფიზიკის კანონებზე დაყრდნობით მუსლიმთან კამათს არავითარი აზრი არა აქვს.*

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა რელიგიის ჭეშმარიტ მორწმუნეზე, ანუ ისეთზე, რომელსაც სწამს ფიზიკის კანონების საწინააღმდეგო სასწაულებისა და ოდნავი ეჭვის შეტანაც არ უნდა საკუთარი სარწმუნოების სისწორეში. მორწმუნისათვის ერთადერთი ჭეშმარიტება მისივე რელიგიის წმინდა წიგნშია, რომელსაც მას მღვდელი, იმამი ან რაბინი განუმარტავს.

ის, რომ ალაჰის მოციქულისა და წინასწარმეტყველის, მუჰამმადის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქცია (რელიგიური ფაქტი) იერუსალიმს უკავშირდება, ამ კონკრეტულ *ადგილს* მუსლიმისათვის განსაკუთრებულ სიწმინდეს ანიჭებს.

ის რომ, ეს *ადგილი* არის *ალ-ჰარამ აშ-შარიფი*, ბუნებრივად გულისხმობს, რომ იგი *დარ ალ-ისლამის* („ისლამის სახლის") ნაწილად უნდა დარჩეს, როგორც ათასზე მეტი წლის განმავლობაში იყო კიდეც. მუსლიმი მიიჩნევს, რომ ეს *ადგილი* მისი სამყაროს პოლიტიკური სივრცეა.

არც თუ იშვიათად ხდება ისე, რომ *რელიგიურ განზომილებას არადანიშნულებისამებრ, პოლიტიკური ინტერესებისათვის, იყენებენ.* რელიგიური არგუმენტები და სიმბოლოები გამოიყენება სეკულარული მოძრაობების მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ეს რელიგიურ დაპირისპირებას აღვივებს.

ყველა სარწმუნოებისათვის (ან მისი განშტოებისათვის) სხვა სარწმუნოების (ან სხვა განშტოების) მიმდევარი არის „ურწმუნო", „ურჯულო", „მწვალებელი". ძველი ბერძნისათვის ყველა არაელინი „*ბარბაროსი*" იყო. ებრაელისათვის ყველა არაებრაელი არის *გოი* (მრავლობითში *გოიმ*-ი: ეს სიტყვა აღნიშნავს „ხალხს", მაგრამ მას ძირითადად „უცხო ხალხის" მიმართ ხმარობენ). დაყოფა „ჩვენ" და „ისინი", სამწუხაროდ, უნივერსალურია.

იმის გამო, რომ იერუსალიმი იმთავითვე *წმინდა ქალაქი* იყო (ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობა ყოველთვის ჩამორჩებოდა მისსავე რელიგიურ მნიშვნელობას), მას განუწყვეტლივ „ათავისუფლებდნენ" რელიგიური საბაბით. „განთავისუფლების აქციას" საერო ხელისუფალი ახორციელებდა, რასაც დიდი სისხლისღვრა სდევდა თან.

ძვ. წ. XI საუკუნეში მეფე დავითი იერუსალიმს იებუსელებისაგან ათავისუფლებდა; ბაბილონელები (ძვ. წ. 586 წ.) – იუდეველებისაგან, ხოლო სპარსელები (ძვ. წ. 538 წ.) – ბაბილონელებისაგან; იუდეველი მაკაბელები (ძვ. წ. 142 წ.) – წარმართი ელინებისაგან; რომაელები (ახ. წ. 70 წ. და 135 წ.) – მეამბოხე იუდეველებისაგან; ზოროასტრელი ირანელები (614 წ.) – ქრისტიანი ბიზანტიელებისაგან; მუსლიმი არაბები (638 წ.) – იმავე

ბიზანტიელებისაგან; ქრისტიანი ჯვაროსნები (1099 წ.) – მუსლიმებისაგან (სხვათა შორის, კათოლიკე ჯვაროსნებმა მახვილს მისცეს არა მარტო დამარცხებული მუსლიმები, არამედ ადგილობრივი მართლმადიდებლებიცა და ებრაელებიც); მუსლიმი სალაჰ-ად-დინი (სალადინი; 1187 წ.) – ქრისტიანი ჯვაროსნებისაგან; ოსმალეთის სულტანი სელიმ I იავუზი (1516 წ.) – მამლუქებისაგან; ინგლისელები (1917 წ.) – ოსმალებისაგან.

ებრაული იატაკქვეშა ორგანიზაციები 1945-48 წლებში ბრიტანელებისაგან ათავისუფლებდნენ იერუსალიმს. ახალშექმნილ ისრაელის სახელმწიფოსა და არაბულ ქვეყნებს შორის 1948-1949 წლებში წარმოებული ომის შედეგად იორდანიას დარჩა იერუსალიმის „ძველი ქალაქი“, ის, რაც ებრაელთათვის ასე ფასობდა *სიწმინდის* გამო: იქ არის მათი „დასავლეთი კედელი“. 1967 წელს ძველი იერუსალიმი ისრაელელებმა გაათავისუფლეს იორდანიელებისაგან. ახლა უკვე პალესტინელი არაბები ისახავენ თავიანთ მიზნად *„ალ-კუდსის განთავისუფლებას სიონისტებისაგან“*.

1967 წლიდან ისრაელის სახელმწიფო (როგორც მისი ოპონენტები მიიჩნევენ – *manu militari*, ანუ იარაღის ძალით) ფლობს იერუსალიმს. მაგრამ უშუალოდ *ხარ ჰა-ბაით/ალ-ჰარამ აშ-შარიფის* ტერიტორია (14,4 ჰექტარი) *ვაკფ*-ია, რომლის მეურვე (1990-იანი წლებიდან – პალესტინის ადმინისტრაცია, იქამდე – იორდანიის მეფე) არ ემორჩილება ისრაელის საერო ხელისუფლებას.

მუსლიმებსა და იუდეველებს ერთსა და იმავე *წმინდა ადგილზე* აქვთ პრეტენზია, რაც თითქმის უიმედოს ხდის მათი მორიგების ყველა მცდელობას. ორი რელიგიისათვის *წმინდა ადგილის* გეოგრაფიული თანხვედრა, რასაკვირველია, იდეოლოგიურ დაპირისპირებას ქმნის და ვერავითარი ეკონომიკური გარიგება (კომპენსაცია და ა.შ.) ვერ შეძლებს მის გადაჭრას.

რელიგიური დავა *ერთი და იმავე ადგილისათვის* პოლიტიკურ და სამხედრო დაპირისპირებაში შეიძლება გადაიზარდოს. იმავე *ჰარ ჰა-ბაით/ალ-ჰარამ აშ-შარიფის* მაგალითი გვარწმუნებს ამაში.

მოლაპარაკების დროს, რომელიც პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოსაგვარებლად აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონის შუამავლობით მიმდინარეობდა *კემპ-დევიდში* 2000 წელს, ერთ-ერთი დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა იმაზე შეთანხმება, თუ ვინ უნდა ფლობდეს *de-jure* ზემოხსენებულ „ტაძრის მთას“. ზოგი მიმომხილველი [Romann, 2003]. იმასაც კი ამტკიცებს, რომ პრობლემა იყო, თუ ვინ უნდა განაგებდეს „ტაძრის მთის“ მიწისქვეშეთს და მსჯელობდნენ ე.წ. „ვერტიკალური სუვერენიტეტის“ შესახებაც კი: „ტაძრის მთის“ ქვედა ფენა, ჰეროდეს დროინდელი კედლის ნაშთებამდე, ებრაელებს უნდა დაქვემდებარებოდა, ზედა ფენა კი, არაბების, მამლუქებისა და ოსმალების დროს ნაგები – პალესტინელებს!

სამწუხაროდ, ეს დავა სულაც არ იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა რელიგიურ-ფილოსოფიურ თემებზე. როდესაც ზემოხსენებული მოლაპარაკება ჩაიშალა (იხ. თავი 14), იგივე *ადგილი* იქცა პალესტინელთა მეორე აჯანყების („ალ-აკსას ინთიფადა") სიმბოლოდ.

ამისათვის პალესტინელებმა საბაბად გამოიყენეს 2000 წლის 28 სექტემბერს ისრაელის ოპოზიციის იმდროინდელი ლიდერის (მომავალი პრემიერ-მინისტრის) *არიელ შარონის* (მისი თვალსაზრისით – გაცნობითი, ხოლო პალესტინელების თვალსაზრისით – პროვოკაციული), ასვლა „ტაძრის მთაზე" და იქ მდებარე, მუსლიმთა ერთ-ერთი უდიდესი სალოცავთან – *ალ-აკსას მიზგითთან* – მისვლა. შარონი ავიდა იქ დიდძალი პოლიციის თანხლებით, მაგრამ *ვაკფ*-ის მეურვეების ფორმალური ნებართვის გარეშე. ამას მოჰყვა პალესტინელთა ხმაურიანი პროტესტი, ჯერ – ქვების, მერე – ტყვიის სროლა, დახოცილები და პალესტინელთა აჯანყება, რომელიც მხოლოდ 2005 წელს დამთავრდა.

იერუსალიმის მაგალითზე ჩანს, რომ *წმინდა ადგილის* მნიშვნელობა პოლიტიკაში ხანდახან არანაკლებია, ვიდრე ტერიტორიისა, რომელსაც ძირითადად ეკონომიკური ან სამხედრო-სტრატეგიული დატვირთვა ეძლევა.

უფრო მეტიც, *წმინდა ადგილის* შემთხვევაში კომპრომისის მიღწევა თითქმის შეუძლებელია.

ბოლოსიტყვა

როგორც მკითხველმა, ალბათ, დაინახა, წიგნში მოცემულია ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, დანახული, ძირითადად, ისტორიული კუთხიდან და პოლიტიკური გეოგრაფიის სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები.

ვცდილობდი, ასე ვთქვათ, აუღელვებლად მელაპარაკა ისტორიულ-პოლიტიკურ პროცესებზე, რომელიც სხვა, არაგეოგრაფიული, მიდგომისას გულისხმობს რაღაც პოზიციაზე ყოფნას. იმ თავებში, სადაც ისტორიული მასალაა მოხმობილი, არაა პასაჟები „წინააღმდეგობაზე დამპყრობლების მიმართ", არაა მოცემული იმპერიების დაპყრობითი პოლიტიკის შეფასება მორალის პოზიციიდან და ა.შ. ასეთ საკითხებზე მსჯელობა კონტექსტიდან ამოვარდნილი მეჩვენა, რადგანაც *წიგნში განხილულია ისტორიული და დემოგრაფიული პროცესების შედეგები პოლიტიკურ სივრცეში.*

დღევანდელი ახლო აღმოსავლეთი ტურბულენტურ ხანაში იმყოფება. რეგიონში ბევრი პოლიტიკური ცვლილება უკვე ხდება და მეტია მოსალოდნელი (თუმცა საზღვრების შეცვლას ნაკლებად უნდა ველოდოთ). ქვეყნებისა და ქვერეგიონების თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფიის განხილვისას საკმაოდ ხშირად მიხდებოდა კითხვის ნიშნისა და სიტყვების – „ალბათ", „შეიძლება" – გამოყენება. პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცვლილებების დანამდვილებითი პროგნოზირება შეუძლებელია. ბევრია დამოკიდებული შორსმდებარე პოლიტიკურ სივრცეებში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, მაგალითად, ამერიკაში, ევროპაში, ხოლო მომავალში, ალბათ, ჩინეთშიც.

მსოფლიო პოლიტიკაში ძალიან დიდხანს მოქმედებდა ის პრინციპი, რომელიც ყველაზე კარგად აქვს ჩამოყალიბებული რუსთაველს: *„ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს"*.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში თითქოს აღარაა აუცილებელი ასეთი „ნულოვანი თამაში" – სხვისი წარწყმედა საკუთარი ცხონებისათვის, მაგრამ იქ, სადაც კონფლიქტები მეტისმეტად მწვავეა, ზემოხსენებული ფორმულა ისევ ძალაში რჩება. ახლო აღმოსავლეთში ეს ძალიან მკაფიოდ ჩანს.

ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელობა საქართველოსათვის აუცილებლად გაიზრდება როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

თუკი ეს წიგნი ქართველ და ქართულენოვან მკითხველს მისცემს გარკვეულ ინფორმაციას ამ დიდი რეგიონის შესახებ, ის თავის დანიშნულებას შეასრულებს.

ტერმინების განმარტება
(ტექსტში *-ით აღნიშნული სიტყვებისათვის)

არ. – არაბული; ბერძ. – ბერძნული; გერმ. – გერმანული; ებრ. – ებრაული; თურქ. – თურქული; იტ. – იტალიური; ლათ. – ლათინური; პორტ. – პორტუგალიური; სპ. – სპარსული; ფრ. – ფრანგული

აბსორბირება/აბსორბცია – (ლათ.) უცხო ქვეყნიდან შემოსული ეთნიკურად მონათესავე მოსახლეობის კულტურული და პოლიტიკური შერწყმა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ავტარკია – (ბერძ.) კარჩაკეტილი, თვითუზრუნველყოფადი ეკონომიკა.

ავტოხტონი – (ბერძ.) ადგილობრივი, „უძველესი" მოსახლეობა. პრაქტიკაში ეს არის „ბოლოსწინა დამპყრობელი": უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია ტერიტორიის პირველი მკვიდრი ეთნოსის განსაზღვრა.

აია/აჲა – მრ. აჲათ. (არ.) ყურანის ლექსი, სურას (იხ.) შემადგენელი ნაწილი.

აიათოლა – (არ.; სპ. გამოთქმა) არაბულად *აიათალაჰ*, „ალაჰის ნიშანი, სასწაული"; შიიტი სასულიერო პირის ყველაზე საპატიო წოდება.

ალია – (ებრ.) ასვლა [იერუსალიმში]: ებრაელთა რეპატრიაცია.

ამოსული – ისრაელში რეპატრირებული ებრაელი (იხ. ალია).

ანკლავი – (ფრ.) ქვეყნის ძირითადი ტერიტორიისაგან სხვა ქვეყნის ტერიტორიით გამოყოფილი ფართობი.

აშკენაზი (მრ. აშკენაზიმ) – (ებრ.) ებრაელების სუბეთნიკური ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების გერმანიაში; ევროპელი ებრაელების კრებითი სახელი.

ბეილიქი – (თურქ.) ბეის/ბეგის სამართავი ტერიტორია.

გიური – (ებრ.) იუდაიზმში მოქცევის პროცედურა. მოიცავს იუდაიზმის საფუძვლების, რიტუალების შესწავლას, ხოლო მამაკაცთათვის, აგრეთვე, წინადაცვეთას.

ეიალეთი – (არ.) პროვინცია, მხარე; ოსმალეთის იმპერიის უმსხვილესი ადმინისტრაციული ერთეული 1864 წლამდე, რის შემდგომ იგი შეიცვალა „ვილაიეთ"-ით.

ვაკფი ან ვაკუფი – (არ.) მუსლიმური რელიგიური ქონება, მიღებული ნაჩუქრობის ან ანდერძის სახით, რომელიც სამუდამო რელიგიურ („საეკლესიო") საკუთრებაში რჩება და არ შეიძლება გასხვისდეს. ვაკფს

მართავს *მუთავალი* (მეურვე). იერუსალიმის ყველაზე ცნობილი ვაკფია *ალ-ჰარამ აშ-შარიფი* (ტაძრის მთა).

თანახი – აბრევიატურა, შედგენილი იუდეველთა წმინდა წიგნების კრებულის სამი განყოფილების საწყისი ასოებისაგან: „თ“ – *თორა*; „ნ“ – *ნებიიმ* (წინასწარმეტყველნი); „ხ“ – *ქეთუბიმ* (ნაწერები; სიტყვის ბოლოს მოქცეული ებრაული „ქ“ გამოითქმის, როგორც „ხ“). *თანახი* იგივეა, რაც „*ძველი აღთქმა*“ ქრისტიანებისათვის.

თორა – იუდეველთა უმთავრესი წმინდა წიგნი, სადაც ჩამოყალიბებულია „მოსეს სჯული“. მას უწოდებენ აგრეთვე [მოსეს] „ხუთწიგნეულს", ვინაიდან იგი ხუთი ნაწილისაგან შედგება.

ილი – (თურქ.) უმსხვილესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თურქეთის რესპუბლიკაში (ძველი სახელია *ვილაიეთი*).

ირედენტა – (იტ.) პოლიტიკურ ერთეულთან (მაგ. სახელმწიფოსთან) ისტორიულად ან ეთნიკურად დაკავშირებული ტერიტორია, რომელიც ამჟამად სხვა პოლიტიკურ ერთეულს ექვემდებარება.

ირედენტიზმი – პოლიტიკის გატარება ირედენტის შემოსაერთებლად.

იშუვი – (ებრ.) თემი; ისრაელის დამოუკიდებლობამდე (1948 წ.) პალესტინის მთელი ებრაული თემის თვითსახელი.

კიბუცი – (ებრ.) კოლექტივი; სოციალისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება ისრაელში, რომელსაც ახასიათებს წარმოების საშუალებათა ფლობისა და მოხმარების ყველა ფორმის კოლექტიურობა.

კომპრადორი – (პორტ.) სოვდაგარი; დიდვაჭარი, რომელიც უცხოეთიდან საქონლის იმპორტის გზით ღებულობს მოგებას, მაგრამ არ აბანდებს კაპიტალს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

მიზრახი (მრ. მიზრახიმ) – (ებრ.) აღმოსავლეთელი; აზიელი ებრაელების (უპირატესად ირანის, იემენის, ერაყის, კავკასიის მცხოვრებთა) კრებითი სახელი.

მინბარი – (არ.) კათედრა საკრებულო მიზგითში (*ჯამი*-ში), საიდანაც მოძღვარი (იმამი, მოლა) ქადაგებას წარმოთქვამს.

მუჰაფაზა/მოჰაფაზა – (არ.) უმსხვილესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არაბულ ქვეყნებში.

მუეძინი – (არ.) მიზგითის მინარეთიდან მორწმუნე მუსლიმთა ნამაზისაკენ მომწოდებელი.

ნამაზი – (არ.) მუსლიმთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ უნდა შესრულდეს.

ნაციონალური ბურჟუაზია – კლასი, რომელიც მოგებას ღებულობს ეროვნული ეკონომიკის განვითარების შედეგად.

პარაზიტული ბურჟუაზია – ბიუროკრატიასთან და კრიმინალურ სამყაროსთან შეზრდილი, კორუფციასა და ხაზინის ქურდობაზე აღმოცენებული კლასი „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში.

პროზელიტიზმი – (ბერძ.) სხვა რელიგიაზე გადასვლისაკენ მოწოდება, ხელშეწყობა, იძულება.

შაჰრესთანი – (სპ.) უმსხვილესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ირანში.

საბაელები/საბიები – მცირე (15-30 ათასი ადამიანი) რელიგიური ჯგუფი სამხრეთ ერაყში, რომლის რწმენა მოიცავს ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტებს. რელიგიურ ცერემონიებში იყენებს არამეულ ენას. მათ უწოდებენ აგრეთვე „მანდაელებს“ და ხანდახან მოიხსენიებენ, როგორც „იოანე ნათლისმცემლის ქრისტიანებს“.

სურა – (არ.) ყურანის ნაწილი, თავი. ყურანში სულ 114 სურაა.

სუნა – (არ.) მოდელი, რომელიც ძირითადად *ჰადისებს* (იხ.) ეყრდნობა; მუსლიმთა უმრავლესობის, სუნიტების, წმინდა წიგნი, რომელსაც არ ცნობენ შიიტები.

სფარადი ან სეფარდი (მრ. სფარადიმ) – (ებრ.); „ესპანელი“, ებრაელთა სუბეთნიკური ჯგუფი, ესპანეთიდან და პორტუგალიიდან XV საუკუნის ბოლოს განდევნილი ებრაელების შთამომავლები, რომლებიც მაღრიბში (მაროკო, ალჟირი, თუნისი) და ოსმალეთში გადასახლდნენ.

ულამა ან ულემა – (არ.) მუსლიმი თეოლოგები.

ფათვა – (არ.) რელიგიური იურიდიული ვერდიქტი ისლამში.

ჯიჰადი – (არ.) [მუსლიმების] წმინდა ომი ურწმუნოების წინააღმდეგ; იგივეა, რაც „ჰაზავათი“.

ჰადისი – (არ.) (მრავლობითში – *აჰდასიმ*) ტრადიციები; გადმოცემა მოციქულ მუჰამმადის მიერ გამოთქმული აზრებისა და მისი ცხოვრების შესახებ.

ჰალახა – (ებრ.) იუდეველთა რელიგიური კანონი.

fait accompli – (ფრ.) „დამთავრებული საქმე“; დიპლომატიაში – მომხდარი ფაქტი, ისეთი რამ, რაც შეუქცევადია.

interregnum – (ლათ.) „მეფობათაშორისი ხანა“; უმეფობის პერიოდი, დროის მონაკვეთი მიმავალ და მომავალ ხელისუფლებას შორის.

lapsus lingua – (ლათ.) წამოცდენილი სიტყვა.

lingua franca – (იტ.) ეთნოსთაშორისი ურთიერთობის ენა – შუამავალი.

raison d'etre – (ფრ.) „არსებობის მიზეზი“; დიპლომატიაში – მოვლენის, ფაქტის არსებობის გამართლება.

realpolitik – (გერმ.) „რეალური პოლიტიკა“; გულისხმობს პრაგმატულ პოლიტიკურ სტრატეგიას, რომელსაც არა აქვს რაიმე მორალური შეზღუდვა.

status quo ante bellum – (ლათ.). „მდგომარეობა, როგორიც იყო ომის წინ“; ხშირად იწერება შემოკლებით, როგორც „status quo“.

ლიტერატურის სიაში და ციტირებისას გამოყენებული შემოკლებები

გსს – გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თუგ – თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქდ – ქართული დიპლომატია, წელიწდეული
ქ~ც – ქართლის ცხოვრება
ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ძვ. ქართ. – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები
BJMES – The British Journal of Middle Eastern Studies
BP – British Petroleum
BRISMES – The British Society for Middle Eastern Studies
CIA – Central Intelligence Agency, USA
DY – Demographic Yearbook, United Nations
Enc. Brit. – Encyclopedia Britannica
JP – The Jerusalem Post
IHT – The International Herald Tribune
IMF – International Monetary Fund
MEaNA – The Middle East and North Africa, Europa Publications
MESC – Middle East Contemporary Survey
NYT – The New York Times
OUP – Oxford University Press
SYUN – Statistical Yearbook, United Nations
WSJ – The Wall Street Journal
ДС – Дипломатический словарь в трех томах
ИД – История дипломатии
СИО – Советско-израильские отношения

გამოყენებული ლიტერატურის სია

ალასანია, გიული. საქართველოს დამოკიდებულება ოსმალეთთან ქაღალდზე და რეალობაში. *აღმოსავლეთი და კავკასია*, N1. თბილისი: საარი, 2003, გვ. 19-26

ბერძენიშვილი, ნიკო. მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, I, თბილისი, 1965

ბიბლია. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1989

გაბაშვილი, ვალერიან (რედ.). *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა)*. თბილისი: თუგ, 1957

გამყრელიძე, თამაზ. საქართველო ევროპაა თუ აზია? *საქართველოს რესპუბლიკა*, 26 ივნისი, 1999

გაჩეჩილაძე, რევაზ. *ახლო აღმოსავლეთი: ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა*. თბილისი: გსს, 1977

————— , შაავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა: რეტროსპექტივა და თანამედროვეობა. *ქდ, 6*. თბილისი: თუგ. 1999; გვ. 336-365

————— , უცხოეთის სახელმწიფოების სარკინიგზო პოლიტიკა ოსმალეთში პირველ მსოფლიო ომამდე. *თსუ სტუდენტური შრომების კრებული*, ტ. 9. თბილისი: თუგ, 1965

————— , ქართველური მოსახლეობა თანამედროვე თურქეთში. *მიმომხილველი, ტ. 6-9*. თბილისი: თუგ, 1972, გვ. 553-539

————— , *ჩემი მეოცე საუკუნე: ნინა საუკუნის საქართველო მსოფლიო ისტორიისა და გეოპოლიტიკის კონტექსტში*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008

გიგინეიშვილი, ოთარ. *თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა*. თბილისი: ცოდნა, 1963

გეგეშიძე, არჩილ. *გეოპოლიტიკა*. თბილისი: ESM, 1997

დავითაშვილი, ზურაბ. ნაციონალიზმის სახეები გლობალიზებულ მსოფლიოში. (რედაქტორები) დავით მუსხელიშვილი და მარიამ ჩხარტიშვილი: *ეთნიკურობა და ნაციონალიზმი*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუტთაშორისო სემინარის მასალები I. თბილისი: ინტელექტი, 2002, გვ. 124-130

თორა ქართულ ენაზე ებრაულ ტექსტთან ერთად. მთარგმნელები აბრამ მამისთვალოვი, თამარ მამისთვალოვ-კეზერაშვილი, გერშონ ბენ-ორენი (ნინუაშვილი). იერუშალაიმი: შუქურა, 1995

თორის ხუთწიგნეული ქართულ ენაზე. მთარგმნელი და რედაქტორი შალომ დავიდი. თელ-ავივი: საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი, 1996

თოფურია, პავლე. „ქართლის ცხოვრების" გეოგრაფიული ნომენკლატურიდან (აზერბაიჯანი). *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, II*, თბილისი: თუგ, 1999, გვ. 53-64

ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი (შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გოჩა ჯაფარიძისა). თბილისი: ნეკერი, 1999

კაციტაძე, დავით. მე-18 საუკუნის სპარსული დოკუმენტური წყაროები ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. *ქართული დიპლომატია*. ტ. 8, თბილისი: თუგ, 2001, გვ. 157-173

კუცია, კარლო. გორჯესტანის ვალი. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, II*, თბილისი: თუგ, 1999, გვ. 80-87

მენაბდე, ლევან. *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. II. თბილისი: თუგ, 1980.

მეტრეველი, როინ. *დავით IV აღმაშენებელი: ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა*. თბილისი: გსს, 1990

მუსხელიშვილი, დავით და მარიამ ჩხარტიშვილი (რედაქტორები). *ეთნიკურობა და ნაციონალიზმი*, I. თბილისი: ინტელექტი, 2002

ნაჭყებია, ნოდარ. *თურქეთი*. თბილისი: თუგ, 1970

————— , *ირანი*. თბილისი: თუგ, 1972

ნაჭყებია, ნოდარ და მიხეილ სვანიძე. *გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ*. ბათუმი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1960

ნედოსპასოვა, მარიამ. კვირეულის დღეთა ტიპოლოგიისათვის შაბათის კალენდა-

რულ სისტემაში. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, ტ. II, თბილისი: თუგ, 1999, გვ. 183-194

რადვანი, უან და ნიკოლოზ ბერუჩაშვილი. კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 (თარგმანი ფრანგულიდან)

რონდელი, ალექსანდრე. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996

სანიკიძე, გიორგი. შიიზმი და სახელწიფო ირანში. თბილისი: უნივერსალი, 2005

სანიკიძე, გიორგი, გიული ალასანია, ნანი გელოვანი. ახლო აღმოსავლეთი და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIX ს. – XXI ს. დასაწყისში. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011

სვანიძე, მიხეილ. ოსმალეთის ისტორია (XIV–XVI სს.), თბილისი: ქრონოგრაფი, 1999

ფერაძე, გრიგოლ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბილისი: კანდელი, 1995

შენგელია, ლუიზა. საქართველოს რუსეთთან შეერთების გამოძახილი ირანულ ისტორიოგრაფიაში. *ქდ.* ტ. 8. თბილისი: თუგ, 2001, გვ.190-202

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი: სახელგამი, 1955; ტ. II. თბილისი: გსს, 1959; ტ. IV. თბილისი: გსს, 1973

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2, თბილისი, 1977

ქართული დიპლომატიური ლექსიკონი. თბილისი: თუგ, 1997-1999

ყურანი. სურა მესამე, სურა მეოთხე, სურა მეხუთე. თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა. თბილისი: უნივერსალი, 2009

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V– X სს.) ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963

ჯავახიშვილი, ივანე. თბ ზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბილისი: მეცნიერება, 1983

ჯაფარიძე, გოჩა. საქართველო და ახლო აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII ს. – XIII ს-ის პირველ მესამედში. თბილისი: მეცნიერება, 1995

————, *თანამედროვე სირია.* თბილისი, 1984

————, XIV საუკუნის არაბი ენციკლოპედისტი ჯვრის მონასტრის შესახებ. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია,* 3, 1985, გვ. 179-186

ჯაფარიძე, გოჩა და გოჩა ბუაჩიძე. მამლუქი სულთნების ორი ბრძანებულება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს კოლექციიდან. *ქდ.* ტ. 8. თბილისი: თუგ, 2001, გვ. 220-242

ჯაფარიძე, თამარ. სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წწ.). *ქდ.* ტ. 7. თბილისი: თუგ, 2000, გვ. 264-300

Большинство в мире за вывод войск из Ирака. *BBC World Service,* 7 September, 2007

Васильев, Алексей. *Россия на Ближнем и Среднем Востоке: от мессианства к прагматизму.* Москва: Наука.1993

Васильев, Леонид. *История религий Востока (религиозно-культурные традиции и общество). Москва: Высшая школа. 1983*

Гамкрелидзе, Ираклий. *Механизм формирования тектонических структур и некоторые общие проблемы тектогенеза.* Тбилиси: Мецниереба, 1976

Гачечиладзе, Реввз. *Турция.* Москва: Мысль, 1983

Готлиб, В. В. *Тайная дипломатия во время первой мировой войны* (перевод с *английского*). Москва: Соцэкгиз, 1960.

Джаошвили, Вахтанг. *Население Грузии.* Тбилиси: Мецниереба, 1968

Дипломатический словарь в трех томах (Четвертое издание). Москва: Наука. 1985

Дружиловский, С. Б. Исламская модель развития как альтернатива вестернизации восточного общества (вопросы теории и практики). В: *Мусульманские страны у границ СНГ.* Москва: ИВРАН-Крафт+, 2002. стр. 96-115

Еремеев, Дмитрий. *На стыке Европы и Азии: очерки о Турции и турках.* Москва: Наука, 1980

Жаботинский, Владимир. О железной стене. *Окна* (еженедельное дополнение к газете «Вести»), 13 апреля 2000.

Иванов, М. С. *Очерк Истории Ирана.* Москва: Госполитиздат, 1952

История дипломатии. Том II. Москва: Политиздат, 1963; Том III. 1965

Колосов, Владимир и Мироненко, Николай. *Геополитика и политическая география.* Москва: Аспен-Пресс. 2001

Коран. Перевод смыслов и комментарии Валерии Пороховой. Москва, 1993

Лаврова, Татьяна. *Черноморские проливы (исторический очерк). Ростов-на -Дону,* 1997

Лудшувейт, Евгений. *Турция в годы первой мировой войны 1914-1918 гг. Военно-политический очерк.* Москва: Издательство московского университета, 1966

Мамедова, Нина. Иран сегодня. *Свободная Мысль,* N1, 2009

Массе, Анри. *Ислам: очерки истории* (перевод с французского). Москва: Издательство восточной литературы, 1963

Минасян, Сергей. Израильско-курдские отношения в контексте политических процессов на Ближнем и Среднем Востоке. *21-й Век.* [Ереван] №2, 2007, стр. 88-108

Мунчаев, Ш. М. (ред.) *Политическая история российского государства.* Москва: «Культура и спорт» , 1998

Новичев, Арон. *Очерки экономики Турции до мировой войны.* Москва-Ленинград, 1937

———— , *Краткая история Турции.* Москва: Наука, 1965

Пайпс, Ричард. Время империй прошло. *Аргументы и Факты* (международное издание). №1, 2001

Партизаны на поводке. Курдский терроризм был порожден советской разведкой. http://www.hist.ru/arh-tim.html [without date]

Рейнолдс, Пол. Разведслужбы США снимают накал страсти вокруг Ирана. *BBC World Service 4* December, 2007

Тарасов, Станислав. Реален ли союз Анкара-Ереван? (http://www.regnum.ru/news/1438468.html

Тарле, Евгений. Англия и Турция. *Анналы,* №3, 1923

———— , *Европа в эпоху империализма.* Москва-Ленинград, 1928

Советско-израильские отношения. Сборник документов. Том 1, 1941 – 1953. Москва: Международные отношения, 2000

СССР–Германия 1939-1941. Документы и материалы о советско-германских отношениях с сентября 1939 г. по июнь 1941 г. Том 2. Вильнюс: Мокслас, 1989

Фромер, Владимир. Первая война: май 1948 – июль 1949. *Окна* (еженедельное дополнение к газете «Вести»), 13 мая 2003.

Фукс, А.К. Германская политика в Персии. *Новый Восток,* № 20/21, 1928

Фурман, Дмитрий. Армянское национальное движение: история и психология. *Свободная мысль* [Москва], № 16, 1992, стр. 12-23

Хаимович, Мордехай. Великие шесть дней. *Семь дней* (Приложение к газете «Новости недели»), 1 августа 2002

Черных, Евгений. Сергей Кургинян: «Обама снимает маску! И приступает к глобальному переделу мира». *АП.* 24.02.2011

Чилит, Ольга. Неизбежность нестандартного решения: «Поселения были нашей стратегической ошибкой», так считает полковник Шмуель Ал'бек. *Вести.* 3 июля 2002

Abu Toameh, Khaled. Sadam gave Arabs sense of pride, says Palestinian historian. *JP,* March 23, 2003

Anderson, Ewan W. *The Middle East: Geography and Geopolitics.* London & New York: Routledge, 2001

Aras, Bulent. *The New Geopolitics of Eurasia and Turkey's Position.* London: Frank Cass, 2002

Babahan, Ergun. in: *Today's Zaman,* April, 9, 2011

Bacık, Gökhan & Havva Karakaş-Keleş. The Iraqi question in the international context and its domestic reflections. *The Turkish Yearbook of International Relations,* vol. XXXII. Ankara: University of Ankara, 2001, pp. 79-81

Ballard, Robert D. Black Sea mysteries: ancient shipwrecks and telltale shells bring to life epics of distant trade and prehistoric flood. *National Geographic,* No 5, 2001, pp.52-69

Banerjee, Neela. Arabs have a litmus test for U.S. handling of Iraqi oil. *NYT,* April 6, 2003

Barack Obama's speech on the Middle East, 1967 and all that. *The Economist.* May 19, 2011

Bar'el, Zvi. Damage control. *Ha'aretz,* March 28, 2003

———— , Failure on every front: Turkey's decision not to cooperate with the US in the war against Iraq has far-reaching negative consequences. *Ha'Aretz,* June 11, 2003

Barringer, Felicity. Where, the census asks, did those Iraqi men go? Hiding, dead or maybe there after all? *IHT,* August 8, 2003

Barzilai, Amnon. A brief history of missed opportunity. *Ha'Aretz,* June 5, 2002.

Benziman, Uzi. The sound of one opinion clapping. *Ha'aretz,* August 30, 2002

Biger, Gideon (ed.). *The Encyclopedia of International Boundaries.* New York: Facts On File, 1995

Blanche, Ed. Jordan's nightmare: Amman fears Sharon will use the Iraq war for 'ethnic cleansing' and drive Palestinians into kingdom. *The Middle East,* No 329, December 2002, 20-22

Bloch, Daniel. Anniversary of missed opportunities. *JP,* June 3 2002

Boggs, S.W. *International Boundaries: A Study of Boundary Functions and Problems.* New York: Columbia University Press, 1940

Borovoy, Yacov, Nina Mamedova & Mikhail Nosov. *Iran and its neihgbors.* Moscow: Foundation "East-West Bridges", 2003

Boustani, Rafik & Philippe Fargues. *The Atlas of the Arab World: Geopolitics and Society.* New York & Oxford: Facts on File, 1991

BP, Statistical Review of World Energy, 2011

Brom, Shlomo & Yiftah Shapir (eds.). *The Middle East Military Balance 2001-2002. Jaffee Center for Strategic Studies, Tel Aviv University.* Cambridge, Mass. & London: The MIT Press, 2002.

Brown, Carl L. (ed.). *Imperial Legacy: The Ottoman Imprint on the Balkans and the Middle East.* New York: Columbia University Press, 1996

Brzezinski, Zbigniew. *From Hope to Audacity: Appraising Obama's Foreign Policy.* Foreign Affairs, January/February 2010

Bush, George. Full text of President Bush's address. *JP,* June 25, 2002

Burke, Jason. *Qatar's decision to send planes to Libya is part of a high-stakes game.* Guardian, March 24, 2011

CIA, The World Factbook, 2011

Clinton, Bill. *How can the Middl e East diversify its social and economic development. UCLA Burkle Center for International Relations and the government of Qatar Conference "Enriching the Middle East's Economic Future".* Doha, 2006

Cornell, Svante E. Autonomy as a source of Conflict: Caucasian Conflicts in Theoretical Perspective. *World Politics,* Vol. 54, January 2002, pp.245-276

Curtis, G.E. (ed.). *Armenia, Azerbaijan and Georgia: Country Profiles.* Lanham, MD: Berman, 1996

Cust, L.G.A. *The Status Quo in the Holy Places.* London, 1929. (Reprinted: Jerusalem: Ariel Publishing House, 1980)

Craig, Sir James. A life with Arabs. *BRISMES,* 2001. pp. 141-150

Cockburn, Andrew. Lines in the Sand. Deadly times in the West Bank and Gaza. *National Geographic,* October, 2002

Daley, Stephanie (ed.). *The Legacy of Mesopotamia.* Oxford: OUP, 1998

Desalination: Drops to drink. *The Economist,* July 19, 2011

Defries, Harry. *Conservative Party Attitudes to Jews 1900-1950.* London: Frank Cass, 2002

Demographic Yearbook 2000. New York: United Nations, 2002;

Dobbs, Michael. Rumsfeld and Saddam: when America tilted toward Baghdad. Not so long ago, Washington made Iraq a valued ally. *ITH,* December 31, 2002-January 1, 2003

Dodgshon, Robert A. *Society in Time and Space: A Geographical Perspective on Change.* Cambridge: Cambridge University Press, 1998

Drysdale, Alisdair D. Transboundary interaction and political conflict in the Central Middle East: the case of Syria. In: Clive H. Schofield & Richard N. Schofield (eds.) *The Middle East and North Africa. World Boundaries Series,* Vol.2. London & New York: Routledge, 1994, pp. 21- 34

Drysdale, Alisdair D. & Gerald H. Blake. *The Middle East and North Africa: A Political Geography.* New York & Oxford: OUP, 1985

Edwards, Mike. Central Asia unveiled. *National Geographic,* February, 2002, pp. 108-125

Egyptian justice:The humbling of Hosni Mubarak. *The Economist.* August 3, 2011

Eldar, Akiva. Resolution 242 is Sharon's new darling. *Ha'Aretz,* June 10, 2002

————— , Arafat to Ha'aretz: I accept Clinton's plan; peace is possible. *Ha'aretz,* June 21, 2002

————— , News from the microcosm. *Ha'aretz,* April 3, 2003

Elliot, Michael. Guilt complex: Europe's view on the Middle East is shaped by history and the Holocaust. *Time,* April 29, 2002

Encyclopaedia Britannica. 11th edition, 1911

Encyclopedia Britannica. 15th edition, 1997

Endelman, Todd M. & Tony Kushner (eds.). *Disraeli's Jewishness.* Valentine Mitchell, 2002

Ergüvenç, Sadi. Turkey's Security Perceptions, *Perceptions*, Vol. 3, No. 2 June-August 1998

Erol, M. S. *Türk Birleşik Devletler.* Istanbul, 1999

Fandy, Mamoun. No Arab tears for Saddam. *IHT*, April 11,2003

Faisal Islam. *When will we buy oil in euros? The Observer*, February 23, 2003

Feldman, Shai & Yiftah Shapir (eds.). *The Middle East Military Balance 2000-2001. Jaffee Center for Strategic Studies, Tel Aviv University.* Cambridge, Mass. & London: The MIT Press, 2001.

Filkins, Dexter. The fear haunting Ankara: independence for the Kurds. *IHT*, February 22-23, 2003

Finkel, Michael. Bethlehem 2007 A.D. *National Geographic.* Vol. 212, No 6, December, 2007, pp. 58-85

Finkelstein, Israel and Neil Asher Silberman. *The Bible Unearthed: Archaeology's New Vision on Ancient Israel and the Origins of its Sacred Texts.* New York: Free Press, 2001

Fisher, W.B. *The Middle East. A Physical, Social and Regional Geography.* 5th edition. London: Methuen, 1966

Forte, David M. Understanding Islam and the radicals. *Journal of South Asian and Middle Eastern Studies.* Vol. 26, No 1, 2002, pp. 4-10

Foxman, Abraham. Europe's anti-Israel excuse for anti-Semitism. *The Washington Post*, June 27, 2002

Friedman, Thomas L. Iran's Third Wave. *NYT*, June 16, 2002

————, America's revolutionary power. *IHT*, April 3, 2003

Friese, Kai. Hindu zealots are rewriting history. *IHT*, January 1, 2003

Fromkin, David. *A Peace to End All Peace: Creating the Modern Middle East 1914-1922.* (First edition: Andre Deutsch, 1984), 2001

Fuller, Graham E. The future of political Islam. *Foreign Affairs*, Vol. 81, No 2, March/April, 2002, pp. 48-60

Islam and the Arab revolutions. A golden opportunity? *The Economist.* March 31, 2011

Islam and democracy: uneasy companions. *The Economist*, August 6, 2011

Islam and the Arab spring. Bring the Islamists in: they did not cause the uprisings yet they must be drawn into the hoped-for new democracies. *The Economist.* August 6, 2011

Is the [Egypt] revolution good for business? *The Economist*, August 13, 2011

Gachechiladze, Revaz. Georgia and the Middle East: Geopolitical visions and practices. *"The Consequences of Social, Political and Spatial Change in Poland and Georgia". II Seminarium Naukowe Geografów Polski, Gruzji i Wielkiej Brytanii, 3-4 lipca 1998.* Lódz [Poland], 1998

————, *The New Georgia: Space, Society, Politics.* London: UCL Press, 1995,

Galbraith, Peter W. *The End of Iraq: How American incompetence created a war without end.* Simon & Schuster. London 2006.

Gause, F. Gregory III. Why Middle East Studies Missed the Arab Spring: The Myth of Authoritarian Stability. *Foreign Affairs*, Vol. 90, N 4

Giddens, Anthony. *Sociology.* London: Polity Press, 1991

Gonen, Rivka. *Biblical Holy places: an illustrated guide.* Herzlia: Palphot, 1999

Haktabi, Ran'ia. The Lebanese Census of 1932 revisited: who are the Lebanese? *BJMES*, Vol. 26, No 2, 1999, pp. 219-241

Handwerker, Haim. Don't blame the messenger. *Ha'aretz Magazine.* June 21, 2002

Hamburger, Tom & Jim Vander Hei. Christian right chooses Israel as worthy cause. *WSJ*, May 23, 2002

Hamid, Shadi, *Arab elections: free, sort of fair... and meaningless. Foreign Policy.* October 2010

Heffernan, Michael. *The Meaning of Europe: Geography and Geopolitics.* London: Arnold, 1998

Herzl, Theodor. *Der Judenstaat. Versuch einer Modernen Lösung der Judenfrage.* Leipzig & Wien: M. Breitenstein's Verlag-Buchhandlung, 1986

Hettzberg, Arthur. Democratic? Or pragmatic? *Ha'aretz*, June 21, 2002, B5

Hopwood, Derek. Earth's proud empires pass away: British moment in the Middle East. *BRJMES*, 2002, 29, 2, pp. 109-120.

Hourani, Albert. *A History of the Arab Peoples.* London: Faber & Faber, 2001

Huntington, Samuel P. *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order.* New York: Simon & Schuster, 1996

Inbar, Efraim. *The Israeli-Turkish Entente.* King's College London Mediterranean Studies. Tuwkesbury Printing Company [2002]

IMF, World Economic Outlook, 2011.

Janin, R. Les Géorgiens a Jérusalem. *Échos d'Orient*. Tome XVI, Annee 1913. pp. 232-238. [რ. ჟანენი. ქართველები იერუსალიმში. ავტორის ნინასიტყვაობით. თარგმანი შალვა ვარდიძისა. სტამბოლი 1921; ხელახლა დაიბეჭდა: ჟურნალი „*რელიგია*",10. 1992, გვ. 4-21]

Joffé, George. Territory, state and nation in the Middle East and North Africa. in: Clive H. Schofield & Richard N. Schofield (eds.) *The Middle East and North Africa. World Boundaries Series*, Vol.2. London & New York: Routledge, 1994, pp. 1- 21

Jones, Clive. Ideo-theology and the Jewish state: from conflict to conciliation? *BJMES*, Vol. 26, No 1, 1999, pp. 9-26

Judson, David. *The other 'side' of the story of turmoil, Hürriyet Daily News* May 6, 2011

Karabell, Zachary. *Parting the Desert: The Creation of the Suez Canal.* New York: Alfred A. Knopf, 2003

Kaufman, Asher. Who owns the Sheba'a Farms? Chronicle of a territorial dispute. *The Middle East Journal.* Vol. 56, No 4, 2002, pp. 576-596

Keinon, Herb. Bush urges Palestinians: Jerusalem delighted, Palestinians distraught. *JP*, June 25, 2002

Keller, Werner. *The Bible as History.* New york, etc.: Bantam Books. 1982

Khamaisi, Rassem. Management transformation of statutory planning system in Jerusalem area. *The Arab World Geographer.* Vol.2, No 2, 1999, pp. 116-138

Kimmerling, Baruch. Tragic for us all, our own Greek hero. *Ha'aretz*, April 4, 2003

Kliot, Nurit. The delimitation of the Egyptian-Israeli boundaries 1906-1986. Blake, Gerald H. & Richard N. Schofield (eds.). *Boundary and State Territory in the Middle East and North Africa.* [London]: MENAS Press, 1987

Kristof, Nicholas D. A White House skilled in the art of self-deception. *IHT*, June 14-15, 2003

Lacey, Robert. *Inside the Kingdom: Kings, Clerics, Modernists, Terrorists and the Struggle for Saudi Arabia.* London: Arrow Books, 2009

Land Grab. *Israel's Settlement Policy in the West Bank.* B'tselem. [Jerusalem], May 2002

Lapidoth, Ruth. Israel and the Palestinians: some legal issues. *Die Friedens-Warte. Journal of International Peace and Organization.* Band 76, heft 2-3, 2001. pp. 211-240

————, Legal aspects of the Palestinian refugee question. *Jerusalem Viewpoints*. Jerusalem Center for Public Affairs. No. 485, 1 September, 2002

Lewis, Bernard. *The Middle East and the West.* New York & London: Harper textbooks, 1989

————, *The Multiple Identities of the Middle East.* New York: Schocken Books, 1999

————, *What Went Wrong? Western Impact and Middle Eastern Response.* London: Phoenix, 2002

————, A question and answers. *WSJ*, April 3, 2003

Lombardi, Daniela. Cyprus: a divided island. Economic and demographic gaps between North and South as a result of the unsolved conflict berween Cypriot communities. *Geographica Slovenica*, vol. 34, N1, 2001, pp.189-205

MacFarquhar, Neil and Ethan Bronner. Report Finds Naval Blockade by Israel Legal but Faults Raid. *NYT*. September 1, 2011

Matthews, Owen & Babak Dehghanpishen. *War on two fronts: under U.S. battle plan, Turkey will occupy north Iraq – antagonizing the Kurds.* Newsweek, February 24, 2003, 29-32

McDowall. D. *A Modern History of the Kurds.* London: I.B. Tauris, 1996

Middle East Contemporary Survey, vol. XXIII, 1999. *The Moshe Dayan Center for Middle Eastern and African Studies, The Shiloah Institute*, Tel Aviv University. Tel Aviv, 2000

Moore, Molly. In the 'Wild East,' Israel grows a hilltop at a time: West Bank's Jewish population skyrockets. *IHT*, December 9, 2002

Morris, Benny. *The Road to Jerusalem: Glubb Pasha, Palestine and the Jews.* London: I.B.Tauris, 2002

Necipoğlu, Nevra. The coexistence of Turks and Greeks in medieval Anatolia. *Harvard Middle Eastern and Islamic Studies*, Vol 5. 1999-2000. pp. 58-76

Newman, David. Stickiness of the Green Line. *JP*. June 19, 2002

Obama's Speech in Cairo. NYT, June 4, 2009

Oğuzlu, Tarık H. The "Turkomans" as a factor in Turkish foreign policy. *Turkish Studies*. Vol.3, N 2., 2001, pp. 139-148

O'Loughlin, John (ed.). *Dictionary of Geopolitics.* Westwood, Connecticut & London: Greenwood Press, 1994

Oren, Michael. *Six Days of War: June 1967 and the Making of the Modern Middle East.* Oxford: OUP, 2002

Özcan, Azmi. *Pan-Islamism: Indian Muslims, the Ottomans and Britain (1877-1924).* Leiden: Brill, 1997

Pahlavi, Mohammad Reza. *Answer to History.* New York, 1980

Parker, Geoffrey. *Geopolitics: Past, Present and Future.* London & Washington: Pinter, 1998

Pfaff, William. Inside the Turkey question. *IHT*, December 10, 2002

Pipes, Daniel. How the Saudis buy friends. *JP*, December 11, 2002

Population and Vital Statistics 1998. State of Israel. Central Bureau of Statistics. Jerusalem, 1999

Ratzel, Friedrich. *Politische Geographie.* München: Oldenbourg, 1897

Riskin, Rabbi Shlomo. Unnamed Jerusalem. *JP*, August 2, 2002

Rogers, Paul. *Military Action Against Iran: Impact and Effects.* Oxford Research Group. July 15, 2010

Romann. Michael. Beyond territoriality: on conflicting narratives of the Israeli-Palestinian conflict. *Tel Aviv University News.* Winter, 2002-2003. p.5

Roy, Olivier. Europe will not be fooled by the U.S. again. *IHT*, May 14, 2003

Rubinstein, Danny. Nearly 500,000 people in eight camps. *Ha'Aretz*, 14 May, 2002

Said, Abdel Monem. Dissapointed by Bush: for Arabs, the Pharaoh is America. *IHT*, January 31, 2003

Said, Edward W. Islam Through Western Eyes, *The Nation*, April 26, 1980

————, *Orientalism.* Pantheon Books, 1978

Salih, Bahram. What Kurds Want. *WSJ*, April 23, 2003

Salvesen, Alison. The legacy of Babylon and Nineveh in Aramaic sources. Daley, Stephanie (ed.). *The Legacy of Mesopotamia.* Oxford: OUP, 1998, pp. 139-148

Sela, Avraham (ed.). *Political Encyclopedia of the Middle East.* Jerusalem: The Jerusalem Publishing House, 1999

————, (ed.). *The Continuum Political Encyclopedia of the Middle East (revised and updated edition).* New York & London: Continuum, 2002

Scaini, Maurizio. The Jerusalem issue in international politics. *Geographica Slovenica*, vol. 34, N1, 2001, pp. 207-215

Schechter, Erik. Separation anxiety: Good fences make good neighbors, wrote Frost. They also make strange bedfellows. But will the fence bring Israel security? *JP*, June 20, 2003

————, Is nuclear ambiguity an anachronism? Israel is believed to be the sixth largest nuclear power in the world, and everyone in the country knows about the reactor in Dimona. So why is talking about it a taboo? *JP*, July 4, 2003

Schiff, Ze'ev. Al-Qaeda: 'We're waging war against U.S. because of Israel'. *Ha'Aretz*, December 1, 2002

————, Iran's road to nuclear arms. *Ha'Aretz*, February 23, 2003

Schofield, Richard N. (ed.). *Territorial Foundation of the Gulf States.* London: UCL Press, 1994

————, *The historical problem of Iraqi access to the Persian Gulf: the interrelations of territorial disputes with Iran and Kuwait, 1938-90. in: Clive H. Schofield & Richard N. Schofield (eds.) The Middle East and North Africa.* World Boundaries Series, Vol. 2. London & New York: Routledge, 1994a, pp. 158-172

Segev, Tom. *One Palestine, Complete· Jews and Arabs under the British Mandate.* (Translated from Hebrew by Haim Watzman). New York: Henry Holt and Company, 2000

Sharon, Ariel. The way forward in the Middle East. *NYT*, June 9, 2002

Shavit, Yaakov. From one God to sun God: Pharaoh Akhenaton and Moses. *Ha'aretz*, March 27, 2002

Siegman, Henry. Sharon rewrites the peace script. *IHT*, June 12, 2002

Sivan, Emmanuel. *Strong Religions. Chicago*: Chicago University Press, 2002

Smith, Jeff. US Military bases in the Middle East under Obama. *Grand Rapids Institute for Information Democracy.* November 17, 2010

Soffer, Arnon. *Rivers of Fire: The Conflict over Water in the Middle East.* Lanham et al.: Rowman & Littlefield Publishers, Inc. 1999

Sonyel, Salahi. *The Great War and the Tragedy of Anatolia (Turks and Armenians in the Maelstrom of Major Powers).* Ankara: Turkish Historical Society Printing House, 2000

Spencer, Robert *The truth about Muhammad, Founder of the World's most intolerable Religion.* Washington D.C.:Regnery Publishing, Inc. 2006

Statistical Yearbook, Forty third Issue. New York: United Nations, 1999

Stracke, Nicole. Kuwaiti port on Bubiyan Island: Playing with fire, *Arab News.com*, September 4, 2011

Syria's brave demonstrators: What makes unarmed protesters defy snipers and tanks for months? *The Economist*, August 27, 2011

Tamir, Yuli. The danger of seeing Netzarim as Tel Aviv. *Ha'Aretz*, May 6, 2002

The Armenian Massacre. Compiled by James Nazer. New York and Montreal: T & T Publishing, Inc., 1970

The Armenian Genocide. Facts and Documents. St. Vartan Press, 1984

The Middle East and North Africa. 55th edition. London: Europa Publications, 2009

The Europa World Yearbook. London: Europa Publications, 2002

The Turkish model: a hard act to follow. *The Economist*, August 6, 2011.

Time capsule. 1953: the year in review as reported in the pages of Time. [2003]

Tocci, Nathalie. *Cyprus and the EU accession process: inspiration for peace or incentive for crisis.* Turkish Studies. Vol.3, N 2. pp. 104-138

Turkey and America: unearthing the past, endangering the future, *The Economist*, October 18, 2007

Turkey's army at ease: The long battle between Turkey's politicians and generals seems over. *The Economist*. August 6, 2011.

Türkmen, Füsun. *Turkey and Korean War. Turkish Studies.* Vol.3, N 2. pp. 161-180

UN agency finds new uranium traces at Syrian site. *IHT*, February 19, 2009

Weigal, Meyer W., and Joel Carmichel (eds.) *Chaim Weizmann: a biography by several hands (with a preface by David Ben-Gurion).* London: Weidenfeld and Nicolson, 1962

Wattenberg, Ben. J. The bomb that wasn't. *WSJ*. May 20, 2002

Weinberg, David M. Tom Friedman's settlement obsession. *JP*, June 9, 2002

Werblowski, R. J. Zwi. *The Meaning of Jerusalem to Jews, Christians and Muslims.* Jerusalem: Ahva Press, 1995

Whibbey, Paul Michael & Ilan Berman. *The Geopolitics of water.* IASPS Research Papers in Strategy, N 10, Jerusalem & Washington, 2000

Wilson, Keith M. *Empire and Continent: Studies in British Policy from the 1880s to the First World.* London and New York: Mansell Publishing, 1982

Woodward, E.L. and Rohan Butler (eds.) *Documents on British Foreign Policy 1919-1939.* First Series, Vol. IV, 1919. London: HMSO, 1952

Wolff, Larry. *Inventing Eastern Europe. The Map of Civilization on the Mind of Enlightenment.* Stanford, CA: Stanford University Press, 1994

Yemen's turmoil: A power vacuum is enabling Yemen's southerners to do what they like. *The Economist*, June 30, 2011

Yung, Dietrich with Wolfgango Piccoli. *Turkey at the Crossroads: Ottoman Legacies and a Greater Middle East.* London & New York: Zed Books, 2001

Zürcher, E.J. *Turkey: a Modern History.* London: I.B. Tauris, 1993

საძიებელი

ა
აბადანი 54, 59, 216
აბალი 268
აბსორბირება 409-410
აბუ დისი 384
აბუ მუსა 37
აბუ-დაბი 54
აგლომერაცია 36-67, 318
ადენი 21, 37, 207, 210, 215, 277-278, 339
ავესტა 97, 161
ავსტრალაზია 256
ავსტრალია 45, 84, 105-106, 270, 320
ავსტრო-უნგრეთი 206, 210, 374
ავტარკია 146, 431
ავტორიტარული რეჟიმი 328
ავღანეთი 13, 16, 22, 32, 100, 113, 166, 190-193, 196-197, 211, 319
აზერბაიჯანი 17-21, 32, 35, 53, 66, 108, 113, 117, 122, 133, 168, 177-178, 188-192, 195, 200, 218, 238-239, 259, 296, 300-302, 320
აზია 15-22, 31-35, 39, 44-45, 53, 66, 81, 85-88, 117, 120, 132, 135, 147-152, 160, 165-168, 172, 175, 180-182, 186-190, 193, 196, 213-214, 219, 236, 240, 247, 256, 270-272, 294, 296, 302, 309, 435
აიათოლა 143, 259, 301-302, 311, 324, 431
აიდინი 207
აკაბა 38
აკაბას ყურე 38-39, 212, 383
აკინჯი 182
აკო 383
აკროტირი 47
ალავიტები 98, 114, 220, 229-231, 262
ალ-აკსას მიზგითი 418, 429
ალბანეთი 108, 165, 188
ალევიები 114, 308
ალეპო 27, 89, 90, 219
ალექსანდრეტა (ისქენდერუნი) 219, 229-230, 329, 380
ალექსანდროპოლი (გიუმრი) 239
ალექსანდროპოლის ხელშეკრულება 238
ალთაური ენები 120
ალია 187, 406
ალ-კაიდა 100, 304, 319, 324, 334
ალ-კუდსი 219, 418, 425, 428
ალ-უდეიდი 282, 334
ალ-ყაზიმაინი 418
ალ-ჰარამ ალ-ხალილი 418
ალ-ჰარამ აშ-შარიფი 338, 418, 421, 425-428, 432
ალ-ჰასა 211, 234
ამასიის ზავი 177
ამერიკის შეერთებული შტატები 76, 226, 242, 276, 281, 297
ამირა 109, 131, 164, 167, 191, 206, 231, 234, 337, 351, 373
ანატოლია 33, 38-43, 66-67, 70, 130-134, 147, 150-151, 160, 169-174, 180-182, 185, 190, 193, 199, 207, 210, 221-222, 232, 236-240, 261, 307, 310
ანგლო-ფრანკო-თურქული ხელშეკრულება 290
ანკარა 44, 70, 90, 122, 173, 181, 230-232, 238-239, 251, 276, 290, 293, 299, 306, 311
ანკლავი 101, 104, 118, 134, 383, 431
ან-ნაფუდის უდაბნო 40-42
ან-ნაჯაფი 418
ანტანტა 36, 189, 206, 213-218, 225-227, 231, 239, 297
ანტიოქია 150, 151, 230, 417
აპენინის ნახევარკუნძული 175
არაბები 98, 106, 118, 127-129, 156, 160, 163-165, 188, 220, 236, 257, 312-313, 319-321, 371-372, 377-380, 383-386, 389, 392, 397-399, 402-407, 415, 420, 425, 427-428
არაბეთის ზღვა 34
არაბეთის ნახევარკუნძული 16, 37-43, 66-68, 86, 111, 129, 143, 148-149, 152, 156, 186, 194, 208, 211, 215, 218, 234, 248-254, 339, 347, 350
არაბეთის უდაბნო 40, 155
არამეელები 143-144
არამეული ანბანი 144, 148
არამეული ენა 95, 120, 143-144, 256, 433
არარატი 39, 140, 178
არაქი 268
არგენტინა 106, 407
არდებილი 190
არეზი (არაქსი) 21, 66, 168, 193, 196, 202
ართვინი 123, 238, 291
არიელი 413
არ-რიადი 28, 234, 334
არ-რუბ ალ-ხალის უდაბნო 40
არტაანი 123, 177, 203, 238, 291
ასი (ორონტი) 66, 70
ასირი 111, 215, 235
ასირია 142
ასირიელები 130, 134, 143, 307
ატლანტის ოკეანე 34, 248

აფრიკა 15, 21-22, 32, 37-39, 77, 81, 86, 103, 129, 163-165, 193, 212, 236, 251, 256, 270, 392
აფხაზები 133
აქადი 142
აქამანიანთა ირანი 97, 147-148
აშდოდი 147, 383
აშკელონი 147, 383
აშკენაზიმი 103, 431
აჭარა 177, 179, 203
ახალგაზრდა თურქები 128, 132-134, 187-189
აჰლ ალ-ქითაბ 157
აჰლ-ი ჰაკი (ალი ილაჰი) 308

ბ
ბაბ-ალ-მანდაბის სრუტე 32
ბაბილონელები 129, 142, 421, 427
ბაბილონი 95, 142-144, 147
ბაზელი 376, 385
ბათუმი 59, 238, 242
ბალკანეთი 15-16, 24, 32, 132, 150, 175, 181-183, 186, 199, 203, 217
ბალტიის ზღვა 175
ბალფურის დეკლარაცია 219-220, 223-225, 231, 253, 377
ბანდარ-ე აბასი 194
ბასრა 176, 208, 211, 214, 219
ბაქო 32, 59, 188, 195, 200, 242, 303
ბაღდადი 34, 89, 90, 148, 164, 165-166
ბაღდადის პაქტი 314
ბაღდადის რკინიგზა 208, 212, 239
ბაღდადის სახალიფო 166
ბაჰაიზმი 94
ბაჰრეინი 21, 37, 51, 79, 89, 92, 108-109, 113, 211, 244, 256, 339, 351
ბედუინები 89-91, 156, 220
ბეერ-შევა 383
ბეთელი 145
ბეთ-ეშელი 402
ბეთლემი 105, 151, 379, 384, 417, 423
ბეით-ჯალა 105, 384
ბეილერბეი 179
ბეილიქი 172-174, 180, 247, 431
ბეირუთი 89, 93, 107, 127, 189, 219-220, 226, 229, 335, 379, 392
ბეიტარ ილითი 413
ბელგია 78, 206, 215, 261, 280
ბელუჯისტანი 196
ბერლინი 133, 204, 208-213, 223, 242
ბერძნები 127, 135, 150, 165, 171, 183, 186, 217, 236-240, 304-306, 403
ბექაას ხეობა 229
ბიზანტია 15, 18, 36, 100, 129, 149-151, 154-155, 160-161, 165, 168-175, 181, 199, 203, 247-249, 260, 309, 372, 423-425
ბითლისი 222, 236
ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის კონვენცია 267
ბირეჯიქი 71
ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება 267
ბირჯანდი 197
ბოროტების ღერძის დოქტრინა 287, 304, 321
ბოსნია და ჰერცეგოვინა 186
ბოსფორის სრუტე 35-36, 139, 150, 154
ბუბიანი 316
ბულგარეთი 32, 36, 189
ბულგარელები 183, 186
ბუნებრივი მოძრაობა 75, 82
ბურგანი 53
ბურსა 90, 124, 133, 175, 181
ბუშეჰრი 268
ბუხარული ენა 120

გ
გაბის ხეობა 39
გაერთიანებული არაბული რესპუბლიკა 252, 259, 325
გაერთიანებული არაბული საამიროები 21, 54, 211, 244, 257, 339
გაზიკი 197
გალილეა 219, 383, 387, 408
გალილეის ზღვა 67, 379
გალუთი (დიასპორა) 372-373
განჯა 195
გენოციდი 134, 172, 284, 287, 299, 382
გენუა 181, 205
გეოპოლიტიკა 7, 13, 23-27, 54, 59, 68, 117-118, 122, 134, 148, 151, 166, 174, 180, 185-192, 196-198, 202-204, 207, 210, 216, 221, 225-226, 239, 242, 251, 261, 274-277, 283, 286, 290-292, 296, 299-302, 307, 310-312, 321, 324, 328-330, 339, 369-370, 378, 387, 392
გეორგიევსკის ტრაქტატი 201-202
გერბი 257
გერმანია 24, 59, 78, 89, 103, 119, 150, 185-189, 197-198, 204-217, 224-226, 236, 241-242, 261, 264, 269, 274, 290, 308, 320, 374, 375, 431
გერმანია-თურქეთის ხელშეკრულება 290
გეტო 373
გიბრალტარი 207
გივათ ზეევი 413
გილანი 41, 200
გილო 105, 412
გიური 102
გიხონი 419
გოდების კედელი 421
გოიმი 385, 427
გოლანის მაღლობი 115, 253, 266, 330, 388, 392, 404, 408-410
გოლგოთა 423-424
გორი 177

გრიგორიანობა 126
გულისტანის ზავი 195
გურია 179-180

დ

დამასკო 27, 67, 89-90, 165-166, 189, 208, 219, 229-231, 238, 248, 258, 266, 325, 330, 425
დამასკოს სახალიფო 165
დარ ალ-ისლამი 160, 166-168, 190, 427
დარ ალ-ჰარბი 160, 168
დარდანელის ოპერაცია 213
დარდანელის სრუტე 35-37, 203, 290
დარუბანდი 195, 200
დასავლეთ ნაპირი 10, 21, 38, 46-47, 53, 69, 101, 111, 231, 261, 337-338, 369-371, 386-388, 395-397, 405-415, 419
დაუდგენელი რელიგიის მოსახლეობა 105, 403-404
დაშთ-ე კავირის უდაბნო 40
დაშთ-ე ლუთის უდაბნო 40
დევშირმე 183
დეკელია 47
დელიმიტაცია 178, 219, 315
დემავენდი 39
დემარკაცია 253-254
დემილიტარიზებული ზონა 328
დემოგრაფიული აფეთქება 78, 81
დემოგრაფიული მეტოქეობა 75, 395, 407
დემოგრაფიული პროგნოზი 405
დემოკრატიზაცია 27, 252, 273, 289, 349, 353
დეპორტაცია 95, 132-134
დიარბაქირი 307
დიდი ბრიტანეთი 15, 22, 32, 36-37, 47, 54, 58-59, 186, 197-198, 204-206, 210-227, 231, 234-239, 274-276, 300, 314, 320, 369, 377-386, 399, 424
დიდი თამაში 196
დიდი მენდერესი 66
დიმონა 268
დიოფიზიტები 154
დიპლომატია 15, 26, 41, 61-62, 134, 186, 200-204, 213, 218-220, 242, 277-278, 284, 290, 301, 315-317, 327-328, 332, 338, 349, 384, 388, 393, 397-398
დოდეკანესი 237, 240
დროშა 97, 104, 167, 177, 217, 257-259, 292, 302, 310
დრუზები 98, 115, 231, 336, 402-403, 408
დუბაი 54, 109

ე

ებრაელები 75, 86, 93-97, 101-104, 116-120, 126, 130, 144-145, 152-153, 156, 161, 182, 193, 223-225, 231, 283, 331, 370-385, 392, 398, 402-407, 411-412, 417-433
ებრაული ახალშენები 8, 10, 101, 105, 286, 371, 384, 391, 395-396, 405-415
ეგვიპტე 7, 13-16, 21-25, 37-95, 100, 104-113, 125, 145-154, 160-161, 167, 176, 185-186, 205-212, 215, 218-220, 235, 241, 244, 252-268, 273, 277-278, 284-287, 309, 319, 325-328, 334, 338, 341-345, 350-352, 355-366, 378, 380, 383, 386-388, 392-395, 407-408
ეგვიპტე-ისრაელის საზავო ხელშეკრულება 328
ედირნე (ადრიანაპოლი) 181
ევრაზია 18, 32, 216, 340
ევრაზიულობის კონცეფცია 296
ევროპა 5-6, 15-24, 32, 35-36, 45, 48, 52-54, 57, 76-78, 82-84, 88-89, 105-106, 110, 119-120, 127, 141, 150-152, 161, 166, 169, 172, 175, 181-188, 193-196, 203-217, 222-226, 230, 242, 256, 257, 265, 270, 279-280, 290-293, 308-310, 327-328, 334, 340-341, 344, 355, 362-363, 371-376, 382, 384, 398, 404-408, 430
ევროპის საბჭო 20, 292
ევროპული კავშირი 22, 47, 292-293
ევფრატი 64, 66, 70, 71, 142, 165, 210
ეთიოპია 31, 69, 146, 152
ეთნიკური წმენდა 132, 407
ეთნოტერიტორიული კონფლიქტი 179, 285
ეიალეთი 176, 177, 431
ეილათი 38, 212, 388
ეინ კერემი 384
ეიპაკი (AIPAC) 283
ელ-ალამეინი 241, 382
ელბურსის მთები 38-39
ელინიზმი 149-150
ემიგრაცია 84, 98, 105-106, 131, 201, 376, 403, 406
ენოსისი 305
ერაყი 7, 10, 13, 16, 21, 33-34, 37, 40-42, 46-48, 50, 53-54, 57-71, 75, 79, 82, 85, 90-92, 98-100, 104-113, 118-123, 129, 134, 160, 177-178, 190, 198, 216-218, 221-223, 227, 231-234, 241, 244, 252-268, 275-277, 281-289, 295-301, 307-325, 333-334, 341-346, 350-355, 359, 366, 378, 386-388, 399, 409, 418, 432-433, 445
ერბილი 90, 313
ერევანი 179
ერზურუმი (არზრუმი) 150, 222, 236
ერთა ლიგა 223-236, 312, 329, 370, 378
ერთიანობა და პროგრესი 187
ეროვნული პაქტი 78, 106
ესპანეთი 119, 161, 165, 195, 319-320, 372-373, 433
ეფესი 66, 417
ეფრათა 413
ექვსდღიანი ომი 8, 69, 267, 278, 338, 387, 390-392, 395, 410

ვ

ვაკფი 338, 431-432
ვანი 222, 236, 295, 307
ვაშინგტონი 13, 16, 227, 261, 278, 283, 286-289, 296, 299, 319, 338, 358, 360-363, 393, 396, 411
ვაჰაბიზმი 111-113, 258
ვაჰაბიტები 111-113
ვენეცია 175, 181, 205, 373
ვილაიეთი 59, 211-215, 219, 221-223, 232, 307, 312, 329, 432

ზ

ზიხრონ-იაკოვი 377
ზოროასტრიზმი 97, 148-149, 154-155
ზოჰაბი 178
ზულფაგარი 197

თ

თაბორის მთა 417
თალიში 195
თანახი 95-97, 120, 153, 372, 421, 432
თანზიმათი 185
თბილისი 4, 18-20, 32, 134, 164, 167-177, 182, 191, 195, 201-202
თეთრი წიგნი 380-382
თეირანი 17, 27, 44-46, 89-90, 192, 196, 211-213, 266-269, 287, 300, 312, 324
თელ-ავივი 44, 145, 158, 298-300, 318, 377, 400, 412
11 სექტემბერი (9/11) 76, 285, 320
თიურქები 6, 117, 121, 132, 160, 166-171, 179, 182, 236
თოთხმეტი პუნქტი 227
თორა 95, 104, 140
თუნისი 13, 167, 356-365, 433
თურანი 31, 117, 188
თურანიზმი 117, 188-189, 200
თურქები 117-118, 121, 127-135, 150, 170-175, 181-189, 220, 230, 238, 257, 299, 304-307
თურქეთი 7, 10, 13-18, 21-22, 25, 32-41, 46-51, 57-71, 75, 79-92, 100-101, 107-125, 130-135, 150, 179-181, 187-189, 197, 206-207, 213, 220-221, 230-232, 236-244, 252-265, 273-276, 279-280, 284-287, 290-320, 329, 341-344, 348-349, 353-355, 380, 432, 435, 444-448
თურქესტანი 188
თურქმანჩაის ზავი 196
თურქმენები [ერაყის] 117, 121-122, 179, 232, 313
თურქმენეთი 32, 35, 117, 121, 259

ი

იაკობიტები 154
იამითი 408
იანბუ 37
იარმუკი 69
იაფო 52, 85, 91, 147, 208, 377, 380, 383, 400
იაჰვე 145, 372, 376, 412, 422
იეზიდები 134, 308
იემენი 14, 21, 25, 41, 46, 50-55, 61-63, 79-92, 108-113, 119, 177, 211, 215, 234-235, 244, 248, 252, 256-261, 276-278, 325, 338-339, 343, 346, 350-360, 380, 432
იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 244, 339
იერუსალიმი 8, 10, 13, 27, 43-47, 81, 91, 96, 105-107, 145, 151, 154, 171-172, 180, 185, 189, 208, 218-221, 260, 286-287, 309, 331, 337-338, 372-373, 379-389, 393-397, 400, 404, 408, 412-440
იეშივა 119
იზმირი (სმირნა) 89, 90, 169, 207, 236, 238
იკტა 169, 174
ილი 70, 90, 114, 220, 230, 240, 432
ილხანთა იმპერია 171
იმამათი 215, 338
იმამი 114, 190, 234, 427, 432
იმბროსი 237, 240
იმერეთი 178, 179
იმიგრაცია 75, 82-86, 130-132, 242, 348, 375-382, 402-407
იმპერიალიზმი 23, 186, 201-203, 209-213, 384
ინგლისი 37, 54, 86, 127, 166, 184-185, 194-195, 206-217, 223-225, 258, 319, 380
ინდოევროპული ენები 6, 122
ინდოეთი 16, 32-38, 55-57, 60, 85, 88, 91, 97, 163-165, 177, 187, 194, 197, 207-208, 215-216, 266, 270, 275, 378, 448
ინდოეთის ოკეანე 34, 194, 270
ინთიფადა 105, 261, 394, 398, 429
იომ-ქიფურის ომი 8, 60, 392
იორდანე 39, 46, 66, 69, 71, 145, 231, 337-338, 369
იორდანია 14, 21, 34-40, 46-51, 57, 63, 67-71, 80-82, 90, 106-109, 115, 123, 129, 133, 176, 218, 221, 231, 244, 254-258, 273, 282-284, 314-315, 321, 337-338, 343, 347, 350-352, 357-359, 366, 387-388, 408-412, 424-425, 428
ირანელები 161, 166, 427
ირანი 6-7, 13-18, 21, 31,-68, 75, 79-94, 97-98, 100-101, 104-109, 113-114, 118-125, 128-130, 147-155, 160-161, 165-168, 171-173, 177, 181, 190-206, 211, 218, 236, 241-244, 247, 250-270, 274, 276, 282-288, 300-325, 333-336, 342-344, 347-349, 353-354, 365-366, 393, 418, 432-436, 444, 449
ირანული ენები 123, 257
ირედენტიზმი 303, 310, 432
ისლამი 5-8, 27-28, 34, 64, 83, 94-115, 127-133, 143, 148, 155-161, 166-168, 173,

177-185, 190, 218, 234-236, 247-249, 258, 273, 288, 294-295, 302, 308, 325, 333-338, 349, 355, 373, 417-427, 433-435, 445
ისლამიზმი 99, 100, 105, 294-295, 366
ისლამური რევოლუცია 56, 100, 114, 259, 262, 276, 287, 301-303, 311, 347, 393
ისრაელი 7-16, 21, 24, 32-48, 51, 56-71, 75, 78-123, 130-133, 143-145, 176, 208, 212, 223-224, 231, 244, 254-289, 293, 297-298, 302-304, 315, 318, 321-322, 326-348, 353-355, 362-365, 369-372, 376, 380-432, 436, 445
ისფაჰანი 89-90, 125, 173, 191-195, 200
იტალია 23-24, 55, 165, 205, 210-213, 225, 237-241, 256, 320, 361, 365, 375
იუგოსლავია 240
იუდაიზმი 5, 8, 76, 94-105, 109, 126, 151-153, 157, 161, 260, 404, 419-426, 431
იუდეა 96, 145, 383, 386, 411-419
იშუვი 382, 386, 432

კ

კავკასიონი 17, 195, 199
კავკასიური ენები 123-125
კათოლიციზმი 107-109, 206, 373, 423
კანა 417
კანადა 52
კაპიტულაციების რეჟიმი 205-206
კარაკაია 71
კართაგენი 144
კარკამიში 71
კარნე შომრონი 413
კარუნი 66
კასპიის ზღვა 32-38, 177, 193-195, 199
კატარი 21, 37, 45, 51, 55, 60, 79, 84-85, 89, 92, 108-109, 112, 211, 244, 256, 320, 334, 339
კახეთი 125, 177-179, 190-195, 200-202
კეისარი 99, 199
კემპ-დევიდის მოლაპარაკება 398
კერენ კაიემეთი 376, 379
კვიპროსი 7, 15, 20-22, 47, 51, 79, 82-83, 92, 99, 106-108, 118, 165, 210, 244, 249-251, 256, 273, 296, 304-307, 348, 354, 393
კიბუცი 377, 401-402, 432
კიევის რუსეთი 166
კიზილ-ირმაკი 66
კილიკია 34
კინერეთის (ტიბერიადის) ტბა 39, 67, 69, 330, 379
კირიათ სეფერი 413
კოინე 150, 372
კოლონიალიზმი 227, 253
კომპრადორული ბურჟუაზია 184
კონსტანტინოპოლი 15, 59, 107, 150, 165, 169, 172-175, 181-183, 198, 216, 222, 228, 239, 248, 315
კოპტები 105-107, 129, 154, 424
კორეის ომი 292
კოსტა-რიკა 400
კულაში 406

ლ

ლავიზანი 269
ლათაკია 229
ლათინური ამერიკა 81, 270, 384
ლევანტი 33, 39-43, 216, 219, 249
ლენდ-ლიზი 300
ლიბანი 16, 21, 33, 51, 58-60, 66, 69-70, 78-79, 83-84, 89, 92, 98-99, 105-108, 113-115, 123, 143-144, 176, 208, 216, 220-221, 227-229, 242-244, 253, 256, 260-263, 274, 293, 304, 314, 330, 335-337, 383-387, 409-410
ლიბია 16, 32, 40, 188, 241, 257-258
ლიტანი 66
ლოდი 383
ლოზანის ხელშეკრულება 135, 240
ლონდონი 15-16, 22, 91, 186-187, 198, 204, 207, 211-214, 220-228, 232-234, 250, 253-254, 261, 275, 287, 320, 327-328, 339, 370, 378-382

მ

მაალე ადუმიმი 413
მაგენ დავიდი 260
მაზანდარანი 122, 200
მაკედონია 149, 188
მაკმაჰონ-ჰუსაინის მიწერ-მოწერა 218-219
მალაიზია 88
მალიქიტური მაზჰაბი 111
მამლუქები 176, 182
მართლმადიდებლობა 107-109, 131, 154, 249, 423
მარმარილოს ზღვა 35, 133, 172, 181
მარონიტები 229
მარშალის გეგმა 291
მასობრივი განადგურების იარაღი (მგი) 266, 289, 304, 320, 323
მასჯედ-ე სოლეიმანი 54, 198
მაშიახი 421
მაშჰადი 20, 90, 191
მახმური 312
მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის (საბჭოთა კავშირ-თურქეთის) ხელშეკრულება 239
მეგობრობისა და ძმობის 238
მედინა (იასრიბი) 159, 165, 180, 208, 211, 219, 234, 418, 425
მერსინი 219
მესოპოტამია 33-34, 39, 42-43, 66, 143, 147-151, 212, 216
მექა 27, 115, 156-159, 180, 208, 211, 218, 234, 378, 417-418, 425-426
მიგრაციული ბალანსი 84

მიზრახიმი 103
მინა 417
მინბარი 77, 432
მისრი 176
მკვდარი ზღვა 39, 67, 338
მოდერნიზაცია 185, 236, 321, 347
მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი 242, 290
მონოთეიზმი 95-97, 144, 152, 155
მონოფიზიტები 154
მონტრიოს კონვენცია 36, 240
მონღოლები 127, 144, 164, 172-173, 236
მორიას მთა 417, 420
მოსახლეობის მატების ტემპი 81
მოსახლეობის სიმჭიდროვე 80
მოსკოვი 17, 59, 171, 188, 199, 203, 238-239, 242, 278, 291, 311, 316, 338
მოსული 59, 176, 208, 221-223, 232, 307, 312
მსოფლიო ომი 21, 24, 36, 54, 59, 78, 128, 132-134, 148, 185-188, 204-217, 225-227, 234-236, 239-243, 274-276, 290, 300, 311, 369, 378-384
მუდროსის დაზავება 189
მუზდალიფი 417
მუმბაი (ბომბეი) 97
მუში 307
მნვანე ხაზი 395, 396

ნ
ნაზარეთი 105, 379, 383, 408
ნათანზ 269
ნაპირი 21, 47, 66, 101, 148, 177, 208, 211, 231, 253, 338, 386-388, 397, 405-406, 411-412, 415, 419
ნაროდნაია ვოლია 375
ნატო 261, 276, 286, 292, 298
ნაყოფიერი ნახევარმთვარე 34, 41
ნაციონალიზმი 15, 127-129, 186-187, 236, 252, 303, 310, 312, 328, 375
ნაციონალური ბურჟუაზია 184, 432
ნახევარმთვარე 259-260
ნეგევის უდაბნო 44, 219, 401-402
ნევე იაკოვი 412
ნესტორიანობა 154
ნიდერლანდ 60, 78
ნიკეა (იზნიკი) 169
ნიკოსია (ლეფკოშა) 306-307
ნილოსი 31, 39-40, 66, 145-146, 149
ნიუ-იორკი 13, 158, 289, 319, 371
ნოეროსიისკი 217
ნომადიზმი 92
ნორვეგია 55, 256, 396

ო
ოდესა 217
ოდიში 179
ოლიგარქიული რეჟიმები 272
ომანი 21-22, 34, 37, 51, 79, 82, 108-109, 207, 211, 244, 256, 339, 350
ომანის ყურე 34, 37
ონი 406
ოპერაცია თავისუფლება ერაყს 42, 261, 319
ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალი 42, 261
ოსლოს შეთანხმებები 396
ოსმალეთი 15, 21-22, 25, 36, 59, 119, 120, 123, 127-128, 132-134, 151, 171-195, 198-222, 225-227, 234-237, 247-254, 259, 296, 299, 307-310, 315, 348, 372-373, 377, 419, 423-424, 428, 431-433
ოსმანელი 207
ოსტ-ინდოეთის კომპანია 194
ოღუზური ენები 182

პ
პალესტინის ადმინისტრაცია 47, 69, 251, 397-399, 422
პანისლამიზმი 187
პანოსმანიზმი 187
პანთურქიზმი 117, 121
პარაზიტული ბურჟუაზია 184, 432
პარიზი 15, 198, 220, 223-229, 232, 239-240, 253-254, 287, 327-328, 400
პართია 148-149, 151, 167, 309
პეტერბურგი (პეტროგრადი) 132, 200, 210, 213-214
პილის კომისია 383
პირენეის ნახევარკუნძული 248
პისგათ ზეევი 412
პოგრომი 375
პოლითეიზმი 95, 96, 146
პონტოს მთები 38
პორტ-საიდი 207
პრინს-სულტანი 334
პროტექტორატი 22, 207, 211-212, 238-339
პოლონეთი 17-18, 166, 375
პალესტინა 16, 21, 25-27, 42, 46-47, 59, 69-70, 79, 82, 85, 88, 93, 104-107, 111, 120, 128-132, 147, 150-152, 161, 164, 176, 180, 185, 205, 216-227, 231-232, 242-244, 249-258, 261, 275-280, 330, 337-338, 348, 369, 370-388, 392-417, 422-424, 428, 432
პაკისტანი 22-23, 32, 85, 260, 314
პოლიტიკური გეოგრაფია 17, 21-27, 137, 245, 430

ჟ
ჟენევის მეოთხე კონვენცია 412
ჟენევის პროტოკოლი 315

რ
რაგუზა (დუბროვნიკი) 180
რამათ-განი 400
რამლა 383
რამოთ ალონი 412
რაფიახი 212
რაპბარ 349

რევიზიმ 402
რეპატრიანტები 102, 120, 377
რიშონ-ლე-ციონი 377
რომი 36, 96, 102, 107, 144, 149-152, 169, 199, 248, 309, 372, 423
რუმაილა 53
რუმინეთი 36, 180, 240, 377
რუმის სასულტნო 172
რუსები 134, 190, 199, 202, 218
რუსეთი 15-18, 32, 35-36, 47, 55-56, 59-62, 111, 123, 132-134, 166, 171, 174, 179, 181, 185-217, 221-226, 231-243, 259-261, 265, 268-269, 274, 278-279, 296, 302, 316, 320, 374, 375, 377, 399

ს

საბერძნეთი 135, 150, 186, 189, 206, 217, 236-240, 292, 305
საბრა 384
საბჭოთა კავშირი 13, 17, 35, 55-56, 60, 86, 117, 198, 211, 230, 241-243, 256, 273, 276-279, 290-292, 296, 300-302, 311, 316-318, 337-339, 386, 393, 403, 406
საგზაო რუკა 399
საზღვარი 17, 21, 44-45, 128, 177-180, 196-197, 212, 232-234, 239, 252-255, 302, 307, 315-316, 336-338, 393-396
საიქს-პიკოს შეთანხმება 219-222, 231
საკარია 66
სამანდატო პალესტინა 370, 380, 395, 408
სამანდატო სისტემა 227
სამარია 145, 219, 383, 386, 411-412
სამარრა 323-324
სამოქალაქო ომი 229, 258, 335, 409, 413
სამცხე-საათაბაგო 133, 178-179, 201, 253
სამხედრო ბალანსი 27, 260, 263, 304
სამხედრო ტექნიკა 264-265, 333-335
სამხრეთ აზია 32, 88, 214
სარაკეტო ტექნიკა 266
სასანიანთა ირანი 151, 155, 160, 166, 171
საუდის არაბეთი 7, 21, 37, 47, 57, 60, 76, 79, 111-113, 234-235, 244, 254-258, 274, 286-289, 316-320, 332-338, 354, 380, 392
საფრანგეთ 37, 58, 70, 78, 86, 107, 127, 185, 198, 204-232, 237-242, 261, 264, 274-275, 280, 290, 293, 315, 320, 322, 327, 374-375, 380, 407
საქართველო 13-21, 26, 32-36, 94, 120, 124-125, 131-134, 149, 166, 170-173, 178-179, 180-182, 189-195, 201-204, 238-239, 249, 253, 256, 296, 308, 320, 370, 373-374, 406, 416, 423, 430
საჰარის უდაბნო 22, 32, 40, 81
სევასტოპოლი 217
სევრის ხელშეკრულება 225, 236-237
სეიჰანი 34, 66
სეკულარიზმი 99, 349
სელჩუკიანები 168-169, 181-182, 236
სემიტური ენები 96, 118-120, 142-145
სენაკი 406
სერბები 186, 240
სერბეთი 216
სეფიანები 175, 181, 191, 236
სეფიდრუდი 66
სიდონი 152, 229
სიირთი 307
სიკვდილიანობა 75, 81-83, 402
სინას მთა 104, 417
სინას ნახევარკუნძული 21, 38-40, 145, 208, 327-328, 388, 392-393, 408
სინგაპური 88, 207, 273
სინჯარი 312
სიონიზმი 86, 99, 128, 224, 375-376, 406, 422
სირია 16, 21, 33-34, 40-46, 51, 57-59, 66-71, 79-93, 98, 100, 104-116, 120-124, 129-130, 133, 143-144, 150, 152, 160-161, 166, 176, 194, 205, 216-221, 227-232, 237-244, 252-259, 262-267, 274, 278, 284, 295-296, 307-314, 325, 328-336, 350, 380, 386, 388, 392, 408, 412
სირიული ენა 120, 256
სომხები 20, 126-127, 130-134, 140, 148, 154, 177, 179, 183, 187, 191-193, 200, 222, 238, 256, 284, 291, 307, 403, 423
სომხეთი 17, 21, 32, 66, 134, 169, 177, 178, 187, 191-193, 196, 204, 227-228, 236-240, 297, 302-303, 308, 320
სოციალური პრესტიჟი 87
სპარსეთი 21-22, 34-35, 54, 59, 128, 151, 165, 171, 175-179, 182, 186-205, 209-218, 235, 248-253, 259, 309-310, 315
სპარსეთის ყურე 16, 21, 34-37, 51-60, 66, 84-88, 92-93, 111-112, 148, 178, 194, 199, 201, 206, 211-216, 234, 242, 255, 257, 263, 265-268, 279, 288, 299, 301, 316-320, 334, 339
სპარსელები 15, 127, 165, 190, 202, 427
სტალინგრადი 241
სტამბოლი 18, 22, 27, 36, 44, 67, 89, 90, 92, 93, 107, 121, 123, 124, 127, 128, 135, 182, 183, 184, 188, 189, 193, 200, 202, 203, 206, 208, 211, 213, 216, 217, 218, 219, 226, 228, 237, 239, 248, 253, 349
სუბურბანიზაცია 91
სუდანი 22, 32, 258, 378
სუეცი 27, 207
სუეცის არხი 38, 57, 207-215, 235, 299, 327-328, 378, 388, 392
სუეცის კრიზისი 275-277, 328
სულტანი 131-132, 169, 173-176, 180-188, 200, 205-206, 210, 217, 234, 240, 250, 373, 419, 424, 428
სუნიტები 76, 98, 109, 114, 190, 200, 261, 311, 314, 433
სუნიტობა 109, 164
სურა 372, 425, 431, 433

სურამი 406
სუსა 148
სფარადიმი 103, 433

ტ

ტაბკა 70
ტავროსის მთები 38
ტაილანდი 85, 88
ტალპიოთ მიზრახი 412
ტარსუსი 417
ტატური ენა 119
ტაძრის მთა 416-417, 421, 428-429, 432
ტაჯიკეთი 23
ტენედოსი 237, 240
ტიგროსი 33, 66, 70-71, 142, 149, 165, 210
ტირანის სრუტე 38, 388
ტრაბზონი 222, 236
ტრადიციონალიზმი 91
ტრანსიორდანია 16, 231, 234, 242, 337-338, 380, 386
ტრიპოლი 16, 58, 229
ტრუმენის დოქტრინა 291
ტუნბის კუნძულები 37

უ

უგანდა 376
უზბეკეთი 117, 121, 259, 320
უიღურული ანბანი 144
ულტიმატუმი 292
უმ-რაშრაში 212
უმუშევრობა 87-88, 294, 408
უნგრეთი 166, 175, 185, 206, 210, 216, 226, 374-375
ურალი (მდინარე) 17
ურალის ქედი 17
ურბანიზაცია 75, 82, 89-91, 124, 310
უშიშროების კედელი 414-415

ფ

ფალაური ენა 144, 148-149
ფარაონი 83, 94, 146-147, 207
ფეთახ-თიკვა 377
ფეოდოსია 217
ფერტილურობა 82
ფილიპინები 85
ფინიკიელები 143-144

ქ

ქააბა 156, 159, 417-418
ქალკედონის კრება 154
ქანაანი 145-147, 376
ქარბალა 418
ქართველები 18, 20, 124-125, 148, 150, 154, 164, 170, 173, 179, 187, 190-194, 200-201, 249, 256-258, 291, 374, 424
ქართველური ენები 123-125
ქართლი 149, 153-154, 167, 177-179, 190-195, 200-202, 249
ქებანი 71
ქემალისტები 100, 239, 259
ქერმანი 197, 200
ქიმიური იარაღის კონვენცია 267
ქირქუკი 53, 57-59, 232, 312-313
ქობულეთი 179, 180, 203
ქრისტიანობა 94-109, 148-157, 161, 166, 172, 179, 185, 191, 230, 249, 260, 372-374, 408, 417, 422-426, 433
ქტესიფონი 149
ქურთები 7, 75, 111, 122-125, 130, 134, 177, 179, 222, 232-233, 236, 262, 287, 293, 296-299, 307-319
ქურთისტანი 122, 151, 177-180, 190, 200, 240, 295, 300, 307-318, 324
ქუჩუკ-კაინარჯას ხელშეკრულება 203

ღ

ღაზა 147, 383, 387, 396, 405, 409, 414-415
ღაზის სექტორი 46-47, 79, 88, 261, 369-371, 387, 393-395, 405-414

ყ

ყაზახეთი 22, 35, 117, 121, 259
ყაზვინი 191-193
ყარაბაღი 195, 303
ყარსი 203, 238, 239, 291
ყარსის „მეგობრობის ხელშეკრულება“ 239
ყიბლა 418
ყიზილბაშები 175-177, 190
ყირგიზეთი 117, 121, 133
ყუბა 195
ყულის ჯარი 191
ყურანი 97-99, 111-114, 119, 157, 163-164, 372-373, 425, 431-433

შ

შავი ზღვა 15, 21, 36-38, 41, 59, 133, 139, 140, 175, 203, 210, 217, 237, 240, 291
შალემი 420
შამი 176, 219
შარიათი 82, 89, 108-110, 349
შარიფ 218-221, 229-231
შატილა 384
შაფიიტური მაზჰაბი 111
შაჰადა 258
შაჰანშაჰი 147-149, 154, 160-161, 190, 207
შაჰი 100, 125, 131, 173, 177, 190-196, 205, 235, 236, 241, 250-253, 259, 262, 276, 287, 300-301, 310-311, 347-349, 373
შემახა 200
შიიტები 75, 98, 109-114, 123, 164, 168, 190, 261, 308, 311, 324, 418, 433
შიიტობა 109, 113-115, 164-165, 190, 200, 418
შილო 420
შირაზი 90, 191

შირვანი 195
შობადობა 75, 81-84, 104, 107, 272, 308, 402-407
შრომითი რესურსები 86-89
შუა აღმოსავლეთი 15-17, 22, 276
შუაფათი 384
შუმერები 142
შხემი (ნაბლუსი) 420

ჩ
ჩერქეზები 123
ჩეჩნები 18, 133
ჩეხეთი 166
ჩინეთი 15, 32, 55, 60, 163, 188, 197, 261, 265, 280-282, 320, 430
ჩოლოქი 180
ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა 47, 251, 306

ც
ცივი ომი 37, 75, 242, 261, 267, 270, 281, 286, 296, 362, 394
ცივილიზაციათა სიახლოვე 302
ცივილიზაციათა შეხლა 75, 77
ცხინვალი 406

წ
წარღვნა 139-141
წითელი ზღვა 34-41, 207

ჭ
ჭოროხი 66

ხ
ხაიფა 59-60, 94, 222, 227, 266, 378, 383, 405
ხალიფა 114-115, 131, 160-180, 187, 218, 249-250, 310, 317, 418, 425
ხანაკინი 312
ხანი 131, 175, 202, 236
ხარ-დოვი (შაბას ფერმები) 253, 336
ხებრონი 417-419
ხედივი 207
ხეთები 147
ხმელთაშუა ზღვა 32-34, 70, 139, 147, 154, 165, 212, 383, 405
ხორასანი 190
ხორვატია 166
ხუზესთანი 315

ჯ
ჯაბალ-არაფათი 417
ჯაბალ-დრუზი 115, 229
ჯაბალ-შამარი 215
ჯეიპანი 32, 34, 66
ჯვარი 151, 260
ჯიბუტი 37
ჯიპადი 113, 195, 433
ჯულფა 191

ჰ
ჰაბსბურგთა იმპერია 186, 375
ჰადისები 99, 433
ჰათაი 70, 114, 220, 230, 240
ჰალაბჯა 315
ჰალახა 102-103, 404, 433
ჰამა 219
ჰამას 99, 399, 409
ჰანაფიტური მაზჰაბი 111
ჰანბალიტური მაზჰაბი 111
ჰარ ხომა 412
ჰარედიმი 104
ჰაქიარი 307
ჰაჯი 417-418
ჰეზბოლა 143, 260, 262, 304, 336
ჰერათი 196
ჰერმონის დოქტრინა 70
ჰერცლია 400
ჰიჯაზი 158, 177, 208, 211-220, 234-235, 254, 258
ჰიჯრა 159
ჰოლოკოსტი 385
ჰომსი 219
ჰორმუზის სრუტ 37, 194
ჰურიანი 152, 374